ცოტნე დადიანის საჯელობის სოხუმის
ჰუმანიტარული ინსტიტუტი

ე. ტარლე



ნაპოლეონი

გამომცემლობა "ბედია"
თბილისი 1996

ევგენ დადიანის სახელობის სოხუმის ჰუმანიტარული ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებთან ლექციაზე პოლიტოლოგიაში ვახსენე ნაპოლეონ ბონაპარტი და მოვიტანე ერთი ეპიზოდი ტარლეს გახმაურებული წიგნიდან - "ნაპოლეონი". სტუდენტებმა განაცხადეს, რომ ისინი დიდი ხანია ოცნებობენ წაიკითხონ ეს წიგნი, მაგრამ იგი არსად არაა, მათ შორის ბიბლიოთეკებშიც. ტარლეს წიგნი ნაპოლეონზე მართლაცდა ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. იგი პირველად ქართულ ენაზე 1941 წელს გამოიცა თბილისში ცნობილი ქართველი მწერლისა და კრიტიკოსის გერონტი ქიქოძის რედაქტორობით. წიგნი რუსულიდან თარგმნეს პ. ცხაკაიამ, გ. კოპაძემ, ლ. დარჩიამ, ა. მიქელაძემ. ჩვენ გადაეწყვიტეთ აღნიშნული წიგნის ხელახლა გამოცემა. 1941 წელს გამოცემული ტარლეს "ნაპოლეონი"-ს ქართული თარგმანი შევადარეთ რუსული ორიგინალის ბოლო გამოცემას, გავასწორეთ ზოგიერთი ორთოგრაფიული და სტილისტური შეცდომა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ტარლეს წიგნი "ნაპოლეონი"-ს გამოცემით შევასრულეთ არა მარტო ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტების, არამედ მკითხველთა ფართო მასების სურვილიც.

ვალერიან ჭანია
საქართველოს პოლიტიკურ
მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი, პროფესორი

ფასი სახელშეკრულებო

ტირაჟი 2000

ნაპოლეონ ბონაპარტის ახალგაზრდობა

ქალაქ აიაჩიოში, კუნძულ კორსიკაზე, 1769 წლის 15 აგვისტოს ხელმოკლე ადვოკატის კარლო ბონაპარტის ოჯახში დაიბადა ბავშვი, რომელსაც ნაპოლეონი დაარქვეს.

ეს მოხდა სამი თვის შემდეგ მას უკან, რაც კორსიკის გმირული ხალხი იძულებული შეიქნა საფრანგეთის ბატონობას დამორჩილებოდა. ნაპოლეონი ბავშვობიდანვე ისმენდა თავისი დამოუკიდებლობისათვის კორსიკის ბრძოლის და ამ ბრძოლაში მისი მშობლების მონაწილეობის ამბებს.

კუნძული კორსიკა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ეკუთვნოდა გენუის საკაჭრო რესპუბლიკას, რამდენიმე საუკუნის მანძილზე იბრძოდა თავისი დამოუკიდებლობისათვის. XIV საუკუნიდან XVIII საუკუნემდე კორსიკაზე თორმეტი სახალხო აჯანყება მოხდა.

1755 წელს კორსიკა აჯანყდა გენუის წინააღმდეგ ერთი ადგილობრივი მემამულის, პაოლის, მეთაურობით და განდევნა გენუელები; ეს იყო წვრილ მემამულეთა აჯანყება, რომელთაც მხარი დაუჭირეს მონადირეებმა, მთიელმა მესაქონლეებმა და ქალაქის ღარიბ-ღატაკებმა — ერთი სიტყვით, მოსახლეობამ, რომელსაც სურდა თავი დაეღწია მისთვის სრულიად უცხო გენუის საკაჭრო რესპუბლიკის დაურიდებელი ექსპლუატაციისაგან. აჯანყება წარმატებით დაგვირგვინდა, და 1755 წლიდან კორსიკა გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელსაც პაოლი განაგებდა. კორსიკაზე (განსაკუთრებით კუნძულის შიდა ნაწილებში) ჯერ კიდევ ძლიერი იყო გვაროვნული ყოფა-ცხოვრების გადმონაშთები. ცხოვრობდნენ კლანებად, რომელნიც ზოგჯერ ხანგრძლივ და გააფრთებით ებრძოდნენ ერთმანეთს. ძალიან გავრცელებული იყო სისხლის აღება (ვენდეტა), რაც ხშირად მთავრდებოდა ცალკეულ კლანებს შორის საშინელი ხოცვა-ულეტით.

პაოლი ცდილობდა უზრუნველეყო მშვიდობიანი შრომა, დაემშვიდებინა ქვეყანა, მეტი წესრიგი შეეტანა მართვა-გამგეობაში.

იგი ამბობდა: "ჩვენი მართვა-გამგეობა უნდა ჰგავდეს ბროლის სახლს, რომ ყველას შეეძლოს დაინახოს, თუ რა ხდება მასში". პაოლის გაპყავდა

გზები, აშენებდა ქალაქებს, მან გარდაქმნა სასამართლო, გახსნა უნივერსიტეტი, ებრძოდა ბანდიტებს.

რაკი დარწმუნდა, რომ კორსიკა მას აღარ ეკუთვნოდა, გენუის რესპუბლიკამ 1768 წელს თავისი ფაქტიურად უკვე არ არსებული "უფლებები" კორსიკაზე საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XV-ს მიჰყიდა.

როდესაც ეს გაიგეს კორსიკელებმა, მათ კვლავ მოჰკიდეს ხელი იარაღს. დაიწყო პარტიზანული ომი. კორსიკელები ცუდად იყენენ შეიარაღებული: მხოლოდ ზოგიერთებს ჰქონდათ ინგლისელ ვაჭრებისაგან შეძენილი ინგლისური თოფები, მაგრამ მათ კარგად არ იცოდნენ მათი ხმარება და თავიანთ ძველ მუშკეტებს ამჯობინებდნენ.

ყველა კორსიკელი იმ რწმენით მიდიოდა ომში, რომ ან გაემარჯვა, ან ცოცხალი აღარ დაბრუნებულიყო. როდესაც ტყვედ წაყვანილ კორსიკელს ჰკითხეს: "როგორ ომობთ, თქვენ ხომ ჰოსპიტლებიც კი არ გაქვთ, რას შერებით, როცა დაიჭრებით?" "ეკვდებით", — უპასუხა მან.

ფრანგებთან მომხდარ პირველ შეტაკებებში კორსიკელმა პარტიზანებმა გაიმარჯვეს. ამან გაამხნევა ისინი. მაგრამ როდესაც მოვიდა ოცდათი ათასი ფრანგი ჯარისკაცი ძლიერი არტილერიით, დაიწყო ნამდვილი ომი — ამაყი და გულადი კორსიკელი ხალხის შეუბრალებელი განადგურება.

კარლო ბონაპარტი, ნაპოლეონის მამა, პაოლის მეგობარი და საყვარელი მოწაფე იყო. იგი შეუერთდა მათ, ვინც გაიძახოდა: "თავისუფლება ან სიკვდილი!" იგი გახდა მოხალისეთა ჯარის კაპიტანი. ნაპოლეონის დედა, ლეტიცია, თერთმეტი თვის ძუძუმწოვარა ბავშვით თან გაყვა ქმარს. იგი, თუმც მის სიცოცხლეს საფრთხე ელოდა, ხშირად გადიოდა ბრძოლის ველზე, ასრულებდა ხვადასხვა დავალებას, ამხნევებდა მებრძოლთ.

ფრანგებთან ომის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ, 1769 წლის 9 მაისს, მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა. ფრანგების ჯარმა გაანადგურა პაოლის რაზმი პონტე-ნოვოსთან (ეს მოხდა ნაპოლეონის დაბადებამდე სამი თვით ადრე). აქ გმირულად დაიღუპა ლეტიციას ბიძა ნაპოლეონი (მის პატივსაცემად დაარქვეს პატარა ბონაპარტს ნაპოლეონი). თვითონ ლეტიცია და მისი მული ჰერტრუდა მამაკაცებივით იბრძოდნენ. კორსიკელთა მცირე რაზმი იძულებული გახდა უკან დაეხია.

გზაში ლეტიცია კინაღამ დაიღუპა. თოვლის დნობის გამო ნაპირებიდან გადმოსულ აბობოქრებულ მთის პატარა მდინარეზე გადასვლის დროს ლეტიციას ცხენს ფეხი აუსხლტდა, და ლეტიცია წყალმა წაიღო. ლეტიცია არ დაბნეულა. მას ძალა შეპმატა ფიქრმა იმ ბავშვზე, რომლის დაბა-

დებასაც მოელოდა. "ნაპოლეონი პონტე-ნოკოს პირმშოა", ამბობდა იგი შემდგომ. "შურისმაძიებელი" ფიქრობდა იგი ხშირად. თვრამეტი წლის შემდეგ ნაპოლეონი წერდა: "შე დავიბადე მაშინ, როდესაც სამშობლო იღუპებოდა".

პატარა კუნძულის გმირულმა ბრძოლამ დამოუკიდებლობისათვის გააოცა თანამედროვენი. ჟან-ჟაკ რუსო წერდა: "ეს პატარა კუნძული მსოფლიოს გააოცებს".

კორსიკა საფრანგეთის სამფლობელოდ გამოაცხადეს.

ამრიგად, ნაპოლეონმა თავისი ბავშვობა კუნძულზე გაატარა სწორედ მაშინ, როდესაც აქ, ერთის მხრივ, ჯერ კიდევ გული მესტკიოდათ ასე უეცრად დაკარგულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე, ხოლო, მეორეს მხრივ, მემამულეებისა და ქალაქის ბურჟუაზიის ნაწილი უკვე ეკითხებოდა თავის თავს: უმჯობესი ხომ არ იქნება ერთხელ და სამუდამოდ გადავიქცეთ საფრანგეთის არა ნაძალადევ, არამედ სულითა და გულით მორჩილ ქვეშევრდომებად.

ნაპოლეონის მამა, კარლო ბონაპარტი, "ფრანგულ" პარტიას მიემხრო, პატარა ნაპოლეონს კი გული სწყდებოდა კორსიკის განდევნილ დამცველ პაოლიზე და ეზიზღებოდა უცხო ფრანგები.

ნაპოლეონი პირქუში და გულფიცხი ბავშვი იყო. დედას უყვარდა იგი, მაგრამ მასაც და სხვა ბავშვებსაც საკმაოდ მკაცრად ზრდიდა. მომჭირნედ ცხოვრობდნენ. მაგრამ ოჯახი გაჭირვებას არ განიცდიდა. მამა, როგორც ეტყობა, კეთილი და სუსტი ხასიათის ადამიანი იყო. ოჯახის ნამდვილი მეთაური იყო ლეტიცია — მტკიცე, მკაცრი, შრომისმოყვარე ქალი, რომლის ხელშიც იყო ბავშვების აღზრდაც.

"მამაკაცის თავი დედაკაცის ტანზე" ამბობდა შემდგომ ნაპოლეონი თავისი დედის შესახებ.

შრომის და საქმეში მტკიცე წესრიგის სიყვარული ნაპოლეონს სწორედ დედისაგან დაჰყვა.

მთელი ქვეყნიერებისაგან მოწყვეტილი კუნძულის პირობები, მისი საკმაოდ ველური მოსახლეობა მთებსა და ტყეებში, კლანებს შორის დაუსრულებელი შეტაკებები, გვაროვნული მესისხლეობა, შეუნელებელი მტრობა უცხოელ-ფრანგებისადმი, რასაც გულდასმით ფარავდნენ, — აი რა ახდენდა შთაბეჭდილებას პატარა ნაპოლეონზე.

ბავშვობა ცხრა წლამდე ნაპოლეონმა თავის ოჯახში, მშობლიურ აიაჩიოში გაატარა, კორსიკულად მას ნაბულიოს ეძახდნენ. ეს იყო ფერმერთა-

ლი, ჩია, გამხდარი ბავშვი, დიდი ცისფერი თვალებით მოგრძო სახეზე, ნერვიული, თავისნება და უჯიათი. მას უყვარდა აურზაურიანი თამაშობები, ამასთანავე ღრმა გულისყურს იჩენდა და ჩაფიქრებულობა ახასიათებდა სწავლის დრეს. პატარაობისას იგი არ იჩენდა განსაკუთრებულ ნიჭს, დიდი შფოთის თავი და პირველი მაჩხუბარა იყო, სცემდა თავის უფროს ძმას იოსებს და გამარჯვება ყოველთვის მას რჩებოდა.

ნაპოლეონს ადრე დაეტყო წინამძღოლობისადმი მიდრეკილება. დედამისი ამბობდა, მას თანდაყოლილი აქვს პირველობის სულისკვეთებაო. ყველგან და ყველაფერში სურდა პირველი ყოფილიყო — სწავლაში, თამაშობაში, ბავშვების მიერ გამართულ სათამაშო ბრძოლებში.

ბონაპარტის ოჯახი ხელმოკლე იყო, მრავალშვილიანი. ლეტიცია ბონაპარტს ცამეტი შვილი ჰყავდა, რომელთაგან ცხრა შერჩა. ბავშვებს მიჩენილი ჰქონდათ ერთი დიდი ოთახი, რომელიც სავსე იყო ყოველგვარი სათამაშოებით; გაოცდებოდით, იმდენი თასმა, აღვირი და ეჟვნიანი სადაველები იყო აქ. აქვე იყო ვეებერთელა დოლი, პატარა ზარბაზანი, ზღვის ნაპირიდან მოტანილი მრავალი ნიჟარა, ხის ნაჭრები, ქვები.

პატარა ნაპოლეონს ყველაზე მეტად უყვარდა მშობლიური კუნძულის კლდეები და ტყეები, მღვიმე ყურის ნაპირზე, სადაც იგი საათობით იჯდა ხოლმე განმარტოებით და თავისი ფიქრებით გატაცებული შეჰყურებდა ზღვის თვალუწვდენელ სივრცეს. ის ხშირად ბრუნდებოდა შინ კლდეებზე შემოხეული ტანსაცმლით, დაფლეთილი ფეხსაცმლებით, დასველებული, დალილაებული. მას უყვარდა ზვირთებთან შეჭიდება იმ საათებში, როდესაც აბობოქრებული ზღვა ხმაურით მოაგორებდა უზარმაზარ ქვებს; გიჟმაჟი მხიარულებით, ხმამაღალი ყვირილით მისდევდა იგი ზვირთებს ზღვის მიქცევისას და გაურბოდა მათ ზღვის მოქცევისას, თავით-ფეხებამდე სველი შხეფებისაგან, მაგრამ ბედნიერი და სიხარულით გაბრწყინებული.

ბავშვს იტაცებდა ოჯახში შენახული გადმოცემები, თუ თავისუფლებისათვის კორსიკელები როგორ გმირულად იბრძოდნენ. მას თავი კორსიკელად მიაჩნდა და სძულდა ფრანგი-დამპყრობლები.

ნაპოლეონი შვიდი წლისა იყო, როდესაც სკოლაში მიაბარეს აიაჩიოში, სადაც იტალიურ ენაზე ასწავლიდნენ. სკოლაში შემოღებული იყო სამხედრო ხასიათის თამაშობანი. ერთხელ მასწავლებელმა ბავშვები ორ ჯგუფად გაყო. ერთ ჯგუფს დაარქვა "კართაგენელები", მეორეს "რომაელები" — ძველი კართაგენლებისა და რომაელების საპატივცემლოდ. პატარა ნაპოლეონი "კართაგენლების" რიცხვში მოხვდა და უნდა ებრძოლა

"კართაგენლების", ე.ი. დამარცხებულების დროშის ქვეშ. მისი ბავშვური თავმოყვარეობა ვერ ურიგდებოდა ამ მდგომარეობას, მას სურდა ებრძოლა გამარჯვებული "რომაელების" დროშის ქვეშ და ამასთანავე მათი ბელადი ყოფილიყო. უფროსმა ძმამ დაუთმო თავისი ადგილი "რომაელთა" შორის, და ნაპოლეონი მისი წინამძღოლი გახდა.

ნაპოლეონს ბავშვობაშივე დაეტყო, რომ მისი დანიშნულება ცხოვრებაში ჯარისკაცობა იყო. თუ დედა გაუჯავრდებოდა, როდესაც იგი თვალჩალურჯებული, ნაცემი დაბრუნდებოდა ბავშვების მიერ გამართული საომარი თამაშობის შემდეგ, ან როდესაც შინაური პურს ჯარისკაცის ულუფაზე გაცვლიდა, იგი ყოველთვის ამბობდა: მე ჯარისკაცის ჩექმები უნდა შევიძინო, რადგანაც ჯარისკაცობა მომელისო.

ერთხელ ნაპოლეონი წინამძღოლობდა ბავშვების მიერ ქუჩაში გამართულ ჩხუბს და ისე მოაწყო საქმე, რომ "მტერს" მზე თვალებში უყურებდა. მზით დაბრმავებულმა "მოწინააღმდეგემ", რომელთაც ქვებს უშენდნენ, ვერ გაუძლო ნაპოლეონის რაზმის იერიშებს და იძულებული გახდა უკან დაეხია.

ეს იყო ნაპოლეონის მიერ მოგებული პირველი ბრძოლა. ბრძოლაში საკმაოდ დაშავებული ნაპოლეონი, რომელსაც ამიერიდან ამხანაგები "სარდალს" უწოდებდნენ, შესვეს ვილაცის ცხენზე და ზეიმით მიაცილეს სახლამდე.

ზოგჯერ ნაპოლეონი წაიყვანდა ვისამე ცხენს და დააჭენებდა ქალაქის მიდამოებში; როდესაც ცხენით წისქვილამდე მიაღწევდა, სთხოვდა მეწისქვილეს აეხსნა მისთვის წისქვილის ბორბლის მოწყობილობა და აოცებდა მას თავისი კითხვებით. ამ დროს იგი რვა წლისა იყო.

ნაპოლეონს არ უყვარდა ეკლესიაში სიარული, იქ ყურადღება ეფანტებოდა, იმანჭებოდა, აჯავრებდა უფროსებს, დასცინოდა საეკლესიო წესებს. ერთხელ მან საქორწინო პროცესიის წარმოდგენა მოაწყო. იგი პატარა ბანდიტი გეგონებოდათ, როდესაც მხარზე გადაკიდებული ქურთუკით, ჩაკეცილი წინდებით, პატარა მეზობელ გოგონასთან ხელგაყრილი მიდიოდა ქუჩაში ბავშვებით გარშემორტყმული, რომელნიც სპეციალურად ამ შემთხვევისთვის შეთხზულ ლექსს მღეროდნენ. გზად შეხვედრილი გლეხები იცინოდნენ, მედუქნეები თავისი დუქნებიდან გამოდიოდნენ. ნაპოლეონის დედა დიდად შეაწუხა ამ ამბავმა და სასტიკად დასაჯა ურჩი შვილი.

ნაპოლეონი ხარბად დაეწაფა სწავლას: მას უნდოდა პირველი ადგილი დაეჭირა თავის კლასში. მას უყვარდა ანგარიში, ამოცანები, არითმეტიკა,

ბევრს კითხულობდა, განსაკუთრებით გატაცებული იყო ისტორიით. როდესაც რომელიმე ამხანაგი ეტყოდა — რად გინდა იმის ცოდნა, რაც ათასი წლის წინათ იყოო, ნაპოლეონი მხოლოდ მხრების აჩეჩით უპასუხებდა. შემდგომ, როდესაც ნაპოლეონი დავაუკაცდა, მას არაერთხელ უთქვამს: ჩემთვის ისტორია ყოველთვის ჭეშმარიტების ჩირაღდანი და ცრუმორწმუნეობის გამანადგურებელი იყო. რაკი გაეცნო რომის ისტორიას, მან გადაიკითხა ყველა წიგნი ასურეთის, სპარსეთის, ეგვიპტის, საბერძნეთისა და კართაგენის შესახებ, წაიკითხა არაბების, თურქებისა და თათრების ისტორია, წიგნები თანამედროვე ეგვიპტის შესახებ, ინგლისის ისტორია.

ნაპოლეონის მამამ, რომელიც საფრანგეთის მომხრე გახდა, გადაწყვიტა ფრანგული აღზრდა მიეცა თავისი შვილებისათვის. მან შეიტანა განცხადება პარიზის სამხედრო სკოლაში: ითხოვდა თავისი ორი უფროსი ვაჟის მიღებას. 1779 წლის შემოდგომაზე ნაპოლეონი სამშობლოს უნდა გამოსთხოვებოდა.

ბავშვს ძალიან უყვარდა თავისი ოჯახი, მიუხედავად იმისა, რომ დედამამას ხშირად დაუსჯია იგი ცელქობისა და თვითნებურობისათვის, უფროსებისადმი უპატივცემულობისათვის. დედასაც ძალიან უყვარდა შვილი, რომელიც ასე განირჩეოდა სხვა ბავშვებისაგან. ცხრა წლის ნაპოლეონმა, რომელსაც თავი კორსიკელად მიაჩნდა, თვითონ გადაწყვიტა — ფრანგული აღზრდა უნდა მივიღო, რათა შემდგომ გამოვადგე ჩემს სამშობლოს - კორსიკასო. იგი ძალიან წუხდა იმის გამო, რომ უნდა გამოსთხოვებოდა სახლს, ვენახს, ბაღს, ყოველივეს, რაც მას ესოდენ უყვარდა. ნაპოლეონის სასოწარკვეთილებამ ჩააფიქრა მამამისი და მან წინადადება მისცა დარჩენილიყო. მაგრამ პატარა ნაპოლეონმა მტკიცედ განაცხადა: "რა გამოვალ მე, თუ აქ დავრჩი? მეზღვაური? მეთევზე? ბანდიტი? არა, მე უნდა გავემგზავრო!"

მაგრამ იგი უნდა გამოსთხოვებოდა თავის საყვარელ კუნძულს, მას არ შეეძლო წასვლა უამისოდ, და ამიტომ სთხოვა მამას ნება მიეცა მისთვის არ ეკლო სკოლაში ერთი კვირის განმავლობაში; მასწავლებლებმა თანხმობა განაცხადეს; მხოლოდ მკაცრმა დედამ არაფერი იცოდა ამის შესახებ. ნეპოლეონი ყოველ დილას მიდიოდა სკოლაში თავის ძმასთან ერთად, სტოვებდა იქ წიგნებს და მეცადინეობის დამთავრებამდე დახეტიალობდა ყურის ნაპირზე, საათობით იწვა და ფიქრობდა საყვარელ მღვიმეში. მეცადინეობის დამთავრების დროისათვის იგი ბრუნდებოდა სკოლაში, გამოიქონდა წიგნები და ძმასთან ერთად შინ მიდიოდა.

ხომალდზე, რომელსაც კარლო ბონაპარტი და მისი შვილები საფრანგეთში მიჰყავდა, ნაპოლეონი არავის დალაპარაკებია მთელი ორი დღის განმავლობაში, ჩუმად იწვა ბაგირის გროვაზე და იცქირებოდა იქით, სადაც კორსიკა დარჩა.

პირველად ბავშვები ოტენის კოლეჯში (საშუალო სასწავლებელში) მოათავსეს. აქ უფროსი ვაუი, იოსები, მალე შეეგუა და დაუახლოვდა ბავშვებს. უმცროსი, ნაპოლეონი, განზე იდგა, გულჩათხრობილი იყო. მისი პირქუში შესახედაობა, შუქი მომწვანო პირისახე და კორსიკული აქცენტი აოცებდა მასწავლებლებსა და ამხანაგებს. ცხრა წლის ბიჭს თავი ისე ეჭირა, თითქოს იგი განდევნილი, თითქმის მეამბოხე ყოფილიყოს. პატარა კორსიკელი ცნობისმოყვარეობის, მუდმივი დაცინვის, მტრობის საგანი იყო. როდესაც ამხანაგებმა ალღო აუღეს მის სუსტ ადგილს — კორსიკის სიყვარულს, კიდევ უფრო მეტად დაუწყეს დაცინვა.

"კორსიკელები ლაჩრები ყოფილან, ასე მალე რომ დანებდნენ ფრანგებს", — ეუბნებოდნენ მას.

ნაპოლეონი თავგამოდებით იცავდა თავის თანამემამულეებს: "ფრანგები რომ ოთხი ყოფილიყვნენ ერთი კორსიკელის წინააღმდეგ, ისინი ვერასოდეს ვერ დაძლეულნენ კორსიკას, მაგრამ ისინი ათნი იყვნენ ერთის წინააღმდეგ" — უპასუხებდა იგი შეუპოვრად.

ერთხელ ერთ-ერთმა მასწავლებელმა შემდეგი სიტყვებით მიმართა ნაპოლეონს: "როგორ მოხდა, რომ თქვენ დაგამარცხეს? თქვენ ხომ პაოლი გყავდათ, იგი კარგ სარდლად ითვლებოდა". "იგი მართლაც ასეთი იყო, და მე მინდა ვგავდე მას!" — ცივად უპასუხა პატარა ბიჭმა.

იმავე 1779 წლის გაზაფხულზე ათი წლის ნაპოლეონი გადაიყვანეს აღმოსავლეთ საფრანგეთში, ქალაქ ბრიენის სამხედრო სასწავლებელში, სადაც მას სახაზინო სტიპენდია დაენიშნა. ბრიენის სამხედრო სასწავლებელში ნაპოლეონს შერჩა დაღვრემილობა და გულჩაკეტილობა, იგი მალე კარგავდა სულიერ წონასწორობას, არავისადმი არ იჩენდა მოკრძალებას, მეგობრულ განწყობილებასა და თანაგრძნობას და თავისი თავის დიდი იმედი ჰქონდა, მიუხედავად პატარა ტანისა და ნორჩი ასაკისა. სცადეს მისი დაჩაგვრა, გაღიზიანება, დასცინოდნენ მის კორსიკულ კილოს, მაგრამ პატარა ბონაპარტის მიერ რამდენჯერმე გააფრთებით და საკმაოდ წკრმატებით ჩატარებულმა ჩხუბმა (თუმცა უვნებლად არც თვითონ დარჩენილა) დაარწმუნა მისი ამხანაგები, რომ ასეთი შეტაკებები მათთვის სახიფათო იყო. ნაპოლეონი ჩინებულად სწავლობდა, მან მშვენივრად შეის-

წავლა საბერძნეთისა და რომის ისტორია. იგი გატაცებული იყო აგრეთვე მათემატიკითა და გეოგრაფიით.

ამ პროვინციული სამხედრო სკოლის მასწავლებლები არც თუ ისე ძლიერნი იყვნენ ამ საგნებში, რომლებსაც ასწავლიდნენ, ამიტომ პატარა ნაპოლეონი კითხვას დაეწაფა ცოდნის შესავსებად. როგორც მაშინ, ისე შემდგომაც იგი ყოველთვის ძალიან ბევრს და ძალიან სწრაფად კითხულობდა. ნაპოლეონის კორსიკული პატრიოტიზმი ეუცხოებოდა მის ფრანგ ამხანაგებს, რომელნიც ამის გამო გაურბოდნენ მას. ნაპოლეონისთვის ფრანგები ჯერ კიდევ უცხო რასას, მშობლიური კუნძულის დამპყრობლებს წარმოადგენდნენ.

"პაოლი დაბრუნდება, თუკი შესძლო ბორკილების დამსხვრევა, — ამბობდა იგი, — და როდესაც კი შეეძლებ, მე დავეხმარები მას! ეგებ ჩვენ ორმა მოვახერხოთ კორსიკის განთავისუფლება წყეული მონობისაგან".

აქაც, ისე როგორც აიაჩიოში, ნაპოლეონი ყოველთვის მეთაურობდა აურზაურიან თამაშობებს, წინამძღოლობდა სკოლაში გამართულ ბრძოლებსა და გარემოცვებს და ისევე ეძებდა მარტოობას და დიდი ხნით მიდიოდა პატარა შემოღობილ ბაღში. ის აღიარებდა, რომ მოწაფეებს ეჯავრებოდათ იგი. მასწავლებლებს ეშინოდათ მისი: იგი ადვილად ემხრობოდა უკმაყოფილოებს და წინამძღოლობდა მათ. ის მოთმინებით იტანდა სასჯელს, არ სჩიოდა, თუ სასჯელი არ ამცირებდა მის ღირსებას. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი აღელდებოდა. ერთხელ, როდესაც მისი პროტესტით განცვიფრებულმა მასწავლებელმა შესძახა: "ვინა ხართ თქვენ?!", ნეპოლეონმა უპასუხა: "მე ვაჟკაცი ვარ". ამ დროს იგი თერთმეტი წლისა იყო.

ბრიენის სასწავლებელში ყოფნის დროს ნაპოლეონს თავის სამშობლოსთან მხოლოდ მშობლების წერილები აკავშირებდა.

ოთხი წელი გაატარა ნაპოლეონმა ბრიენის სამხედრო სასწავლებელში. იგი თანდათან შეეგუა სკოლის ცხოვრებას და შემდგომ კმაყოფილებით იგონებდა სკოლაში გატარებულ წლებს. აქ ნაპოლეონი მიეჩვია მკაცრ დისციპლინას, წესრიგს; "ბორიტმა მგლის ლეკვმა", "პატარა კორსიკელმა" ისწავლა თავის დაჭერა. გარდა ამისა ნაპოლეონი აქ ძალიან ბევრს კითხულობდა. როდესაც 1784 წლის გაზაფხულზე კარლო ბონაპარტმა ინახულა თავისი შვილი, იგი გაოცებული იყო მისი მომწიფებული გონებით და დიდი ცოდნით. ნაპოლეონს ნათლად ჰქონდა შეგნებული თავისი მოწოდება. ინსპექტორმა ურჩია მას ფლოტში წასულიყო. ნაპოლეონმა უპასუხა, არტილერისტობა მსურსო. ამისათვის იგი სამხედრო სკოლაში უნდა შესულიყო.

1784 წელს თხუთმეტი წლის ნაპოლეონმა წარმატებით დაამთავრა კურსი და გადავიდა პარიზის სამხედრო სკოლაში, საიდანაც არმიის ოფიცრები გამოდიოდნენ. აქ პირველ ხარისხოვანი მასწავლებლები იყვნენ. ნაპოლეონი ხარბად უსმენდა ლექციებს — აქ სასწავლიც ბევრი იყო და ღირსეული მასწავლებლებიც.

პარიზის სამხედრო სკოლაში ნაპოლეონის შესვლამდე რამდენიმე თვით ადრე შემოღებულ იქნა წმინდა სამხედრო ორგანიზაცია და მკაცრი დისციპლინა. სკოლის შენობის უკან აშენებული იყო პატარა სიმაგრე; იუნკრები სწავლობდნენ მის დაცვას და მასზე იერიშების მიტანას. მაგრამ ნაპოლეონი მაინც იმ აზრის იყო, რომ მათ საკმაოდ არ ასწავლიდნენ სამხედრო კამპანიების ისტორიას და ომის ხელოვნებას. მან განცხადებაც კი შეიტანა დირექტორთან და მოითხოვდა უფრო გაღრმავებულ სამხედრო განათლებას.

აქაც, ისევე როგორც ბრიენში, მას განცვიფრებაში მოჰყავდა მასწავლებლები ცოდნის წყურვილით, შრომისუნარიანობითა და გულმოდგინეობით. იგი ვერ შეეგუა მხოლოდ გერმანული ენის მასწავლებლებს. ნაპოლეონს არასოდეს არ ყვარებია უცხო ენები. სამაგიეროდ ფრანგული ენის მასწავლებელი აღტაცებული იყო მისი წარმატებით და ამბობდა — ნაპოლეონის ენა ვულკანით გამთბარი გრანიტიაო. მეორე მასწავლებელი წინასწარმეტყველებდა: ამ ახალგაზრდა კაცს, კორსიკელს თავისი ეროვნებითა და ხასიათით, შეიძლება დიდი მომავალი ექნესო. მისი კორსიკული პატრიოტიზმი აქაც დაცინვას იწვევდა. მას წინადადება მისცეს "შეენელებინა კორსიკისადმი სიყვარული".

მაგრამ აქ პირველსავე სასწავლო წელს უბედურება ეწვია. იგი შეეიდა პარიზის სკოლაში 1784 წლის ოქტომბრის დამლევს, ხოლო 1785 წლის თებერვალში გარდაიცვალა მისი მამა, კარლო ბონაპარტი. მას ბოლო მოულო სწორედ იმ ავადმყოფობამ, რომელმაც შემდგომ სიცოცხლეს გამოასალმა თვით ნაპოლეონიც, — კუჭის კიბომ.

ოჯახი თითქმის უსახსროდ დარჩა. იგი ვერ დაამყარებდა იმედებს ნაპოლეონის უფროს ძმაზე, იოსებზე, რომელიც უნიჭო და ზარმაცი იყო. 16 წლის იუნკერმა იკისრა მზრუნველობა თავის დედასა, ძმებსა და დებზე.

ერთი წლის სწავლის შემდეგ, 1785 წლის 30 ოქტომბერს ნაპოლეონი გამოვიდა პარიზის სამხედრო სკოლიდან, ჩარიცხულ იქნა არმიაში უმცროს ოფიცრად და გაემგზავრა პოლკში, რომელიც იდგა სამხრეთ საფრანგეთში, ქალაქ ვალანსეში.

უჭირდა ცხოვრება ახალგაზრდა ოფიცერს. ჯამაგირის მეტ ნაწილს იგი დედას უგზავნიდა, თავისთვის კი მხოლოდ იმდენს იტოვებდა, რომ შიმშილით არ მომკვდარიყო; რაიმე გართობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. იმავე სახლში, სადაც მას ოთახი ჰქონდა დაქირავებული, მოთავსებული იყო ბუკინისტის დუქანი, და მთელ თავისუფალ დროს ნაპოლეონი იმ წიგნების კითხვაში ატარებდა, რომლებსაც ბუკინისტი აძლევდა. იგი ერიდებოდა საზოგადოებას, თანაც ისე ღარიბულად ეცვა, რომ არც სურდა და არც შეეძლო საზოგადოებაში გამოსვლა. კითხულობდა გატაცებით, გაცილებით მეტს, ვიდრე ბრიენსა და პარიზში, სადაც ბევრი დრო მიჰქონდა სავალდებულო მეცადინეობას.

ყველაზე მეტად მას აინტერესებდა ომების ისტორია, მათემატიკა, გეოგრაფია, მოგზაურობათა აღწერა. იგი ფილოსოფოსებსაც კითხულობდა. სწარედ ამ ხანაში გაეცნო იგი XVIII საუკუნის საგანმანათლებლო ლიტერატურის კლასიკოსებს — ვოლტერს, რუსოს, დალამბერს, მაბლის, რეინალს. წიგნებს დიდი დახარბებით კითხულობდა, ხოლო თავის რვეულს მრავალი შენიშვნითა და კონსპექტებით აჭრელებდა. ძნელი სათქმელია, თუ სახელდობრ როდის დაეტყო მას პირველი ნიშნები იმ სიძულვილისა განმანათლებელი ფილისოფიის იდეოლოგებისადმი, მისი წარმომადგენლებისადმი, რაც ესოდენ დამახასიათებელია ნაპოლეონისათვის. ყოველ შემთხვევაში, თექვსმეტი წლის ოფიცერი ჯერ კიდევ უფრო სწავლას ეტანებოდა, ვიდრე სხვის კრიტიკას. ეს მისი გონების ძირითადი თვისებაა: ყოველ წიგნს, ისევე როგორც ყოველ ახალ ადამიანს, თავის სიცოცხლის ამ პირველ წლებში იგი უახლოვდებოდა ხარბი და დაუცხრომელი სურვილით — რაც შეიძლება მალე და რაც შეიძლება სრულად შეეძინა მათგან ის, რაც მან ჯერ კიდევ არ იცოდა და რასაც შეეძლო საზრდო მიეცა მისი გონებისათვის.

იგი ბალეტრისტიკასაც და ლექსებსაც კითხულობდა, გატაცებული იყო "ახალგაზრდა ვერტერის ვნებებით" და გოეთეს ზოგიერთი სხვა თხზულებით, კითხულობდა რასინს, კორნელს, მოლიერს, ერთ ლექსთა კრებულს, რომელიც დიდ მოწონებაში იყო ამ დროს და რომლის ავტორად შოტლანდიის საშუალო საუკუნეების პოეტი ოსიანი ითვლებოდა (ეს იყო ოსტატურად შესრულებული ლიტერატურული სიყალბე); ამ წიგნების შემდეგ იგი უბრუნდებოდა მათემატიკურ ტრაქტატებს, სამხედრო შინაარსის წიგნებს, განსაკუთრებით კი იმ თხზულებებს, რომლებიც საარტილერიო საქმეს შეეხებოდა.

ნაპოლეონმა დროებით მიანება თავი გარნიზონს. მან აიღო ხანგრძლივი შვებულება და გაემგზავრა (1786 წლის სექტემბერში) არაჩიოში, სამშობლოში, თავისი ოჯახის მატერიალური მდგომარეობის მოსაგვარებლად.

სიკვდილის წინ მამამისმა ოჯახს დაუტოვა პატარა მამული და საკმაოდ აბნეული საქმეები. ნაპოლეონმა წარმატებით მოაგვარა ოჯახის საქმეები და გამოასწორა მისი მატერიალური მდგომარეობა. მან მოახერხა თავისი შვებულების გაგრძელება 1788 წლის მეორე ნახევრამდე, თუმცა, როგორც ჩანს, უჯამაგიროდ. მაგრამ მის მიერ ოჯახსა და მამულში გაწეული მუშაობის შედეგებმა ყოველივე აანაზღაურა.

1788 წლის ივნისში საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ იგი მალე თავის პოლკთან ერთად გაგზავნილ იქნა ქალაქ ოქსონში. აქ იგი ცხოვრობდა უკვე არა კერძო ბინაში, არამედ ყაზარმაში და წინანდებურად გატაცებით კითხულობდა ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდებოდა, კერძოდ ძირითად ნაშრომებს იმ სამხედრო საკითხებზე, რომლებიც დიდად აინტერესებდა XVIII საუკუნის სამხედრო სპეციალისტებს. ერთხელ ნაპოლეონი რატომღაც დასაჯეს და ჰაუპტვახტში ჩასვეს. იმ სადგომში, სადაც იგი ჩაამწყვდიეს, ნაპოლეონმა სრულიად შემთხვევით იპოვნა იუსტინიანეს კრებულის* ძველი ტომი (რომის სამართლისა), რომელიც ვინ იცის როგორ მოხვდა იქ. ნაპოლეონმა არამცთუ წაიკითხა იგი თავიდან ბოლომდე, არამედ 15 წლის შემდეგაც აოცებდა საფრანგეთის გამოჩენილ იურისტებს ძველი რომაული კანონების ზეპირად ციტირებით: მას იშვიათი მეხსიერება ჰქონდა.

აქ, ოქსონში იგი თვითონ იღებს კალამს და ადგენს პატარა ტრაქტატს ბალისტიკის დარგიდან ("ყუმბარების ტყორცნის შესახებ"). საარტილერიო საქმე საბოლოოდ გადაიქცა მის ყველაზე საყვარელ სამხედრო სპეციალობად. მის იმდროინდელ ქაღალდებში დარჩენილია აგრეთვე ცოტაოდენი ბელეტრისტული ნაწყვეტები, ფილოსოფიურ-პოლიტიკური ეტიუდები და სხვ.

მისი სიცოცხლის ამ წლებში თვალში გეცემათ ერთი თვისება: ენებათა და სურვილთა სრული დამორჩილება ნებისყოფისა და გონებისადმი. იგი ნახევრად მშიერია, გაურბის საზოგადოებას, უარს ამბობს გასართობებზე, — მუშაობს დაუღალავად, სამსახურიდან თავისუფალ მთელ დროს წიგნებს ანდომებს. ნუთუ იგი დაემორჩილა საბოლოოდ თავის ბედს — ბედს ღარიბი პროვინციელი ოფიცრისას, ღარიბი კორსიკელი აზნაურისას, რომელსაც ყოველთვის ქედმაღლურად მოეპყრობიან არისტოკრატი ამხანაგები და არისტოკრატი უფროსები?

მას არ დასცალდა ნათელი პასუხი გაეცა ამ კითხვაზე, მით უფრო არ დასცალდა კონკრეტულად განეკითარებინა მომავლის გეგმები, რომ ამ დროს იფეთქა საფრანგეთის რევოლუციამ.

ნაპოლეონის ურიცხვი ბიოგრაფები და ისტორიკოსები, მზად არიან მიაწერონ თავიანთ გმირს სიბრძნის, წინასწარმეტყველური ნიჭის, თავისი ბედის ვარსკლავისადმი შთაგონებულად მიყოლის ზებუნებრივი თვისებები: ისინი ცდილობენ აღმოაჩინონ ოქსონის გარნიზონის ოცი წლის არტილერისტ ლეიტენანტში წინაგრძნობა იმისა, თუ რას მოასწავებდა პირადად მისთვის 1789 წელს ამტყდარი რევოლუცია.

სინამდვილეში კი ყოველივე გაცილებით უფრო მარტივი და ბუნებრივი იყო: თუ მივიღებთ მხედველობაში ნაპოლეონის სოციალურ მდგომარეობას, იგი მხოლოდ მოიგებდა ბურჟუაზიის გამარჯვებით. კორსიკაში — მაშინაც კი, როდესაც იგი გენუას ეკუთვნოდა — აზნაურები (განსაკუთრებით წვრილმამულიანები) არასოდეს არ სარგებლობდნენ იმ უფლებებითა და უპირატესობებით, რომლებსაც ესოდენ აფასებდნენ საფრანგეთის აზნაურები; ფრანგების მიერ ახლახან დაპყრობილი შორეული "ველური" კუნძულიდან მოსულ წვრილმიწათმფლობელ პროვინციელს არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო ჰქონოდა დიდი და სწრაფი კარიერის იმედი სამხედრო სამსახურში. თუკი ნაპოლეონს რაიმე მაინც მოსწონდა XVIII საუკუნის საგანმანათლებლო ლიტერატურაში, რომელსაც იგი დღემდე გულმოდგინედ ეცნობოდა, ეს იყო სწორედ მოძღვრება თანასწორობის შესახებ. ერთადერთი რამ, რითაც მოიგო მისი გული 1789 წლის რევოლუციამ, ეს სწორედ უფლებათა დეკლარაცია* იყო. ამიერიდან მხოლოდ პირად ნიჭს შეეძლო შეეწყო ხელი ადამიანისათვის სოციალურ კიბეზე ასვლაში. დასაწყისისათვის არტილერიის ლეიტენანტს ბონაპარტს არაფერი ესაჭიროებოდა.

ჩვენამდე მოაღწია ნაპოლეონის იმდროინდელმა გამოთქმებმა, რომლებიდანაც ჩანს, რომ ისეთ ამბებს, როგორიც იყო 1789 წლის გადატრიალება, შეუძლია (მართალია, სულ ცოტა ხნით) მეტად ეგოისტურ ნატურებშიც კი აანთოს რევოლუციური ენთუზიაზმის მსგავსი რამ.

მაგრამ ენთუზიაზმი მალე ჩაქრა და ნაპოლეონი მიეცა პრაქტიკულ საზრუნავს. როგორ შეიძლება რევოლუციის ყველაზე უფრო ხელსაყრელად გამოყენება? და სად უფრო სჯობია ამის გამოყენება? და სად უფრო სჯობია ამის განხორციელება? პასუხი ორი იყო: 1)კორსიკაზე, 2)საფრანგეთში.

იგი კორსიკაზე შეჩერდა: მას ხომ 1789 წელსაც კი არ შეეძლო იმედი ჰქონოდა დაეჭირა საფრანგეთში ის ადგილი, რომელიც სწორედ ახლა, როდესაც იფეთქა რევოლუციამ, შეეძლო დაეჭირა კორსიკაზე, თუ ბედი გაულიმებდა.

ორთვენახევარი გავიდა ბასტილიაზე იერიშის მიტანის შემდეგ, რომ ნაპოლეონმა ითხოვა შვებულება და კორსიკას გაემგზავრა.

მრავალ სხვა ლიტერატურულ მონასახთან ერთად ნაპოლეონმა სწორედ 1789 წელს დაამთავრა ნარკვევი კორსიკის ისტორიიდან. ნარკვევის ხელნაწერი მან გადასცა რეინალს, რომელსაც სთხოვა აზრი გამოეთქვა ამ ნაშრომის შესახებ. ნაპოლეონი ძლიერ გახარებული იყო მით, რომ მისი ნაშრომი მოეწონა იმ დროის მეტად პოპულარულ მწერალს. თვით თემა ნათელყოფს მის ცოცხალ ინტერესს მშობლიური კუნძულისადმი ჯერ კიდევ მანამდე, სანამ შესაძლებელი გახდებოდა იქ პოლიტიკური მოღვაწეობის დაწყება.

დედასთან ჩასვლისთანავე იგი პაოლის მომხრეთა რიგებში ჩადგა, მაგრამ ძველი კორსიკელი პატრიოტი ცივად შეხვდა ახალგაზრდა ლეიტენანტს. მალე აღმოჩნდა, რომ მათი გზაც სხვადასხვა იყო. პაოლი მიზნად ისახავდა კორსიკის სრულ განთავისუფლებას საფრანგეთის ბატონობისაგან, ბონაპარტი კი სულითა და გულით ეგებებოდა საფრანგეთის რევოლუციას და ერთადერთ მტრად მიაჩნდა სამეფო კარი და რეაქციონერები.

რამდენიმე თვის შემდეგ ნაპოლეონმა დატოვა კორსიკა და რეგიმენტში გაემგზავრა. მან თან წაიყვანა უმცროსი ძმა ლუდოვიკო, რათა ცოტა-თი მაინც შეემცირებინა საოჯახო ხარჯები.

ძმები დაბინავდნენ ვალანსში, სადაც კვლავ გადაიყვანეს რეგიმენტი. ლეიტენანტ ბონაპარტს ახლა ძმასთან ერთად უნდა ეცხოვრა და გამოეზარდა იგი თავისი მცირე ჯამაგირით. მათ სადილს ზოგჯერ ერთი ნაჭერი პური შეადგენდა. ნაპოლეონი ახლაც ბევრს მუშაობდა სამსახურში და გატაცებით კითხულობდა სხვადასხვა გვარის ლიტერატურას, განსაკუთრებით კი სამხედრო ისტორიას დაეწაფა.

1791 წლის სექტემბერში იგი კვლავ მოხვდა კორსიკაზე; მან მოახერხა, რომ იგი იქ გადაეყვანათ სამსახურში. ახლა კი იგი საბოლოოდ ჩამოშორდა პაოლის, რადგან უკანასკნელის მოქმედება პირდაპირ იმისაკენ იყო მიმართული, რომ მოეწყვიტა კუნძული საფრანგეთისაგან, ნაპოლეონს კი ეს სრულიადაც არ სურდა. როდესაც 1791 წლის აპრილში გაჩაღდა ბრძოლა სეპარატისტ პაოლის მომხრე კონტრრევოლუციურ სამღვდელოებასა

და რევოლუციური ხელისუფლების წარმომადგენელთ შორის, ბონაპარტმა სროლაც კი აუტეხა აჯანყებულ ხალხს, როდესაც იგი თავს დაესხა მის წიმაბძღოლობით მოქმედ რაზმს. ბოლოს იგი ხელისუფლებისთვისაც საეჭვო გახდა, რადგანაც სცადა ციხის აღება (თუმც ზემოდან არ ჰქონია მიღებული სათანადო განკარგულება). იგი გაემგზავრა საფრანგეთში, სადაც დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადებულიყო პარიზში, სამხედრო სამინისტროში, რომ თავი ემართლებინა კორსიკაზე თავისი ცოტა არ იყოს საეჭვო ყოფაქცევის გამო.

დედაქალაქში იგი ჩაეიდა 1792 წლის მაისის მიწურულში და ჰირადად შეიქნა ამ ზაფხულის ბობოქარი რევოლუციური ამბების დამსწრე.

ჩვენ ზუსტი ცნობები მოგვეპოვება იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ, თუ როგორ შეაფასა ოცდასამი წლის ოფიცერმა ამ თვეების ორი ცენტრალური მოვლენა: ხალხის შეჭრა ტუირლის სასახლეში 1792 წლის 20 ივნისს და მონარქიის დამხობა იმავე წლის 10 აგვისტოს. იგი არ იყო ამ ამბების მონაწილე, არამედ მხოლოდ გარეშე, შემთხვევითი მოწმე, და შესაძლებლობა ჰქონდა ორივეჯერ გამოეთქვა თავისი აზრი ინტიმურ წრეში, სადაც შეეძლო გასაქანი მიეცა თავისი ნამდვილი გრძნობებისათვის, ყველა თავისი ინსტიქტისათვის. "გავყვეთ ამ არამზადებს", — უთხრა მან ამხანაგს, რომელთანაც იგი ქუჩაში იდგა, როცა 20 ივნისს დაინახა მეფის სასახლისაკენ მიმავალი ხალხი. როდესაც ამ მრისხანე დემონსტრაციით შემინებულმა ლუდოვიკო XVI თავი დაუკრა ხალხს ფანჯრიდან, თანაც წითელი ფრიგიული ქუდი ეხურა, ნაპოლეონმა ზიზღით თქვა: "რა ლაჩარი ყოფილა! როგორ შეიძლებოდა ამ არამზადების შემვეება! საჭირო იყო ხუთასექვსასი კაცის განადგურება ზარბაზნებით, — დანარჩენები თვითონ გაიქცეოდნენ!" მე ვარბილებ ეპითეტს, რომელიც იხმარა ნაპოლეონმა ლუდოვიკო XVI მიმართ, რადგანაც მისი ზუსტად გადმოცემა ყოვლად შეუძლებელია.

10 აგვისტოს (ტუირლიზე იერიშის მიტანის და ლუდოვიკო XVI ტახტიდან ჩამოგდების დღეს) იგი კვლავ ქუჩაშია გამოსული და კვლავ იმეორებს ამ ეპითეტს მეფის მიმართ, ხოლო რევოლუციურ მეამბოხეებს "უსაზიზღრესი ბრბოს" სახელწოდებით უმასპინძლდება.

ნაპოლეონს არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო და არც სურდა სამსახური გაეწია დაღუპვის გზაზე მდგარი ბურბონების საქმისათვის და ანდა უფრო მტკიცედ, ვიდრე ოდესმე, იცოდა, რომ მხოლოდ რევოლუციას შეეძლო მიეცა მისთვის ფართო სარბიელი.

იგი ერთხელ კიდევ იყო კორსიკაში, მაგრამ აქ საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი პაოლისთან, რომელსაც უკვე მტკიცედ გადაეწყვიტა კორსიკა

ჩამოეშორებინა საფრანგეთისაგან და ინგლისელებს მიეკედლებოდა. ინგლისელების მიერ კუნძულის დაკავებამდე ცოტა ხნით ადრე, დიდი განაცდელისა და საფრთხის გამოვლის შემდეგ, ნაპოლეონმა მოახერხა გაქცევა კორსიკიდან და თან დედისა და მთელი ოჯახის წაყვანა. ეს მოხდა 1793 წლის ივნისში. მათ ძლივს მოასწრეს მიმალვა, რომ მათი სახლი აიკლეს პაოლის მომხრეებმა — სეპარატისტებმა.

დაიწყო მძიმე გაჭირვების წლები. დიდი ოჯახი სრულიად გაანადგურებული იყო, და ახალგაზრდა კაპიტანს (ნაპოლეონს ... ახლა-ხან ჰქონდა მიღებული) უნდა ერჩინა დედა და შვიდი და-ძმა. მან რის ვაი-ვაგლახით მოაწყო ისინი ჯერ ტულონში და შემდეგ მარსელში. მძიმე და გაჭირვებულ ცხოვრებას ბოლო არ უჩანდა, თვე თვეს მისდევდა, საშველი კი არსაიდან იყო. სწორედ ამ დროს მისი სამსახურებრივი მოგზომარეობა სრულიად მოულოდნელად შეიცვალა.

სამხრეთ საფრანგეთში იფეთქა კონტრრევოლუციურმა აჯანყებამ. 1793 წელს ქალაქმა ტულონმა განდევნა, ნაწილობრივ კი ამოქლიტა რევოლუციური ხელისუფლების წარმომადგენლები და მოიწვია დასახმარებლად ინგლისის ფლოტი, რომელიც ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილში დაცურავდა. რევოლუციური არმია ხმელეთით მიადგა ტულონს და ალყა შემოარტყა.

ალყა ზანტად და უხეიროდ მიმდინარეობდა. ალყას ხელმძღვანელობდა ვინმე კარტო. იმ არმიის პოლიტიკური ხელმძღვანელი, რომელსაც უნდა ჩაექრო როიალისტების აჯანყება სამხრეთში, იყო ნაპოლეონის ნაცნობი, კორსიკელი სალიჩეტი, რომელიც მასთან ერთად იბრძოდა პაოლის წინააღმდეგ. ბონაპარტმა ინახულა თავისი თანამემამულე ბანაკში ტულონთან და მიუთითა ერთადერთ საშუალებაზე, რომლითაც შეიძლებოდა ტულონის აღება და ინგლისელების ფლოტის განდევნა ნაპირიდან. სალიჩეტიმ ახალგაზრდა კაპიტანი საალყო არტილერიის უფროსის თანაშემწედ დანიშნა ხანგრძლივი წინააღმდეგობისა და დაყოვნების შემდეგ, რასაც იჩენდნენ უმაღლესი ხელისუფალნი, რომელნიც არცთუ მაინცდამაინც ენდობოდნენ ბანაკში შემთხვევით მოსულ ვიღაც სრულიად უცნობ ახალგაზრდას. ახალმა უფროსმა, დუგომიემ, როგორც იქნა, დართო მას ნება განეხორციელებინა თავისი გეგმა. ბონაპარტმა დააწყო ბატარეიები თავისი დიდი ხნის სურვილისამებრ და საშინელი კონონადის შემდეგ, — მასში თვითონ მიიღო მონაწილეობა, — აიღო ის პუნქტი (ეგილეტი), რომელიც რეიდის მბრძანებელ სიმაღლეს წარმოადგენდა. შემდეგ ზარბაზნები დაუ-

შინა ინგლისის ფლოტს. ფლოტი გაიქცა და ტულონი მაშინვე დანებდა რევოლუციურ ჯარს.

ეს მოხდა 1793 წლის 17 დეკემბერს. ასეთი იყო პირველი ბრძოლა, რომელიც გადაიხადა და მოიგო კიდეც ნაპოლეონმა.

1793 წლის 17 დეკემბერიდან, როდესაც აღებულ იქნა ტულონი, 1815 წლის 18 ივნისამდე, როდესაც დამარცხებული იმპერატორი გაშორდა დამარცხებული ჯარისკაცების გვამებით დაფარულ ვატერლოოს ველს, — ოცდაორი წელი (დროგამოშვებით) გრძელდებოდა ეს ხანგრძლივი სისხლიანი კარიერა, რომელსაც შემდგომ ყურადღებით სწავლობდნენ ევროპაში ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ომების მთელ ეპოქის მანძილზე და რომლის გამოცდილება დღესაც სისტემატური კვლევის საგანს წარმოადგენს.

თავის სიცოცხლეში ნაპოლეონმა ჩაატარა სამოცამდე დიდი და პატარა ბრძოლა (რაოდენობით ბევრად მეტი, ვიდრე ალექსანდრე მაკედონელმა, ჰანიბალმა, კეისარმა, ფრიდრიხ დიდმა და სუვოროვმა ერთად) და ამ ბრძოლებში მონაწილეობას იღებდნენ ადამიანთა გაცილებით მეტი მასები, ვიდრე სამხედრო ხელოვნების ხაზით მის წინამორბედთა მიერ ჩატარებულ ომებში. მაგრამ, მიუხედავად გრანდიოზული ხოცვა-ჟლეტისა, რომელთანაც დაკავშირებულია ნაპოლეონის სარბიელი, ტულონის გამარჯვებამ სამუდამოდ დაიჭირა ნაპოლეონის ეპოპეაში სრულიად განსაკუთრებული ადგილი, თუმცა იგი შედარებით არც თუ ისე დიდ ეპიზოდს წარმოადგენდა. ნაპოლეონმა პირველად მიიპყრო ყურადღება. პარიზში პირველად გაიგონეს მისი სახელი. საზოგადოების ხსნის კომიტეტი* დიდად გახარებული იყო, რომ, როგორც იქნა, მოხერხდა ტულონის მოლალატეებისათვის ბოლოს მოღება და ინგლისელების განდევნა ნაპირებიდან.

ზეიმი [illegible]ნული ამბები საიმედოდ ხდიდა როიალისტური კონტრრევოლუციის [illegible] ლიკვიდაციას მთელ სამხრეთში. ტულონი ისეთ მიუდგომელ ციხედ ითვლებოდა, რომ ბევრს არ ხურდა დაეჯერებინა მისი აღების ამბავი, [illegible] ხურდა დაეჯერებინა, რომ ყველასათვის უცნობმა ვიღაც პონაპარტმა შეძლო მისი აღება.

გამარჯვებულის საბედნიეროდ, საალყო ბანაკში, სალიჩეტის გარდა, იმყოფებოდა კიდევ ერთი, გაცილებით უფრო გავლენიანი ადამიანი: ოგიუსტენ რობესპიერი, მაქსიმილიანეს უმცროსი ძმა. იგი ესწრებოდა ქალაქის აღებას და მანვე აღწერა ეს ამბავი პარიზს გაგზავნილ მოხსენებაში. ამან სწრაფი ნაყოფი გამოიღო: 1794 წლის 14 იანვრის დადგენილებით

ნაპოლეონ ბონაპარტმა მიიღო ბრიგადის გენერლის ხარისხი. მას გზა გაეხსნა. იგი ამ დროს 24½ წლის იყო. საფუძველი ჩაყრილი იყო.

ხანა, როდესაც ნაპოლეონმა აიღო ტულონი, იყო პერიოდი ფონტანიარების* სრული ბატონობისა კონვენტში*, იაკობინელების კლუბის* უდიდესი ზეგავლენისა დედაქალაქსა და პროვინციაში, პერიოდი რობესპიერის რევოლუციური დიქტატურის აყვავებისა, რობესპიერი ძლევამოსილად და ულმობლად იბრძოდა გარეშე მტრებისა და შინაური ღალატის წინააღმდეგ, რასაც აჩაღებდნენ როიალისტები, ჟირონდისტები და ხუცები, რომლებმაც უარი განაცხადეს ფიცის მიღებაზე.

იმ გააფრთებულ ბრძოლაში, რომელიც შიგნით წარმოებდა, ნაპოლეონ ბონაპარტს არ შეეძლო არ დაენახა, რომ მას არჩევანი უნდა მოეხდინა რესპუბლიკასა და მონარქიას შორის, რომელთაგან პირველს შეეძლო ყველაფერი მიეცა მისთვის, ხოლო მეორე ყველაფერს ართმევდა და არ აპატიებდა არც ტულონის აღებას და არც მის სწორედ ამ დროს გამოცემულ პატარა ბროშურას "ვახშამი ბოკერში", სადაც იგი უმტკიცებდა სამხრეთის აჯანყებულ ქალაქებს — თქვენი მდგომარეობა უიმედოაო.

გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში კონვენტის კომისრები სამხრეთში (განსაკუთრებით კი ოგიუსტენ რობესპიერი, ბონაპარტის პირდაპირი ზეგავლენით) ამზადებდნენ პიემონტში, ჩრდილოეთ იტალიაში შეჭრას, რათა იქიდან ავსტრიას დამუქრებოდნენ. საზოგადოების ხსნის კომიტეტი მერყეობდა, კარნო* მაშინ ამ გეგმის წინააღმდეგი იყო. ის გავლენა, რომელიც ბონაპარტს მაქსიმილიანე რობესპიერზე ჰქონდა ოგიუსტენ რობესპიერის წყალობით, აძლევდა მას თავისი ოცნების განხორციელების იმედს მიეღო მონაწილეობა იტალიის დაპყრობაში. თვით ეს აზრი ჯერ კიდევ არაჩვეულებრივი იყო საფრანგეთის მთავრობისათვის: იდეა ინტერვენციისაგან თავის დაცვისა არა კონტრევოლუციური ევროპის მოგერიებით, არამედ ევროპაზე პირდაპირი თავდასხმით ჯერ კიდევ მეტად გაბედულად გამოიყურებოდა. ნაპოლეონის გეგმებს არ ეწერა განხორციელება 1794 წელს. უეცარმა, მისთვის აბსოლუტურად მოულოდნელმა პოლიტიკურმა კატასტროფამ ყველაფერი ყირამალა გადააბრუნა.

რათა პირადად დაეჭირა მხარი იტალიაში ლაშქრობისათვის თავისი ძმისა და საზოგადოების ხსნის კომიტეტის წინაშე, ოგიუსტენ რობესპიერი პარიზს გაემგზავრა. დადგა ზაფხული, ეს საკითხი გადაჭრას მოითხოვდა. ბონაპარტი ნიცაში იმყოფებოდა, სადაც დაბრუნდა გენუიდან, განზრახულ ლაშქრობასთან დაკავშირებით მისთვის მიცემული საიდუმლო და-

ვალების შესრულების შემდეგ. ამ დროს უეცრად მეხივით გავარდა პარიზიდან მოსული ცნობა, რომელსაც არა მარტო შორეული სამხრეთის პროვინცია, არამედ თვით დედაქალაქიც არ მოელოდა; ამას უკანასკნელ წუთამდე არ მოელოდა არც კონვენტის წევრთა დიდი უმრავლესობა: მოვიდა ცნობა, რომ 9 ტერმიდორის დღეს, კონვენტის სხდომაზე, დააპატიმრეს თვით მაქსიმილიანე რობესპიერი, მისი ძმა ოგიუსტენი, სენ-ჟიუსტი, კუტონი, შემდეგ, უფრო გვიან, მათი მომხრეები და მეორე დღესვე, გაუსამართლებლად, მარტოოდენ მათი კანონს გარეშე გამოცხადების ძალით, სიკვდილით დასაჯესო. დაუყოვნებლივ მთელ საფრანგეთში დაიწყო დაპატიმრება ისეთი პირებისა, რომელნიც განსაკუთრებით დაახლოებულნი იყვნენ ან დაახლოებულად იქნენ მიჩნეულნი დამხობილი მთავრობის მთავარ მოღვაწეებთან. ოგიუსტენ რობესპიერის სიკვდილით დასჯის შემდეგ გენერალი ბონაპარტი უცებ საფრთხეში მოექცა. ორი კვირაც არ გასულა 9 ტერმიდორის (27 ივლისის) შემდეგ, რომ იგი დააპატიმრეს (1794 წლის 10 აგვისტოს) და ბადრაგის თანხლებით გადაგზავნეს ანტიბის სიმაგრეში ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. 14 დღის პატიმრობის შემდეგ ნაპოლეონი გაანთავისუფლეს: მის ქაღალდებში არაფერი აღმოჩნდა ისეთი, რაც შეიძლებოდა მისი დევნის საბაბი გამხდარიყო.

მართალია, ტერმიდორული ტერორის* დღეებში ბევრი დაიღუპა ისეთი, ვინც ახლოს იდგა რობესპიერთან ,ან რობესპიერელებთან, და ბონაპარტს ბედნიერად უნდა ჩაეთვალა თავი, რომ ასცდა გილიოტინას. ყოველ შემთხვევაში, ციხიდან გამოსვლისთანავე იგი დარწმუნდა, რომ დრო გამოიცვალა და მისი ბედნიერად დაწყებული კარიერა შეჩერებულია. ახალი ხალხი იჭვის თვალით უყურებდა და ძალიან ნაკლებად იცნობდა მას. ტულონის აღებას ჯერ ვერ შეექმნა მისთვის დიდი სამხედრო რეპუტაცია. "ბონაპარტი? რა არის ეს — ბონაპარტი? სად მსახურობდა იგი? ეს არავინ იცის!" — აი რა მიიღო პასუხად მამისაგან ახალგაზრდა ლეიტენანტმა ჟიუნომ, როდესაც აცნობა — გენერალ ბონაპარტს სურს ჩემი ადიუტანტად აყვანა. ტულონის გმირული ღვაწლი უკვე დავიწყებული იყო 9 ტერმიდორის შემდეგ და, ყოველ შემთხვევაში, მას ისე დიდად აღარ აფასებდნენ, როგორც ამ მოვლენის პირველ მომენტში.

თანაც ნაპოლეონს ამ დროს მოუსწრო ახალმა უსიამოვნებამ. საზოგადოების ხსნის კომიტეტმა მოულოდნელად უბრძანა მას ვანდეაში წასვლა მეამბოხეთა დასამშვიდებლად; როდესაც გენერალი ბონაპარტი პარიზს ჩავიდა, გაიგო, რომ მას აძლევენ ქვეითი ჯარის სარდლობას, თუმცა იგი არტილერისტი იყო და არ სურდა ქვეით ჯარში სამსახური. კომიტეტის წევრ

ობრისთან მომხდარი ცხარე შელაპარაკების შემდეგ ნეპოლეონმა თავი მიანება სამსახურს.

ნაპოლეონისთვის კვლავ დადგა მატერიალური გაჭირვების პერიოდი. უფროსებთან წაჩხუბებული, ოცდახუთი წლის გადამდგარი გენერალი სრულიად უსახსროდ დარჩა პარიზში, სადაც მან უსიხარულოდ გაატარა 1794/1795 წლის მძიმე ზამთარი და კიდევ უფრო მძიმე და მშიერი გაზაფხული. თითქოს ყველას დაავიწყდა იგი. ბოლოს, როგორც იქნა, 1795 წლის აგვისტოში იგი ჩარიცხეს როგორც არტილერიის გენერალი საზოგადოების ხსნის კომიტეტის ტოპოგრაფიულ განყოფილებაში. ეს იყო გენერალური შტაბის პირველსახე, შექმნილი არმიათა ფაქტიური მთავარსარდლის კარნოს მიერ. ტოპოგრაფიულ განყოფილებაში ნაპოლეონი ადგენს "ინსტრუქციებს" (დირექტივებს) რესპუბლიკის "იტალიის არმიისათვის", რომელიც აწარმოებდა ოპერაციებს პიემონტში. ამ თვეების განმავლობაში ის განაგრძობდა სწავლასა და კითხვას. იგი დადიოდა პარიზის სახელგანთქმულ ბოტანიკურ ბაღში, ობსერვატორიაში, სადაც ხარბად უსმენდა ასტრონომ ლალანდს.

ეს თანამდებობა ბევრს არაფერს აძლევდა ნაპოლეონს მატერიალური თვალსაზრისით და ზოგჯერ სადილის შოვნის ერთადერთ საშუალებას მისთვის წარმოადგენდა ვიზიტი პერნოს ოჯახში, სადაც იგი ძლიერ უყვარდათ. მაგრამ ამ მძიმე თვეების მანძილზე მის გულში ერთხელაც არ გაუვლია სინანულს გადადგომის გამო, მას ერთხელაც არ მოუსურვებია ქვეით ჯარში წასვლა, — შესაძლებელია იმიტომ, რომ ახლა ამის მოხერხება მხოლოდ დამამცირებელი ხვეწნის გზით შეიძლებოდა. და აი ბედმა კვლავ გაუღიმა: იგი კვლავ დასჭირდა რესპუბლიკას და კვლავ იმ მტრის წინააღმდეგ, რომლებთანაც ჰქონდა მას საქმე ტულონში.

1795 წელი ერთ-ერთი გადამწყვეტი, გარდამტეხი წელი იყო საფრანგეთის ბურჟუაზიული რესპუბლიკის ისტორიაში. როგორც ზამთარი, ისე გაზაფხული საშინელი იყო, მუშები წარმოუდგენლად შიმშილობდნენ; მუშათა გარეუბნებში სასოწარკვეთილება აიძულებდა ლედებს თავი მოეკლათ მის შემდეგ, რაც წინასწარ წყალში დაახრჩობდნენ ან დაკლავდნენ ყველა შვილს.

ამავე დროს უამრავი ფინანსისტი სპეკულანტი, მებირჟე, ხაზინის დიდი და პატარა ჟურდები, რომლებმაც გაბედულად და მაღლა წამოყვეს თავი რობესპიერის დაღუპვის შემდეგ, გამუდმებულ ქეიფსა და ღვინის სმაში ატარებდნენ ცხოვრებას.

ხელისუფლების სათავეში ბურჟუაზიამ დირექტორია* დააყენა.

ორი აჯანყება, დაწყებული მუშათა გარეუბნებში და პირდაპირ მიმართული დირექტორიის მთავრობის წინააღმდეგ, მრისხანე შეიარაღებული დემონსტრაციები 1795 წლის 12 ჟერმინალსა (1 აპრილს) და 1 პრერიალს (25 მაისს), — მარცხით დამთავრდა.

პრერიალში მომხდარმა საშინელმა ხოცვა-ულეტამ, რომელიც მოჰყვა სენტ-ანტუანის გარეუბნის ძალით განიარაღებას, დიდი ხნით მოუღო ბოლო იმ საფრთხეს, რომელიც მოელოდა კონვენტს პარიზის პლებეური მასების მხრივ. და ბუნებრივია, რომ იქვე გაჩნდა საფრთხე ბურჟუაზის "ძველი" მონარქიული ნაწილის და თავად-აზნაურობის მხრივ: როიალისტებმა წარმოიდგინეს, რომ დადგა მათი დრო, მაგრამ მოტყუვდნენ ანგარიშში. ბურჟუაზიამ, რომელმაც დაამარცხა პარიზის პლებეური მასა, მისთვის კი არ განაიარაღა მუშათა გარეუბნები, რომ გაეადვილებინა საფრანგეთის ტახტის პრეტენდენტის, პროვანსის გრაფის, სიკვდილით დასჯილი ლუდოვიკო XVI-ის, ტრიუმფალური მოსვლა.

როიალისტებს არ სურდათ და არც შეეძლოთ გაეგოთ ის, რაც 1789-1795 წლებში მოხდა: რომ ფეოდალიზმი დაინგრა და არასოდეს აღარ დაბრუნდება, რომ იწყება კაპიტალიზმის ხანა, რომ რევოლუციურმა ბურჟუაზიამ გარდუვალი ზღუდე აღმართა საფრანგეთის ისტორიის ძველსა და ახალ პერიოდებს შორის და რომ მათი იდეები მონარქიის აღდგენისა უცხოა ქალაქისა და ბურჟუაზიის უმრავლესობისათვის.

ლონდონში, კობლენცში, მიტავაში, ჰამბურგში, რომში — ყველგან, სადაც კი თავს იყრიდნენ გაქცეულნი ემიგრანტები, განუწყვეტლივ გაისმოდა ერთი ხმა, ვინც მოითხოვდა რევოლუციის ყველა მონაწილის დაუნდობელ დასჯას. პრერიალში მოხდარი აჯანყებისა და მისი ჩაქრობის შემდეგ ბოროტი სიხარულით იმეორებდნენ, რომ, საბედნიეროდ, "პარიზის ბრბოებმა" დაიწყეს ერთმანეთის ხოცვა და რომ საჭიროა როიალისტები გამოცხადდნენ და დაუყოვნებლივ ჩამოაბრჩონ ერთნიც და მეორენიც — ტერმიდორელებიც და დარჩენილი მონტანიარებიც. როიალისტური პარტიის ბედი გადაწყვეტილი იყო. და როდესაც როიალისტებმა, ბრიტანეთის მთავრობის მეთაურის უილიამ პიტის დიდი დახმარებით, მოაწყვეს ემიგრანტების რაზმის გადმოსხმა კიბერონის ნახევარკუნძულზე (ბრეტანში), ტერმიდორული კონვენტის ხელმძღვანელებმა სრულიად უყოყმანოდ გაგზავნეს იქ ჯარით გენერალი ჰოში და გადმოსხმული ჯარის სრული განადგურების შემდეგ იქვე დახვრიტეს შვიდას ორმოცდაათი კაცი იმათ რიცხვიდან, ვინც მათ ხელში ჩაუვარდა (მღვდლები, ოფიცრები და აზნაურები).

როიალისტებს ამ საშინელი დამარცხების შემდეგაც სრულიად არ ჩაუთვლიათ თავისი საქმე წაგებულად. ორი თვეც არ გასულა, რომ მათ ისევ მოაწყვეს გამოსვლა, მაგრამ ახლა კი უკვე პარიზში. ეს მოხდა 1795 წლის სექტემბრის მიწურულში და ოქტომბრის პირველ რიცხვებში, ანუ, რევოლუციური კალენდრით, ვანდემიერის პირველ ნახევარში.

პარიზის მუშებს ამ მომენტში კონვენტის კომიტეტები და თვით კონვენტიც თავიანთ უბოროტეს მტრებად მიაჩნდათ. მათ აზრადაც არ მოუვიდოდათ ებრძოლათ იმისათვის, რომ მომავალ ხუთასთა საბჭოში ძალა-უფლება ამ კონვენტის ორ მესამედს შეენარჩუნებინა (კონვენტმა დაადგინა, რომ ხუთასთა საბჭოს წევრთა ორი მესამედი არჩეული უნდა ყოფილიყო კონვენტის წევრთა რიცხვიდან). და განა თვით კონვენტს კი შეიძლებოდა მოსვლოდა აზრად მოეწოდებინა ტასახმარებლად დედაქალაქის მუშებისათვის, რომლებსაც სძულდათ კონვენტი და რომლებისაც მას ეშინოდა? იყო კიდევ ჯარი, მაგრამ მდგომარეობა აქაც როდი იყო სრულიად საიმედო. მართალია, ჯარისკაცები ყველგან და ყოველთვის ესროდნენ საზიზღარ მოღალატე ემიგრანტებს, როიალისტურ ხროვებსა და რაზმებს, სადაც კი არ უნდა შეხვედროდნენ მათ: ნორმანდიის ტყეებშიც, ვანდეის დიუნებშიც, კიბერონის ნახევარკუნძულზეც, ბელგიაშიც და გერმანიის საზღვარზეც.

ჯარისკაცები ყოვლად საიმედო რესპუბლიკელები იყვნენ, მაგრამ გენერლების მხრივ მდგომარეობა გაცილებით უარესი იყო. ავიღოთ თუნდაც პარიზის გარნიზონის უფროსი გენერალი მენუ. ანტუანის მუშათა გარეუბნის დაძლევა ერთი დაკვრით 4 პრერიალს, ქალაქის დაფარვა ბივუაკებით, მუშების მასობრივი დაპატიმრება და გაგზავნა გილიოტინასე — ამის გაკეთება შეეძლო გენერალ მენუს და მან წარმატებით შეასრულა კიდეც ყოველივე ეს. და როდესაც 4 პრერიალს საღამოთი მისი ჯარი, უკვე მუშების დამარცხების შემდეგ, მუსიკით მიდიოდა დედაქალაქის ცენტრალურ უბნებში, ხოლო ქუჩაში გამოსული მდიდრულად მორთული საზოგადოება აღფრთოვანებით ესალმებოდა თვით მენუსა და მის შტაბს, ეს იყო იმ სრული სიამტკბილობის გამოსახულება, რომელიც აერთიანებდა ამ დროს როგორც იმათ, ვინც აწყობდა ოვაციას, ისე იმათაც, ვინც თვით იყო ამ ოვაციის საგანი. 4 პრერიალს საღამოთი მენუს შეეძლო ეგრძნო თავი იმ შეძლებული კლასების წარმომადგენელად, რომლებმაც დაამარცხეს მტრული ღატაკი მასა, გამაძღართა წინამძღოლად მშიერთა წინააღმდეგ. ეს მისთვის ნათელი, გასაგები და სასიამოვნო იყო. მაგრამ რისი გულისთვის უნდა აეტეხა მას სროლა ახლა ვანდემიერში ცენტრალური

უბნების სწორედ ამ მდიდრულად მორთული საზოგადოებისათვის, რომელიც ერთ დროს ოვაციით ეგებებოდა მას და რომლის სისხლსა და ხორცს იგი თვითონ წარმოადგენდა?

და აი 12 ვანდემიერის (4ოქტომბრის) წინაღამით ტერმიდორელების ბელადებს ესმით საზეიმო ყიჟინი, რომელიც მოდის ყოველი მხრიდან: საედმონსტრაციო პროცესიები, ხმამაღალი აღფრთოვანებული შეძახილები ავრცელებენ დედაქალაქში ცნობას, რომ კონვენტი ხელს იღებს ბრძოლაზე, რომ საჭირო აღარ არის ბრძოლის გამართვა ქუჩებში, რომ დეკრეტი უკან წაიღეს და არჩევნები თავისუფალი იქნება. ამის დასამტკიცებლად მოჰყავთ ერთადერთი, მაგრამ უდაო და უაღრესად რეალური ფაქტი: პარიზის ერთ-ერთი ცენტრალური სექციის (ლეპელეტიეს სექციის) შეიარაღებული ძალების უფროსმა, ჯინმე დელალომ, ინახულა გენერალი მენუ, ელაპარაკა მას, და მენუ დასთანხმდა დროებით ზაუზე რეაქციონერებთან. ჯარი მოჰყავთ ყაზარმებში, ქალაქი აჯანყებულთა ხელშია.

მაგრამ ზეიმი ნაადრევი აღმოჩნდა. კონვენტმა გადაწყვიტა ებრძოლა. 13 ვანდემიერის წინაღამით, კონვენტის ბრძანებით, გენერალი მენუ გადააყენეს და იქვე დააპატიმრეს. შემდეგ კონვენტმა ბარასი, 9 ტერმიდორის ერთ-ერთი მთავარი მოღვაწე, პარიზის ყველა შეიარაღებულ ძალთა უფროსად დანიშნა. ახლავე, ღამითვე, საჭირო იყო მოქმედების დაწყება, რადგანაც ამბოხებულმა სექციებმა, როდესაც გაიგეს მენუს გადაყენება და დაპატიმრება, რაც კონვენტის მხრივ ბრძოლის დაწყებას მოასწავებდა, თვითონვე უყოყმანოდ და გამალებით დაიწყეს შეგროვება კონვენტის სასახლის უახლოეს ქუჩებში და მზადება ბრძოლისათვის, რომელიც დილით უნდა დაწყებულიყო. მათი გამარჯვება როგორც მათ, ისე მათ წინამძღოლს რიშე-დე-სერიზის და თვით კონვენტის ბევრ წევრსაც თითქმის უდავოდ მიაჩნდა, მაგრამ მოტყუვდნენ ანგარიშში.

თანამედროვეთა თვალში ბარასი თითქოს ქვენა გრძნობათა და მრავალგვარი ბიწიერების კოლექციას წარმოადგენდა. იგი ხაზინის ქურდიც იყო, ავანტიურისტიც, ცბიერი, უპრინციპო კარიერისტიც და ყველა დანარჩენ ტერმიდორელსაც აჭარბებდა თავისი გამყიდველობით (ხოლო პირველი ადგილის დაჭერა ამ ჯგუფში არცთუ ისე ადვილი იყო). მაგრამ ლაჩარი იგი არ ყოფილა. ამ უაღრესად ჭკვიანი და გამჭრიახი ადამიანისათვის, ვანდემიერის დასაწყისშივე ნათელი იყო, რომ დაწყებულ მოძრაობას შეეძლო დაეჩქარებინა ბურბონების რესტავრაცია საფრანგეთში, მისთვის კი ეს პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენდა. აზნაურებმა, რომელნიც იმისათვის მიეკედლნენ რევოლუციას, კარგად იცოდნენ, თუ როგორ სძულთ

როიალისტებს სწორედ ასეთი ხალხი, გამოლაშქრებული თავისი კლასის წინააღმდეგ.

მაშ ასე, საჭირო იყო ბრძოლის დაწყება ახლავე, რამდენიმე საათის შემდეგ. მაგრამ ბარასი არ იყო სამხედრო კაცი. დაუყოვნებლივ საჭირო იყო გენერლის დანიშვნა, და აქ ბარასს გააზსენდა ხმელ-ხმელი ალბერგაზრდა კაცი, გაცრეცილი ნაცრისფერი პალტოთი, რომელიც უკანასკნელ დროს რამდენჯერმე მივიდა მასთან მთხოვნელის სახით. ბარასმა არაფერი არ იცოდა ამ პირის შესახებ, გარდა იმისა, რომ ეს იყო გადამდგარი გენერალი, რომ მან თავი ისახელა ტულონის აღების დროს, მაგრამ ამის შემდეგ შეემთხვა რაღაც უსიამოვნება და რომ ახლა იგი დიდ გაჭირვებას განიცდიდა დედაქალაქში, რადგანაც მისი შემოსავალი მეტად უმნიშვნელო იყო. ბარასმა ბრძანა მოენახათ იგი და მასთან მიეყვანათ.

ბონაპარტი გამოცხადდა და მას დაუყოვნებლივ მიმართეს კითხვით — კისრულობს თუ არა იგი ბოლო მოუღოს აჯანყებას. ბონაპარტმა რამდენიმე წუთი ითხოვა მოსაფიქრებლად და დათანხმდა, მხოლოდ ერთი პირობით: რომ არავინ ჩარეულიყო მის განკარგულებებში. "მე მხოლოდ მაშინ ჩავაგებ ხმალს ქარქაშში, როცა ყველაფერი გათავებული იქნება" — თქვა მან. იგი იქვე დაინიშნა ბარასის თანაშემწედ. როდესაც ბონაპარტი გაეცნო მდგომარეობას, მან დაინახა, რომ აჯანყებულნი მეტად ძლიერი და საშიში იყვნენ კონვენტისათვის. მაგრამ მას ჰქონდა გარკვეული სამოქმედო გეგმა, რომელიც არტილერიის ულმობელ გამოყენებას ემყარებოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა ყველაფერი გათავებული იყო, მან მიმართა თავის მეგობარ ჟიუნოს (მომავალ მარშალსა და ჰერცოგ დაბრანტესს) ფრაზით, რომელიც მოწმობს, რომ თავის გამარჯვებას იგი ამბოხებულთა სტრატეგიულ უვიცობას აწერდა: "ერთი მოეცათ ჩემთვის უფროსობა ამ ყოჩაღ ბიჭებს, როგორ გავაფრენდი ჰაერში კონვენტის წევრებს!" გათენებისას ბონაპარტის განკარგულებით ზარბაზნები კონვენტის სასახლესთან მიიტანეს.

დადგა ისტორიული დღე — 13 ვანდემიერი, რომელმაც გაცილებით მეტი როლი ითამაშა ნაპოლეონის ცხოვრებაში, ვიდრე მისმა პირველმა გამოსვლამ — ტულონის აღებამ. ამბოხებულნი დაიძრნენ კონვენტისაკენ, და მათ მიეგება ბონაპარტის არტილერიის გრიალი. განსაკუთრებით საშინელი ულტა მოხდა წმ. როხის ეკლესიის კარიბჭესთან, სადაც იდგა მათი რეზერვი. მეამბოხეებსაც შეეძლოთ ღამით ზარბაზნების ხელში ჩაგდება, მაგრამ დაიგვიანეს, ზარბაზნების საპასუხოდ მათ მხოლოდ თოფები მოეპოვებოდათ. შუადღისათვის ყველაფერი გათავდა. მეამბოხეებმა და-

ტოვეს რამდენიმე ასეული გვამი, თან წაიყვანეს დაჭრილები და გაიქცნენ სხვადასხვა მიმართულებით. ისინი მიიმალნენ სახლებში, ხოლო ვინც კი მოასწრო, დაუყოვნებლივ დატოვა პარიზი. საღამოს ბარასმა მხურვალე მადლობა გამოუცხადა ახალგაზრდა გენერალს და მისი მტკიცე მოთხოვნით ბონაპარტი დაინიშნა ზურგის სამხედრო ძალების სარდლად (თვითონ ბარასმა დაუყოვნებლივ განაცხადა უარი ამ სახელწოდებაზე, როგორც კი ამბოხება ჩაქრობილ იქნა).

ამ პირქუშ, წარბებშეკრულ ახალგაზრდა კაცში ბარასსაც და სხვა ხელმძღვანელ მოღვაწეებსაც ძლიერ მოსწონდათ ის შეუშფოთებელი და სწრაფი გამბედაობა, რომელიც გამოიჩინა ბონაპარტმა ისეთი, ჯერ კიდევ გაუგონარი, საშუალების ხმარებაში, როგორიცაა ზარბაზნის სროლა ქალაქში, ხალხის შიგ შუაგულში. ამ როლში ის პირდაპირი და უშუალო წინამორბედი იყო რუსეთის მეფის ნიკოლოზ პავლეს-ძისა, რომელმაც გაიმეორა ეს ხერხი 1825 წლის 14 დეკემბერს. განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ მეფე მისთვის ჩვეული პირმოთნეობით ლაპარაკობდა, თითქოს იგი შეძრწუნებული იყო და დიდხანს არ უნდოდა მიემართა ამ ღონისძიებისთვის, თითქოს მხოლოდ თავადი ვასილჩიკოვის დაჟინებამ დასძლია მისი სამაგალითო დიდსულოვნება და სამაგალითო კაცთმოყვარეობა, ბონაპარტს კი არასოდეს არ უფიქრია თავის მართლება და თავისი პასუხისმგებლობის სხვაზე გადატანა. ამბოხებულთ ოცდაოთხ ათასზე მეტი კაცი ჰყავდათ, ბონაპარტს კი ამ დროს სრული ექვსი ათასიც არ მოეპოვებოდა, ე.ი. მისი ძალები ოთხჯერ ნაკლები იყო. მაშასადამე, მთელი იმედი ზარბაზნები იყო, და მან გამოიყენა კიდეც ისინი. თუ საქმე ბრძოლაზე მიდგა — გაიმარჯვებ, რადაც უნდა დაგიჯდეს ეს გამარჯვება; ხოლო ვინც ამ მიზნის გარდა აბრუნებს სხვა რამეზე, მაგალითად, თავის რეპუტაციაზე, ის დაიჯუპება. ნაპოლეონი ყოველთვის მტკიცედ იცავდა ამ წესს. მას არ უყვარდა საბრძოლველო ჭურვის ტყვეილუბრალოდ ხარჯვა, მაგრამ იქ, სადაც შესაძლებელი იყო, რომ მას მოეტანა სარგებლობა, ნაპოლეონი არასოდეს არ იშურებდა სიძუნწეს. მას არც 13 ვანდემიერს გამოუჩენია სიძუნწე: წმ. როსის ეკლესიის კარიბჭე დაფარული იყო რაღაც მთლიანი სისხლიანი ფაფით.

ამ დღემ პირველად გაუთქვა სახელი ბონაპარტს არა მარტო სამხედრო წრეებში, სადაც მას ნაწილობრივ უკვე იცნობდნენ ტულონის შემდეგ, არამედ საზოგადოების ყველა ფენაში, იქაც კი, სადაც მას ჯერ არავინ იცნობდა. ამ დროიდან მას იხსენიებენ როგორც "გენერალ ვანდემიერს", ეს მეტი სახელი დავიწყებას მიეცა მხოლოდ შომდევნო წელს, როდესაც მან

იტალიაში რამდენიმე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ის მიიჩნიეს დიდი თადარიგის, სწრაფი მოსაზრების, მტკიცე გადაწყვეტილების ადამიანად. პოლიტიკოსები, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს ძალა-უფლება დირექტორიის პირველი დღეებიდანვე (ე.ი. 1795 წლის ვანდემიერის შემდეგ), და მათი მეთაური ბარასი, რომელიც ერთბაშად გახდა ყველაზე უფრო გავლენიანი ხუთ დირექტორში, კეთილი თვალით უყურებდა ახალგაზრდა გენერალს. ამ დროს ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მომავალშიც შესაძლებელი იქნებოდა მასზე დაყრდნობა, თუ საჭირო შეიქნებოდა სამხედრო ძალის გამოყენება.

მაგრამ თვით ბონაპარტი სულ სხვა რამეზე ოცნებობდა. მას იზიდავდა საომარი ასპარეზი, იგი უკვე ოცნებობდა გამხდარიყო დამოუკიდებელი სარდალი საფრანგეთის რესპუბლიკის ერთ-ერთი არმიისა. და თუ მიეღებთ მხედველობაში მისდამი დირექტორ ბარასის კეთილ განწყობილებას, ეს ოცნება ამჟამად არცთუ ისე უიმედოდ გამოიყურებოდა, როგორც ვანდემიერამდე, როდესაც გადამდგარი ოცდაექვსი წლის გენერალი დაეხეტებოდა პარიზში საარსებო სახსრის მოსაპოვებლად. სწრაფად, ერთ დღეს გამოიცვალა ყოველივე. იგი გახდა პარიზის გარნიზონის უფროსი, რესპუბლიკის ყოვლის შემძლე დირექტორის ბარასის საყვარელი კაცი, დამოუკიდებელი თანამდებობის კანდიდატი მოქმედ არმიაში.

სულ მალე თავისი უეცარი ამაღლების შემდეგ ახალგაზრდა გენერალმა შეირთო ჟოზეფინა, ტერორის დროს სიკვდილით დასჯილი გენერლის ბოჰარნეს ქვრივი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

იტალიის კამპანია

(1796-1797)

დაწყებული იმ დროიდან, რაც ბონაპარტმა გაანადგურა 13 ვანდემიერის კონტრრევოლუციური აჯანყება და მოიპოვა ბარასისა და სხვა მაღალი თანამდებობის პირთა ნდობა, იგი განუწყვეტლივ ცდილობდა დაერწმუნებინა ისინი, რომ აუცილებელია საფრანგეთმა დაასწროს მის წინააღმდეგ ხელახლა შემდგარ სახელმწიფოთა კოალიციას — დაიწყოს შეტევითი ომი ავსტრიელებისა და მათი იტალიელი მოკავშირეების წინააღმდეგ და ამისთვის შეიჭრას ჩრდილოეთ იტალიაში. არსებითად ეს კოა-

ლიცია როდი იყო ახალი, ეს იყო ძველი კოალიცია, სწორედ ის, რომელიც შეიქმნა ჯერ კიდევ 1792 წელს და რომელსაც 1795 წელს ჩამოშორდა პრუსია საფრანგეთთან სეპარატიული (ბაზელის) ზავის დადების შემდეგ.

კოალიციაში დარჩნენ ავსტრია, ინგლისი, რუსეთი, სარდინიის სამეფო და რამდენიმე გერმანული სახელმწიფო (ვიურტემბერგი, ბავარია, ბადენი და სხვ.). დირექტორია ფიქრობდა, რომ 1795 წლის გაზაფხულისა და ზაფხულის მომავალი ეამპანიის ასპარეზი, ეჭვს გარეშეა, იქნებოდა დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი გერმანია, რომელზეც გავლითაც ფრანგები შეეცდებოდნენ ავსტრიის მკვიდრ სამფლობელოებში შეჭრას. ამ ლაშქრობისთვის დირექტორია ამზადებდა თავის საუკეთესო ჯარებსა და ყველაზე გამოჩენილ სტრატეგებს, გენერალ მოროს მეთაურობით. არმიისათვის სახსრებს არ ზოგავდნენ, მისი აღალი ყოველმხრივ უზრუნველყოფილი იყო, — საფრანგეთის მთავრობა ყველაზე მეტ იმედებს მასზე ამყარებდა.

რაც შეეხება გენერალი ბონაპარტის დაჟინებით რჩევებს სამხრეთ საფრანგეთიდან მოსაზღვრე ჩრდილოეთ იტალიაში შეჭრის შესახებ, — დირექტორია არცთუ ისე ბატაცებული იყო ამ გეგმით.

მართალია, ჩრდილოეთ იტალიაში შეჭრა შეიძლება სასარგებლო ყოფილიყო, მას შეეძლო იძულებული გაეხადა ვენის მთავრობა დაექუცმაცებინა თავისი ძალები, შეესუსტებინა თავისი ყურადღება მომავალი ომის მთავარი, გერმანიის ასპარეზისადმი. გადაწყდა გამოეყენებინათ სამხრეთში დაბანაკებული რამდენიმე ათეული ათასი ჯარისკაცი, რომ შეეწუხებინათ ავსტრიელები და მათი მოკავშირე — სარდინიის მეფე.

როდესაც წამოიჭრა საკითხი, თუ ვინ უნდა დაეყენებინათ მთავარსარდლად ფრონტის ასეთ მეორეხარისხოვან ხაზზე, კარნომ ბონაპარტი დააასახელა. დანარჩენი დირექტორებიც ადვილად დათანხმდნენ ბონაპარტის დანიშვნაზე, რადგანაც არც ერთი სხვა გამოჩენილი და საზელგანთქმული გენერალი არ ცდილობდა ამ თანამდებობის მიღებას. ბონაპარტის დანიშვნა იტალიაში სამოქმედოდ განკუთვნილი ("იტალიური") არმიის მთავარსარდლად მოხდა 1796 წლის 23 თებერვალს, ხოლო 11 მარტს ახალი მთავარსარდალი უკვე გაემგზავრა თავისი დანიშნულების ადგილას.

ეს პირველი ომი, ჩატარებული ნაპოლეონის მიერ, ყოველთვის განსაკუთრებული შარავანდედით იყო მოცული. ნაპოლეონის სახელი სწორედ 1796 წელს მოედო პირველად მთელს ევროპას და ამის შემდეგ ის აღარ ჩამოსულა მსოფლიო ისტორიის ავანსცენიდან. "ძალიან შორს აბიჯებს, დრო აილაგმოს ეს ყმაწვილი!" — მოხუცმა სუვოროვმა ეს სიტყვები სწო-

რედ იტალიის კამპანიის გაცხოველების ჟამს თქვა. შან ერთ-ერთმა პირველთაგანმა მიუთითა ქარიშხლის მზარდ ღრუბელს, რომელსაც შემდგომ ხანგრძლივი გვრინვა და მეხის ტეხა მოჰყვა ევროპაში.

როდესაც ბონაპარტი გამოცხადდა თავის არმიაში და დაათვალიერა იგი, მას უცებ შეეძლო მიმხვედარიყო, თუ რატომ არ ცდილობდა ამ თანამდებობის დაკავებას საფრანგეთის რესპუბლიკის არც ერთი გავლენიანი გენერალი. არმია ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ მაწანწალათა ხროვას უფრო მოგაგონებდათ. საფრანგეთის საინტენდანტო უწყებას, რომელიც ამარაგებდა არმიას ტანსაცმლითა და სურსათით, არასოდეს არ გამოუჩენია ისეთი აღვირახსნილი მტაცებლობა და ყოველგვარი სახის ქურდობა საზელმწიფო სახსრებისა, როგორც ტერმიდორიანელების დროს კონვენტის უკანასკნელ წლებში და დირექტორიის მმართველობის პირველ ხანებში.

მართალია, პარიზი ბევრს არაფერს იმეტებდა არმიისათვის, მაგრამ იმ მცირე სახსრებსაც კი, რასაც იგი არმიის შესანახად იძლეოდა, უცებ იტაცებდნენ, უცერემონიოდ იპარავდნენ. არავინ კითხულობდა, თუ რით იკვებებოდა და რას იცვამდა ნიცაში და ნიცის მახლობლად დაბანაკებული ორმოცდასამი ათასი ჯარისკაცი.

ჩავიდა თუ არა ბონაპარტი არმიაში, მოახსენეს, რომ ერთმა ათასეულმა წინადღეს უარი განაცხადა შეესრულებინა ბრძანება და გადასულიყო სხვა, ახლადმიჩენილ რაიონში, რადგანაც არც ერთ ჯარისკაცს არ ჰქონდა ფეხსაცმელი. ამ უპატრონოდ მიგდებული და მეიწყებული არმიის უბადრუკ ნივთიერ მდგომარეობას ზედ ერთვოდა დისციპლინის მოშლილობაც. ჯარისკაცები საკუთარი თვალით ხედავდნენ იმ საყოველთაო ქურდობას, რომლისაგანაც ისინი ესოდენ იტანჯებოდნენ.

ბონაპარტის წინაშე იდგა უძნელესი ამოცანა: მას ტანით ფეხამდე უნდა შეემოსა თავისი არმია და განემტკიცებინა მასში დისციპლინა, მაგრამ ყოველივე ეს უნდა გაეკეთებინა გზადაგზა, თვით ლაშქრობის დროს; ლაშქრობის გადადება კი მას არავითარ შემთხვევაში არ სურდა.

ნაპოლეონის მდგომარეობა შეიძლება გართულებულიყო ამ არმიის ცალკეული ნაწილების უფროსებთან, მის ხელქვეითებთან ჩამოყალიბებული უთანხმოების გამო. ისინი სიამოვნებით დაექვემდებარებოდნენ უსუცეს ან უფრო დამსახურებულ მთავარსარდალს, მაგრამ ოცდაშვიდი წლის ბონაპარტის უფროსობას უკადრისობდნენ თავიანთ-თავად.

შეხლა-შემოხლა ხდებოდა, ერთმანეთს მოთქმა-მოთქმას ათასნაირად ბიძეურებდნენ, ასხვაფერებდნენ და ავრცელებდნენ, თხზავდნენ და ფეგრად-ფეგრადად ქარგავდნენ. იმეორებდნენ, მაგალითად, ეიოლაკის მიერ შოთხრილ

[illegible]ს, თითქოს ერთი მწვავე ლაპარაკების დროს პატარა ტანის ბონაპარტს მაღალი ოფიცრისათვის, რომელსაც ქვემოდან ზემოთ შესცქეროდა, ეთქვას: გენერალო, თქვენ სწორედ ერთი თავით ჩემზე უფრო მაღალი ხართ, მაგრამ თუ უკმეხად მელაპარაკეთ, ამ განსხვავებას დაუყოვნებლივ მოვსპობ: ბონაპარტმა თავიდანვე ყველას აგრძნობინა, რომ თავის არმიაში არ მოითმენდა არავითარ საწინააღმდეგო მისწრაფებას და ყველა მოწინააღმდეგეს, რა რანგისა და წოდებისაც უნდა ყოფილიყო, დათრგუნავდა: ხშირად მიხდება დახვრეტაო, — გაკვრით და ყოველგვარი განმარტების გარეშე აცნობებდა იგი დირექტორიას პარიზში.

ბონაპარტმა მძაფრად და დაუყოვნებლივ გააჩაღა ბრძოლა ქურდობასთან. ჯარისკაცმა ეს მაშინვე შეამჩნია, და ამან დახვრეტაზე გაცილებით უფრო მეტად შეუწყო ხელი დისციპლინის აღდგენას. მაგრამ ბონაპარტი ისეთ მდგომარეობაში იყო ჩაყენებული, რომ საომარი მოქმედების იქამდე გადადება, ვიდრე არმიის გამოწყობა დამთავრდებოდა, ფაქტიურად ნიშნავდა — ხელიდან გაეშვა 1796 წლის კამპანია.

მან გადაწყვიტა ის, რაც მშვენივრად არის ჩამოყალიბებული მის პირველ მოწოდებაში ჯარისადმი. ბევრი დავა იყო იმის გამო, სახელდობრ როდის მთელი ამ მოწოდებამ საბოლოო რედაქცია, რომლითაც იგი ისტორიაში შევიდა; ახლა ნაპოლეონის ბიოგრაფიის უახლოესი მკვლევარნი აღარ ეჭვობენ, რომ ამ მოწოდების მხოლოდ პირველი ფრაზებია ნამდვილი, ხოლო მთელი დანარჩენი მჭევრმეტყველება მერმე დაუმატებიათ. შევნიშნავ, რომ პირველ ფრაზებშიც შეიძლება სარწმუნოდ მივიჩნიოთ უფრო მეტად ძირითადი აზრი, ვიდრე თითოეული სიტყვა: "ჯარისკაცებო, თქვენ ტანთ არ გაცვიათ, საჭმელ-სასმელი გაკლიათ... მე მინდა წაგიყვანოთ ქვეყნიერების უნაყოფოს ადგილებში..."

ბონაპარტი სარბიელზე გამოსვლისთანავე იმ აზრისა იყო, რომ ჯარსა ომში თვითონ უნდა ერჩინა თავი და რომ საჭირო იყო თითოეული ჯარისკაცის პირადად და უშუალოდ დაინტერესება მომავალი შესევით ჩრდილოეთ იტალიაში, რომ შესევა კი არ უნდა გადაედო მანამდე, სანამ არმია ყოველივე საჭიროს მიიღებდა, არამედ არმიისათვის ცხადეყო, რომ თვის არმიაზე იყო დამოკიდებული დავლის სახით ეშოვნა ყოველივე, რაც საჭირო იყო და ამაზე მეტიც.

ციინიზმს შეიცავდა არა თვით ძარცვა, რასაც არც ჰოში, არც ჟუბერი და არც მორო არ სდევნიდნენ, არამედ ის სრული სიტყვიერი გულახდილობა, რომლითაც ეპატიჟებოდნენ იტალიაში "უნაყოფესი ქვეყნების" საძარცვაოდ.

ნაპოლეონი მუდამ ახერხებდა ჯარისკაცის სულსა და გულში ჩაენერგა, გაეძლიერებინა და განემტკიცებინა თვისი პირადი მომხიბვლელობა და ძალა-უფლება.

სენტიმენტალური გადმოცემები ნაპოლეონის "სიყვარულზე" ჯარისკაცებისადმი, რომლებსაც იგი, გულახდილობის ჟამს, საზარბაზნე ხორცს უწოდებდა, სრულიად არაფერს არ მეტყველებენ. სიყვარულის რა მოგახსენოთ, მაგრამ ჯარისკაცზე ზრუნვას იგი მართლაც იჩენდა. ნაპოლეონი ამ მზრუნველობას ისეთ ელფერს აძლევდა, რომ ჯარისკაცები მას სწორედ მხედართმთავრის ყურადღებად ღებულობდნენ, მაშინ როდესაც ნაპოლეონი მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ ხელთ ქონოდა საკვებით ვარგისი და ბრძოლისუნარიანი მასალა.

1796 წლის 9 აპრილს ნაპოლეონმა ალპების გზით დაძრა თავისი ჯარი.

ნაპოლეონის ლაშქრობათა მრავალტომიანი ისტორიის ცნობილი აეტორი, მეცნიერი სტრატეგი და ტაქტიკოსი გენერალი ჟომინი, შეეცარიელი, რომელიც წინათ ნაპოლეონთან მსახურობდა, მერმე კორუსეთში გადმოვიდა, აღნიშნავს, რომ ბონაპარტმა ამ პირველი თავისი სარდლობის პირველი დღეებიდანვე გამოიჩინა კადნიერებამდე დაყვანილი სარეალურ გამბედაობა და პირადი საფრთხის არად მიჩნევა: მან თავისი შტაბითურთ გაიარა ყველაზე საშიში (მაგრამ მოკლე) გზა, ალპების ზღვისპირა მთაგრეხილის ცნობილი "ლავგარდანი", სადაც მთელი ლაშქრობის დროს არმიას ზედ ნაპირთან მოცურაე ინგლისის გემები უშენდნენ ზარბაზნებს.

აქ პირველად ეჩინა თავი ბონაპარტის კიდევ ერთმა თვისებამ. ერთი მხრივ, მას არასოდეს არ გამოუმეღავნებია თავმოწონება ქაჯაკობით, სიმამაცითა და უშიშრობით; რაც სჩვეოდათ, მაგალითად, მის თანამედროვეთ — მარშლებს ლანს, მიურატს, ნეის, გენერალ მილორადოვიჩს, უფრო გვიანდელ მხედართმთავართაგან კი — სკობელევს; ნაპოლეონი მუდამ იმ აზრისა იყო, რომ, თუ გარკვეული, უეჭველი აუცილებლობა არ მოითხოვს, მთავარსარდალმა ომის დროს პირად საფრთხეში არ უნდა ჩაიგდოს თავი იმ უბრალო მიზეზით, რომ მის დაღუპვას თავისთავად შეუძლია გამოიწვიოს შეძრწუნება, პანიკა და ბრძოლის ან მთელი ომის წაგებაც. მაგრამ, მეორე მხრივ, იგი ფიქრობდა: თუ ისეთი ვითარება შეიქნება, რომ პირადი მაგალითი გადაჭრით საჭირო იქნება, მხედართმთავარი უყოყმანოდ უნდა გადაეშვას ცეცხლშიო.

1796 წლის 5-დან 9 აპრილამდე "ლავარგანდით" მოგზაურობამ მშვიდობით ჩაიარა. ბონაპარტი იტალიაში გაჩნდა და დაუყოვნებლივ გადაწ-

ყვიტა, თუ როგორ უნდა ემოქმედა. მის წინაშე იდგნენ ავსტრიისა და პიემონტის ერთობლივად მოქმედი ჯარები, სამ ჯგუფად გაფანტული პიემონტისა და გენუის გზაზე. პირველი ბრძოლა ავსტრიის სარდალ დარჟანტოსთან მოხდა ცენტრში, მონტენოტთან.

ბონაპარტმა თავისი ძალები ერთ დიდ მუშტად შეკრა, შეცდომაში შეიყვანა ავსტრიის მთავარსარდალი ბოლიე, რომელიც იმყოფებოდა უფრო სამხრეთით — გენუის გზაზე, და სწრაფად დაესხა თავს ავსტრიელთა ცენტრს. ავსტრიელები რამდენიმე საათში გაანადგურეს. მაგრამ ეს ავსტრიის არმიის მხოლოდ ნაწილი იყო. ბონაპარტმა სულ მოკლე ხნით დაასვენა ჯარისკაცები და გზა განაგრძო.

შემდეგი ბრძოლა მოხდა (მილეზიმოსთან) პირველი ბრძოლიდან ორი დღის გასვლის შემდეგ, და პიემონტის ჯარი სავსებით დამარცხდა. ბრძოლის ველზე უამრავი მეომარი დაიხოცა, ხუთი ათასეული ცამეტი ქვემეხით ტყვედ დანებდა, მებრძოლი არმიის ნაშთები გაიქცნენ — ასეთი იყო ამ ბრძოლის შედეგი მოკავშირეთათვის. ბონაპარტმა დაუყოვნებლივ განაგრძო გზა ისე, რომ მტრისათვის საშუალება არ მიუცია გონს მოსულიყო და ძალა მოეკრიბა.

სამხედრო ისტორიკოსებს ბონაპარტის პირველი ბრძოლები — "ექვსი დამარჯვება ექვს დღეში" — ერთ მთლიან დიდ ბძოლად მიაჩნიათ. ნაპოლეონის ძირითადი პრინციპი სავსებით გამოვლინდა ამ დღეებში: დიდი ძალების სწრაფად შეკვრა ერთ მუშტად, ერთობ რთული მანევრების უარყოფა და ერთი სტრატეგიული ამოცანიდან მეორეზე გადასვლა, მტრის ძალების დამარცხება ნაწილ-ნაწილ.

გამოვლინდა ნაპოლეონის მეორე თვისებაც — უნარი პოლიტიკის და სტრატეგიის შედეგებისა ერთ მთლიან ერთეულად: ზედიზედ იმარჯვებდა რა 1796 წლის აპრილის დღეებში, ბონაპარტს ამავე დროს მუდამ ახსოვდა, რომ პიემონტისათვის (სარდინიის სამეფოსათვის) სეპარატიული ზავი უნდა დაედებინებინა, რათა პირისპირ დარჩენილიყო მხოლოდ ავსტრიელებთან.

როცა ფრანგებმა კვლავ გაიმარჯვეს პიემონტელებზე მონდოვთან და ეს ქალაქი ბონაპარტს ჩაბარდა, გენერალმა კოლმა მოლაპარაკება დაიწყო ზავზე, და 28 აპრილს პიემონტის დროებითი ზავი დაიდო. ამ ზავის პირობები დამარცხებულთათვის მეტად მძიმე იყო: პიემონტის მეფე ვიქტორ-ამედეი, ბონაპარტს უთმობდა ორ თავის საუკეთესო ციხეს და ბევრ სხვა პუნქტს.

პიემონტთან საბოლოო ზავი დაიდო პარიზში 1796 წლის 15 მაისს. პიემონტმა ვალდებულება იკისრა — თავის ტერიტორიაზე არ გაეშვა უცხო ჯარები, გარდა საფრანგეთისა, ამიერიდან არავისთან კავშირი არ შეეკრა, საფრანგეთს უთმობდა ნიცისა და მთელს სავოიას; ამის გარდა, საფრანგეთსა და პიემონტს შორის საზღვარი ისე "სწორდებოდა", რომ მეტად ხელსაყრელი იყო საფრანგეთისათვის. პიემონტი ვალდებულებას კისრულობდა — საფრანგეთის არმიისათვის მიეწოდებინა მთელი საჭირო სურსათი.

ამრიგად, პირველი საქმე გაკეთებული იყო. რჩებოდნენ ავსტრიელები. პირველ გამარჯვებაში შემდეგ ბონაპარტმა ისინი აიძულა მდინარე პოსკენ დაეხიათ, მდინარის აღმოსავლეთისაკენ გადარეკა, თვითონ პოს გაღმა გავიდა და დადევნება განაგრძო. პარმის ჰერცოგი, რომელიც, არსებითად, არც კი ომობდა ფრანგებთან, ერთი პირველთაგანი დაზარალდა. ბონაპარტმა მისი დარწმუნებანი ყურად არ იღო, მისი ნეიტრალიტეტი არა სცნო, პარმას დაადო ორი მილიონი ოქროს ფრანკი კონტრიბუცია და ათას შვიდასი ცხენის მოყვანა დააკისრა. შემდგომი წინსვლისას იგი მიადგა დაბა ლოდის, სადაც მდინარე უნდა გადაელახა. ამ მნიშვნელოვან პუნქტს იცავდა ავსტრიელთა ათიათასიანი რაზმი.

10 მაისს მოხდა ცნობილი ბრძოლა ლოდისთან. აქ, ისევე როგორც "ლანგარდით" მარშის დროს, ბონაპარტმა საჭიროდ სცნო სიცოცხლე გაეწირა: უსაშინლესი ომი ხიდის ყელში გაიმართა, და მთავარსარდალი, წინ გაუძღვა რა გრენადერთა ათასეულს, პირდაპირ იქ შეიჭრა, სადაც ავსტრიელები ტყვიას სუტყვასაით აყრიდნენ ხიდს. ავსტრიელთა ოცი ქვემეხის ფინდიხი პირდაპირ ყველაფერს სპობდა ხიდზე და ხიდის მახლობლად.

გრენადერებმა ბონაპარტის მეთაურობით აიღეს ხიდი და შორს გადარეკეს ავსტრიელები. რომლებმაც ბრძოლის ველზე დატოვეს ორი ათასამდე დაზოგილი და ჭრილობა და ფეხუმეტი ზარბაზანი, ბონაპარტი დაუყოვნებლივ დაედევნა შეუცდენელ მტერს. ბონაპარტი 15 მაისს მილანოში შევიდა. ჯერ კიდევ წინაღმოთ, 14 მაისს (25 ფლორეალს), იგი დირექტორიას სწერდა პარიზში: "ლომბარდია ამჟამად (ესაფრანგეთის) რესპუბლიკას ეკუთვნის".

ივნისში ფრანგთა რაზმმა მანტუას სარდლობის ბონაპარტის ბრძანების თანახმად, დაიკავა ლივორნო, გენერალმა ფუერეტ-ი — ბოლონიას შუა ივნისში ბონაპარტმა პირადად დაიკავა ბოლონია, შემდეგ ჯარი გადავიდა ტოსკანაზე, ფუშცა ტოსკანელი ჰერცოგი ნეიტრალიტეტს იცავდა საფრანგეთ-ავსტრიის ამ ომში.

ბონაპარტი ამ იტალიურ სახელმწიფოთა ნეიტრალიტეტს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. იგი შედიოდა ქალაქებსა და სოფლებში, ახდენდა არმიისათვის საჭირო ყოველგვარი მასალის რეკვიზიციას, საერთოდ ყველაფერი მიჰქონდა, რაც კი ამის ღირსად მიაჩნდა, დაწყებული ზარბაზნებით, დენთითა და თოფებით და გათავებული აღორძინების ხანის ძველ ხელოვანთა სურათებით. მაგრამ მცხოვრებთ, გარდა ამ გენერლის გადასახადებისა, საშინლად სტანჯავდა ჯარისკაცთა თავშეუკავებელი ძარცვა.

ბონაპარტი ერთობ მოწყალე თვალით უცქეროდა თავის მეომართა გატაცებას ძარცვით. საქმე იქამდე მივიდა, რომ მცირე უკმაყოფილება და აჯანყებებიც ხდებოდა. პავიაში, ლუგოში ადგილობრივი მცხოვრებნი თავს ესხმოდნენ საფრანგეთის ჯარებს. ლუგოში (ფერარის მახლობლად) ბრბომ მოკლა ხუთი ფრანგი დრაგუნი, რისთვისაც ქალაქი მხეცურად დასაჯეს: რამდენიმე ასი კაცი აკუწეს, ქალაქის აოხრებისა და გაძარცვის სრული უფლება მისცეს ჯარისკაცებს, რომლებმაც სულერთიანად ამოჟლიტეს მცხოვრებნი, ვისზედაც კი ეჭვი მიიტანეს, რომ მტრობას განიზრახავდნენ ან ვისაც იარაღი ჰქონდა. მაგრამ ვის აღარ ჰქონდა იარაღი მაშინ? ასეთი დასაშინებელი აწიოკება ხდებოდა სხვაგანაც.

ავსტრიელებთან ბრძოლის დროს ნადავლი და ნეიტრალური იტალიური სახელმწიფოებისაგან წართმეული ზარბაზნებითა და ჭურვებით ნაპოლეონმა საგრძნობლად გააძლიერა თავისი არტილერია და ამის შემდეგ დაიძრა მარტუისაკენ, რომელიც ბუნებრივი პირობებითა და ხელოვნურად ნაგები სიმაგრეებით ერთ-ერთი უძლიერესი ციხე იყო ევროპაში.

ბონაპარტმა ძლივს მოასწრო მანტუის წესიერი ალყა დაეწყო, რომელიც შეიტყო, რომ ალყაშემორტყმული ციხის მისაშველებლად მიეშურებოდა ტიროლიდან სპეციალურად ამისათვის გამოგზავნილი ავსტრიელთა ოცდაათათასიანი არმია, რომელსაც ერთობ საქმიანი და ნიჭიერი გენერალი ვურმზერი სარდლობდა. ამ ამბავმა მეტად გაამხნევა ფრანგთა შესევის ყველა მტერი: ნუ დავივიწყებთ, რომ კათოლიკურ სამღვდელოებასა და ჩრდილო იტალიის აზნაურობას, რომლებსაც სძაგდათ თვით ბურჟუაზიული რევოლუციის პრინციპები, რაც იტალიაში მიჰქონდა ფრანგთა არმიას, 1796 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში მიემატა მრავალი და მრავალი ათასი გლეხი და ქალაქელი, სასტიკად დაზარალებულნი გენერალ ბონაპარტის არმიის მიერ ჩადენილი ძარცვა-რბევით. დარბეული პიემონტი, რომელსაც ზავი იძულებით დაადებინეს, შეიძლებოდა ზურგში აჯანყებოდა ბონაპარტს და საფრანგეთის გზა გადაეჭრა მისთვის.

ბონაპარტს თექვსმეტი ათასი კაცი განკუთვნილი ჰყავდა მანტუის საალყოდ, ოცდაცხრა ათასი კაცი კი რეზერვს წარმოადგენდა. იგი მაშველ ძალებს მოელოდა საფრანგეთიდან. ვურმზერის წინააღმდეგ მან გაგზავნა ერთ-ერთი თავისი საუკეთესო გენერალი — მასენა, მაგრამ ვურმზერმა იგი უკუაქცია. ბონაპარტმა გაგზავნა მეორე, აგრეთვე მეტად ნიჭიერი თავისი თანაშემწე, რომელსაც გენერლის ხარისხი ჯერ კიდევ ნაპოლეონამდე ჰქონდა, — ოჟერო. მაგრამ ვუმზერმა ოჟეროც უკუაქცია. ფრანგების მდგომარეობა უიმედო ხდებოდა; მაგრამ აქ ბონაპარტმა იხმარა თავისი ხერხი, რომელსაც, როგორც ძველი, ისე ახალი თეორეტიკოსების აზრით, თავისთავად შეეძლო მოეხვეჭა მისთვის "უკვდავი დიდება" (ჟომინის გამოთქმა), თუნდაც დაღუპულიყო ჯერ კიდევ მაშინ, თავისი ცხოვრების გზის დასაწყისში.

ვურმზერი უკვე ზეიმობდა მოახლოებულ გამარჯვებას საშინელ მტერზე, უკვე შევიდა ალყაშემორტყმულ მანტუაში და, მაშასადამე, ალყა მოხსნა მას, რომ უცბად შეიტყო — ბონაპარტი მთელი ძალებით ეკვეთა ავსტრიელთა მეორე კოლონას, რომელიც ბონაპარტის განლაგებას და მილანოს შორის მოქმედებდა, და სამ ბრძოლაში იგი დაამარცხა. ეს იყო ლონატოს, სალოსა და ბრეშიის ბრძოლები.

როცა ეს ვურმზერმა შეიტყო, მანტუიდან გამოვიდა მთელი ფაუჭი ძალებითურთ, ფრანგთა მიერ ვალეტის მეთაურობით მის წინააღმდეგ დაყენებული საფარი რაზმი დაამარცხა; რამდენიმე შეტაკების დროს უკუაქცია ფრანგთა სხვა რაზმებიც და, ბოლოს, 5 აგვისტოს, კასტილიონესთან შეხვდა თვითონ ბონაპარტს, რომელმაც იგი სასტიკად დაამარცხა ბრწყინვალე მანევრის წყალობით, რის შედეგადაც ფრანგთა ჯარები ავსტრიელებს ზურგში მოეკრნენ.

რამდენიმე ახალი ბრძოლის შემდეგ ვურმზერი დამარცხებული არმიის ნაშთებითურთ ჯერ დასტრიალებდა მდინარე ადიჯეს ზემოწელს, მერმე კი მანტუაში ჩაიკეტა. ბონაპარტმა ალყა განაახლა. რათა მიშველებოდნენ არა მარტო მენტუას, რომელიც ვურმზერმა ვერ იხსნა, არამედ თვითონ ვურმზერსაც, ავსტრიაში სასწრაფო წესით გაამზადეს ახალი არმია, რომელსაც სათავეში ჩაუყენეს ალვინცი, აგრეთვე ერთ-ერთი საუკეთესო გენერალი ავსტრიის იმპერიისა.

ბონაპარტი ალვინცის წინააღმდეგ დაიძრა. მას თან ჰყავდა ოცდარვა ათას ხუთასი მეომარი, ხოლო რვა ათას სამასი კაცი მანტუის საალყოდ დატოვა. რეზერვი მას თითქმის არ გააჩნდა. "გენერალი, რომელიც ომის წინ ბევრსა ზრუნავს რეზერვებზე, უსათუოდ დამარცხდება", — ამას ყო-

ველგვარად იმქორებდა ნაპოლეონი მუდამ, თუმცა, რასაკვირველია, სულაც არ უარყოფდა რეზერვის მნიშვნელობას. ალვინციმ ფრანგთა მთელი რიგი რაზმები უკუაქცია რამდენიმე შეტაკებაში. ბონაპარტმა ბრძანა — ვიჩენცა და კიდევ რამდენიმე პუნქტი გაეხიზნათ. იგი თავს უყრიდა მთელ ძალებს და გადამწყვეტი იერიშისათვის ემზადებოდა.

1796 წლის 15 ნოემბერს დაიწყო, ხოლო 17 ნოემბრის საღამოთი დამთავრდა შეუპოვარი და სისხლისმღვრელი ბრძოლა არკოლესთან. ბოლოს ალვინცი დაეჯახა ნაპოლეონს. ავსტრიელები სჭარბობდნენ და თანაც არაჩვეულებრივად მედგრად იბრძოდნენ: აქ იყვნენ რჩეული პოლკები ჰაბსბურგთა მონარქიისა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი იყო ცნობილი არკოლეს ხიდი. ფრანგები სამგზის გადავიდნენ იერიშზე და აიღეს ხიდი, მაგრამ ავსტრიელებმა სამგზისვე უკუაგდეს ისინი და თანაც მძიმე ზარალი მიაყენეს. მთავარსარდალი ბონაპარტი სწორედ ისე მოიქცა, როგორც რამდენიმე თვის წინათ ლოდის ხიდის აღებისას: იგი დროშით ხელში პირადად გაიჭრა წინ. მის ახლოს რამდენიმე ჯარისკაცი და ადიუტანტი მოკლეს. ბრძოლამ ხამ დღეს გასტანა მცირე ხნის შესვენებით. ალვინცი დამარცხდა და უკუიქცა.

არკოლეს ბრძოლის თვენახევრის შემდეგ ავსტრიელები ძალებს იკრებდნენ და სარევანშოდ ემზადებოდნენ. 1797 წლის შუა იანვარში კვანძი გაიხსნა. 1797 წლის 14 და 15 იანვარს, რივოლთან ორი დღის სისხლისმღვრელ ბრძოლაში, გენერალმა ბონაპარტმა გაანადგურა ავსტრიელთა მთელი არმია, რომელიც ამჟამად, საფრანგეთის ახალგაზრდა მხედართმთავრის მიბაძვით, ერთ მუშტად შეეკრათ.

ალვინციმ დამარცხებული არმიის ნაშთებთან ერთად უშველა თავს და გულშიაც ველარ გაივლებდა მანტუისა და იქ ჩაკეტილი ვურმზერის არმიის ხსნას. რივოლის ბრძოლიდან ორნახევარი კვირის შემდეგ მანტუა დანებდა. ამასთან ბონაპარტი ერთობ მოწყალედ მოექცა ძლეულ ვურმზერს.

მანტუის აღების შემდეგ ბონაპარტი ჩრდილოეთისაკენ დაიძრა და აშკარად დაემუქრა ჰაბსბურგთა საგვარეულო სამფლობელოებს. როდესაც 1797 წლის გაზაფხულის დამდეგს ბონაპარტმა საომარი მოქმედების ახალრვზზე იტალიაში სასწრაფოდ გამობახებული ერცჰერცოგი კარლოსი მთელ რიგ ბრძოლებში დაამარცხა, ბრენერისაკენ უკუაგდო და თანაც მძიმე ზარალიც მიაყენა, ვენა პანიკამ მოიცვა. პანიკა იმპერატორის სასახლიდან ვრცელდებოდა. ვენაში შეიტყვეს, რომ სასწრაფოდ ფუთავდნენ, სადღაც მიპქონდათ და მალავდნენ სამეფო გვარეულობის განძეულს. ავსტრიის

დედაქალაქს ფრანგთა შესევა ემუქრებოდა. "პანიბალი კარზეა!" "ბონაპარტი ტიროლშია!" "ბონაპარტი ხვალ ვენაში იქნება!" — ასეთი ხმები, მითქმა-მოთქმა, შეძახილები დარჩა იმ თანამედროვეთა ხსოვნაში, რომლებმაც ეს მომენტი განიცადეს ჰაბსბურგთა მონარქიის ძველ მდიდარ დედაქალაქში. ავსტრიელთა რამდენიმე საუკეთესო არმიის დალუპვა, ყველაზე ნიჭიერი და უნარიანი გენერლების საშინელი დამარცხება, მთელი ჩრდილოეთი იტალიის დაკარგვა, ავსტრიის დედაქალაქისთვის შექმნილი პირდაპირი საფრთხე — ასეთი იყო მაშინ შედეგი იმ ერთი წლის კამპანიისა, რომელიც 1796 წლის მარტის დამდეგს დაიწყო, როდესაც ბონაპარტი პირველად ჩაუდგა სათავეში საფრანგეთის არმიას. ევროპაში მისი სახელი ქუხდა.

ერცჰერცოგ კარლოსის არმიის ახალ დამარცხებათა და საერთო უკუქცევის შემდეგ ავსტრიის იმპერატორის კარმა შეიგნო ბრძოლის განგრძობის საშიშროება. 1797 წლის აპრილის დამდეგს გენერალმა ბონაპარტმა ოფიციალური ცნობა მიიღო, რომ ავსტრიის იმპერატორი ფრანცი საზავო მოლაპარაკების დაწყებას თხოულობდა. ბონაპარტმა, უნდა აღინიშნოს, ყველაფერი მასზე დამოკიდებული გააკეთა, რათა ავსტრიელებთან ომი დავმთავრებინა თავისათვის ესოდენ ხელსაყრელ მომენტში, და, მთელი თავისი არმიით აწვებოდა რა მისგან საჩქაროდ უკუქცეული ერცჰერცოგ კარლოსის ძალებს, ამავე დროს კარლოსს ატყობინებდა — მზადა ვარ ზავი შეგიკრაო.

ცნობილია საყურადღებო წერილი, რომელშიც ბონაპარტი, ზოგაედა რა დამარცხებულთა თავმოყვარეობას, წერდა: თუ ზავის დადება მოვახერხე, ჩემთვის ეს უფრო საამაყო იქნება, ვიდრე სავალალო დიდება, რის მოხვეჭაც სამხედრო წარმატებით შეიძლებაო. "განა საკმაო არ არის, რაც ხალხი დავხოცეთ და რაც უბედურება მივაყენეთ კაცობრიობას?" — სწერდა იგი კარლოსს.

დირექტორია დათანხმდა ზავს და მხოლოდ იმას ფიქრობდა, თუ ვინ გაეგზავნა მოსალაპარაკებლად. მაგრამ სანამ დირექტორია ფიქრს განაგრძობდა და სანამ მისი გამორჩეული პირი (კლარკი) ბონაპარტის ბანაკში ჩავიდოდა, ძლევამოსილმა გენერალმა უკვე მოასწრო დროებითი ზავის დადება ლეობენში.

მაგრამ ჯერ კიდევ ლეობენის მოლაპარაკების დაწყებამდე ბონაპარტმა საქმე მოათავა რომთან. პაპი პიუს VI საფრანგეთის რევოლუციის მტერი და შეურიგებელი მოძულე იყო. "ვანდემიერის გენერალი", რომელსაც მთავარსარდლობა სწორედ იმის ჯილდოდ მისცეს, რომ მან როიალისტე-

ბი გაწყვიტა 13 ვანდემიერს, პაპს ჯოჯოხეთის მოციქულად მიაჩნდა და ის ყოველგვარად ეხმარებოდა ავსტრიას მის სამძიმო ბრძოლაში.

როგორც კი ეურმზერმა ფრანგებს ჩააბარა მანტუა ექვსი თვის ალყის შემდეგ გადარჩენილი ცამეტი ათასი კაცისაგან შემდგარი გარნიზონითა და რამდენიმე ასეული ქვემეხითურთ, ხოლო ბონაპარტს მოალყე ჯარი გაუთავისუფლდა, საფრანგეთის მთავარსარდალმა გაილაშქრა პაპის სამფლობელოთა წინააღმდეგ.

ბონაპარტმა პაპის ჯარები პირველ ბრძოლაშივე გაანადგურა. ისინი ფრანგებისაგან ისეთი სისწრაფით გარბოდნენ, რომ ჟიუნო, რომელიც ბონაპარტმა დაადევნა გაქცეულებს, ორი საათის განმავლობაში ვერ დაეწია მათ, ხოლო როცა დაეწია, ნაწილი აკუწა, ნაწილი კი დაატყვევა. შემდეგ ქალაქები ზედიზედ ნებდებოდნენ ბონაპარტს წინააღმდეგობის გაუწევლად. მას მიეჭონდა ყოველგვარი ძვირფასეული, რასაც კი ამ ქალაქებში პოულობდა: ფული, ბრილიანტები, სურათები, ძვირფასი სამკაული. ქალაქებიც, მონასტრებიც, ძველი ეკლესიების საგანძურებიც აქაც უდიდეს დავლას აძლევდნენ გამარჯვებულს, ისევე როგორც ჩრდილოეთ იტალიაში. რომი პანიკამ აიტანა, მთელი შეძლებული მოსახლეობა და უმაღლესი სამღვდელოება ნეაპოლს გარბოდა.

თავზარდაცემულმა პაპმა პიუს VI ბონაპარტს მისწერა ვედრების წერილი, რომელიც თავის ძმისწულს, კარდინალ მატეის, გაატანა, მასთან დელეგაციაც გაგზავნა ზავის სათხოვნელად. გენერალი ბონაპარტი თხოვნას მოწყალედ მოეკიდა, თუმცა ერთბაშად აგრძნობინა, რომ სრულ დანებებას მოითხოვდა.

1797 წლის 19 თებერვალს ზავი დაიდო პაპთან ტოლენტინოში. პაპი თმობდა თავის სამფლობელოთა მეტად მნიშვნელოვან და ყველაზე მდიდარ ნაწილს, იხდიდა ოცდაათ მილიონ ოქროს ფრანკს, იძლეოდა თავისი მუზეუმების საუკეთესო სურათებსა და ქანდაკებებს. ეს სურათები და ქანდაკებანი რომიდან, ისე როგორც უფრო ადრე მილანოდან, ბოლონიიდან, მოდენიდან, პარმიდან, პიაჩენციდან, უფრო გვიან კი ვენეციიდან, ბონაპარტმა პარიზს გაგზავნა. უკიდურეს ზომამდე შეშინებული პაპი პიუს VI მყისვე დათანხმდა ყველა პირობას. ეს მით უფრო იოლი იყო, რომ ბონაპარტი მის თანხმობას სულაც არ საჭიროებდა.

რატომ მაშინვე არ გააკეთა ნაპოლეონმა ის, რაც რამდენიმე წლის შემდეგ ჩაიდინა? რად არ დაიკავა რომი, არ დააპატიმრა პაპი, არ წაიყვანა იგი საფრანგეთში? ეს, ჯერ ერთი, იმით აიხსნა, რომ ჯერ კიდევ წინ ედო საზავო მოლაპარაკება ავსტრიასთან, ხოლო პაპისადმი ძალზე მკაცრს საქ-

ციელს შეეძლო ცენტრალური და სამხრეთ იტალიის კათოლიკური მოსახლეობა აეღელვებინა და ამით მერყეევი ზურგი შეექმნა ნაპოლეონისათვის. მეორეც — ჩვენ ვიცით, რომ ამ პირველი ბრწყინვალე ომის დროს, როდესაც ბონაპარტი განუწყვეტლივ იმარჯვებდა მრისხანე ავსტრიის იმპერიის უზარმაზარ და მძლავრ არმიებზე, ახალგაზრდა გენერალს ერთი ძილგამკრთალი ღამე ჰქონდა, როდესაც ის ბოლთას სცემდა თავისი კარავის წინ და პირველად დაუსვა თავის თავს კითხვა, რომელიც მანამდე აზრად არ მოსვლია: ნუთუ მომავალშიც დირექტორიისათვის, "ამ ადეკატებისათვის" უნდა გავიმარჯვო და დავიპყრო ახალი ქვეყნებიო.

ბევრ წელს უნდა გაეელო და ბევრ სისხლსა და წყალს უნდა ჩაეარა მანამდე, სანამ ნაპოლეონი გვიამბობდა, თუ რა ფიქრებმა გაიტაცეს იგი ამ ღამის მარტოობის დროს. მაგრამ თავის თავისათვის მაშინ დასმულ კითხვას მან, რასაკვირველია, სრულიად უარყოფითი პასუხი გასცა. და 1797 წელს იტალიის ოცდარვა წლის დამპყრობი პიუს VI-ს თვლიდა არა შეშინებულ, მძრწოლარე, უძლურ მოხუცად, რომელსაც რაც გნებავს იმას უზამ: ნაპოლეონმა იცოდა, რომ პიუს VI სულიერი მბრძანებელი იყო მრავალი მილიონი ადამიანისა თვითონ საფრანგეთში, და ყველას, ვინც ამ მილიონებზე გაბატონებას ფიქრობდა, ჯერჯერობით, დრომდე, ანგარიში უნდა გაეწია მათი ცრუმორწმუნეობისათვის.

ნაპოლეონი ეკლესიას, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, უყურებდა როგორც საპოლიციო — სასულიერო იარაღს, რომელიც ხელს უწყობს ხალხის მასების მართვა-გამგებლობის საქმეს: მისი თვალსაზრისით, კათოლიკური ეკლესია, კერძოდ, განსაკუთრებით მოხერხებული და აქტიური იქნებოდა ამ მხრივ.

რაც სახელდობრ პაპობას შეეხება, მას ნაპოლეონი ეპყრობოდა როგორც წმინდაწყლის თვალთმაქცობას, რომელიც ისტორიულად შემუშავდა და განმტკიცდა თითქმის ორი ათასი წლის მანძილზე; იგი თავის დროზე რომის ეპისკოპოსებმა გამოიგონეს, მარჯვედ გამოიყენეს რა მათთვის ხელსაყრელი საშუალო საუკუნეების ადგილობრივი და ისტორიული პირობები. მაგრამ ნაპოლეონი არც პოლიტიკური თვალმაქცობის გამოყენებას თაკილობდა.

უნდა დამდგარიყო ისეთი დრო, როდესაც მხოლოდ და მხოლოდ შეუწყნარებლობით, დაცინვით, არაფრად ჩაგდებით, რისხვით უნდა გამოხატულიყო პაპისადმი ნაპოლეონის დამოკიდებულება და როდესაც პაპი ტყვედ აღმოჩნდებოდა. ასეც მოხდა. პაპის ნაცვლად რომს განაგებდა საფრანგეთის ჰუსართა გენერალი. მაგრამ რაც შემდგომ იმპერატორმა ნაპო-

ლეონმა ჩაიდინა, იმას ვერც ჩაიდენდა და არც მოისურვებდა 1797 წელს გენერალი ბონაპარტი. ქედმოხრილმა, შეშინებულმა პაპმა, რომელმაც თავისი საუკეთესო მიწები დაკარგა, ჯერჯერობით ეატიკანის სასახლე შეინარჩუნა.

ნაპოლეონი რომში არ შესულა, მან დაჩქარებით მოათავა საქმე პიუს VI-თან და უკანვე გაეშურა ჩრდილოეთ იტალიაში, სადაც ზავი უნდა დაედო დამარცხებულ ავსტრიასთან.

უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ლეობენის დროებითს ზავს, მის მომყოლ კამპო-ფორმიოს ზავსაც და საერთოდ ყველა დიპლომატიურ მოლაპარაკებას ბონაპარტი ყოველთვის საკუთარი შეხედულებით აწარმოებდა და პირობების შემუშავების დროსაც მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ მოსაზრებას იღებდა მხედველობაში. როგორ გახდა ეს შესაძლებელი? რატომ გაუდიოდა ეს? უწინარეს ყოვლისა აქ ძველი კანონი მოქმედებდა: "გამარჯვებულებს არ ასამართლებდნენ". რესპუბლიკის გენერლებს (საუკეთესოებს, როგორიც იყო მორო) ავსტრიელები სწორედ იმავე 1796 წელს და 1797 წლის დამდეგს ამარცხებდნენ რეინზე, ხოლო რეინის არმია მოითხოვდა და მოითხოვდა ფულს თავის შესანახად; თუმცა თავიდან კარგად იყო მოწყობილი.

ბონაპარტი თავის უდისციპლინო მაწანწალების ურდოთი, რომელიც მან მრისხანე და ერთგულ ჯარად გადააქცია, არაფერს ითხოვდა, პირიქით, მილიონობით ოქროს ფულსა და ხელოვნების სხვადასხვა ნაწარმოებს ჰგზავნიდა პარიზში, ეპყრობდა იტალიას, ურიცხვ ბრძოლაში ერთიმეორეზე ანადგურებდა ავსტრიის არმიებს, აიძულა ავსტრია ზავი ეთხოვა. რივოლის ბრძოლამ და მანტუის აღებამ, პაპის სამფლობელოთა დაპყრობამ — ბონაპარტის ამ უკანასკნელმა საგმირო საქმეებმა — ხომ საბოლოოდ უდავო გახადა მისი ავტორიტეტი.

ლეობენი ქალაქია შტირიაში, ავსტრიის პროვინციაში, რომელიც თავის ამ ნაწილში რაღაც ორას ორმოცდაათ კილომეტრით იქნება დაშორებული ვენის მისადგომს. მაგრამ იმისათვის, რომ თავისი ძალა-უფლება საბოლოოდ და ფორმალურად განემტკიცებინა ყოველივე იმაზე, რაც უკვე დაიპყრო იტალიაში და რის თავის ძალა-ულლებისათვის დამორჩილებასაც კიდევ მოისურვებდა სამხრეთში, ამასთანავე რათა ავსტრიელები იძულებული გაეხადა სერიოზული მსხვერპლი გაეღოთ შორეულ დასავლეთ გერმანიის საომარი მოქმედების ასპარეზზე, სადაც ფრანგებს მაინცდამაინც ბედი არ სწყალობდათ, საჭირო იყო რაიმე კომპენსაცია მაინც მიეცა ავსტრიისათვის.

ბონაპარტმა იცოდა, რომ თუმცა მისი ავანგარდი უკვე ლეობენთან იდგა, უკიდურესობამდე მიყვანილი ავსტრია გააფრთებით დაიცავდა თავს, და დრო იყო გაეთავებინა საქმე.

სად უნდა ეშოვნა ეს კომპენსაცია? ვენეციაში. მართალია, ვენეციის რესპუბლიკა სავსებით ნეიტრალური იყო და ყოველნაირად ცდილობდა არავითარი საბაბი არ მიეცა თავდასხმისათვის, მაგრამ ბონაპარტმა ასეთ შემთხვევებში სრულიად არ იცოდა უკან დახევა. მან პირველივე საბაბი გამოიყენა და დივიზია გაგზავნა იქ. ჯერ კიდევ სანამ ამ დივიზიას გაგზავნიდა, მან ლეიბონში დროებითი ზავი შეუკრა ავსტრიას სწორედ ამ საფუძვლებზე: ავსტრიელები უთმობდნენ ფრანგებს რაინის ნაპირებს და მთელს თავის სამფლობელოებს იტალიაში; რომლებიც ბონაპარტმა დაიკავა, ხოლო მათ ამის სამაგიეროდ ვენეციას შეპირდნენ.

სწორედ რომ ითქვას, ბონაპარტმა გადაწყვიტა გაეყო ვენეცია: ტბებზე მდებარე ქალაქი უნდა მისცემოდა ავსტრიას, ხოლო ვენეციის კონტინენტური სამფლობელოები — "ციზალპიურ რესპუბლიკას". ნაპოლეონმა გადაწყვიტა ეს რესპუბლიკა შეექმნა იტალიის იმ მიწების მთავარი მასისაგან, რომლებიც მას ჰქონდა დაპყრობილი. რა თქმა უნდა, ეს ახალი "რესპუბლიკა" ამიერიდან ფაქტიურად საფრანგეთის სამფლობელო იყო. შესასრულებელი-ღა იყო მცირე ფორმალობა: გამოეცხადებინათ ვენეციის დოჟისა და სენატისათვის, რომ მათმა სახელმწიფომ, რომელიც დამოუკიდებელი იყო თავისი დაარსების დღიდან, ე.ი. V საუკუნის შუა ხანებიდან, შეწყვიტა არსებობა, ვინაიდან იგი გენერალ ბონაპარტს დასჭირდა იმისათვის, რომ წარმატებით დაემთავრებინა თავისი დიპლომატიური კომბინაციები. ვენეციის გაყოფის გადაწყვეტილების შესახებ ნაპოლეონმა თავის მთავრობას, დირექტორიასაც კი მაშინ აცნობა, როდესაც ამ გადაწყვეტილების შესრულებას შეუდგა. "არ შეშიძლია თქვენი მიღება: თქვენ ხელი გაქვთ დასვრილი ფრანგულ სისხლში" — მისწერა მან ვენეციის დოჟს, რომელიც პატიებას იმუდარებოდა. აქ ის იგულისხმებოდა რომ ლიდოს რეიდზე ვიღაცამ ერთი ფრანგი კაპიტანი მოკლა.

ბონაპარტმა უბრძანა გენერალ ბარაგე დილიეს, ვენეცია დაიკავეო. 1797 წლის ივნისში ყველაფერი გათავებული იყო. ვაჭრების ამ განთქმულმა რესპუბლიკამ ცაშეტი საუკუნის შინაარსიანი დამოუკიდებელი ისტორიული ცხოვრების შემდეგ შეწყვიტა არსებობა.

1797 წლის მაისის საღამო იყო. საფრანგეთის არმიის მთავარსარდალ ბონაპარტს, რომელიც მაშინ მილანოში იმყოფებოდა, სასწრაფო შიკრიკი

მიუვიდა თავისი ხელქვეითი გენერლის ბერნადოტისგან ქალაქ ტრიესტი-დან. ეს ქალაქი უკვე ფრანგებს ჰქონდათ დაკავებული ბონაპარტის ბრძანებით. მისულმა შიკრიკმა პორტფელი გადასცა ბონაპარტს; ბერნადოტის მოხსენებაში განმარტებული იყო, თუ საიდან ჩაუვარდათ ხელში ეს პორტფელი. აღმოჩნდა, რომ პორტფელი ჩამოერთმიათ როიალისტ და ბურბონების აგენტ ვინმე გრაფ დანტრეგისათვის, რომელიც ფრანგთაგან თავის გადარჩენის მიზნით ვენეციიდან ტრიესტს გაქცეულიყო, მაგრამ იგი სწორედ აქ ჩავარდნოდა ხელში ბერნადოტს, რომელიც უკვე ქალაქში შევიდა.

სწორედ ამ პორტფელში აღმოჩნდა განსაცვიფრებელი დოკუმენტები. მაგრამ სანამ ამ დოკუმენტების შინაარსზე ვილაპარაკებდეთ, საჭიროა შემდეგი აღინიშნოს. პარიზში როიალისტთა ახალი შეთქმულება მზადდებოდა. ყველა კონტრრევოლუციურ დაჯგუფებაში როიალისტები ყველაზე უკეთ იყვნენ მოწყობილ-დარაზმულნი, აქტიურ დახმარებასა და სახსრებს იღებდნენ საზღვარგარეთიდან, მათ მხარეზე იყო სამღვდელოებაც. ამასთან 1797 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში დირექტორიის მდგომარეობა მეტისმეტად საშიში იყო. ხუთასთა საბჭოს ნაწილობრივი არჩევნები ყოველთვის აშკარა უპირატესობას ანიჭებდა მემარჯვენე, კონტრრევოლუციურ, ზოგჯერ გარკვეულ როიალისტურ ელემენტებსაც კი. თვით დირექტორიაშიც, რომელსაც კონტრრევოლუციის საფრთხე მოელოდა, ყოყმანი იყო. ბარტელემი და კარნო გადამჭრელ ღონისძიებათა წინააღმდეგნი იყვნენ; გარდა ამისა, ბარტელემი საერთოდ საიდუმლოდ თანაუგრძობდა ბევრ რასმე ამ დაწყებულ მოძრაობაში. დანარჩენი სამი დირექტორი — ბარასი, რებელი, ლარეველიერ-ლეპო — მუდამ თათბირობდნენ, მაგრამ ვერ ბედავდნენ რაიმე ღონისძიებისთვის მიემართათ მოსალოდნელი თავდასხმის თავიდან ასაცდენად.

ერთ-ერთი გარემოება, რომელიც მეტად აწუხებდა ბარასსა და მის ორ ამხანაგს, ის იყო, რომ 1795 წელს ჰოლანდიის დაპყრობით სახელგანთქმული გენერალი პიშეგრიუ ოპოზიციის ბანაკში აღმოჩნდა. იგი ხუთასთა საბჭოს პრეზიდენტად აირჩიეს, სახელმწიფოს უმაღლესი საკანონდებლო ხელისუფლების მეთაურად, და მასვე ჰპირდებოდნენ რესპუბლიკის "ტრიუმვირების" (ასე უწოდებდნენ სამ დირექტორს — ბარასს, ლარეველიერ-ლეპოს და რებელს) წინააღმდეგ მოსაწყობი თავდასხმის უზენაეს სამხედრო ხელმძღვანელობას.

ასეთი იყო საქმის ვითარება 1797 წლის ზაფხულში. ბონაპარტი რომ იტალიაში ომობდა, ფხიზლად აღევნებდა თვალყურს, თუ რა ხდებოდა პა-

რიზში. იგი ხედავდა, რომ რესპუბლიკას აშკარა საფრთხე მოელოდა. თვითონ ბონაპარტს რესპუბლიკა არ უყვარდა და ეს რესპუბლიკა მალე ჩაახშო, მაგრამ იგი სულაც არ აპირებდა ეს ოპერაცია ნაადრევად მოეხდინა და, რაც მთავარია, სულაც არ სურდა, რომ ეს საქმე სხვა ვინმესთვის ყოფილიყო სასარგებლო.

იტალიაში ყოფნისას ერთ უძოლო ღამეს ბონაპარტმა უკვე უთხრა თავის თავს, მე ყოველთვის როდი მიწერია მხოლოდ "ამ ადვოკატების" სასარგებლოდ გამარჯვებაო. მაგრამ მას უფრო ნაკლებად სურდა გამარჯვება ბურბონის სასარგებლოდ: მან მტკიცედ გადაწყვიტა მხოლოდ ბონაპარტის სასარგებლოდ გაემარჯვა ხოლმე. მასაც, ისევე როგორც დირექტორებს, აწუხებდა, რომ რესპუბლიკის მტერთა სათავეში იდგა ერთ-ერთი სახელგანთქმული გენერალი — პიშეგრიუ. ამ სახელს გადამწყვეტ მომენტში შეეძლო გზა-კვალი აებნია ჯარისკაცებისათვის. შეიძლებოდა ისინი პიშეგრიუს გაპყოლოდნენ სწორედ იმიტომ, რომ სწამდათ პიშეგრიუს გულწრფელი რესპუბლიკანიზმი და შეიძლებოდა ვერ მიმხვდარიყვნენ, თუ საით მიჰყავდა მას ისინი.

შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს, თუ რა უნდა ეგრძნო ბონაპარტს, როდესაც ტრიესტიდან სასწრაფოდ გამოუგზავნეს დაპატიმრებული გრაფის დანტრეგისათვის ჩამორთმეული სქელი პორტფელი და როდესაც ამ პორტფელში იპოვა პიშეგრიუს ღალატის, პრინც კონდეს აგენტ ფოშ-ბორელთან მისი საიდუმლო მოლაპარაკების უდავო დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც პირდაპირ მოწმობდნენ, რომ პიშეგრიუ დიდი ხანია ღალატობდა რესპუბლიკას, რომელსაც იგი ემსახურებოდა. მხოლოდ ერთმა პატარა უსიამოვნებამ ცოტათი დააყოვნა ამ ქაღალდის პირდაპირ პარიზს ბარასისათვის გაგზავნა. საქმე ის არის, რომ ერთ-ერთ ქაღალდში (ამასთანავე პიშეგრიუს გამტყუნებისათვის ყველაზე მნიშვნელოვან ქაღალდში) ბურბონების მეორე აგენტი მონგაიარი სხვათა შორის ამბობდა — მე ვიყავი იტალიაში ბონაპარტთან არმიის მთავარ ბანაკში და იმასთანაც ვცადე მოლაპარაკებაო. მართალია, ამ სრულიად უმნიშვნელო სტრიქონებს გარდა არაფერი იყო, მართალია, მონგაიარს რაიმე საბაბით მართლაც შეეძლო გამოცვლილი გვარით მისულიყო ბონაპარტთან, მაგრამ ბონაპარტმა გადაწყვიტა, რომ უკეთესი იქნებოდა ამ სტრიქონების მოსპობა იმისათვის, რომ არ შესუსტებულიყო პიშეგრიუს შესახებ შთაბეჭდილება. მან ბრძანა დანტრეგი მომგვარეთო და უბრძანა მას — აქვე გადაწერე დოკუმენტი, გამოტოვე არასაჭირო სტრიქონები და ხელი მოაწერე, თორემ შავ ღღეს დაგაყენებო. დანტრეგმა მყისვე შეასრულა ყველაფერი, რაც მოსთხოვეს,

და ცოტა ხნის შემდეგ იგი გაუშვეს (ე.ი. მოუწყვეს ისე, ვითომ დარაჯებს გაექცა). ამის შემდეგ დოკუმენტები ბონაპარტმა ბარასს გაუგზავნა, რომელმაც ისინი მიიღო კიდეც. ამით თავისუფალი მოქმედების საშუალება მიეცათ "ტრიუმვირებს". ერთბაშად როდი გამოაქვეყნეს შემაძრწუნებელი ქაღალდი, რომელიც მათ ბონაპარტმა ჩაუგდო ხელში, ჯერ განსაკუთრებით ერთგულ დივიზიებს მოუყარეს თავი, შემდეგ გენერალ ოჟეროს დაუცადეს, რომელიც ბონაპარტმა სასწრაფოდ მიავლინა იტალიიდან პარიზს დირექტორთა დასახმარებლად. გარდა ამისა, ბონაპარტმა აღუთქვა იტალიაში ახლადრეკვიზირებული ფულიდან სამ მილიონ ოქროს ფრანკს გამოგიგზავნით დირექტორიის საჰსრების გასაძლიერებლად მომავალ კრიტიკულ მომენტშიო.

1797 წლის 18 ფრუქტიდორს (4 სექტემბერს) ღამის სამ საათზე ბარასმა გასცა ბრძანება დაეპატიმრებინათ თავიანთი ზომიერების გამო საეჭვო ორი დირექტორი; ბარტელემი შეიპყრეს, კარნომ კი გაქცევა მოასწრო. დაიწყო როიალისტების მასობრივი დაპატიმრება, ხუთასთა საბჭოს და უხუცესთა საბჭოს წმენდა. დაპატიმრებას მოჰყვა როიალისტების გაუსამართლებლად გადასახლება გვიანაში (საიდანაც მაინცა და მაინც ბევრი აღარ დაბრუნებულა შემდგომ). დაიხურა გაზეთები, რომელთაც როიალიზმი დასწამეს, დაიწყო მასობრივი დაპატიმრება პარიზსა და პროვინციაში. 18 ფრუქტიდორის განთიადზე ყველგან გაკრული იყო ნაბეჭდი ვეებერთელა პლაკატები: ეს იყო დაბეჭდილი დოკუმენტები, რომელთა დედნები, როგორც ვთქვით, თავის დროზე ბონაპარტმა ბარასს გაუგზავნა. ხუთასთა საბჭოს თავმჯდომარე პიშერგიუ შეიპყრეს და ისიც გვიანაში გაგზავნეს. 18 ფრუქტიდორის ამ გადატრიალებას არავითარი წინააღმდეგობა არ გამოუწვევია.

პლებეების მასებს როიალიზმი უფრო სძულდათ, ვიდრე დირექტორია, და იმათ ახარებდათ ეს იერიში, რომელმაც დიდი ხნით გაანადგურა ბურბონთა დინასტიის საიდუმლო მომხრეები. "მდიდარი სექციები" კი ამჯერად ქუჩაში არ გამოსულან, მათ კარგად ახსოვდათ ვანდემიერის საშინელი გაკვეთილი, რომელიც 1795 წელს მისცა მათ არტილერიის საშუალებით ბონაპარტმა.

დირექტორიამ გაიმარჯვა. რესპუბლიკა გადარჩა, და ძლევამოსილი გენერალი ბონაპარტი იტალიიდან, —თავისი შორეული ბანაკიდან, მხურვალედ ულოცავდა დირექტორიას (რომელიც მან ორი წლის შემდეგ მოსპო) რესპუბლიკის (რომელიც მან შვიდი წლის შემდეგ მოსპო) ხსნას.

ბონაპარტი სხვა მხრივაც იყო კმაყოფილი 18 ფრუქტიდორის ამბებით. ლეობენის დროებითი ზავი, რომელიც 1797 წლის მაისში ავსტრიელებთან დაიდო, დროებით ზავადვე რჩებოდა. ავსტრიის მთავრობას ერთბაშად ზაფხულში მხნეობის ნიშნები დაეტყო, იგი თითქოს იმუქრებოდა კიდეც, და ბონაპარტმა მშვენივრად იცოდა, თუ რა იყო ამის მიზეზი: ავსტრია, ისევე როგორც მთელი მონარქიული ევროპა, სულგანაბული აღევნებდა თვალყურს იმ ამბებს, რაც პარიზში ხდებოდა.

იტალიაში მოელოდნენ, რომ დღეს არა ხვალ დაემხობოდა დირექტორია და რესპუბლიკა, დაბრუნდებოდნენ ბურბონები და ამიტომ საფრანგეთი დაკარგავდა ყველა დაპყრობილ ადგილს. 18 ფრუქტიდორს, როიალისტების განადგურების, პიშეგრიუს ღალატის საჯარო მხილების შემდეგ, ბოლო მოელო მთელ ამ ოცნებას.

გენერალი ბონაპარტი მეტად დაუინებით მოითხოვდა მალე მოეწერათ ზავზე ხელი. ავსტრიიდან ბონაპარტთან მოსალაპარაკებლად გაიგზავნა დახელოვნებული დიპლომატი კობენცლი. მაგრამ აი სწორედ ამაზე ითქმის — მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო. კობენცლი ხანგრძლივი და ძნელი მოლაპარაკების დროს შესჩიოდა თავის მთავრობას, იშვიათად შეხვდება კაცი ასეთ დავაქარს და ასეთ უსინდისო ადამიანს, როგორიც გენერალი ბონაპარტიაო.

აქ უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, გამომჟღავნდა ბონაპარტის დიპლომატიური ნიჭი, რომელიც, იმ ეპოქის მრავალი ისტორიკოსის აზრით, მის სამხედრო გენიას როდი ჩამოუვარდებოდა. იგი მხოლოდ ერთხელ აპყვა გააფთრებას, რაც შემდგომ, როდესაც იგი "ევროპის მბრძანებლად" გრძნობდა თავს, ხშირად ემართებოდა, მაგრამ ჯერჯერობით ახალი მოვლენა იყო. "თქვენ გავიწყდებათ, რომ საფრანგეთმა გაიმარჯვა, თქვენ კი დამარცხებული ხართ... თქვენ გავიწყდებათ, რომ აქ ჩემთან მოლაპარაკებას აწარმოებთ ჩემი გრენადერებით გარშემორტყმული!" — ყვიროდა ცოფმორეული ბონაპარტი. მან იატაკს დაანარცხა მაგიდა, სადაც იდგა კობენცლის მიერ მიტანილი ძვირფასი ფაიფურის ყავის სერვისი, რომელიც ავსტრიელ დიპლომატს რუსეთის იმპერიის დედოფალმა ეკატერინემ უძღვნა. სერვისი დაიმსხვრა. "იგი შეშლილივით იქცეოდა" — იტყობინებოდა ამის თაობაზე კობენცლი.

ბოლოს, 1797 წლის 17 ოქტომბერს, დაბა კამპოფორმიოში ხელი მოაწერეს ზავს საფრანგეთის რესპუბლიკასა და ავსტრიის იმპერიას შორის.

ბონაპარტმა მიაღწია თითქმის ყოველივე იმას, რასაც იგი დაუინებით მოითხოვდა იტალიაშიც, სადაც იგი იმარჯვებდა, გერმანიაშიც, სადაც ავ-

სტრიელები ჯერ კიდევ სრულად არ დაუმარცხებიათ ფრანგ გენერლებს. ვენეცია, როგორც ეს ბონაპარტს სურდა, გასამრჯელოდ მიიღო ავსტრიამ რაინზე დათმობილი ტერიტორიისათვის. მქუხარე ზეიმით შეეგება პარიზი ზავის ამბავს. ამჯერად მშრომელი მასებიც და ბურჟუაზიაც დიდ შეებას გრძნობდნენ. ყველას პირზე ეკერა გენიალური სამხედრო ბელადის სახელი. ყველას ესმოდა, რომ სხვა გენერლების მიერ რაინზე წაგებული ომი მარტო ბონაპარტმა მოიგო იტალიაში და ამით რაინიც გადარჩა. დაუსრულებრივ გაისმოდა იტალიის დამპყრობი ძლევამოსილი გენერლის ოფიციალური, ნახევრადოფიციალური და საკუთარი კერძო ნაბეჭდი თუ ზეპირი ქება დიდება. "ჰოი, თავისუფლების ძლიერო სულო! მარტო შენ შეგეძლო წარმოგეშვა... იტალიის არმია, წარმოგეშვა ბონაპარტი! ბედნიერო საფრანგეთო!" — შესძახა თავის სიტყვაში რესპუბლიკის ერთ-ერთმა დირექტორმა, ლარეველიერ-ლეპომ.

ამასობაში ბონაპარტი სახელდახელოდ ამთავრებდა ახალი ვასალური "ციზალპიური რესპუბლიკის" ორგანიზაციას, რომელშიც შეიტანა თავის მიერ დაპყრობილი მიწების ნაწილი (უწინარეს ყოვლისა ლომბარდია); თავის მიერ დაპყრობილი მიწების მეორე ნაწილი უშუალოდ შეუერთა საფრანგეთს. დასასრულ, მესამე ნაწილი (რომელშიც რომი შედიოდა) დროებით წინანდელ ხელმწიფეთა ხელში დატოვა, მაგრამ ფაქტიურად საფრანგეთს დაუმორჩილა. ბონაპარტმა ასე მოაწყო ეს "ციზალპიური რესპუბლიკა": მოსაჩვენებლად მოსახლეობის შეძლებული ფენების წარმომადგენელთა სათათბირო კრება უნდა არსებულიყო, მთელი ფაქტიური ძალაუფლება კი საფრანგეთის საოკუპაციო სამხედრო ხელისუფლებისა და პარიზიდან გაგზავნილი კომისრის ხელში უნდა ყოფილიყო. ყოველ ლაპარაკს ხალხთა განთავისუფლების შესახებ, მოძმე რესპუბლიკათა და სხვათა შესახებ ბონაპარტი უაღრესად გულახდილი ზიზღით ეპყრობოდა. მას სრულიად არ სჯეროდა, თითქოს იტალიაში იყო თუნდაც ცოტაოდენად მნიშვნელოვანი რაოდენობა ადამიანებისა, რომელნიც გამსჭვალულნი იყვნენ იმ ენთუზიაზმით თავისუფლებისადმი, რომელზედაც იგი თვითონ ლაპარაკობდა თავის მოწოდებებში დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობის მიმართ.

ევროპაში ოფიციალურად ვრცელდებოდა ვერსია იმის შესახებ, თუ როგორ თავისუფლდებოდა დიდი იტალიელი ხალხი ცრუმორწმუნეობასა და შევიწროებისაგან და უამრავი იტალიელი ისხამდა იარაღს განმათავისუფლებელი ფრანგების დასახმარებლად. ნამდვილად კი არა საზოგადოებისათვის, არამედ დირექტორიისათვის, აი რას იტყობინებოდა ბონაპარტი

საიდუმლოდ: "ჩემს არმიაში არ მოიპოვება არც ერთი იტალიელი, გარდა ქუჩებში მოკრებილი ათას ხუთასი არამზადისა, რომელნიც ძარცვავენ და არაფრის მაქნისი არ არიან..." და შემდეგ იგი ამბობს, რომ მხოლოდ ოსტატობით და "მკაცრი მაგალითების საშუალებით შეიძლება იტალია კაცმა ხელში იყოლიოსო. იტალიელებს კი უკვე ჰქონდათ შემთხვევა გაეგოთ, თუ სახელდობრ რას გულისხმობდა ბონაპარტი მკაცრი მაგალითების სახით. მან ბრძანა დაეხოცათ ქალაქ ლუგოს და ბინასკოს მოსახლეობა, — ჯარისკაცები ისე გულმოდგინედ იქცეოდნენ, რომ გაქალიტეს თითქმის მთელი მცხოვრებლები ბავშვებიანად, შემდეგ კი დაწვეს ქალაქი ბონაპარტის ბრძანების თანახმად. მან ბრძანა გაუსამართლებლად დაეხვრიტათ ქალაქ პავიის მთელი მუნიციპალიტეტი და მრავალი სხვა, ვინც სულაც არ ყოფილა მუნიციპალიტეტში, შემდეგ კი თავის ჯარისკაცებს გადასცა ქალაქი პავია, რომელთაც 24 საათის განმავლობაში შეეძლოთ საკუთარი ნებით დაუსჯელად და განუკითხავად ეძარცვათ ეს ქალაქი. იგი ბრძანებას იძლეოდა დაეწვათ ის სოფლები, რომლების ახლოსაც იპოვეს მოკლული ფრანგები.

ყველა ამ შემთხვევაში მოქმედებდა ნაპოლეონის საკუთარი გეგმახომიერი პოლიტიკა, რომელსაც იგი ყოველთვის მისდევდა: არც ერთი უმიზნო სიმკაცრე, ხოლო ყოველად დაუნდობელი მასობრივი ტერორი გაჩაღდეს, ზღვა სისხლი დაიღვაროს, დახოცილთა გორები დაიდგას, თუ ეს პოლიტიკურად მიზანშეწონილია. ასეთ შემთხვევაში დაკლებას გადამლაშება სჯობიაო.

დაპყრობილ იტალიაში მან მოსპო ფეოდალურ უფლებათა ყოველივე ნიშანწყალი, სადაც ეს უფლებები იყო; მან ზოგიერთი ბეგარის უფლება ჩამოართვა ეკლესიასა და მონასტრებს; იმ წელიწადნახევრის განმავლობაში (1796 წლის გაზაფხულიდან 1797 წლის შემოდგომის მიწურულამდე), იტალიაში რომ გაატარა, მან მოასწრო ზოგიერთი კანონდებულება შემოეღო, რომლებითაც ჩრდილოეთ იტალიის ცხოვრების სოციალურ-იურიდიული წყობა ბურჟუაზიული რევოლუციის მიერ საფრანგეთში შემუშავებულ წყობას უნდა მიახლოვებოდა. მაგრამ მან კარგად იცოდა, თუ სამაგიეროდ რა გულმოდგინედ და პირწმინდად გაძარცვა მთელი იტალიის მიწები, სადაც კი ფეხი დაადგა, მას ახსოვდა, თუ რამდენი მილიონი ოქრო გაუგზავნა დირექტორიას პარიზში და რამდენი საუკეთესო ნაწარმოები მიაყოლა პარიზსვე გაგზავნილ ოქროს მილიონებს იტალიის მუზეუმებიდან და სამხატვრო გალერიებიდან.

მას არც თავისი თავი დაუვიწყნია იმ ხელაღებით ძარცვის დროს, რომელიც იტალიაში მოაწყო: როცა ლაშქრობიდან დაბრუნდა, იგი მდიდარი

კაცი იყო. და მას ესმოდა, რომ, რაც უნდა მზდალი ყოფილიყვნენ (მისი აზრით) იტალიელები, ფრანგების (რომელთა არმიასაც ეს იტალიელები თავიანთი სახსრებით ინახავდნენ მთელი ხნის განმავლობაში) დიდი სიყვარული არ მართებდათ და რომ იტალიელთა მრავალმოთმინებასაც შეიძლებოდა დასდგომოდა უეცარი დასასრული. მაშასადამე, სამხედრო ტერორის მუქარა — აი მთავარი, რასაც შეუძლია მათზე მოახდინოს დაპყრობისათვის სასურველი გავლენა.

მას სურდა ჯერ კიდევ დაპყრობილ ქვეყანაში დარჩენილიყო, მაგრამ კამპო-ფორმიოს შემდეგ დირექტორია თავაზიანად, მაგრამ მეტად დაჟინებით ეპატიჟებოდა პარიზში. ახლა იგი დირექტორიამ დანიშნა იმ არმიის მთავარსარდლად, რომელსაც ინგლისის წინააღმდეგ უნდა ემოქმედა. ბონაპარტმა უკვე დიდი ხანია იგრძნო, რომ დირექტორიას ცოტა არ იყოს ეშინოდა მისი. "ისინი შურით მიყურებენ, ეს მე ვიცი, თუმცა გუნდრუკს კი მიკმევენ; მაგრამ ვერ გამაბრიყვებენ. მათ დააჩქარეს ინგლისის წინააღმდეგ მოქმედი არმიის გენერლად ჩემი დანიშვნა, რათა მოვეშორებინეთ იტალიიდან, სადაც უფრო მეფე ვარ, ვიდრე გენერალი". ამას ამბობდა იგი საიდუმლო საუბრის დროს.

1797 წლის 7 დეკემბერს იგი პარიზს ჩავიდა, 10 დეკემბერს კი ზეიმით მიიღო დირექტორიის მთელმა შემადგენლობამ ლუქსემბურგის სასახლეში. უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი სასახლესთან, მჭუხარე შეძახილებით და ტაშით მიეგებნენ ნაპოლეონს, როდესაც იგი სასახლესთან მივიდა. იმ სიტყვებს, რომლებითაც მას შეეგებნენ დირექტორიის უპირველესი წევრი ბარასიც, დირექტორიის სხვა წევრებიც, ცბიერი, ჭკვიანი და მექრთამე საგარეო საქმეთა მინისტრი ტალეირანი, რომლის გონებაც ყველაზე უფრო შორს ჭვრეტდა მომავალს, და დანარჩენი წარჩინებულნიც, აღფრთოვანებულ ხოტბა-შესხმას, ხალხის ღაღადისად მოედანზე — ყოველსავე ამას ოცდარვა წლის გენერალი სრულიად გარეგნული სიმშვიდით იღებდა, როგორც მართებულს, და ოდნავაც არ უკვირდა. გულში იგი ხალხის მასების აღფრთოვანებას განსაკუთრებულ ფასს აძლევდა. "ხალხი ასევითვე ფაციფუცით ამედევნებოდა მაშინაც, სახრჩობელაზე რომ მიეყავდეო" — თქვა მან ამ ოვაციის შემდეგ (რა თქმა უნდა, არა ყველას გასაგონად).

ბონაპარტი პარიზს მისელისთანავე შეუდგა ახალი დიდი ომის პროექტის გაყვანას დირექტორიაში, როგორც ინგლისის წინააღმდეგ სამოქმედოდ დანიშნულმა გენერალმა, გადაწყვიტა, რომ იყო ადგილი, საიდანაც უფრო წარმატებით შეიძლებოდა საფრთხე შეექმნათ ინგლისელებისათვის, ვიდრე ლამანშზე, სადაც იმათი ფლოტი საფრანგეთისაზე უფრო ძლი-

ერი იყო. მან წინადადება შეიტანა დაეპყროთ ეგვიპტე და შეექმნათ აღმოსავლეთში მისადგომები და პლაცდარმები ინდოეთში ინგლისის ბატონობისათვის შემდგომი საფრთხის შესაქმნელად. "ხომ არ გაგიჟებულა ეს კაცი"? — ბევრი ეკითხებოდა თავის თავს ევროპაში, როდესაც 1798 წლის ზაფხულში გაიგეს, თუ რაც მოხდა, ვინაიდან იმ დრომდე უსასტიკესი საიდუმლოებით იყო მოცული ბონაპარტის ახალი გეგმა და ამ გეგმის განხილვა დირექტორიის სხდომებზე 1798 წლის გაზაფხულამდე.

ეგვიპტის დაპყრობა და გალაშქრება სირიაში

(1798-1799)

ეგვიპტეში ლაშქრობას — ნაპოლეონის მეორე დიდ ომს — განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის ისტორიულ კარიერაში. ამ ცდას სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აგრეთვე საფრანგეთის კოლონიურ დაპყრობათა ისტორიაშიც.

მარსელისა და მთელი სამხრეთი საფრანგეთის ხელოვნურ ბურჟუაზიას დიდი ხანია მეტად ფართო და საფრანგეთის ეკონომიკისა და მრეწველობისათვის უაღრესად ხელსაყრელი ურთიერთობა ჰქონდა ლევანტის ქვეყნებთან*, სახელდობრ, ბალკანეთის ნახევარკუნძულის სანაპიროებთან, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი ნაწილის კუნძულებთან, არქიპელაგთან. XVIII საუკუნის დასასრულს გახშირდა სირიისა და ეგვიპტის ბუნებრივ სიმდიდრეთა მომხიბლავი აღწერები, აქ კარგი იქნებოდა კოლონიებისა და ფაქტორიების დაარსება*.

საფრანგეთის დიპლომატიას დიდი ხანია თვალი ეჭირა თურქეთის მიერ თითქოს სუსტად დაცული ლევანტის ქვეყნებისაკენ, რომლებიც ითვლებოდნენ კონსტანტინეპოლის სულთანის საფლობელოებად — ოტომანის პორტას მიწებად, როგორც მაშინ უწოდებდნენ თურქეთის მთავრობას.

საფრანგეთის მმართველი წრეები აგრეთვე დიდი ხანია უთვალთვალებდნენ ეგვიპტეს (რომელსაც აკრავს ხმელთაშუა ზღვაც და წითელი ზღვაც), როგორც ისეთ პუნქტს, საიდანაც მათ ადვილად შეეძლოთ დამუქრებოდნენ საფრანგეთის სავაჭრო და პოლიტიკურ მეტოქეებს ინდო-

ეთსა და ინდონეზიაში. ჯერ კიდევ ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი ლეიბნიცი თავის დროს მოხსენებით მიმართავდა ლუდოვიკო XIV და ურჩევდა საფრანგეთის მეფეს, რომ დაეპყრო ეგვიპტე და ამით ძირი გამოეთხარა ჰოლანდიელების მდგომარეობისათვის აღმოსავლეთში. ახლა, XVIII საუკუნის დასასრულს, უმთავრეს მტერს წარმოადგენდა არა ჰოლანდიელები, არამედ ინგლისელები, და ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ ნათელია, რომ საფრანგეთის პოლიტიკის ხელმძღვანელთ ბონაპარტი სულაც არ ჩაუთვლიათ შეშლილად, როცა მან წამოაყენა წინადადება ეგვიპტეზე თავდასხმის შესახებ, და სრულიად არ გაკვირვებიათ, როდესაც გულ-ცივი, ფრთხილი და სკეპტიკოსი, საგარეო საქმეთა მინისტრი ტალეირანი გადაჭრით მხარს უჭერდა ამ გეგმას.

ვენეციის დაპყრობისთანავე ბონაპარტმა უბრძანა ერთ-ერთ თავის ხელქვეით გენერალს, რათა მას დაეკავებინა იონიის კუნძულები და უკვე მაშინ ამბობდა, ამ კუნძულების დაპყრობა საჭიროა ეგვიპტის დაუფლებისათვისო. ჩვენს ხელთ არის სხვა უტყუარი ცნობებიც, რომლებიც ნათელყოფენ, რომ თავისი პირველი იტალიური კამპანიის მთელი ხნის განმავლობანი ბონაპარტი ეგვიპტეზე ფიქრობდა. ჯერ კიდევ 1797 წლის აგვისტოში ის თავის ბანაკიდან წერდა პარიზში: "უკვე შორს არ არის ის დრო, როდესაც ჩვენ ვიგრძნობთ, რომ ინგლისის ნამდვილად განადგურებისათვის ჩვენ უნდა დავიპყროთ ეგვიპტე". იტალიასთან ხანგრძლივი ომის განმავლობაში ბონაპარტი თავისუფალ დროს, ისე როგორც ყოველთვის, ბევრს და ხარბად კითხულობდა, და ჩვენ ვიცით, რომ მან გამოიწერა და წაიკითხა ვოლნიეს წიგნი ეგვიპტეზე და კიდევ რამდენიმე შრომა ამავე საგანზე.

იონიის კუნძულების დაკავების შემდეგ ის ისე უფრთხილდებოდა მათ, რომ, როგორც დირექტორიას სწერდა, არჩევანზე რომ მიმდგარიყო საქმე, მისი აზრით, უმჯობესი იქნებოდა ხელი აეღოთ ახლადდაპყრობილ იტალიაზე, ვიდრე იონიის კუნძულებზე. ამავე დროს, თუმცა ავსტრიელებთან საბოლოო ზავი ჯერ კიდევ არ იყო დადებული, ის დაჟინებით ურჩევდა დირექტორიას დაეკავებინა კუნძული მალტა. ყველა ეს კუნძული ხმელთაშუა ზღვაზე საჭირო იყო მისთვის როგორც ბაზა ეგვიპტეზე მომავალი თავდასხმის მოსაწყობად. ახლა კამპო-ფორმიოს შემდეგ, როდესაც ავსტრიასთან, — ყოველ შემთხვევაში, დროებით მაინც — საქმე გათავებული იყო და უმთავრეს მტრად ინგლისი რჩებოდა, ბონაპარტმა მთელი თავისი ძალღონე იქითკენ მიმართა, რათა დაერწმუნებნა დირექტორია, რომ მიეცა მისთვის ფლოტი და არმია ეგვიპტის დასაპყრობად. მას ყოველთვის იზიდავდა აღმოსავლეთი და იმ ხანებში იგი უფრო მეტად ფიქრობდა ალექ-

სანდრე მაკედონელზე, ვიდრე იულიოს კეისარზე ან კარლოს დიდზე, ან რომელიმე სხვა ისტორიულ გმირზე.

ცოტა უფრო გვიან, ეგვიპტის უდაბნოში მოგზაურობის დროს, ის ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად სინანულს გამოთქვამდა თანამგზავრებთან, რომ მეტად გვიან დაიბადა და უკვე არასგზით არ შეუძლია ალექსანდრე მაკედონელის მსგავსად (რომელმაც აგრეთვე დაიპყრო ეგვიპტე) აქვე გამოაცხადოს თავისთავი ღმერთად ან ღვთის ძედ. და უკვე სრულიად სერიოზულად ამბობდა შემდგომ, რომ ევროპა მცირეა და რომ ნამდვილ დიდ საქმეთა შესრულება ყველაზე უკეთ აღმოსავლეთში შეიძლება.

ეს მისი შინაგანი მისწრაფება ყველაზე მეტად შეესაბამებოდა იმას, რაც საჭირო იყო იმ დროს მისი შემდგომი პოლიტიკური კარიერის თვალსაზრისით. მართლაც, იმ უძილო ღამის შემდეგ იტალიაში, როცა მან გადაწყვიტა, რომ არა ღირს მუდამ მხოლოდ დირექტორიისათვის გაიმარჯვოს, მან გეზი აიღო იქითკენ, რომ უმაღლესი ხელისუფლება მის ხელთ ყოფილიყო. "მე უკვე აღარა მაქვს მორჩილების უნარი", აშკარად განაცხადა მან თავის შტაბში, როცა საზავო მოლაპარაკებას აწარმოებდა ავსტრიელებთან, ხოლო პარიზიდან კი მოდიოდა მისი გამაღიზიანებელი დირექტივები. მაგრამ დირექტორიის დამხობა ახლა, ე.ი. 1797-1798 წლის ზამთარში ან 1798 წლის გაზაფხულზე, ჯერ კიდევ შეუძლებელი იყო. ნაყოფი ჯერ კიდევ არ მომწიფებულიყო. ნაპოლეონმა კი ამ ხანებში თუ მორჩილების უნარი დაკარგა, მას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს სათანადო მომენტის მოთმინებით ლოდინის უნარი. დირექტორია ჯერ კიდევ საკმაოდ სახელგატეხილი არ იყო, ხოლო ის, ბონაპარტი, ჯერ კიდევ საკმაოდ არ გამხდარიყო არმიის საყვარელი და სათაყვანო კერპი, თუმცა სავსებით შეეძლო დანდობოდა იმ დიეზიებს, რომელთაც იტალიაში მეთაურობდა.

მას ჯერ კიდევ უნდა ეთმინა, და ყველაზე უმჯობესი იყო ეს დრო გამოეყენებინა ახალი ქვეყნების დაპყრობისათვის, ახალი ბრწყინვალე გამარჯვებებისათვის ფარაონების, პირამიდების ქვეყანაში, მიპყოლოდა ალექსანდრე მაკედონელის კვალს საძულველი ინგლისის ინდოეთის სამფლობელოებისათვის მუქარის შესაქმნელად.

ამ საქმეში უაღრესად ძვირფასი იყო ბონაპარტისათვის ტალეირანის დახმარება. თითქმის შეუძლებელია ტალეირანის რაიმე "ბრწამსზე" ლაპარაკი, მაგრამ ეგვიპტეში საფრანგეთის მდიდარი, აყვავებული, ეკონომიურად სასარგებლო კოლონიის შექმნის შესაძლებლობა მისთვის უდავო იყო. ტალეირანმა ამის შესახებ მოხსენება გააკეთა აკადემიაში ჯერ კი-

დეე მანამდე, სანამ ბონაპარტის განზრახვებს გაიგებდა. არისტოკრატი, რომელიც კარიერისტული მოსაზრებით რევოლუციური ბურჟუაზიის სამსახურში ჩადგა, ტალეირანი ამ შემთხვევაში იმ კლასის მისწრაფებას გამოხატავდა, რომელიც განსაკუთრებულად დაინტერესებული იყო საფრანგეთის ბურჟუაზიის ვაჭრობით ლევანტის ქვეყნებთან. ახლა ამას დაემატა ის გარემოებაც, რომ ტალეირანს სურდა მოეგო ბონაპარტის გული, — ბონაპარტისა, რომელიც ამ დიპლომატის გამჭრიახმა გონებამ ყველაზე ადრე მიიჩნია ფრანგი ხალხის მომავალ მბრძანებლად.

მაგრამ ბონაპარტსა და ტალეირანს დიდი შრომა არ დასჭირდათ, რომ დაერწმუნებინათ დირექტორია, რათა მას მიეცა თანხები, ჯარი და ფლოტი ამ შორეული და სახიფათო საქმისათვის. ჯერ ერთი (და ეს ყველაზე მნიშვნელოვანი იყო), დირექტორიას, ზემოაღნიშნული საერთო ეკონომიური და განსაკუთრებით სამხედრო-პოლიტიკური მოსაზრებით, სასარგებლოდ და მიზანშეწონილად მიაჩნდა ეს დაპყრობა; და მეორეც (ამას გაცილებით ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა), ზოგიერთ დირექტორს (მაგალითად, ბარასს) ამ შორეული და სახიფათო ექსპედიციაში მართლაც შეეძლო ერთგვარი სარგებლობა გაეთვალისწინებინა თავისათვის სწორედ იმის გამო, რომ იგი ასე შორეული და სახიფათო იყო...

ბონაპარტის უეცარი წარმოუდგენელი პოპულარობა მათ უკვე დიდი ხანია აშფოთებდა. ის რომ "მორჩილებას გადაეჩვია", ეს საფრანგეთის რესპუბლიკის დირექტორიამ უკეთ იცოდა; ვიდრე სხვა ვინმემ: ბონაპარტმა ხომ იმ სახით დადგა კამპო-ფორმიის საზავო ხელშეკრულება, როგორც თვითონ მოისურვა, დირექტორიის ზოგიერთი გარკვეული სურვილის წინააღმდეგ. მის პატივსაცემად რომ ზეიმი გაეართვა, 1797 წლის 10 დეკემბერს, მას თავი ეჭირა არა როგორც ახალგაზრდა მეომარს რომელიც მადლიერი გრძნობით ილებს ქებათა-ქებას, სამშობლოსაგან, არამედ როგორც ძველი რომის იმპერატორს, რომელსაც პირმოთნე სენატი ტრიუმფს უწყობს ომში გამარჯვების შემდეგ: იგი გულგრილი, თითქმის დაღვრემილი და მდუმარე იყო; ყველაფერს, რაც კი ხდებოდა, ის ისე ეღებოდა, როგორც რაიმე მართებულსა და ჩვეულებრივს. ერთი სიტყვით, მთელი მისი საქციელი აფიქრებდა და აღონებდა დირექტორიას. დეე წავიდეს ეგვიპტეში: თუ დაბრუნდება — ხომ კარგი, თუ არა და — ბარასი და მისი ამხანაგები უკვე წინასწარ მზად იყვნენ უდრტვინველად გადაეტანათ ეს დანაკლისი. ექსპედიციის მოწყობა გადაწყვეტილი იყო. მთავარსარდლად გენერალი ბონაპარტი დანიშნეს. ეს მოხდა 1798 წლის 5 მარტს.

დაუყოვნებლივ დაიწყო მთავრსარდლის უაღრესად გაცხოველებული მოღვაწეობა ექსპედიციის მომზადებისა, გემების დათვალიერებისა და საექსპედიციო კორპუსისათვის ჯარისკაცთა შერჩევისათვის. აქ კიდევ უფრო მეტად, ვიდრე იტალიის კამპანიის დასაწყისში, გამომჟღავნდა ნაპოლეონის ნიჭი — მეტისმეტად გრანდიოზულ და უძნელეს საქმეთა დაწყებისას ფზიზლად ედევნებინა თვალყური ყველა წვრილმანისათვის, კარგად გარკვეულიყო ყველა მათგანში — ერთსა და იმავე დროს დაენახა ხეებიც, ტყეცა და თითქმის ყოველი ტოტი ყოველ ხეზე.

ნაპოლეონი თვალყურს ადევნებდა და ამოწმებდა ნაპირებსა და ფლოტს, აყალიბებდა თავის საექსპედიციო კორპუსს, ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მსოფლიო პოლიტიკის ყოველგვარ ცვალებადობას და ყოველგვარ ხმებს ნელსონის ესკადრის გადანაცვლების შესახებ, რომელსაც შეეძლო ჩაეძირა იგი გადასვლის დროს, მაგრამ ჯერჯერობით კი საფრანგეთის ნაპირებთან მიმოცურაედა; ბონაპარტი ამავე დროს თითქმის თითო-თითოდ არჩევდა ეგვიპტისათვის ჯანისკაცებს, რომლებთანაც ერთად ომობდა იტალიაში. ის ინდივიდუალურად იცნობდა ჯარისკაცთა უმრავლესობას. მისი განსაკუთრებული მეხსიერება შემდგომაც მუდამ აკვირვებდა მის გარშემო მყოფთ. მან იცოდა, რომ ეს ჯარისკაცი მამაცი და მედგარია, მაგრამ ლოთია, ეს კი მეტად გონიერი და საზრიანია, მაგრამ მალე იღლება, რადგან თიაქარით დაავადებულია, ქანცგაწყვეტილია. ის არა მარტო უკანასკნელ ხანებში არჩევდა კარგად მარშლებს, არამედ კარგად არჩევდა აგრეთვე კაპრალებს და მოხერხებულად არჩევდა რიგით ჯარისკაცებს იქ, სადაც ეს საჭირო იყო. ხოლო ეგვიპტის ლაშქრობისათვის მცხუნვარე მზეში ომის წარმოებისათვის ორმოცდაათი გრადუსისა და კიდევ მეტი სიცხის დროს, გახურებულ თვალუწვდენელ ქვიშიან უდაბნოებში უწყლოდ და უჩრდილოდ გადასვლისათვის საჭირო იყო სწორედ ამტანობის მხრივ შერჩეული ადამიანები.

1798 წლის 19 მაისს ყველაფერი დამთავრებული იყო: ბონაპარტის ფლოტი ტულონიდან გავიდა. დაახლოებით სამასორმოცდაათ დიდსა და პატარა გემსა და ორჩხომელს, რომელზედაც მოთავსდა ოცდაათიათასიანი კაცისაგან შემდგარი არმია არტილერიითურთ, უნდა გაევლო თითქმის მთელი ხმელთაშუა ზღვა და თავიდან აეცილებინა ნელსონის ესკადრასთან შეხვედრა, რომელიც ყუმბარებს დაუშენდა და ჩაძირავდა მას.

მთელმა ევროპამ იცოდა, რომ რაღაც საზღვარ ექსპედიცია მზადდებოდა. ინგლისმა, გარდა ამისა, მშვენივრად იცოდა, რომ სამხრეთ საფრანგეთის ყველა ნავსადგურში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობდა,

რომ იქ განუწყვეტლივ მიდიოდა ჯარი, რომ ექსპედიციას გენერალი ბონაპარტი მეთაურობდა და რომ ეს დანიშვნა უკვე ამ საქმის უდიდესი მნიშვნელობის მაჩვენებელი იყო. მაგრამ სად უნდა წავიდეს ექსპედიცია? ბონაპარტმა მეტად ხელოვნურად გაავრცელა ხმა, რომ მას განზრახვა აქვს გაიაროს გიბრალტარი, შემოუაროს ესპანეთს და შემდეგ შეეცადოს გადასხდეს ირლანდიაში. ამ ხმამ ნელსონამდე მიაღწია და იგი მოტყუვდა. ნელსონი ნაპოლეონს გიბრალტართან უდარაჯებდა, როდესაც საფრანგეთის ფლოტი ნაესადგურიდან გაეიდა და პირდაპირ აღმოსავლეთისაკენ, მალტისაკენ წავიდა.

მალტა ჯერ კიდევ XVI საუკუნიდან მალტის რაინდთა ორდენს ეკუთვნოდა. გენერალი ბონაპარტი მიადგა კუნძულს, მოითხოვა მისი ჩაბარება, მიაღწია მიზანს, გამოაცხადა იგი საფრანგეთის რესპუბლიკის სამფლობელოდ და რამდენიმე დღის შეჩერების შემდეგ გასწია წინ, ეგვიპტისაკენ. მალტა დაახლოებით შუა გზაზე იყო, ნაპოლეონი მას მიადგა 10 ივნისს, ხოლო 19 ივნისს უკვე გზას განაგრძობდა.

30 ივნისს ბონაპარტი, რომელსაც ზურგის ქარი უწყობდა ხელს, მთელი თავისი არმიით მიადგა ეგვიპტის ნაპირს ქალაქ ალექსანდრიის მახლობლად. ის დაუყოვნებლივ შეუდგა ჯარის გადასხმას. მდგომარეობა საშიში იყო: ალექსანდრიაში მისვლისთანავე გაიგო, რომ სწორედ ორმოცდარვა საათის წინ მის მისვლამდე ალექსანდრიას მიადგა ინგლისის ესკადრა და ბონაპარტის შესახებ კითხულობდა (რომლის შესახებაც, რა თქმა უნდა, იქ არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ).

აღმოჩნდა, რომ ნელსონი, რომელმაც შეიტყო ფრანგების მიერ მალტის აღება და დარწმუნდა, რომ ბონაპარტმა იგი მოატყუა, დაუყოვნებლივ გაეშურა ეგვიპტისაკენ, რომ არ დაეშვა მათი ჯარის გადასხმა და ჯერ კიდევ ზღვაში ჩაეჭირა ფრანგები. მაგრამ მას ზიანი მიაყენა სწორედ მისმა გადაჭარბებულმა აჩქარებამ და ბრიტანეთის ფლოტის დიდმა სისწრაფემ: მან ჯერ სწორად განსაზღვრა, რომ ბონაპარტი მალტიდან ეგვიპტისაკენ წავიდა, მაგრამ კვლავ დაიბნა, როდესაც ალექსანდრიაში უთხრეს რომ იქ არავითარი ბონაპარტის შესახებ არაფერი არ გაუგონიათ, — და მაშინ ნელსონი სტამბულისაკენ გაეშურა, რადგან გადაწყვიტა, რომ ფრანგებს, რაკი ისინი ეგვიპტეში არ აღმოჩდნენ, სხვა მიმართულებით არ უნდა წასულიყვნენ.

ნელსონის შეცდომათა და შემთხვევათა ამ ჯაჭვმა გადაარჩინა საფრანგეთის ექსპედიცია. ნელსონს ყოველ წუთს შეეძლო უკან დაბრუნებუ-

ლიყო და ამიტომ ჯარის გადასხმა დიდი სისწრაფით ჩატარდა. 2 იელისს, ღამის პირველ საათზე, ჯარი უკვე ხმელეთზე იყო.

მოხვდა თუ არა თავის სტიქიონში ერთგული ჯარისკაცებითურთ, ბონაპარტს უკვე არაფრის არ ეშინოდა. მან დაუყოვნებლივ გაილაშქრა თავისი არმიით ალექსანდრიაზე (ჯარი გადასხა მეთევზეთა დაბა მარაბუში, ქალაქიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით).

ეგვიპტე ითვლებოდა თურქეთის სულთანის სამფლობელოდ, მაგრამ ფაქტიურად მას ფლობდა და მასზე ბატონობდა კარგად შეიარაღებული ფეოდალური ცხენოსანი ჯარის მმართველი ზედა ფენა. ცხენოსან ჯარს ეწოდებოდა მამელუკები, ხოლო მათ უფროსებს, ეგვიპტის საუკეთესო მიწაწყლის მფლობელებს, — მამელუკ ბეები. ეს სამხედრო-ფეოდალური არისტოკრატია ერთგვარ ხარკს აძლევდა სტამბოლის სულთანს, აღიარებდა მის უზენაესობას, მაგრამ ფაქტიურად ძლიერ ნაკლებად იყო მასზე დამოკიდებული.

ძირითადი მოსახლეობა — არაბები — მისდევდნენ ვაჭრობას (მათ შორის იყვნენ შეძლებული და მდიდარი ვაჭრებიც), ხელოსნობას, საქარავნო-სატრანსპორტო საქმეს, მიწათმოქმედებას. ყველაზე უფრო ცუდ, ყველაზე უფრო შევიწროებულ მდგომარეობაში იყვნენ კოპტები, ამ ქვეყანაში მცხოვრები ჯერ კიდევ წინანდელი, წინაარაბული ტომების ნაშთები. მათ საერთოდ "ფელახებს" (გლეხებს) უწოდებდნენ, მაგრამ ფელახები ეწოდებოდა აგრეთვე არაბული წარმოშობის გაღატაკებულ გლეხებსაც. ისინი მოჯამაგირეობდნენ, შავ მუშაობასა და აქლემთა გამყოლობას ეწეოდნენ, ზოგი მოხეტიალე მეწვრილმანეც იყო.

თუმცა ეს ქვეყანა სულთანის კუთვნილებად ითვლებოდა, ბონაპარტი, რომელმაც ხელით იგდო იგი, თავს სულ ისე აჩვენებდა, თითქოს ის თურქეთის სულთანს არც კი ეომებოდა, — პირიქით,სულთანთან მას თითქოს უდიდესი მშვიდობიანი და მეგობრული განწყობილება ჰქონდა, ხოლო ის იმიტომ მოვიდა, რომ გაენთავისუფლებინა არაბები (კოპტებზე არაფერს ამბობდა) იმ მამელუკ-ბეების ჩაგვრისაგან, რომლებიც თავისი ხარკებითა და სისასტიკით ჩაგრავდნენ მოსახლეობას. როდესაც ის ალექსანდრიისაკენ დაიძრა, რამდენიმე საათის სროლის შემდეგ აიღო იგი და ამ უდიდეს და მაშინდელ საკმაოდ მდიდარ ქალაქში შევიდა, იმეორებდა რა თავის მიერ შეთხზულ ტყუილს — მამელუკებისაგან განთავისუფლების შესახებ, მან მყისვე იწყო საფრანგეთის ბატონობის ხანგრძლივად დამყარება. მოსახლეობას, რომელიც მან "გაათავისუფლა", ის სრულ მორჩილებას ურჩევდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მკაცრი ზომებით ემუქრებოდა. ის ყო-

ველნაირად არწმუნებდა არაბებს სრული პატივისცემით ეპყრობი ყურანსა* და მაჰმადიანურ რელიგიასო.

ალექსანდრიაში რამდენიმე დღის ყოფნის შემდეგ ბონაპარტი სამხრეთისაკენ დაიძრა და უდაბნოში ღრმად შეეიდა. მისი ჯარი იტანჯებოდა თითქმის სრული უწყლობით: სოფლების მოსახლეობა თავზარდაცემული ტოვებდა საკუთარ სახლებს და გარბოდა, თანაც წამლავდა და აჭუჭყიანებდა ჭებს. მამელუკები ნელი ნაბიჯით იხევდნენ უკან და მხოლოდ იშვიათად აწუხებდნენ ფრანგებს, ხოლო შემდეგ თავისი საუცხოო ცხენებით მიქროდნენ და ემალებოდნენ მდევრებს.

1798 წლის 20 ივნისს ბონაპარტი, ბოლოს, პირამიდებთან შეხვდა მამელუკების მთავარ ძალებს. "ჯარისკაცებო! ორმოცი საუკუნე გიყურებთ თქვენ დღეს ამ პირამიდების თავიდან!" — უთხრა ნაპოლეონმა, მიმართა რა თავის არმიას ბრძოლის დაწყების წინ.

ბრძოლა წარმოებდა სოფელ ემბაბესა და პირამიდებს შუა. მამელუკებმა სრული მარცხი განიცადეს, მათ მიატოვეს თავიანთი არტილერიის ერთი ნაწილი (ორმოცი ზარბაზანი) და გაიქცნენ სამხრეთისაკენ. რამდენიმე ათასი კაცი ბრძოლის ველზე დარჩა.

ამ გამარჯვების შემდეგ ბონაპარტი მყისვე შეეიდა ქალაქ კაიროში, ეგვიპტის ამ მეორე დიდ ქალაქში. შეშინებული მცხოვრებნი მდუმარედ შეხვდნენ დამპყრობელს: მათ არა თუ არაფერი გაეგონათ ბონაპარტის შესახებ, არამედ ახლაც კი ვერ მიმხვდარიყვნენ, თუ ვინ იყო იგი, რისთვის მოსულიყო და ვის ეომებოდა.

კაიროში, რომელიც ალექსანდრიაზე უფრო მდიდარი იყო, ბონაპარტმა აუარებელი სურსათ-სანოვაგე იშოვნა. არმიამ დაისვენა თავისი მძიმე გადასვლების შემდეგ. მართალია, არასასიამოვნო იყო ის, რომ მცხოვრებნი მეტისმეტად დაშინებული იყვნენ და გენერალმა ბონაპარტმა ადგილობრივ ენაზე გადათარგმნილი სპეციალური მოწოდებაც კი გამოსცა, რომლითაც იგი მოსახლეობას დამშვიდებისაკენ მოუწოდებდა. მაგრამ რადგან მან ამავე დროს ბრძანებაც გასცა გაეძარცვათ და ცეცხლი წაეკიდებინათ კაიროს მახლობლად მდებარე სოფელი ალკამისათვის (ეს იყო სასჯელი რამდენიმე ფრანგი ჯარისკაცის მოკვლისათვის), არაბთა შიში კიდევ უფრო გაძლიერდა.

ამ შემაძრწუნებელ ბრძანებებს — ცეცხლი წაეკიდებინათ, მოსახლეობა ამოეჟლიტათ, დაუსჯელად ეძერცვათ ოცდაოთხ საათს, ორმოცდარვა საათს — ნაპოლეონი ამგვარ შემთხვევაში უყოყმანოდ იძლეოდა იტალიაშიც, ეგვიპტეშიც და ყველგან, სადაც კი ომობდა უკანას ნიო ხანებ-

ში, და მას ესეც საკვებით ჰქონდა გათვალისწინებული: მის ჯარს უნდა დაენახა, თუ რა საშინლად სჯის მათი უფროსი ყველას, ვინც კი გაბედავს ხელი ახლოს ფრანგ ჯარისკაცს.

მოეწყო თუ არა კაიროში, ბონაპარტი შეუდგა მმართველობის ორგანიზაციას. რომ არ შევეხოთ იმ წვრილმანებს, რომლებიც აქ უადგილო იქნებოდა, მე აღვნიშნავ მხოლოდ ყველაზე უფრო დამახასიათებელ თვისებებს: ჯერ ერთი, ყოველ ქალაქში, ყოველ სოფელში ძალა-უფლება მთლიანად საფრანგეთის გარნიზონის უფროსის ხელში უნდა ყოფილიყო; მეორე — ამ უფროსთან უნდა ყოფილიყო სათათბირო ორგანო — "დივანი", რომელიც შედგებოდა მის მიერვე დანიშნული ყველაზე წარჩინებულ და შეძლებულ ადგილობრივ მოქალაქეთაგან. მესამე — მაჰმადიანურ სარწმუნოებას სრული პატივისცემით უნდა მოპყრობოდნენ, ხოლო მეჩითები და სამღვდელოება ხელშეუხებლობით ისარგებლებდნენ; მეოთხე — კაიროში, თვითონ მთავარსარდალთან, უნდა ყოფილიყო აგრეთვე დიდი სათათბირო ორგანო, რომელშიაც შეეიდოდნენ არა მარტო ქალაქ კაიროს წარმომადგენლები, არამედ პროვინციებისაც.

ხარჯებისა და გადასახადების აკრეფა მოწესრიგებული უნდა ყოფილიყო, ნატურით მიწოდება ისე უნდა მოეწყოთ, რომ ამ ქვეყანას თავის ხარჯზე შეენახა საფრანგეთის არმია. ადგილობრივ უფროსებს თავიანთ სათათბირო ორგანოებთან ერთად უნდა დაემყარებინათ ჯეროვანი პოლიტიკური წესრიგი, დაეცვათ ვაჭრობა და კერძო საკუთრება. ყველა საადგილმამულო გადასახადი, რომელსაც მამელუკ-ბეები იხდიდნენ, გაუქმებულ იქნა. სამხრეთისაკენ გაქცეულ ურჩ და ომის განმგრძობ ბეებს ჩამოერთვათ ადგილ-მამულები და საფრანგეთის ხაზინას გადაეცა.

ყველაფერ ამაზე უნდა განეშტიკცებინა საფუძვლები უცილობელი სამხედრო დიქტატურისა, რომელიც ცენტრალიზირებული იყო ბონაპარტის ხელში და უზრუნველყოფდა მის მიერ შექმნილ ამ ბურჟუაზიულ წეს[illegible]

დაამყარა თუ არა ახალი პოლიტიკური რეჟიმი [illegible] ში, ბონაპარტი შეუდგა მზადებას შემდგომი ლაშქრობისათვის — [illegible] ტელან სირიაში შეჭრისათვის.

მეცნიერები, რომლებიც[illegible] ყვანა საფრანგეთიდან, გადაწყვეტა არ წაეყვანა სირიაში და ეგვიპტეში დაეტოვებინა. უნდა ითქვას, რომ ეგვიპტოლოგიის ისტორიაში ბონაპარტის ლაშქრობამ უდიდესი როლი ითამაშა. მას თან მოჰყვნენ მეცნიერნი, რომლებმაც, შეიძლება ითქვას, პირველად აღმოაჩინეს მეცნიერებისათვის კაცობრიობის ცივილიზაციის ეს ძველთა ძველი ქვეყანა. ბონაპარტი იმდენად უსაზღვრო ცოდნისმოყვარული გო-

ნებით იყო აღჭურვილი, რომ თანაგრძობითა და ყურადღებით ეპყრობოდა თავის მეცნიერ თანამგზავრებს, რომლებიც თან წაიყვანა ამ ექსპედიციაში. თვით მისი ცნობილი ბრძანებაც კი მამელუკებთან ერთი ბრძოლის დაწყების წინ: "ვირები და მეცნიერები შუაში!" — სწორედ მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ მას სურვილი ჰქონდა საფრთხე აეშორებინა უწინარეს ყოვლისა ლაშქრობაში უძვირფასეს სასაჰალნე ცხოველებთან ერთად მეცნიერების წარმომადგენლებისთვისაც. სიტყვების ასე მოულოდნელი შეხვედრა მოხდა მხოლოდ და მხოლოდ მოკლე ბრძანების გაცემის აუცილებლობის გამო.

ჯერ კიდევ სირიის ლაშქრობამდე ბონაპარტს ბევრჯერ ჰქონია შემთხვევა დარწმუნებულიყო იმაში, რომ ყველა არაბი სრულიადაც არ არის აღფრთოვანებული "მამელუკების ტანჯვა-წამებისაგან განთავისუფლებით", რის შესახებაც ლაპარაკობდა განუწყვეტლივ თავის მოწოდებებში ფრანგი დამპყრობელი. ფრანგებს საკმაო სურსათ-სანოვაგე მოეპოვებოდათ, რაკი მოაწყვეს სწორად მოქმედი, მაგრამ მოსახლეობისათვის მეტად სამძიმო სარეკვიზიციო და საგადასახადო მანქანა, მაგრამ ლითონის ფული მათ ნაკლებად მოიპოვეს და მის მოსაპოვებლად გამოყენებულ იქნა ხვა საშუალებანი.

ბონაპარტის მიერ ალექსანდრიის გენერალ-გუბერნატორად დატოვებულმა გენერალმა ჟლებერმა დააპატიმრა ამ ქალაქის წინანდელი შეიხი, მეტად მდიდარი ხიდი-მოჰამედ ელ-ყორაიმი, რომელსაც ყოველად უსაბუთოდ ბრალი დასდეს სახელმწიფო ღალატში. ელ-ყორაიმი ბადრაგის თანხლებით გაგზავნეს კაიროში, სადაც გამოუცხადეს, რომ თუ ხურს თავი ეხსნას, უნდა გადახადოს ხამსი ათასი ფრანკი ოქროთი. ელ-ყორაიმს, მისდა საბედნიეროდ, ბედისწერა სწამდა. "თუ სიკვდილი მიწერია ახლა, ვერაფერი ვერარ მიხსნის, მაშასადამე ჩემს პიასტრებს უსარგებლოდ გადავყრი, ხოლო თუ სიკვდილი არ მიწერია, რად უნდა მივცე ეს ფული?"

გენერალმა ბონაპარტმა ბრძანა მოეკვეთათ თავი ელ-ყორაიმისათვის და ეტარებინათ კაიროს ყველა ქუჩაში წარწერით: "ასე დაისჯება ყველა მოღალატე და ფიცის გამტეხი". სიკვდილით დასჯილი შეიხის მიერ გადამალული ფული, მიუხედავად დიდი ძებნისა, ვერ იპოვეს. სამაგიეროდ რამდენიმე მდიდარმა არაბმა ყველაფერი დათმო, რაც კი მათ მოსთხოვეს, და უმოკლეს ხანში ელ-ყორაიმის დასჯის შემდეგ შეგროვებულ იქნა ამ გზით დაახლოებით ოთხი მილიონი ფრანკი, რომელიც საფრანგეთის არ-

მიის ხაზინაში შევიდა. უფრო უბრალო ადამიანებს ხომ მით უმეტეს უცერემონიოდ ეკიდებოდნენ.

1798 წლის ოქტომბრის დასასრულს საქმე კაიროში იქამდე მივიდა, რომ აჯანყება სცადეს. საოკუპაციო არმიის რამდენსამე ჯარისკაცს აშკარად დაესხნენ თავს და იქვე მოკლეს. აჯანყებულნი სამი დღის განმავლობაში იცავდნენ თავს რამდენსამე უბანში. აჯანყება ულმობლად ჩაქრეს. გარდა უამრავი არაბისა და ფელახის დახოცვისა თვით აჯანყების ჩაქრობის დროს, უკვე დამშვიდების შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში ზედიზედ წარმოებდა სიკვდილით დასჯა. დღეში 12-30 კაცს სჯიდნენ.

კაიროს აჯანყებამ გამოიხატა ჰპოჯა მახლობელ სოფლებშიაც. გენერალმა ბონაპარტმა, როგორც კი გაიგო პირველივე აჯანყების შესახებ, უბრძანა თავის ადიუტანტ კრუაზიეს წასულიყო იქ, ალყა შემოერტყა მთელი ტომისათვის და ამოეწყვიტა ყველა მამაკაცი უკლებლივ, ქალები და ბავშვები კაიროში მოეყვანა,თვით სახლები კი, სადაც ეს ტომი ცხოვრობდა, გადაეწვა. ეს ზუსტად შესრულდა. ბევრი ბავშვი და ქალი, რომლებსაც ფეხით მოერეკებოდნენ, გზაში მოკვდა. რამდენსაგე საათში ამ დამსჯელი ექსპედიციის შემდეგ კაიროს მთავარ მოედანზე გაჩნდნენ ტომრებით დატვირთული ვირები. გახსნეს თუ არა ტომრები, მოედანზე დაგორდა დამბაჯაღე ტომის დასჯილ მამაკაცთა თავები.

ამ მზეცურმა ზომებმა, მნახველთა რწმუნებით, მოსახლეობა დროებით საშინლად დააშინა.

ამავე დროს ბონაპარტს ანგარიში უნდა გაეწია მისთვის მეტად საშიში ორი გარემოებისათვის. ჯერ ერთი, უკვე დიდი ხანია (ეგვიპტეში არმიის გადასახმის დღიდან სწორედ ერთი თვის შემდეგ) ადმირალმა ნელსონმა იპოვა, ბოლოს-ბოლოს, საფრანგეთის ესკადრა, რომელიც აბუკირში იდგა, თავს დაესხა მას და სრულიად გაანადგურა. ფრანგი ადმირალი ბრიუი ბრძოლაში დაიღუპა. ამნაირად, არმია, რომელიც ეგვიპტეში იბრძოდა, დიდი ხნით მოწყვეტილი აღმოჩნდა საფრანგეთისაგან. მეორეც — თურქეთის მთავრობამ გადაწყვიტა არავითარ შემთხვევაში არ დაეჭირა მხარი ბონაპარტის მიერ მოჩმახულ და გავრცელებულ ცნობისათვის, თითქოს იგი სრულიადაც არ ეომებოდა ოტომანის პორტას, არამედ სჯიდა მხოლოდ მამელუკებს ფრანგი ვაჭრებისათვის მიყენებული შეურაცხყოფისა და არაბთა ჩაგვრისათვის.

სირიაში გაგზავნილ იქნა თურქეთის არმია.

ბონაპარტი ეგვიპტიდან სირიისაკენ დაიძრა, თურქების შესახვედრად. გააფრთებული სისასტიკენი ეგვიპტეში იმიტომ იყო საჭირო მისთვის, რომ ხავსებით უზრუნველეყო ზურგი ახალი ლაშქრობის დროს.

წირიაში ლაშქრობა საშინლად ძნელი იყო; განსაკუთრებით წყლის ნაკლებობის გამო. ქალაქები, დაწყებული ელ-არიშიდან, ზედიზედ ბარდებოდა ბონაპარტს. გადალახა თუ არა ხუეცის ყელი, ის იაფისაკენ დაიძრა და 1799 წლის 4 მარტს შემოარტყა ალყა, მაგრამ ქალაქი არ ნებდებოდა.

ბონაპარტმა ბრძანება გასცა გამოეცხადებინათ იაფას მოსახლეობისათვის, რომ თუ ქალაქი იერიშით იქნებოდა აღებული, მთელს მოსახლეობას გაჟლეტდნენ, ტყვედ არავის წაიყვანდნენ. იაფა არ დანებდა. 6 მარტს მიტანილ იქნა იერიში და, როდესაც ქალაქში შეიჭრნენ, ჯარისკაცები შეუდგნენ ყველას ხოცვა-ჟლეტას, ვინც ხელთ უვარდებოდა. ნებადართული იყო სახლებისა და ღუქნების ძარცვა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც ხოცვა-ჟლეტა და ძარცვა-გლეჯა მთავრდებოდა, გენერალ ბონაპარტს მოახსენეს, რომ ჯერ კიდევ დარჩენილი ოთხი ათასი თურქი ჯარისკაცი, წარმოშობით მეტწილად არნაუტები და ალბანელები, ჩაიკეტა ერთ ვრცელ, ყოველი მხრით შემოხღუდულ ადგილას და როდესაც ფრანგი ოფიცრები მიუახლოვდნენ და წინადადება მისცეს დანებებოდნენ, ამ ჯარისკაცებმა განუცხადეს მათ, რომ ისინი მხოლოდ მაშინ დანებდებიან, თუ სიტყვას მიიღებენ, რომ მათ სიცოცხლეს შეუნარჩუნებენ, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში თავს დაიცავენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. ფრანგმა ოფიცრებმა სიტყვა მისცეს, რომ მათ ტყვედ წაიყვანდნენ, თურქები გამოვიდნენ სიმაგრიდან და იარაღი ჩაბარეს. ტყვეები ფრანგებმა ფარდულში ჩაკეტეს.

გენერალი ბონაპარტი ყველა ამის გამო ძლიერ განრისხდა. მისი აზრით, სრულიად ზედმეტი იყო ასეთი სიტყვის მიცემა თურქებისათვის.

"რა უნდა ვუყოთ ახლა მათ? — ყვიროდა ის. — სად მაქვს იმდენი სურსათ-სანოვაგე, რომ ესენი ვკვებო?" ფრანგებს არც გემები გააჩნდათ, რომ ზღვით გაეგზავნათ ესენი იაფიდან ეგვიპტეში, და არც საკმაოდ თავისუფალი ჯარი მოეპოვებოდათ, რომ გაეყოლებინათ ესენი მცველად ოთხ ათასი რჩეული, ძლიერი [illegible] ბონაპარტს. სირიასა და ეგვიპტის ყველა უდაბნოს გაავლო, ალექსანდრიამდე [illegible] კაირომდე.

ნაპოლეონმა ერთი [illegible] ჯერ შეეძლო შეფერებულიყო იმ საშინელებაზე, რაც მან გადაწყვიტა — ის სამ დღეს მერყეობდა, მეოთხე დღეს კი მაინ დანებების შემდეგ ბრძანება გასცა ყველა ესენი დაეხვრიტათ. ოთხი ათასი ტყვე ზღის პირას გაიყვანეს და იქ ყველანი დახვრიტეს.

ამის შემდეგ ბონაპარტმა მყისვე გასწია წინ, აკრის სიმაგრისაკენ, ანუ, როგორც მას ფრანგები ეძახიან, სენ-ჟან დაკრისაკენ. დაყოვნების დრო არ იყო: შავი ჭირი ფეხდაფეხ მისდევდა საფრანგეთის არმიას, და იაფაში დარ-

ჩენა, სადაც სახლებშიაც, ქუჩებშიაც, სახურავებზედაც, სარდაფებშიაც, ბაღებშიაც და ბოსტნებშიაც დახოცილი მოსახლეობის აუკრეფელი გვამი იხრწნებოდა, ჰიგიენური თვალსაზრისით უაღრესად საშიში იყო.

აკრის გარემოცვა სრულ ორ თვეს გაგრძელდა და მარცხით დამთავრდა. ბონაპარტს საალყო არტილერია არ მოეპოვებოდა. თავდაცვას ინგლისელი სიდნეი სმიტი ხელმძღვანელობდა, ზღვით აწვდიდნენ თურქებს ინგლისელები სურსათ-სანოვაგესაც და იარაღსაც: თურქების გარნიზონი დიდი იყო. 1799 წლის 20 მაისს ბონაპარტი იძულებული გახდა მოეხსნა ალყა; ალყის განმავლობაში ფრანგებმა სამი ათასი კაცი დაკარგეს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ გარემოცულებს კიდევ უფრო მეტი დაკლდათ. ამის შემდეგ ფრანგები ეგვიპტეში დაბრუნდნენ.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ნაპოლეონი მუდამ (თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე) განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა ამ მარცხს. სიმაგრე აკრი, დედამიწის ის უკანასკნელი, ყველაზე უკედურესი აღმოსავლეთის წერტილი იყო, რომლის მიღწევაც მას მოუხდა. ის ფიქრობდა დიდი ხნით დარჩენილიყო ეგვიპტეში, უბრძანა თავის ინჟინრებს გამოეკვლიათ სუეცის არხის გათხრის ცდების ძველის ძველი კვალი და შეედგინათ მომავალი მუშაობის გეგმა ამ დარგში.

ჩვენ ვიცით, თუ რას სწერდა იგი მაისორის სულთანს, რომელიც სწორედ მაშინ ეომებოდა ინგლისელებს (სამხრეთ ინდოეთში) და რა დახმარებას ჰპირდებოდა მას. მას სპარსეთის შახთან ურთიერთობისა და შეთანხმების გეგმებიც ჰქონდა. წინააღმდეგობამ აკრში, და რაც მთავარია, ახალი მაშველი ჯარის მიღების შეუძლებლობამ საკომუნიკაციო ხაზის გაგრძელების გამო, შემაშფოთებელმა ხმებმა ზურგში სირიის იმ სოფლების აჯანყების შესახებ, რომლებიც ელ-არიშსა და აკრს შუა მდებარეობდნენ, — ყველაფერმა ამან ბოლო მოუღო ბონაპარტის ოცნებას ხირიაში მიწიბატონობის დამკვიდრების შესახებ.

დაბრუნებისას გასავლელი გზა კიდევ უფრო მძიმე იყო, ვიდრე შეტევის დროს, იმიტომ რომ უკვე მაისის დასასრული იყო და ახლოვდებოდა ივნისი, როდესაც ამ ადგილებში ისედაც საშინელი სიცხე აუტანლად ძლიერდება. ბონაპარტი ცოტა ხნით ჩერდებოდა, რათა ისევე სასტიკად, როგორც ამას ყოველთვის ჩადიოდა, დაესაჯა სირიის სოფლები.

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ სირიიდან ეგვიპტეში უკან დაბრუნებისას ამ მძიმე გზის გავლის დროს მთავარსარდალი ამ ლაშქრობის ყველა სიძნელეს იზიარებდა და არავითარ უპირატესობას არ აძლევდა არც თავის ბავს და არც თავის უმაღლეს ხელქვეითებს.

შავი ჭირი სულ უფრო და უფრო მატულობდა. ჭირიანებს იქვე ტოვებდნენ, მაგრამ დაჭრილები და სხვა სენით დაავადებულები თან მიჰყავდათ. ბონაპარტმა ბრძანა ყველა ჩამოქვეითებულიყო, ხოლო ცხენები, ყველა ოთხთვალა და ეკიპაჟი ავადმყოფებისა და დაჭრილებისათვის დაეთმოთ. როდესაც ამ განკარგულების შემდეგ საჯინიბოს მთავარმა გამგემ, რომელიც დარწმუნებული იყო იმაში, რომ მთავარსარდლისათვის გამონაკლისი უნდა დაეშვა, ჰკითხა, რომელი ცხენი დაეტოვებინა მისთვის, ბონაპარტი საშინლად გააფრთდა, წკეპლა გადაუჭირა სახეზე და შეჰყვირა: "ყველანი ფეხით უნდა წავიდეს! მე პირველი წავალ! განა ბრძანება არ იცით? გაეთრიეთ აქედან!"

ამგვარი საქციელისათვის ჯარისკაცებს ნაპოლეონი უფრო მეტად უყვარდათ და სიბერის დროს უფრო ხშირად იგონებდნენ, ვიდრე ყველა მისი გამარჯვებისა და დაპყრობისათვის. ეს მან ძლიერ კარგად იცოდა და ასეთ შემთხვევაში არასოდეს არ მერყეობდა. მის მეთვალყურეთაგან არავის არ შეეძლო შემდგომ გადაეწყვიტა, რა წარმოადგენდა აქ უშუალო მოძრაობას და რა იყო წინასწარ მოფიქრებული და გათამაშებული. შესაძლებელი იყო ერთსა და იმავე დროს ყოფილიყო ერთიცა და მეორეც, როგორც ეს სჩვეულებრივ დიდ აქტიორებს.

ნაპოლეონი კი აქტიორობაშიც დიდი აღმოჩნდა, თუმცა მისი მოღვაწეობის განთიადისას, ტულონსა, იტალიასა და ეგვიპტეში მისი ეს თვისება თვალსაჩინო გახდა ჯერ მხოლოდ მეტად რამდენიმესთვის, მხოლოდ უაღრესად შორსმჭვრეტელთათვის ყველაზე უფრო ახლობელთაგან. მის ახლობელთა შორის კი მაშინ შორსმჭვრეტელები ძლიერ ნაკლებად მოიპოვებოდნენ.

1799 წლის 14 ივნისს ბონაპარტის არმია კაიროში დაბრუნდა. მაგრამ თუ მთელ არმიას არა, მის მთავარსარდალს მაინც არ ეწერა კიდევ დიდხანს დარჩენილიყო მის მიერ დაპყრობილ და დამორჩილებულ ქვეყანაში.

ბონაპარტმა ვერც კი მოასწრო დაესვენა კაიროში, რომ მოვიდა ცნობა: აბუკირის მახლობლად, იქ, სადაც ერთი წლის წინათ ნელსონმა საფრანგეთის ტრანსპორტები გაანადგურა, ეგვიპტის გასათავისუფლებლად გამოგზავნილი თურქეთის არმია გადმოსხდაო. მან მყისვე გაილაშქრა თავისი ჯარითურთ კაიროდან და და გაემართა ჩრდილოეთისაკენ, ნილოსის დელტისაკენ. 25 ივნისს ის თავს დაესხა თურქეთის არმიას და გაანადგურა იგი. თითქმის მთელი თხუთმეტი ათასი თურქი გაჟლიტეს ადგილობრივ. საფრანგეთის მიერ მოპოვებული გამარჯვება ამით თითქოს სავსე-

ბით განმტკიცებული უნდა ყოფილიყო უახლოესი წლების განმავლობაში.

თურქების უმნიშვნელო ნაწილმა თავს უშველა ინგლისის გემებით. ზღვა წინანდებურად ინგლისელებს ეკავათ, მაგრამ ეგვიპტეში ძალა-უფლება უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ბონაპარტის ხელთ იყო.

და აქ მოხდა უეცარი, ყველასათვის მოულოდნელი ამბავი. მრავალი თვის განმავლობაში ევროპასთან ყოველგვარ ურთიერთობას მოწყვეტილმა ბონაპარტმა მის ხელში შემთხვევით ჩავარდნილი გაზეთებით შემაძრწუნებელი ახალი ამბები გაიგო. მან გაიგო, რომ სანამ იგი ეგვიპტეს იპყრობდა, ავსტრიამ, ინგლისმა, რუსეთმა და ნეაპოლის სამეფომ ომი განაახლა საფრანგეთის წინააღმდეგ, რომ სუვოროვი იტალიაში გამოჩნდა, დაამარცხა ფრანგები, მოსპო "ციზალპიური რესპუბლიკა", მიისწრაფვის ალპებისაკენ და იმუქრება საფრანგეთში შეჭრას. თვით საფრანგეთში ძარცვაგლეჯა, ამბოხება და სრული რღვევაა. დირექტორია უმეტესობას ეჯავრება, იგი სუსტი და დაბნეულია.

"არამზადები! იტალია უკვე დაკარგულია! ჩემს გამარჯვებათა ყველა ნაყოფი დაკარგულია! მე უნდა წავიდე" — თქვა მან, როგორც კი წაიკითხა გაზეთები.

გადაწყვეტილება მყისვე მიღებულ იქნა. მან არმიის უზენაესი სარდლობა გენერალ კლებერს გადასცა, ბრძანება გასცა სასწრაფო წესითა და უაღრესი საიდუმლოებით გამოეწყოთ ოთხი გემი, ჩასხა შიგ მის მიერვე შერჩეული დაახლოებით ხუთასი კაცი, და 1799 წლის 23 აგვისტოს გაემგზაერა საფრანგეთს, ხოლო კლებერს დაუტოვა კარგად მომარაგებული არმია, წესიერად მოქმედი (თვით მის მიერ შექმნილი) ადმინისტრაციული და საგადასახადო აპარატი და უდიდესი დაპყრობილი ქვეყნის დამუნჯებული, მორჩილი, გაღატაკებული და დაშინებული მოსახლეობა.



თვრამეტი ბრუმერი

(1799)

ნაპოლეონი ეგვიპტედან გამოემგზავრა მტკიცე და ურყევი განზრახვით, რომ დაემხო დირექტორია და ხელში ჩაეგდო სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლება. ეს კადნიერი წამოწყება იყო. ამ სახიფათო გზაზე

საფრანგეთისაკენ, ორმოცდაშვიდი დღის განმავლობაში, ყოველთვის მოსალოდნელი იყო ინგლისელებთან შეხვედრა. მაგრამ დაღუპვის მოლოდინში, დამსწრეთა გადმოცემით, ამ საშინელ წუთებში მხოლოდ ბონაპარტი იყო მშვიდად და ჩვეულებრივი ენერგიით იძლეოდა საჭირო ბრძანებებს.

1799 წლის 8ოქტომბერს დილით ნაპოლეონის ხომალდები საფრანგეთის სამხრეთ სანაპიროზე ფრეჟიუსის კონცხთან მიადგნენ ნავსადგურს.

იმის გასაგებად, თუ რა მოხდა ოცდაათი დღის განმავლობაში — 1799 წლის 8 ოქტომბრიდან, როცა ნაპოლეონმა ფეხი შედგა საფრანგეთის მიწაზე, 9 ნოემრამდე, როდესაც იგი საფრანგეთის მბრძანებელი გახდა, — უნდა მოვიგონოთ ქვეყნის მდგომარეობა იმ დროს, როცა იქ გაიგეს, რომ ეგვიპტის დამპყრობი უკვე დაბრუნდა.

ვინმემ რომ მოისურვოს რამდენიმე სიტყვით მოკლედ გამოხატოს საფრანგეთის მდგომარეობა 1799 წლის შუა თვეებში, მას შეუძლია ასეთ ფორმულირებაზე შეჩერდეს: შეძლებული კლასების დიდ უმრავლესობას, თავისი თვალსაზრისით, დირექტორია მიაჩნდა უსარგებლოდ და უქნარად, ხოლო ბევრს კი — აშკარა მავნედ; ღარიბი მასებისათვის — როგორც ქალაქში ისე სოფლად — დირექტორია იყო წარმომადგენელი მდიდარი ქურდების და სპეკულანტების რეჟიმისა, ხაზინის ქურდების ფუფუნებისა და კმაყოფის რეჟიმისა, ხოლო მუშებისა, მოჯამაგირეებისა და ღარიბი მომხმარებლებისათვის — აუტანელი შიმშილისა და ჩაგვრის რეჟიმისა. "ჩვენ გვინდა ისეთი რეჟიმი, რომლის დროსაც არ შიმშილობენ",—ამბობდნენ ისინი. ეს ფრაზა ხშირად გაუგონიათ დირექტორიის პოლიციის აგენტებს 1799 წელს პარიზის გარეუბნებში და მოუხსენებიათ იგი თავიანთი შეშფოთებული უფროსებისათვის. დაბოლოს, არმიის ჯარისკაცთა თვალსაზრისით, დირექტორია წარმოადგენდა საეჭვო პირთა ჯგუფს, რომელიც უპუროდ და უჩექმოდ ტოვებს არმიას და რომელმაც რამდენიმე თვის განმავლობაში მტერს ჩააბარა ყოველივე ის, რაც ერთ დროს ათეული ძლევამოსილი ბრძოლით მოიპოვა ბონაპარტმა.

დირექტორიამ ამ ხნის განმავლობაში სხვა მხრივაც გამოიჩინა სისუსტე. ლიონის მრეწველებისა და აბრეშუმის მეფაბრიკეთა ალტაცება ბონაპარტის მიერ იტალიის დაპყრობის გამო, იტალიისა, რომელსაც დიდძალი აბრეშუმის ნედლეული მოეპოვებოდა, სასოწარკვეთილებითა და უიმედობით შეიცვალა, როდესაც ბონაპარტის არყოფნის დროს იტალიაში გაჩნდა სუვოროვი და 1799 წელს იტალია წაართვა ფრანგებს.

ასეთივე სასოწარკვეთილებამ მოიცვა ფრანგი ვაჭრებისა და მრეწველობის სხვა ფენებიც, როდესაც მათ დაინახეს 1799 წელს, რომ ზავის იმედი ძლიერ მცირეა, რომ საფრანგეთს სულ უფროდაუფრო უძნელდება ევროპის უმძლავრესი კოალიციის წინააღმდეგ ბრძოლა, რომ ოქროს მილიონები, რომლებსაც 1796-1797 წლებში ბონაპარტი იტალიიდან პარიზს გზავნიდა, ნაწილობრივ ომზე დაიხარჯა, ნაწილობრივ კი დაიტაცეს მოხელეებმა და საქონლის მიმწოდებელმა ვაჭრებმა, რომლებიც სძარცვავდნენ ხაზინას იმავე დირექტორიის უყურადღებობის გამო.

სუვოროვის მიერ ფრანგების სასტიკად დამარცხებამ ნოვისთან იტალიაში, ფრანგების მთავარსარდლის ჟუბერის ხიკედილმა ამ ბრძოლაში, საფრანგეთის იტალიელ "მოკავშირეთა" ჩამოშორებამ, საფრანგეთის საზღვრებზე შექმილმა საშიშროებამ — ყოველივე ამან საბოლოოდ ჩამოაშორა დირექტორიას ქალაქისა და სოფლის ბურჟუაზია.

არმიაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. იქ დიდი ხანია იგონებდნენ ეგვიპტეში წასულ ბონაპარტს, ჯარისკაცები აშკარად ჩიოდნენ, რომ შიმშილობენ საყოველთაო ქურდობის გამო, და იმეორებდნენ, რომ მათ ტყუილ-უბრალოდ მიერეკებიან სასაკლაოზე.

უეცრად გამოცოცხლდა მუდამ ნაკვერჩხალივით მბჟუტავი როიალისტური მოძრაობა ვანდეაში. შუანების ბელადები* ჟორჟ კადუდალი, ფროტე და როშჟაკლენი კვლავ აჯანყებდნენ ბრეტანსა და ნორმანდიას. ზოგიერთ ადგილას როიალისტები იმდენად გათამამდნენ, რომ ხანდახან ქუჩაშიც გაიძახოდნენ: "გაუმარჯოს სუვოროვს! ძირს რესპუბლიკა!"

ათასობით დაეხეტებოდნენ სამხედრო ბეგარისაგან თავარიდებული ახალგაზრდები, რომლებიც ამის გამო იძულებული იყვნენ მიეტოვებინათ სამშობლო კუთხე. მთელი მათი იმედი შინ დაბრუნებისა სახელმწიფო გადატრიალების შესაძლებლობასთან იყო დაკავშირებული.

სიძვირე დღითიდღე იზრდებოდა ვაჭრობისა და მრეწველობის საერთო რღვევის, უწესო და განუწყვეტელი რეკვიზიციების გამო.

1799 წლის შემოდგომაზე მასენამ შვეიცარიაში, ციურიხთან, დაამარცხა რუსეთის არმია, რომელსაც კორსაკოვი მეთაურობდა, ხოლო რუსეთის მეორე არმია (სუვოროვის მეთაურობით) პავლემ უკან გაიწვია. მაგრამ ამ წარმატებებმაც ბევრი ვერაფერი შემატა დირექტორიას და ვერ აღადგინა მისი პრესტიჟი. დიქტატურისათვის ნიადაგი მომზადებული იყო.

1799 წლის 13 ოქტომბერს (21 ვანდემიერს) დირექტორიამ აცნობა ხუთასთა საბჭოს "სიამოვნებით", — ნათქვამი იყო ამ ცნობაში, — რომ გენერალი ბონაპარტი დაბრუნდა საფრანგეთში და ფრეჟუსთან გადმოვი-

ა ნაპირზე. დაუცხრომელი ტაშის გრიალით, აღფრთოვანებული შეძახი-ებით, აღტაცებული ღრიალით ხალხის წარმომადგენელთა მთელი კრება ეცხზე ადგა და დეპუტატები დიდხანს განაგრძობდნენ მისალმების შეძა-ილებს. სხდომა შეწყვეტილ იქნა. როგორც კი დეპუტატები ქუჩაში გა-ვიდნენ და მიღებული ცნობა გაავრცელეს, დედაქალაქი თითქოს უეცრად ჭკუაზე შეიშალა; მრავალრიცხოვან დამსწრეთა ჩვენებით, ხალხი სიხა-რულით თითქმის ტიროდა და ქუჩაში ერთმანეთს ულოცავდნენ ამ ახალ ამბავს. საღამოს ყველა თეატრში წარმოდგენებს რამდენიმეჯერ აწყვეტი-ნებდნენ წამოძახილებით: "Viva Bonaparte!"* პარიზში განუწყვეტლივ მოდიოდა ცნობები იმ არაჩვეულებრივი შეხვედრის შესახებ, რომელსაც უმართავდა გენერალს სამხრეთი და ცენტრალური საფრანგეთის მოსახ-ლეობა ყველა იმ ქალაქში, რომლებშიც მან გაიარა პარიზის მიმართულე-ბით.

გლეხები გამოდიოდნენ სოფლებიდან, ქალაქების დეპუტაციები ზედი-ზედ ეგებებებოდნენ ბონაპარტს, სიყვარულსა და ერთგულებას ეფიცებოდ-ნენ მას. არა თუ თვითონ იგი, საერთოდ ვერავინ ვერ წარმოიდგენდა მანამ-დე, რომ ასე უეცრად გაიმართებოდა ასეთი გრანდიოზული, ასეთი მრა-ვალმნიშვნელოვანი მანიფესტაცია. თვალში გეცემოდათ ერთი რამ: რო-გორც კი მოვიდა ცნობა ბონაპარტის დაბრუნების შესახებ პარიზში, დედა-ქალაქის გარნიზონის ჯარისკაცები გამოვიდნენ ქუჩაში და მუსიკით გაია-რეს ქალაქში. შეუძლებელი იყო ზუსტად იმის გამორკვევა, ვინ გასცა ბრძა-ნება ამის შესახებ, და საერთოდ გაცემული იყო თუ არა ასეთი ბრძანება, თუ ყველაფერი ბრძანების გარეშე მოხდა.

16 ოქტომბერს (24 ვანდემიერს) გენერალი ბონაპარტი პარიზს ჩავი-და. დირექტორიის დღეები დათვლილი იყო, მას კიდევ სამი კვირის სი-ცოცხლე შერჩენოდა; მაგრამ არც ბარასი, რომელსაც პოლიტიკური სიკ-ვდილი მოელოდა, არც ის დირექტორები, რომლებიც დირექტორიის რე-ჟიმის დასამარებაში დაეხმარნენ ბონაპარტს, მაშინ ჯერ კიდევ არ ეჭვობ-დნენ, რომ საქმე დასასრულს უახლოვდებოდა და სამხედრო დიქტატუ-რის დამყარებამდე უკვე რამდენიმე კვირა ან დღე თუ რჩებოდა, ხოლო მალე სულ რამდენიმე საათი-ღა თუ დარჩა.

ბონაპარტის მსვლელობამ საფრანგეთში ფრეჟიუსიდან პარიზამდე უკ-ვე აშკარა გახადა, რომ ქვეყანას იგი მხსნელად მიაჩნდა. იყო საზეიმო შეხ-ვედრები, აღფრთოვანებული სიტყვები, ილუმინაცია, მანიფესტაციები, დე-ლეგაციები. გლეხები, მოქალაქეები, პროვინციები გამოდიოდნენ მის შე-სახვედრად. ოფიცრები და ჯარისკაცები აღფრთოვანებით ეგებებოდნენ

თავიანთ სარდალს. ყველა ამ ამბავს და ამ ხალხს, რომელიც როგორც კალეიდოსკოპში, ისე იცვლებოდა ბონაპარტის წინაშე, ვიდრე ის პარიზისაკენ მიდიოდა, ჯერ კიდევ სავსებით არ დაერწმუნებინა იგი, რომ მას შეეძლო დაუყოვნებლივ მიეღწია წარმატებისთვის. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ რას იტყოდა დედაქალაქი. ის ხომ ოთხი წლინახევრის წინ იყო პარიზში და ძალიან კარგად ახსოვდა პრერიალის აჯანყება მუშათა გარეუბნებში. საჭირო იყო დარწმუნება იმაში, რომ მუშები ჯერაც გონს ვერ მოსულან პრერიალის ტერორის შემდეგ, რომ ისინი არ გამოვლენ დიქტატორობის კანდიდატის წინააღმდეგ.

პირველსავე დღეებში გამოირკვა (და არც შეიძლებოდა არ გამორკვეულიყო), რომ ამ მხრით, როგორც ეტყობოდა, უშუალო საფრთხე არ იყო მოსალოდნელი. რაც შეეხება ბურჟუაზიას, მისი დიდი უმრავლესობა ამ დროს აშკარად მტრულად იყო განწყობილი დირექტორიის მიმართ, არ სწამდა მისი ქმედუნარიანობა არც საშინაო და არც საგარეო პოლიტიკაში. პარიზის გარნიზონი კი აღფრთოვანებით შეეგება ახალ გამარჯვებათა და დიდებით დაბრუნებულ სარდალს — ეგვიპტის დამპყრობელს, მამელუკებისა და თურქეთის არმიის მძლეველს, რომელმაც ბოლო მოუღო თურქებს სწორედ ეგვიპტედან წამოსვლის წინ.

ყოველივე ამის გამო ბონაპარტს პირველსავე დღეებში აზრად მოუვიდა დაეჩქარებინა გადატრიალება. აქ კიდევ სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ თვით ხუთწევრიან დირექტორიაში არავინ იყო ისეთი, რომელსაც შეიძლებოდა გადამჭრელი წინააღმდეგობა გაეწია მისთვის. უბადრუკი გოიე, მულენი, როჟედიუკო საერთოდ სათვალავში მისაღები არ იყვნენ.

ანგარიშგასაწევი იყო მხოლოდ ორი დირექტორი: სიესი და ბარასი. სიესი, რომელმაც რევოლუციის დასაწყისში სახელი გაითქვა თავისი შესანიშნავი ბროშურით იმის შესახებ, თუ რა უნდა გახდეს მესამე წოდება, — იყო და დარჩა საფრანგეთის მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენლად და იდეოლოგად. ბონაპარტის დაბრუნებისას იგი სასოებით შეხვდა, მაგრამ საოცრად ცდებოდა გენერლის პიროვნების შეფასებაში.

"ჩვენ გვჭირდება ხმალი" — ამბობდა ის და გულუბრყვილოდ წარმოედგინა, რომ ბონაპარტი იქნებოდა მხოლოდ ხმალი, ახალი რეჟიმის მშენებელი კი — თვითონ იგი, სიესი. ქვემოთ დავინახავთ, თუ რა გამოვიდა ამ სამწუხარო (სიესისათვის) გაუგებრობიდან.

რაც შეეხება ბარასს, იგი სულ სხვა ყაიდისა, სხვა ბიოგრაფიისა და სხვა გონების ადამიანი იყო, ვიდრე სიესი. ის, რასაკვირველია, სიესზე უფრო ჭკვიანი იყო.

გაბედული, გარყვნილი, სკეპტიკოსი, ხელგაშლილი ქეიფში, მოურიდებელი ბიწიერებასა და დანაშაულის ჩადენაში, გრაფი და ოფიცერი რევოლუციამდე, მონტანიარი რევოლუციის დროს, საპარლამენტო ინტრიგების ერთ ერთი ხელმძღვანელი, რომელმაც გარეგნული ჩარჩო შეუქმნა 9 ტერმიდორის ამბებს, ტერმიდორიანელთა რეაქციის ძირითადი მოღვაწე, 1797 წლის 18 ფრუქტიდორის ამბების პასუხისმგებელი ავტორი, — ბარასი ყოველთვის მიდიოდა იქით, საითაც ძალა იყო, სადაც შეიძლებოდა ძალა-უფლების განაწილება და იმ მატერიალური დოვლათით სარგებლობა, რომელსაც ეს ძალა-უფლება იძლეოა.

მაგრამ, მაგალითად, ტალეირანისაგან განსხვავებით, იგი გამბედავი იყო, მას ჰქონდა თავგანწირვის უნარი, შეეძლო თავისი სიცოცხლის განსაცდელში ჩაგდება, როგორც ეს ჩაიდინა 9 ტერმიდორის წინ, რობესპიერზე თავდასხმის მოწყობის დროს; მან იცოდა მტერზე პირდაპირი იერიშით მისვლა, როგორც წავიდა როიალისტების წინააღმდეგ 1795 წლის 13 ვანდემიერს ან 1797 წლის 18 ფრუქტიდორს. დამფრთხალი თაგვივით იგი ჭერქვეშ არ დამალულა რობესპიერის ბატონობის დროს, სიესის მსგავსად, რომელმაც შეკითხვაზე, თუ რას აკეთებდა იგი ტერორის დროს, უპასუხა: "მე ცოცხალი ვრჩებოდი".

ბარასმა დიდი ხანია მოისპო უკან დასახევი გზები. მან იცოდა, როგორ სძაგდათ იგი როიალისტებსაც და იაკობინელებსაც და არ ზოგავდა არც პირველთ და არც მეორეთ, რადგან კარგად იცოდა, რომ მასაც არ დაზოგავენ ისინი, თუკი გაიმარჯვებდნენ. ის თანახმა იყო დახმარებოდა ბონაპარტს, თუ იგი, სამწუხაროდ, ჯანმრთელი და უვნებელი დაბრუნდებოდა ეგვიპტედან, იგი თვით ეახლა ბონაპარტს ამ შფოთიანი ბრიუმერის წინა დღეებში დ ცდილობდა უზრუნველეყო თავისთვის უფრო თბილი და უფრო გავლენიანი ადგილი მომავალ წყობილებაში.

მაგრამ ნაპოლეონმა ძალიან მალე გადაწყვიტა, ბარასი მიუღებელია. არ შეიძლება ითქვას, რომ ის საჭირო არ ყოფილიყოს: ჭკვიანი, გამბედავი, დახელოვნებული, გაქნილი პოლიტიკოსები, და ისიც ასეთ მაღალ თანამდებობაზე, არც ისე ბევრი იყო და მათი უგულებელყოფა სანანური იყო. მაგრამ ბარასმა სწორედ აუტანელი გახადა თავისი თავი. იგი არა თუ სძულდათ, არამედ ეზიზღებოდათ. ურცხვი ქურდობა, აშკარა მექრთამეობა, ბნელი აფეორები საქონლის მიმწოდებელ ვაჭრებთან და სპეკულანტებთან, განუწყვეტელი ქეიფი სასტიკად დამშეულ ღარიბთა თვალწინ, ყოველივე ამან ბარასის სახელი დირექტორიის რეჟიმის სიდამპლის, გახრწნისა და გადაგვარების ერთგვარ სიმბოლოდ აქცია.

სიესი კი, პირიქით, ბონაპარტმა თავიდანვე ალერსით მიიღო. სიეს რეპუტაციაც უკეთესი ჰქონდა; გარდა ამისა, მას, როგორც დირექტორს, ბონაპარტის მხარეზე გადასვლით შეეძლო თითქოს რაღაც "კანონიერი საბუთი" მიეცა მთელი ამ საქმისათვის. როგორც ბარასისათვის, მისთვისაც ნაპოლეონს ერთხანს გული არ გაუტეხია, არამედ უფრთხილდებოდა მათ, მით უმეტეს, რომ სიესი პირველ ხანებში გადატრიალების შემდეგ საჭირო კაცი იქნებოდა.

ამავე დღეებში გენერალს ეახლა ორი ადამიანი, რომელთა სახელი ბედნა მის კარიერას დაუკავშირა: ტალეირანი და ფუშე. ტალეირანს ბონაპარტი დიდი ხანია იცნობდა და იცნობდა როგორც ქურდს, მექრთამეს, უსინდისო კარიერისტს, მაგრამ ამავე დროს როგორც უჭკვიანეს ადამიანსაც. რომ ტალეირანი, თუ შემთხვევა მიეცემოდა, ყველას გაყიდდა, ვისი გაყიდვაც კი შეიძლებოდა და ვისაც მყიდველები ჰყავდა, ეს ბონაპარტისათვის საეჭვო არ იყო; მაგრამ ის ნათლად ხედავდა, რომ ტალეირანი ახლა ბონაპარტს არ გაჰყიდდა, ხელში არ ჩაუგდებდა დირექტორიას, არამედ პირიქი თვით დირექტორიას დაჰყიდდა, რომელსაც იგი სულ უკანასკნელ დრომდე საგარეო საქმეთა მინისტრად ჰყავდა. ტალეირანმა მას მრავალი ძვირფასი მითითება მისცა და ძლიერ აჩქარებდა საქმეს. ამ პოლიტიკოსის ჭკუა და გამჭრიახობა გენერალს საესებით სწამდა, და უკვე ის გაბედულობა, რომლითაც მას ტალეირანმა თავისი სამსახური შესთავაზა, კარგი წინასწარი ნიშანი იყო ბონაპარტისათვის. ამ ჯერად ტალეირანმა პირდაპირ და აშკარად გადაწყვიტა ბონაპარტთან სამსახური. ასევე მოიქცა ფუშეც. დირექტორიის დროს ის იყო პოლიციის მინისტრი და ამავე თანამდებობაზე დარჩენა სურდა ბონაპარტის დროსაც. მას ჰქონდა — და ეს იცოდა ნაპოლეონმა — ერთი ძვირფასი თავისებურება: ყოფილ იაკობინელსა და ტერორისტს, რომელმაც ხმა მისცა ლუდოვიკო XVI სასიკვდილო განაჩენს, მას ძლიერ ეშინოდა ბურბონების დაბრუნებისა და საკმაო გარანტიას იძლეოდა იმისათვის, რომ იგი ბურბონების სასარგებლოდ არ გასცემდა ახალ მბრძანებელს. მან ფუშე საჭირო კაცად სცნო.

ამ შეოთიანი სამი კვირანახევრის განმავლობაში — პარიზში ჩასვლიდან სახელმწიფო გადატრიალებამდე — ბონაპარტმა ბევრი ადამიანი ნახა თავის ახლოს და მომავალი მოქმედებისათვის მრავალი მეტად ხასარგებლო დაკვირვება გააკეთა მათ მიმართ.

არმიის მიმხრობასა და მუშათა მასების დამშვიდების შემდეგ ბონაპარტს აღარ ეშინოდა ბურჟუაზიის წინააღმდეგობისა. მან იცოდა, რომ ბურჟუაზიის ("ზედადარი სექციების") ყველაზე უფრო ძლიერი ნაწილი ოცნებობ-

და დირექტორიის დამხობახე, როგორც რესტავრაციისაკენ გადადგმულ ნაბიჯზე, და ამიტომ უკვე ხელს არ შეუშლიდა, გამოსვლის უნარი კიდეც რომ ჰქონოდა; რომ ბურჟუაზიის ძირითადი მასა მხარს დაუჭერდა იმ წყობილებას, რომელსაც ის შემოიღებდა, თუნდაც ეს წყობილება დიქტატურით დაეწყო.

სახელმწიფო გადატრიალებას, რომელმაც ბონაპარტს შეუზღუდველი ძალა-უფლება მისცა, 1799 წლის 18 ბრიუმერის (9ნოემბერი) გადატრიალება ეწოდება.

საქმე უაღრესად გაადვილა იმ გარემოებამ, რომ არა მარტო ორი დირექტორი (სიეესი და როჟე-დიუკო) იყო ჩაბმული თამაშში, არამედ მესამესა (გოიეს) და მეოთხეს (მულენს) სულ თავგზა აუბნია და საშინლად მოატყუა გაიძვერა და ცბიერმა ფუშემ, რომელმაც გადაწყვიტა მომავალი სახელმწიფო გადატრიალებით პოლიციის მინისტრის პორტფელი მოეპოვებინა. რჩებოდა ბარასი, რომელიც ჯერ კიდევ აიმედებდა თავს, — უჩემოდ ვერას გახდებიანო. ამ უკანასკნელმა ლოდინის ტაქტიკა ამჯობინა. ხუთასთა საბჭოში, აგრეთვე უხუცესთა საბჭოში ბევრმა გავლენიანმა დეპუტატმა ალღო აუღო შეთქმულებას, ზოგიერთმა კი უკვე ნამდვილად იცოდა მისი არსებობის შესახებ. ბევრმა დანამდვილებით არაფერი იცოდა, მაგრამ თანაუგრძნობდა მას იმ მოსაზრებით, რომ საქმე, ალბათ, პიროვნებათა შეცვლით ამოიწურებაო.

როლები საბოლოოდ განაწილდა მხოლოდ 18 ბრიუმერის წინა საღამოს. 18 ბრიუმერს დილით, ექვსი საათიდან, ბონაპარტის სახლს და მომიჯნავე ქუჩას მიაწყდა გენერალიტეტი და ოფიცრობა. პარიზის გარნიზონიდან ამ დღეს მოვიდა შვიდიათასი კაცი, ბონაპარტს სავსებით შეეძლო მათ დაპყრდნობოდა, — და განსაკუთრებულ მცველთა რაზმის ათას ხუთასამდე ჯარისკაცი, რომლებიც იცავდნენ დირექტორიას და ორივე საკანონდებლო კრებას — ხუთასთა საბჭოს და უხუცესთა საბჭოს. არ იყო მოსალოდნელი, რომ განსაკუთრებული რაზმის ჯარისკაცებს იარაღით წინააღმდეგობა წინააღმდეგობა გაეწიათ ბონაპარტისათვის. მაგრამ მაინც უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ თავიდანვე დაეფარათ წამოწყებული საქმის ნამდვილი ხასიათი და "იაკობინური", ე.ი. ხუთასთა საბჭოს მემარცხენე, ნაწილისთვის არ მიეცათ საშუალება მოეწოდებინათ ჯარისკაცებისათვის გადამწყვეტ მომენტში "რესპუბლიკის დასაცავად". ამისათვის ყველაფერი ისე იყო მოწყობილი, თითქოს თვით საკანონდებლო კრებები მოუწოდებდნენ ბონაპარტს ძალა-უფლებისაკენ. 18 ბრიუმერს გან-

ოიადისას, ნაპოლეონმა შეკრიბა ის გენერლები, რომლებსაც ის განსაკუთრებით ენდობოდა (მიურატი და ლეკლერი — მისი დების ქმრები, ბერნადოტი, მაკდონალდი და რამდენიმე სხვა). აგრეთვე ბევრი ოფიცერი და აცნობა მათ, რომ დადგა წუთი, როდესაც საჭიროა "რესპუბლიკის ხსნა" გენერლებსა და ოფიცრებს სრული იმედი აქვთ თავისი ნაწილებისა. ბონაპარტს საბლის ახლოს უკვე დაეწყო ჯარების მწყობრი რაზმეულები. ბონაპარტი ადიდა დეკრეტს, რომელსაც მისი მეგობრები და აგენტები აგზავნიან სასელდაბეჭდილად მოწვეულ უხუცესთა საბჭოში.

ყინაიდან უხუცესთა საბჭოს მეტწილად საშუალო და მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები შეადგენდნენ. ამიტომ აქ ვიღაც კორნემ, ბონაპარტის ერთგულმა კაცმა, განაცხადა "ტერორისტების საშინელი შეთქმულების" შესახებ, თქვა რომ ეს ძერები, რომლებიც მზად არიან დაწიწკნონ რესპუბლიკა. მალე დაღუპავენ მას და სხვ. ეს ბუნდოვანი, მყვირალა ფრაზები არაფერს არ განს ახლვრავდა ზუსტად. არავის არ ასაბელებდა და მთაურდებოდა წინადადებით — დაუყოვნებლივ ხმა მიეცათ დეკრეტისათვის, რომლითაც, ჯერ ერთი, უხუცესთა საბჭოს, აგრეთვე ხუთასთა საბჭოს (რომლისთვის არც კი უკითხავთ) სხდომები გადადის პარიზიდან სენ-კლუში (დედაქალაქიდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ პატარა ქალაქში) და მეორე — ამ დეკრეტის შესრულება ეევალება გენერალ ბონაპარტს, რომელიც ინიშნება დედაქალაქსა და მის მიდამოებში განლაგებული მთელი შეიარაღებული ძალების უფროსად. ეს დეკრეტი სასწრაფოდ მიიღეს როგორც მათ, ვინც იცოდა ამ დეკრეტის დანიშნულება, ისე მათაც, ვისთვისაც ყოველივე ეს სრულიად მოულოდნელი იყო. პროტესტი ვერავინ გაბედა.

ეს დეკრეტი იმ წუთსვე გადაუგზავნეს ბონაპარტს.

რად დასჭირდა ბონაპარტს ორივე საკანონდებლო ორგანოს მოსპობის წინ მათი სენ-კლუში გადატანა?

ამაზე გავლენა იქონია დიადი რევოლუციური წლების მოგონებებმა და შთაბეჭდილებებმა. რა რწმენაც უნდა ჰქონოდა ბონაპარტს თავისი თავისადმი, იმის გაკეთება პარიზში, რის გაკეთებაც მან გადაწყვიტა, მაინც ისეთ უხიფათოდ არ მიაჩნდა, როგორც პატარა დაბაში, სადაც ერთადერთ დიდ შენობას წარმოადგენდა სასახლე — საფრანგეთის ძველი მეფეების ერთ-ერთი ქალაქგარეთა სასახლე.

საქმის დასაწყისი სწორედ ისე ჩატარდა, როგორც ბონაპარტს სურდა: კანონიერების გარეგნული მხარე დაცულ იქნა და მან დეკრეტის საფუძ-

ველზე აუწყა ჯარებს, რომ ისინი ამიერიდან მას ექვემდებარებიან და უნდა "გაჰყვნენ" ორივე საჰჭოს სენ-კლუმდე.

პირველ ყოველისა მან ჯარი წაიყვანა ტიუილრის სასახლეში, შემოარტყა მას და რამდენიმე ადიუტანტის თანხლებით შეავიდა სხდომათა დარბაზში.

თუ ჯარისკაცებთან არა, საჯარო ლაპარაკი ბონაპარტს არასოდეს არ ეხერხებოდა არც ამ ეპიზოდამდე, არც შემდეგ. მან წარმოთქვა რამდენიმე ბუნდოვანი სიტყვა. დამსწრეებმა დაიხსომეს ფრაზა: "ჩვენ გვსურს რესპუბლიკა, რომელსაც საფუძვლად ექნება თავისუფლება, თანასწორობა, სახალხო წარმომადგენლობის წმინდათა-წმინდა პრინციპები... ჩვენ იგი გვექნება, მე ამის ფიცს ვიძლევი". შემდეგ ის გავიდა ქუჩაში. მის წინაშე იდგა მის მიერ მოყვანილი ჯარის ავანგარდი, რომელიც მას მქუხარე მისასალმებელი შეძახილებით შეხვდა. აქ გაიმართა ახალი მოულოდნელი სცენა. მას მიუახლოვდა ვილაც ბოტო, გაგზავნილი ბარასის მიერ, რომელიც ძლიერ წუხდა იმის გამო, რომ ბონაპარტმა იგი არ იხმო.

დაინახა თუ არა ბოტო, გენერალმა მიმართა მას როგორც დირექტორიის წარმომადგენელს და მქუხარე ხმით დაიყვირა: "რა უყავით თქვენ იმ საფრანგეთს, რომელიც ასე ბრწყინვალე მდგომარეობაში დაგიტოვეთ? მე თქვენ დაგიტოვეთ მშვიდობიანობა — ვხედავ ომს! მე თქვენ გამარჯვებანი დაგიტოვეთ — ვხედავ დამარცხებებს! მე თქვენ იტალიის მილიონები დაგიტოვეთ — ვხედავ ძარცვა-გლეჯის კანონებს და სილატაკეს! რა უყავით თქვენ ასიათას ფრანგს, რომელთაც მე ვიცნობდი, როგორც ჩემი დიდების მოწმეთ? ისინი ცოცხალი აღარ არიან!" შემდეგ გაიმეორა სიტყვები იმის შესახებ, რომ იგი მიისწრაფვის რესპუბლიკისაკენ, რომელსაც საფუძველად ექნება "თანასწორობა, მორალი, მოქალაქეობრივი თავისუფლება და პოლიტიკური შემწყნარებლობა".

დირექტორია (ე.ი. რესპუბლიკის უზენაესი აღმასრულებელი ხელისუფლება) ლიკვიდირებულ იქნა სრულიად დაუბრკოლებლად. არც მკვლელობისათვის მიუმართავთ, არც დაპატიმრებისათვის: სიეზი და როჟე-დიუკო თვით იყვნენ შეთქმულების მონაწილენი, გოიე და მულენი მაჩანჩალებლად გაჰყვნენ ჯარებს სენ-კლუში, რადგან ხედავდნენ, რომ ყველაფერი დაიღუპა.

დარჩა ბარასი, რომელსაც ბონაპარტმა გაუგზავნა ტალეირანი, რათა დაერწმუნებინა იგი — დაუყოვნებლივ დაეწერა განცხადება თავისი გადადგომის შესახებ. ბარასი მიხვდა, რომ ბონაპარტმა უიმისობა არჩია და [illegible] წუთს მოაწერა ხელი, თანვე განაცხადა, რომ მას საიროოდ სურს მი-

ატ[illegible]ის პოლიტიკური ცხოვრება და წავიდეს თავის მამულში, სოფლის მეუღლის საკარეელში. იგი მაშინვე დრაგუნთა იცეულის თანხლებით გაგზავნეს ასევე საცხოვრებელ ადგილზე.

ასე გაქრა სამუდამოდ პოლიტიკური ასპარეზიდან ბარასი, რომელიც აქამდე მოსერჩებულად ატყუებდა ყველას, ახლა კი უეცრად თვითონ დარჩა მოტყუებული.

ამრიგად, დირექტორია აღარ არსებობდა. საქმე მიდგა ორივე საკანონმდებლო ორგანოს ლიკვიდაციაზე და თუმცა ბონაპარტის გრენადერებით, ჰუსარებით და დრაგუნებით გარემოცული უხუცესთა საბჭო და ხუთასთა საბჭო მთლიანად ნაპოლეონის ხელში იყო, მას სურდა საქმე ისე მოეგვარებინა, რომ ორივე საბჭოს თვით ეღიარებინა თავისი უვარგისობა, დაეთხოვა თავისი თავი და ძალა-უფლება ბონაპარტისათვის გადაეცა.

თავისი გეგმის რაღაც კანონიერ ფორმებში განხორციელებისაკენ მისწრაფება, საერთოდ, სრულიად არ ახასიათებდა ნაპოლეონს, მაგრამ ამ შემთხვევაში მაინც არ შეეძლო ბოლომდე საკუთარი დარწმუნებულიყო, რომ ჯარისკაცთა შორის თავს არ იჩენდა შეშფოთება, არევ-დარევა, გაუბედაობა, თუ თავიდანვე გამოაცხადებდნენ კონსტიტუციის ძალდატანებით მოსპობის წინააღმდეგ. მაშასადამე, ვინაიდან ამას შეეძლო დახმარება გაეწია და [illegible] საქმე, საჭირო იყო ამის მშვიდობიანად ჩატარება, ხოლო თუ მშვიდობიანად ჩატარება შეუძლებელი გახდებოდა; მაშინ — და მხოლოდ [illegible] — მას ხიშტებისთვის უნდა მიემართა. ბონაპარტის ოცდაათი ათასი [illegible]ული ამხანაგი ეგვიპტეში იყო, სადაც ამ ქვეყანას ოკუპაცია [illegible] ლიიური ლაშქრობის ჯარიკაცთაგან ყველანი იქ იყვნენ. საჭირ[illegible]ში გაეწია იმათთვისაც, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ იცნობ[illegible] ზ[illegible]ბრადად და რომელთაც ჯერ თვითონაც ვერ იცნობდა.

ჰ[illegible]ბრიზი და სენ-კლუს შორის ჯარების განლაგების შესახებ ბონაპარტის განკ[illegible]ულებანი გაცემულ და შესრულებულ იქნა დილა ადრიან. ჰ[illegible]ბრიზის ბ[illegible]ალეობა ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალს ათასეულ[illegible]ბის მოძრაობას, დედაქალაქიდან სენ-კლუში მიმავალი კარეტებისა და ქვეითი ადამიანების გრძელ კორტეჯს.

გ[illegible]ებების მუშათა განწყობილების შესახებ მოდიოდა ცნობები, რომ იქ ჩვეულებრივი მუშაობა მიმდინარეობდა და არ შეუნიშნავთ მღელვარეობის რაიმე ნიშნები. ცენტრალურ უბნებში აქა-იქ გაისმოდა ყვირილი: "Vive Bonaparte!", მაგრამ, საერთოდ, სულიერ განწყობილებას უფრო ლოდინის ხასიათი ჰქონდა.

18 ბრიუმერს ბევრი დეპუტატი არ წასულა სენ-კლუში, უმეტესობამ წასვლა გადადო 19 რიცხვისათვის, სწორედ იმ დროისათვის, როდესაც უნდა მომხდარიყო პირველი სხდომა.

როდესაც დადგა სახელმწიფო გადატრიალების ეს მეორე და უკანასკნელი დღე, გენერალ ბონაპარტს ზოგი საკმაოდ სერიოზული საერთხე აწუხებდა. რასაკვირველია, უკვე 18 ბრიუმერის საღამოსათვის დირექტორიული რეჟიმის სამი უმაღლესი დაწესებულებიდან ორი ლიკვიდირებული იყო: დირექტორია აღარ არსებობდა, უხუცესია საბჭო უერთგულესი იარაღი აღმოჩნდა, რომელიც მზად იყო თვითგანადგურებისათვის.

მაგრამ საჭირო იყო კიდევ სახალხო წარმომადგენელთა პალატის, ე.ი. ხუთასთა საბჭოს განადგურება.ხოლო ამ ხუთასთა საბჭოში ორასზე მეტი ადგილი ეჭირათ იაკობინელებს, როგორც მათ უწოდებდნენ ძველებურად. თუმცა აქ ბევრი იყო ისეთი, რომლებიც მზად იყვნენ თავი გაეყიდათ ანგარების მიზნით ან დამორჩილებოდნენ შიშის გამო, მაგრამ იყვნენ სხვა ყაიდის ადამიანებიც — ისეთები, რომელთათვის ბასტილიის აღება, მონარქიის დამხობა, მოღალატეებთან ბრძოლა, "თავისუფლება, თანასწორობა ან სიკვდილი" არ წარმოადგენდა ლიტონ სიტყვებს. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ამბობდნენ — სადაც შესაძლოა, იქ ტირანები გილიოტინით უნდა გავანადგუროთ, ხოლო სადაც ეს არ შეიძლება — იქ ბრუტოსის მახვილითო*.

მთელი 18 ბრიუმერის განმავლობაში მემარცხენე ("იაკობინური") ჯგუფი თავს იყრიდა საიდუმლო თათბირებზე. იაკობინელებმა არ იცოდნენ რა გზას დასდგომოდნენ. ბონაპარტის აგენტები — ხოლო მას ამ ჯგუფშიაც ჰყავდა თავისი ჯაშუშები — თავგზას უბნევდნენ მათ, ამტკიცებდნენ — საქმე ეხება არა იაკობინელების წინააღმდეგ ზომების მიღებას, არამედ მხოლოდ როიალისტური საფრთხის დაძლევის საშუალებასო.

იაკობინელები ყურს უგდებდნენ, მათ სჯეროდათ და არც სჯეროდათ, და როდესაც 19 ბრიუმერს დილით შეიკრიბნენ სენ-კლუს სასახლეში სხდომაზე, ისინი დაბნეულნი იყვნენ. მაგრამ ზოგიერთთა მრისხანება თანდათან მძაფრდებოდა.

დილით 19-ს გენერალი ბონაპარტი ღია ეტლით, ცხენოსანთა თანხლებით, პარიზიდან სენ-კლუს გაემგზავრა. მას მიჰყვებოდნენ მისი ახლობლები.

როდესაც ის სენ-კლუში მივიდა, გაიგო, რომ ხუთასთა საბჭოს დეპუტატთა შორის ბევრი უკვე აშკარად გაბრაზებულია, რაკი დაინახეს, რომ სასახლე დიდძალი ჯარით არის გარემოცული, აღშფოთებული არიან

სხდომების დღემდე გაუგებარი, უაზრო და უეცარი გადატარით დედაქალაქიდან "ზოფელ" სენ-კლუში (ასე უწოდებდნენ ამ პატარა დაბას) და რომ ახლა უკვე სავსებით მიხვდნენ ბონაპარტის განზრახვას. იტყობინებოდნენ, რომ ისინი მას უწოდებდნენ ბოროტმოქმედსა და დესპოტს და უფრო ხშირად — ყაჩაღს. ბონაპარტმა დაათვალიერა ჯარები ღა კმაყოფილი დარჩა.

დღის პირველ საათზე სენ-კლუს სასახლის სხვადასხვა დარბაზში გაიხსნა ორივე საბჭოს სხდომები. ბონაპარტი და მისი დაახლოებულნი უცდიდნენ შეზობელ დარბაზებში, რომ ორივე დარბაზს ხმა მიეცა საჭირო დეკრეტებისათვის, რომლებითაც მიარღობდნენ გენერალს ახალი კონსტიტუციის გაშიმუშავებას, და შემდეგ დაშლილიყვნენ. მაგრამ დრო გადიოდა და უხუცესთა საბჭოსაც კი ვერ გადაეწყვიტა, მან გამოიჩინა დაბნეულობა და დაგვიანებული ვაუბელავი სურვილი — წინააღმდეგობა გაეწია დაწყებული უკანონო საქმისათვის.

ბონაპარტმა მტკიცედ გადაწყვიტა საქმე დაებოლოებინა ნოემბრის დღის დაბინდებამდე. დღის ოთხ საათზე ის უეცრად შევიდა უხუცესთა საბჭოს დარბაზში. სამარისებულ სიჩუმეში მან წარმოთქვა უფრო არეულ-დარეული და უწესრიგო სიტყვა, ვიდრე წინა დღით. სიტყვის შინაარსიდან ჩანდა, რომ ის მოითხოვდა სწრაფ გადაწყვეტილებას, რომ ის მათთან მივიდა დასახმარებლად, საფრთხისაგან გადასარჩენად, რომ მას "ცილს სწამებენ კეისრისა და კრომველის ხსენებით"*, რომ, პირიქით, მას სურს იხსნას თავისუფლება, რომ მთავრობა ახლა არ არსებობს. "მე არ ვარ ინტრიგანი, მე თქვენ მიცნობთ; თუ ვერაგი აღმოჩნდები, იმ შემთხვევაში თქვენ ყველანი ბრუტოსებად იქეცით!"

ამრიგად, იგი მოუწოდებდა აეკუწათ ნაპოლეონი თუ ის რესპუბლიკას ენებას მიაყენებდა.

ბონაპარტს შეეკამათნენ, ხელს უშლიდნენ ლაპარაკის დროს. მან წარმოთქვა რამდენიმე შუქარა, მოაგონა მათ, რომ მის განკარგულებაშია შეიარაღებული ძალა, და გავიდა უხუცესთა საბჭოს დარბაზიდან, ხოლო ვერ აასრულა ის, რაც სურდა, ე.ი. გამოქვეყნებულიყო დეკრეტი მისთვის ძალა-უფლების გადაცემის შესახებ. საქმე ცუდ მიმართულებას იღებდა. შემდეგ უარესი იყო მოსალოდნელი: უნდა მოლაპარაკებოდა ხუთასთა საბჭოს, სადაც კრების იაკობინურ ნაწილში უფრო ადვილად მოინახებოდა ბრუტოსის მიმბაძველი.

ბონაპარტს გაჰყვა რამდენიმე გრენადერი. მას, სხვათა შორის, მიჰყვებოდა გენერალი ოჟერო, — მისი ხელქვეითი იტალიის დაპყრობის ხანაში.

დარბაზში შესვლის წინ ბონაპარტი უეცრად მოტრიალდა და თქვა: "ოჟერო, გახსოვს არკოლე?" ბონაპარტი მოაგონებდა იმ საშინელ წუთს, როდესაც არ მოერიდა ავსტრიელების ფინდიხს და დროშით ხელში გადაეშვა არკოლეს სიღის ასაღებად. და მართლაც, რაღაც მსგავსი მომენტი ახლოვდებოდა. მან გააღო კარი და შეიგა ზღუბრლთან. მძვინვარე, გააფრთებული, მრისხანე ყვირილით შეხვდნენ მის გამოჩენას: "ძირს ყაჩაღი, ძირს დიქტატორი! კანონს გარეშე იგი! დაუყოვნებლივ კანონს გარეშე!"

დეპუტატების ჯგუფი მიეიდა მასთან, რამდენიმე მათგანი მისწვდა ხელებით, ხელები ჩაავლეს საყელოში, დანარჩენები ცდილობდნენ ყელში ხელის წაჭერას; ერთმა დეპუტატმა მთელი ძალღონით დაჰკრა მხარზე. დაბალი, იმ დროს ჯერ კიდევ გამხდარი ბონაპარტი, რომელიც არასოდეს არ გამოირჩეოდა ფიზიკური ღონით, ნერვიული, ბნედის მსგავსი დაავადებით შეპყრობილი კინაღამ დააღრჩეს გარსშემოხვეულმა დეპუტატებმა.

გრენადერებმა მოასწრეს მთელი ამ მოწოლილი მასის უკუგდება და დარბაზიდან ბონაპარტის გაყვანა. ამის შემდეგ დეპუტატები დაბრუნდნენ ადგილებზე და გააფრთებული ყვირილით მოითხოვდნენ კენჭი ეყრათ წინადადებისათვის, რომელიც კანონს გარეშე აცხადებდა გენერალ ბონაპარტს.

ამ დღეს ხუთასთა საბჭოში თავმჯდომარეობდა ნაპოლეონის ღვიძლი ძმა, ლუსიენ ბონაპარტი, რომელიც აგრეთვე შეთქმულების მონაწილე იყო. ამ გარემოებამ ძლიერ შეუწყო ხელი დაწყებული საქმის წარმატებას. დარბაზში გამართული სცენის შემდეგ ბონაპარტი გონს მოვიდა და საბოლოოდ გადაწყვიტა შეიარაღებული ძალის აშკარა გამოყენებით გაერეკა ხუთასთა საბჭო. მაგრამ წინასწარ ის შეეცადა ხუთასთა საბჭოდან გამოეყვანა თავის ძმა, რაც მან ადვილად მოახერხა.

როდესაც ლუსიენ ბონაპარტი ნაპოლეონის გვერდით აღმოჩნდა, ნაპოლეონმა წინადადება მისცა, რომ მას, როგორც თავმჯდომარეს, თხოვნით მიემართა ფრონტით გაწყობილი ჯარისკაცებისადმი, რათა კრების უმრავლესობა გაენთავისუფლებინათ "ერთ მუჭა ცოფიანებისაგან". გაქრა უკანასკნელი ეჭვი საქმის კანონიერებაში (თუკი ასეთი კიდევ ჰქონდათ ჯარისკაცებს). ამის შემდეგ ბონაპარტმა გასცა ბრძანება — გაეწმინდათ სხდომათა დარბაზი. გაისმა დაფდაფების გრიალი და გრენადერები მიურატის წინამძღოლობით ჩქარი ნაბიჯით შევიდნენ სასახლეში.

დამსწრეთა ჩვენების თანახმად, ვიდრე დაფდაფების ხმა სხდომათა დარბაზს უახლოვდებოდა, დეპუტატებს შორის გაისმა ხმები — წინააღმდეგობა გაუწიოთ და აქვე დაეხოცოთო. კარები გაიღო და გრენადერები

მხარზე თოფგადაკიდებულნი შეცვივდნენ დარბაზში; ისინი ჩქარი ნაბიჯით განაგრძობდნენ სელას სხვადასხვა მიმართულებით და მალე გაწმინდეს შენობა.

დაფდაფების შეუწყვეტელი გრიალი ყველაფერს აყრუებდა, დეპუტატებმა მოკურცხლეს. ისინი გარბოდნენ კარებიდან, ბეერმა მათგანმა გააღო ან გადამტვრია ფანჯრები და გადახტა ეზოში. ეს სცენა გაგრძელდა ხამიდან ხუთ წუთამდე. ნაბრძანები ჰქონდათ რომ არ მოეკლათ და არც დაეპატიმრებინათ დეპუტატები. ხუთასთა საბჭოს წევრები, რომლებიც კრებიდან გაიქცნენ და ფანჯრებიდან გადახტნენ, აღმოჩდნენ ჯარისკაცთა შორის, რომლებიც ყოველი მხრიდან უახლოვდებოდნენ სასახლეს. ერთი წუთით დაფდაფების გრიალი დაფარა მიურატის მჭექარე ხმამ, მან უბრძანა თაყის გრენადერებს: "გარეთ გარეკეთ მთელი ეს ხალხი". ეს ხმა ესმოდათ მათ არა მარტო მაშინ, არამედ ბევრ მათგანს, როგორც მათი მოგონებიდან ვიცით, მთელი სიცოცხლე არ დაუვიწყიათ იგი.

ბონაპარტს თავში მოუვიდა კიდევ ერთი აზრი, რომელიც შესაძლებელია მისმა ძმამ ლუსიენმა უკარნახა. ჯარისკაცებს უეცრად უბრძანეს დაეჭირათ რამდენიმე გაქცეული დეპუტატი და მოეყვანათ სახახლეში, რის შემდეგ გადაწყდა ამ დაჭერილ პირთაგან მოეწყოთ "ხუთასთა საბჭოს სხდომა" და ებრძანებინათ მათთვის ხმა მიეცათ კონსულობის დეკრეტისათვის. რამდენიმე დამფრთხალი, გაწუწული და სიცივით აკანკალებული დეპუტატი დაიჭირეს, ზოგი გზაზე, ზოგი ბაკებში, მიიყვანეს სასახლეში და იქ მათ დაუყოვნებლივ გააკეთეს ყველაფერი, რასაც მათგან მოითხოვდნენ, შემდეგ კი აიძულეს ხმა მიეცათ თავიანთი საბჭოს დაშლისათვისაც.

საღამოს სენ-კლუს სახახლის ერთ-ერთ ოდნავ განათებულ დარბაზში უხუცესთა საბჭომ უკამათოდ გამოსცა დეკრეტი, რომლითაც მთელი ძალაუფლება რესპუბლიკაში გადაეცა სამ პირს, რომელთაც კონსულები უწოდეს. ამ თანამდებობაზე დანიშნულ იქნენ: ბონაპარტი, სიეესი და როჟერ დიუკო. [illegible] ბონაპარტს სურვილი. ფორმალურად ერთპიროვნულ მბრძანებლად ყოფნა მას ჯერ კიდევ არ სურდა. რომ მისი კონსულობა ფაქტიურად სიცოცხლეში სრული დიქტატურა იქნებოდა, ეს წინასწარ გადაწყვეტილი ჰქონდა. მან იცოდა აგრეთვე, რომ მისი ორი ამხანაგი არაეითარ როლს არ ითამაშებდა და რომ მათ შორის განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ, რომელიც ჭკუას ძალას არ ატანდა, ახლავე დარწმუნებული იყო ამაში, [illegible] ლრმად მოაზროვნე სიეესი ამის შესახებ ჯერ არც კი ეჭვობდა, [illegible] დარწმუნდებოდა, საფრანგეთი ბონაპარტის წინაშე იყო გარ-

ეხმული. ღამის ორ საათზე სამმა ახალმა კონსულმა რესპუბლიკას ერ-ოგულება შეპფიცა. გვიან ღამით ბონაპარტი სენ-კლუდან პარიზს გაემგზავრა.

დიქტატორის პირველი ნაბიჯები

(1799-1800)

იმ წუთიდან, როდესაც სენ-კლუში 19 ბრიუმერს საღამოთი მიურატმა მოახსენა ნაპოლეონს ხუთასთა საბჭოს დარბაზი გაწმენდილია და ყოველივე რიგზეაო, საფრანგეთში თხუთმეტი წლით დამყარდა ერთმპყრობელობა და თვითმპყრობელობა, ხოლო გენერალი ბონაპარტი ფრანგი ხალხის სრულიად შეუზღუდავ მბრძანებლად გადაიქცა.

ის გარემოება, რომ ამ პერიოდის პირველი ხუთი წლის განმავლობაში თვითმპყრობელი თავის თავს პირველ კონსულს უწოდებდა, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში კი იმპერატორს, ხოლო საფრანგეთი ამის შესაფერისად ჯერ რესპუბლიკად, შემდეგ კი იმპერიად ითვლებოდა, არსებითად არაფერს არ ცვლიდა ნაპოლეონის სამხედრო დიქტატურის ბუნებაში. იგი აუქმებდა, ქმნიდა, ცვლიდა სახელმწიფო დაწესებულებებს, მაგრამ მათი შინაარსი და მიზანი ყოველთვის სრულიად უცვლელი რჩებოდა: ისინი უნდა ყოფილიყვნენ ერთიანი უმაღლესი ნებისყოფის განმახორციელებელი იარაღები, გარეგანი ფორმები, ზედმიწევნით მომარჯვებული თვითმპყრობელის ბრძანებათა სწრაფი და ზუსტი შესრულებისათვის.

ასეთ მდგომარეობაში იყვნენ შემდგომ ევროპის ის ქვეყნები, რომელნიც დამოკიდებულნი გახდნენ დამპყრობელისაგან: ზოგიერთ ქვეყნებში ნაპოლეონი თავის ძმებსა ან მარშლებს ნიშნავდა მეფეებად, ზოგან კი ტოვებდა დამარცხებულ მონარქებს, მაგრამ როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში ახალი და ძველი გვირგვინოსანნი მისი სრული მორჩილნი უნდა ყოფილიყვნენ, თუ არ სურდათ ტახტის დაკარგვა.

მაგრამ თუ ნაპოლეონის საბოლოო მიზანი ყველა მის პოლიტიკურ წაშოწყებაში მისი სრული ბატონობის დამყარება და განმტკიცება იყო, საშუალებები, რომლებსაც იგი ამისათვის მიმართავდა, ხულ სხვა იყო; და ერთ-ერთ ასეთ საშუალებას წარმოადგენდა აგრეთვე დიპლომატია, დათმობაზე წასვლა, დროებით შერიგება — სანამ ეს აუცილებელი იყო, მოც-

დისა და მოთმინების უნარი. დროთა განმავლობაში იგი თანდათან კარგავდა ამ უნარს, მ.აგრამ ბონაპარტის მმართველობის პირველ წლებში ეს მის უდაო თვისებას წარმოადგენდა.

საერთოდ ნაპოლეონის მრავალი თანამედროვე მისი სიკვდილის შემდეგ იმ აზრისა იყო, რომ კონსულობის წლები ნაპოლეონის საუკეთესო წლები და საფრანგეთის უბედნიერესი ხანა იყო მთელი ამ პერიოდის განმავლობაში.

საქმე იმაშია, რომ სწორედ კონსულობის ეპოქაში ჩაუყარა ნაპოლეონმა მტკიცე საფუძველი იმ ადმინისტრაციულ, იურიდიულ და ყოფა-ცხოვრებითს წყობილებას, რომლითაც ამის შემდეგ ცხოვრობდა საფრანგეთი (და რომლის შენარჩუნებასაც იგი დღესაც ცდილობს). ბევრჯერ გამოიცვალა საფრანგეთში პოლიტიკური ზედა ფენა: კონსულობა შეცვალა იმპერიამ, ბონაპარტების დინასტია — ბურბონების დინასტიამ, ბურბონები — ორლეანებმა, ორლეანები — რესპუბლიკამ, რესპუბლიკა კვლავ ბონაპარტის დინასტიამ, ხოლო შემდეგ ისევ რესპუბლიკამ; ერთი რევოლუცია მეორეს მოსდევდა, ერთ ომს მეორე ომი, — ქვეყანაზე ყოველივე იცვლებოდა, არ იცვლებოდა მხოლოდ ის მტკიცე ბიუროკრატიული ჩონჩხი, რომელიც შექმნილი იყო პირველი ბონაპარტის მიერ. დღესაც იგივე პრეფექტები მართავენ საფრანგეთს, დღესაც ისეთივეა ყველა სამინისტროს ორგანიზაცია (თავისი განყოფილებებითა და განყოფილებების უფროსებით), დღესაც ძალაშია იგივე ყოვლის შემძლე საშკარაო და ყოვლისმცოდნე საიდუმლო პოლიცია, იგივე სახელგანთქმული კანონთა კრებული ("ნაპოლეონის კოდექსი"), რომელიც აწესრიგებს ფრანგი ხალხის ყველა თურიდიულ და ქონებრივ ურთიერთობას, იგივე სასამართლო წესდებები და სასამართლო წესები, იგივე ბიუროკრატიული წყობილება, განათლების საქმის ისეთივე ორგანიზაცია, უნივერსიტეტით დაწყებული.

ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლების აპარატი, ზედმიწევნით მომარჯვებული შეუზღუდავი მონარქიისათვის, სწორედ კონსულობის წლებშია შექმნილი ნაპოლეონის მიერ. და არა თუ გაუქმება ამ აპარატისა, მისი ოდნავად შეცვლაც არ გაუბედავს არც ერთ მთავრობას, რომელიც კი მოსულა საფრანგეთში ძველის შესაცელელად, დაწყებული ნაპოლეონიდან ჩვენს დრომდე, პარიზის კომუნის გამოკლებით.

ამრიგად, ოცდაათი წლის გენერალი, რომლის მოღვაწეობის სარბიელს დღემდე მხოლოდ ომი წარმოადგენდა, იტალიის დამპყრობელი, ეგვიპტის დამპყრობელი, რომელმაც ერთი დაკვრით მოსპო რესპუბლიკის კანონიერი მთავრობა, 19 ბრიუმერს საღამოს გახდა თვითმპყრობელი ევ-

როპის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოსი; არსებითად იგი მას სრულებით არ იცნობდა ამ მომენტში და ჯერ არც დრო ჰქონდა მის გასაცნობად. ამ ქვეყნის ისტორიული ცხოვრების მანძილი ათასხუთასი წლით განიზომებოდა; შემდეგ რევოლუციამ დაამხო ფეოდალური წყობილებისა და მასთან დაკავშირებული მონარქიის ათასხუთასი წლის არსებობა; დამყარდა რესპუბლიკა და აი ახლა მან, კორსიკელმა აზნაურმა და თვით ამ რესპუბლიკის ჯარისკაცმა, დაამხო ამ რესპუბლიკის მმართველობა და ერთპიროვნულ მბრძანებელად გადაიქცა. მის წინ გადაშლილიყო ძველი რეჟიმის ნამსხვრევებისა და რევოლუციის მიერ გამოვლინებული ახალი მასალების უზარმაზარი გროვა, ძალიან ბევრი რამ დაწყებული და დაუმთავრებელი, დაწყებული და მიტოვებული, დაწყებული და გაუქმებული. ყველივე თითქოს ქაოსში იყო გახვეული და დუღილს განიცდიდა.

რაც შეეხება საგარეო საქმეებს, პირველ კონსულს აქაც უაღრესად რთული და საშიში მდგომარეობა დახვდა. სანამ იგი ეგვიპტეს იპყრობდა, ევროპის მეორე კოალიცია წარმატებით იბრძოდა ფრანგების წინააღმდეგ და იტალიას დაეპატრონა. სუვოროვის ლაშქრობამ გააბათილა ნაპოლეონის მიერ 1796-1797 წლებში მიღწეულ გამარჯვებათა შედეგები. მართალია, სუვოროვს აღარ ეყო ძალა და შესაძლებლობა იმისათვის, რომ საფრანგეთში შეჭრილიყო ალპებზე გადასვლის შემდეგ ოკეისი პირველი განზრახვისამებრ, მაგრამ კოალიციას სრულიად არ დაუყრია იარაღი და შესაძლებელი იყო, რომ მტერი უკვე გაბაფხულზე მისდგომოდა საფრანგეთის საზღვრებს. ხაზინას ფული არ გააჩნდა; იყო მოელი ისეთი ნაწილები არმიისა, რომლებიც თვეობით ვერ ღებულობდნენ საარსებო სახსრებს. ცნობისმოყვარეობითა და ირონიით შეპყურებდნენ საქმეში ვამოცდილი პოლიტიკური მოღვაწენი ახალგაზრდა ჯარისკაცს, რომელსაც ჯერ არაფერი ენახა ცხოვრებაში, თავისი ჯარისკაცური ცხოვრების გარდა, თუ რაგორ დააღწევდა იგი თავს ამ უაღრესად რთულ, არეულ და სახიფათო პირობებს.

ბონაპარტმა დაიწყო ახალი ბელისუფლების ორგანიზაციით, ე.ი. თავისი თვითმპყრობელობის განმტკიცებით. ... ძალიან კომიკური ... ძველი შეხვედრები ხიესის მსგავს ძველ პოლიტიკოსებთან. ხიესი აშკარად დარწმუნებული იყო, რომ იგი პირველ როლს ითამაშებდა და დამრიგებლობასა და ხელმძღვანელობას გაუწევდა ახალგაზრდა გამოუცდელ ნაპოლეონს. იმდროინდელი საფრანგეთის პრიოფესიული პოლიტიკოსები ნაპოლეონს უკვე მაშინ ეჩვენდა დრომოჭმულ ძოლაყბეებად, რომელთაც არ სურთ შეიგნონ, რომ ისინი ახლა ზედმეტ ბარგს წარმოადგენენ. იაკობი-

ნელები მას სძულდა და ეშინოდა მათი, რობესპიერის (როგორც უფროსს, ისე უმცროსს, რომელთანაც, როგორც დავინახეთ, მას კარგი დამოკიდებულება ჰქონია) არასოდეს არ იხსენებდა, მაგრამ აშკარა იყო, რომ მან მით უფრო კარგად იცოდა იმათი ფასი, ვინც დალუპა რობესპიერი და ვინც მისი ადგილი დაიჭირა. მასში ზიზღს იწვევდნენ ის სპეკულანტები, ზაზინის ქურდები და მექრთამეები, რომელთა რიცხვი უამრავი იყო დირექტორიის მმართველობის დროს და რომელნიც უშინაარსო ყბედობით ფარავდნენ თავიანთ ბნელ საქმეებს.

სიესი, რომელსაც მიანდო ბონაპარტმა ახალი კონსტიტუციის პროექტის შედგენა, გულმოდგინედ ჩაუჯდა ოსტატურად მოფიქრებულ და მოხერხებულად შეკაზმულ საკონსტიტუციო პროგრამებს. მაგრამ ავიწყდებოდა ის გარემოება, რომ ამჟამად ბურჟუაზიის მთელი მასა, ქალაქებში და სოფლად, მოითხოვდა მტკიცე პოლიტიკურ წესრიგს, რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცებას, მაგრამ მათ შორის სწორედ ისეთების, რომელნიც უშუალოდ ეხებოდნენ თავისუფლებას ვაჭრობასა და მრეწველობაში, გლეხი — მესაკუთრეები მოითხოვდნენ, რომ მათთვის უზრუნველყოფილი ყოფილიყო ახლადშეძენილი მიწების მფლობელობა. გენერალმა სრულიად მოულოდნელად სიესის პროექტებს სულელური უწოდა, მისცა სახელმძღვანელო მითითებები და "შესწორებები" შეიტანა.

ახალი კონსტიტუცია მზად იყო გადატრიალებიდან ერთი თვის შემდეგ. რესპუბლიკის სათავეში დგას სამი კონსული, რომელთაგან პირველი აღჭურვილია სრული ძალა-უფლებით, ხოლო ორი დანარჩენი — სათათბირო ხმის უფლებით. სენატს ნიშნავენ კონსულები, ხოლო სენატი თავის მხრივ ნიშნავს საკანონმდებლო კორპუსისა და ტრიბუნატის წევრებს იმ რამდენიმე ათასი კანდიდატის რიცხვიდან, რომელთაც ირჩევს მოსახლეობა. პირველ კონსულად, რა თქმა უნდა, ბონაპარტი "დაინიშნა".

მთელი ძალა-უფლება მის ხელში იყო. ყველა დანარჩენი დაწესებულება არსებობდა რაღაც მკრთალი აჩრდილების სახით, რომელთაც არასოდეს არ ჰქონიათ და არც უცდიათ რაიმე გავლენის მოპოვება. სიესი გაკვირვებული და ნაწყენი იყო. მაგრამ ბონაპარტმა უხვად დააჯილდოვა იგი და სამუდამოდ განარიდა ყოველგვარ, ღირსეულ მაინც აქტიურ როლს. მისთვის საჭირო იყვნენ შახურები და აღმასრულებლები და არა მრჩეველები და კანონმდებელნი.

მაშინვე ცხადი გახდა, რომ ბონაპარტს არც კრიტიკოსები სჭირდებოდა სულ მალე მას შემდეგ, რაც სამოქმედოდ შემზადებულ იქნა საკონსულო კონსტიტუცია, ბონაპარტმა (27 ნივოზს) გაატარა დადგენილება, რომ-

ლითაც დახურულ იქნა სამოცი იმ დროს არსებულ სამოცდაცამეტ გაზეთიდან, ხოლო დანარჩენი ცამეტი, დროებით გადარჩენილი (რამდენიმე ხნის შემდეგ მათგან დაიხურა ცხრა და დარჩა მხოლოდ ოთხი) დაუქვემდებარეს პოლიციის მინისტრის მკაცრ კონტროლს. ნაპოლეონი ორგანულად ვერ იტანდა ვერაფერს, რაც კი ოდნავ მაინც წააგავდა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას. ეს პირველი ნაბიჯები საკვებით ახასიათებდნენ ნაპოლეონის შეხედულებას თავის ძალა-უფლებაზე.

ახალი კონსტიტუცია — ასეთი იყო თავდაპირველი დაპირება — მიღებული უნდა ყოფილიყო საყოველთაო სახალხო კენჭის ყრით. მაგრამ ბონაპარტმა მოულოდნელად გამოაცხადა, კონსტიტუცია ძალაში შედის ახლავე, პლებისციტამდეო. მან იცოდა, რომ უსაზღვრო ძალა-უფლება მას მიანიჭა არა ხალხმა, არამედ გრენადერებმა 1799 წლის ბრიუმერის დღეებში. მაშ რატომლა უნდა გაეხადა მას, ბონაპარტს, საქმე სახალხო პლებისციტის სამადლოდ, რომელიც უკვე საჭირო აღარ იყო? ყველაფრისათვის მიეღწია მხოლოდ თავისი გრენადერების, ე.ი. საკუთარი თავის წყალობით, ყოველივე დაემყარებინა დაპყრობის უფლებაზე — აი რა იყო არა თუ მარტო აზრი, არამედ პოლიტიკური მსოფლშეგრძნება ნაპოლეონისა. გრენადერები — აი ვინ არის წარმომშობი ყოველგვარი ძალა-უფლებისა, გრენადერები — აი ვინ არის საფუძველი ყოველგვარი ძალა-უფლებისა. "დიდი ათასეულები ყოველთვის მართალნი არიან" — ეს იყო ბონაპარტის საყვარელი გამოთქმა. "დიდმა ათასეულებმა" დაუპყრეს მას საფრანგეთი 18 და 19 ბრიუმერს, სწორედ ისევე, როგორც დაპყრეს მისი სარდლობით იტალია და ეგვიპტე, ხოლო უფრო გვიან — თითქმის მთელი ევროპა, და იგი დარწმუნებული იყო, რომ არავის არა ჰქონდა უფლება მოეთხოვა მისთვის ანგარიში ან ძალა-უფლების განაწილება. თავის სამწუხაროდ, სიესი მალე მიხვდა ამას. ამას თანდათან სხვებიც მიხვდნენ.

მაგრამ პოეტმა გოეთემ სამართლიანად თქვა ნაპოლეონზე: ნაპოლეონისთვის ძალა-უფლება იგივე იყო, რაც მუსიკალური ინსტრუმენტი დიდი არტისტისათვისო. მან დაუყოვნებლივ აამოქმედა ეს ინსტრუმენტი, როგორც კი ხელში ჩაიგდო იგი. თავის უპირველეს ამოცანად მან დაისახა სამოქალაქო ომის ჩაქრობა დასავლეთ საფრანგეთში და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული განადგურება უაღრესად განვითარებული ბანდიტიზმისა სამხრეთსა და ჩრდილოეთში. მას ძლიერ ეჩქარებოდა ზემოთაღნიშნული ორი ამოცანის მსგავსი განსაკუთრებით გადაუდებელი საქმეების დამთავრება გაზაფხულამდის, რადგანაც გაზაფხულზე ომი უნდა განახლებულიყო.

ყაჩაღური ბრბოები (ზოგიერთი მათგანი ყაჩაღობასთან ერთად პოლიტიკურ კონტრრევოლუციასაც ეწეოდა) ნახევარი წლის განმავლობაში იქნენ ლიკვიდირებული ბონაპარტის მიერ. იგი განსაკუთრებული სისასტიკით მოქმედებდა, — სისასტიკე მას საუკეთესო მეთოდად მიაჩნდა ყოველთვის. თუ შეიძლება ასე ითქვას, მან პრინციპულად უარყო გულკეთილობა, როგორც თვისება, რომელიც მისი აზრით, მავნებელი, მიუღებელი იყო მმართველისათვის. ერთხელ, როდესაც მისმა უმცროსმა ძმამ ლუდოვიკომ, მის მიერ 1806 წელს ჰოლანდიაში დანიშნულმა მეფის თანამდებობაზე, მოისურვა თავის მოწონება მის წინაშე იმით, რომ იგი, ლუდოვიკო, ძლიერ უყვართ ჰოლონდიაში, უფროსმა ძმამ მკაცრად გააწყვეტინა სიტყვა უმცროსს: "ჩემო ძმაო, როდესაც მეფეზე ამბობენ გულკეთილიაო, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი უხეირო მეფე გამომდგარა".

1811 წლის აპრილში ერთი გაზეთი ("Gasette de France"), გადაჭარბებული გულმოდგინეობით გატაცებული, აღფრთოვანებული კოლოთი იტყობინებოდა იმპერატორის "გულკეთილობაზე", რომელმაც, მემკვიდრის დაბადებით გახარებულმა, ვილაც მთხოვნელი დააკმაყოფილა. ამან ისე გააბრაზა ნაპოლეონი, რომ მან მაშინვე მისწერა პოლიციის მინისტრს: "ბატონო პერეგო როვიგო, ვინ მისცა ნება "Gasette de France"-ს მოეთავსებინა ასეთი სულელური წერილი, რომელიც დაბეჭდილია იქ ჩემს შესახებ?" — და ბრძანა დაუყოვნებლივ გაეგდოთ რედაქტორი, რადგანაც "ეს კაცი მეტად ბევრ უხამსობას სჩადის", "ჩამოართვით მას გაზეთის რედაქტორობა!"

ვგონებ, ნაპოლეონი უფრო ადვილად აიტანდა, რომ მასზე გაევრცელებინათ ხმა მხეციაო, ვიდრე იმას, რომ მისთვის ტყუილ-უბრალოდ გულკეთილობა დაეწამათ. ყაჩაღებთან ანგარიშის მძვინვარე მასობრივმა გასწორებამ ნათელყო, რომ ახალ მმართველს გადაჭრით ერჩია ათი უდანაშაულო დაესაჯა ვიდრე დაენდო, ხელიდან გაეშვა თუნდაც ერთი დამნაშავე.

ყაჩაღური ბრბოებისაგან საფრანგეთის გაწმენდასთან ერთად, ბონაპარტმა უაღრესად დიდი ყურადღება მიაპყრო ვანდეას.

აქ თავად-აზნაურობამ და სამღვდელოებამ წინანდებურად მოახერხეს (მთელი რიგი ეკონომიური მიზეზების გამო) გადაებირებინათ გლეხობის ერთი ნაწილი, დაერაზმათ იგი, აღეჭურვათ მშვენიერი იარაღით, რომელიც მოჰქონდათ მათთვის ზღვით ინგლისელებს, ესარგებლათ ტყეებითა და ჭაობებით და გაეჩაღებინათ ხანგრძლივი პარტიზანული ბრძოლა რევოლუციის ყველა მთავრობის წინააღმდეგ.

ვანდეელებისა და შუანების მიმართ (ასე ერქვა ამ ამბოხებულთ მდა-ბიო ხალხში) ბონაპარტმა სხვა ტაქტიკას მიმართა.

სწორედ 18 ბრიუმერის გადატრიალების წინ შუანებმა რამდენჯერმე გაიმარჯვეს რესპუბლიკის ჯარებზე, აიღეს ქალაქი ნანტი და ხმამაღლა გაიძახოდნენ, მალე მოხდება ბურბონების რესტავრაციაო.

ბონაპარტმა, ერთის მხრივ, გააძლიერა შუანების წინააღმდეგ მოქმედი არმია, ხოლო, მეორეს მხრივ, — ამნისტიას დაპპირდა ყველას, ვინც დაუყოვნებლივ დაყრიდა იარაღს, თანაც გააგებინა, რომ არ დაუწყებდა დევნას კათოლიკურ წირვა-ლოცვას; ბოლოს მან მოისურვა პირადად ენახა და ელაპარაკა შუანების სახელგანთქმულ წინამძღოლ ჟორჟ კადუდალთან, რომელსაც აღუთქვა სრული პირადი უშიშროება პარიზში ყოფნის დროს და თავისუფლად დაბრუნება, რითაც უნდა გათავებულიყო ეს მოლაპარაკება.

ამრიგად მოხდა ამ ვეებერთელა ტანის, ლეგენდარული კუნთობრიელი ლონის მქონე ფანატიკური ბრეტონელი გლეხის პირისპირ შეხვედრა იმ დროს ჯერ კიდევ გამხდარ, დაბალი ტანის ბონაპარტთან. მახლობელ დარბაზებში შეშფოთებული ირეოდნენ ბონაპარტის ადიუტანტები, რომელთაც ეშინოდათ, რომ კადუდალს არ მოეკლა ბონაპარტი: ყველამ იცოდა, რომ კადუდალი მზად იყო ყოველგვარი თვითგანწირვისათვის და რომ მას დიდი ხანი იყო თავი განწირულად მიაჩნდა.

რატომ არ მოკლა მან ბონაპარტი? მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ამ დროს იგი ჯერ კიდევ იმ მალე გამქრალი ილუზიის ქვეშ იმყოფებოდა, რომელიც ბონაპარტის კარიერის დასაწყისიდანვე თავგზას უბნევდა როიალისტებს. მათ სულ ეჩვენებოდათ, რომ ახალგაზრდა სახელგანთქმულ სარდალს ბედით ეწერა ეთამაშა სწორედ ისეთი როლი, რომელიც ითამაშა ინგლისში 1660 წელს გენერალმა მონკმა, როდესაც იგი დაეხმარა განდევნილ სტიუარტებს ტახტზე დაბრუნებასა და რესპუბლიკის მოსპობაში. იმაზე მეტი სიბეცე, თითქოს ნაპოლეონის მსგავს ადამიანს შეეძლო სხვისთვის დაეთმო პირველი ადგილი, ძნელი წარმოსადგენია.

კადუდალს არ მოუხრჩვია ბონაპარტი, მაგრამ მისი კაბინეტიდან იგი მაინც შეურიგებელი გამოვიდა. სხვათა შორის, პირველმა კონსულმა შესთავაზა მას გენერლობა თავის არმიაში, ცხადია, იმ პირობით, რომ იგი მხოლოდ საგარეო მტრების წინააღმდეგ იბრძოლებდა. კადუდალმა უარი განაცხადა და ვანდეაში დაბრუნდა. შუანების მეორე დიდი წინამძღოლი, ფროტე, ტყვედ ჩავარდა და დახვრეტილ იქნა. კადუდალი, ჯერ კიდევ 1800 წლის იანვარში დამარცხებული მთავრობის ჯარის შიერ, ახლა ბონაპარ-

ტთან პირადი შეხვედრის შემდეგ განაგრძობდა ბრძოლას, მაგრამ იძულებული იყო მეტწილად მიმალული ყოფილიყო და ჯარისკაცების შემთხვევით ჩამორჩენილ პატარა ჯგუფებზე უეცარი თავდასხმით კმაყოფილდებოდა. მთავრობის ჯარის წარმატებები, ამნისტიის დაპირება, ეკლესიის საწინააღმდეგო პოლიტიკის შერბილება, იმედები, რომლებსაც ამყარებდნენ ნაპოლეონზე ბურბონები და მათი მომხრეები — ყველაფერ ეს ძლიერ ასუსტებდა შუანების ბრძოლის უნარიანობას და მათ აღფრთოვანებას. კადუდალი ხედავდა, რომ მისი რაზმები თანდათან იშლებოდა. ვანდეაში გამეფებული იყო მოლოდინის განწყობილება და სურვილი — მოეგოთ საფრანგეთის რესპუბლიკის ახალი მეთაურის გული, რათა იგი კეთილად ყოფილიყო განწყობილი როიალისტებისადმი. ჯერჯერობით ეს სავსებით დამაკმაყოფილებელი იყო ბონაპარტისათვის: ამ პირველ თვეებში, ე.ი. 1799 წლის ნოემბერსა და 1800 წლის პირველ თვეებში, მისთვის საჭირო იყო გაეტარებინა მხოლოდ უაღრესად აუცილებელი ღონიძიებები და ერთი წუთითაც არ დაევიწყა ომი, რომელიც გაზაფხულზე უნდა დაწყებულიყო.

ბონაპარტი ერთი გადაუდებელი საქმიდან მეორეზე გადადიოდა: ყაჩაღებიდან — ვანდეაზე, ვანდეიდან — ფინანსებზე, რადგან საჭირო იყო იმ უზარმაზარი არმიის გამოკვება, ჩაცმა და შეიარაღება, რომელსაც იგი გაზაფხულისთვის ამზადებდა, ხაზინაში კი ფული საერთოდ არ მოეპოებოდა: დირექტორიის ბატონობამ გამოიწვია ხაზინის სრული დაცარიელება. ნაპოლეონს ესაჭიროებოდა კარგი სპეციალისტი და მან მაშინვე გამოძებნა იგი: ეს იყო გოდენი, რომელიც მან თავის ფინანსთა მინისტრად დანიშნა.

თავისთავად ცხადია, რომ ბონაპარტის მმართველობის დასაწყისშივე საფინანსო დარგშიც აღებულ იქნა მტკიცე ხაზი: ორთავემ — სამხედრო დიქტატორმაც და მისი ნების აღმსრულებელმა გოდენმაც — გადაწყვიტეს უპირატესობა მიეცათ არაპირდაპირი გადასახადებისათვის. რევოლუციამ გააკეთა ცდები, არც თუ მაინცდამაინც გადამწყვეტი, პირდაპირი დაბეგვრით შეეცვალათ არაპირდაპირი გადასახადები, მაგრამ ეს რევოლუციური ღონისძიება ნაპოლეონმა კიდევ უფრო ადრე გააცამტვერა, ვიდრე ზოგიერთი სხვა.

ბურჟუაზია ქალაქად და სოფლად კმაყოფილი იყო საფინანსო პოლიტიკის ახალი მიმართულებით, იგი კმაყოფილი იყო მთელი რიგი სხვა საფინანსო ღონისძიებითაც: კონტროლის დაწესებით, ანგარიშების მოწესრიგებით, მტაცებლობისა და ხაზინის უტიფარი ქურდობის მკაცრი დევ-

ნით. ხაზინის ქურდებმა 9 ტერმიდორის შემდეგ პირველად იგრძნეს თავიანთი მომავლის უიმედობა და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მათი სპეციალობა დღეს, ნაპოლეონის დროს, თითქმის ისეთივე საშიში გახდა, როგორც ეს იყო რობესპიერის დროს.

ანგარიშგება და კონტროლი ყოველ უწყებაში ისე იყო მოწყობილი, რომ სახელმწიფოს ყოველი გროში ზუსტად და მკაფიოდ უნდა ყოფილიყო აღრიცხული. ამ ანგარიშგების შემოღება საჭირო იყო უწინარეს ყოველისა არმიაში, სადაც ოდნავი დაყოვნებაც კი შეუძლებელი იყო, რადგანაც ახლოდებოდა საომარი მოქმედების დასაწყისი.

ნაპოლეონი გულმოდგინედ შრომობდა მმართველობის მოწყობისათვის. მან დატოვა რევოლუციის მიერ ნაანდერძი დაყოფა საფრანგეთისა დეპარტამენტებად, მაგრამ ერთბაშად გააცამტვერა ადგილობრივი თვითმმართველობის ყოველგვარი ნიშანწყალი. ქალაქებში და სოფლად ისპობოდა ყოველგვარი არჩევითი თანამდებობა და საარჩევნო კრებებიც კი. ამიერიდან ყოველ დეპარტამენტში შინაგან საქმეთა მინისტრს უნდა დაენიშნა პრეფექტი — ბატონი და მბრძანებელი, ადგილობრივი პატარა მეფე. პრეფექტი ნიშნავდა მუნიციპალურ საბჭოებს, აგრეთვე ქალაქის თავებს (მერებს) ქალაქად და კომუნებში (სოფლად). ეს პირნი პასუხისმგებელნი იყვნენ პრეფექტის წინაშე, რომელსაც მათი გადაყენებაც შეეძლო თანამდებობიდან.

პრეფექტთან არსებობდა წმინდა სათათბირო ორგანო — "მთავარი საბჭო", საკუთარი დამოუკიდებელი პრეფექტისაგან; მისი ერთადერთი დანიშნულება იყო — გაეცნო პრეფექტისათვის დეპარტამენტის საჭიროებანი. შინაგან საქმეთა მინისტრი განაგებდა ქვეყნის მთელ ადმინისტრაციულ ცხოვრებას; მისსავე უწყებას მიეკუთვნა ვაჭრობაც, მრეწველობაც, საზოგადოებრივი სამუშაოებიც და კიდევ მრავალი სხვა რამ, რაც შემდგომ ბონაპარტის მიერ სხვა სამინისტროებად იქნა გამოყოფილი.

საფუძვლიანი რეფორმა განიცადა სასამართლო საქმემაც: მარტის შუა რიცხვებში პირველმა კონსულმა ხელი მოაწერა კიდევ ერთ კანონს — იუსტიციის სამინისტროს ორგანიზაციის შესახებ.

სასამართლოების გარდაქმნის დროს ნაპოლეონმა გააუქმა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი: მისი თვითმპყრობელობა თავისი ბუნებით ვერ შეუერიგდებოდა მისი ნებისყოფისაგან დამოუკიდებელ საზოგადოების ხმის მონაწილეობას სასამართლო საქმეების გადაწყვეტაში.

მან შექმნა განსაკუთრებული დიდი სამინისტრო, სრულიად დამოუკიდებელი შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან, რომელიც ისევე, როგორც

ყველა სხვა დამოუკიდებელი უწყება, უშუალოდ პირველ კონსულს ემორჩილებოდა. ეს იყო პოლიციის სამინისტრო, რომელიც ნაპოლეონმა ძალაუფლებისა და ფულადი სახსრების მხრივ ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა, როგორიც მას არასოდეს არ ჰქონია დირექტორიის დროს.

განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდა ბონაპარტი, დედაქალაქის პოლიციის პრეფექტურის ორგანიზაციას. პარიზის პოლიციის პრეფექტს, რომელიც თუმცა პოლიციის მინისტრს ემორჩილებოდა, განსაკუთრებული ადგილი ეჭირა სხვა მაღალი თანამდებობის მოხელეებთან შედარებით და უფლება ჰქონდა პირადი მოხსენება გაეკეთებინა პირველი კონსულისათვის.

ბონაპარტი განზრახ აქუცმაცებდა თავის პოლიტიკურ პოლიციას და სურდა ჰყოლოდა არა ერთი, არამედ ორი და სამი პოლიცია, რომელთაც თვალყური უნდა ედევნებინათ არა მარტო მოქალაქეებისა, არამედ ერთმანეთისთვისაც. პოლიციის სამინისტროს სათავეში მან დააყენა ფუშე, მეტად მოხერხებული ჯაშუში, პროვოკატორი, გამოქნილი ინტრიგანი — ერთი სიტყვით ნაპოლეონისათვის უაღრესად სასარგებლო მაძებარი — სპეციალისტი. მაგრამ ბონაპარტმა ამასთან ერთად კარგად იცოდა, რომ ფუშე არა თუ მას, საკუთარ მამასაც კი გაჰყიდდა მოხერხებულ შემთხვევაში ხელსაყრელ ფასად. იმისათვის, რომ უზრუნველეყო თავი ამ საფრთხისაგან, პირველმა კონსულმა გაიჩინა სანდო ჯაშუშები, რომელთაც მიანდო ვიწროდ შემოფარგლული ამოცანა — ჯაშუშობა ფუშეს მიმართ. ხოლო იმისათვის, რომ ზუსტად გამოეცნოთ ის მომენტი, როდესაც ფუშე შეამჩნევდა ამას და მათ მოსყიდვას შეეცდებოდა, მას ჰყავდა კიდევ მესამე სერია ჯაშუშებისა, რომელთა მოვალეობასაც შეადგენდა მეთვალყურეობა იმ ჯაშუშებისა, რომელნიც ფუშეს უთვალთვალებდნენ.

შექმნა შეუზღუდავი ხელისუფლება მისი კონცენტრაციით პირველი კონსულის ხელში — აი რა იყო ძირითადი მიზანი ახალი "კონსტიტუციისა".

ერთხელ ბონაპარტმა თქვა: "დიახ, დიახ, სწერეთ ისე, რომ იყოს მოკლე და გაურკვეველი", ამ სიტყვებით გამოსახა მან თავისი საერთო პრინციპი, როდესაც საქმე შეეხება უმაღლესი ხელისუფლების საკონსტიტუციო შეზღუდვებს, საჭიროა წერა რაც შეიძლება მოკლედ და ბუნდოვანად. ნაპოლეონს ორგანულად არ შეეძლო აეტანა თუნდაც სულ მცირე, მაგრამ რეალური შეზღუდვა თავისი ძალა-უფლებისა.

უკვე პირველ დღეებში გადატრიალების შემდეგ სიზმარივით გაქრა ის გულუბრყვილო გაუგებრობა, რომლითაც შეპყრობილი იყო ხალხი 18 ბრი-

უმერის წინ. როდესაც სიეესმა წარუდგინა ბონაპარტს პროექტი, რომლის თანახმად მას, ბონაპარტს, ქვეყნის უზენაესი წარმომადგენლის როლი უნდა ეთამაშა, მმართველები კი მის მიერ დანიშნულნი, მაგრამ მისგან სრულიად დამოუკიდებელი ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ, ბონაპარტმა გაანაცხადა: "მე არასოდეს არ ვითამაშებ ასეთ სასაცილო როლს" და კატეგორიულად უარყო სიეესის პროექტი. სიეესმა დააპირა გაჯიუტება, კამათის დაწყება... მაშინ მასთან მივიდა პოლიციის მინისტრი ფუშე, რომელმაც სრულიად მეგობრულად და საიდუმლოდ მიაქცია მისი ყურადღება იმას, რომ ბონაპარტის ხელშია ქვეყნის მთელი შეიარაღებული ძალა და რომ ამიტომ მასთან ხანგრძლივი კამათი არც თუ მაინცდამაინც დიდ სარგებლობას მოუტანს მოკამათეს, ხოლო შეიძლება ავნოს კიდეც. როგორც ჩანს, სიეესს ეს მოსაზრება საკმაოდ დამაჯერებლად ეჩვენა: იგი დაჩუმდა.

"რესპუბლიკის VIII წლის კონსტიტუცია" (ასე ეწოდებოდა საფრანგეთის სახელმწიფო წყობილებას, ნაპოლეონის მიერ გამომუშავებულს) სავსებით აკმაყოფილებდა იმ პრინციპს, რომელიც ნაპოლეონმა შეითვისა. მთელი ძალა-უფლება პირველი კონსულის ხელში იყო, დანარჩენ ორ კონსულს კი სათათბირო ხმა მიეცა. პირველი კონსული ნიშნავდა ოთხმოცი წევრისაგან შემდგარ სენატს. თვით ბონაპარტი კი ინიშნება პირველ კონსულად ათი წლის ვადით. პირველი კონსული საკუთარი ძალა-უფლებით ნიშნავს ყველა სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობის პირს, დაწყებული მინისტრებიდან, და ყველა ისინი პასუხისმგებელნი არიან მხოლოდდამხოლოდ მის წინაშე.

შეიქმნა კიდევ ორი ორგანო, რომელნიც საკანონდებლო ხელისუფლების გამომხატველნი უნდა ყოფილიყვნენ: ეს იყო ტრიბუნატი და საკანონდებლო კორპუსი. ორივე დაწესებულების წევრებს ნიშნავდა სენატი (ე.ი. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, იგივე პირველი კონსული) საკუთარი შეხედულებისამებრ იმ რამდენიმე ათასი კანდიდატის რიცხვიდან, რომელთაც "ირჩევდნენ" ამომრჩეველები.

ამ დაწესებულებების გარდა, შეიქმნა კიდევ სახელმწიფო საბჭო, რომელსაც მთლიანად და უშუალოდ პირველი კონსულის მთავრობა ნიშნავდა.

დავუმატებ, რომ საქმის დასაჩქარებლად პირველ კონსულს შეეძლო თავისი კანონპროექტი შეეტანა უშუალოდ სენატში, რომელიც გამოსცემდა ხოლმე საჭირო კანონს "სენატუს — კონსულტის" სახელწოდებით. ამრიგად, მთელი რეალური საკანონდებლო ძალა-უფლება, ისევე როგორც აღმასრულებელი ძალა-უფლება ბონაპარტის ხელში იყო.

1800 წლის გაზაფხულისათვის ახალმა თვითმპყრობელმა, ამრიგად, უკვე დაამთავრა ყველა განსაკუთრებით გადაუდებელი საქმე; მან ჩამოაყალიბა ახალი სახელმწიფო წყობილება; ბოლო მოუღო თუ ყველას არა, ყოველ შემთხვევაში მრავალ ყაჩაღულ ბრბოს სამხრეთში; ჩაატარა — თუმც ჯერ აჩქარებულად და დროებით — ზოგიერთი ღონისძიება ვანდეაში არსებული მდგომარეობის შესანელებლად; შემოიღო ქვეყნის მმართველობის ცენტრალიზაცია; გაატარა პირველი სრულიად აუცილებელი ღონისძიებანი სპეკულანტური მტაცებლობისა და მოხელეთა მიერ ხაზინის ქურდობის ასალაგმავად; ვეებერთელა, ოსტატურად დამუშავებული ჭელი ჯაშუშობისა ფუშეს ხელმძღვანელობით სწრაფად მოედო მთელ ქვეყანას.

ჟოზეფ ფუშე, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაბადებით ჯაშუში იყო. ძველ რომში არსებობდა ანდაზა: ორატორები იქმნებიან, პოეტებად კი იბადებიანო. ფუშე იყო "პოეტი" ჯაშუშობისა, "აღფრთოვანებული შემოქმედი" პროვოკატორული და სამძებრო სისტემისა.

ნაპოლეონმაც სრული გასაქანი მისცა ფუშეს შემოქმედებას, ხოლო რაკი იცოდა მისი მრავალგვარი თვისებები და მეტად მრავალმხრივი ბუნება, როგორც ვთქვით, მიუჩინა მას ყოველი შემთხვევისათვის რამდენიმე ჯაშუში, უცნობი პოლიციის მინისტრ ფუშესათვის, თვის ფუშეს სამეთვალყუროდ. მან ძალიან კარგად იცოდა, რომ გაზაფხულზე ახალ შორეულ ლაშქრობაში წასვლისას მას მტკიცედ უნდა უზრუნველეყო პოლიტიკური ზურგი და რომ ამ თვალსაზრისით "VIII წლის კონსტიტუციას" არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ხოლო პოლიციის სამინისტროს მნიშვნელობა კი ძალიან დიდი იყო. ამიტომ ბონაპარტი არა თუ მარტო უხვად ამარაგებს პოლიციას საჭირო ხასხრებით, არა თუ მარტო ცდილობს სრულყოს და უზრუნველყოს საჭირო, ნიჭიერი და ენერგიული ადამიანებით მის მიერ ახლად შექმნილი ადმინისტრაცია პარიზსა და პროვინციაში, არამედ საბოლოოდ რკინის მუხრუჭს უჭერს იმ ცამეტ გაზეთს, რომელნიც გადაურჩნენ პირველი კონსულის მიერ ერთბაშად სამოცი გაზეთის დახურვის შემდეგ.

ომში წასვლის წინ იგი მის მიერ ჩამოყალიბებული თვითმპყრობელობის მანქანას უტოვებს თავის მინისტრებს და მოითხოვს მათგან, რომ მათ უზრუნველყონ წესრიგი, სანამ იგი იომებს ევროპის სახელმწიფოთა კოალიციასთან.

მაგრამ ნაპოლეონის წასვლამდე ჯერ კიდევ ერთი თვით ადრე, 1800 წლის აპრილში, ფუშემ აღმოაჩინა და წარუდგინა პირველ კონსულს უდა-

ვო საბუთები იმისა, რომ პარიზში ამ დროს არსებობდა ინგლისურ-როიალისტური სააგენტოები, რომელთაც პირდაპირი კავშირი ჰქონდათ ბურბონთა დინასტიის ემიგრაციაში მყოფ ორ პრინცთან, — სიკვდილით დასჯილი ლუდოვიკო XVI მკვიდრ ძმებთან. ესენი იყვნენ ლუდოვიკო-პროვანსის გრაფი და კარლო, გრაფი არტუა. როიალისტები სრულიად აშკარად ისახავდნენ მიზნად ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას და ინგლისელებისა და სხვა ინტერვენტების შემწეობით.

პირველი კონსული საბოლოოდ დაადგა იმ აზრს, რომ შინაგანი ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა — ეს არის დაუნდობელი ანგარიშის გასწორება მოღალატე-როიალისტებთან, ხოლო საგარეო ბრძოლის უმთავრესი ამოცანა — შეუპოვარი ბრძოლა ინგლისის წინააღმდეგ. ფუშეს მიეცა სათანადო ბრძანებები აქტიურ როიალისტებთან ბრძოლის შესახებ — მას დაევალა მათი გამოაშკარავება, დაპატიმრება, სასამართლო წესით დევნა.

ნაპოლეონი ძალიან ხშირად იმეორებდა სიტყვებს, რომელნიც მასში გამჯდარ აზრს გამოხატავდნენ: "არის ორი ბერკეტი, რომლებითაც შეიძლება ამოძრავო ადამიანები, — შიში და პირადი ინტერესი". "პირადი ინტერესის" სახით იგი გულისხმობდა არა მარტო ფულად ანგარებას ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, არამედ აგრეთვე პატივმოყვარეობას, თავმოყვარეობას, ძალაუფლების მოყვარეობას. მაშ როგორ შეიძლება როიალისტებზე ზემოქმედება? შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ თავისი მტრების ამ კატეგორიის მიმართ ნაპოლეონი სხვადასხვა პერიოდში ხან ტერორით მოქმედებდა, ხან კი მათ გულს იგებდა წყალობით, თანამდებობით, ფულით.

ახლა, 1800 წლის გაზაფხულზე, როდესაც ნაპოლეონს მოქმედ არმიაში მიეჩქარებოდა, მას დრო არ ჰქონდა მიემართა სხვა რამ საშუალებისათვის, დაუნდობელი ტერორის გარდა.

ომი ინგლისთან (მეორე მთავარი ამოცანა) კვლავ უნდა გაჩაღებულიყო არა ინგლისის ნაპირებთან, სადაც ბრიტანეთის მძლავრი ფლოტი იდგა, არამედ ევროპის კონტინენტზე ინგლისის მოკავშირეების წინააღმდეგ, პირველ რიგში — ავსტრიის იმპერიის წინააღმდეგ.

როდესაც 1800 წლის 8 მაისს ნაპოლეონი ომში მიდიოდა და პირველად სტოვებდა პარიზს სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, მას კარგად ესმოდა, რომ მომავალი ბედ-იღბალი მისი დიქტატურისა საფრანგეთში საესებით დამოკიდებული იყო დაწყებული კამპანიის შედეგებზე: იგი

კვლავ წაართმევდა ავსტრიას ჩრდილო იტალიას, ანდა ინტერვენტების კოალიცია კვლავ გაჩნდებოდა საფრანგეთის საზღვრებთან.

მარენგო. დიქტატურის განმტკიცება. პირველი კონსულის კანონმდებლობა
(1800-1803)

ჩვეულებრივ ნაპოლეონი წანასწარ არ იმუშავებდა კამპანიების დეტალურ გეგმებს. იგი ისახავდა მხოლოდ ძირითად კონკრეტულ მიზნებს, ქრონოლოგიურ (ცხადია, დაახლოვებით) თანმიმდევრობას, რომელიც ამ დროს უნდა დაცულიყო, გზებს, რომლებითაც მას გავლა მოუხდებოდა. სამწედრო საზრუნავი მას მოიცავდა და მთლიანად შთანთქავდა ხოლმე მხოლოდ თვით ლაშქრობის დროს, როდესაც იგი ყოველდღე, ზოგჯერ კი ყოველ საათში ცვლიდა თავის გეგმებს არა მარტო დასახული მიზნების შესაბამისად, არამედ იმის მიხედვითაც, თუ რას უკარნახებდა მას შექმნილი მდგომარეობა, კერძოდ — ცნობები მტრის მოძრაობის შესახებ, რომლებიც მას განუწყვეტლივ მოსდიოდა.

მას დამუშავებული ჰქონდა ერთი წესი, რომელსაც იგი ყოველთვის იცავდა: არ იფიქრო, რომ მტერი შენზე სულელია, სანამ საქმეში არ გამოცდი მას; მოელოდე, რომ იგი იმოქმედებს ისევე, როგორც იმოქმედებდი შენ თვითონ ამ მდგომარეობაში და რომ მისი მოქმედება ამ შემთხვევაში არ იქნება შენზე ნაკლებად გონივრული.

მის წინ იდგა ავსტრიელთა ძლიერი, მშვენივრად მომარაგებული არმია, რომელსაც ეჭირა ჩრდილო იტალია, საიდანაც გასულ წელს სუვოროვმა განდევნა ფრანგები. ამჯერად სუვოროვი აღარ იყო ავსტრიელებთან, ამას კი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. "ცხვრების არმია, რომელსაც ლომი წინამძღოლობს, უფრო ძლიერია, ვიდრე ლომების არმია, როდესაც მას ცხვარი წინამძღოლობს", — ამბობდა ხოლმე ნაპოლეონი.

მან იცოდა, რომ რუსეთი ამჟამად არ იღებდა მონაწილეობას კოალიციაში, თუმც ის კი არ შეეძლო ჯერ სცოდნოდა, რომ სწორედ 1800 წლის მაისში, როდესაც იგი თავისი არმიით იტალიაში მიდიოდა სუვოროვის გა-

მარჯვებათა ნაყოფის გასაბათილებლად, თვით სუვოროვს მიწას აბარებდნენ ალექსანდრე ნეველის ლავრაში. ამჟამად მისი მეტოქე იყო არა სუვოროვი, არამედ მხოლოდდამხოლოდ მელასი, ბრძანებების ბეჯითად ამსრულებელი გენერალი, შტაბის გულმოდგინე მსახური, ერთი იმ გენერალთაგანი, რომლებსაც 1800 წლამდე და მის შემდეგაც ეგრე ხშირად და ეგრე საშინლად ამარცხებდა ნაპოლეონი და რომლებიც ნაღელიანად გაიძახოდნენ — ეს სამხედრო მეცნიერების წესების აბუჩად აგდებაო.

თავის პრინციპის თანახმად ნაპოლეონი აქაც ისე იქცეოდა მელასის წინააღმდეგ, თითქოს მელასი ნაპოლეონი ყოფილიყოს; მელასი კი ისე მოქმედებდა ნაპოლეონის წინააღმდეგ, თითქოს იგი ნაპოლეონი კი არა, მელასი ყოფილიყოს.

ავსტრიელები თავს იყრიდნენ ჩრდილო-იტალიის სამხრეთ ნაწილში, გენუის მიმართულებით. მელასს შეუძლებლად მიაჩნდა, რომ ნაპოლეონი წამოსულიყო შვეიცარიის ყველაზე უფრო ძნელი გზით — სენ-ბერნარის უღელტეხილზე გამოვლით, და არ დატოვა იქ დიდი საფარი ჯარი. პირველმა კონსულმა კი ეს გზა ამოირჩია. თოვლით დაფარული მწვერვალების საშინელი სიცივე, თვალუწვდენელი უფსკრულები, ზვავები, ქარბუქი, თოვლზე ღამის თევა — ყოველივე ეს იგემეს ალპებში ბონაპარტის ჯარისკაცებმა, ისევე როგორც სუვოროვის ჯარისკაცებმა 1799 წელს და ჰანიბალის მეომრებმა ორი ათასი წლით ადრე სუვოროვამდე და ბონაპარტამდე. მხოლოდ ახლა უფსკრულებში იჩეხებოდნენ არა სპილოები, როგორც ჰანიბალის დროს, არამედ ზარბაზნები, ლაფეტები და სავაზნო ყუთები. წინ მოდიოდა გენერალი ლანი თაეისი ავანგარდით; მას უკან მოსდევდა ბონაპარტის მთელი არმია უზურმაზარი ხაზივით გაჭიმული ხრამებსა და ფრიალო კლდეებს შორის.

16 მაისს დაიწყო ალპებზე ასვლა; 21 მაისს თვით ბონაპარტი მთაკარ ძალებთან ერთად სენ-ბერნარის უღელტეხილზე იმყოფებოდა, ხოლო მის წინ იტალიისკენ მიმართულ ფერდობებზე უკვე დაწყებული იყო საავანგარდო შეტაკებები ავსტრიელების მცირერიცხოვან საფარ ჯართან, რომელიც იქ იმყოფებოდა. ავსტრიელები დამარცხდნენ. ფრანგები სწრაფად დაეშვნენ სამხრეთისაკენ და უეცრად მაისის უკანასკნელ რიცხვებში ბონაპარტის მთელი არმია გამოვიდა ალპების სამხრეთი ხეობიდან და გაიშალა ავსტრიელთა ჯარების ზურგში.

ნაპოლეონი წუოსაც არ ჰკარგავს; იგი მიდის პირდაპირ მილანისაკენ და 1800 წლის 2 იუნისს ლომბარდიის ეს დედაქალაქი უკვე მის ხელშია. ამის შემდეგ მან სწრაფად აიღო პავია, კრემონი, პიაჩენცა, ბრეშია და მრა-

ვალი სხვა ქალაქი და სოფელი. ავსტრიელები ყველგან მარცხდებიან და უკან იხევენ. ისინი სრულებით არ მოელოდნენ, რომ მათ აქ საქმე ექნებოდათ მოწინააღმდეგის მთავარ ძალებთან. ამ დროს მელასის არმია იდგა ალყა შემორტყმულ გენუასთან, რომელიც მან წაართვა კიდევ ფრანგებს რამდენიმე დღის შემდეგ. მაგრამ ბონაპარტის მოსელამ ლომბარდიაში ყოველგვარი მნიშვნელობა დაუკარგა ავსტრიელების გამარჯვებას გენუაში.

მელასი სწრაფად წამოვიდა ფრანგებისაკენ, რომლებიც ასე უეცრად გაჩდნენ ჩრდილოეთით.

ქალაქ ალექსანდრიასა და ქალაქ ტორტონას შუა მდებარეობს ერთი დიდი ვაკე. ამ ვაკის შუაგულში ძევს ერთი პატარა სოფელი, რომელსაც მარენგო ჰქვია. ჯერ კიდევ 1800 წლის ზამთრის დასაწყისში, როდესაც ნაპოლეონი თავის პარიზის სასახლეში ჩრდილო იტალიის დეტალურ რუკას ათვალიერებდა, მან დაადო რუკაზე თითი სწორედ ამ ადგილას და უთხრა თავის გენერლებს: ჩვენ აქ უნდა დავამარცხოთ ავსტრიელებიო. მოწინააღმდეგეთა მთავარი ძალების შეხვედრა მოხდა 1800 წლის 14 ივნისს. იგი სწორედ მარენგოსთან მოხდა.

მარენგოსთან მომხდარმა ბრძოლამ უდიდესი როლი ითამაშა საერთაშორისო პოლიტიკაში საერთოდ და განსაკუთრებით ნაპოლეონის ისტორიულ კარიერაში. პარიზსა და მთელ საფრანგეთს რაღაც მოუსვენრობა ეტყობოდა. როიალისტები დღითიდღე მოელოდნენ ბონაპარტის დაღუპვას ალპების უფრსკულებში; იცოდნენ აგრეთვე, რომ ავსტრიელთა არმია მეტად ძლიერი იყო და მისი არტილერია რიცხვით სჭარბობდა ფრანგების არტილერიას. დადიოდა ხმები — ინგლისელები მალე გადმოსხამენ დესანტს ვანდეაშიო. შუანების წინამძღოლთ კადუდალსა და მის ამხანაგებს — ბურბონების დაბრუნება გადაწყვეტილ და ხვალინდელ საქმედ მიაჩნდათ. ელოდნენ მხოლოდ ნიშანს: ცნობას ბონაპარტის სიკვდილის ან ფრანგების არმიის დამარცხების შესახებ.

ევროპაში, ნეიტრალურშიაც კი; დაძაბული ყურადღებით შეხცქეროდნენ ამბების განვითარებას. აქაც ავსტრიელების გამარჯვებას ელოდებოდნენ, რომ მიმხრობოდნენ კოალიციას საფრანგეთის წინააღმდეგ. ბურბონები პარიზში გასამგზავრებლად ემზადებოდნენ...

ნაპოლეონსაც, მის გენერლებსაც, მის ოფიცრებსაც და მის ჯარისკაცებსაც მშვენივრად ესმოდათ მდგომარეობის დიდი სირთულე და საქმის წაგების შესაძლებლობა: ამჟამად ავსტრიელები გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი იყვნენ; ისინი დიდი ხანია დამშვიდებით ისვენებდნენ იტა-

ლიის ქალაქებსა და სოფლებში, სანამ ნაპოლეონის არმია მეტად მძიმე პირობებში სენ-ბერნარზე გადმოდიოდა.

ბრძოლამ, რომელიც დაიწყო 1800 წლის 14 ივნისს მარენგოს მახლობლად, პირველი საათებიდანვე ნათელყო ავსტრიელთა ჯარის ძლიერება: ფრანგები ბრძოლით იხევდნენ უკან; ისინი დიდ ზარალს აყენებდნენ მოწინააღმდეგეს, მაგრამ მათი ზარალიც დიდი იყო. დღის ორი საათისთვის ბრძოლა თითქოს სრულიად წაგებული იყო. ნაშუადღევის სამ საათზე აღტაცებული მელასი გზავნის ვენაში შიკრიკს ცნობით ავსტრიელთა სრული გამარჯვებისა, უძლეველი ბონაპარტის განადგურებისა, ტროფეებისა და ტყვეების შესახებ.

ფრანგების შტაბი შეშფოთებული იყო. ბონაპარტი თითქოს დამშვიდებით იყო და სულ იმას იმეორებდა — საჭიროა გავუძლოთ, ბრძოლა ჯერ არ გათავებულაო; და უეცრად ნაშუადღევის ხუთ საათზე ყოველივე მკვეთრად და ანაზდეულად შეიცვალა: ფრანგებს მოუსწრო გენერალ დეზეს დივიზიამ, რომელიც გაგზავნილი იყო სამხრეთისაკენ მოწინააღმდეგისათვის უკან დასახევი გზის მოსაჭრელად და რომელიც ახლა, გადამწყვეტ მომენტში, მთელი შესაძლებელი სისწრაფით გამოცხადდა ბრძოლის ველზე და ავსტრიელებს შეუტია.

ავსტრიელები დაღუპა იმან, რომ ისინი დარწმუნებული იყვნენ სრულ გამარჯვებაში. ამ დროისათვის ავსტრიელთა მთელი ნაწილები სადილისა და დასვენებისთვის ემზადებოდნენ. დეზეს დასვენებული დივიზიის ელვისებურ დაკვრასთან ერთად მათ თავს დაესხა ბონაპარტის მთელი არმია. ავსტრიელების არმია სრულიად განადგურდა. საღამოს ხუთ საათზე ავსტრიელები გაიქცნენ. მათ კვალდაკვალ მისდევდა ფრანგების კავალერია.

თვით დეზე მოკლეს იერიშის დასაწყისშივე, და საღამოს, როდესაც ბრძოლა გათავდა, თვალცრემლიანმა ნაპოლეონმა თქვა: "რა კარგი იქნებოდა ეს დღე, რომ მე შემძლებოდა დეზეს გადავხვეოდი!.." "რატომ არ მაქვს მე ტირილის უფლება?.." — წამოსცდა მას რამდენიმე საათით აღრე, გაბუერებული ბრძოლის დროს, როდესაც შეატყობინეს, დეზე მკვდარი ჩამოვარდა ცხენიდანო. მხოლოდ ორჯერ დაუნახავთ ნაპოლეონის ბრძოლის ამხანაგებს მის თვალზე ცრემლები ბრძოლის დასრულებისას. მეორეჯერ ეს მოხდა რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც მის ხელზე კვდებოდა მარშალი ლანი, რომელსაც ზარბაზნის ყუმბარამ ორივე ფეხი მოაგლიჯა.

მელასის პირველი სასიხარულო ცნობით აღფრთოვანებული ვენის სასახლე დიდ ზეიმში იყო, რომ ამ დროს ვენაში გამოცხადდა მეორე შიკრიკი, რომელმაც მოიტანა ცნობა, თუ რა კატასტროფა მოხდა პირველი ცნ

ბის გამოგზავნის შემდეგ... ავსტრიელებმა ხელახლა და თითქმის სამუდამოდ დაკარგეს იტალია. მრისხანე მტერი კელავ უძლეველი აღმოჩნდა.

პირველმა ხმებმა იტალიაში მომხდარი გენერალური ბრძოლის შესახებ მთავრობამდე პარიზში ექვსი დღის შემდეგ 20ივნისს (1 მესიდორს) მიაღწია. მაგრამ ხმები გაურკვეველი იყო. ქალაქში მოუთმენლად ელოდნენ ცნობებს. საიდანღაც ბოლოს კიდევ ცნობები ბრძოლის წაგებისა და ნაპოლეონის სიკვდილის შესახებ. უცებ დღის პირველ საათზე გაისმა ზარბაზნის სალუტი, მას მეორე და მესამე მოჰყვა. შიკრიკმა მოიტანა ოფიციალური ცნობები: ავსტრიელები სრულიად განადგურებული არიან, ავსტრიელების არტილერიის ნახევარი ფრანგებს ჩაუვარდა ხელში, წამოყვანილია ათასობით ტყვე, ათასობით ავსტრიელები დაჩეხილია, იტალია კვლავ ბონაპარტის ხელშია.

აღტაცება სრული იყო — ამჯერად არა მარტო მდიდრულ, არამედ მუშათა უბნებშიაც: სენტ-ანტუანის გარეუბანში დილამდე ცეკვავდნენ ქუჩებში, დუქნები და სამიკიტნოები ხალხით იყო სავსე; სულ სხვადასხვა წყაროების მოწმობით, შიმშილის, მათხოვრობისა, დაჩაგრულობისა და უმუშევრობის ამ ადგილებში ასეთი ზეიმი არასოდეს არ ყოფილა.

ცხადია, მუშებს ჯერ არ შეეძლოთ წარმოედგინათ, რომ ახალი მეუფე საბოლოოდ მოუჭერდა მათ რკინის მუხრუჭს, რომ იგი შემოიღებდა "სამუშაო წიგნაკებს", რომელნიც კიდევ უფრო გაამძაფრებდა მათ დამოკიდებულებას ბატონებზე, რომ ახალი მეფობა იქნებოდა ხანა ისეთი სოციალური წყობილების განმტკიცების ურყევი და გეგმაშემოწმომილი გატარებისა, რომლის საფუძველიც იქნებოდა აღვირახსნილი და კანონით დაცული ექსპლუატაცია შრომისა კაპიტალის მიერ.

იმ მომენტში, როდესაც მოვიდა ცნობა მარენგოს შესახებ, მუშები, ისევე როგორც მთელი პარიზი, მთელი საფრანგეთი და მთელი ევროპაც, სულ სხვა რამეზე ფიქრობდნენ: შენარჩუნებული იქნება, თუ დაიღუპება რევოლუციის მონაპოვარი? თუ ბონაპარტი მოკლულია, ან ტყვედაა წაყვანილი, ან განადგურებულია მისი არმია, მაშინ მოსალოდნელია ემიგრანტებისა და ინგლისელების გადმოსხმა ვანდეაში, ლაშქრობა პარიზის წინააღმდეგ, გადატრიალება თვით პარიზში, ავსტრიელებისა და სხვა ინტერვენტების შემოსევა საფრანგეთში აღმოსავლეთიდან, ბურბონების მონარქიის დამკვიდრება, ძველი წესწყობილების აღდგენა. ხოლო თუ ბონაპარტი გამარჯვებულია, მაშინ გადარჩენილია კონსულების "რესპუბლიკა" და გადარჩენილია ბევრი რამ, რაც გააკეთა რევოლუციამ. ასე ისმოდა პრობლემა იმ მომენტში.

კერძოდ, რა იყო მაშინ მუშებისათვის ბონაპარტი? "გენერალი ვანდემიერი", რომელმაც 1795 წელს ზარბაზნებით გაანადგურა პარიზის ქუჩებში როიალისტური რეაქცია; საზიზღარი ინტერვენტების დამმარცხებელი იტალიაში 1796 წელს; მოღალატე პიშეგრიუს მამხილებელი 1797 წელს; ადამიანი, რომელმაც დაიპყრო ეგვიპტე და რომელიც იქიდან ემუქრებოდა საზიზღარ პიტს, ვისაც პარიზის ხალხი რობესპიერისა და ბაბეფის* შემწეობით იცნობდა როგორც რევოლუციის მთავარ მტერს და ინტერვენტების სულის ჩამდგმელს. ერთი სიტყვით, პირველი კონსული მაშინ დედაქალაქის მუშებისათვის იყო მოღვაწე, რომელიც ყოველთვის გამოდიოდა რევოლუციის დამცველად მოღალატე როიალისტებისა და ინტერვენტების წინააღმდეგ, დაწყებული თავისი პირველი ნაბიჯებიდან. როდესაც მან 1793 წელს ყუმბარების ოსტატური დაშენით აიძულა როიალისტები ტულონი რევოლუციური ჯარისათვის ჩაებარებინათ, და მოთავებული 1799 წლის 18 ბრიუმერით, როდესაც მან გარეკა დირექტორია — ქურდების, სპეკულანტების, ხაზინის გამტაცებლების, შემსყიდველების, მებირჟეებისა და მდიდარი თაღლითების მთავრობა.

ყოველივე ამაში ბევრი რამ იყო არა საკმაოდ მოფიქრებული და ბუნდოვანი, ბევრ რამეზე მუშებს სულ მალე გაუტყდათ გული; მაგრამ დღეს — მარენგოს შესახებ მოსული ცნობების დღეს — სენტ-ანტუანის გარეუბანში უხაროდათ რევოლუციის გამარჯვება.

იმავე პარიზში ბირჟასთან, ბანკირების კანტორებთან და ბულვარებში მორთულ-მოკაზმული ხალხი კიდევ უფრო მეტს ზეიმობდა, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ გაიმარჯვა იმ ადამიანმა, რომელმაც, მათი აზრით, 18 და 19 ბრიუმერს მოახრჩო რევოლუცია და რომელმაც ახლა ბრძოლით მოიპოვა სრულიად მტკიცე მდგომარეობა და შესაძლებლობა რკინის ხელით დაეთრგუნა მესაკუთრეებისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ყოველი ხელყოფა. ბურჟუაზიული მასა კიდევ უფრო მეტი აღტაცებით და მეტი შეგნებით ზეიმობდა, ვიდრე მუშები.

მოღუშული დუმდა ზოგიერთი განსაკუთრებით შეურიგებელი იაკობინელი; დანაღვლიანებული იყვნენ როიალისტები...

დედაქალაქშიც და პროვინციაშიც აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, იყო რაღაც დათრობა სიამაყით, სამხედრო პატრიოტიზმით გადარევა, რაღაც ციებ-ცხელება, რომელიც უეცრად დაეუფლა ბევრს დღემდე ფხიზელ გონებას. ყოველივე ამან უმაღლეს წერტილს მიაღწია, როდესაც პირველი კონსული პარიზს დაბრუნდა. მუშებმა მიატოვეს სამუშაო და მრავალი ათასი ხალხი გაემართა ნაპოლეონის შე-

საგებებლად, თანაც ოდნავ გულგრილობასაც კი ბონაპარტისადმი ხალ-
ხის მასა ღებულობდა როგორც როიალიზმის გამოვლინებას. "აქ არისტოკ-
რატები ცხოვრობენ! რატომ არ არის სახლი ილუმინირებული?" გაი-
ძახოდა ხალხი და ამტვრევდა მინებს ეჭვმიტანილ სახლში. აუარებელი
ხალხი მთელი დღე იდგა ტიუილრის სასახლის გარშემო და აღფრთოვანე-
ბული ყიჟინით ითხოვდა ბონაპარტის გამოსვლას. მაგრამ ბონაპარტი არ
გამოვიდა აივანზე.

თუ 1799 წლის ნოემბერში, 18 და 19 ბრიუმერის შემდეგ, ნაპოლეონი
ჯერ კიდევ შეიძლებოდა დაეჭვებული ყოფილიყო და რაიმე მერყეობა გა-
მოეჩინა, ახლა უკვე, 1800 წლის ივნისში, მარენგოს შემდეგ, როდესაც
იგი ხედავდა, თუ რა ხდებოდა დედაქალაქსა და პროვინციაში, იგი საბო-
ლოოდ და მტკიცედ უნდა დარწმუნებულიყო, რომ ამიერიდან იგი უდა-
ვოდ თვითმპყრობელია და მხოლოდ მისი აზრი და ნებისყოფა იქნება ბა-
ტონ-პატრონი და მმართველი ამ მძლავრი ნაციონალური ორგანიზმისა.

მარენგოს შემდეგ ბონაპარტის მორიგ ამოცანას წარმოადგენდა, ჯერ
ერთი, ხელსაყრელი ზავის დადება ავსტრიასთან (ომი ავსტრიასთან
გრძელდებოდა ბავარიაში, სადაც ფრანგების ჯარს მორო სარდლობდა),
ინგლისთან და საერთოდ ევროპის მთელ კოალიციასთან, და შემდეგ გან-
გრძობა და გაღრმავება საკანონდებლო მოღვაწეობისა, რომელიც მან და-
იწყო დაუყოვნებლივ ბრიუმერში მომხდარი გადატრიალების შემდეგ და
შეწყვიტა იტალიაში ლაშქრობის გამო.

მაგრამ ბონაპარტს ჰქონდა კიდევ ერთი საზრუნავი, რომელიც დიდ ყუ-
რადღებას მოითხოვდა მისგან და საშუალებას არ აძლევდა კონსულობის
მთელი ეპოქის განმავლობაში მთლიანად მისცემოდა ძირითადი ამოცანე-
ბის განხორციელებას. ეს იყო ბრძოლა იაკობინელებთან და როიალისტებ-
თან. ფუშეს როიალისტები უფრო სერიოზულ და უშუალო საფრთხედ მი-
აჩნდა, ბონაპარტი კი უკვე მაშინ ნაკლებად ენდობოდა ფუშეს და იმ აზრი-
სა იყო, რომ ფუშეს რესტავრაციის შიში (რადგანაც 1793 წელს კონვენ-
ტში იგი მიემხრო იმათ, ვინც ლუდოვიკო XVI-ს სიკვდილით დასჯას მო-
ითხოვდა) აიძულებს იაკობინელები, თავისი ყოფილი მეგობრები, ჩათვა-
ლოს ნაკლებ ბოროტებად და რომ მას არ სურს მაინცდამაინც სდევნოს
ისინი, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ნაკლები შანსები აქვთ ძალა-
უფლების ხელში ჩაგდებისთვისო. თვით პირველი კონსული კი, პირიქით,
მარენგოს შემდეგ იმ აზრს დაადგა — იაკობინელები უფრო საშიში მტრე-
ბი არიანო.

უნდა ითქვას,რომ ამ შემთხვევაში ფუშემ მეტი პოლიტიკური გამჭრიახობა გამოიჩინა, ვიდრე მისმა მბრძანებელმა. საქმე იმაშია, რომ ტახტის პრეტენდენტი, ლუდოვიკო, პროვანსის გრაფი, მისი ძმა კარლო და საერთოდ მთელი ზედა ფენა ემიგრაციისა დარწმუნებული იყვნენ, რომ თვით გამარჯვება ბრიუმერში მომხდარი გადატრიალებისა დიქტატურის დამყარება ნათელყოფდა, თუ რამდენად მობეზრდა ფრანგ ხალხს რევოლუცია და რაოდენ ძლიერ სურდა მას სიმშვიდე და მტკიცე ხელისუფლება. ხოლო თუ ეს ასეა, თუ საფრანგეთი არ აპირობინებს ძველ, ისტორიულ დინასტიას და ვიღაც კორსიკელს დაემორჩილება? ათი წლის მიმვინვარეობის შემდეგ რევოლუციას შიგ გულში ჩასცეს ლახვარი 18 და 19 ბრიუმერს. ახლა მხოლოდ ისღაა საჭირო, რომ იმავე ხელმა, რომელმაც 1799 წლის ნოემბერში სენ-კლუს სასახლეში სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ამ საშინელებას, ხოლო 1800 წლის ივნისში მარენგოსთან ავსტრიელები გაანადგურა, საფრანგეთის მამაპაპურ ტახტზე დასვას უქრისტიანესი მეფე ლუდოვიკო XVIII (დროებით იგივე პროვანსის გრაფი).

ჩვენ არ ვიცით, თვით პროვანსის გრაფს მოუვიდა თავში ეს კურიოზული აზრი, თუ ასეთი რჩევა მისცა ძმამ, რომელიც ფრიად ეკონომიურად იყო დაჯილდოვებული გონებით ბუნებისაგან, მაგრამ ეს კი ვიცით, რომ ლუდოვიკომ (ჯერ კიდევ მარენგომდე, ბრიუმერის გადატრიალებიდან სამთვენახევრის შემდეგ) მიმართა პირველ კონსულს მიტაკიდან, სადაც იგი ამ დროს ცხოვრობდა, წერილით, რომელშიაც ბონაპარტს ბურბონების დინასტიის აღდგენას სთხოვდა. ამისათვის კი იგი პპირდებოდა ბონაპარტს ყოველგვარ ჯილდოს, რასაც კი იგი მოითხოვდა თავისთვის და თავისი მეგობრებისთვის. ჯილდოს გარდა, იგი "მომავალ საობათა ლოცვა-კურთხევას" აღუთქვამდა ბონაპარტს. ბონაპარტმა არაფერი უპასუხა. როიალისტები შეეცადნენ მიეგზავნათ ბონაპარტთან და მის მეუღლე ჟოზეფინასთან თავიანთი კაცები ახალი დავალებებით, წინადადებებით, წერილებით.

1800წლის ზაფხულში, მარენგოს შემდეგ, როდესაც მართლაც საფიქრებელი იყო, რომ ბონაპარტის ნებისყოფას შეუძლია რაც უნდა ის უქნას საფრანგეთს, ლუდოვიკომ ხელახლა მიმართა მას იგივე თხოვნით. მაშინ ბონაპარტმა პირველად და უკანასკნელად შემდეგი უპასუხა პრეტენდენტს: "მე მივიღე თქვენი წერილი. გმადლობთ თავაზიანობისათვის, რომელსაც თქვენ ჩემდამი იჩენთ. თქვენ არ უნდა გსურდეთ საფრანგეთში დაბრუნება: თქვენ ბოგიზდებოდათ ასი ათას გვამზე გამოვლა. შესწირეთ თქვენი ინტერესები საფრანგეთის სიმშვიდესა და ბედნიერებას. ისტორია დაგიფასებთ ამას"

როდესაც იმიგრაცია დარწმუნდა, რომ ბონაპარტი არ ეკუთვნის იმათ რიცხვს, ვისზედაც მეფობენ, არამედ იგი იმათ რიცხვიდანაა, ვინც თვითონ მეფობს სხვებზე, როდესაც მიიღეს მისი მოკლე პირდაპირი უარი, გადაწყვიტეს მისი მოკვლა.

თითქმის იმავე დროს ივივე აზრი იაკობინელების წრეებშიც ჩაბადა. მაგრამ აქ საქმე დამთავრდა ფუშეს ოსტატური პროვოკაციით, იცოდა რა ოპოზიციის აგენტების მეშვეობით, რომ ბონაპარტის მოსაკლავად ემზადებოდნენ და რომ ეს უნდა მომხდარიყო ოპერაში 1800 წლის 10 ოქტომბერს, ფუშემ დააპატიმრა შეთქმულები, როდესაც ისინი, შეიარაღებულნი, უკვე მიუახლოებოდნენ პირველი კონსულის ლოჟას. შემდგომ ამტკიცებდნენ, თითქოს ფუშემ მისცა მათ იარაღები. შეთქმულები სიკვდილით დასაჯეს, ფუშეს გავლენა კი გაძლიერდა. მისი აგენტები არაჩვეულებრივ აქტიურობას იჩენდნენ, ისინი ცღილობდნენ ყველგან გაებათ თაკიანთი ქსელი — დაწყებული დიდკაცთა სალონებით და ბოლოვებული ღარიბთა დუქნებითა და სამეიკიტნოებით. ქალაქში დადიოდა ხმები, რომ მზადდება ნაპოლეონის მოკვლის ახალი ცდებიო.

1800 წლის 3 ნივემბს (24 დეკემბერს), როდესაც პირველი კონსული საღამოთი ეტლით ოპერაში მიდიოდა, სენ ნიკეზის ქუჩაზე, მისი ეტლის მახლობლად გაისმა ხაშინელი აფეთქების ხმა. ბონაპარტის ეტლშა სულ რაღაც ათი წამით გაუსწრო ჯოჯოხეთის მანქანის აფეთქებას. ქვაფენილი გვამებითა და დაჭრილებით დაიფარა. ნახევრად დამსხვრეული ეტლით პირველმა კონსულმა მშვიდობით მიაღწია ოპერამდის. იგი შეეიდა ლოჟაში გარეგნულად სრულიად დამშვიდებული, ასე რომ ხალხმა თეატრში მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ გაიგო მომხდარი ამბავი.

დაუყოვნებლივ დაწყებულმა გამოძიებამ პირველ ხანებში ვერაფერი ვერ აღმოაჩინა: აფეთქების ადგილზე არავინ არ დაუპატიმრებიათ, ბონაპარტი დარწმუნებული იყო, რომ ამჯერადაც საქმე იაკობინელების მიერ იყო მოწყობილი. იგი ბრალს სდებდა ფუშეს — მეტად გართული ხარ როიალისტების დევნით და სათანადო ყურადღებას არ აქცევ იაკობინელებსო. მან გადაწყვიტა ბოლო მოეღო მემარცხენე ოპოზიციისთვის. ნაბრძანები იყო შეედგინათ სია ას ოცდაათი კაცისა — იაკობინელების ბელადებისა, ან ისეთებისა, რომლებიც ბელადებად ითვლებოდნენ. ისინი დააპატიმრეს და გადაასახლეს მეტწილად გვიანაში, საიდანაც იშვიათად თუ ვინმე დაბრუნებულა.

გარდა ამისა, პრეფექტებმა პროვინციაში დაიწყეს სასტიკი დევნა ყველა იმათი, ვინც რევოლუციის წლებში რეაქციის წინააღმდეგ გადამწყვე-

ტი ბრძოლისადმი სიმპათია გამოიჩინა სიტყვით თუ საქმით. გადარჩენილი რეაქციონერები შეუდგნენ მათთან ანგარიშის გასწორებას.

ფუშეს მიერ შედგენილი ამ პირველი სიიდან ზოგიერთს წილად ხვდა არა უბრალო გადასახლება, არამედ საკატორღო საპყრობილეები, გამოუძიებლად და გაუსამართლებლად, და ისინი მაშინაც კი არ გაუნთავისუფლებიათ, როდესაც ჭეშმარიტება გამოირკვა, ეს ჭეშმარიტება კი გამოარკვია თვით ფუშემ, და თითქმის იმავე დღეებში, როდესაც იგი გადასახლებაში და კატორღაში აგზავნიდა თავის ყოფილ ამხანაგებს. ცხადია, მან ყველაზე ადრე გაიგო, რომ იაკობინელები ამ შემთხვევაში არაფერ შუაში იყვნენ; ხოლო ასახლებდა იგი იაკობინელებს მხოლოდ იმიტომ, რომ ესიამოვნებინა განრისხებული ბონაპარტისათვის, რომელიც თავიდანვე სრულიად მცდარ კვალზე იდგა.

სწორედ მკვლელობის ცდის ორი კვირის შემდეგ, როდესაც იაკობინელების წინააღმდეგ მიმართულმა ტერორმა უმაღლეს წერტილს მიაღწია, დაპატიმრებულ იქნა ვინმე კარბონი, რამდენიმე ხნის შემდეგ — სენ-რეჟანი, შემდეგ ბურმონი და რამდენიმე ათეული როიალისტი, რომელთაგან ზოგი ლეგალურად, ზოგიც კი არალეგალურად ცხოვრობდა პარიზში. კარბონმა და სენ-რეჟანმა, მკვლელობის ცდის უშუალო მონაწილეებმა, აღიარეს თავიანთი დანაშაული. მთელი საქმე მოწყობილი იყო როიალისტების მიერ ბონაპარტის მოკვლისა და ბურბონების აღდგენის მიზნით. ამას არ შეუშლია ხელი იმისათვის, რომ ძალაში დაეტოვებინათ იაკობინელების წინააღმდეგ მიღებული ღონისძიებანი, მაგრამ გადაწყვიტეს არ დაენდოთ არც როიალისტები. ამრიგად, ბონაპარტმა მოისურვა ორმაგი პოლიტიკური სარგებლობის მიღება მკვლელობის ერთი ცდიდან როდესაც მას შემდგომ უთხრეს, ფუშე დარწმუნებული იყო გადასახლებულ იაკობინელთა სრულ უდანაშაულობაშიო, ბონაპარტმა უპასუხა: "ნუთუ მართლა? ფუშე! იგი ყოველთვის ასეთია! თუმცა ეს სულერთია. ახლა მე როგორც იქნა მოვიშორე ისინი (იაკობინელები)". მკვლელობის ცდის უშუალო მონაწილე როიალისტები სიკვდილით დასაჯეს, ბევრი კი გადაასახლეს, იაკობინელების მსგავსად.

მაგრამ ბონაპარტის რისხვა როიალისტების წინააღმდეგ მაინც კიდევ არ იყო იმ მომენტში ისეთი სასტიკი, როგორიც უნდა ყოფილიყო თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ანგარიშსწორებას იაკობინელების მიმართ, რომელთაც სრულიად არაფერი ჰქონდათ საერთო ჯოჯოხეთის მანქანის აფეთქებასთან. და ეს იმიტომ მოხდა, რომ იგი ცდილობდა მოეწყვიტა ბურბონებისაგან ის ელემენტები როიალისტების წრიდან, რომელთა ინტერესე-

ბი საკვლევით შეიძლებოდა შერიგებოდა ახალ მდგომარეობას საფრანგეთში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის როიალისტები, რომელნიც ხელს აიღებენ სამუდამოდ დაღუპული ფეოდალური, რევოლუციის წინადროინდელი რეჟიმის აღდგენის წადილზე და მოისურვებენ შეურიგდნენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, რომელიც იურიდიულად და პოლიტიკურად შექმნა რევოლუციამ და რომელსაც ამჟამად ბონაპარტი აყალიბებს, შეწყნარებულ იქნებიან და მათ შეიძლება მიეტევოს მათი წინანდელი ცოდვები რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ. ხოლო ვისაც არ სურს შეურიგდეს არსებულ მდგომარეობას, ვისაც მაინცდამაინც სურს ბურბონებისა და ძველი წესწყობილების აღდგენა, — მათ წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა იქნება გაჩაღებული.

ჯერ კიდევ მარენგომდე პირველმა კონსულმა უბრძანა ფუშეს შეედგინა სიათ ემიგრანტებისა, რომელსაც შეიძლება მიეცეს საფრანგეთში დაბრუნების უფლება; და მიუხედავად ჯოჯოხეთის მანქანისა სენნიკეზის ქუჩაზე, ამ სიების შედგენა გრძელდებოდა. ასორმოცდახუთი ათას ემიგრანტიდან პირველი პროექტით ასორმოცდაერთს მიეცა საფრანგეთში დაბრუნების უფლება; დაბრუნების შემდეგ ისინი პოლიციის ზედამხედველობაში ხვდებოდნენ. გამორიცხულ იქნა მხოლოდ სამი ათას სამას სამოცდაცამეტი ემიგრანტი, — მათ კელავ აკრძალული ჰქონდათ საფრანგეთში დაბრუნება.

მაგრამ ბონაპარტის წყალობა არც ამაზე შეჩერებულა: 1802 წლის მაისში გამოცემულ იქნა დადგენილება, რომლის ძალითაც ყველა ემიგრანტი, ვინც კი დადებდა ახალი სახელმწიფო წყობილების ერთგულების ფიცს, ღებულობდა საფრანგეთში დაბრუნების უფლებას. საზღვარგარეთ გაჭირვებაში მყოფი მრავალი ემიგრანტი სამშობლოში დაბრუნდა.

მკელელობის ცდები დროებით შეწყდა. ბონაპარტი გაორკეცებული ენერგიით შეუდგა დიპლომატიურ საქმეებს. არც ადრე, არც ამის შემდეგ იგი არასოდეს არ ყოფილა ეგრე მონდომებული, რომ რაც შეიძლება მალე ჩამოეგდო ზავი კოალიციასთან. ეს საჭირო იყო მისთვის ფინანსების გამოსაკეთებლად, აგრეთვე იმის გამო, რომ მოსახლეობის ყველა ფენა აშკარად გამოთქვამდა ზავის სურვილს, და, ცხადია, იმისთვისაც, რომ შესვენება შესაძლებლობას მისცემდა დაემთავრებინა დაწყებული ღონისძიებები და განეხორციელებინა დასახული სახელმწიფო რეფორმები.

დიპლომატიურ დარგში თანაშემწის შერჩევის მხრივ მან ისეთიე ბედნიერი არჩევანი გააკეთა, როგორც პოლიტიკური ძიების დარგშიაც, რად-

გან თუ ფუშე სწორუპოვარი ოსტატი იყო პროვოკაციისა და ჯაშუშობის საქმეში, თავადმა ტალეირანმა დიპლომატიური ხელოვნების არა ნაკლებ მალალ ვირტუოზად გამოიჩინა თავი. პოლიციის დარგში ნაპოლეონს ვსჭიროებდა ფუშე და მისი სპეციალური ნიჭი, რადგან ამ საქმეში იგი ოდნავადაც ვერ შეედრებოდა თავის მინისტრს და ანგარიშს უწევდა ამას.

პირიქით, დიპლომატიურ ხელოვნებაში ნაპოლეონი არა თუ არაფერი არ ჩამოუვარდებოდა ტალეირანს, ზოგ რამეში სჯობნიდა კიდეც მას, და თუმცა ტალეირანი საგარეო საქმეთა დიდად ნიჭიერი მინისტრი იყო, მაინც სახელმძღვანელო აზრებს ბონაპარტი თვით აწვდიდა მას; იგი თვითონ აწარმოებდა საზავო მოლაპარაკებას, ტალეირანი კი მხოლოდ რჩევებს აძლევდა და აფორმებდა დიპლომატიურ ნოტებს და იმუშავებდა აუცილებელ ტაქტიკურ ხერხებს დასახული მიზნების მისაღწევად.

ნაპოლეონის ერთ-ერთ უდიდეს დიპლომატიურ მიღწევას უდავოდ წარმოადგენს სრული გადატრიალება, რომელიც მოახდინა მან რუსეთის პოლიტიკაში. მან აცნობა იმპერატორ პავლეს, რომელთანაც საფრანგეთს ოფიციალურად ომი ჰქონდა — მსურს დაუყოვნებლივ დავაბრუნო რუსეთში 1799 წლის შემოდგომაზე კორსაკოვის კორპუსის განადგურების შემდეგ დარჩენილი რუსი ტყვეებიო. ამასთანავე იგი ტყვეების გაცვლასაც კი არ მოითხოვდა (მართალია, ამ დროს რუსეთში ტყვე ფრანგები თითქმის არ მოიპოვებოდნენ). პაველ აღტაცებული იყო და ტყვეების საქმის მოსაგვარებლად მან გენერალი სპრენგპორტენი გაგზავნა პარიზში.

1800 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში სპრენგპორტენი პარიზს ჩავიდა. ბონაპარტმა ულრმესი სიმპათია და პატივისცემა გამოთქვა იმპერატორ პაველისადმი და ხაზგასმით აღნიშნავდა იმ განსაკუთრებულ კეთილშობილებასა და დიდსულოვნებას, რომლებიც, მისი აზრით, რუსეთისფეს ახასიათებდნენ.

ამასთანავე გამოირკვა, რომ პირველმა კონსულმა არა თუ მარტო ანთავისუფლა ყველა ტყვე რუსი (დაახლოებით ექვსი ათასამდე კაცი) მედ განკარგულებაც კი გასცა, რომ საფრანგეთის ხაზინის ხარჯზეთვის შეეკერათ ახალი შინდერები, რომელიც მიღებული იყო მათლებში, მიეცათ ტანისამოსი, ახალი ფეხსაცმელი, დაებრუნებინათ ღი. ომის პრაქტიკაში გაუგონარ ასეთ თავაზიანობას თან სდევდა ბტის პირადი წერილი იმპერატორ პაველისადმი, რომელშიაც პირველსული მეგობრული კილოთი აცნობებდა, რომ ზავი საფრანგეთსა სეთს შორის შეიძლება დადებულ იქნას ოცდათხუთ საათში, თუ გამოგზავნიდა პარიზში სათანადო ნდობით აღჭურვილ პიროვნებ

ლიევ ამით მან სრულიად მოხიბლა იმპერატორი პავლე. საფრანგეთის გა
აფთრებული მტერი, იგი უეცრად მის კეთილმოსურნედ გადაიქცა და უპა
სუხა ბონაპარტს აგრეთვე პირადი წერილით, რომელშიაც წინდაწინვე თან
ხმდებოდა ზავზე და ევროპისათვის, პირველ კონსულთან შეთანხმებულად,
"სიწყნარისა და მშვიდობიანობის" დაბრუნების სურვილს აცხადებდა.

ამ პირველი წარმატების შემდეგ ნაპოლეონმა გადაწყვიტა არა მარ
ტო ზავი, არამედ სამხედრო კავშირიც დაედო რუსეთთან.

კავშირის იდეა ნაკარნახევი იყო ორი მოსაზრებით: ჯერ ერთი იმით,
რომ ამ ორ სახელმწიფოს შორის არ არსებობდა რაიმე საწინააღმდეგო
ინტერესები, მეორეც იმით, რომ შესაძლებელი ხდებოდა შემდგომ საერ
თო ძალებით დამუქრებოდნენ ინგლისის ბატონობას ინდოეთში (სამხრეთ-
რუსეთიდან და შუა აზიიდან).

ნაპოლეონი არასოდეს არ ივიწყებდა ინდოეთს, დაწყებული ეგვიპტე-
ში ლაშქრობიდან თავისი მეფობის უკანასკნელ წლებამდე. დამუშავებუ-
ლი პროექტი არ არსებობდა არც მაშინ, არც უფრო გვიან, მაგრამ ძირითა-
დი იდეა მტკიცედ იყო მასში გამჯდარი. ეს იდეა 1798 წელს მან ეგვიპტეს
დაუკავშირა, 1801 წელს — რუსეთის მეფესთან უეცარ მეგობრობას, 1812
წელს, ლაშქრობის დასაწყისში — მოსკოვს. სამთავე შემთხვევაში შორეუ-
ლი მიზნისადმი მისწრაფებას არ მიულია არავითარი რეალური გაფორმე-
ბა, მაგრამ, როგორც ამას ახლავე დავინახავთ, ამჯერად საქმე ღრმა სამ-
ხედრო დაზვერვამდე, ან მოჩვენებით დაზვერვამდე მივიდა.

ბონაპარტისადმი მეგობრული განწყობილების ასეთი არაჩვეულებრი-
ვი სწრაფი განვითარების პარალელურად და უშუალოდ მასთან დაკავში-
რებით იმპერატორ პავლეს თანდათან უძლიერდებოდა ასეთივე უეცარი
ხიძულვილი ინგლისისადმი, რომელიც გუშინ მისი მოკავშირე იყო საფ-
რანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ნაპოლეონს თავში უტრიალებდა — ჯერ
კიდევ საერთო სახით — კომბინაცია, რომელიც დამყარებული იყო ფრან-
გთა ჯარების ლაშქრობაზე მისი სარდლობით სამხრეთ რუსეთში, სადაც
ისინი უნდა შეერთებოდნენ რუსთა არმიას, რის შემდეგ მას ორივე არმია
შუა აზიით ინდოეთში უნდა წაეყვანა.

პავლემ არა თუ მოიწონა აზრი ინგლისელებზე თავდასხმისა ინდოეთ-
ში, მან დაასწრო კიდეც ბონაპარტს ამ პროგრამის რეალიზაციის პირველ
ნაბიჯებში. კაზაკთა ატამანი მათე ივანეს-ძე პლატოვი, რომელიც ვინ უწ-
ყის, რა მიზეზით იყო ჩასმული პავლეს მიერ პეტრე-პავლეს ციხეში და უკ-
ვე თითქმის ნახევარი წელი იქ იმყოფებოდა, უეცრად გამოყვანილ იქნა
თავის კაზემატიდან, საიდანაც პირდაპირ მეფის კაბინეტში ამოყო თავი. აქ

მას ყოველგვარი წინასიტყვაობის გარეშე პირდაპირ შეეკითხნენ, იცის თუ არა მან ინდოეთის გზა. პლატოვს სრულებით ვერ წარმოედგინა, თუ რაში იყო საქმე, მაგრამ ეს კი მოისაზრა, რომ თუ იტყოდა არ ვიცი, მას დაუყოვნებლივ ისევ ციხეში დააბრუნებდნენ, ამიტომ სასწრაფოდ უპასუხა ვიცი. იგი დაუყოვნებლივ დაინიშნა ერთერთი ეშელონის უფროსად დონის ჯარში, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა თავის ოთხი ეშელონის შემადგენლობით ინდოეთში წასულიყო.

ლაშქრობაში წავიდა ოთხივე ეშელონი — ოცდაორიათას ხუთასი კაცი. ისინი გამოვიდნენ დონიდან 1801 წლის 27 თებერვალს, მაგრამ ბევრი არ უვლიათ...

ევროპაში სულ უფრო და უფრო მეტი აღშფოთებით ადევნებდნენ თვალყურს ფრანგების მბრძანებლისა და რუსეთის იმპერატორის მეგობრობის განმტკიცებას. თუ კავშირი ამ ორ სახელმწიფოს შორის განმტკიცდებოდა, ისინი გახდებოდნენ მბრძანებელნი ევროპის მთელი კონტინენტისა — ასეთი აზრის იყვნენ არა მარტო პავლე და ნაპოლეონი, არამედ ევროპის იმდროინდელი ყველა დიპლომატი. სრულიად გარკვეული შეშფოთება სუფევდა ინგლისშიაც. მართალია, საფრანგეთის ფლოტი გაცილებით უფრო სუსტი იყო, ვიდრე ინგლისისა, რუსეთის ფლოტი კი ხომ სრულიად უმნიშვნელო იყო, მაგრამ ბონაპარტის ზრახვები ინდოეთის შესახებ და რაღაც რუსი ჯარების გაგზავნა ინდოეთის მიმართულებით მოსვენებას არ აძლევდა და აღიზიანებდა უილიამ პიტს — დიდი ბრიტანეთის პირველ მინისტრს. დიდი შეშფოთებით მოელოდნენ ევროპის ყველა დიპლომატიურ კანცელარიაში და მეფეთა სახახლეებში 1801 წლის გაზაფხულის დადგომას, როდესაც ორივე ძლევამოსილ მოკავშირეს შეეძლო გადაედგა რაიმე გადამწყვეტი ნაბიჯები. მაგრამ გაზაფხულის პირველმა დღემ 11 მარტმა, სულ სხვა რამ მოიტანა.

როდესაც პარიზში უეცრად მოვიდა ცნობა პავლე დაახრჩეს მიხეილის სახახლეში, ბონაპარტი საშინლად გააფთრდა. ერთბაშად გამოეთხარა ძირი ყოველივეს. რასაც მან რამდენიმე თვეში ასეთი ოსტატობით და ასეთი წარმატებით მიაღწია თავის დამოკიდებულებაში რუსეთთან. "ინგლისელებმა ვერ ამომილეს ნიშანში პარიზში 3 ნივოზს (სან-ნიკეზის ქუჩაზე მომხდარი აფეთქების დღეს), მაგრამ მათ ეს შეძლეს პეტერბურგში!" — ყვიროდა იგი. მას არაეითარი ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ პავლეს მკვლელობა ინგლისელების მიერ იყო მოწყობილი. რუსეთთან კავშირი დაიმსხვერა იმ მარტის ღამეს, როდესაც შეთქმულები შეეიდნენ პავლეს დასაძინებელ ოთახში.

ნაპოლეონი იძულებული იყო უეცრად და მკვეთრად შეეცვალა თავისი დიპლომატიური ბატარიების მიმართულება. ამ საქმეში ის ისეთივე სწრაფად მოქმედი და დახელოვნებული ოსტატი იყო, როგორც საარტილერიო ბატარიებით მანევრირების საქმეში.

ამიერიდან ვითარება მოითხოვდა არა ომის გაგრძელებას, არამედ ზავის შეკერას ინგლისთან. რაც შეეხება ავსტრიას, მასთან საზავო მოლაპარაკება დიდი ხანია წარმოებდა: უკვე 1801 წლის 9 თებერვალს ავსტრიის რწმუნებულმა კობენცლმა ხელი მოაწერა ქალაქ ლუნევილში საზავო ხელშეკრულებას საფრანგეთთან. მოლაპარაკებას აწარმოებდნენ პირველი კონსულის ძმა, ჟოზეფ ბონაპარტი, და საგარეო საქმეთა მინისტრი ტალეირანი. მაგრამ ისინი ორივენი ასრულებდნენ მხოლოდ ნაპოლეონის მითითებებს, რომელმაც აქ ოსტატურად გამოიყენა თავისი უეცრად გაჩაღებული მეგობრობა პავლესთან. ავსტრიას შეიძლებოდა თავს დასხმოდნენ დასავლეთიდანაც და აღმოსავლეთიდანაც. აუცილებელი შეიქმნა ხრულ დათმობაზე წასვლა. მარენგოსთან მომხდარი დიდი ბრძოლის შემდეგ, აგრეთვე მის შემდეგ, რაც ფრანგებმა გაიმარჯვეს ელზასში, სადაც გენერალმა მორიუ დაამარცხა ავსტრიელები პოჰენლინდენთან, წინააღმდეგობის გაწევა ძნელი იყო. ლუნევილის ზავით ნაპოლეონმა მოახერხა მიეღო ყოველივე, რისი მიღება კი ხურდა მას ავსტრიისაგან: მთელი ბელგიის ჩამოშორება ავსტრიისაგან, ლუქსემბურგის დათმობა, გერმანიის სამფლობელოები რაინის მარცხენა ნაპირზე, "ბატარიის რესპუბლიკის" (ე.ი. ჰოლანდიის) ცნობა, "ჰელვეციის რესპუბლიკის" (ე.ი. შვეიცარიის) ცნობა, "ცისალპიურ" და "ლიგურიის" რესპუბლიკათა (ე.ი. გენუისა და ლომბარდიის) ცნობა: ისინი, ცხადია, ყველანი ფაქტიურად საფრანგეთის სამფლობელოებად იქცეოდნენ. რაც შეეხება პიემონტს, რომელიც საფრანგეთის ეკარს ეკავა, იგი ისევე ფრანგების ხელში დარჩა. "ეი ის ბედკრული ხელშეკრულება, რომლის ხელმოწერაც მე აუცილებლობამ მაიძულა. იგი სამინელია თავისი ფორმით და შინაარსითაც" — გულდამწვარი მოახსენებდა წერილში კობენცლი თავის უფროსს.

კობენცლს აღმფოთების მეტი უფლება ჰქონდა, რაკი იცოდა, რომ ტალეირანმა თვით მოლაპარაკების დროს მოასწრო უხვი საჩუქრის მიღება (რა თქმა უნდა, ფარულად) ავსტრიის სამეფო კარისაგან, მაგრამ არაფერი კი არ გააკეთა ავსტრიელების სასარგებლოდ, ვინაიდან მთელი ხელშეკრულება თავით ბოლომდე ნაპოლეონის მიერ იყო ნაკარნახევი.

მაშასადამე, ჯერჯერობით ავსტრიასთან საქმე მოთავეებული იყო. ცხადი იყო, რომ ავსტრიის იმპერია, რომელიც ასე საშინლად დაზარალდა, დაელოდებოდა მოხერხებულ დროს თავისი საქმეების გამოსასწორებლად. ავსტრიამ დახარა თავი უკეთესი დროის მოლოდინში.

ამრიგად, პაველს სიკვდილის მომენტისათვის დიდ სახელმწიფოთაგან მხოლოდ ინგლისი განაგრძობდა ომს საფრანგეთთან. ნაპოლეონმა, რომელმაც მკვეთრად შეცვალა ფრონტი პაველს სიკვდილის შემდეგ, თავის ამოცანად დაისახა რაც შეიძლება მალე დაედო ზავი ინგლისელებთან.

საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართულ ყველა პოლიტიკური წამოწყების, ევროპის ყველა სამხედრო კოალიციის სათავეში იდგა უილიამ პიტი. ბრიტანეთის კაბინეტის პირველი მინისტრი. იგი უხვად აწვდიდა თავის დროზე ხუბსიდიებს პრუსიასაც, ავსტრიასაც, პიემონტსაც, რუსეთსაც, კვლავ ავსტრიას, ახლევე ნეაპოლს, რადგანაც ნათლად ხედავდა, თუ რას მოასწავებდა, ინგლისის ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესების თვალსაზრისით, საფრანგეთის სულ უფრო და უფრო მეტი გაძლიერება კონტინენტზე.

მაგრამ არც ევროპის კოალიციების სუბსიდირება, არც საქმიანი დახმარება, რომელსაც უწევდა ინგლისი ვანდეის კონტრრევოლუციონერებს ფლოტით, ფულით, სურსათ-სანოვაგითა და იარაღით, არ შველოდა საქმეს, და 1801 წლისათვის ინგლისში გაერცელდა შეხედულება, რომ უმჯობესი იქნებოდა საფრანგეთის ახალ მბრძანებელთან დაეწყოთ მოლაპარაკება შეთანხმების შესახებ.

ვაჭრებს, რომელნიც ევროპულ ვაჭრობასთან იყვნენ დაკავშირებულნი, ზავი სწყუროდათ; ინგლისის მუშათა კლასი ამ დროს აღშფოთებული იყო ულმობელი ექსპლუატაციით და თავისი მშიერი არსებობით, და მუშათა გაჯავრება თავს იჩენდა არა მარტო მანქანების გაფუჭებაში, არამედ ზოგჯერ მთავრობის დამარცხების აშკარად გამოსახულ სურვილშიც.

ერთი სიტყვით, როდესაც ბონაპარტმა დადო ავსტრიასთან მეტად ხელსაყრელი ზავი, რომლის წყალობით ხელში ჩაიგდო მრავალი ახალი მიწაწყალი გერმანიასა და იტალიაში, და როდესაც მან პაველს სიკვდილის შემდეგ ასევე დადო ზავი პაველს მემკვიდრე ალექსანდრესთან და ერთდროულად ზავი ინგლისსაც შესთავაზა, საფრანგეთის განადგურების იმედების ჩაშლით დროებით გულგატეხილმა მმართველმა სფეროებმა გადაწყვიტეს მოლაპარაკების დაწყება. უილიამ პიტი გადადგა სწორედ პაველს მკვლელობის წინ. კაბინეტს სათავეში ჩაუდგა ადინგტონი, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრად გახდა ლორდი გოკსბერი, რომელმაც აგრძნობინა ფრან-

გებს ინგლისს არაფერი აქვს ზავის დადების საწინააღმდეგო. პაველ მკაცელობის შემდეგ პირველმა კონსულმა მიმართა ინგლისს წინადადებით მოლაპარაკების დაწყების შესახებ.

მოლაპარაკება სწარმოებდა ამიენში და 1802 წლის 26 მარტს ამიენშიეე მოაწერეს ხელი საზავო ტრაქტატს ინგლისთან. ინგლისმა დაუბრუნა საფრანგეთსა და მის ვასალებს (ჰოლანდიასა და ესპანეთს) ყველა კოლონია, რომელთა ხელში ჩაგდებაც მოასწრო მან ცხრა წლის ომის განმავლობაში, ცეილონისა და ტრინიდადის კუნძულების გარდა. მალტა უნდა დაბრუნებოდა მალტის რაინდებს. ინგლისმა იკისრა ვალდებულება გაენთავისუფლებინა მის მიერ ომის დროს დაკავებული ყველა პუნქტი ადრიატიკულ და ხმელთაშუა ზღვებში. საფრანგეთი კისრულობდა ეგვიპტეს ევაკუაციის, ჯარების გაყვანას რომიდან და რომის პაპისთვის მისი სხვა სამფლობელოების დაბრუნებას. ასეთი იყო ზავის ძირითადი პირობები. მაგრამ ყველაზე უმთავრესი სულ სხვა იყო. განა ამისათვის ბარჯაედა ინგლისის მმართველი არისტოკრატია და ბურჟუაზია ცხრა წლის განმავლობაში მილიონებს საკუთარ და სხვა ჯარებზე და აგზავნიდა ფლოტებს ჯელა ოკეანეში?

ყველაზე უფრო ძნელად ასატანი ინგლისის მმართველი სფეროებისათვის იყო ის, რომ მათ ვერ შეხძლეს გამოეგლიჯათ ბონაპარტის ბრჭყალებიდან ვერც ერთი მის მიერ ევროპაში დაპყრობილი ქვეყანა. ბელგია და ჰოლანდია, იტალია, რაინის მარცხენა ნაპირი და პიემონტი მის პირდაპირ მფლობელობაში დარჩა, მთელი დასავლეთი გერმანია ამიერიდან მის ლუკმას წარმოადგენდა. ყველა ეს დაპყრობილი ან ნაწილობრივ დაპყრობილი ქვეყანა, სადაც ამიერიდან პირდაპირ ან არაპირდაპირ ბონაპარტი მბრძანებლობდა, დაკარგული იყო ინგლისის აღებმიცემობისთვის, როგორც ინგლისის ფაბრიკატების, ისე ინგლისის კოლონიური პროდუქტების იმპორტისათვის.

საფრანგეთის მდიდარ შინაგან ბაზარზე ხომ, ცხადია, ფიქრიც კი ზედმეტი იყო: იგი მაგრად იყო ჩაკეტილი ინგლიბის იმპორტისათვის ჯერ კიდევ ბონაპარტამდე და ასევე მაგრად დაკეტილი დარჩა იგი ახლაც. გარდა ყოველივე ამისა, წმინდა სამხედრო, წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისით ამიერიდან შეუძლებელი ხდებოდა ინგლისის უშიშროების ოდნავ მაინც უზრუნველყოფა ფრანგებისაგან. სანამ ბონაპარტი ბატონობდა ბელგიასა და ჰოლანდიაზე, იგი ამბობდა: ანტეერპენი — ეს დამბაჩაა ინგლისის გულში-დამიზნებულიო.

შეუძლებელი იყო ამიენის ზავი მაინცდამაინც ხანგრძლივი გამომდგარიყო. მაგრამ იმ მომენტში, როდესაც პარიზსა და პროვინციაში გაიგეს ინგლისთან საზავო ტრაქტატის დადების შესახებ, კმაყოფილება სრული იყო. ყველაზე საშიშმა, ყველაზე მდიდარმა, ყველაზე შეუპოვარმა და შეურიგებელმა მტერმა თითქოს თავი დამარცხებულად სცნო და თავისი ხელმოწერით დაამტკიცა ბონაპარტის უფლებები დაპყრობილ ქვეყნებზე. დამთავრდა ხანგრძლივი, მძიმე ომი ევროპასთან, — დამთავრდა სრული გამარჯვებით ყველა ფრონტზე.

ახლა კი ნაპოლეონს შეეძლო სისტემატურად შესდგომოდა იმ საკანონმდებლო მუშაობას, რომელიც მას დღემდე ძალაუნებურად ჰქონდა გადადებული. თუმცა საკანონმდებლო ღონისძიებათა გატარებას იგი მარენგოს შემდეგაც შეუდგა, ისინი ვერ დაიჭერდნენ პირველ ადგილს მის მოღვაწეობაში, სანამ დადებული არ იყო საბოლოო ზავი ავსტრიასა და ინგლისთან და სანამ იმპერატორ პავლესთან გაბმული ურთიერთობა მას ახალი ძნელი ომებისა და შორეული ქვეყნების დაპყრობისაკენ მოუწოდებდა.

დადგა დრო, როდესაც მას შეეძლო დაესვა, განეხილა და გადაეწყვიტა ადმინისტრაციის, ფინანსების, ეკონომიკის, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხები. მეთოდი მისი მუშაობისა იმ სახელმწიფო პრობლემებზე, რომელსაც იგი იტალიაში ჩატარებული ორი ომის და ეგვიპტეში ლაშქრობის მდიდარი გამოცდილების მიუხედავად, არ იცნობდა, ასეთი იყო. ბონაპარტი თავმჯდომარეობდა მის მიერ შექმნილ სახელმწიფო საბჭოს სხდომებზე, ისმენდა მინისტრების მოხსენებებს, ბრძანებდა, რომ გამოცხადებულიყვნენ ისინი, ვინც უშუალოდ მუშაობდა ამ პროექტებზე და დაწვრილებით ეკითხებოდა ყოველივე იმის შესახებ, რაც მას გაუგებრად ეჩვენებოდა. ერთი მოხსენებიდან მეორემდე ეს კაცი ისე იცვლებოდა, რომ მინისტრები მას ვეღარ სცნობდნენ: პირველი მოხსენების დროს ჯერ კიდევ შეიძლებოდა მისი მოტყუება, მეორეს დროს ეს უფრო ძნელი იყო, მესამე მოხსენების დროს კი — საშიშარი. "რაო, დამცინით თუ რაშია საქმე?! — ზიზღით შეუყვირა მან ერთხელ საფინანსო უწყების ერთ მოხელეს. — ნუთუ თქვენ გგონიათ, რომ ადამიანი, რომელიც მეფის ტახტზე არ დაბადებულა და ფესვით დადიოდა ქუჩებში, ნებას მოგცემთ მოვუყვანოთ მას ასეთი სულელური მოსაზრებები?"

ნაპოლეონს შეეძლო თოთხმეტი — თექვსმეტი საათი ემუშაა დღეში თითქმის დაუსვენებლად, ზოგჯერ კი მეტიც და დაღლილ-დაქანცულ მი-

ნისტრებს, მდივნებს, მომხსენებლებსაც და ადიუტანტებს სადილობის დროც არ ჰქონდათ, რადგანაც თვით ნაპოლეონი სულ თხუთმეტ-ოც წუთს ანდომებდა სადილს; იგი არ არჩევდა საჭმელს, ჭამდა იმას, რაც ხელში ეხვედებოდა, არც კი უყურებდა, თუ რა მოჰქონდათ მისთვის, და წყრებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბევრ დროს დააკარგვინებდნენ სუფრაზე.

როდესაც ერთხელ ილაჯგაწყვეტილი მინისტრები მზად იყვნენ ფეხზე ან მჯდომარე წაეძინათ, ნაპოლეონმა დაუყვირა მათ: "აბა-აბა, მოქალაქე მინისტრებო, გამოიღვიძეთ! ახლა მხოლოდ ღამის ორი საათია; ჩვენ [illegible] დავიმსახუროთ ის ჯამაგირი, რომელსაც გვაძლევს საფრანგეთის ხალხი!"

მან არ იცოდა და არ უყვარდა დასვენება და, ეჭვს გარეშეა, მისი სიტყვები [illegible] არ შეეფერებოდნენ სიმართლეს, როდესაც მან უთხრა თავის კარის [illegible] [illegible]ზარს: "მე დასვენებას ვამჯობინებდი, მაგრამ ხარი გაბმულია [illegible]ოიანში და მიწას უნდა ხნავდეს". ლაშქრობის დროს მას ხშირად სულ [illegible]თხი საათი თუ ეძინა დღე-ღამეში; ჩვეულებრივად იგი ხალამოს რვა საათზე წვებოდა დასაძინებლად, ხოლო დგებოდა ღამის თორმეტ საათზე; დანარჩენი ოცი საათიდან ათ-თორმეტ საათს იგი ცხენით ან ეტლით სიარულში ატარებდა. იცვლებოდნენ ადიუტანტები, ეტლში აბამდნენ ახალ ცხენებს, რიგ-რიგობით მიდიოდნენ დასასვენებლად მისი ნებართვით შორიგე გენერლები, თვით ნაპოლეონი კი შეუნაცვლებლად მუშაობდა.

ყველაზე უფრო [illegible] მას უყვარდა საუბარი სპეციალისტებთან. მათგან ცოდნის შეძენა.

"როდესაც მოხვდებით უცნობ ქალაქში, [illegible] ასწავლიდა იგი თავის გვრს ეუგენი ბოპარნეს, შემდგომ შეფის მოადგილეს იტალიაში, — თქვენ კი ნუ მოიწყენთ, არამედ შეეცადეთ შეისწავლოთ ეს ქალაქი. ვინ იცის, ეგებ ოდესმე მოგიხდეთ მისი აღება!" ასეთია ნაპოლეონის ძირითადი თვისება: ცოდნის დაგროვება მისი რეალური გამოყენების მიზნით.

იგი აოცებდა ინგლისელ კაპიტნებს, როდესაც ესაუბრებოდა მათ არა მარტო საფრანგეთის, არამედ აგრეთვე ინგლისის გეშსართავის დეტალებზე და იმაზე, თუ რა განსხვავებაა ინგლისურ და ფრანგულ ბაგირებს შორის.

იგი მოულოდნელად გამოცხადდებოდა ხოლმე ფინანსთა სამინისტროს დაწესებულებებში, მოითხოვდა დავთრებს და დაუდევრობასა და შეცდომებში იჭერდა მოსამსახურეებს.

იგი ფხიზლად ადევნებდა თვალყურს ფასების მდგომარეობას ბაზრებზე, მოითხოვდა, რომ მისთვის ყოველ დღე მოეხსენებინათ ფასების მოძ-

რაობის შესახებ, ირკვევდა მათი აწევის მიზეზებს, ნიშნავდა გამოძიებას, რევიზიებს.

თავისი მმართველობის ორი-სამი წლის შემდეგ ნაპოლეონს უკვე ისე კარგად ჰქონდა შესწავლილი ვაჭრობისა და მრეწველობის საკითხები, წარმოებისა და განაღდების, აგრეთვე ტარიფებისა და საბაჟოების, საზღვაო ფრახტისა და ხმელეთით მიმოსვლის საკითხები, რომ მან ლიონის ვაჭრებზე არა ნაკლებ კანგად იცოდა ლიონის ხავერდის გაიაფებისა თუ გაძვირების მიზეზები და შეეძლო კონკრეტულ თაღლითობაში დაეჭირა მენარდე, რომელსაც გაჰყავდა გზა ამ უზარმაზარი იმპერიის რომელიმე განაპირა რაიონში; მას შესწევდა უნარი არა თუ მარტო გადაეწყვიტა თავისი ძლიერი სიტყვით დაეა საზღვრების შესახებ ანდა ბოლო მოელო მიწადაქსაქსულობით გამოწვეული არეე-დარეევისათვის ცალკეულ გერმანელ სახელმწიფოთა და მთავრებს შორის, არამედ დაესაბუთებინა კიდეც თავისი გადაწყვეტილება ამ დავისა თუ მიწადაქსაქსულობის ისტორიის მოყვანით.

ნაპოლეონი უსმენდა ყველას, ვისგანაც კი საქმიან მითითებას მოელოდა, საკითხს კი ყოველთვის თვითონ წყვეტდა. "ბრძოლა მოიგო არა იმან, ვინც კარგი რჩევა მოგვცა, არამედ იმან, ვინც იკისრა პასუხისმგებლობა მის შესრულებაზე და ბრძანა მისი შესრულება", ამბობდა იგი.

1802 წლის 2 აგვისტოს ნაპოლეონ ბონაპარტი გამოცხადებულ იქნა საფრანგეთის რესპუბლიკის "სამისდღეშიო კონსულად". ცხადი იყო, რომ საფრანგეთი აბსოლუტურ მონარქიად გადაიქცა და რომ დღეს თუ ხვალ პირველი კონსული მეფედ ან იმპერატორად იქნებოდა გამოცხადებული.

ეს თავისი მომავალი ტახტი, ისევე როგორც თავისი ჯერ კიდევ არსებული "რესპუბლიკური" დიქტატურა, ნაპოლეონს სურდა განემტკიცებინა ქალაქისა და სოფლის ბურჟუაზიის, მესაკუთრე – ვაჭრების, მესაკუთრე – მრეწველების, მესაკუთრე – ხელოსნების, მესაკუთრე – მემამულეებისა და მესაკუთრე – გლეხების მკვიდრ ნიადაგზე.

საკუთრების უფლება, აბსოლუტურად შეუზღუდავი, უნდა დადებოდა საფუძვლად იმ ახალ წესწყობილებას, რომელსაც იგი ჰქმნიდა.

ნაპოლეონმა არა თუ მარტო შეიწყალა ემიგრანტები, რომლების მეთვალყურეობაც. მართალია, აშკარ დროს პოლიციას დააკისრა, არამედ მოაწყო საფრანგეთის სახელმწიფოს ოფიციალური შერიგებაც კათოლიკურ ეკლესიასთან. კათოლიკური კულტმსახურება თავისუფლად იქნა გამოცხადებული. ახლა მან ნება დართო, რომ ეუქმათ კვირადღე, მრავალი მღვდელი დააბრუნა გადასახლებიდან, ბევრიც ციხეებიდან გამოუშვა. შემდეგ

მან დაიწყო მოლაპარაკება რომის პაპთან იმ პირების შესახებ, რომელთა მიმართ პირველი კონსული თანახმა გახდებოდა კათოლიციზმი ეცნო "საფრანგეთის ხალხის უმრავლესობის რელიგიად" და კათოლიკური ეკლესია სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ დაეყენებინა.

ამ მოლაპარაკების შედეგად გამოცემულ იქნა ცნობილი კონკორდატი, ეს "სახელმწიფოებრივი სიბრძნის სასწაული", როგორც ამას ბურჟუაზიული ისტორიკოსები ამტკიცებენ.

სინამდვილეში კი კონკორდატი ნიშნავდა მეტი წილი იმ პოზიციების ჩაბარებას, რომლებიც ბრძოლით ჩამოართვა ეკლესიას რევოლუციამ თავისუფალი აზრის სასარგებლოდ. რევოლუციამ ბოლო მოუღო ისეთ მდგომარეობას, როდესაც კათოლიკურ სამღვდელოებას შესაძლებლობა ეძლეოდა ოფიციალური გავლენა ჰქონებოდა საფრანგეთის ხალხზე, ნაპოლეონი კი ხელახლა უქმნიდა მას ამ შესაძლებლობას. რატომ ჩაიდინა მან ეს? პასუხი ნათელი იყო და არავითარ ეჭვს არ იწვევდა.

აქ პაპის პიროვნება არაფერ შუაში იყო. ნაპოლეონის თვალსაზრისით, კათოლიკური საეკლესიო ორგანიზაცია წარმოადგენდა ძალას, რომლის არაფრად ჩაგდება არ შეიძლებოდა, და არა მარტო იმიტომ, რომ მას დიდი ზიანის მოტანა შეეძლო, თუ კი იგი მტრების ბანაკში დარჩებოდა, არამედ კიდევ უფრო მეტად იმიტომ, რომ მას დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო, თუ იგი მეგობრების ბანაკში გადავიდოდა.

თვით ნაპოლეონს თავის სიცოცხლეში ნაკლებად უსაუბრია რელიგიის საკითხებზე.

იტალიელი არისტოკრატი გრაფი კიარამონტი, რომელიც 1799 წლიდან პაპი პიუს VII გახდა, ნაპოლეონს მიაჩნდა არა პეტრე მოციქულის მემკვიდრედ და არა ღმერთის მოადგილედ დედამიწაზე, არამედ გაიძვერა მოხუც იტალიელად, რომელიც, ცხადია, მზად იყო გაება ინტრიგების ქსელი ბურბონების რესტავრაციის სასარგებლოდ, რათა დაებრუნებინა რევოლუციის მიერ სეკულარიზებული საეკლესიო ქონება*, მაგრამ რომელიც ამავე დროს ნაპოლეონის შიშით იყო შეპყრობილი, რადგანაც თითქმის მთელი იტალია დაკავებული იყო ფრანგების მიერ და მარენგოს შემდეგ რომი და რომის პაპი მთლიანად პირველი კონსულის ბონაპარტის ხელში იმყოფებოდნენ.

პიუს VII-ს პანიკურად ეშინოდა ნაპოლეონისა და იგი მოძალადედ და მძარცველად მიაჩნდა. ნაპოლეონს კი პიუს VII-ს ერთი სიტყვისაც აღარ სჯეროდა და ინტრიგანად და მატყუარად მიაჩნდა იგი. ასეთი აზრის იყვნენ ისინი ერთმანეთზე ჯერ კიდევ მანამდე, სანამ მათ შორის მოლაპა-

რაკება დაიწყებოდა. ამის შემდეგ, როდესაც მოლაპარაკება დამთავრდა, და შემდგომაც, თვით სიკვდილამდის, მათ, ეტყობა, ერთხელაც არ შეპარვიათ სერიოზული ეჭვი ურთიერთ შეჭიდების სისწორეში.

"მაინც ხუცები სჯობია, ვიდრე ისეთი შარლატანები, როგორიცაა კალიოსტრო, ან კანტი, ანდა ყველა ეს გერმანელი ფანტაზიორი", — ამბობდა ხოლმე ნაპოლეონი, რომლისთვისაც, ამრიგად, აკანტიურისტი კალიოსტრო და ფილოსოფოსი კანტი ერთი ჯურის ადამიანებს წარმოადგენდნენ. თანაც დასძენდა, რაკი ხალხს ესოდენ სურს ირწმუნოს სხვადასხვა სასწაული, უმჯობესია მას მიეცეს შესაძლებლობა გამოიყენოს ამისათვის ეკლესია და მიღებული საეკლესიო მოძღვრება, ვიდრე მიეცეს ფილოსოფიით გატაცების უფლებაო. "ხომ უცრიან ადამიანებს ყვავილს, რომ მათ არ გადაედოს ეს ავადმყოფობა" — ამბობდა ნაპოლეონი. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: უმჯობესია მოეურიგდეთ გაიძვერა მოხუც კარდინალ კარამონტის, რომელიც თავს თავს პაპი პიუს VII-ს უწოდებს და რომელიც ხალხს, ჩვეული სისულელის გამო, სწამს როგორც ღმერთის ძალაფლ[illegible] დედამიწაზე, უმჯობესია ფუშეს ჟანდარმერიისა და პოლიციის გამოყენით დააყენო შენს სამსახურში პაპი პიუს VII-ს ურიცხვი შავი პოლიცია. ვიდრე მისცე შესაძლებლობა შენს მტრებს, ბურბონებს, გამოიყენონ თავის სასარგებლოდ ხუცებისა და ბერების ეს უამრავი ჯარი, ანდა უჩინარი ფანტაზიორებსა და ფილოსოფოსებს ჩაუგდო ხელში შენი მორჩილი მოსახლეობა, ანდა კიდევ გაავრცელო თავისუფალი აზროვნება.

უფრო მეტიც: ნაპოლეონს კარგად ესმოდა, რომ ეს შავი კათოლიკური ჯარი უაღრესად გამოსადეგია სწორედ წესიერი საგანმანათლებლო და რეაქციული იდეოლოგიის საბოლოოდ ჩახშობისათვის. 1801 წლის იულისში ხელმოწერილ იქნა ხელთანხმება (კონკორდატი) პაპსა და ნაპოლეონს შორის, ხოლო 1802 წლის 15 აპრილს კანონი კონკორდატისა და საფრანგეთში კათოლიკური ეკლესიის ახალი წყობილების შესახებ გამოქვეყნებულ იქნა საბოლოო რედაქციით.

ნაპოლეონი არ მოტყუებულა თავის ანგარიშში. სულ მალე კონკორდატის შემდეგ (უკვე იმპერიის დროს) კათოლიკურმა ეკლესიამ საფრანგეთის ყველა სკოლაში შემოიღო სავალდებულო კათეხიზისი, სადაც ტექსტუალურად ნათქვამი იყო (თანაც ნაბრძანები იყო ამის ზეპ[illegible] შესწავლა), რომ: "ღმერთმა... გააკეთა ნაპოლეონი თავის ძალაუფლების იარაღად და თავის სახეობად დედამიწაზე" და რომ "ვინც წინააღმდეგობას უწევს იმპერატორ ნაპოლ[illegible] ეწინააღმდეგება თვით ღვთის მიერ დადგენილ წესრიგს და საძულ[illegible] ციცხვის ღირსია, ხოლო სული [illegible] კუნოდ დაღუპვისა და ჯოჯოხ[illegible] ის ღირსია"

ამ ორი "ჭეშმარიტების" გარდა, კათეხიზისი კიდევ ბევრ ამდსგვარ ჭეშმარიტებას ქადაგებდა. ეს ხდებოდა "საღმრთო რჯულის" გაკვეთილებზე. ხოლო დღესასწაულებზე საეკლესიო კათედრიდან აცხადებდნენ, რომ სული წმინდა დროებით გადასახლდა ნაპოლეონში სწორედ რევოლუციური უმთავრობისა და ურწმუნოების აღმოსაფხვრელად და რომ პირველი კონსულის (შემდგომ კი იმპერატორის) მუდმივი გამარჯვებები ყველა საგარეო მტერზე სული წმინდის პირდაპირი სტრატეგიული ჩარევით აიხსნება.

ნაპოლეონში აშკარა დაცინვას იწვევდა როგორც ყოველ კეირეული ქადაგება, რომ იგი სული წმინდითაა შეპყრობილი, ისე მრავალი სასწაულებრივი ამბავი, რომლებსაც მის შესახებ ავრცელებდნენ. როგორც ეტყობა, ამონ-რას ქურუმები, რომლებმაც ალექსანდრე მაკედონელი ღვთის შვილად გამოაცხადეს, და პარიზის, ლიონის და ბორდოს არქიეპისკოპოსები, რომლებიც ნაპოლეონ ბონაპარტში სული წმინდის ჩასახლებას ამტკიცებდნენ, ბევრი არაფრით განს ხვადებოდნენ ერთმანეთისაგან.

პაპსა და ნაპოლეონს შორის შეთანხმების წინასწარ ხელმოწერიდან კონკორდატის შესახებ კანონის გამოქვეყნებიდან რამდენიმე თვემ განვლო, და სწორედ ამ თვეების განმავლობაში ნაპოლეონმა შექმნა საპატიო ლეგიონის ორდენი, რომელიც დღემდე არსებობს საფრანგეთში და ასეთ დიდ როლს თამაშობს ფრანგი ხალხის ყოფაცხოვრებაში. ეს საქმე ნაპოლეონმა ჯერ კიდევ 1801 წლის მიწურულში დაიწყო. მან განიზრახა შექმნა წარჩინების ნიშანი სამხედრო და სამოქალაქო დამსახურებისათვის. ორდენი სხვადასხვა ხარისხის უნდა ყოფილიყო და გაიცემოდა უმაღლესი ხელისუფლების სურვილისამებრ.

ნაპოლეონმა საძირკველი ჩაუყარა სახალხო განათლების იმ ორგანიზაციას, რომელიც დღემდე არსებობს სრულიად უცვლელად. მართალია, მის დროს დაბალი საფეხურის სკოლები არ ყოფილა, მაგრამ უმაღლესი და საშუალო განათლების დარგში დღემდე არაეითარი არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

მთელი ორგანიზაციის სათავეში დგას უწყება, რომელსაც "უნივერსიტეტი" ეწოდება, ხოლო განაგებს ამ უწყებას მისი მთავარი უფროსი. ნაპოლეონის დროს "უნივერსიტეტის" გამგებლობაში შედიოდა: 1) უმაღლესი სკოლა და 2) ლიცეები — საშუალო სკოლა. ნაპოლეონი აარსებდა მხოლოდ უმაღლეს სპეციალურ სკოლებს, რომელნიც უმთავრესად ამზადებდნენ ტექნიკოსებს, ინჟინრებს, ნოტარიუსებს, სასამართლო და ადმინისტრაციულ მოხელეებს, საფინანსო უწყების მოხელეებს და ა.შ. დის-

...ა მკაცრი, წმინდა სამხედრო იყო, ასეთივე მკაცრი იყო გამოცდ...
...რაც შეეხება ლიცეებს, მათ დანიშნულებას უწინარეს ყოველისა ოფიც...
...ების მომზადება შეადგენდა.

მას, ვინც ლიცეის დაამთავრებდა, დამატებითი გამოცდის შემდეგ ღ...ულობდნენ სპეციალურ უმაღლეს სამხედრო სკოლებში. სამოქალაქო უწ...ებებში ლიცეის დამთავრების შემდეგ სახელმწიფო სამსახურში ღებულობ...ნენ დამატებითი განათლების გარეშეც, მაგრამ, ცხადია, ამ შემთხვევაში ...ბილებულს არ ეძლეოდა ის უფლებები და ის ვერ აკეთებდა ისეთ კარიერ...რას, რომელიც მოელოდა იმათ, ვინც ლიცეის გარდა კიდევ ამათუიმ უმაღ...ლეს სკოლას დაამთავრებდა.

მარენგოს ბრძოლიდან ორი თვის შემდეგ და იტალიიდან დაბრუნები...დან რამდენიმე კვირის შემდეგ პირველი კონსულის დადგენილებით და...არსდა კომისია სამოქალაქო სამართლის კანონთა კრებულის, სამოქალა...ქო სამართლის იმ კოდექსის პროექტის გამოსამუშავებლად, რომელიც საფ...რანგეთისა და მის მიერ დაპყრობილი ქვეყნების იურიდიული არსებობის ...დედაბოძი უნდა გამხდარიყო. ეს მეტად ძნელი საქმე იყო, მაგრამ ნაპოლე...ონმა ამ კომისიაში სულ ოთხი კაცი დანიშნა: მას საშინლად ეჯავრებოდა ...დიდი კომისიები, გრძელი სიტყვები, მრავალრიცხოვანი სხდომები. ოთ...ხივე დიდად გამოჩენილი იურისტი იყო.

ამ კოდექსს შემდგომ "ნაპოლეონის კოდექსი" ეწოდა.

თავის სიცხადისა, თანმიმდევრობისა და ლოგიკური ურყეობის თვალ...საზრისით ნაპოლეონის კოდექსი შეიძლება მართლაც იყოს ლირსი იმ ქე...ბა-დიდებისა, რომელსაც იმ თავითვე აფრქვევდა (და დღესაც აფრქვევს) მას კაპიტალისტური ქვეყნების ბურჟუაზიული იურიდიული ლიტერატუ...რა. მაგრამ ვერავინ, ვინც კი ოდნავ მაინც მიუდგომელი იქნება, ვერ უარ...ყოფს იმას, რომ ეს კანონთა კრებული უდავოდ უკან დახევაა საფრანგე...თის ბურჟუაზიული რევოლუციის კანონმდებლობასთან შედარებით, თუ მხედველობაში ვიქონიებთ რევოლუციით მოპოებული სრული თანასწო...რუფლებიანობის, მოქმედების სრული პირადი (იურიდიული) თავისუფ...ლების და თვითგამორკვევის თავისუფლების პრინციპის გატარებას.

ნაპოლეონმა უუფლებო გახადა ქალი ქმრის წინაშე და დამცირებულ...არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენა იგი. ძმების მიმართ სამემკვიდ...რეო სამართალში, ფულიად გაუქმებულია რევოლუციის ჰუმანური კა...ნონები რომლებიც ათანაბრებდნენ უფლებებში ეგრეთწოდებულ "უკანონო" და "კანონიერ" შვილებს. აღდგენილია ეგრეთწოდებული "სამოქალა-

ქო სიკვდილი" იმათთვის, ვისაც საკატორღო სამუშაოები და სხვა მძიმე სასჯელი მიესაჯა, თუმც სასამართლო სასჯელის ეს მძიმე ღანართი გაუქმებული იყო რევოლუციის დროს.

შეიძლება გკითხონ: ნუთუ სამოქალაქო კანონების შექმნის ამ უზარმაზარ საქმეშიც არავის უცდია პროტესტის გამოცხადება, ყოფილი რევოლუციური აღმაფრენის შენარჩუნება ახალ კანონმდებლობაში? ასეთი ცდები იყო. როდესაც კოდექსს იხილავდნენ, "საკანონდებლო" დაწესებულებებში ზოგიერთები შეეცადნენ გაუბედავად გამოსულიყვნენ მის წინააღმდეგ. მაგრამ ეს სუსტი ოპოზიცია უშედეგო იყო.

წინააღმდეგობა ადვილად იქნა დაძლეული: ბონაპარტმა გამორიცხა ტრიბუნატიდან ყველა წევრი, გარდა ორმოცდაათი ყველაზე ჩუმი წევრისა, და იქვე დაადგინა, რომ ამიერიდან ტრიბუნატში არასოდეს აღარ იქნებოდა ორმოცდაათ კაცზე მეტი. ამ სახელდახელოდ ჩატარებული საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ საქმე უცებ მოგვარდა.

დროთა განმავლობაში კოდექსში შეტანილ იქნა ისეთი კანონებიც, რომლებითაც ნაპოლეონი კიდევ უფრო მეტად ავიწროებდა მუშათა კლასს, ვიდრე ეს წინათ ხდებოდა ხოლმე. არა თუ მარტო მთლიანად დარჩა ძალაში ლე შეპელიეს კანონი (1791 წლისა), რომლითაც სრულიად მშვიდობიანი გაფიცვებიც კი, უბრალო წასვლაც კი სამუშაოდან ამხანაგებთან შეთანხმებით გათანაბრებული იყო სისხლის სამართლის წესით დასასჯელ დანაშაულთან; კანონებში მტკიცედ ტარდებოდა მუშათა შრომის ექსპლუატაციის სრული თავისუფლება; გარდა ამისა, შემოღებულ იქნა "სამუშაო წიგნაკები", რომლებიც საწარმოს პატრონთან ინახებოდა და თუ ამ წიგნაკებით არა, მუშებს არსად აღარ ღებულობდნენ ახალ ადგილზე. ხოლო ამ წიგნაკებში საწარმოს პატრონს შეჰქონდა მუშის ატესტაცია და იქვე წერდა, თუ რა მიზეზით დაითხოვა მან ეს მუშა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ბოროტად იყენებდნენ დამქირავებელნი ამ გარემოებას, რომელიც შესაძლებლობას აძლევდა მათ უსამუშაოდ და ულუკმაპუროდ დაეტოვებინათ მუშები.

ბოლოს სისხლის სამართლის კოდექსის გამოცემით ნაპოლეონმა დაამთავრა თავისი საერთო ხასიათის საკანონდებლო მუშაობა. მან ძალაში დატოვა სიკვდილით დასჯა, შემოიღო ზოგიერთი დანაშაულისათვის გამთრახება, გაუქმებული რევოლუციის დროს, და აგრეთვე გახურებული რკინით დადაღვა, დააწესა უაღრესად მკაცრი სასჯელები საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ყველა დანაშაულისათვის. მისი სისხლის სამართლის კანონმდებლობა უძაკო და მეტად დიდი უკან დახევა იყო რევოლუციური ეპოქის კანონებთან შედარებით.

მთელი ეს უზარმაზარი საკანონმდებლო მუშაობა ჯერ კიდევ არც იყო ულ დამთავრებული, რომ 1803 წლის მარტში ხელახლა დაიწყო ომი ინ-ლისთან. ნაპოლეონმა კვლავ იშიშვლა მახვილი, რომელიც მას უკვე აღარ აუგია ქარქაშში თავისი ხანგრძლივი და სისხლიანი ეპოპეის სრულ დამ-თავრებამდე.



ახალი ომი ინგლისთან და ნაპოლეონის მეფედ კურთხევა

(1803-1804)

ხანმოკლე შესვენების შემდეგ კვლავ გიგანტური ბრძოლა იწყებოდა. ნაპოლეონის წინააღმდეგ, რომლის ხელთ იყო საფრანგეთი, იტალიის დი-დი ნაწილი, დასავლეთ გერმანიის მთელი რიგი ქალაქები და ტერიტორია-ები, ბელგია და ჰოლანდია, — იდგნენ არა ნაკლებ უზარმაზარი ძალები, საშინელი თავისი სიდიდითა და ხასიათის სხვადასხვაობით.

ნაპოლეონის ეს დაუბრუნებელი ომი წარმოადგენდა სამრეწველო კა-პიტალისტური განვითარების გზაზე ახლახან დადგარი საფრანგეთის შებ-მას ინგლისთან, რომელიც გაცილებით ადრე დადგა ამ გზას და ბევრად უფრო დიდ შედეგებს მიაღწია კიდეც ამ მიმართულებით.

ძალადი მეტოქის — საფრანგეთის ბურჟუაზიის წინააღმდეგ შეუპო-ვარ და შეურიგებელ ბრძოლაში ინგლისის ბურჟუაზიის ხელთ იყო მაღა-ლი ტექნიკა, დიდძალი თანხები, ნაყოფიერად ექსპლუატირებული კოლო-ნიები და ვეებერთელა სავაჭრო ქსელი მთელს დედამიწაზე. ამ ბრძოლაში ინგლისს დიდხანს და წარმატებით უწევდნენ სამსახურსა და დახმარებას ეკონომიურად ჩამორჩენილი, ნახევრად ფეოდალური მონარქიები, და ინ-გლისი თავის ხარჯზე და თავისი საჭურველით აიარაღებდა ამ მონარქი-ების ყმა გლეხებს. როდესაც უმცროსი ვილიამ პიტი სუბსიდიის სახით მი-ლიონებს აძლევდა რუსეთს, ავსტრიას თუ პრუსიას, რათა საფრანგეთის რევოლუციის ან ნაპოლეონის წინააღმდეგ აემხედრებინა ისინი, იგი სწო-რედ იმასვე ჩადიოდა, რასაც ორმოცი წლის წინათ მისი მამა — უფროსი ვილიამ პიტი, რომელიც ეხმარებოდა ირიკოზებსა და ინდიელთა სხვა ტო-მებს და აჯანყებდა მათ იმავე ფრანგების წინააღმდეგ კანადაში

1802 წლის მარტში ინგლისის მიერ დადებული ამიენის ზავი რატომ აღმოჩნდა მხოლოდ ერთწლიან შერიგებად? იმიტომ, რომ როდესაც გაქრა სასტიკი ომის შეწყვეტით გამოწვეული სიხარული, ინგლისის ბურჟუაზიისა და მიწათმფლობელი არისტოკრატიის ფართო წრეებმა აშკარად დაინახეს, რომ მათ წააგეს ომი, ნაპოლეონმა კი მოიგო იგი. ბონაპარტმა არა თუ არ დაუშვა ინგლისის საქონელი თავის ხელქვეით მყოფ ევროპელა ბაზრებზე, არამედ ბელგიისა და ჰოლანდიის შენარჩუნებით ყოველ წუთს შეეძლო უშუალოდ დამუქრებოდა ინგლისის სანაპიროებს და, რაც მთავარია, მას უკვე 1802 წელს ისეთი მდგომარეობა ჰქონდა, რომ დაუბრკოლებლად შეეძლო პირდაპირი მუქარით თავის ნაძალადევ "მოკავშირეებად" გაეხადა მთელი რიგი ქვეყნები, რომლებიც ჯერ კიდევ "დამოუკიდებელ" სახელმწიფოებად ითვლებოდნენ.

უნდა ითქვას, რომ ნაპოლეონმა ძალიან ოსტატურად გამოიყენა ხანმოკლე ამიენის ზავი ზანგების აჯანყების ჩასაქრობად სან-დომინგოს კუნძულზე, სადაც ჯერ კიდევ დირექტორიის ეპოქაში დამკვიდრდა ზანგი მოსახლეობის სახელგანთქმული ბელადი ტუსენ-ლუვერტიური, რომელიც ფორმალურად აღიარებდა კუნძულის დამოკიდებულებას ფრანგებისაგან, ფაქტიურად კი მისი დამოუკიდებელი მმართველი იყო.

კოლონიების საკითხში ნაპოლეონი სავსებით იცავდა ფრანგი პლანტატორების თვალსაზრისს, რომლებსაც არანაირად არ სურდათ შერიგებოდნენ მონების განთავისუფლებას კოლონიებში. ამიენის ზავით ნაპოლეონმა დაიბრუნა საფრანგეთის კოლონიები, რომლებიც ინგლისმა დაიკავა (სან-დომინგო, მცირე ანტილის კუნძულები, მასკარენის კუნძულები, გვიანას ნაპირი), აღადგინა წინანდელი მონობა იქ, სადაც გაუქმებული იყო, და განამტკიცა მონათმფლობელობის კანონები იმ ადგილებში, სადაც ისინი გაუქმებული არ იყო ინგლისელების მიერ მათი დროებით დაპყრობის დროს. ტუსენ-ლუვერტიურის აჯანყების ჩასაქრობად ნაპოლეონმა 1802 წელს მოამზადა მთელი ფლოტი ათიათასიანი არმიით. ტუსენ-ლუვერტიური ვერაგულად მიიტყუეს ფრანგების ბანაკში, სადაც იგი დაატუსაღეს 1802 წლის 7 ივნისს და საფრანგეთში გაგზავნეს. როგორც კი ზანგების განთავისუფლების გმირი საფრანგეთში ჩაიყვანეს, ნაპოლეონმა ბრძანა ნესტიან მთიან ადგილში მდებარე ჟუს ციხის ისეთ საკანში ჩაესვათ იგი, რომელიც მხოლოდ ერთი კაცისთვის იყო განკუთვნილი. სუსხიანმა ჰავამ და მკაცრმა პატიმრობამ, ნათესავების ნახვისა და სეირნობის აკრძალვამ და სასტიკმა მოპყრობამ ცხრა თვეში გამოასალმა სიცოცხლეს ტუსენ-ლუ-

ვერტიური. ნაპოლეონს ერთგვარი გეგმები ჰქონდა კოლონიების ორგანიზაციისა და ექსპლუატაციის შესახებ, მაგრამ 1803 წლის გაზაფხულზე ინგლისთან ომის განახლებამ აიძულა იგი ხელი აეღო ფართო კოლონიური პოლიტიკის გეგმების განხორციელებაზე.

ამიენის ზავი ირღვეოდა და იშლებოდა არა მარტო ინგლისში, არამედ პარიზშიაც. ნაპოლეონი ფიქრობდა, რომ ამ ზავის დადებით ინგლისელებმა უკვე აიღეს ხელი ამიერიდან ევროპის საქმეებში ჩარევაზე და საბოლოოდ შეურიგდნენ მის მომავალ ბატონობას კონტინენტზე, მაგრამ უცებ აღმოჩნდა, რომ ეს ასა არ იყო და რომ ინგლისი არ აპირებდა გულხელდაკრეფილი ეცქირა ნაპოლეონის მოქმედებისათვის ევროპაში.

დაიწყო რთული დიპლომატიური მოლაპარაკება. არც ერთ მხარეს არ სურდა და არც შეეძლო დათმობაზე წასვლა და ორივეს ძლიერ კარგად ესმოდა ერთმანეთის. უკვე 1803 წლის დასაწყისშივე მოლაპარაკებამ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ მოსალოდნელი იყო მისი მალე ჩაშლა. ყოყმანს, რასაკვირველია, ადგილი ჰქონდა ლონდონშიც და პარიზშიც. ინგლისის მინისტრები ყველანი როდი იყვნენ დარწმუნებული იმაში, რომ ქვეყანა მზად არის კელავ ეძგერის უსაშინლეს მტერს და ისიც პირველ ხანებში მოკავშირეთა დაუხმარებლად, — საფრანგეთს ამ დროს ზავი ჰქონდა ყველა სახელმწიფოსთან.

თავის მხრივ, ბონაპარტმა იცოდა, რომ პარიზისა და ლიონის საკაჭრო ბურჟუაზიასა და აგრეთვე ფუფუნების საგნების მწარმოებელ მრეწველებს აუარებელი შეკვეთა და საუცხოო კომერციული წინადადება ჰქონდათ ინგლისიდან, იცოდა, როგორ გაცხოველდა ვაჭრობა პირველსავე თვეებში ამიენის ზავის დადების შემდეგ ინგლისიდან თხუთმეტი ათასი ტურისტის ჩამოსვლის გამო, იცოდა აგრეთვე, რომ ამასთანავე პირადად მას ახლაც, მშვიდობიანობის პირობებში, შეეძლო არ შეეშვა ინგლისური საქონელი საფრანგეთში და რომ ამიტომ ინგლისთან ომი, საფრანგეთის მრეწველთა ინტერესების თვალსაზრისით, უშუალოდ არაფერს ახალს არ მისცემდა მას.

ინგლისის ელჩს საფრანგეთში უიტვორტს არ სჯეროდა ბონაპარტთან ზავის შენარჩუნების შესაძლებლობა, — არა იმიტომ, რომ საფრანგეთმა უკვე ძალიან ბევრი რამ მოიგო ამიენის ზავით, არამედ იმიტომ, რომ ამიენის ზავის შემდეგ პირველი კონსული ისე განაგებდა მოსაზღვრე ევროპას, თითქოს ის უკვე მის მფლობელობაში ყოფილიყო. მაგალითად, 1802 წლის შემოდგომაზე მან გამოუცხადა შვეიცარიას — მსურს თქვენს ქვეყანაში ახალი სახელმწიფოებრივი წყობილების შემოღება და "საფრანგეთის მეგობრული" მთავრობის დანიშვნაო. ბონაპარტი მიუთითებდა შვეი-

ცარიელებს მათ გეოგრაფიულ მდგომარეობაზე საფრანგეთსა და იტალიას შორის, რომელიც საფრანგეთს ემორჩილებოდა; თავისი გეოგრაფიული მოსაზრებანი მან დაასაბუთა გენერალ ნეის მეთაურობით ოცდაათი ათასი ფრანგი ჯარისკაცის გაგზავნით შვეიცარიის საზღვარზე. შვეიცარიამ ქედი მოიხარა ნაპოლეონის წინაშე და მისი სრული მორჩილი გახდა.

თითქმის იმავე დროს ნაპოლეონმა პიემონტის სამეფო ფორმალურად და საბოლოოდ საფრანგეთთან შეერთებულად გამოაცხადა. დასავლეთ გერმანიის წვრილი ხელმწიფეები და მთავრები, რომელთაც 1801 წლის ლუნევილის ზავის შემდეგ ავსტრიის იმედი დაკარგეს, ნაპოლეონის წინაშე ცახცახებდნენ, ნაპოლეონი კი მათ ისე ეპყრობოდა როგორც თავის ლაქიებს, ამ სიტყვის სრული და ნამდვილი მნიშვნელობით. ბოლოს, პოლანდიაც ხომ მტკიცედ ეჭირა მას ხელში, და აშკარა იყო, რომ ეს ქვეყანა უკვე თავს ვეღარ დააღწევდა და ვერ განთავისუფლდებოდა მისგან.

ინგლისს არ სურდა და არც შეეძლო შერიგებოდა ყოველივე ამას.

აქ უადგილო არ იქნება რამდენიმე სიტყვა ითქვას ნაპოლეონის ერთი დამახასიათებელი თავისებურების შესახებ, რასაც ხშირად თავგზა აუბნევია ბევრისათვის. უდავოა, როა ამ ზვიადმა, პირქუშმა, გულფიცხმა, ქვეყანაზე ყოვლის მოძულე ადამიანმა საშინელი გაბრაზება იცოდა.

მრისხანების დროს ის მართლაც საშინელი იყო თვით უაღრესად მტკიცე და გულადი ადამიანებისთვისაც. მაგრამ ამასთან ერთად ყოფილა შემთხვევები, როცა ნაპოლეონს გარკვეული მიზნით და კარგად მოფიქრებული მოსაზრებით (მის ბუნებრივ, ნამდვილ სიფიცხეზე დამოუკიდებლად) გაუთამაშებია ხელოვნური გააფრთების სცენები, თანაც ისეთი მაღალი არტისტული ნიჭით, ისე განსაცვიფრებელი ოსტატური სიმულაციით, რომ მხოლოდ დაახლოებულ და კარგად ნაცნობ ადამიანებს შეეძლოთ გაეგოთ ეს ჯამბაზობა, და ისიც არა ყოველთვის, — ხშირად ისინიც ტყუვდებოდნენ.

პირველსავე დიდ აუდიენციაზე, 1803 წლის 18 თებერვალს, ნაპოლეონმა გულფიცხობისა და დამუქრების სცენა გაითამაშა. იგი ლაპარაკობდა თავის სიძლიერეზე, იმაზე, რომ თუ ინგლისი გაბედავდა ომის დაწყებას, ეს ომი "გამანადგურებელი" იქნება მისთვისვე; რომ ინგლისს ამაოდ აქვს მოკავშირეთა იმედი, რომ ავსტრია როგორც დიდი სახელმწიფო "უკვე ეღარ არსებობს". ის ისეთი ტონით ლაპარაკობდა და ყვიროდა, რომ ამის შესახებ უიტვორტი სწერდა თავის უფროსს, საგარეო საქმეთა მინისტრს ლორდ გოკსბერის: "ასე მეგონა, რომ მე ვუსმენ ვიღაც დრაგუნის კაპიტანს და არა ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოს მეთაურს".

ინგლისის დაშინება და ამით ომის თავიდან აცილება, ამასთანავე ევროპაში პარპაში, — ასეთი იდეით იყო შეპყრობილი ნაპოლეონი. მაგრამ აქ ის სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა. ინგლისის ბურჟუაზია და არისტოკრატია, რომელთა შორის მაშინ ბევრ რამეში მძაფრი წინააღმდეგობა იყო, შეთანხმებული იყვნენ ერთ რამეში: არ დაუშვან,რომ ევროპა დაემორჩილოს დიქტატორ ნაპოლეონს. ის იმუქრებოდა, რომ შეკრებს ნახევარმილიონიან არმიას. ამ მუქარის საპასუხოდ ინგლისის მთავრობამ გააძლიერა ფლოტის მომარაგება და დიდი სამხედრო მზადება დაიწყო.

13 მარტს გათამაშდა ახალი და უკანასკნელი სცენა. "მაშ ასე, თქვენ ომი გსურთ... თქვენ გსურთ იომოთ კიდევ თხუთმეტი წელიწადი, და თქვენ მაიძულებთ, რომ ასე მოვიქცე". ნაპოლეონი მოითხოვდა მალტის დაბრუნებას, რომელიც ინგლისელებმა ჯერ კიდევ ამიენის ზავის დადებამდე ჩაიგდეს ხელში და დაპირდნენ მის დაბრუნებას, მაგრამ არ ჩქარობდნენ დაპირების შესრულებას იმ საბაბით, რომ ბონაპარტი მშვიდობიანობის წინააღმდეგ მოქმედებდა. "ინგლისელებს სურთ ომი, — ხმამაღლა გამოაცხადა მან, — მაგრამ თუკი მათ პირველად იშიშვლეს ხმალი, დე იცოდნენ, რომ მე უკანასკნელი ჩავაგებ ხმალს ქარქაშში... თუ თქვენ გსურთ შეიარაღება, მეც შევიარაღდები; თუ თქვენ გსურთ ბრძოლა, მეც ვიბრძოლებ. თქვენ, შეიძლება, მოკლათ საფრანგეთი, მაგრამ მის დაშინებას ვერ შეძლებთ... ვაი იმას, ვინც არ აასრულებს დაპირებას... მალტა ან ომი!" მრისხანედ შეჰყვირა მან და გავიდა დარბაზიდან, სადაც წარმოებდა ელჩებისა და წარჩინებულთა მიღება.

1803 წლის მაისის დამდეგს უიტვორტმა დატოვა პარიზი; დაიწყო ნაპოლეონის ომი ინგლისთან, რაც უკვე მისი მეფობის დასასრულამდე არ შეწყვეტილა.

ინგლისში იცოდნენ, რომ ომი ძნელი და საშიშარი იქნებოდა. თითქმის ომის დაწყებისთანავე ბრიტანეთის მთავრობას სათავეში ჩაუდგა ვილიამ პიტი, რომელიც 1801 წლიდან ჩამოშორებული იყო საქმეებს.

ახლა, 1803 წელს, კვლავ დადგა ვილიამ პიტის დრო. იმ კაცს, რომელიც ცხრა წლის განმავლობაში ებრძოდა საფრანგეთის რევოლუციას, ამიერიდან უნდა ეკისრა პასუხისმგებლობა ნაპოლეონთან გაცილებით უფრო მრისხანე ომის გაჩაღებაზე.

ახლა საფრანგეთში მეფობდა დესპოტი, რომელიც სასტიკად უსწორდებოდა იაკობინელებს და სპობდა პოლიტიკური თავისუფლების ყოველგვარ ნასახს. რევოლუციის სენი ახლა საშიშროებას აღარ წარმოადგენდა. ყოველივე ეს ასე იყო. მაგრამ ძლიერ სახიფათო აღმოჩნდა დაწყებული

ბრძოლის უკვე პირველივე წელიწადნახევარი, როცა ინგლისი და ნაპოლეონის საფრანგეთი ერთმანეთის პირისპირ იდგნენ.

უპირველეს ყოვლისა ნაპოლეონმა, დაიკავა მთელი ჰანოვერი, დიდი გერმანული სამფლობელო, რომელიც ინგლისის მეფეს ეკუთვნოდა, ის იმავე დროს ჰანოვერის კურფიურსტადაც ითვლებოდა. შემდეგ მისი ბრძანებით დაიკავეს სამხრეთ იტალიის მთელი რიგი პუნქტები, სადაც უკვე არ იყო საფრანგეთის ჯარი. მან უბრძანა ჰოლანდიასა და ესპანეთს გამოეყვანათ ჯარი და ფლოტი ფრანგების დასახმარებლად. მაშინვე გაიცა ბრძანება, რომ მოეხდინათ ინგლისური საქონლის კონფისკაცია ყველა დამორჩილებულ ქვეყანაში, დაეპატიმრებინათ ყველა ინგლისელი, რომელიც კი საფრანგეთში აღმოჩნდებოდა და დაპატიმრებული ჰყოლოდათ ინგლისთან ზავის დადებამდე.

ბოლოს, ის შეუდგა გარნიზონული ბანაკის მოწყობას ბულონში, ლამანშზე, ინგლისის სანაპიროს პირდაპირ. იქ უნდა შეკრებილიყო უზარმაზარი არმია, რომელიც უნდა გადასულიყო ინგლისში და დაეპყრო იგი. "მე მჭირდება მხოლოდ სამი ნისლიანი დღე — მე ვიქნები ლონდონის, პარლამენტისა და ინგლისის ბანკის ბატონ-პატრონი" — თქვა მან 1803 წლის ივლისში, ომის დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ. ბულონის ბანაკის მოწყობა ძალიან აქტიურად მიმდინარეობდა 1803 წელს. და კიდევ უფრო მეტი აქტივობით — 1804 წელს. გაცხარებული მუშაობა დაიწყო საფრანგეთის ყველა ნავსადგურში, ყველა გემსაშენში. "სამი ნისლიანი დღე" საშუალებას მისცემდა საფრანგეთის ფლოტს გასხლტომოდა ინგლისის ესკადრებს და გადაესხა ჯარი ინგლისის ნაპირებზე. მაშინ კი ნაპოლეონი გადალახავდა ყველა დაბრკოლებას, ჯარის გადასხმის ადგილიდან დაიძვროდა ლონდონისაკენ და შევიდოდა დედაქალაქში. ასე ფიქრობდა ნაპოლეონი, ასე ეგონა ბევრს თვით ინგლისშიც.

ამ ეპოქის თანამედროვე მრავალ ინგლისელს შემდგომ უთქვამს, რომ ომის პირველ თვეებში ინგლისში ცდილობდნენ სასაცილოდ აეგდოთ ბონაპარტის გეგმები დესანტის გადასხმაზე, მაგრამ 1803 წლის დასასრულიდან და განსაკუთრებით 1804 წელს ინგლისელები უკვე სიცილის გუნებაზე არ იყვნენ.

ნაპოლეონმა შემოიარა ჩრდილო-დასავლეთი საფრანგეთის სანაპირო ქალაქები და ნავსადგურები, იგი აჩქარებდა სამუშაოებს, აღფრთოვანებდა ჯარისკაცებს ბანაკებში და მუშებს ნავსაშენებზე, სავაჭრო ცენტრების მოსახლეობას უხატავდა სამარადისო, ისტორიულ მეტოქეზე მომავალი გამარჯვების თვალწარმტაც სურათებს. ინგლისის მთავრობა ღებულობ-

და საგანგაშო ცნობებს ნაპოლეონის გრანდიოზული მზადების შესახებ. საჭირო იყო გადამწყვეტი ზომების მიღება. ადამიანი, რომელმაც 1798 წელს შესძლო დიდი ესკადრითა და დიდი არმიით თავი დაეღწია ინგლისის ფლოტისაგან, რომელიც კვალდაკვალ მისდევდა მას მთელ ხმელთაშუა ზღვაზე, და უვნებლად გადასხა დესანტი ეგვიპტეში, ამასთანავე გზადაგზა მალტაც დაიპყრო, ასეთი ადამიანი მართლაც შესძლებს ისარგებლოს ნისლიანობით, რომელიც ხმელთაშუა ზღვაზე ასე იშვიათია, ლამანშზე კი ასე ხშირი; გარდა ამისა, დესანტის გადასხმისთვის აქ ხომ საჭირო არაა თვეები, არამედ საკმაოა საათები ან რამდენიმე დღეღამე.

რა უნდა ექნათ?

გამოსავალი ორი იყო. პირველი ის, რომ არ მორიდებოდნენ არავითარ ფულად ხარჯებს და სასწრაფოდ მოემზადებინათ და ფეხზე დაეყენებინათ ევროპის სახელმწიფოთა კოალიცია*, რომელიც ეკვეთებოდა ნაპოლეონს აღმოსავლეთიდან და ამით თავიდან ააშორებდა ინგლისს თავდასხმის საფრთხეს. მაგრამ ბონაპარტის მიერ დამარცხებულ და ლუნევილის ზავით ძლიერ დაზარალებულ ავსტრიას, რომელიც ჯერ კიდევ საკუთარი ხარჯებით არ გამართულიყო წელში, ომი სურდა, მხოლოდ ვერ ბედავდა. პრუსია მერყეობდა; რუსეთს საქმე საეჭვოდ მიაჩნდა. მოლაპარაკება გრძელდებოდა, პიტი კოალიციის ჩამოყალიბების იმედს არ ჰკარგავდა; ეს საშუალება თუმცა საიმედო იყო, მაგრამ ნელი, მას შესაძლოა დაგვიანებოდა.

რჩებოდა მეორე გამოსავალი. ვილიამ პიტმა და გოკსბერიმ უკვე დიდი ხანია იცოდნენ, რომ შუანებისა და ვანდეის აჯანყებულთა ფანატიკოსი ბელადი ჟორჟ კადუდალი ხშირად არის ხოლმე ლონდონში, სადაც კავშირი აქვს გაბმული კარლ არტუასთან, სამეფო ტახტის პრეტენდენტის, პროვანსის გრაფის, ლუდოვიკოს ძმასთან, და რომ საერთოდ ფრანგი ემიგრანტები რაღაცას აპირებენ.

მალე ინგლისის მთავრობისათვის საიდუმლოებას აღარ წარმოადგენდა ის, თუ სახელდობრ რას აწყობენ ლონდონში შეხიზნული როიალისტები. რაკი დარწმუნდნენ, რომ ვანდეის აჯანყება საკუთარი ძალებით დამარცხებულია და აშკარა აჯანყებით ბონაპარტის დამხობა შეუძლებელია, მათ გადაწყვიტეს მოეკლათ იგი, ე.ი. გაემეორებინათ ის, რაც შემთხვევით ვერ მოახერხეს ჯოჯოხეთის მანქანის აფეთქების დროს 1800 წელს.

მოულოდნელი პერსპექტივები გადაიშალა პიტის წინაშე. ინგლისის მთავრობა ცდილობდა დიდი სიფრთხილე გამოეჩინა ამ საქმეში. ყველაზე უმჯობესი იქნებოდა, თუ საქმე ისე მოეწყობოდა, როგორც 1801 წელს მოეწყო პავლე I-ის მიმართ, რომელიც ინდოეთში წასასვლელად ემზადებო-

და: ე.ი., შეძლებისდაგვარად, ფარულად ემოქმედა, რომ შემდეგ ფორმალური შესაძლებლობა ჰქონოდა ზრდილობიანად გამოეთქვა სათანადო სამძიმარი, რრგორც ერთ დროს მწუხარება გამოთქვა რუსეთის მეფის "აპოპლექსიის" გამო (იგი თითქოს მას ეწია თავის საწოლ ოთახში), როდესაც რუსეთის ელჩმა ვორონცოვმა ოფიციალურად აცნობა ინგლისელებს ამ სამწუხარო შემთხვევის შესახებ. მაგრამ ახლა, 1804 წელს, ახალი "აპოპლექსიის" მოწყობა ტიულრიში გაცილებით უფრო ძნელი და რთული იყო, ვიდრე მაშინ 1801 წელს პეტერბურგში, მიხეილის სასახლეში. ნაპოლეონის სამეფო კარზე არ მოიპოვებოდა არც გაგულისებული გვარდიის ოფიცრობა, არც გრაფი პალენი, არც ბენიგსენი და არც პლატონ ზუბოვი, — "აპოპლექსიის" ერთ-ერთი უშუალო ავტორთაგანი. ძალიან გაადვილეს საკითხი ემიგრანტმა როიალისტებმა, რომელთაც იკისრეს მოლაპარაკება ჟორჟ კადუდალთან და მის ამხანაგებთან.

შეთქმულების იდეა ლონდონში წარმოიშვა და იქვე მომწიფდა. ჟორჟ კადუდალს ბოლო უნდა მოეღო პირველი კონსულისათვის, ე.ი. რამდენიმე შეიარაღებული პირის თანხლებით მოულოდნელად უნდა თავს დასხმოდა ნაპოლეონს, როცა გი ცხენით გაისეირნებდა თავის საგარეუბნო სასახლის მახლობლად მალმეზონში, გაეტაცა და მოეკლა იგი.

ჟორჟ კადუდალს არაერთხელ გაუწირავს თავისი სიცოცხლე ვანდეაში, მრავალი ხიფათი გამოუვლია თავის ცხოვრებაში და ახლა უყოყმანოდ და გაბედულად მიდიოდა ნაპოლეონის მოსაკლავად, რომელიც მას მიაჩნდა წყეული რევოლუციის ძლევამოსილ განსახიერებად, ისეთ ადამიანად, რომელიც ტახტზე ასვლის საშუალებას არ აძლევს კანონიერ მეფეს ლუდოვიკ ბურბონს.

1803 წლის აგვისტოს ერთ ბნელ ღამეს ინგლისის გემმა ჟორჟ კადუდალი და მისი ამხანაგები ნორმანდიის ნაპირზე გადმოსხა. ისინი მაშინვე გაეშურნენ პარიზისაკენ. მათ ჰყავდათ თავისი ხალხი, უხვად ჰქონდათ ფული, ჰქონდათ გავლენა დედაქალაქში, საიდუმლო მისამართები და უსაშიშრო თავშესაფარი. მაგრამ საჭირო იყო იმ ადამიანთან დაკავშირება, რომელსაც უშუალოდ, პირველ ხანებში, ბონაპარტის დამხობის შემდეგ, ხელთ უნდა ეგდო ძალაუფლება და მოეწყო ბურბონების მოწვევა საგვარეულო ტახტზე. ასეთ ადამიანად როიალისტებმა დასახელეს გენერალი მორო, შუამავლად მოროსა და ჟორჟ კადუდალს შორის დადგა გენერალი პიშეგრიუ, რომელიც 18 ფრუქტიდორის შემდეგ გადასახლებული იყო გვიანაში, მოასწრო იქიდან გამოქცევა და ახლა, 1803 წელს, არალეგალურად ცხოვრობდა პარიზში. პიშეგრიუ, მხილებული მოღალატე, გადასახლები-

დან გამოქცეული, არაფერს ჰკარგავდა, მაგრამ გენერალი მორო სულ სხვა ტიპისა და მდგომარეობის ადამიანი იყო. მორო იყო საფრანგეთის არმიის ერთ-ერთი უნიჭიერესი გენერალი, პატივმოყვარე, მაგრამ გაუბედავი. მას უკვე დიდი ხანია სძულდა ნაპოლეონი, სახელდობრ 18 ბრიუმერისათვის, ბონაპარტის გაბედულობისათვის, რაც აკლდა მოროს. მას შემდეგ იგი ჩუმ ოპოზიციაში იყო. ზოგიერთ იაკობინელს იგი მართლმორწმუნე რესპუბლიკელად მიაჩნდა; როიალისტები, რომელთაც იგი პირადად იცნობდა, დარწმუნებულნი იყვნენ — პირველი კონსულისადმი სიძულვილის გამო ის თანახმა იქნება დაგვეხმაროსო. გაურკვეველი იყო მოროს პოზიცია, როცა პიშეგრიუმ აცნობა შეთქმულების შესახებ.

მოროს უსაზღვროდ სძულდა ნაპოლეონი, მაგრამ არაკეთილი საფუძველი არ არსებობდა ეფიქრათ, თითქოს მას ნდომებოდა ბურბონების ტახტზე აყვანა. ასე იყო თუ ისე, უკვე ის გარემოება, რომ მან იცოდა შეთქმულების შესახებ და ეს არ გაამხილა, სახელს უტეხდა მოროს. პიშეგრიუ, რომელიც მუდამ დაკავშირებული იყო ინგლისის მთავრობის აგენტებთან, არწმუნებდა ინგლისელებსაც და როიალისტებსაც, მორო თანახმაა დაგეხმაროთო. მაგრამ მორომ უარი თქვა კადუდალთან მოლაპარაკებაზე, ხოლო თვით პიშეგრიუს კი გარკვეულად განუცხადა — თანახმა ვარ ვიმოქმედო ნაპოლეონის წინააღმდეგ, მაგრამ არ მსურს ბურბონებს ვეშახუროო. ვიდრე ეს მოლაპარაკება და თათბირები იმართებოდა, ნაპოლეონის პოლიციამ კვალს მიაგნო და ატყობინებდა პირველ კონსულს ყველაფერს, რის აღმოჩენასაც კი ასწრებდა.

1804 წლის 15 თებერვალს გენერალი მორო თავის ბინაზე დააპატიმრეს, ხოლო რვა დღის შემდეგ ღამით პოლიციამ დააპატიმრა პიშეგრიუც, რომელიც სამასი ათასი ფრანკის გულისთვის ჩაუგდო ხელში პოლიციას მისმა საუკეთესო მეგობარმა, კონსპირაციული ბინის პატრონმა. დაკითხვა ზედიზედ წარმოებდა, მაგრამ პიშეგრიუ არავითარ ცნობას ვერ იძლეოდა. მოროსთან მიდიოდნენ ბონაპარტის სახელით, ჰპირდებოდნენ პატიებას და თავისუფლებას, თუ კი აღიარებდა, რომ მან ინახულა კადუდალი; მორომ უარი თქვა. დაპატიმრებიდან ორმოცი დღის შემდეგ პიშეგრიუ საკუთარი ყელსახვევით დამხრჩვალი ნახეს თავის საკანში. მას შემდეგ არ შეწყვეტილა ხმები, რომ ეს იყო არა თვითმკვლელობა, არამედ მკვლელობა, რომელიც უმაღლესი ხელისუფლების ბრძანებით მოხდა. ნაპოლეონი შემდეგ ზიზღით აბათილებდა ამ ხმებს და ამბობდა: "მე მომეპოვებოდა სასამართლო, რომელიც გაასამართლებდა პიშეგრიუს და მყავდა ჯარისკაცთა ოცეული, რომელიც დახვრეტდა მას. მე არასოდეს არ ვაკეთებ

უსარგებლო საქმეს". მაგრამ ეს ხმები ნიადაგს პოულობდნენ განსაკუთრებით იმის გამო, რომ პიშეგრიუს საიდუმლო სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე მოხდა სრულიად მოულოდნელი ამბავი, რომელმაც თავზარი დასცა საფრანგეთისა და მთელი ევროპის უმაღლეს წრეებს: ბურბონთა დინასტიის ერთ-ერთი წევრის, ენგიენის ჰერცოგის, დახვრეტა.

მოროსა დაპიშეგრიუს დაპატიმრებასა და შეთქმულებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ სხვა დაპატიმრებათა შემდეგ ნაპოლეონი თითქმის მუდამ განრისხებული იყო. ინგლისელების მონაწილეობა ამ საქმეში მისთვის ნათელი იყო; არანაკლებ ცხადი იყო ბურბონების ხელმძღვანელი როლიც. მან უკვე იცოდა, რომ ჯერ კიდევ 1803 წლის ზაფხულის ბოლოს ჟორჟ კადუდალი ინგლისელებმა საფრანგეთში ჩამოიყვანეს, რომ ის ჩამოფიდა ინგლისელების ფულით და კარლ არტუას ინსტრუქციებით, რომ ის პარიზშია და ყოველდღე შეუძლია პირადად ან თავის ამხანაგებთან ერთად თავდასხმა მოაწყოს მასზე. განრისხების დროს ნაპოლეონმა ერთხელ თქვა: ბურბონები ამაოდ ფიქრობენ, თითქოს მე პირადად არ შემეძლოს სამაგიეროს გადახდა ჩემი მოკვლის ცდისათვის?

აქ გაჩნდა ტალეირანი, რომელმაც დამსახურებისათვის და იმ მიზნით, რომ თავის დაზღვევით პირადი შური ეძია მისი მოძულე როიალისტებზე, თქვა: "ბურბონები, ალბათ, ფიქრობენ, რომ თქვენი სისხლი ისე ძვირფასი არ არის, როგორც მათი საკუთარი". ამ სიტყვებმა მთლად გააცეცხლა ნაპოლეონი. სწორედ აქ იყო პირველად ნახსენები ენგიენის ჰერცოგის სახელი და ისეთ მომენტში, როცა ნაპოლეონი გააფთრებული იყო. მან სასწრაფოდ მოიწვია რამდენიმე კაცის თათბირი და ამ თათბირმა (რომელსაც დაესწრნენ ფუშე და ტალეირანი) გადაწყვიტა ენგიენის ჰერცოგის დაპატიმრება. აქ იყო ორი დაბრკოლება: ჯერ ერთი, ჰერცოგი ცხოვრობდა ბადენში და არა საფრანგეთში; მეორე — მას სრულიად არავითარი კავშირი არ ჰქონდა აღმოჩენილ შეთქმულებასთან. პირველ დაბრკოლებას ნაპოლეონისათვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონია: უკვე მაშინ დასავლეთ და სამხრეთ გერმანიაში იგი ისე მბრძანებლობდა, როგორც საკუთარ სახლში. მეორე დაბრკოლებაც უმნიშვნელო იყო, ვინაიდან მან უკვე წინასწარ გადაწყვიტა ჰერცოგი გადაეცა სამხედრო სასამართლოსთვის, რომელიც მაინცდამაინც არ გამოეკიდებოდა დამამტკიცებელი საბუთების ძიებას. ბრძანება დაუყოვნებლივ გაიგზავნა.

ენგიენის ჰერცოგი ცხოვრობდა ქალაქ ეტენჰეიმში, ბადენში, და წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, თუ რა საშინელი საფრთხე მოელოდა.

1804 წლის 14 მარტს საფრანგეთის ცხენოსანი ჟანდარმერიის რაზმი შეიჭრა ბადენის ტერიტორიაზე, შევიდა ქალაქ ეტენჰეიმში, გარს შემო-

ერტყა სახლს, დააპატიმრა ენგიენის ჰერცოგი და დაუყოვნებლივ წაიყვანა იგი საფრანგეთში.

როგორც ჩანს, ბადენის მინისტრები კმაყოფილი იყვნენ უკვე იმითაც, რომ ისინიც არ წაიყვანეს ჰერცოგთან ერთად და ბადენის არც ერთ ხელისუფალს კრინტიც არ დაუძრავს, ვიდრე ეს ოპერაცია გრძელდებოდა. 20 მარტს ჰერცოგი პარიზში ჩაყვანეს და ვენსენის კოშკში ჩასვეს. ამავე 20 მარტს, საღამოს, ვენსენის კოშკში შეიკრიბა სამხედრო სასამართლო. შუაღამისას ჰერცოგს დაკითხეს, ხოლო პირველ საათზე დაიწყო სასამართლო. ენგიენის ჰერცოგს ბრალს დებდნენ იმაში, რომ ის ფულს ღებულობდა ინგლისიდან და იბრძოდა საფრანგეთის წინააღმდეგ. ღამის 2 საათსა და 45 წუთზე მას სიკვდილი მიუსაჯეს. მან დაწერა წერილი ნაპოლეონის სახელზე და ითხოვა დანშნულებისამებრ გადაეცათ ეს წერილი. სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარეს იულენს (ბასტილიის აღების ერთ-ერთ გმირს) სასამართლოს სახელით უნდოდა ეთხოვა ნაპოლეონისათვის განაჩენის შემსუბუქება, მაგრამ გენერალმა სავარიმ, რომელიც სპეციალურად იყო გამოგზავნილი ტიულრის სასახლიდან, რომ თვალყური ედევნებინა პროცესისათვის, ხელიდან გამოსტაცა იულენს კალამი და უთხრა: "თქვენ უკვე მორჩით თქვენს საქმეს, დანარჩენი უკვე ჩემი საქმეა". ღამის სამ საათზე ენგიენის ჰერცოგი გაიყვანეს ვენსენის თხრილში და იქ დახვრიტეს.

როდესაც ნაპოლეონმა წაიკითხა ენგიენის ჰერცოგის უკანასკნელი წერილი, რომელიც მან სიკვდილის წინ დაწერა, მან თქვა: დამნაშავეს უთუოდ შევიწყალებდი, ეს წერილი რომ უფრო ადრე წამეკითხაო. უფრო გვიან კი ამტკიცებდა — საკუთარ სწორად მოვიქეცი, რომ ჰერცოგი სიკვდილით დავსაჯე, ეინაიდან ამას მოითხოვდა სახელმწიფოს ინტერესები და საჭირო იყო ბურბონების დაშინებაო. ნაპოლეონს სძაგდა ხმამაღალი შენანიება და პასუხისმგებლობის სხვებზე დაკისრება.

ჰერცოგის სიკვდილით დასჯამდე რამდენიმე დღით ადრე მოხდა დიდი ხნის ნანატრი და პოლიციის მიერ ოსტატურად მომზადებული ამბავი: როგორც იქნა დააპატიმრეს შუანების ბელადი. ის იცნო სამძებრო პოლიციის ერთმა აგენტმა, როდესაც კადუდალმა კარეტით ჩაიარა მოედანზე (ის კი იძულებული იყო მუდამ ქუჩაში ევლო, ეინაიდან თაეშესაფარი არ ჰქონდა და ეძებდა მას: გამოცხადებული იყო, რომ ჟორჟ კადუდალის დამფარველები, ისე როგორც ყველა, ვინც მისი მისამართი იცოდა, სიკვდილით დაისჯებოდნენ). სამძებრო პოლიციის აგენტი შეეცადა გაეჩერებინა ეტლი, — კადუდალმა ესროლა და მოკლა იგი. რამდენიმე პოლიციელი მივარდა მასთან, მაგრამ ბრძოლა ძალიან დიდხანს გაგრძელდა. კადუდალი გააფ-

თრებით იცავდა თავს: ბევრი მათგანი მძიმედ დაასახიჩრა მისმა მუშტმა. დაბოლოს იგი შებოჭეს. როდესაც რამდენიმე კვირის შემდეგ ჟორჟ კადუდალი და ყველა მისი ამხანაგი გილიოტინაზე აიყვანეს, საფრანგეთსა და ევროპაში თითქმის ყველას სჯეროდა, რომ როიალისტებს დიდი ხნით მოეღოთ ბოლო. ნაპოლეონმა მოროს სასჯელი შეუმსუბუქა: მან მხოლოდ ბრძანა საფრანგეთიდან გაეძევებინათ იგი.

როდესაც სიკვდილით დასჯა დასრულდა, პარიზში და შემდეგ პროვინციაში გავრცელდა ხმები, რომ კადუდალს და მის ამხანაგებს განზრახვა ჰქონდათ სწორედ ენგიენის ჰერცოგი მოეწვიათ ტახტზე მას შემდეგ, როდესაც ბოლოს მოუღებდნენ პირველ კონსულსო. ეს არ იყო მართალი, მაგრამ ამ ხმებმა დიდი სამსახური გაუწია ბონაპარტს. ის დაწესებულებანი, რომლებიც ხალხის წარმომადგენლობას გამოხატავდნენ და პირველი კონსულის ნებასურვილის ამსრულებელი პირებით იყვნენ ავსებული, — ტრიბუნატი, საკანონდებლო კორპუსი, სენატი — პირდაპირ, მოურიდებლად ალაპარაკდნენ იმის შესახებ, რომ საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ მოისპოს ისეთი მდგომარეობა, როცა ერთი ადამიანის სიცოცხლეზეა დამოკიდებული მთელი ხალხის მშვიდობიანობა და კეთილდღეობა, როდესაც საფრანგეთის ყველა მტერს შეუძლია იმედი დაამყაროს თავდასხმაზე. დასკვნა ნათელი იყო: სამისდღეშიო კონსულობა შემკვიდრეობით მონარქიად უნდა გადაქცეულიყო.

მაგრამ ბონაპარტების ამ ახალ დინასტიას, წინა დინასტიებისაგან განსხვავებით, მეფის ტიტული არ უნდა ეტარებინა. ახალმა მბრძანებელმა მოისურვა ჰქონოდა იმპერატორის ტიტული, რომელიც 800 წელს პირველად მიიღო კარლოს დიდმა, მისი მეფედ კურთხევის შემდეგ.

ახლა, ათასი წლის შემდეგ, 1804 წელს, ნაპოლეონი საქვეყნოდ აცხადებდა, რომ კარლოს დიდის მსგავსად ის იქნებოდა დასავლეთის იმპერატორი და რომ ის მიიღებდა არა საფრანგეთის წინანდელი მეფეების მემკვიდრეობას, არამედ იმპერატორ კარლოს დიდის მემკვიდრეობას.

მაგრამ თვით კარლოს დიდის იმპერიაც ხომ სხვა, გაცილებით უფრო დიდი იმპერიის — რომის იმპერიის — აღდგენისა და გაგრძელების ცდას წარმოადგენდა. ნაპოლეონს სურდა გამხდარიყო რომის იმპერიის მემკვიდრედაც, დასავლეთის ცივილიზაციის ქვეყნების გამაერთიანებლადაც. შემდგომ მან მოახერხა თავის პირდაპირ თუ არა პირდაპირ ვასალურ დამოკიდებულებაში მოექცია უამრავი ტერიტორია, რომელიც სჭარბობდა კარლოს დიდის მფლობელობაში მყოფი ტერიტორიის სივრცეს. 1812 წელს რუსეთზე გალაშქრების წინ ნაპოლეონის უზარმაზარი სახელმწიფო, თუ

მხოლოდ ევროპაზე ვილაპარაკებთ და მხედველობაში არ მივიღებთ რომის სამფლობელოებს ჩრდილოეთ აფრიკასა და მცირე აზიაში, თავის დიდით რომის იმპერიას აღემატებოდა და მასზე გაცილებით უფრო მდიდარი და დასახლებული იყო. მაგრამ პირველ ხანებში, როდესაც ევროპამ გაიგო ნაპოლეონის გეგმა კარლოს დიდის იმპერიის აღდგენის შესახებ — ეს ბევრმა გათავხედებული დამპყრობლის სულელურ მედიდურობად და მთელი განათლებულთა ქვეყნების უტიფარ გამოწვევად ჩათვალა.

ყველა სახელმწიფოს ელჩები დაძაბულად ადევნებდნენ თვალყურს ამ უეცარ, მკვეთრსა და დაჩქარებულ მოძრაობას მონარქიისაკენ, რაც ასე შესამჩნევი გახდა საფრანგეთში ჟორჟ კადუდალის შეთქმულების აღმოჩენასა და ენგიენის ჰერცოგის სიკვდილით დასჯის შემდეგ. უნდა ითქვას, რომ თუ ჰერცოგის სიკვდილით დასჯამ, საერთოდ, ნაპოლეონს ზიანი მიაყენა, ერთი მხრივ, ამ დასჯამ კარგი სამსახურიც გაუწია მას: ამ ამბავმა რამდენადმე შეამსუბუქა იაკობინელების უნდობლობა და მტრული განწყობილება ნაპოლეონისადმი. ენგიენის ჰერცოგის სისხლით ნაპოლეონი თითქოს ერთხელ და სამუდამოდ გაემიჯნა ძველ რეჟიმსა და ძველ არისტოკრატიას. ყველანი ასე როდი ფიქრობდნენ, მაგრამ ენგიენის ჰერცოგის სიკვდილით დასჯის ასეთი განმარტება მაინც ფართოდ იყო გავრცელებული. ჟორჟ კადუდალის შეთქმულების ნამდვილმა რეალისტურმა ხასათმა განცვიფრება გამოიწვია. ამ საქმის გამოძიებისა და პროცესის მასალების გამოქვეყნების მიხედვით, ბურჟუაზიის წრეში, იმ ხალხში, რომელმაც ერთ დროს ეკლესიისა და ემიგრანტებისაგან ჩამორთმეული მიწები შეისყიდა, სულ უფროდაუფრო მტკიცდებოდა მისწრაფება გაემაგრებინათ ახალი, რევოლუციისა და ნაპოლეონის მიერ შექმნილი წესწყობილება და დაეცვათ იგი ძველი რეჟიმის მიმდევართა ყოველგვარი ხელყოფისაგან.

1804 წლის 18 აპრილს სენატმა გამოიტანა დადგენილება, რომელიც პირველ კონსულს ნაპოლეონ ბონაპარტს ფრანგების მემკვიდრეობითი იმპერატორის ტიტულს ანიჭებდა. საყოველთაო სახალხო კენჭისყრის ფორმალობა კიდევ უფრო ადვილად ჩატარდა, ვიდრე 1799 წელს, ბრიუმერის შემდეგ.

შეშფოთება მაინც მეტად ძლიერი იყო, თუმცა უკვე 1802 წელს ყველა ელოდა ამ ამბავს. რასაკვირველია, ჭეშმარიტი რესპუბლიკელები ვერ შეურიგდებოდნენ ახალ მდგომარეობას. ბევრმა გაიხსენა რევოლუციის დღეები, თავისუფლებაზე და თანასწორობაზე ოცნების დღეები და ცხარე წყევლა-კრულვა გვირგვინოსანი დესპოტების მიმართ. ზოგიერთი ფიქრობდა,

რომ ნაპოლეონმა შეასუსტა თავისი ვეებერთელა დიდება როდესაც თავის მთელ ქვეყანაზე მქუხარე სახელს კიდევ რაღაც ტიტული მიუმატა. "კაცი ბონაპარტი იყოს და ამის შემდეგ იმპერატორი გახდეს! რა დაქვეითებაა!" — წამოიძახა შემდგომ ცნობილმა ფრანგმა ჟურნალისტმა პოლ-ლუი კურიემ.

როდესაც წარჩინებულების, გენერლების და მდიდრულად მორთული სეფექალების ბრბო ტუილრის სასახლის დარბაზებში პირველად მიესალმა ახალ იმპერატორს, რომელსაც ამ მოკაზმულ ბრწყინვალე საზოგადოებაში მხოლოდ ერთს ეცვა გვარდიის ეგერის უბრალო ლურჯი მუნდირი და დეზებიანი ჩექმები, მაშინ მხოლოდ რამდენიმე პირისთვის აშკარა იყო ის საიდუმლოება, რომ ახალ მბრძანებელს დამთავრებულად არ მიაჩნდა თავისი გამეფების ცერემონია და რომ მან ტყუილ-უბრალოდ როდი გაიხსენა კარლოს დიდი.

ნაპოლეონმა მოისურვა, რომ რომის პაპს პირადად მიეღო მონაწილეობა მის დაგვირგვინებაში, როგორც ეს მოხდა ათასი წლის წინათ, 800 წელს, კარლოს დიდის მეფედ კურთხევის დროს. მაგრამ ამასთანავე ნაპოლეონმა გადაწყვიტა აქ ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი შესწორება შეეტანა: კარლოს დიდი თავისი კურთხევის დროს თვითონ ეახლა პაპს რომში, ხოლო ნაპოლეონმა მოისურვა, რომ რომის პაპი მასთან ჩასულიყო პარიზში.

იმპერატორ ნაპოლეონის ამ სურვილმა რომის პაპის შიში და აღშფოთება გამოიწვია. დაახლოებული პირები ისტორიული მაგალითებით ანუგეშებდნენ მას. სხვა მრავალთა შორის გაიხსენეს პაპი წმ. ლეო, რომელიც ერთხელ, — ეს იყო V საუკუნის შუა წლებში, — როდესაც მას ძლიერ გაუჭირდა, თავის სურვილის წინააღმდეგ ჰუნების ბელადს ატილასაც კი ეახლა*, ატილა კი ყოველ შემთხვევაში თავის აღზრდით, ზრდილობით და დარბაისლობით მაინცდამაინც ვერ აჯობებდა ფრანგების ახალ იმპერატორს.

ესეც კი, რომ უარის თქმაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა; რომს ემუქრებოდნენ ჩრდილოეთ და შუა იტალიაში მდგომი ჯარები ნაპოლეონისა. ხანმოკლე დაფიქრების შემდეგ პაპმა გადაწყვიტა შეესრულებინა ნაპოლეონის მოთხოვნა, მაგრამ სამაგიეროდ შევაჭრებოდა და გამოეთხოვა თავისთვის რამდენიმე ნაკვეთი ნაპოლეონის მიერ ერთ დროს წართმეულ პაპის სამფლობელოებიდან იტალიაში, საეკლესიო ოლქის ჩრდილოეთით. მაგრამ პაპს პიუს-VII, კარდინალ კონსალვის და კარდინალთა მთელ კრებულს არ ძალუძდათ ისეთი პირველხარისხოვანი დიპლომატის მოტყუე-

ბა, როგორიც ყოველთვის იყო ნაპოლეონი. პაპი ბევრს ცბიერობდა. მწარედ ჩიოდა, კვლავ ცბიერობდა და კვლავ ჩიოდა, მაგრამ ვერაფერი ვერ დაათმობინა და გაემგზავრა პარიზს იმ იმედით (ამ იმედს მას სიამოვნებით უღვივებდა ნაპოლეონი), რომ როდესაც პარიზში ჩავიდოდა, იქ მას იქნებ კიდეც მიეღო რაიმე. ის ჩავიდა პარიზში და სრულებით ვერაფერი ვერ მიიღო.

საინტერესოა ნაპოლეონის ორჭოფი ქცევა მეფედ კურთხევამდე და მის შემდეგ. პაპი საჭირო იყო მისთვის, ვინაიდან მრავალ ასეულ მილიონ ადამიანს დედამიწაზე და კერძოდ მორწმუნე ფრანგების უმრავლესობას პაპი სწამდათ. მაშასადამე, პაპი უნდა ყოფილიყო მეფედ კურთხევის ცერემონიალის აუცილებელი დეტალი, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე კარლოს დიდის უფლებების პრეტენზიების აღდგენას ეხებოდა. მაგრამ, მეორე მხრით, ნაპოლეონს პიუს VII მიაჩნდა მოგვად და ბოროტ სულად და ამასთანავე ისეთად, რომელიც შეგნებულად ეწევა ადამიანის სიბრიყვის ექსპლუატაციას და სხვაგვარი თილისმით მოქმედებს ეკლესიაში თუ ეკლესიის გარეთ. გამოიწერა თუ არა პაპი, კარდინალებს დაპირდა მის შესახვედრად წამოვალო, და წავიდა კიდეც, მაგრამ მონადირის ტანსაცმლით, გარემოცული მონადირეებით, მეძაღლეებით და ძაღლებით და შეხვდა პიუს VII ფონტენებლოს ტყეში, პარიზის მახლობლად, თავის საგარეუბნო სასახლესთან, სადაც იგი მაშინ ცხოვრობდა. პაპის კორტეჟი შეჩერდა და პაპს სთხოვეს გამოსულიყო კარეტიდან, გადასულიყო ქუჩის მეორე მხარეზე და გადამჯდარიყო იმპერატორის ეტლში. ხოლო იმპერატორი ადგილიდანაც არ დაძრულა. ასევე ეპყრობოდა იგი პაპს პარიზში მისი ყოფნის მთელი ხნის განმავლობაში.

1804 წლის 2 დეკემბერს ნოტრ-დამის ტაძარში მოხდა ნაპოლეონის საზეიმო დაგვირგვინება და მირონცხება. როცა დაუსრულებელი მწკრივი მოვარაყებული კარეტებისა, მთელი სამეფო კარით, გენერალიტეტით, წარჩინებულებით, პაპითა და კარდინალებით სასახლიდან ნოტრ-დამის ტაძრისაკენ გაემართა, აურაცხელი ხალხი თვალყურს ადევნებდა ამ ბრწყინვალე კორტეჟს. სხვათა შორის, ამ დღეს აქა-იქ იმეორებდნენ იმ ფრაზას, რომელსაც ისტორიული ლეგენდა სხვადასხვა პირს მიაწერს და რომელიც თითქოს ერთმა ძველმა რესპუბლიკელმა საამხედრო პირმა თქვა პასუხად ნაპოლეონის შეკითხვისა, თუ როგორ მოსწონს მას ეს ზეიმი: "ძალიან კარგია, თქვენო უდიდებულესობავ! სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ დღეს ამ ზეიმს აკლია სამასი ათასი კაცი, რომელთაც თავი დასდეს იმისათვის, რომ შეუძლებელი ყოფილიყო ასეთი ცერემონიები". როდესაც ხ-

ზეიმო მომენტში პიუს VII ასწია დიდი საიმპერატორო გვირგვინი, რათა იმპერატორის თავზე დაედგა იგი, ისე როგორც ათი საუკუნის წინაც წმ. პეტრეს ტახტზე პიუს VII წინამორბედმა დაადგა ეს გვირგვინი კარლოს დიდს, ნაპოლეონმა უეცრად ხელიდან გამოსტაცა მას ეს გვირგვინი და თვითონ დაიდგა თავზე; ამის შემდეგ დედოფალმა ჟოზეფინამ დაიჩოქა იმპერატორის წინაშე და ნაპოლეონმა თავზე დაადგა მას უფრო მცირე ზომის გვირგვინი.

ამ ჟესტს განსაკუთრებული აზრი ჰქონდა. ნაპოლეონს არ სურდა, რომ პაპის "დალოცვას" გადამწყვეტი მნიშვნელობა მისცემოდა ამ ზეიმში. საფრანგეთის რევოლუციის მიერ წარმოშობილმა ძლევამოსილმა ჯარისკაცმა არ ისურვა, თუ არა საკუთარი ხელით, სხვა ვინმესაგან მიეღო გვირგვინი, და ყველაზე ნაკლებ იმ საეკლესიო ორგანიზაციის მეთაურისაგან, რომლის გავლენისათვის მას, თავის სურვილის წინააღმდეგ, ანგარიში უნდა გაეწია, მაგრამ რომელიც არ უყვარდა, რომელსაც პატივს არ სცემდა და ახლაც "ხუცობას" უწოდებდა ისე, როგორც თავის წინანდელ მოხსენებებში დირექტორიისადმი.

რამდენიმე დღე გაგრძელდა ზეიმი სასახლეში, დედაქალაქში, პროვინციაში, იყო დაუსრულებელი ილუმინაცია, გუგუნებდა ზარები, არ შეწყვეტილა მუსიკა. მის კაბინეტში კი, სადაც ერთი-მეორეს ცვლიდნენ მომხსენებლები, მინისტრები, ელჩები, გენერლები, მდივნები, გადამწერნი, — მხოლოდ ახალ იმპერატორს არ ჰქონდა შენაცვლება, იგი არავის არ ენდობოდა, ყველას კონტროლს უწევდა, ყოველდღე უკარნახებდა ორმოცდაათ და უფრო მეტ ბრძანებას, წერილს, განკარგულებას, შეკითხვას, დადგენილებას და დეკრეტს, ბოლთას სცემდა ოთახში და იშვიათად თუ მიუჯდებოდა მაგიდას.

ამ დაუსრულებელი ზეიმის დღეებში ნაპოლეონმა ყველაზე უფრო კარგად იცოდა, თუ რა ახალი საშიშროება მოელოდა იმპერიას. ჯერ კიდევ მეფედ კურთხევამდე მან მიიღო მთელი რიგი ცნობები, რომლებიც ეჭვს არ იწვევდნენ მასში, რომ უილიამ პიტი, კადუდალის შეთქმულების ჩაშლის შემდეგ გაორკეცებული ენერგიით შეუდგა ახალი, რევოლუციური ომების შემდეგ უკვე მესამე კოალიციის შექმნას საფრანგეთის წინააღმდეგ და რომ ეს კოალიცია ფაქტიურად უკვე არსებობდა.



მესამე კოალიციის განადგურება

(1805-1806)

ევროპის სახელმწიფოთა პირველი გრანდიოზული კავშირი, რომელიც შედგა საფრანგეთის წინააღმდეგ და რომელმაც ჯერ კიდევ ნაპოლეონამდე, სახელდობრ, 1792 წელს დაიწყო მის წინააღმდეგ ომი, დამარცხდა და საბოლოოდ დაშალა 1797 წ., როდესაც ავსტრიის რწმუნებულებმა კამპოფორმიოში ხელი მოაწერეს ზავს გენერალ ბონაპარტთან. მეორე კოალიცია, რომელიც ნაპოლეონის ეგვიპტეში ყოფნის დროს ეომებოდა საფრანგეთს, დაამარცხა ეგვიპტედან დაბრუნებულმა ბონაპარტმა და დაშალა იმის შემდეგ, რაც მას ჩამოშორდა პავლე I, ხოლო ავსტრია იძულებული გახდა ხელი მოწერა ლუნევილის ზავზე 1801 წელს. ახლა, 1805 წელს, ნაპოლეონის წინაშე მესამედ იდგა თავით-ფეხამდე შეიარაღებული ევროპის პირველხარისხოვანი სახელმწიფოთა კავშირი. მოახლოვებული იყო ძალთა ახალი გრანდიოზული გამოცდა.

უილიამ პიტი ყორე კადუდალის შეთქმულების აღმოჩენისას და ნაპოლეონის მოკვლის იმედის გაცრუების შემდეგ, ახალი კოალიციის მზადებას შეუდგა; იგი ამ საქმისათვის არ იშურებდა ათეულ მილიონ ოქროს სტერლინგებს. გულზვიად ინგლისში ნამდვილი პანიკა იწყებოდა. ნაპოლეონის მიერ მომზადებული ბულონის ბანაკი 1804 წლის დასასრულს და 1805 წლის პირველ ნახევარში მრისხანე სამხედრო ძალად იქცა. ბულონში იდგა პირველხარისხოვანი, დიდძალი, ჩინებულად აღკაზმული არმია, რომელიც მხოლოდ ნისლს ელოდა ლამანშზე და ნიშანს გემებში ჩასასხდომად. ინგლისში ცდილობდნენ მოეწყოთ სახალხო ლაშქრის მაგვარი რამ, და შეძლებული კლასების გაზეთებში (სხვა გაზეთები მაშინ ინგლისში არ იყო) გულაჩუყებით წერდნენ ვიღაც ცალფეხა გორზავალთან ჯელტმენზე, რომელიც მოკოჭლობდა ბონაპარტისა და მისი ურდოებისაგან სამშობლოს დასაცავად; მოპყავდათ კიდევ პატრიოტული აღფრთოვანების სხვა მსგავსი მაგალითებიც. მაგრამ ამასთანავე ისინი დუმდნენ იმის შესახებ, რომ მუშათა კლასის ერთ ნაწილს სურდა ინგლისი დამარცხებულიყო, ვინაიდან მძაფრი ექსპლუატაციის, სიღარიბისა და ქრონიკული შიმშილის გამო მუშათა კლასი სასტიკად გაბოროტებული იყო ამ წლებში. "როგორიც უნდა იყოს ბონაპარტი, ჩვენ უარესი არ მოგველის, დე მოვიდეს", — ეს ფრაზა, რომელიც ხშირად გაისმოდა იმ დროს მუშათა რაიონებში, მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ გახდა ცნობილი პოლიტიკური ახალი ამბების მკითხველებისათვის, მაგრამ ინგლისის მთავრობამ რასაკვირველია, ეს მაშინაც ძალიან კარგად იცოდა. ამრიგად, ინგლისი იძულებული იყო მთელი თავისი იმედი კოალიციაზე დაემყარებინა.

ავსტრია თანაგრძნობით შეხვდა ახალი ომის იდეას. მისი ზარალი ლუნევილის ზავის შედეგად იმდენად დიდი იყო და, რაც მთავარია, ამ ზავის შემდეგ ბონაპარტი ისე თვითნებურად განაგებდა დასავლეთისა და სამხრეთის მცირე გერმანულ სახელმწიფოებს, რომ ახალი ომი ავსტრიის იმპერიისათვის წარმოადგენდა ერთადერთ იმედს, რათა თავიდან აეცილებინა მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ გადაქცევა, აქ კი მას შემთხვევა ეძლეოდა ინგლისის ფულით ეწარმოებინა ეს ომი. ავსტრიასთან საიდუმლო მოლაპარაკებასთან ერთად, თითქმის ერთდროულად, უილიამ პიტმა ასეთივე მოლაპარაკება დაიწყო რუსეთთან.

რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პავლეს-ძემ ტახტზე ასვლისთანავე შეწყვიტა ყოველგვარი სჯა-ბაასი ნაპოლეონთან კავშირზე, რაც მისმა მამამ წამოიწყო. ყველაზე მეტად მან იცოდა, რომ ინგლისელები შორეულ, მაგრამ უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ იმ "აპოკლექსიის" მოწყობაში, რომელიც თავს დაატყდა მის მამას, მით; უფრო, რომ ამ საქმის მომზადებაში თვით იგი ძნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

ამასთანავე ახალგაზრდა მეფემ კარგად იცოდა, თუ რამდენად დაინტერესებული იყო რუსეთის თავად-აზნაურობა ინგლისთან მეგობრობით, სადაც იგი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულსა და პურს ასაღებდა; მეფე ხედავდა აგრეთვე, თუ რამდენად საშინელი იყო რუსეთის თავად-აზნაურობისათვის ნაპოლეონი, რომელიც აუქმებდა ბატონყმობას და სპობდა წოდებრივ უპირატესობას ყველგან, სადაც კი შეაღწევდა მისი არმია და მისი გავლენა: იცოდა, რომ სწორედ ამ ყველაზე მეტად მწვავე საკითხში ის იყო რევოლუციის პირდაპირი მემკვიდრე, "რობესპიერი ცხენზე", როგორც მას პირველად უწოდეს მაშინ. ყოველივე ამას ემატებოდა კიდევ ერთი ფრიად საფუძვლიანი მოსაზრება. უკვე 1804 წლის გაზაფხულზე მოსალოდნელი იყო, რომ ახალ კოალიციაში მონაწილეობას მიიღებდა ინგლისი, ავსტრია, ნეაპოლის სამეფო (ასე ფიქრობდნენ მაშინ) და პრუსია, რომელიც აგრეთვე ძლიერ შეწუხებული იყო ნაპოლეონის მოქმედებით რაინზე. განა ცხადი არ იყო, რომ ფრანგი დიქტატორის წინააღმდეგ რუსეთის გალაშქრების უკეთესი შემთხვევის ლოდინი შეუძლებელი იყო? მაშინ ნაპოლეონს არ ეყოფოდა ძალა და სახსრები ამ აურაცხელი მტრის დასაძლევად.

როდესაც ენგიენის ჰერცოგი დახვრიტეს, მთელს მონარქიულ ევროპაში, რომელიც ისედაც ემზადებოდა გამოსვლისათვის, მძაფრი და ნაყოფიერი აგიტაცია დაიწყო "კორსიკელ ვეშაპის" წინააღმდეგ, რომელმაც ბურბონელთა გვარეულობის სისხლი დაღვარა. გადაწყდა საკვებით გამო-

ეყენებინათ ეს ხელსაყრელი ინციდენტი. თავდაპირველად ყველანი თავისთან იწვევდნენ ბადენის დიდ ჰერცოგს და ურჩევდნენ მას პროტესტი განეცხადებინა ენგიენის ჰერცოგის დაპატიმრების დროს ბადენის ტერიტორიის ხელშეუხებლობის აღმაშფოთებელი დარღვევის წინააღმდეგ. მაგრამ საშინლად დამფრთხალი დიდი ჰერცოგი ბადენისა მორჩილად იყო და არ დაუყოვნებია სხვების საშუალებით გაეგო ნაპოლეონისაგან, საკუთარი კმაყოფილი იყო თუ არა იგი ბადენის ხელისუფალთა ყოფაქცევით და წესიერად ასრულებდა თუ არა ისინი ფრანგი ელჩების მოთხოვნებს. სხვა მონარქებიც კმაყოფილდებოდნენ აგრეთვე ჩუმი გულისწყრომით ვიწრო ოჯახურ წრეში. საერთოდ ამ შემთხვევაში მათი გამოსვლების მამაცობა აუცილებლად პირდაპირ პროპორციული უნდა ყოფილიყო იმ მანძილისა, რომელიც მათი სახელმწიფოების საზღვრებს ნაპოლეონისაგან აშორებდა. აი, ამიტომ უდიდესი გაბედულობა სწორედ რუსეთის იმპერატორს უნდა გამოეჩინა. ალექსანდრემ საგანგებო ნოტით ფორმალურად პროტესტი განაცხადა საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით ბადენის ტერიტორიის ხელუხლებლობის დარღვევის წინააღმდეგ.

ნაპოლეონმა უბრძანა თავის საგარეო საქმეთა მინისტრს, გაეგზავნა ის შესანიშნავი პასუხი, რომელიც არასოდეს არ დაუვიწყნია და არ უპატიებია ალექსანდრეს, ვინაიდან ამაზე უფრო სასტიკი შეურაცხყოფა არავის არასოდეს არ მიუყენებია მისთვის მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში. ამ პასუხის აზრი ასეთი იყო: ენგიენის ჰერცოგი ნაპოლეონის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს; იმპერატორმა ალექსანდრემ, მაგალითად, რომ გაიგოს, მისი განსვენებული მამის, იმპერატორ პავლეს მკვლელები სხვის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, მაგრამ (ფიზიკურად) შესაძლებელია მათი დაპატიმრებაო, და ალექსანდრემ მართლაც რომ დააპატიმროს ისინი, მაშინ იგი, ნაპოლეონი, არ განაცხადებდა პროტესტს ალექსანდრეს მიერ სხვისი ტერიტორიის ასეთი დარღვევის წინააღმდეგ. ასე საჯაროდ და ოფიციალურად და ამაზე უფრო აშკარად ალექსანდრესათვის მამისმკვლელის წოდება შეუძლებელი იყო. მთელმა ევროპამ იცოდა, რომ შეთქმულებმა ალექსანდრესთან შეთანხმების შემდეგ დაახრჩეს პავლე და რომ ახალგაზრდა მეფემ თავის გამეფების შემდეგ ვერ გაბედა ხელი ეხლო მათთვის — ვერც პალენისთვის, ვერც ბენიგსენისთვის, ვერც ზუბოვისთვის, ვერც ტალიზინისთვის, და საერთოდ ვერც ერთი მათგანისთვის, თუმცა ისინი არხეინად ცხოვრობდნენ, და ისიც არა "სხვის ტერიტორიაზე", არამედ ქალაქ პეტერბურგში, თანაც ზამთრის სასახლეში დადიოდნენ.

ალექსანდრეს განრისხება ცხოველ გამოძახილს პოულობდა თავადაზნაურობისა და სამეფო კარის საერთო განწყობილებაში, რაზედაც უკვე გვქონდა საუბარი.

უილიამ პიტი უყოყმანოდ დათანხმდა ფული მიეცა რუსეთისათვის, ხოლო კიდევ უფრო ადრე აგრძნობინა ყველას, რომ იგი ფულს მისცემს ავსტრიას, ნეაპოლს, პრუსიას და სხვებს, ვინც კი მოისურვებს იარაღი აღმართოს ნაპოლეონის წინააღმდეგ.

რას აკეთებდა ამ დროს საფრანგეთის იმპერატორი? რასაკვირველია, რომ მან იცოდა რომ მის მტრებს დიპლომატიური თამაში ჰქონდათ გამართული, მაგრამ, როდესაც კოალიციის ჩამოყალიბება, პიტის ღონისძიებათა მიუხედავად, იგვიანებდა და ვინაიდან ნაპოლეონს თვით 1805 წლის შემოდგომამდე ეგონა, ავსტრია ჯერ კიდევ არ არის მზად ომისთვისო, ამიტომ მას სხვა არაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ, ერთი მხრით, მზადება განეგრძო ინგლისში დესანტის გადასხმისათვის, ხოლო მეორე მხრით ემოქმედა ისე, თითქოს ევროპაში მის მეტი არავინ იყო. მოისურვა პიემონტის შემოერთება — შემოიერთა; მოისურვა გენუის შემოერთება და შემოიერთა, მოისურვა იტალიის მეფედ კურთხევა და მილანში დაგვირგვინება და ეკურთხა კიდეც (1805 წლის გაზაფხულზე); მოისურვა მთელი რიგი წვრილი გერმანული ქვეყნებისა გადაეცა თავის გერმანელ "მოკავშირეთათვის", ე.ი. ვასალებისთვის (როგორიც იყო ბავარია) — და გადასცა კიდეც.

დასავლეთ გერმანიის მიწების მფლობელ გერმანელ მთავრებს, 1801 წლის ლუნევილის ზავისა და ავსტრიის სრული ჩამოშორების შემდეგ, ერთადერთ მხსნელად მხოლოდ ნაპოლეონი მიაჩნდათ. ისინი გუნდ-გუნდად იკრიბებოდნენ პარიზში, ყველა სასახლისა და სამინისტროს დერეფნებში, ეფიცებოდნენ ნაპოლეონს თავიანთ ერთგულებას, თხოვდნენ მეზობელი ტერიტორიების პატარა ნაკვეთებს, აბეზღებდნენ და სამარეს უთხრიდნენ ერთმანეთს, დაფუსფუსებდნენ ნაპოლეონის ირგვლივ, მლიქვნელობდნენ და თხოვნებითა და ქრთამებით აავსეს ტალეირანი. ნაპოლეონის კარისკაცნი პირველ ხანებში ერთგვარი გაკვირვებით (შემდეგ უკვე აღარ უკვირდათ) ადევნებდნენ თვალს ტიუილრის სასახლეში ერთ-ერთ ასეთ პატარა გერმანელ მონარქს, ბანქოს თამაშში გართული ნაპოლეონის საეარძლის უკან რომ იდგა, ხშირად იხრებოდა წელში და წამდაუწუმ ხელს უკოცნიდა იმპერატორს, რომელიც არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მას.

დადგა 1805 წლის შემოდგომა. ნაპოლეონი ეუბნებოდა თავის ადმირალებს, რომ მისთვის საჭირო არაა სამი, არამედ ორი და თუნდაც ერთი დღის

სიწყნარე ლამანშზე, უშიშროება ქარიშხლისა და ბრიტანეთის ფლოტისაგან, რომ ინგლისში გადავიდეს. ახლოვდებოდა ნისლიანობის სეზონი.

ნაპოლეონმა დიდი ხანია უბრძანა ადმირალ ვილნევს ხმელთაშუა ზღვიდან გასულიყო ლამანშში და შეერთებოდა ლამანშის ესკადრას, რათა გაერთიანებული ძალებით უზრუნველეყოთ სრუტეზე გადასვლა და ინგლისში დესანტის გადასხმა. უეცრად, თითქმის ერთსადაიმავე დღეს, იმპერატორს, რომელიც თავის ჯარებთან იყო ბულონში, ზედიზედ ორი მნიშვნელოვანი ცნობა მოუვიდა: პირველი — რომ ადმირალ ვილნევს არ შეუძლია მალე შეასრულოს მისი ბრძანება, ხოლო — მეორე — რომ რუსის ჯარი უკვე დაიძრა ავსტრიელებთან შესაერთებლად, რომ ავსტრიელები მზად არიან შეტევითი ომისათვის ნაპოლეონისა და მისი გერმანელი მოკავშირეების წინააღმდეგ და რომ მტრის ჯარები დასავლეთისაკენ მიემართებიან.

ნაპოლეონმა ერთბაშად და უყოყმანოდ მიიღო ახალი გადაწყვეტილება. რაკი დაინახა, რომ უილიამ პიტმა მაინც მოახერხა ინგლისის გადარჩენა და რომ ჯარის გადასხმაზე ფიქრიც ამაოა, მან დაუყოვნებლივ გამოიძახა გენერალერი ინდენდანტი დარიუ და მას კორპუსის მეთაურებისათვის ჩასაბარებლად გადასცა წინასწარ მოფიქრებული დისპოზიციები ახალი ომისა, მაგრამ არა ინგლისელების, არამედ ავსტრიისა და რუსეთის წინააღმდეგ.

დადგა ბულონის ბანაკის აღსასრული, ბოლო მოეღო ორი წლის მუშაობას მის მოწყობაზე, ყოველგვარ ოცნებას ჯიუტი და ზღვის გამო მიუწვდენელი მტრის დაპყრობის შესახებ! "თუკი თხუთმეტი დღის შემდეგ ლონდონში ვერ ვიქნები, მაშინ შუა ნოემბერში ვენაში უნდა ვიყო", — ასე თქვა იმპერატორმა სწორედ იმ ცნობის მიღების წინ, რომელთაც მკვეთრად შეცვალეს მისი უახლოესი ზრახვები. ლონდონი გადარჩა, მაგრამ სამაგიერო ვენას გადახდა.

ნაპოლეონი რამდენიმე საათის განმავლობაში განუწყვეტლივ უკარნახებდა ახალი კამპანიის დისპოზიციას. ყოველ მხარეს დაიგზავნა ბრძანებები, რომ ახალი რეკრუტები შეკრებილიყვნენ რეზერვების შესავსებად არმია მომარაგებულიყო, საფრანგეთისა და ბავარიის ტერიტორიაზე მტრის შესახვედრად გაელაშქრნა. შიკრიკებმა მიაშურეს ბერლინს, მადრიდს, დრეზდენსა და ამსტერდამს ახალი დიპლომატიური ინსტრუქციებით, მუქარით და ბრძანებით, მოსაბირებელი წინადადებით. პარიზი დაბნეულობამ და ერთგვარმა შიშმა მოიცვა. ნაპოლეონს მოახსენებდნენ, რომ ვაჭრები, ბირჟა და მრეწველები ჩუმ-ჩუმად საყვედურს გამოთქვამდნენ

ომებით გატაცებისა და მისი საგარეო პოლიტიკის გამო, რომელიც არაფერ ანგარიშს არ უწევს, რომ მხოლოდ მას აბრალებენ მთელი ევროპის ახალ მრისხანე ომს საფრანგეთის წინააღმდეგ. დრტვინვა იყო ჩუმი, ფრთხილი, მაგრამ ის მაინც იყო.

იმპერატორმა ეს იცოდა. მიუხედავად ამისა, რამდენიმე დღის შემდეგ მწყობრმა სამხედრო ორგანიზაციამ აშალა ბულონის ვეებერთელა ბანაკი, სალაშქრო წესით დარაზმა იქ შეკრებილი არმია, გააძლიერა იგი ახალი შენაერთებით და ლამანშის ნაპირებიდან, მთელ საფრანგეთზე გავლით, დაძრა მოკავშირე ბავარიისკენ.

ნაპოლეონი არაჩვეულებრივი სისწრაფით მიდიოდა, იგი ჩრდილოეთიდან გარს უვლიდა დუნაიზე დაბანაკებულ ავსტრიელთა ჯარებს, რომლის მარცხენა ფრთას ულმის ციხე-სიმაგრე წარმოადგენდა.

ავსტრიის არმია უფრო უკეთ იყო მომარაგებული და ორგანიზებული, ვიდრე ოდესმე წარსულში. მაკის არმიას დაეკისრა ნაპოლეონის ავანგარდთან პირველი შეტაკება და განსაკუთრებით დიდ იმედებს ამყარებდნენ მასზე. ამ პირველ შეტაკებაზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. წარმატება, რომელსაც გენერალი მაკისაგან მოელოდნენ ავსტრიაში, ინგლისში, რუსეთსა და მთელს ევროპაში, ემყარებოდა არა მარტო მისი დივიზიების მომზადებას და საუცხოო მდგომარეობას, არამედ იმასაც, რომ კოალიციის ბელადების ვარაუდით, ნაპოლეონი ერთბაშად არ აშლიდა ბულონის ბანაკს და მთელ თავის ძალებს არ დაძრავდა ბულონიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, ხოლო თუ კი დაძრავდა, ვენ შეძლებდა სწრაფად მათ მიყვანას და თავმოყრას იქ, სადაც საჭირო იყო.

მაკი სრულიად მოურიდებლად შევიდა ბავარიაში, რადგან კარგად იცოდა, რომ ნაპოლეონიც პირდაპირ ბავარიაში მიდიოდა. მეორეხარისხოვან სახელმწიფოთა ნეიტრალიტეტი ნაპოლეონამდეც, მის დროსაც და მის შემდეგაც მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა. ბავარიის კურფიურსტი ჯერ საიდუმლოდ დაუკავშირდა კოალიციას, ყოველგვარ დახმარებას დაპპირდა ავსტრიელებს დაწყებულ ომში, მაგრამ განვლო რამდენიმე დღემ და, საფუძვლიანი დაფიქრების შემდეგ, თავისი ჯარითა და მინისტრებით გაიქცა ვიურცბურგში — იმ ქალაქში, სადაც ნაპოლეონის ბრძანებით მიდიოდა საფრანგეთის ერთ-ერთი არმია ბერნადოტის მეთაურობით, და საუსეებით მიემხრო ნაპოლეონს.

ბავარიის კურფიურსტის მაგალითს მიბაძეს ვიურტემბერგის კურფიურსტმა და ბადენის დიდმა ჰერცოგმა. "მათ კბილი კბილს დააჭირეს და ლროებით შეწყვიტეს თავიანთი გერმანული გულისცემა", — ასე ნაღვლია-

ნად ახასიათებდნენ ამ ამბავს უფრო გვიან გერმანული საშუალო სკოლის სახელმძღვანელოები. თავიანთი გერმანული გულის წადილისადმი ასეთი მამაცური წინააღმდეგობისათვის ბავარიისა და ვიურტემბერგის კურფიურსტებს ნაპოლეონმა მეფობა მისცა და ამ ტიტულით სარგებლობდნენ ისინი 1918 წლის ნოემბრის რევოლუციამდე, ხოლო ბადენის დიდმა ჰერცოგმა, ისე როგორც ამ ორმა ახალმა მეფემ, საჩუქრად მიიღო ტერიტორიული წყალობა ავსტრიის ხარჯზე. მათ ცოტა ფულიც მოითხოვეს, მაგრამ ნაპოლეონმა უარი უთხრა.

ბავარიისკენ გზა გახსნილი იყო. მარშლებს ნაბრძანები ჰქონდათ დაეჩქარებინათ ჯარის მსვლელობა და ისინი სხვადასხვა მხრიდან უკიდურესი სიჩქარით მიეშურებოდნენ დუნაისაკენ. მარშლები ბერნადოტი, დავუ, სულტი, ლანი, ნეი, მარმონი მათი ხელქვეითი კორპუსებით და მიურატის ცხენოსანი ჯარი იმპერატორისაგან მიღებულ ზუსტ ბრძანებებს, როგორც მაშინდელი პრუსიული სამხედრო მეთვალყურე ამბობს, საათის მექანიზმის სისწორით ასრულებდნენ. ჯერ კიდევ სამი კვირა არ გასულა, იმ დროისათვის ვეებერთელა არმია, თითქმის უკლებლივ, ლამანშიდან დუნაიზე გადაისროლეს. ნაპოლეონმა ერთხელ სამხედრო ხელოვნების შესახებ თქვა: ეს არის უნარი ისე მოაწყო საქმე, რომ არმია "ცხოვრობდეს ცალ-ცალკე და იბრძოდეს ერთად". მარშლები მიდიოდნენ იმპერატორის მიერ წინასწარ ნაჩვენები სხვადასხვა გზით, სადაც ისინი ადვილად შოულობდნენ ჯარის საზრდოს და მათი მსვლელობა არ იწვევდა გზების გაჭედვას. ხოლო როდესაც საჭირო მომენტი დადგა, ყველანი ულმის გარშემო აღმოჩნდნენ, სადაც, როგორც ხალთაში, მოემწყვდა მაკი ავსტრიის არმიის საუკეთესო ნაწილით.

24 სექტემბერს ნაპოლეონი გავიდა პარიზიდან, 26-ს სტრასბურგში ჩავიდა და მაშინვე დაიწყო ჯარების გადაყვანა რაინზე. ამ ომის დაწყებისას ნაპოლეონმა აქვე, ლაშქრობის დროს, სტრასბურგში, საბოლოოდ ჩამოაყალიბა თავისი არმია. აქ მართებული იქნება რამდენიმე სიტყვა ვთქვათ ამ არმიაზე.

ავსტრიაში მიმავალ არმიას ოფიციალურად დიდი არმია უწოდეს სხვა ჯარის ნაწილებისაგან განსხვავებით, რომლებიც გარნიზონებისა და საოკუპაციო ჯარების სახით იდგნენ ომის ასპარეზიდან დაშორებით.

დიდი არმია დაყოფილი იყო შვიდ კორპუსად. ამ კორპუსებს მეთაურობდნენ ყველაზე უფრო გამოჩენილი გენერლები, რომელთაც ნაპოლეონის დაგვირგვინების შემდეგ მარშლის ხარისხი მიენიჭათ. თვითეულ ამ კორპუსში იყო ქვეითი ჯარიც, კავალერიაც და არტილერიაც და ყველა ის დაწესებულება, რომელიც ახლავს მთელს არმიას.

ნაპოლეონის აზრით, თვითეული კორპუსი თავისთავად ერთგვარი დამოუკიდებელი არმია უნდა ყოფილიყო. არტილერიისა და კავალერიის მთავარი მასები დამოკიდებული არ იყვნენ რომელიმე მარშალზე, ისინი არც ერთ კორპუსში არ შედიოდნენ, არამედ შეადგენდნენ დიდი არმიის სრულიად განსაკუთრებულ ნაწილებს, რომელთაც უშუალოდ თვით იმპერატორი ხელმძღვანელობდა; მაგალითად, მარშალი მიურატი, რომელიც ნაპოლეონმა მთელი კავალერიის უფროსად დანიშნა, მხოლოდ მისი თანაშემწე იყო, მისი ბრძანების გადამცემი და შემსრულებელი ინსტაცია. ნაპოლეონს შეეძლო გადამწყვეტ მომენტში თავისი შეხედულებით მთელი არტილერია და კავალერია ერთ-ერთი კორპუსის დასახმარებლად გადაესროლა.

ამ შვიდი კორპუსისა, არტილერიისა და კავალერიისაგან განსხვავებით არსებობდა იმპერატორის გვარდია. ეს იყო შვიდი ათასი რჩეული მეომარი (შემდგომ მათი რიცხვი გაიზარდა — აქ ლაპარაკია მხოლოდ 1805 წლის შესახებ); გვარდია შედგებოდა ქვეითი გრენადერებისა და ეგერების ლეგიონებისაგან, ცხენოსანი გრენადერებისა და ეგერებისაგან, ცხენოსანი ჟანდარმების ორი ესკადრონისაგან, ეგვიპტეში შეკრებილი მამელუკებისა და, ბოლოს, "იტალიელთა ათასეულისაგან", რადგანაც ნაპოლეონი იყო არა მარტო ფრანგების იმპერატორი, არამედ მის მიერ დაპყრობილ ჩრდილოეთ და შუა იტალიის მეფეც. აღსანიშნავია, რომ გვარდიის ამ "იტალიელთა ათასეულში" ფრანგები უფრო მეტი იყვნენ, ვიდრე იტალიელები. იმპერატორის გვარდიაში მიპყავდათ მხოლოდ განსაკუთრებით წარჩინებული ჯარისკაცები. ისინი ღებულობდნენ ჯამაგირს, კარგი კვება ჰქონდათ, იმპერატორის მთავარი სადგომის მახლობლად ცხოვრობდნენ და განსაკუთრებით მოკაზმულ მუნდირებსა და დათვის ტყავის მაღალ ქუდებს ატარებდნენ. ნაპოლეონი ბევრ მათგანს პირადად იცნობდა, იცოდა მათი ცხოვრება და სამსახური.

თავისებური იყო ნაპოლეონის მიერ შემოღებული დისციპლინა. ფიზიკური სასჯელი არმიაში მას დაუშვებლად მიაჩნდა. დიდი დანაშაულის გამო სამხედრო სასამართლო დამნაშავეს სიკვდილით დასჯას ან კატორღას მიუსჯიდა ხოლმე, უფრო მსუბუქი დანაშაულისათვის — სამხედრო საპატიმროს. მაგრამ არსებობდა, ერთი, განსაკუთრებით ავტორიტეტული ინსტიტუტი — ამხანაგური სასამართლო, რომელიც თუმცა არსად არ არის აღნიშნული კანონებში, მაგრამ ნაპოლეონის ჩუმი თანხმობით შემოღებული იყო დიდ არმიაში.

აი რას ამბობენ ამის შესახებ დამსწრენი: მოხდა ბრძოლა, ასეულში შეამჩნიეს, რომ ბრძოლის დროს ორი ჯარისკაცი არავის უნახავს. ისინი

გამოცხადდნენ ბრძოლის დამთავრებისას და განმარტეს თავიანთი არყოფნის მიზეზი. ასეული, დარწმუნებული იმაში, რომ დამნაშავენი შიშით დაბალნენ, მაშინვე აირჩევენ სამ მოსამართლეს (ჯარისკაცების წრიდან). ისინი მოუსმენენ ბალდებულებს, მიუსჯიან მათ სიკვდილს და იქვე ხვრეტენ. უფროსებმა ყოველივე ეს იციან, მაგრამ საქმეში არ ერევიან. საქმე ამით თავდება. არც ერთ ოფიცერს არა თუ მონაწილეობა არ უნდა მიეღო სასამართლოში, არამედ არც კი უნდა სცოდნოდა (ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად მაინც) ამ დახვრეტის შესახებ.

ნაპოლეონმა შესძლო შთაეგონებინა თავისი ჯარისკაცებისათვის, რომ როგორც თვითონ, აგრეთვე ისინი კვლავინდებურად იცავენ რევოლუციას ბურბონებისა და ინტერვენტებისაგან, რომ იგი წინანდებურად საფრანგეთის რესპუბლიკის პირველი ჯარისკაცია. ნაპოლეონისადმი სიყვარული, მისი მიზნების, გენიისა და უძლეველობის რწმენა, — აი რა ამაგრებდა დისციპლინას არა ნაკლებ, ვიდრე სამხედრო და საშინელი ამხანაგური სასამართლოები.

ან როგორ-დაივიწყებდა საფრანგეთის გლეხური არმია, რომ მისი იმპერატორი რევოლუციური წრიდან იყო გამოსული, როცა იგი თვალნათლივ ხედავდა, რომ ნაპოლეონის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში გლეხობა თავისუფლდებოდა ბატონყმური უღლისაგან, ხოლო თავად-აზნაურები ვეღარ ბედავდნენ დაუსჯელად სილა გაეწნათ ყველა გამვლელ-გამომვლელისათვის, ვინც კი ქუდს არ მოუხდიდა მათ. ინსტიქტი უკარნახებდა ჯარისკაცებს, რომ საფრანგეთის საზღვრებს იქით, დაპყრობილ ევროპაში, მათი ბელადი არა კონტრრევოლუციურ, არამედ რევოლუციურ საქმეს აკეთებდა. ჯარისკაცები ბრმა რწმენით და მორჩილებით მიჰყვებოდნენ ნაპოლეონს და ამასთანავე შინაურად არქმევდნენ მას საალერსო, სასიყვარულო სახელებს. მრისხანე კეისარი, რომლის წინაშეც ძრწოდა ევროპა და რომელსაც ფეხქვეშ ეგებოდნენ მეფეები, მათთვის ჯარისკაცი იყო; ურთიერთ შორის საუბარში ისინი მას "პატარა კაპრალს", "პატარა გაკრეჭილს" უწოდებდნენ. მათ კარგად იცოდნენ აგრეთვე, რომ ნაპოლეონის სიტყვები: "თვითეულ ჯარისკაცს ჩანთაში მარშლის კვერთხი აქვს" — ლიტონი სიტყვა არ იყო. მათ გაგებული ჰქონდათ, თუ რა ხარისხით დაიწყეს სამსახური მიურატმა და ბერნადოტმა, ლეფებვრმა და იმპერატორის გენერალიტეტის სხვა მნათობებმა. ყოველი ბრძოლის შემდეგ მათ თავიანთი პირადი და ამხანაგების მაგალითიდან იცოდნენ, თუ რა არაჩვეულებრივად უხვია ნაპოლეონი დასაჩუქრებაში.

ნაპოლეონს თავის ჯარისკაცების და ოფიცრების სრული იმედი ჰქონდა, მაგრამ ყველა გენერალს და მარშალს და ისიც მთლიანად როდი ენ-

დობოდა. რაც შეეხება მარშლების სამხედრო როლს. აქ ასეთი მდგომარეობა იყო. ნაპოლეონმა თავის გარშემო შემოიკრიბა შესანიშნავი ნიჭის სამხედრო პირთა მთელი ამალა. ისინი არაფრით არ ჩამოვდნენ ერთმანეთის, გარდა ერთი თვისებისა: ყველა მათ ახასიათებდათ. თუმცა არა ერთნაირად, სწრაფი საზრიანობა, გარშემო პირობების გაგების ნიჭი და სწრაფად გადაწყვეტილების მიღების უნარი, სამხედრო ალღო ყოველგვარი ძნიშნე პირობებიდან თავის დასაღწევად. ჯიუტობა იქ სადაც ეს საჭიროა და. რაც მთავარია, ნაპოლეონმა მათ ასწავლა თავისი აზრის უსიტყვოდ გაგება და შემდეგ უკვე მისი დამოუკიდებლად განვითარება.

ნაპოლეონის სტრატეგიული ნიჭი მარშლებს აქცევდა მისი ნება-სურვილის ზუსტ შემსრულებელად და ამავე დროს არ აკლავდა მათში ბრძოლის ველზე დამოუკიდებელი მოქმედების უნარს. უმეცარი ხელმარჯვე მებრძოლი, გულკეთილი ლეფევრი, გულგრილი და ბუნებით მკაცრი არისტოკრატი დავუ, მამაცი მხედარი მიურატი, კარტოგრაფ-ოპერატორი ბერტიე — ყველანი დიდი ინიციატივის მქონე და ჩინებული ტაქტიკოსები იყვნენ. გულადი ნეი ან ლანი ამ მხრივ არაფრით არ ჩამოუვარდებოდნენ მოხერხებულსა და წინდახედულ ბერნადოტს ან ბეჯით მასენას, ან კიდევ გულცივსა და თავდაჭერილ მარმონს. რასაკვირველია, პირადი უშიშრობა მათ წრეში საკვანძოდ საკალდებულოდ ითვლებოდა: ისინი მაგალითი უნდა ყოფილიყვნენ სხვებისათვის. ამ მხრივ მათში გამომუშავდა რაღაც განსაკუთრებული სამხედრო სიმამაცე. ერთხელ, როდესაც აღტაცებით ლაპარაკობდნენ მარშალ ლანის გმირობაზე, იმ ლანისა, რომელსაც არაერთხელ წაუყვანია იერიშზე ჰუსართა პოლკები, იქვე მყოფმა ლანმა გულნაწყენად წამოიძახა: "ჰუსარი, რომელიც ოცდაათ წლამდე არ მოუკლავთ, ჰუსარი კი არა ნაგავია". ამ დროს ის უკვე ოცდათოთხმეტი წლის იყო; ორი წლის შემდეგ ის დაეცა ბრძოლის ველზე ყუმბარით განგმირული. ლანი არა მარტო მამაცი ჰუსარი, არამედ ნიჭიერი სარდალიც იყო. ასეთი იყვნენ ნაპოლეონის თანაშემწენი, რომლებიც მან თავისთვის აირჩია და დააწინაურა.

ისინი თითქმის ყველანი მასთან იყვნენ 1805 წელს, როდესაც დაიწყო ომი მესამე კოალიციასთან. არ იყო მხოლოდ დეზე, რომელიც მარენგოსთან მოკლეს, არ იყო კიდევ ერთი მათგანი, რომელსაც ნაპოლეონი თითქმის ყველაზე მაღლა აყენებდა: ეს იყო განდევნილი მორო; რომელიც ამერიკაში ცხოვრობდა. ასეთი თანაშემწეები ჰყავდა და ასეთი არმიის სათავეში იდგა ნაპოლეონი, იმ დროს თავისი ნიჭის განვითარების მწვერვალზე

მდგომი, პირველხარისხოვანი სამხედრო გენიოსი, როგორც მეგობრების, ისე მისი მტრების აღიარებით.

სულტისა და ლანის კორპუსებმა და მიურატის ცხენოსანმა ჯარმა გადალახეს დუნაი და გენერალ მაკს მოულოდნელად ზურგში მოექცნენ. საფრთხეში ჩაეარდნილი ავსტრიელების ნაწილმა მოასწრო აღმოსავლეთისაკენ გასხლტომა, მაგრამ მათი მთავარი მასა ნეიმ ციხესიმაგრეში მიიმწყვდია. მაკი შებოჭეს ყოველი მხრიდან. კიდევ იყო წასვლის შესაძლებლობა, მაგრამ გენერალ მაკს გზაკვალი აუბნიეს ნაპოლეონის მიერ მოგზავნილმა დახელოვნებულმა ჯაშუშებმა. მათ შორის ყველაზე უფრო ცნობილი შულმეისტერის მეთაურობით; ისინი არწმუნებდნენ მაკს, რომ საჭიროა გამაგრება, რომ ნაპოლეონი შალე მოხსნის ალყას, რადგან პარიზში მის წინააღმდეგ აჯანყებამ იფეთქა. როდესაც მაკი ამ ცნობას უნდობლად შეხვდა, ჯაშუშმა ამის შესახებ აცნობა ფრანგების ბანაკს და იქ სალაშქრო სტამბის საშუალებით დაბეჭდეს პარიზის გაზეთის სპეციალური ნომერი, სადაც გამოქვეყნებული იყო ყალბი ცნობა პარიზში მომხდარი რევოლუციის შესახებ. ჯაშუშმა გაზეთის ეს ნომერი მაკს მიუტანა, მან იგი წაიკითხა და დამშვიდდა.

15 ოქტომბერს მარშლებმა ნეიმ და ლანმა ბრძოლით აიღეს სიმაღლეები ულმის გარშემო. მაკის მდგომარეობა სრულიად უიმედო გახდა. ნაპოლეონმა გაუგზავნა მას პარლამენტიორი და მოსთხოვა დანებება და კაპიტულაცია, თანაც აფრთხილებდა, თუ მე ულმს იერიშით ავიღებ, მაშინ არავის დავინდობო. 1805 წლის 20 ოქტომბერს გენერალ მაკის გადარჩენილი არმია, მთელი სამხედრო მარაგით, არტილერიითა და დროშებით და ამასთან ერთად ულმის ციხე-სიმაგრეც, გამარჯვებულის მხრივ შეწყალების იმედით, მტერს ჩაბარდა. ნაპოლეონმა თვით მაკი გაათავისუფლა. ხოლო ტყვედ ჩაეარდნილი არმია საფრანგეთში გაგზავნა სხვადასხვა სამუშაოზე. რამდენიმე ხნის შემდეგ ნაპოლეონმა მიიღო ცნობა, რომ მიურატმა ხელთ იგდო და დაატყვევა რვა ათასი კაცი იმათგან, რომლებიც ბედნიერი შემთხვევის წყალობით ულმიდან გასხლტნენ ციხე-სიმაგრის ჩაბარებამდე.

არსებითად, ულმის ციხე-სიმაგრის ასეთი საშინელი და სამარცხვინო დაცემის შემდეგ ომი უკვე წაგებული იყო მესამე კოალიციის მიერ. მაგრამ ავსტრიისა და რუსეთის არმიის შტაბში ეს მხოლოდ ზოგიერთებმა გაიგეს. ნაპოლეონი და მისი მარშლები ულმოდან შეუჩერებლივ, დუნაის მარჯვენა ნაპირით პირდაპირ ვენისაკენ დაიძრნენ. ულმში დატყვევებული არმიის გარდა, შემდგომი დადევნების დროს ფრანგებმა ხელთ იგდეს კიდევ მრავალი ტყვე, ხოლო ულმამდე მომხდარი ბრძოლების ჩათვლით

მათ ტყვედ წაიყვანეს დაახლოებით ოცდაცხრა ათასი კაცი (აქ აღრიცხულნი არ არიან მოკლულნი, მძიმედ დაჭრილნი და უგზო-უკვლოდ დაკარგულნი). "ორასი ზარბაზანი, ოთხმოცდაათი დროშა, ყველა გენერალი ჩვენს ხელთ არის. ამ არმიიდან დარჩა მხოლოდ თხუთმეტი ათასი კაცი" — აუწყა ნაპოლეონმა თავის ჯარისკაცებს საგანგებო მოწოდებაში ამ პირველი ოპერაციების შედეგების შესახებ.

ფრანგები აჩქარებული ტემპით განაგრძობდნენ მსვლელობას ვენისაკენ. 13 ნოემბერს, გარემოცული თავისი გვარდიით, რომელსაც წინ მიუძღოდა, ნაპოლეონი ვენაში შეკიდა. ის დაბინავდა იმპერატორის სასახლეში, შენბრუნში, ვენის მახლობლად, ხოლო ვენის გენერალ-გუბერნატორად დანიშნა თავისი მდივანი და მომავალი შეუნაცვლებელი საგარეო მინისტრი გენერალი კლარკი. ვენიდან გაქცეულმა ავსტრიის იმპერატორმა ფრანცმა თავისი ნაჩქარევი წასვლის წინ დროებითი ზავის წინადადებაც გაუგზავნა ნაპოლეონს, მაგრამ ის არ დათანხმდა.

ამიერიდან მესამე კოალიციამ მთელი თავისი იმედი რუსეთის ჯარსა და რუსეთის იმპერატორზე დაამყარა, ხოლო რუსეთის იმპერატორი მთავარ იმედს ამყარებდა კოალიციაში პრუსიის გადმობირებაზე. როგორც ერთს, ისე მეორე იმედს მალე გაქარწყლება ელოდა.

1805 წლის ოქტომბერში, სწორედ იმ დღეებში, როდესაც ულმის ციხე-სიმაგრეში ჩაკეტილი მაკი კაპიტულაციისათვის ემზადებოდა და თავისი არმიით ტყვედ ჩაუვარდა ფრანგებს, იმპერატორი ალექსანდრე I ბერლინში იმყოფებოდა და ურჩევდა პრუსიის მეფეს ფრიდრიხ-ვილჰელმ III-ს ომი გამოეცხადებინა ნაპოლეონისათვის. ფრიდრიხ-ვილჰელმი ისეთივე შიშსა და მერყეობას განიცდიდა, როგორც სამხრეთ გერმანიის კურფიურსტები, რომელთა შესახებ ზემოთ ვთქვით. მას ეშინოდა როგორც ალექსანდრესი, ისე ნაპოლეონისა. პირველად ალექსანდრემ მუქარითაც კი აგრძნობინა — რუსეთის ძალები ძალით გადავლენ პრუსიის ტერიტორიაზეო; მაგრამ როდესაც მეფემ მოულოდნელი სიმტკიცე გამოიჩინა და წინააღმდეგობისათვის მზადება დაიწყო, ალექსანდრემ ალერსს მიმართა. ამ დროს მოვიდა ცნობა, რომ ნაპოლეონმა უბრძანა მარშალ ბერნადოტს, რათა მას ავსტრიისაკენ მსვლელობის დროს გადაელახა ანშპახი, პრუსიის სამხრეთი სამფლობელო.

ნეიტრალიტეტის დარღვევა აშკარა იყო და პრუსიის მეფე, რომელიც ერთი მხრით, შეურაცხყოფილი იყო ნაპოლეონის თვითნებობით, ხოლო მეორე მხრით, ჯერ კიდევ ეერ ითვალისწინებდა დიდი არმიის წარმატე-

ბას (ეს იყო ულმის ციხე-სიმაგრის დაცემამდე), დათანხმდა ჩაბმულიყო ომში მესამე კოალიციის მხარეზე. ბოლოს, როგორც იქნა ფრიდრიხ-ვილ-ჰელმ III და ალექსანდრეს შორის დაიდო საიდუმლო ხელშეკრულება, რომლის თანახმად პრუსიას გარკვეული ულტიმატური უფლებები უნდა წაეყენებინა ნაპოლეონისათვის.

ამის შემდეგ გათამამდა ყოველად უაზრო სცენა: ფრიდრიხ-ვილჰელმი, დელოფალი ლუიზა და ალექსანდრე ჩაკიდნენ მაკზოლიუმში და იქ ფრიდრიხ II კუბოსთან, საუდამო მეგობრობის ფიცი მისცეს ერთმანეთს. ამ საქციელის უაზრობა იმაში იყო, რომ თავის დროზე რუსეთი შვიდი წლის განმავლობაში სწორედ ამ ფრიდრიხ II ყიმებიდა და ხან ფრიდრიხი ამარცხებდა რუსებს, ხან კიდევ რუსები სასტიკად ამარცხებდნენ ფრიდრიხს, აიღეს ბერლინი და პრუსიის შეფე კინალამ თვითმკვლელობამდე მიიყვანეს. ამ კურიოზული ინსცენირებისა და რუსეთ-გერმანიის სამუდამო მხურვალე ურთიერთსიყვარულის დემონსტრაციის შემდეგ ალექსანდრე I დატოვა ბერლინი და პირდაპირ საომარ მოქმედებათა ასპარეზზე — ავსტრიაში გაემგზავრა.

ინგლისსა და ავსტრიაში ნამდვილი ზეიმი გაიმართა. თუკი პრუსიის მთელი არმია გადალახავს შადნის მთებს და საომარი მოქმედების ასპარეზზე გაჩნდება, ნაპოლეონი დაიღუპება. ასე წერდნენ ინგლისურ გაზეთებში და აღტაცებით იხსენიებდნენ რუსეთ-პრუსიის მგრძნობიარე ფიცს ფრიდრიხ დიდის კუბოსთან.

ნაპოლეონისათვის საჭირო იყო ყოველ მიზეზს გარეშე დაეჩქარებინა საქმის დამთავრება, ვიდრე პრუსია ჯერ კიდევ არ შესულიყო კოალიციაში. თითქმის ვენის აღებისთანავე ფრანგებმა მოახერხეს უომრად ჩაეგდოთ ხელში ეეებერთელა ხიდი (ერთადერთი, რომელიც რატომღაც არ დაუნგრევიათ ავსტრიელებს), რომელიც ვენას დუნაის მარცხენა ნაპირთან აერთებდა.

ამ ხიდის აღების შესახებ ბევრი ანეგდოტური ამბავი იყო გავრცელებული. ერთერთ მათგანს (რამდენადმე შეცვლილს და ლეგენდით შელამაზებულს) კარგად იცნობენ რუსი მკითხველები ტოლსტოის "ომისა და მშვიდობის" მეორე ნაწილის მიხედვით. ნამდვილად კი საქმის ვითარება ასეთი იყო. მიურატმა, ლანმა, ბერტრანმა და მესანგრეთა პოლკოვნიკმა დოდმა გრენადერთა ათასეული ოსტატურად ჩამალეს ბუჩქებსა და შამბნარში, თვითონ კი პირდაპირ მიადგნენ ხიდისწინა სიმაგრეს და გამოუცხადეს თავგზააბნეულ ავსტრიელებს, რომელთაც ნაბრძანები ჰქონდათ მტრის პირველი გამოჩენისთანავე აეფეთქებინათ ხიდი, რომ დროებითი ზავი უკვე

შეკრულია. მათ განელეს ხიდი, გამოიძახეს გენერალი თავადი აუერსპერგი, გაიმეორეს თავიანთი სიცრუე ზავის შესახებ, და სიგნალზე, ვიდრე აუერსპერგი პასუხის გაცემას მოასწრებდა, ფრანგი გრენადერები უეცრად გამოხტნენ ბუჩქებიდან და ეძგერნენ ავსტრიელებს და ხიდზე დადგმულ ქვეძეხებს. ფრანგების ათასეულძა ერთ წუთში დაიკავა ეს ხიდი; ავსტრიელებმა სცადეს წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ მალე იქნენ დაძლეულნი.

მაშინვე, იმავ საათში, ნაპოლეონმა, რომელსაც აღფრთოვანებულმა მიურატმა მოახსენა ამ გასაოცარი ამბის შესახებ, ბრძანა გადასულიყვნენ ამ ხიდზე და დაძრულიყვნენ პირდაპირ რუსეთის არმიისკენ.

მძიმე დრო დაუდგა რუსეთის არმიას. ნაპოლეონი თავისი მთავარი ძალებით გადავიდა მდინარე დუნაიზე ვენის მახლობლად და ცდილობდა გზა გადაეღობა რუსებისათვის, რომლებიც აჩქარებით უკან იხევდნენ ჩრდილოეთისაკენ.

მოკავშირეთა არმიის მთავარსარდალი კუტუზოვი ნათლად ხედავდა, რომ კრემსიდან ოლშანის პიზიციისაკენ (ოლმიუცის სამხრეთით) სწრაფი უკანდახევა ერთადერთი ხსნა იყო: მას ხელთ ჰყავდა დაახლოებით ორმოცდახუთი ათასი კაცი, ნაპოლეონს კი ასი ათასზე ცოტა ნაკლები. რუსეთის არმიაში ვერ გაეგოთ ვენის ხიდის ისტორია და ხმამაღლა ლაპარაკობდნენ ღალატზე, იმის შესახებ, რომ ავსტრიელები უკვე საიდუმლოდ შეუთანხმდნენ ნაპოლეონს: ამდენად უაზროდ და წარმოუდგენლად მიაჩნდათ ვენის ხიდის დაკარგვა. ხიდის აღებით ნაპოლეონმა უბრძოლველად ხელთ იგდო დუხაის ძარცხენა ნაპირი. რაც აუცილებელ დაღუპვას უმზადებდა მთელ რუსეთის არმიას.

სასტიკი, არიერგარდული ბრძოლების შემდეგ, სადაც საჭირო ხდებოდა დასაღუპავად აშკარად განწირული საფარი რაზმების გამოყენება, ოღონდ მთავარი ძალებისათვის მიეცათ გასვლის საშუალება, კუტუზოვმა 45 ათასი კაციდან დაახლოებით 12 ათასამდე დაკარგა, გატანჯა არმია, მაგრამ მაინც დააღწია თავი მისთვის საშიშარ სამარცხვინო კაპიტულაციას, განერიდა დადეენებულ ნაპოლეონს და თავისი ჯარის ნარჩენები მიიყვანა ოლმიუცში, სადაც უკვე იმყოფებოდა ორიეე იმპერატორი — ალექსანდრე და ფრანცი.

მდგომარეობა ასეთი იყო. რუსეთიდან მოიშველეს გვარდია და კიდევ არმიის დამხმარე ნაწილები, და რუსეთის მთელი ჯარი, იმ ჯარებთან ერთად, რომლებიც კუტუზოვმა ოლმიუცში და მის მიდამოებში მიიყვანა, სამოცდახუთმეტ ათასამდე ავიდა. ავსტრიელების ჯარისაგან ამ დროისათ-

ვის თხუთმეტი — თვრამეტი ათასი კაცი დარჩა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ავსტრიის ერთი დიდი არმია, როგორც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ ვენის აღებამდე მოსპო ნაპოლეონმა, ხოლო მეორე, უფრო დიდი და კარგად მომარაგებული, ამ დროს ვენეციის ოლქში ებრძოდა მარშალ მასენას, რომელსაც ნაპოლეონის მიერ ნაბრძანები ჰქონდა გაეწმინდა ჩრდილოეთ იტალიის აღმოსავლეთის საკითხი. ამიგად, ეკეთეს ბეთხოვენი, ძალიან ეებს ოლმიუცთან დაახლოებით ოთხმოცდაათი ათასი კაცი ჰყავდათ. მაგრამ კუტუზოვმა სხვებზე უკეთ იცოდა, რომ ქაღალდზე აღნიშნული სამოცდათხუთმეტი ათასი რუსი ჯარისკაცის გამოყენა როდი შეიძლებოდა ბრძოლის ველზე, მათი რიცხვი გაცილებით ნაკლები იქნებოდა. მას ეშინოდა ბრძოლის, ფიქრობდა, რომ საჭირო იყო განეგრძო უკანდახევა, რომელიც დაიწყო დუნაიზე ნაპოლეონის უეცარი გადასვლის შემდეგ, რომ საჭირო იყო კიდევ აღმოსავლეთისკენ სვლა, ლოდინი, ომის გახანგრძლივება რათა პრუსიელებს დრო ჰქონოდათ საბოლოოდ გადაეწყვიტათ ფრანგების წინააღმდეგ გალაშქრება. მაგრამ აქ ის მძაფრ წინააღმდეგობას წააწყდა: იმპერატორი ალექსანდრე გადაჭრით მოითხოვდა გენერალური ბრძოლის დაუყოვნებლივ დაწყებას.

ალექსანდრე I სამხედრო ოპერაციების სრულებით არაფერი გაეგებოდა, მაგრამ, დიდების წყურვილით დაავადებული, დაჯერებული უეჭველ წარმატებაში, დარწმუნებული იმაში, რომ პრუსიის გამოსვლა (ფრიდრიხის კუბოსთან ცნობილი ფიცის შემდეგ) უდაოდ უზრუნველყოფილი იყო, ბრძოლაში მიიწევდა. გაექცეს ნაპოლეონს, როცა მის ხელთ არის ახალი, რუსეთიდან ახლადმოსული გვარდია და უდიდესი ძალები, შემდეგ თვეობით დაეძალოს ძს ლატაკ ძოიას ქეყეასაში, — ეს უსაყუძყლოდ და საძაოცხვინოდ მიაჩნდა მეფეს. მისი გამორჩეული, ახალგაზრდა გენერალ-ადიუტანტი თავადი პეტრე დოლგორუკოვი სწორედ იმიტომ დაიახლოვა მეფემ, რომ იგი, ისე როგორც მთელი გვარდიის ოფიცრობა, ომის აზრს იზიარებდა.

კუტუზოვმა იცოდა, რომ მეფეც, დოლგორუკოვიც და ყველა მათი მსგავსნი სამხედრო საქმეში არარაობას წარმოადგენდნენ, თუნდაც სხვა მხრივ ზოგიერთი მათგანი საკმაოდ ჭკვიანი იყო. რუს-ავსტრიელთა ბანაკში კუტუზოვი ერთადერთი ნამდვილი სარდალი იყო, საქმის მცოდნე ერთადერთი გენერალი (იმათგან, ვის სიტყვასაც საერთოდ რაიმე ფასი ჰქონდა) და მას მაინც ანგარიშს უწევდნენ. მაგრამ აქ ჩაერია ისეთი ძალა, რომელთანაც კუტუზოვი ვერაფერს გააწყობდა, თუმცა პირადად იგი, მიხვედა ნაპოლეონის თამაშს.

ნაპოლეონი დაედევნა უკუქცეულ რუსებს და როცა ისინი ოლმიუცთან შეჩერდნენ, უეცრად ისიც შედგა თავისი მთავარი შტაბით ოლმიუცის მახლობლად, ბრიუნში. ბონაპარტს ამ დროს მხოლოდ ერთი რამე აშინებდა: როგორმე არ წასულიყვნენ რუსები და ომი არ გაეჭიანურებინათ. საფრანგეთიდან დაშორებულ ნაპოლეონს, რომელმაც ამასთანავე იცოდა, რომ პრუსიიდან ულტიმატუმით მოდის მასთან ბუგეიცი, სწყუროდა რაც შეიძლება მალე მოეხერხებინა ეგენერალური ბრძოლა. იგი საკმაოდ დარწმუნებული იყო გამარჯვებაში, რომელიც ერბაშად დაასრულებდა ომს. მისი დიპლომატიური და აქტიორული ნიჭი სრული ბრწყინვალებით გაიშალა ამ დღეებში; ის მიხვდა ყველაფერს, რაც რუსების შტაბში ხდებოდა, მან წააქეზა ალექსანდრე კუტუზოვის წინააღმდეგ, რომელიც უკანასკნელ ძალღონეს ხმარობდა, რათა მალე მოშორებოდა ნაპოლეონს და გადაერჩინა რუსეთის არმია.

ნაპოლეონმა გაითამაშა დამფრთხალი, დასუსტებული ადამიანის როლი, რომელსაც ყველაზე უფრო ეშინია ბრძოლის. მას მოწინააღმდეგისათვის უნდა შთაეგონებინა ის აზრი, რომ სწორედ ახლაა ადვილი საფრანგეთის არმიის დაპარცხება, რათა ამით წაექეზებინა რუსები დაუყოვნებლივ თავს დასხმოდნენ მას.

თავისი განზრახვის განსახორციელებლად მან, ჯერ ერთი უბრძანა მოწინავე რაზმებს დაეწყოთ უკანდახევა: მეორე — ალექსანდრესთან მიგზავნა თავისი გენერალ-ადიუტანტი სავარი შერიგებისა და ზავის წინადადებით. მესამე — უბრძანა სავარის, რომ მას ეთხოვა ალექსანდრესათვის პირადი შეხვედრის შესახებ; მეოთხე — უბრძანა იმავე სავარის, თხოვა ალექსანდრესათვის (თუკი პირად შეხვედრაზე უარს იტყოდა) გამოეგზავნა მისოვის რწმენაბეული მოსალაპარაკებლად. რუსეთის შტაბში ნამდვილი ზეიმი იყო: ბონაპარტი ლაჩრობს, ბონაპარტი გამოიფიტა და დაიღუპა, ახლა მთავარია ხელიდან არ გავუშვათ იგიო.

მართლაც, ეს საქციელი იმდენად უჩვეულო და დამამცირებელი იყო ნაპოლეონისთვის, რომ ამაყი იმპერატორი, პირველი სარდალი მსოფლიოში, თითქოს არასდროს არ იფიქრებდა ასე ემოქმედა, თუ მართლაც დიდ გასაჭირს არ აეძულებინა იგი. შეშინებული კუტუზოვი თითქოს საკუთარ შერცხვენილი და გამტყუნებული იყო.

ალექსანდრემ უარი უთხრა ნაპოლეონს პირად შეხვედრაზე და თავადი დოლგორუკი გაგზავნა მასთან. შემდგომ დიდხან დასცინოდა ნაპოლეონი სამეფო კარის ამ ახალგაზრდა გენერალს, რომელსაც ის ოფიციალურ პრესაშიც "ცელქსა" და "ქარაფშუტას" უწოდებდა.

დოლგორუკოვს ქედმაღლურად, შეუდრეკლად და რიხიანად ეჭირა თავი ნაპოლეონთან, იგი ისე მიმართავდა საფრანგეთის იმპერატორს, "როგორც საციმბიროდ გამზადებულ ბოიარინს", — ასე ხუმრობდა შემდეგ ნაპოლეონი ამ შეხვედრის გამო. ნაპოლეონი ნიჭიერად განაგრძობდა დაწყებული კომედიის გათამაშებას, მან შემკრთალისა და შეშინებულის სახე მიიღო. ამასთანავე იცოდა, რომ საჭიროა ზომიერების დაცვა, რომ ამ ქვეყანაზე ყველაფერს, თავად დოლგორუკოვის სისულელესაც კი, თავისი საზღვარი აქვს; მან დაამთავრა შეხვედრა და განუცხადა დოლგორუკოვს, რომ არ შეუძლია დაეთანხმოს შეთავაზებულ პირობებს (დოლგორუკოვი წინადადებას აძლევდა მას უარი ეთქვა იტალიაზე და მთელ რიგ სხვა დაპყრობილ ადგილებზე), მაგრამ თვით ეს უარი ისეთი ფორმით გამოხატა, რომ ამან არა თუ შეასუსტა, არამედ გააძლიერა საერთო შთაბეჭდილება ნაპოლეონის მერყეობისა.

მას შემდეგ რაც თავის შთაბეჭდილებათა შესახებ მოკავშირეთა ბანაკში სასიხარულო მოხსენება გაგზავნა, იქ ყოველგვარი ყოყმანი შეწყდა: გადაწყდა დაუყოვნებლივ თავს დასხმოდნენ უკანდახევის გზაზე დამდგარ, დასუსტებულ, თავგზააბნეულ ნაპოლეონს და ბოლო მოეღოთ მისთვის.

1805 წლის 2 დეკემბერს, ნაპოლეონის მეფედ კურთხევის სწორედ ერთი წლის შემდეგ, პრაცენის სიმაღლეთა ირგვლივ მდებარე ბორცვიან მიდამოებზე, სოფელ აუსტერლიცის დასავლეთით, ვენიდან ასოცი კილომეტრის დაშორებით, გაიმართა სისხლისმღვრელი ბრძოლა, რომელიც თავის მნიშვნელობით მსოფლიოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო გრანდიოზული, ხოლო ნაპოლეონის ეპოპეაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო სისხლიანი ბრძოლა იყო.

ნაპოლეონი პირადად ხელმძღვანელობდა ამ ბრძოლას თავიდან ბოლომდე. თითქმის ჯერ ილა მისი მარშალი მასთან იყო. რუსებისა და ავსტრიელების დამარცხება უკვე დილის საათებში გამოირკვა, მაგრამ რუსეთის არმია ასე საშინლად მაინც არ დაიღუპებოდა, რუსი გენერლები რომ არ გაბმულიყვნენ იმ მახეში, რომელიც მოისაზრა და განახორციელა ნაპოლეონმა: ის მიხვდა, რომ რუსები და ავსტრიელები შეეცდებოდნენ ვენისა და დუნაისკენ მიმავალი გზა გადაეჭრათ ფრანგებისათვის, რათა გარშემორტყმოდნენ მათ, ან ჩრდილოეთისაკენ, მთებში მიერეკათ ისინი; და სწორედ ამიტომ მან თითქოს საფარი რაზმებისა და დაცვის გარეშე დატოვა თავისი ჯარის ეს ნაწილი და წინასწარი განზრახვით წასწია თავისი ახალი ფრთა. როდესაც რუსები იქითკენ წავიდნენ, მან ისინი მიიმწყვდია ნახევრად გაყინულ ტბასთან და გაანადგურა თავისი ჯარების საშუალებით,

რომელთაც პრაცენის სიმაღლეები ეჭირათ; ტბებში დაიხრჩო ან ფრანგების ფინდიხმა გაანადგურა მთელი პოლკები, დანარჩენები ტყვედ დანებდნენ. რუსი კავალერგარდები თითქმის სრულიად მოისპნენ ბრძოლის ცეცხლში, ნაპოლეონის გვარდიის ცხენოსან გრენადერებთან სასტიკი შებრძოლების შემდეგ ნაპოლეონის მარშლები გაოცებული იყვნენ რუსი ჯარისკაცების სიმამაცით, მაგრამ მათ არა ნაკლებ აოცებდათ რუსი გენერლების (ბაგრატიონის გარდა) უაზრო ქცევა და სამხედრო უმეცრება. ისინი განსაკუთრებით განცვიფრებული იყვნენ, მაგალითად, იმით, რუსი ჯარისკაცების მარცხენა ფრთის სარდალი ბუქსგევდენი, რომელსაც ოცდაცხრა ათასეული ქვეითი და ოცდათრი ესკადრონი ცხენოსანი ჯარი ჰყავდა, საცალად იმისა, რომ დასალუპად განწირული რუსეთის არმიას დახმარებოდა, მთელი ბრძოლის განმაულობაში ჯახირობდა მესამეხარისხოვანი პოზიციის გარშემო, სადაც საათობით აჩერებდა მას ფრანგების უმნიშვნელო რაზმი. და როდესაც ბუქსგევდენი ბოლოსდაბოლოს მიხვდა, რომ საჭიროა უკან დახევა, მან ეს ისე გვიან და უხეიროდ ჩაატარა, რომ მისი კორპუსის რამდენიმე ათასი კაცი ფრანგებმა ტბებისაკენ უკუაგდეს და ისინი იქ დაიხრჩვნენ, ვინაიდან ნაპოლეონმა, შენიშნა რა ეს მოძრაობა, ბრძანა ყუმბარები დაეშინათ ყინულისათვის. დანარჩენები ტყვედ წაიყვანეს.

იმპერატორები — ფრანცი და ალექსანდრე — ბრძოლის ველიდან გაიქცნენ დიდი ხნით ადრე საბოლოო კატასტროფამდე. მათი ამალა აქეთ-იქით გაიფანტა, მათ გზაში მიატოვეს თავიანთი მონარქები, რომლებიც შეშინებული გაიქცნენ ბრძოლის ველიდან, მალე დაშორდნენ ერთმანეთს და გაიქცნენ სხვადასხვა მიმართულებით.

ზამთრის მოკლე დღე ილეოდა. კაშკაშა მზე, რომელიც მთელი დღის განმავლობაში ანათებდა, ჩავიდა, ალექსანდრე და ფრანცი სიბნელემ იხსნა ტყეობისაგან. ალექსანდრე ციებ-ცხელებიანივით ცახცახებდა და გონებადაბნეული ტიროდა. ის შემდეგ დღეებშიც გარბოდა. დაჭრილი კუტუზოვი ძლივს გადაურჩა ტყეობას.

დაღამდა. ყველაფერი დასრულდა. მრავალრიცხოვანი ამალით, მარშლებით, გვარდიის გენერლებით და ადიუტანტებით გარემოცული ნაპოლეონი მიდიოდა ფართო ველზე და წამდაუწუმ აწყდებოდა ადამიანებისა და ცხენების ურიცხვ გვამსა და ლეშს. იმპერატორისაკენ გამორბოდნენ ჯარისკაცები და აღფრთოვანებული შეძახილებით ეგებებოდნენ მას.

დაახლოებით თხუთმეტი ათასი მოკლული რუსი და ავსტრიელი, ოცი ათასამდე ტყვე, მტრის თითქმის მთელი არტილერია და, რაც მთავარია, ფაქტიური განადგურება რუს-ავსტრიელთა არმიისა, რომლის სამი მეოთ-

ხედი აქეთ-იქეთ მიმოიფანტა, მიატოვა მთელი თავისი ვეებერთელა აღალი, საომარი საჭურველის მთელი მარაგი, დიდძალი სურსათ-სანოვაგე, — ასეთი იყო საერთოდ ამ გამარჯვების შედეგი. ფრანგებმა ამ ბრძოლაში ცხრა ათასამდე კაცი დაკარგეს (ოთხმოც ათასში).

მეორე დღეს საფრანგეთის არმიის ყველა ნაწილში კითხულობდნენ ნაპოლეონის ბრძანებას. "ჯარისკაცებო მე თქვენი კმაყოფილი ვარ: აუსტერლიცთან ბრძოლაში თქვენ შეასრულეთ ყველაფერი, რასაც თქვენი სიმამაცისაგან მოველოდი. თქვენ უკვდავი სახელით შეამკეთ თქვენი არწივები (საფრანგეთის არმიის დროშაზე გამოხატული იყო არწივი). ასიათასიანი არმია, რომელსაც რუსეთისა და ავსტრიის იმპერატორები მეთაურობდნენ, ოთხ საათზე უფრო ადრე გაფანტულ იქნა. ისინი, ვინც იქეკის მახეულს გადაურჩნენ, ტბებში დაიხრჩენენ" — ასე იწყებოდა ეს ბრძანება.

ავსტრიის იმპერატორმა ფრანცმა დაუყოვნებლივ განუცხადა ალექსანდრეს — ბრძოლის განგრძობა ყოველად წარმოუდგენელიაო. ალექსანდრე დაეთანხმა. ფრანცმა გამარჯვებულს წერილი გაუგზავნა, სადაც პირად შეხვედრას სთხოვდა. ნაპოლეონი ფრანცს შეხვდა თავის ბანაკში, აუსტერლიცის მახლობლად. მან ზრდილობიანად მიიღო ავსტრიის იმპერატორი, მაგრამ უწინარეს ყოვლისა მოითხოვა, რომ რუსეთის არმიის ნარჩენები დაუყოვნებლივ გასულიყვნენ ავსტრიიდან და თვითონვე დაუნიშნა მათ განსაზღვრული ეტაპები. მან განაცხადა, რომ საზავო მოლაპარაკებას აწარმოებს მხოლოდ ავსტრიასთან. ფრანცი, რასაკვირველია, სიტყვაშეუბრუნებლად დათანხმდა.

ევროპის სახელმწიფოთა მესამე კოალიციის არსებობა დასრულდა.

1805 წლის ნოემბრის მეორე ნახევრის განმავლობაში და დეკემბრის დასაწყისში უილიამ პიტი დიდი მღელვარებით ელოდა ცნობებს გენერალური ბრძოლის შესახებ. ინგლისის მთავრობის მეთაურმა, ნაპოლეონის წინააღმდეგ მესამე კოალიციის შემქმნელმა და სულისჩამდმელმა, იცოდა, რომ ახლა ინგლისი დიდი ხნით უზრუნველყოფილია თავდასხმისაგან: ჯერ კიდევ 1805 წლის 21 ოქტომბერს ტრაფალგარიანი გამართულ საჭიღვაო ბრძოლაში ადმირალი ნელსონი თავს დაესხა საფრანგეთ-ესპანეთის გაერთიანებულ ფლოტს, გაანადგურა იგი და თვითონაც დაიღუპა ამ ბრძოლაში.

ამ დღიდან ნაპოლეონს ფლოტი არ ჰყავდა. მაგრამ უილიამ პიტს სხვა რამის ეშინოდა. მან, ისე როგორც ინგლისის მთელმა საეკლესიო და სამრეწველო ბურჟუაზიამ, იცოდა, რომ საქმე ამით არ გათავდებოდა, რომ ნაპო-

ლეონს სწორი გეზი ჰქონდა აღებული იმისაკენ, რათა ინგლისელი ვაჭრები სავსებით განედევნა ევროპის იმ ქვეყნებიდან, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მისი ხელქვეითნი უნდა გამხდარიყვნენ. ეს კიდევ არაფერი; ნაპოლეონის ხელთ იყო კონტინენტის უმდიდრესი ქვეყნები, ნავსადგურები და ნავსაშენები და მას ყოველგვარი საშუალება ჰქონდა აეგო ახალი ფლოტი და კვლავ აღედგინა ბულონის ბანაკი...

პიტი გააცვიფრა მაკის კატასტროფამ ულმში, ნაპოლეონის შესვლამ ვენაში, ფრანგების მიერ ხიდის აღებამ და ნაპოლეონის არმიის მიერ დევნილი კუტუზოვის გაქცევის მსგავსმა უკანდახევამ. მაგრამ კოალიციაში მონაწილეობის პრუსიის აშკარა თანხმობამ კვლავ ფრთები შეასხა მის იმედებს. შორეულ მორავიაში, სადღაც ოლმიუცის მახლობლად, უნდა გადაწყვეტილიყო დიდი საკითხი: დაემხობა ნაპოლეონის დიქტატურა ევროპის ნახევარზე, თუ კონტინენტის მეორე ნახევარიც დაემორჩილება მას.

ბოლოს ინგლისში მიიღეს პირველი (ჰოლანდიური) გაზეთები საბედისწერო ცნობით: მესამე კოალიცია სამუდამოდ და სამარცხვინოდ სისხლში ჩაიხრჩო აუსტერლიცის ველებზე; პარლამენტის წრეებში ხმამაღლა ბრალს სდებდნენ უილიამ პიტს დამღუპველი ილუზიების გამო, ოპოზიცია მოითხოვდა მის გადადგომას, გაიძახოდა იმ სირცხვილის შესახებ, რომელიც თავს დაატყდებოდა ინგლისსაც, გაიძახოდა ინგლისის ოქროს მილიონებზე, რომელიც გადაიყარა უხეიროდ ჩაშლილი კოალიციის შექმნაზე. პიტმა ვერ აიტანა ნერვიული ძრწოლა, ავად გახდა, ლოგინად ჩავარდა და რამდენიმე კვირის შემდეგ, 1806 წლის 23 იანვარს, გარდაიცვალა. როგორც მაშინ ამბობდნენ, აუსტერლიცმა ნაპოლეონის ეს ყველაზე უდრეკი და ნიჭიერი მტერიც იმსხვერპლა. ახალმა კაბინეტმა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ფოქსი, გადაწყვიტა ზავის წინადადებით მიემართა ნაპოლეონისათვის.

ნაპოლეონი გამარჯვების მწვერვალზე იყო. ის კარნახობდა პირობებს, მის ფეხქვეშ ეგებოდნენ დამარცხებული და ომში ჩაუბმელი სახელმწიფოებიც. არაჩვეულებრივი ოსტატობით გამოიყენა მან თავისი დიდი გამარჯვება. როგორც იქნა, დიდი ხნის მგზავრობის შემდეგ, ფრიდრიხ-ვილჰელმ III-ის ულტიმატუმით ვენაში ჩავიდა პრუსიის დიპლომატი ჰაუგვიცი. პირველი ნაბიჯი, რომელიც მან გადადგა, იყო ის, რომ დაივიწყა თავისი ჩასვლის მიზანი. იგი გამოეცხადა ნაპოლეონს უტკბესი ღიმილით, თაყვანისცემით მხურვალედ ულოცავდა მის უდიდებულესობას ყველა მტრის შანადგურებას. ჰაუგვიცი საშინელი დამფრთხალი იყო, როგორც, ხვათა შორის, მისი მეფეც, რომელიც თავზარდაცემული ელოდა სამაგიეროს გა-

დახდას ფრიდრიხის კუბოსთან წარმოთქმული ფიცისა და თავისი სხვა მოქმედებისათვის.

ნაპოლეონი ჯერ აყვირდა, თქვა — კარგად ვიცნობ პრუსიულ გაიძვერობასო, მაგრამ შემდეგ თანახმა გახდა დაევიწყებინა და ეპატიებინა ყველაფერი, მხოლოდ ერთი პირობით: პრუსია მისი მოკავშირე უნდა გახდეს. ამ კავშირის პირობები ასეთი იყო: პრუსიამ უნდა გადასცეს ბავარიას თავისი სამხრეთი სამფლობელო ანშპახი; პრუსია აძლევს საფრანგეთს თავის სამფლობელოს — ნეშატელისა და კლევეს სამთავროებს ქალაქ ვეზელით; სამაგიეროდ ნაპოლეონი უთმობს პრუსიას ინგლისის მეფის კუთვნილ ქალაქს ჰანოვერს, რომელიც ჯერ კიდევ 1803 წელს დაიკავეს მისმა ჯარებმა. პრუსია ხდება საფრანგეთის მოკავშირე, ე.ი. ომს უცხადებს ინგლისელებს. ჰაუგვიცი ყველაფერზე დაეთანხმა. დათანხმდა აგრეთვე მისი მეფე ფრიდრიხ-ვილჰელმიც, მით უმეტეს, რომ იგი უარესს მოელოდა. მოკავშირე ბავარიამ ავსტრიისაგან მიიღო ტიროლი, პრუსიისაგან ანშპახი, მაგრამ საერთოდ ნაპოლეონს მისცა თავისი მდიდარი სამრეწველო ოლქი — ბერგი. დაბოლოს ავსტრია ნაპოლეონს, როგორც მთელი იტალიის მფლობელს, უთმობდა მთელ ვენეციას და ვენეციის ოლქს, ფრიულს, ისტრიას და დალმაციას. საერთოდ, ავსტრია კარგავდა თავისი მოსახლეობის ერთ მეექვსედს (ოთხ მილიონს ოცდაოთხიდან) და სახელმწიფო შემოსავლის ერთ მეშვიდედს, აგრეთვე ვეებერთელა ტერიტორიას და გამარჯვებულს უხდიდა ორმოც მილიონ ფლორინს ოქროთი.

ზავს ხელი მოაწერეს პრესბურგში 1805 წლის 25 დეკემბერს. რამდენიმე დღით ადრე ნაპოლეონმა მჭიდრო თავდაცვითი და შეტევითი კავშირი შეკრა ბავარიასთან, ვიურტემბერგთან და ბადენთან. საფრანგეთისა და იტალიისაკენ დაიძრა ურიცხვი საბარგული ავსტრიიდან წამოღებული ნადავლით. არსენალებიდან და ბრძოლის ველიდან წამოიღეს ორი ათასი ზარბაზანი, ასიათასზე მეტი თოფი და სხვ.

მაგრამ ვიდრე განადგურებულ ავსტრიას დატოვებდა, ნაპოლეონმა კიდევ ერთი საქმე გააკეთა. ნეაპოლის მეფე ფერდინანდი და მისი ცოლი კაროლინა ჯერ კიდევ 1805 წლის ოქტომბერში, ტრაფალგართან ბრძოლის შემდეგ, გაცთუნებულნი იმ აზრით, რომ ამ ჯერად ნაპოლეონი დამარცხდებოდა, ინგლისსა და რუსეთს დაუკავშირდნენ. ნეაპოლელი ბურბონების ეს დინასტია განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდიდა ნაპოლეონის ულელს და სძულდა იგი. ახლა აუსტერლიცის შემდეგ, ეს მათ ერთობ ძვირად დაუჯდათ. "ბურბონები ველარ იმეფებენ ნეაპოლში", — თქვა ნაპოლეონმა და უბრძანა საფრანგეთის ჯარებს დაუყოვნებლივ დაეჭირათ ნეაპოლის

მთელი სამეფო. ბურბონები გაიქცნენ კუნძულ სიცილიაზე, ბრიტანეთის ფლოტის მფარველობით, ხოლო ნაპოლეონმა მალე ნეაპოლის მეფედ დანიშნა თავისი ძმა იოსები. შემდეგ უხვად დააჯილდოვა წარჩინებული გენერლები, ოფიცრები და ჯარისკაცები ფულით, ორდენებით, სამხედრო ხარისხის ამაღლებით, ზოგიერთები ორი-სამი ხარისხით ერთბაშად, და 1806 წლის 26 იანვარს ვენიდან გაემგზავრა პარიზს და ურიცხვი ხალხით გარემოცული შევიდა ტიულრის სასახლეში. გავიდა კიდევ რამდენიმე დღე, და მან გაიგო, რომ მისი შეურიგებელი მტერი, უილიამ პიტი გარდაიცვალა სამი დღით ადრე პარიზში მის დაბრუნებამდე და რომ ინგლისს ზავი სწადია. ახლა მას მართლაც შეეძლო თავისთავი კარლოს დიდად, დასავლეთის იმპერატორად ეგრძნო.

დიდებული ნადიმები, დარბაზობა, ბანკეტები, სასახლის ბრწყინვალე ცხოვრება გარს ეხვია ნაპოლეონს. მლიქვნელი კარისკაცები თვალებში შესცქეროდნენ იმპერატორს, აღმერთებდნენ და უსირცხვილო პირფეროებით მიმართავდნენ.

1806 წლის შუა თვეებში კავშირი საბოლოოდ ჩამოყალიბდა და 12 იულისს ნაპოლეონის ბრძანებით გერმანიის ყველა ხელმწიფემ ხელი მოაწერა სათანადო ხელშეკრულებას. რაინის კავშირში შევიდნენ: ბავარია, ვიურტემბერგი, რეგენსბურგი, ბადენი, ბერგი, ჰესენ-დარმშადტი, ნასაუ და კიდევ გერმანიის რვა სამთავრო. ამ კავშირმა თავის პროტექტორად* "აირჩია" იმპერატორი ნაპოლეონი. იმპერატორის მიერ ამ ახალი ხარისხის მიღებისათვის მადლობის ნიშნად რაინის კავშირი ვალდებულებას კისრულობდა ომის დროს ნაპოლეონის განკარგულებაში სამოცდასამი ათასი ჯარისკაცი გამოეყვანა. წერილ დამოუკიდებელ მფლობელთა მთელი მასა, რომელიც წინათ ავსტრიელ ჰაბსბურგთა გვარეულობის იმპერატორთა უმაღლეს სუვერენიტეტს ემორჩილებოდა, ამიერიდან უნდა დამორჩილებოდნენ რაინის კავშირის იმ ხელმწიფეებს, რომელთა სამფლობელოებსაც მიემატა მათი მიწაწყალი.

ამითვე უკანასკნელ მნიშვნელობას კარგავდა "რომის საღმრთო იმპერია", როგორც უწოდებდნენ ავსტრიის იმპერატორთა უზენაეს ძალა-უფლებას დაქსაქსული გერმანიისა და მისი ფაქტიურად დამოუკიდებელი მთავრობის მიმართ. თითქმის ათასი წელი არსებობდა ეს ტიტული. ახლა (1806 წელს) ავსტრიის იმპერატორმა ფრანცმა ხელი აიღო მასზე იმპერატორ ნაპოლეონის პირდაპირი წინადადებით.

ნაპოლეონის ამ ახალმა გამარჯვებამ, მისი სამფლობელოების ახალმა მნიშვნელოვანმა გაფართოებამ ძლიერ შეაშფოთა და გააგულისა პრუსიის

მთავრობა. რაინის კავშირი ნაპოლეონის ძალა-უფლებას ამყარებდა გერმანიის შუაგულში და პირდაპირ ემუქრებოდა პრუსიის მთლიანობას. საფრთხეს აძლიერებდა კიდევ ის გარემოება, რომ რაინის კავშირის მომზადებასთან ერთად ნაპოლეონმა რამდენიმე დანიშნა მოახდინა.

ჯერ კიდევ 1806 წლის 15 მარტს მარშალი მიურატი დანიშნა კლევესა და ბერგის (დასავლეთ გერმანიაში) დიდ ჰერცოგად; 30 მარტს ნეაპოლის მეფედ დანიშნა იოსებ ბონაპარტი, ხოლო მარშალი ბერტიე — ნეშატელის მთავრად; 5 ივნისს ნაპოლეონის მეორე ძმა ლუდოვიკ ბონაპარტი დანიშნულ იქნა ჰოლანდიის მეფედ, საგარეო საქმეთა მინისტრი ტალეირანი — ბენევენტის მთავრად, მარშალი ბერნადოტი — პონტე-კორვოს მთავრად სამხრეთ იტალიაში. ესენი იყვნენ არა ვასალები, არამედ ნაპოლეონის უბრალო ნაცვლები და გენერალ-გუბერნატორები. ეს კარგად იცოდა მთელმა ევროპამ.

პრუსიის მეფე უკვე 1806 წლის გაზაფხულის დასაწყისშივე დარწმუნდა, თუ რა სახიფათო დგომარეობაში ჩავარდა იგი. მართალია, ნაპოლეონმა მას "აპატია", მან კიდეც მოისურვა, რომ პრუსია მის მოკავშირედ გამხდარიყო, საჩუქრად ჰანოვერს დაპირდა, მაგრამ ამის საპასუხოდ ინგლისმა პრუსიას ომი გამოუცხადა, ჰანოვერს კი ნაპოლეონი მაინც არ აძლევდა, მას იქ თავისი ჯარი ჰყავდა. სწორედ ამ დროს ფრიდრიხ-ვილჰელმ III შეიტყო, რომ ინგლისის მთავრობის ხელმძღვანელმა ფოქსმა ელჩი მიავლინა პარიზში ნაპოლეონთან საზავო მოლაპარაკებისათვის და ნაპოლეონმაც აგრძნობინა მას, რომ თუ კი ინგლისი მასთან სასურველ პირობებში შეკრავდა ზავს, იგი ინგლისის მეფეს ჰანოვერს დაუბრუნებდა. პრუსიის სამეფო კარი და მთავრობა მიხვდა, თუ რარიგად მოატყუეს ისინი. ყველაზე მეტად აღშფოთებული იყვნენ იმ წრეებში, რომლებიც მთელი 1805 წლის განმავლობაში ამაოდ არწმუნებდნენ ფრიდრიხ-ვილჰელმს მესამე კოალიციას მიმხრობოდა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ამას შეეძლო აუსტერლიცის აცილება და იზოლაციისაგან პრუსიის ხსნა.

ამავე დროს ნაპოლეონი კვლავ ომისათვის ემზადებოდა. 1806 წელს, ივლისში, რაინის კავშირის დაარსების შემდეგ, მან პირდაპირ განუცხადა საკანონდებლო კორპუსს, რომ მას ჰყავს ოთხას ორმოცდაათიათასიანი არმია და საშუალებაც აქვს, რომ უსესხოდ და უდეფიციტოდ შეინახოს იგი. ორასიათასამდე ჯარს იგი თავს უყრიდა რაინის ორივე მხარეზე, ელზასში, ლოტარინგიაში და ახლად შექმნილი რაინის კავშირის ქვეყნებში. გავრცელებული იყო საშინელი ხმები — საფრანგეთის იმპერატორი ახალი ომისათვის ემზადებაო.

პრუსიაში თავად-აზნაურობა და ბურჟუაზიის ერთი ნაწილი შეშფოთებული იყო. მეფეს ლაჩრობას აბრალებდნენ, პაუგეიცს — ღალატს. თავად-აზნაურობას სძულდა ნაპოლეონი როგორც ძველებურ ფეოდალურ ურთიერთობათა და მემამულეთა ბატონყმური ცხოვრების დამნგრეველი. პრუსიის ბურჟუაზიის ნაწილი გულისწუხილით ხედავდა, თუ რარიგ ენერგიულად აღმართა ნაპოლეონმა საბაჟოები და სხვა ზღუდეები თავის ვასალურ სამფლობელოებსა და პრუსიას შორის, რარიგ გეგმაზომიერად მოქმედებდა იგი საფრანგეთის მრეწველობის სასარგებლოდ და სხვათა საზარალოდ. პრუსიის ოფიცრობასა და გენერალიტეტში ადგილი ჰქონდა განხეთქილებას და სამაგიეროს გადახდის სურვილს იმ შეურაცხყოფისა, მოტყუებისა და სიძულვილისათვის, რომელსაც ნაპოლეონი არც კი მალავდა. დედოფალი ლუიზა (ფრიდრიხ-ვილჰელმ III მეუღლე) ამ თავად-აზნაურ ოფიცერთა სამხედრო პარტიის მეთაური იყო.

ინგლისიდან და რუსეთიდან ყოველგვარად ამხნევებდნენ და აიმედებდნენ პრუსიელებს, თუმცა თვით ინგლისი და რუსეთი ამ დროს უნაყოფო მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ნაპოლეონთან... უმთავრესი, რამაც მეფეს გაბედული ნაბიჯი გადაადგმეკინა, ის იყო, რომ ნაპოლეონი მაინც დაიწყებდა ომს, რამდენიც უნდა დაეთმოთ მისთვის. გადაწყდა ნაპოლეონისათვის ეთხოვათ განმარტება, თუ რა განზრახვები აქვს მას პრუსიის მიმართ. იმპერატორმა პასუხი არ გასცა.

ბერლინსა და მაგდებურგზე გავლით პრუსიის არმია დაიძრა დასავლეთის მიმართულებით; დედოფალი ლუიზა გამოდიოდა ჯარის შესახვედრად და მას მანიფესტაციებს უწყობდნენ. მეფე ფრიდრიხ-ვილჰელმი არმიაში გაემგზავრა.

"ნუთუ ფრიდრიხ დიდის არმია არ გაანადგურებს რეოლუციური სანკიულოტების ამ ჯარს*?" — ამბობდნენ ლუიზა დედოფლის ამალაში მყოფი ოფიცრები. მეფემ ახალი ნოტა გაუგზავნა ნაპოლეონს: ის მოითხოვდა პრუსიის საზღვრებიდან საფრანგეთის ჯარების მოშორებას. ამ მოთხოვნის პასუხად ნაპოლეონმა თავისი დიდი არმიით გადალახა პრუსიის საზღვარი.

პრუსიის განადგურება და გერმანიის საბოლოო დამორჩილება

(1806-1807)

1806 წლის 8 ოქტომბერს ნაპოლეონმა უბრძანა თავის ჯარს პრუსიის მოკავშირე საქსონიაში შესულიყო, და დიდი არმია, რომელიც პრუსბურგის ზავის შემდეგ ბავარიაში იყო თავმოყრილი, სამ ნაწილად გადავიდა საზღვარზე. წინ, ცენტრალურ ნაწილში კავალერიით მიდიოდა მიურატი, შემდეგ კი ნაპოლეონი მთავარი ძალებით. მოქმედ დიდ არმიაში იმ დროს ირიცხებოდა დაახლოებით ასოთხმოცდათხუთმეტი ათასი კაცი, ე.ი. ნაპოლეონის სამხედრო ძალების ნახევარზე ცოტა მეტი, ვინაიდან თავის იტალიურ სამფლობელოებში მას სამოცდაათიათასამდე კაცი უნდა დაეტოვებინა და დაახლოებით ამდენივე სხვა თავის უზარმაზარ სამფლობელოებში. მართალია, ეს ასოთხმოცდათხუთმეტი ათასიანი არმია იმ ახალწვეულებით უნდა შეევსებულიყო, რომელთაც ჯერჯერობით გამალებით ამზადებდნენ ზურგის ბანაკებში. ნაპოლეონის წინააღმდეგ პრუსიამ ცოტა ნაკლები რაოდენობის ჯარი გამოიყვანა: დაახლოებით ასსამოცდათხუთმეტი — ასოთხმოციათასი მებრძოლი.

იმ არაჩვეულებრივ, ელვისებრ სწრაფი და გამოუსწორებელი კატასტროფის ასახსნელად, რომელიც მალე თავს დაატყდა პრუსიას, რასაკვირველია, საკმარისი არ არის აღინიშნოს საფრანგეთის დიდი არმიის უმნიშვნელო რიცხობრივი უპირატესობა, არ კმარა ასევე აღინიშნოს საფრანგეთის სარდლის სრულიად განსაკუთრებული სამხედრო ნიჭი და საუცხოოდ შერჩეული მარშლები და გენერლები, რომლებიც მან ირგვლივ შემოიკრიბა.

პრუსიის სათავეში იდგა მეფე, რომელიც თავს იწონებდა იმით, რომ იგი ბრანდენბურგის პირველი აზნაური და მემამულე იყო; საფრანგეთის სათავეში იდგა დიქტატორი, რომელიც თავის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ისახავდა ძლიერი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მქონე დამოუკიდებელი ნაციონალური სახელმწიფოს განვითარებას და კერძო საკუთრების პრინციპის აბსოლუტურად სრულ გატარებას.

ნაპოლეონის არმიის ორგანიზაციაზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ. პრუსის არმია სარკესავით ზუსტად ასახავდა სახელმწიფოს მთელ. ბატონყმურ სტრუქტურას. ჯარისკაცი ყმა გლეხია, რომელიც მემამულის როზგების შემდეგ ოფიცრების ფუხტელებისა და შპიცრუტენების* მსხვერპლი გახდა, მას სილის გაწნევით და პაღურით უმანსპინძლდებოდა ყველა, ვინც კი

მასზე მაღლა იდგა, დაწყებული ფელდფებელით; ის ვალდებული იყო მონურად დამორჩილებოდა უფროსებს, კარგად იცოდა, რომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო მისი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, რარიგ გაბედულად და წესიერად არ უნდა ებრძოლა. ოფიცერი მხოლოდ იმიტომაა ოფიცერი, რომ ის აზნაურია; იყვნენ ისეთი ოფიცრებიც, რომლებიც თავს იწონებდნენ ჯარისკაცებისადმი მკაცრი მოპყრობით და სწორედ ეს მიაჩნდათ ნამდვილ დისციპლინად. გენერლებად ხდებოდნენ ან უკვე სიბერეში, ან პროტექციითა და თავისი წარჩინებული გვარიშვილობით.

რა მოუვიდათ პრუსიის მმართველ წრეებს ამ მათვის საბედისწერო დროს — 1806 წლის ზაფხულის დასასრულსა და შემოდგომის დამდეგს? როგორ გაბედა ახლა გალაშქრება ფრიდრიხ-ვილჰელმ III, რომელსაც ერთი წლის წინათ ინგლისთან, აუსტრიასთან და რუსეთთან ერთად ეშინოდა ამ საშინელი იმპერატორის წინააღმდეგ გამოსვლა? ეს უფრო სასაწარკვეთილის გამბედაობა იყო — ის დარწმუნდა, რომ ვერაკითარი მორჩილებით ვერ გადარჩებოდა, რომ, სულერთია, რომ ნაპოლეონი მას თავს დაესხმოდა. მაგრამ ოფიცრობა, გენერალიტეტი, მთელი უმაღლესი თავად-აზნაურობა აღტაცებული იყვნენ და ხმამაღლა ტრაბახობდნენ, ჭკუას ვასწავლით კორსიკელ მეტიჩარას, ენგიენის ჰერცოგის მკვლელს, "ცხენზე მჯდომ რობესპიერს", ყმების განმთავისუფლებელს, სანკიულოტების წინამძღოლსო. ვის ამარცხებდა დღემდე ნაპოლეონი? კითხულობდნენ ისინი. მშიშარა სხვადასხვა ტომის აუსტრიელებს? ბარბაროს თურქებს და ეგვიპტელ მამელუკებს? უძლურ იტალიელებს? რუსებს, რომლებიც თითქმის ისეთივე ბარბაროსები არიან, როგორც თურქები და მამელუკები? ხომ არ გაცამტვერდება მისი დიდება როცა ის შეხვდება ისეთ ჯარს, რომელიც ჯერ კიდევ ფრიდრიხ II დიდმა შექმნა?

სამეფო კარის ოფიცერთა წრემ, მხედართმთავრებმა, გენერლებმა, დიდკაცობამ, დედოფალმა ლუიზამ და მისმა ღამქაშებმა უკიდურესი ქარაფშუტობა, ფანტაზიორობა და ბაქიობა გამოიჩინეს. მათ არაფრად მიაჩნდათ ის, რომ ნაპოლეონი რესურსებს აგროვებდა არა მარტო საფრანგეთიდან, არამედ მის მეერ უკვე დაპყრობილ რამდენიმე დიდი და მდიდარი ქვეყნიდან; ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ როგორც კი პრუსიის არმია მამაცური დარტყმით უკუაგდებდა ნაპოლეონს, როიალისტები აჯანყდებოდნენ ზურგში და დაამხობდნენ მას ბურბონების სასარგებლოდ. ძველს მთავარსარდალს, ბრაუნშვეიგის ჰერცოგს, როგორც მებატონეს, ყოველთვის სძაგდა ფრანგები — თავხედი რეოლუციონერები. მაგრამ მას ეშინოდა უძლეველი ბონაპარტისა და არცთუ ისე უჭერდა მხარს იმ სადღე-

სასწაულო და ძლევამოსილ განწყობილებას, რომელიც შექმნილი იყო ლუიზა დედოფლისა და უფლისწულ ლუდვიგის გარშემო.

ბერლინის ეკლესიებსა და პროვინციაში პასტორები თავიანთ მხრივ ადვილად კისრულობდნენ თავდებობას იმ მამაღმერთის საქმიან დახმარებაზე, რომელიც უძველესი დროიდან, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, სავსებით მეგობრულად ეპყრობოდა ჰოჰენცოლერნების დინასტიას. მოუთმენლად ელოდნენ პირველ ცნობებს ომის ასპარეზიდან, არავინ იცოდა, რომელი მხარე გადალახავდა საზღვარს...

ნაპოლეონის არმიის სამი კოლონა ფრანკონიის ტყით მიემართებოდა მდინარე ელბისაკენ, პრუსიის არმიის ზურგში.

პრუსიის მოკავშირე საქსონიაში ნაპოლეონის შეჭრის შემდეგ, მეორე დღეს, 9 ოქტომბერს, გაიმართა პირველი ბრძოლა (შლეიცთან). ავანგარდი — მიურატი და მარშალი ბერნადოტი — მიუახლოვდა პრუსიელთა რაზმს და ნაპოლეონის ბრძანებით შეუტია პრუსიელებს. ბრძოლა ხანმოკლე იყო. პრუსიელები უკუაგდეს, მათ დაკარგეს შვიდასამდე კაცი (მათ შორის სამასი მოკლული). მეორე დღეს, 10 ოქტომბერს, გაიმართა მეორე, ამ ჯერად უფრო სერიოზული ბრძოლა. მარშალი ლანი მიუახლოვდა ქალაქ ზაალფელდს, სადაც ცხრაათასიანი ჯარით იდგა უფლისწული ლუდვიგი, სასახლის სამხედრო პარტიის მეთაური. დაუყოვნებლივ ატყდა ბრძოლა, რომელიც კვლავ ფრანგების გამარჯვებით დასრულდა. შეუპოვარი წინააღმდეგობის შემდეგ პრუსიელები გაიქცნენ, ათასხუთასამდე მოკლული და ტყვე დაკარგეს, ბრძოლის დასასრულს თვით უფლისწული ლუდვიგი ხიშტით განგმირეს.

ზაალფელდიდან უკუქცეული პრუსიელები შეუერთდნენ პრუსიის არმიის მთავარ ძალებს, რომლებიც ქალაქ იენის მახლობლად იდგნენ თავად ჰოჰენლოეს მეთაურობით. პრუსიის მთავარი ძალების მეორე ნაწილი, თვით ბრაუნშვეიგის ჰერცოგის მეთაურობით, ჩრდილოეთისაკენ — ნაუმბურგისაკენ იხევდა, მაგრამ მას არ ეწერა იქ მისვლა.

როდესაც ბერლინში ზედიზედ მოვიდა ცნობები შლეიცთან და ზაალფელდთან გამართული ბრძოლებისა და უფლისწულ ლუდვიგის მოკვლის შესახებ, ყველას თავზარი დასცა ამ ამბავმა. უცნაური კი იყო, რომ პირველმა ორმა, თუნდაც მარცხიანმა, მაგრამ შედარებით უმნიშვნელო ბრძოლამ ასე მკვეთრად შეცვალა საზოგადოებრივი განწყობილება. არა თუ შენელდა უზომო ტრაბახი, არამედ, როგორღაც მეტად სწრაფად, დაბნეულობითა და შიშით შეიცვალა იგი. მხოლოდ დედოფალი ლუიზა არ დაეცა სულით, აღტაცებული იყო უფლისწულ ლუდვიგის გმირული სიკვდილით

და არწმუნებდა მახლობლებს — მომავალი გენერალური ბრძოლა ყველაფერს ერთბაშად გამოასწორებსო.

ნაპოლეონის ვარაუდით პრუსიის არმიის მთავარ მასას თავი უნდა მოეყარა ვეიმარის რაიონში, რათა განეგრძო ბერლინისაკენ უკანდახევა, და რომ გენერალური ბრძოლა გაიმართებოდა ვეიმართან 15 ოქტომბერს. მარშალი დავუ მან გაგზავნა ნაუმბურგისაკენ და შემდეგ პრუსიის არმიის ზურგში. ბერნადოტმა ბრძანება მიიღო დავუს შეერთებოდა. ნაპოლეონი იენისაკენ დაიძრა მარშლებ სელტთან, ნეისთან და მიურატთან ერთად. 13 ოქტომბერს საღამოს ნაპოლეონი ქალაქ იენაში შევიდა და მახლობელი მთების სიმაღლიდან დანახა მტრის დიდძალი ჯარი, რომელიც ვეიმარის გზით უკან იხევდა.

თავადმა ჰოჰენლოემ იცოდა, რომ ფრანგები იენაში შევიდნენ, მაგრამ წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ თვით ნაპოლეონიც იქ იმყოფებოდა რამდენიმე კორპუსით. 13-14 ოქტომბერს ღამით ჰოჰენლოე გზაზე შეჩერდა და ნაპოლეონისათვის მოულოდნელად გადაწყვიტა შებრძოლებოდა.

ჯერ კიდევ განთიადის წინ ნაპოლეონმა ჩამოუარა თავისი არმიის რიგებს, იგი ეუბნებოდა ჯარისკაცებს, რომ ეს ბრძოლა საფრანგეთის არმიას მისცემს მთელ პრუსიას, რომ იმპერატორს მათი ნაცადი ხიმამაცის იმედი აქვს და ჩვეულებისამებრ ზოგადად განუმარტა ჯარისკაცებს მომავალი ბრძოლის გეგმის მთავარი შინაარსი.

ინთლა. დადგა 1806 წლის 14 ოქტომბერი — დღე, რომელმაც გადაწყვიტა პრუსიის ბედი. ბრძოლა დაიწყო ალიონის პირველ საათებში; ეს ბრძოლა ხანგრძლივი და შეუპოვარი იყო, მაგრამ ფრანგებმა თავიდანვე ისეთ წარმატებას მიაღწიეს, რომ მტრის არავითარ ღონისძიებას არ შეეძლო მათი დაძლევა. ჯერ პრუსიელები და საქსონელები შეუპოვარი წინააღმდეგობით იხევდნენ უკან, მაგრამ ნაპოლეონმა იშვიათი სამხედრო ხელოვნებით მოუყარა თავი და ბრძოლაში ჩააბა სულტის, ლანის, ოჟეროს, ნეის კორპუსები და მიურატის კავალერიის საუკეთესო ნაწილები და ზუსტად განახორციელა თავისი გეგმა.

როდესაც პრუსიის არმია შედრკა და გაიქცა, ფრანგების გამოდევნება კიდევ უფრო დამღუპველი აღმოჩნდა დამარცხებულთათვის, ვიდრე აუსტერლიცთან ბრძოლის დროს. პრუსიის არმიის ნარჩენებმა მიაშურეს ქალაქ ვეიმარს, და მათ როგორც ქალაქამდე, ისე თვით ქალაქში დევნიდა მიურატის კავალერია. აქ განსაკუთრებით ბევრი პრუსიელი დაიღუპა; გაოფთრებული ფრანგი მხედრები ჩეხდნენ, ყურს არ უგდებდნენ ვედრებას შებრალების შესახებ, ჟლეტდნენ ტყვედ ჩავარდნილებს. პრუსიის არმია

სავსებით განადგურდა. უმნიშვნელო ნაწილმა თავს უშველა, დანარჩენი გაჟლიტეს, ტყვედ წაიყვანეს ან კიდევ (დიდი უმრავლესობა) უგზო-უკელოდ დაიკარგა.

ჰოჰენლოემ უკუქცეული ჯარის ბრბოებითურთ გაქცევა მოასწრო; ის მიეშურებოდა ნაუმბურგისაკენ, სადაც ეგულებოდა არმიის ხელუხლებელი მთავარი ნაწილი, ერთადერთი უკანასკნელი იმედი. პრუსიის არმიის ამ მეორე ნაწილთან, რომელსაც ბრაუნშვეიგის ჰერცოგი სარდლობდა, თვით მეფე ფრიდრიხ-ვილჰელმი იმყოფებოდა. აი უცებ იენიდან გაქცეულებს საღამოს და ღამით სრულიად მოულოდნელად შეემატნენ სხვა გაქცეულებიც, რომლებიც უამბობდნენ მათ, თუ რა ახალი უბედურება დაატყდა პრუსიას. როგორც გამოირკვა, ბრაუნშვეიგის ჰერცოგი ნაუმბურგამდე ვერ მივიდა და აუერშტედტის მახლობლად შეჩერდა, იენიდან ცოტათი ოც კილომეტრზე მეტი დაშორებით. და სწორედ აქ მოხდა მარშალ დავუსთან შეტაკება, ასე რომ აუერშტედტთან გამართული ბრძოლის დროს მებრძოლებს განუწყვეტლივ ესმოდათ არტილერიის სროლის შორეული ხმა, რომლის მნიშვნელობაც მათთვის ჯერ კიდევ გაუგებარი იყო. ძალების ნაკლებობის მიუხედავად (დავუს ჰყავდა სულ ერთი კორპუსი, ვინაიდან ბერნადოტისაგან დახმარება არ მიუღია), მან სასტიკად დაამარცხა პრუსის არმიის მთავარი ნაწილი. თვით ბრაუნშვეიგის ჰერცოგი გაცხარებული ბრძოლის დროს სასიკვდილოდ დაჭრილი დაეცა ბრძოლის ველზე. პრუსიელთა ამ არმიის უკუქცეული ნარჩენები, როგორც ვთქვით, იენიდან და ვეიმარიდან გამოქცეულებს შეუერთდნენ.

ამრიგად, მეფემ იენიდან გამოქცეულებისაგან გაიგო, რომ ნაპოლეონმა და მარშალმა დავუმ ორივე ბრძოლაში გაანადგურეს თითქმის მთელი პრუსიის არმია, ერთ დღეს, 14 ოქტომბერს. ევროპაში ამას არავინ, პრუსიის უბოროტესი მტრებიც კი, არ მოელოდა ასე მალე, პრუსიაში ნაპოლეონის შეჭრის ექვსი დღის შემდეგ.

სრულიად უჩვეულო შიშმა, რომლის მსგავსიც არასოდეს არ განეცადათ, შეიპყრო ლტოლვილები როცა მათ ერთმანეთისაგან გაიგეს, რომ ყველაფერი დაიღუპა და არავითარი არმია უკვე აღარ არსებობს.

პრუსიის ლტოლვილი არმიის ნაშთები თავგზა-აბნეულები გარბოდნენ. ფრანგები განაგრძობდნენ მტრის დევნას და გზადაგზა აგროვებდნენ სურსათ-სანოვაგით დატვირთულ აღალს, ეტლებს, ცხენებს, არტილერიას, ბრძოლისათვის სავსებით გამოსადეგს, -- ყველაფერს, რასაც ლტოლვილები გზაში ტოვებდნენ. ნაპოლეონი პირდაპირ ბერლინისაკენ მიდიოდა. გზაში მან ბრძანა დაეკავებინათ ჰესენ-კასელის საჰერცოგო, იქაური დი-

ნასტია დამხობილად გამოაცხადა, დაიკავა ბრაუნშვეიგი, დაიკავა ვეიმარი და ერფურტი, ნაუმბურგი, ჰალე, ვიტენბერგი. თავადი ჰოპენლოე გარბოდა ჩრდილოეთისაკენ, მან თავი მოუყარა სხვადასხვა კორპუსის თითქმის უიარაღო და უდისციპლინო ოცეთასამდე ჯარისკაცს.

ჩრდილოეთისაკენ გაქცეული არმიის რაოდენობა დღითიდღე კლებულობდა: მას მისდევდა მიურატი თავისი კავალერიით. პრენცლაუს იქით, შტეტინის გზაზე, ჰოჰენლოეს ყოველი მხრიდან გარს შემოერტყნენ და იგი უნდა დანებებულიყო. რამდენიმე დღით ადრე მარშალ ლანს, პირველ მოთხოვნისთანავე, წინააღმდეგობის გაუწევლად დანებდა ძლიერი ციხე-სიმაგრე შპანდაუ უამრავი სამხედრო საჭურველით. ჰოჰენლოეს კაპიტულაციიდან რამდენიმე დღის შემდეგ გენერალი ლასალი, რომელიც მეთაურობდა ჰუსარებს, მიუახლოვდა შტეტინს, მრისხანე ციხე-სიმაგრეს, რომელსაც საუცხოო არტილერია, დიდი გარნიზონი (ექვსი ათასზე მეტი კაცი) და უამრავი სურსათ-სანოვაგე ჰქონდა.

დიდი არტილერიით დაცული მძლავრი ციხე-სიმაგრე პირველი მოთხოვნისთანავე ტყვიის გაუსროლელად დანებდა ჰუსართა გენერალს, რომელსაც თან არც ერთი ზარბაზანი არ ჰქონდა. როგორღაც ერთბაშად და ყველგან უაღრესად საშინელმა შიშმა შეიპყრო დასაღუპავად განწირული პრუსიის არმიის უმაღლესი ოფიცრები და ჯარისკაცები; ნაქები დისციპლინის კვალიც აღარ დარჩა, პრუსიელი ჯარისკაცები ათასობით უვარდებოდნენ ტყვედ ფრანგებს. გენერლებიც და ოფიცრებიც ისეთ სასოწარკვეთას იჩენდნენ, რომელნიც გამარჯვებულ მტრებსაც რაღაც ყოველად წარმოუდგენლად მიაჩნდათ. თითქოს ეს არ იყო ის ხალხი, რომელიც სულ ორიოდე კვირის წინათ ასე ამაყად და გულდაჯერებით აპირებდა ბოლო მოეღო ნაპოლეონისათვის.

1806 წლის 27 ოქტომბერს, ომის დაწყებიდან ცხრამეტი დღისა და იენასთან და აუერშტედტთან გამართული ბრძოლების თორმეტი დღის შემდეგ, ნაპოლეონი ოთხი მარშლის, ცხენოსანი გრენადერებისა და გვარდიის ეგერების თანხლებით ზეიმით შევიდა ბერლინში. ქალაქის ბურგომისტრმა დედაქალაქის გასაღებები ჩააბარა ნაპოლეონს და სთხოვა დაენდო ბერლინი. ნაპოლეონმა ბრძანება გასცა, რომ გაეღოთ მაღაზიები და ქალაქში ნორმალური ცხოვრება დაეწყოთ. შეშინებული მოსახლეობა მოკრძალებული თაყვანისცემით ეგებებოდა იმპერატორს და სიტყვაშეუბრუნებლად ემორჩილებოდა.

ბერლინში დამკვიდრებისთანავე ნაპოლეონი პირველ ყოვლისა შეუდგა პრუსიის გაფანტული არმიის უკანასკნელი ნარჩენების განადგურებას.

უნდა ითქვას, რომ დარჩენილი იყო კიდევ ყველაზე უფრო ენერგიული პრუსიელი სარდლის გენერალ ბლუხერის რაზმი. გაფანტული და განადგურებული ნაწილებისაგან ბლუხერმა მოახერხა დაახლოებით ოცდათასამდე ჯარისკაცისა და ოფიცრის შეგროვება და მათთან ერთად გაიქცა ჩრდილოეთისაკენ მარშლებ ბერნადოტის, სულტისა და მიურატის მიერ დევნილი. იგი შეეიდა ლუბეკში. შემდეგ იწყებოდა დანიის საზღვარი, მაგრამ დანიამ, რომელსაც საშინლად ეშინოდა ნაპოლეონისა, კატეგორიულად აუკრძალა ბლუხერს საზღვარზე გადასვლა. მაგრამ ესეც ვერ იხსნიდა მას, ვინაიდან მარშლები კვალდაკვალ გადავიდოდნენ საზღვარზე. 7 ნოემბერს მარშლები შეეიდნენ ლუბეკში და ამ ქალაქის ქუჩებში თავს დაესხნენ ბლუხერის რაზმს. მოხდა საშინელი ხოცვა-ჟლეტა: ექვსი ათასამდე პრუსიელი აკუწეს ან ტყვედ წაიყვანეს ფრანგებმა. ბლუხერმა თოთხმეტიათასი კაცით მოასწრო ქალაქიდან თავის დაღწევა, მაგრამ დაღამებისას, ქალაქ ლუბეკის იქით, დაბლობში მას დაეწივნენ და გარსშემოერტყნენ მარშლები; ბლუხერი დანებდა დარჩენილი თოთხმეტიათასი ჯარისკაცით, ოფიცრებითა და გენერლებით, მთელი თავისი არტილერიითა და მარაგით.

ამავე დროს ფრანგები მიუახლოვდნენ კიუსტრინის ციხეს მდინარე ოდერზე. ისინი უკვე იმდენად შეეჩვივნენ ახლა იმ საყოველთაო არაჩვეულებრივ, წარმოუდგენელი შიშით სარგებლობას, რომლითაც მოცული იყო მთელი პრუსია იენის შემდეგ, რომ კიუსტრინის ციხესთან უარტილერიოდ მივიდა ქვეითი ჯარის ოთხი ასეული. და ამ მცირე რაზმის მეთაურმა მოითხოვა (ისე რომ საალყო სამუშაოებიც არ დაუწყია მტრის თვალის ასახვევად) ციხის კაპიტულაცია. და კიუსტრინის ციხე, საუცხოოდ შეიარაღებული ოთხიათასიანი გარნიზონით, ჩინებული არტილერიითა და სურსათ-სანოვაგის უდიდესი საწყობებით, — პირველი მოთხოვნისთანავე დანებდა მტერს. ძლიერი ციხე-სიმაგრეების ასეთი პანიკური, სამხედრო ისტორიაში არგაგონილი, ოდნავ წინააღმდეგობის გაუწეველად კაპიტულაციის სერია დასრულდა მაგდებურგის საინტერესო ისტორიით, რაც ნაპოლეონმა უცბად არც კი დაიჯერა, როცა პირველად მოახსენეს ამის შესახებ.

მაგდებურგში — მეტად ძლიერ, პირველხარისხოვან ციხე-სიმაგრეში, რომელსაც სამხედრო საჭურველის უდიდესი საწყობები და ძლიერი არტილერია ჰქონდა, რომელიც ამავე დროს დიდსა და ძლიერ საეჭრო ცენტრს წარმოადგენდა, დაბანაკებული იყო მრავალრიცხოვანი, კარგად შეიარაღებული ოცდაორიათასიანი გარნიზონი გენერალ კლეისტის მეთაურობით. ეს ოცდაორი ათასი კაცი და მაგდებურგის ციხე-სიმაგრე ბლუ-

ხერის კაპიტულაციის შემდეგ იყო უკანასკნელი პუნქტი, რომელსაც კიდევ შერჩენოდა პრუსიის შეიარაღებული ძალები.

მაგდებურგთან მივიდა მარშალი ნეი. ის ჩქარობდა და იმდენად დარწმუნებული იყო წარმატებაში, რომ არც გაისარჯა თან წაეღო საალყო არტილერია, წაიღო მხოლოდ სამი-ოთხი სმუბუქი ქვემეხი. ნეიმ წინადადება მისცა კლეისტს დაუყოვნებლივ დანებებოდა. კლეისტმა უარი უპასუხა. მაშინ მარშალმა ნეიმ ბრძანა სროლა აეტეხათ მსუბუქი მორტირებით. სროლას არავითარი ზიანი არ მიუყენებია (და არც შეეძლო მიეყენებინა) ქალაქისათვის, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა: გენერალი კლეისტი მთელი თავისი გარნიზონით დანებდა ნეის 8 ნოემბერს, და მარშალმა ქალაქში შესვლისთანავე იქ იპოვა უამრავი სამხედრო მარაგი და სხვადასხვა საქონლის მდიდარი საწყობები. შემდეგ კლეისტი თავის საქციელს იმით ხსნიდა, რომ როცა ფრანგებმა მორტირები გაისროლეს, ქალაქის მცხოვრებნი ძლიერ შეშინდნენ და სთხოვეს მას, როგორც ციხის უფროსს, დაუყოვნებლივ ჩაებარებინა ქალაქი. მოსახლეობის სურვილის თანახმად, იგი დანებდა.

მაგდებურგის დაცემის შესახებ ცნობის მიღებისთანავე ნაპოლეონმა, საფრანგეთმა და მთელმა ევროპამ გაიგეს, რომ პრუსიას ბოლო მოეღო, მთელი არმია ან განადგურებულია ან ტყვეობაშია; დანცინგს გარდა ყველა ციხე-სიმაგრე, დიდძალი მარაგით, სრულიად დაუზიანებელი, ფრანგების ხელშია; დედაქალაქი და თითქმის ყველა ქალაქი საფრანგეთის ხელისუფლებას ექვემდებარება, მოსახლეობა ყველგან სრულ მორჩილებას აცხადებს.

პრუსიის მეფემ, დედოფალმა ლუიზამ, მათმა შვილებმა და სამეფო კარმა (ძლიერ მცირე რიცხოვანმა) გაჭირვებული ხეტიალის შემდეგ თავი შეაფარეს პრუსიის მონარქიის განაპირას, ქალაქ მემელს. ფრიდრიხ-ვილჰელმის მთელი იმედი შერიგებისა და ზავის შესახებ ამაო იყო: ნაპოლეონი უსაშინელეს პირობებს აყენებდა. ნაპოლეონის ბრძანებით ფრანგული გაზეთები ბეჭდავდნენ ისეთ წერილებს, სადაც სასტიკი ირონიითა და გესლიანი დაცინვით იხსენიებდნენ დედოფალ ლუიზას; მას ასახელებდნენ იმ უბედურების მთავარ დამნაშავედ, რაც თავს დაატყდა პრუსიას.

გამარჯვებულის ასეთი ღვარძლიანი საქციელის მიუხედავად, ფრიდრიხ-ვილჰელმ III ნაპოლეონს მისწერა მოკრძალებული წერილი, სადაც მეფე იმედს გამოთქვამდა, რომ მისი უდიდებულესობა, იმპერატორი ნაპოლეონი კმაყოფილია მეფის სასახლისა პოსტდამში და რომ ყველაფერი წესრიგშია. ნაპოლეონს ამაზე პასუხი არ გაუცია.

მისი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში არასოდეს — არც მანამდე და არც შემდეგ — ნაპოლეონი არ ყოფილა იმ მდგომარეობაში, რასაც მან 1806 წლის შემოდგომაზე მიაღწია. ერთ თვეში, თუ ვიანგარიშებთ ომის დაწყების დღიდან (8 ოქტომბერი) მაგდებურგის დაცემამდე (8 ნოემბერი), მან საბოლოოდ დაანგრია მაშინდელი ევროპის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო, რომლისთვისაც მანამდე მას ანგარიში უნდა გაეწია. მისი გამარჯვება ამ-ჯერად ისეთი გამანადგურებელი და სრული იყო, როგორც არასოდეს.

პრუსიის მთავრობისა და პრუსიელი გენერლების პანიკური დაბნეულობა, პირველ დარტყმისთანავე წინააღმდეგობის გაწევაზე სრული უარის თქმა, მოსახლეობისა და მთელი სამოქალაქო ხელისუფლების აბსოლუტური მორჩილება, რაც ასე სწრაფად გამომჟღავნდა და დამკვიდრდა — ყოველივე ამას, და ასეთი მასშტაბით, ნაპოლეონი პირველად ხედავდა: მამელუკები ეგვიპტეში წინააღმდეგობას უწევდნენ, ავსტრიელები იბრძოდნენ, იტალიელები იბრძოდნენ; რუსები ძალიან მამაცურად იბრძოდნენ და აუსტერლიცის ველზე ცალკეულ ნაწილებს ისე მედგრად ეჭირათ თავი, რომ შემდეგ ნაპოლეონის მოწონებაც კი გამოიწვია.

აქ კი არმია, რომელიც თავს იწონებდა ფრიდრიხ დიდის ტრადიციებით, ქვეყანა, რომელსაც ყველაზე უფრო წესიერი და პატიოსანი ადმინისტრაცია ჰყავდა, მოსახლეობა, რომელიც თავისი საერთო კულტურულობით არაჯვის არ ჩამოუვარდებოდა ევროპაში და, პირიქით, ბევრს კიდეც აღემატებოდა ამ მხრივ, — უცებ, ერთბაშად, ინერტულ მასად იქცა. მთელი ევროპა შეშინებული და შეძრწუნებული იყო. გერმანულ სახელმწიფოებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. გერმანული ქვეყნები ერთი-მეორეს უსწრებდნენ და სრულ მორჩილებას უცხადებდნენ პოტსდამის სასახლეში მყოფ ნაპოლეონს.

საკვირველი ბუნებრივია, რომ ამ ოქტომბრისა და ნოემბრის დღეებში რაღაც სანეტარო ბურუსში მყოფმა ნაპოლეონმა, როცა მას ბერლინსა და პოტსდამში ყოველდღე მოდიოდა ცნობები ციხე-სიმაგრეებისა და პრუსიის არმიის უკანასკნელი ნარჩენების კაპიტულაციის შესახებ, როცა მას მუხლმოდრეკით ეკედრებოდნენ პატიებას და მფარველობას, როცა კურფიურსტები, ჰერცოგები და მეფეები მლიქვნელურად უცხადებდნენ უქვეშევრდომილეს გრძნობებს, — გადაწყვიტა სასაკედილო ლახვარი ჩაეცა თავის უმთავრესი მტრისათვის, ინგლისისათვის, რაც სწორედ ახლა, პრუსიის დაპყრობის შემდეგ, მისი აზრით, შესაძლებელი გახდა. სულ ორი კვირაც არც გასულა მას შემდეგ, რაც მაგდებურგი დანებდა მარშალ ნეის, და

იმპერატორმა 1806 წლის 21 ნოემბერს ბერლინში ხელი მოაწერა თავის ცნობილ დეკრეტს კონტინენტური ბლოკადის შესახებ.

კონტინენტურმა ბლოკადამ უდიდესი როლი შეასრულა ნაპოლეონის იმპერიის ისტორიაში, და არა მარტო ევროპის, არამედ ამერიკის ისტორიაშიც; ის გახდა მთელი ეკონომიური, შემდეგ კი პოლიტიკური ბრძოლის ბერკეტი საიმპერატორო ეპოპეის მთელი ხნის განმავლობაში.

რა იყო დამახასიათებელი თავისებურება ბერლინის დეკრეტისა ბლოკადის შესახებ? დეკრეტის პირველი პარაგრაფი იუწყებოდა: "ბრიტანეთის კუნძულები გამოცხადებულია ბლოკადის მდგომარეობაში". მეორე პარაგრაფი: "აკრძალულია ყოველგვარი ვაჭრობა და ყოველგვარი ურთიერთობა ბრიტანეთის კუნძულებთან". შემდეგ, აკრძალული იყო საფოსტო ან სხვაგვარი კავშირი ინგლისელებთან და ნაბრძანები იყო დაუყოვნებლივ დაეპატიმრებინათ ყველა ინგლისელი და ჩამოერთმიათ მათთვის მთელი საქონელი და ქონება საერთოდ.

საკმარისია ზერელედ ჩავუფიქრდეთ ბერლინის დეკრეტის ტექსტს, რომ გავიგოთ მისი ნამდვილი ისტორიული აზრი: ინგლისის ეკონომიურ ბლოკადას რამდენადმე არსებითი შედეგები ექნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ მთელი ევროპა ნაპოლეონის უშუალო გამგებლობაში ან მისი დაუყოვნებელი და უფლებამოსილი კონტროლის ქვეშ მოექცეოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში საკმარისი იყო რომელიმე ქვეყანა არ დამორჩილებოდა და განეგრძო ინგლისთან ვაჭრობა, რომ მთელი ეს დეკრეტი ბლოკადის შესახებ გაბათილებულიყო, ვინაიდან ამ ურჩი ქვეყნიდან ინგლისური საქონელი (არა ინგლისური მარკით) სწრაფად და ადვილად გავრცელდებოდა მთელ ევროპაში.

აქედან დასკვნა ცხადია: თუ კი ინგლისზე გამარჯვებისთვის საჭირო იყო კონტინენტური ბლოკადის ფიცხელი შესრულება ევროპის სახელმწიფოების მიერ, მაშინ აუცილებელი იყო ნაპოლეონის ნება-სურვილს დაჰმორჩილებოდა მთელი ევროპა და პირველყოვლისა საჭირო იყო ევროპის სანაპიროების დაპყრობა, რათა საფრანგეთის საბაჟო მოხელეებსა და ჟანდარმებს თავისებური გამგებლობა შემოეღოთ იქ და მართლაც მოესპოთ კონტრაბანდა. საჭირო არ იყო ნაპოლეონის სახელმწიფოებრივი გამჭრიახობა იმის გასაგებად, თუ რა საშინლად მძიმე იქნებოდა ეს ბლოკადა არა მარტო ინგლისისათვის, არამედ ევროპის მთელი მომხმარებელი მასისათვის, რომელსაც მოაკლდებოდა ინგლისური მანუფაქტურა და ინგლისის კოლონიური საქონელი — ბამბა, ყავა, შაქარი და მრავალი სხვა. ნაპოლეონმა წინასწარ იცოდა, თუ რამდენად ხელსაყრელი და ამის გამო აქტიუ-

რი იქნებოდა კონტრაბანდა ინგლისელი ვაჭრების მხრით, რა მოწადინებით, ხალისით დაეწაფებოდნენ კონტრაბანდას ფრანგი ვაჭრები, რომლებიც მიჩვეული იყვნენ ინგლისელებისათვის ნედლეულის მიყიდვას. ყოველივე ეს თავიდანვე გაითვალისწინა ნაპოლეონმა და ლოგიკური დასკვნა ერთი იყო: უნდა განეგრძო ევროპის კონტინენტის დაპყრობა (რაც ასე კარგად დაიწყო მან) და ამ გზით შესაძლებელი გაეხადა კონტინენტალური ბლოკადის ფაქტიური განხორციელება.

ნაპოლეონი მალე უნდა დარწმუნებულიყო, რომ არის მოსახლეობის მხოლოდ ერთი ფენა მთელს ევროპაში — სახელდობრ, სამრეწველო ბურჟუაზია, რომელიც მიესალმება ინგლისის კონკურენციისაგან თავის გადარჩენას. როდესაც საქსონიამ პრუსიის განადგურებისთანავე დაუყოვნებლივ უღალატა თავის მოკავშირე პრუსიას, მიემხრო ნაპოლეონს და ამასთანავე დაპირდა მას, რომ საკუთარი დაემორჩილებოდა კონტინენტალური ბლოკადის დეკრეტს, საქსონიის მრეწველებს სიხარულით ფრთები შეესხათ, მაგრამ ვაჭრები, მიწათმფლობელნი და მომხმარებელთა ფართო მასა შეშფოთებული და დამწუხრებული იყვნენ. მუშათა შორის (იმავე საქსონიაში) ორგვარი განწყობილება იყო: ერთი მხრით ისინი, როგორც ზოგიერთი საგნის მომხმარებლები, ცოტა არ იყოს, შეშფოთებული იყვნენ (თუმცა შაქრისა და ყავის ბედი მათ არ აინტერესებდათ), მაგრამ, მეორე მხრით, გახარებული იყვნენ იმით, რომ ბაზრებიდან ინგლისელების განდევნის შემდეგ შემცირდებოდა უმუშევრობა. ნაპოლეონს შეეძლო წინასწარ სცოდნოდა, რომ მხოლოდ ძალით, მხოლოდ დაშინებითა და ძალადატანებით შეიძლებოდა იძულებული გაეხადათ ევროპის ყველა ხალხი და მთავრობა მიეღოთ და ზუსტად შეესრულებინათ ბლოკადის ყველა მოთხოვნა.

დეკრეტის გამოცემის დღიდან, სახელდობრ, 1806 წლის 21 ნოემბრიდან, "კარლოს დიდის იმპერიის" შექმნა, მისი გაფართოება და განმტკიცება უშუალო საჭიროებად და ლოგიკურ აუცილებლობად იქცა ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლის იმ ეკონომიური სისტემის წარმატებისათვის, რომელიც ნაპოლეონმა აირჩია.

პოტსდამის სასახლეში იმპერატორთან გამოიძახეს საგარეო საქმეთა მინისტრი ტალეირანი და მას უბრძანეს დაუყოვნებლივ გაეგზავნა ყველა ვასალურ და ნახევრად ვასალურ ქვეყანაში ნაპოლეონის ბრძანება ბლოკადის შესახებ.

ამავე დროს იმპერატორმა უბრძანა მარშლებს რაც შეიძლება სრულად და სისტემატურად დაეპყრათ ჩრდილოეთის (გერმანიის) და ბალტიის

ზღვების ნაპირები. ნაპოლეონს სავსებით ესმოდა, რა საშინელი ღონისძიების გამოყენებაც გადაწყვიტა.

ევროპამ ჩუმი და მხდალი მორჩილებით მიიღო დეკრეტი ბლოკადის შესახებ. პრუსიის განადგურების შემდეგ ჯერ კიდევ არავინ გონს არ იყო მოსული, ბევრი შიშით ითვლიდა თავის არსებობის უკანასკნელ დღეებს და ელოდა დაღუპვას. ინგლისი მიხვდა, რომ ამიერიდან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იწყებოდა, და მან კვლავ მიმართა იმ სახელმწიფოს, რომელთანაც უკვე ორჯერ ჰქონდა საქმე — 1798 და 1805 წლებში. ალექსანდრე I კვლავ დაპირდნენ ფინანსურ დახმარებას, თუ იგი განაახლებდა ნაპოლეონთან ბრძოლას და შეეცდებოდა პრუსიის გადარჩენას.

ინგლისის კაბინეტმა ავსტრიასაც მიმართა, მაგრამ ეს სახელმწიფო ჯერ კიდევ წელში არ გამართულიყო აუსტერლიცის საშინელი აოხრების შემდეგ და ნიშნის მოგებით თვალყურს ადევნებდა პრუსიის დალუპვას, რომელმაც 1805 წელს ვერ გაბედა მესამე კოალიციის მხარეზე გამოსვლა. სამაგიეროდ პეტერბურგში ყველაფერი მზად იყო გამოსვლისათვის. ნაპოლეონს ყველა ქვეყანასა და დედაქალაქში, განსაკუთრებით კი პეტერბურგში, უამრავი ჯაშუში და მზვერავი ჰყავდა, დაწყებული გრაფებით, თავადებით და მაღალი წრის მედიდური ქალებით და გათავებული შკიპერებით, მედუქნეებით, ლაქიებით, ფოსტის მოხელეებით, ექიმებითა და შიკრიკებით. მათი მეშვეობით ნაპოლეონმა იცოდა, რომ ინგლისი მოლაპარაკებას აწარმოებდა რუსეთთან, იცოდა ალექსანდრე I განწყობილება და სამზადისი, იცოდა, რომ ინგლისი ახალ ოქროს სუბსიდიებს დაპირდებოდა რუსეთის მეფეს თუ იგი საფრანგეთის წინააღმდეგ გამოვიდოდა. ნაპოლეონმა თავის ვეებერთელა იმპერიის მართვის ცენტრი დროებით ბერლინში მოაწყო და შეუსვენებლივ დაიწყო მუშაობა ორი ძნელი ამოცანის გადასაჭრელად: ჯერ ერთი, მას უნდა გამოემუშავებინა ახლად გამოცხადებული კონტინენტური ბლოკადის რეალიზაციის ღონისძიებანი, და მეორე, — უნდა მოემზადებინა არმია, რომ ახლო მომავალში კვლავ შეხვედროდა რუსეთის ჯარებს, რომლებიც დასაღუპავად განწირულ პრუსიას უნდა დახმარებოდნენ.

ნაპოლეონმა ბრძანა ძველი სავაჭრო სანაპირო ქალაქების — ჰამბურგის, ბრემენისა და ლუბეკის — ოკუპაცია მოეხდინათ.

საფრანგეთის ჯარები გერმანიისა და ბალტიის ზღვების ნაპირებს მიყვებოდნენ, იჭერდნენ ქალაქებსა და სანაპირო სოფლებს, გზადაგზა აპატიმრებდნენ ინგლისელებს, ახდენდნენ ინგლისური საქონლის კონფისკაციას და ყველგან საგუშაგო პიკეტებსა და ცხენოსან პატრულებს აყენებდნენ

ინგლისური კონტრაბანდის დასაჭერად. ნაპოლეონი ენერგიულად შეუდგა საბაჟოების მოწყობას გერმანიის ზღვების ნაპირებზე და აგრეთვე ხმელეთის საზღვრებზე — იგი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ უზრუნველეყო ბლოკადის განხორციელება. აქამდე პრუსიას, საქსონიას და სხვა გერმანულ სახელმწიფოებს უნდა მიეწოდებინა მისთვის რესურსები საფრანგეთის დიდი არმიის შესანახად, რომელიც დაპყრობილ ქვეყანაში იდგა. ახლა ჰანზის ქალაქებს უნდა შეენახათ აგრეთვე საფრანგეთის საბაჟოების მოხელენი და სანაპიროების ცხენოსანი პოლიციელები, რომლებიც დაყენებული იყვნენ გერმანიის ზღვის ნაპირებზე ინგლისის ექსპორტის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამავ დროს ნაპოლეონი ენერგიულად ამზადებდა პოლონეთში შეჭრას და ახალ გალაშქრებას რუსების წინააღმდეგ, რომლებიც უკვე აღმოსავლეთ პრუსიის საზღვრებთან იყვნენ მისული.

პეტერბურგში გადაწყვიტეს ნაპოლეონის წინააღმდეგ პირველ რიგში გაეგზავნათ ასი ათასი კაცი არტილერიის მთავარი მასით და კაზაკთა რამდენიმე პოლკით. გვარდია ცოტა უფრო გვიან უნდა დაძრულიყო პეტერბურგიდან.

ნაპოლეონმა გადაწყვიტა დაესწრო რუსეთის არმიისათვის. უკვე ნოემბერში ფრანგები პოლონეთში შეეიდნენ. პოლონეთის თავად-აზნაურობა და მცირერიცხოვანი სავაჭრო-სახელოსნო ბურჟუაზია დიდი აღფრთოვანებით შეხვდა მათ მოსვლას, ისინი წინასწარ სიხარულით ეგებებოდნენ ნაპოლეონს, როგორც აღმდგენელს პოლონეთის დამოუკიდებლობისა, რომელიც მოისპო პოლონეთის სამი დაყოფის დროს XVIII საუკუნის დასასრულს. მაგრამ ნაპოლეონი გულგრილად ეკიდებოდა პოლონელებს და პოლონეთის დამოუკიდებლობის იდეას. პოლონელები მისთვის საჭირო იყვნენ მის გრანდიოზულ თამაშში როგორც ერთგვარი აკანპოსტი რუსეთისა და ავსტრიის წინააღმდეგ აღმოსავლეთ ევროპაში.

მკაცრი რეკვიზიციების საშუალებით ნაპოლეონმა მოახერხა გამოეწოვა პოლონეთიდან საკმაოდ დიდი ადგილობრივი რესურსები.

ნაპოლეონის საშინაო პოლიტიკა პოლონეთში წარმოადგენდა ნაბიჯს წინ პოლონეთის ბურჟუაზიული განვითარების გზაზე. ნაპოლეონის მიერ გამოქვეყნებული ვარშავის დიდი საპერცოგოს კონსტიტუციის პირველ მუხლში ნათქვამი იყო: "მონობა უქმდება. ყველა მოქალაქე თანასწორია კანონის წინაშე". მაგრამ "თავისუფალი მიწის-მუშა", რომელიც მიატოვებდა თავის სოფელს, ვალდებული იყო მემამულესათვის დაებრუნებინა ადგილ-მამული...

პრუსიის პოლონეთის ფეოდალურ კლეხობაში თავისუფალ მოქალაქეთა — საფრანგეთის არმიის ჯარისკაცთა გავლენით ეროვნული მოძრაობა დაიწყო მემამულეთა წინააღმდეგ. მაგრამ ეს მოძრაობა არ განეკითარებულა. გლეხთა განთავისუფლებას არ მოუსპია მემამულეთა ძალაუფლება.

ვინაიდან კვლავ გამოცოცხლდა იმედი იმისა, რომ პოლონეთი განთავისუფლდებოდა პრუსიის ბატონობისაგან. ხოლო მომავალში ავსტრიის უღლისაგანაც. თანაც პერსპექტივაში ჰქონდათ ლრტვის. ბელორუსიისა და უკრაინის შემოერთება. საფრანგეთის არმიას აღფრთოვანებით ეგებებოდნენ პოლონეთში. პიზნანში მარშალ დავუს ტრიუმფალური შეხვედრა მოუწყვეს. ამ პროვინციაში ყველგან. იქაც კი. სადაც ჯერ კიდევ არ მიელწია საფრანგეთის ჯარებს. პრუსიის ხელისუფალნი გადაიყენეს და პოლონელებით შეცვალეს. პრუსიის საწინააღმდეგო მოძრაობის დასაწყისში ძლავარი როლი შეასრულა საფრანგეთიდან დაბრუნებულმა. კოსტიუშკის აჯანყების მონაწილე კიბიცკიმ.

პრუსიელთა წინააღმდეგ მოძრაობა თანდათან ძლიერდებოდა. პირველ ხანებში ახლად შედგენილ ჯარში ეზნაური ძოლაშქრენი ჭარბობდნენ. მაგრამ უკვე 1807 წლის იანვრის დასასრულს ფრონტზე დანცინგის მახასკლელებთან რეგულარული პოლკებიც გაჩნდნენ. 1807 წლის თებერვალში უკვე 30 ათასიანი რეგულარული ჯარი შედგა იმ "პოლონური ლეგიონების" ყოფილ უნტერ-ოფიცერთა და ოფიცერთა კადრებით. რომლებიც შექმნა ბონაპარტმა 1796-1797 წლებში იტალიის კამპანიის დროს.

მაგრამ. საერთოდ რომ ვთქვათ. ფრანგების დასახმარებლად არავითარი საყოველთაო შეიარაღებული მოძრაობა არ დაწყებულა პოლონეთში. და მარშალი ლანი პოლონეთიდან ბერლინში წერდა ნაპოლეონს. რომ პოლონელებისაგან რაიმე აზრიანი მოქმედების ლოდინი ამაოა: ისინი ანარქიულად არიან განწყობილი და მათში მტკიცე რაიმეს შექმნა შეუძლებელია.

ნოემბრის გასულს ნაპოლეონმა მიიღო ცნობა. რომ რუსეთის არმიის მოწინავე ნაწილები ვარშავაში შეეფარნენ. ნაპოლეონმა უბრძანა მიურატს და დავუს დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყვნენ ვარშავისაკენ. 28 ნოემბერს მიურატი თავისი კავალერიით შეეფარა ქალაქში. რომელიც წინადღით დატოვეს პრუსიელებმა: მაი მდ. ვისლაზე კავლის შემდეგ დაწვეს ხიდი. ბოლოს თვით ნაპოლეონიც გაჩნდა პოლონეთში. ჯერ პიზნანში და შემდეგ ვარშავაში.

მისალოცად მასულ თავად-აზნაურობას მან განუცხადა. რომ მათ ჯერ უნდა დაიმსახურონ პოლონეთის აღდგენის უფლება. ნაპოლეონს კიდეც

სურდა პარიზიდან პოლონეთში გამოეწერა მაშინდელი პოლონეთის ეროვნული გმირი ტადეუშ კოსტიუშკო. რომელიც პოლონეთის დაყოფის წინააღმდეგ იბრძოდა ეკატერინე II დროს. მაგრამ კოსტიუშკო აყენებდა პირობებს. რომელთა მიზანი იყო პოლონეთის მომავალი თავისუფლების დაცვა თვით ნაპოლეონისაგან: ის კოსტიუშკოს დესპოტად მიაჩნდა. ფუშე. რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა პოლონელ პატრიოტთან. მიკრძალებით შეეკითხა იმპერატორს იმის შესახებ. თუ რა ეთქვა კოსტიუშკოსათვის. "უთხარით. რომ ის ბრიყვია" — უპასუხა იმპერატორმა. ნაპოლეონმა გადაწყვიტა საკუთარი ძალებით ემოქმედა. რადგან იმედი აღარ ჰქონდა. რომ ლიტვასა და ბელორუსიაში საყოველთაო აჯანყება დაიწყებოდა მეფის რუსეთის წინააღმდეგ.

დაიწყო რუსებთან ბრძოლა. ვარშავიდან გამოსვლისთანავე ნაპოლეონმა იერიში მიიტანა რუსეთის ჯარებზე. რამდენიმე შეტაკების შემდეგ 1806 წლის 26 დეკემბერს ბრძოლა გაიმართა პულტუსკთან (მდინარე ნარევზე). რუსებს მეთაურობდა პენიგსენი. რუსეთის არმიის ერთ-ერთი შედარებით ნიჭიერი გენერალი. ალექსანდრე მას ეპყროპოდა იმ ანტიპათიითა და შიშით. რასაც განიცდიდა პაულეს ყველა მკცლელის მიმართ (თუმცა ისინი მხოლოდ მისი თანამონაწილენი იყვნენ-ამ მკვლელობაში). მაგრამ რადგანაც უფრო შესაფერისი კაცი არ ჰყავდა. იგი დანიშნა სარდლად. ფრანგების ჯარებს მეთაურობდა მარშალი ლანი. ბრძოლა დამთავრდა ამათუიმ მხარეზე აშკარა უპირატესობის გარეშე. და. როგორც ყოველთვის ხდება ასეთ შემთხვევებში. ორივე მხარემ თავიან ხელმწიფეებს მოახსენეს გამარჯვების შესახებ. ლანმა მოახსენა ნაპოლეონს. რუსები დიდი დანაკლისით უკუგდებული არიან პულტუსკიდანო. ხოლო ბენიგსენმა მოახსენა ალექსანდრეს. თითქოს მან დაამარცხა თვით ნაპოლეონი (რომელიც არც კი გამოჩენილა არც პულტუსკში და არც პულტუსკის შორეულ მიდამოებში).

მაგრამ ფრანგება ამ ბრძოლაში დაინახეს, რომ მათ საქმე ექნებათ არა სულით დაცემულ პრუსიელებთან, არამედ ახალ, შეუპოვრად მებრძოლ ჯარებთან.

ნაპოლეონი საზამთროდ პოლონეთში დაბანაკდა და საფრანგეთიდან გამოიწვია დამხმარე ჯარები. რუსეთის არმიასაც ემატებოდა ახალი ძალები შიდა გუბერნიებიდან. პოლონეთში ნაპოლეონს ჰყავდა სულ დაახლოებითას ას ხუთი ათასი კაცი. ამათგან ოცდაათიათასამდე გარნიზონებად იდგა ქალაქებში და ყოველი შემთხვევისათვის საფარ რაზმებად იყო დატოვებული ტორნსა და გრაუდენცს შორის მემელიდან მოსალოდნელი მოძრა-

ობის წინააღმდეგ. თუმცა ფრიდრიხ-კილჰელმს თითქმის არაკითარი ძალები არ ჰყავდა. ბენიგსენის განკარგულებაში იყო თოხმოცი ათასი კაცი. ორივე მხარე ელოდა შეხვედრას.

ეს შეხვედრა მოხდა 1807 წლის 8 თებერვალს ქალაქ ეილაუსთან (უფრო ზუსტად პრეისშ-ეილაუსთან). აღმოსავლეთ პრუსიაში. ნაპოლეონი პირადად სარდლობდა საფრანგეთის არმიას.

ეილაუსთან ბრძოლა იყო. ამ დროის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ხახლისმღვრელი ბრძოლა. რომელმაც ამ მხრივ ნაპოლეონის თითქმის ყველა წინანდელ ბრძოლას გადააჭარბა; იგი ყოფილი დასრულდა. ბენიგსენმა დაკარგა თავისი არმიის მესამედზე მეტი. ორივე მხარე დიდად დაზარალდა ამ ბრძოლაში. რუსეთის არტილერია საფრანგეთის არტილერიაზე უფრო მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა. და გარდა ამისა ყველა მარშალი თავის დროზე არ მისულა ბრძოლის ასპარეზზე. მარშალ იუერის თითქმის ძალიანი კორპუსი გაანადგურა რუსეთის არტილერიამ ცეცხლმა. თვით ნაპოლეონი ქვეითი ლეგიონებით იდგა ქალაქ ეილაუს სახაფლაზე. ბრძოლის ცენტრში. და კინაღამ იმსხვერპლა რუსების ყუმბარებმა. რომლებიც მის გარშემო ცვიოდა. მას წამდაუწუმ თავზე ეყრებოდა გასროლილი ყუმბარებითა და ტყვიებით ჩამომტვრეული ხის ტოტები. ნაპოლეონი ყოველთვის იმ აზრისა იყო, რომ მთავარსარდალმა არ უნდა გაწირის თავისი სიცოცხლე. თუ ამას უკიდურესი საჭიროება არ მოითხოვს. მაგრამ აქ. ეილაუსთან. ის ხედავდა. რომ კვლავ. როგორც ლოდისთან და არკოლის ხიდთან. სწორედ ასეთი უკიდურესი საჭიროება იყო. მაგრამ აქ. ლოდისთან ან არკოლის ხიდთან. იგი პირველი უნდა შეეებრძოლა ტყვიებს ხიდზე. რაია ამ მაგალითითა. და ჟესტით თან გაეყოლა შემძრკალი გრენადერები. ეილაუსთან საჭიროება მოითხოვდა. რომ ქვეითი ჯარი საათობით მოთმინებით მდგარიყო რუსების ყუმბარების ქვეშ და არ გაქცეულიყო ბრძოლის ველიდან.

ნაპოლეონისა და მის გარშემო მყოფთათვის ცხადი იყო. რომ მსოფლიო იპერატორის პირადი მონაწილეობა ასეთ ადგილზე ქვეითი ჯარის ამ ხანგრძლივ მდგომარეობაში. იმპერატორი უძრავად იდგა ერთ ადგილზე და იძლეოდა ახალ-ახალ ბრძანებებს იმ სამი ადიუტანტის მეშვეობით. რომელთაც მოახერხეს დაუზიანებლად მისულიყვნენ ამ ხანგრძლივ ადგილთან. სადაც რამდენიმე როტა ქვეითი ჯარით გარემოცული იდგა ნაპოლეონი. მის ფეხთით ეგდო რამდენიმე მოკლული ოფიცრისა და ჯარისკაცის გვამი. ნაპოლეონის გარშემო მყოფი ქვეითი ჯარის ასეულები ნადგურდებოდა რუსების ცეცხლით და მათ ცვლიდნენ ახლად მოსული ეგერები. გვერდიის

გრენადერები და კირასირები. ნაპოლეონი ძმაკაცად იძლეოდა ბრძანებებს და. ბოლოს და ბოლოს მიაღწია იმას, რომ ფრანგების მიულმა კავალერიამ წარმატებით მიიტანა იერიში რუსების მოავარ ძალებზე. ამ იერიშმა გამოიასწორა მდგომარეობა. ეილაუს სასაფლაო ფრანგებს დარჩათ. ბრძოლის ცენტრი გადავიდა იმ ველებროელა სოფლის სხვა ადგილებში, სადაც ბრძოლა წარმოებდა.

როდესაც ღამის წყვდიადმა მოიცვა ველი, ფრანგები გამარჯვებულად ოვლადნენ თავს. ვინაიდან ბენიგსენმა უკან დაიხია. ნაპოლეონი თავის ბანელიტენებში აუწყებდა გამარჯვების შესახებ. მაგრამ, რასაკვირველია, მან ყველაზე უკეთ იცოდა, რომ არავითარი ნამდვილი გამარჯვება ამ სახლიან დღეს მას არ მოუპოვებია, თუმცა დიდძალი ხალხი დაკარგა. მან იცოდა, რომ რუსებმა გაცილებით მეტი დაკარგეს, ვიდრე მან (თუმცა, სხვათა შორის, მან სრულებითაც არ დაუკარგავთ რაკეთი არმიის ნახევარი, როგორც ფრანგები ამტკიცებდნენ). მაგრამ ნაპოლეონმა ისიც იცოდა, რომ ბენიგსენს კიდევ შერჩა მრავალი, უალრესად ბრძოლისუნარიანი ჯარი და სრულებითაც არ ოვლის თავს დამარცხებულად, არამედ პირიქით, ისიც თავის გამარჯვებაზე გაიძახის.

ცივი და ნისლიანი ზამთარი იდგა. უნდა დაბანაკებულიყვნენ სრულიად აოხრებულ პოლონეთში და აღმოსავლეთ პრუსიაში. ჰოსპიტლები ავსებული იყო ეილაუსთან ბრძოლაში მძიმედ დაჭრილებით. ბრძოლის ველიდან რამდენიმე კილომეტრის მანძილზე არეკლილ კრცელდებოდა ათეული ათასი ეახრწნილი და აუღებელი ვვამის სუნი.

ნაპოლეონმა გადაწყვიტა მოეცადა ვაზაიეხულის დადგომისათვის, რაც კანონიერებანა საომარი მოქმედება. იგი ძუდამ ჰარადად ამოწმებდა და კონტროლს უწევდა ამ ველებროელა რაიონის შორეულ პუნქტებს. იგი ხახულობდა ჰოსპიტლებს, ოკალყურს აღვლებდა სურსათ-სანოვაგის მიზიდვას. ახალი ძალებით საფრანგეთიდან ჩამოსული ახალწვეულებით ავსებდა თავისი არმიის შეთხელებულ რიგებს. იმპერატორს მხედველობაში ჰქონდა, რომ რუსები ოთოქმის თავიანთ სახლში არიან, თავიანთი სახლვრებიდან ორი ნაბიჯით დაშორებულნი, ხოლო იგი დაშორებულია საფრანგეთს ამ ეკროპული სახელმწიფოების ტერიტორიებით, რომლებიც მან. მართალია, დაამარცხა, ოთოქმის დაიპყრო, მაგრამ რომელთაც ძალულად სძულდათ იგი. საჭირო სარსათ-სანოვაგე მას შორიდან უნდა მიეღო. აღკალიბრავი მცხოვრებნი სამოლოდ კეთარცული იყვნენ როგორც რუსებს, ისე ფრანგების მიერ და ოვითონ ახო

ნაპოლეონს არ სურდა კომფორტით გაეტარებინა ეს ზამთარი მის მიერ დაკავებულ ერთ-ერთ ქალაქში, პოზნანში, ბრესლავლში ან ვარშავის დიდებულ სასახლეში. როგორც ყოველთვის, მას სურდა პირადი მაგალითით გაემხნევებინა ჯარისკაცები ამ მძიმე ლაშქრობაში.

"მე ერთხელაც არ გამიხდია ჩექმები თხუთმეტი დღის განმავლობაში... ჩვენ ვიმყოფებით თოვლსა და ტალახში, უღვინოდ, უარაყოდ, უპუროდ, ვსაზრდოობთ კარტოფილითა და ხორცით, ყოველგვარი მოწყობილობის გარეშე ვახდენთ ხანგრძლივ გადასვლებსა და კონტრგადასვლებს; დაჭრილებს ვეზიდებით ღია მარხილებით ორმოცდაათი ლიეს მანძილზე... ჩვენ ვიბრძვით მთელი ძალღონით და ომის მთელი საშინელებით" --- ასე სწერდა იმპერატორი ამ საზამთრო ბანაკებიდან თავის ძმას იოსებს, რომელიც მან ნეაპოლის მეფედ დანიშნა.

ნაპოლეონს ხშირად არა თუ თხუთმეტი დღის განმავლობაში ფეხთ არ გაუხდია, როცა იგი ბანაკებისა და ჰოსპიტლების დასათვალიერებლად დადიოდა, არამედ ხანდახან ცხენზე ეძინა კიდეც. საკვები ხორცი მლაშე და მაგარი იყო, კარტოფილი — უმი. დროგამოშვებით პური სრულიად ქრებოდა, მხოლოდ ზაფხულის დამდეგს მდგომარეობა ნაწილობრივ გაუმჯობესდა.

უნებური სამხედრო შესვენების ეს თვეები ყველაზე უფრო გაცხარებული მოღვაწეობის დრო იყო ნაპოლეონისათვის. თითქმის ყოველ სამოთხ დღეში პარიზიდან, ამსტერდამიდან, მილანიდან, ნეაპოლიდან და ბერლინიდან ჩამოდიოდნენ შიკრიკები მინისტრების მოხსენებებით, მარშლებისა და მეფისნაცვალთა რელაციებით*, ელჩების ცნობებით. ნაპოლეონი თვითმპყრობელურად მართავდა რამდენიმე დიდ სახელმწიფოს და ყოველთვის პირადად წყვეტდა ყველა მნიშვნელოვან საკითხს. ცხოვრობდა იგი ხან ბელელში, ხან გლეხის ქოხში, იქ არჩევდა მოსულ ქაღალდებს და უკარნახებდა ბრძანებებსა და რეზოლუციებს.

დღის განმავლობაში იგი ბევრის გაკეთებას ასწრებდა: წერდა ბრძანებებს საბაჟო ზედამხედველობის გაძლიერებაზე, ცვლილებები შეჰქონდა ოფიცერთა ქალიშვილების ინსტიტუტის წესდებაში და ხელს აწერდა მათ; საყვედურს უცხადებდა ჰოლანდიის მეფეს, თავის ძმას ლუდოვიკს ან მეორე თავის ძმას იოსებს, ნეაპოლის მეფეს, ან ბავარიის მეფისაგან მოითხოვდა ზედამხედველობის გაძლიერებას ტიროლში. ბრძანებას აძლევდა ესპანეთის ბურბონებს, რათა გაეძლიერებინათ სანაპირო დაცვა და ამავე დროს თვალყურს ადევნებდა ლიტერატურას, ცხარობდა ჟურნალ "Mercure de France"-ის ლიტერატურულ შეხედულებათა გამო, რომლე-

ბიც მისი აზრით, შეუსაბამო და სულელური იყო, და ბრძანებას აძლევდა პოლიციის მინისტრს ფუშეს დაუყოვნებლივ შეეცვალათ ამ ჟურნალის ლიტერატურული სახე ბარემ კიდეც გამოეძებნა მისთვის ახალი რედაქტორი, და რომ ახალი რედაქტორი ჭკვიანი ყოფილიყო.

ის მოითხოვდა ცნობებს ლიონის აბრეშუმის წარმოებისა და აგრეთვე იმის შესახებ, თუ რად აძლევენ პარიზის სახელმწიფო თეატრის მსახიობ ქალებს იმის ნებას, რომ მათ ინტრიგები მოუწყონ ერთმანეთს და ამით ზიანი მოუტანონ საქმეს. ბრძანებას იძლეოდა, რათა პარიზიდან გაეძევებინათ ქ-ნი სტალი, მისი ლიბერალური შეხედულებების გამო, ამოწმებდა ფინანსთა სამინისტროს ანგარიშებსა და მოხსენებებს და შეცდომებსა და ნაკლოვანებებს ნახულობდა მათში; საშსახურიდან ითხოვდა და ნიშნავდა მოხელეებს იტალიაში, იძლეოდა განკარგულებებს, რომ ფხიზლად ედევნებინათ თვალყური ავსტრიისათვის და ავსტრიელთა სამხედრო მზადებისათვის და რევიზიას ნიშნავდა პრუსიის ქალაქებსა და სოფლებში, გებულობდა საქონლის ფასებს იმპერიის სხვადასხვა ადგილებში.

ამ უამრავ და სხვადასხვა ხასიათის საქმეს ნაპოლეონი წყვეტდა ნათლად, ზუსტად, ყოველგვარი დაყოვნების გარეშე, და ის არა მარტო წყვეტდა იმ საქმეებს, რომელთაც მას მინისტრები, გენერლები და ელჩები უგზავნიდნენ, არამედ თვითონაც აყენებდა ახალ საკითხებს დაბრძანებას იძლეოდა სასწრაფოდ დაემუშავებინათ სათანადო მოხსენებები. და შიკრიკები კისრის ტეხით გარბოდნენ დანიშნული მიმართულებით და ბრძანება სრულდებოდა.

ყოველივე ამას ნაპოლეონი აკეთებდა თავის მთავარ საქმიანობასთან — მომავალი საგაზაფხულო კამპანიის დიპლომატიურ და სამხედრო მზადებასთან — ერთად.

ნაპოლეონმა ჩინებულად მოახერხა ის, რისკენაც ისწრაფოდა უკვე 1806 წლის დამლევიდან: მან უფრო ენერგიული მოქმედებისათვის წააქეზა თურქეთის სულთანი, რომელმაც ომი გამოუცხადა რუსეთს. მან იმდენად ოსტატურად შედგენილი წერილი გაუგზავნა (1807 წლის მარტში) თურქეთის სულთანს, ხოლო მანამდე იგივე სულთანი სელიმი ისე მოხერხებულად წაკიდა ინგლისს, რომ სელიმმა გაცილებით უფრო ენერგიულად დაიწყო მოქმედება. ამ გარემოებამ რუსეთის ძალების ნაწილი ჩამოაშორა ვისლასა და ნემანს, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო მომავალი კამპანიის ბედი. ერთხანს ნაპოლეონი მოლაპარაკებას აწარმოებდა პრუსიის სამეფო კართან, რომელსაც კენიგსბერგში შეეფარებინა თავი. მისი პირობები მეტად მკაცრად ეჩვენა ფრიდრიხ-ვილჰელმ III, რომელიც ოდნავ გამ-

ხნევდა ეილაუს შემდეგ. ალექსანდრე I-ის დაჟინებითი მოთხოვნით, პრუსიის მეფემ შეწყვიტა ეს მოლაპარაკება.

ნაპოლეონისათვის ომში წვრილმანი არ არსებობდა და ამიტომ მან ყოველივე აწონ დაწონა, ყოველივე გაითვალისწინა, რადგან იცოდა, თუ რა წვრილმანებზეა ზოგჯერ დამოკიდებული ბრძოლის შედეგი გადამწყვეტ მომენტში. ახალი ჯარი, ახალი არტილერია და საბრძოლო საჭურველი იმპერატორის ბანაკში იგზავნებოდა და აქ თვით ნაპოლეონი ანაწილებდა კორპუსების მიხედვით. მან თავის დროზე გამოსცა მთელი რიგი დადგენილებები და დადო ხელშეკრულებანი, რომლების მიხედვითაც ივსებოდა მისი არმია გერმანელებით, იტალიელებითა და ჰოლანდიელებით.

ევროპა იმ დროს იმდენად დაშინებული იყო, რომ ნაპოლეონი ყველაფერს აკეთებდა, რასაც მოისურვებდა, იმ სახელმწიფოებშიც კი, რომლებიც არც მასთან და საერთოდ არც არავისთან არ ომობდნენ. მაგალითად, როდესაც ის რუსეთთან შეტაკებისათვის თავისი ჯარის ნაწილებს ავსებდა, მან იგულისხმა, რომ ესპანეთს შეიძლება მოეთხოვოს დაახლოებით თხუთმეტი ათასი კაცი (თუმცა, სხვათა შორის, მას არავითარი უფლება და საფუძველი არ ჰქონდა ამისათვის, მით უმეტეს, რომ ესპანეთი სრულებითაც არ ეომებოდა არც პრუსიას და არც რუსეთს). მადრიდში ფიცხლად იგზავნება ქაღალდი, რომლითაც ნაპოლეონი ესპანეთის მინისტრის დონგოდოის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ეს თხუთმეტი ათასი კაცი "აბსოლუტურად უსარგებლოა" თავისთავად, მისთვის, კი ნაპოლეონისათვის, პირიქით, ძლიერ სასარგებლო იქნებოდა. ეს არგუმენტი (სხვა არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო) იმდენად დამაჯერებელი აღმოჩნდა ესპანეთის მთავრობისათვის, რომ თხუთმეტი ათასი ესპანელი დაუყოვნებლივ გაუგზავნეს ნაპოლეონს აღმოსავლეთ პრუსიაში და ნაწილობრივ ჩრდილოეთ გერმანიაში.

1807 წლის მაისისათვის ნაპოლეონის განკარგულებაში იყო რვა მარშალი, რომელთა კორპუსებში ირიცხებოდა ორას ოცდარვა ათასი კაცი და, გარდა ამისა ოკუპირებულ პრუსიაში იდგა დაახლოებით ას სამოცდაათი ათასიანი ჯარი, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო ჩაბმული დაწყებულ საგაზაფხულო კამპანიაში. სურსათ-სანოვაგის საქმე გაზაფხულზე გამოსწორდა. 26 მაისს — შედარებით ხანგრძლივი ალყის შემდეგ — მარშალ ლეფევრს დანებდა დანციგი და იქ აღმოჩენილ იქნა უამრავი სურსათ-სანოვაგე და ყოველგვარი მარაგი.

საქმის დასასრული ახლოვდებოდა. რუსეთის არმია, რომელიც ამ ხნის განმავლობაში (ეილაუს შემდეგ) აგრეთვე შეივსო რიცხობრივად, გაცი-

ლებით უარესად იყო მომარაგებული, ვიდრე ნაპოლეონის დიდი არმია. ბოროტმოქმედება, რასაკვირველია, საფრანგეთის არმიაშიც ხდებოდა; ნაპოლეონი დაუნდობლად დევნიდა ქურდებსა და მექრთამეებს, სპეკულანტებს, მოიჯარადრეებს, არაკეთილსინდისიერ ფინანსისტებს და საქონლის შემსყიდველებს, მაგრამ მაინც ვერ მოსპო ისინი ბოლომდე. ამ ბრძოლაში მან ვერ გაიმარჯვა, და საფრანგეთში კიდეც ამბობდნენ: ქურდებს მხოლოდ ეცინებათ, როდესაც იმპერატორს "უძლეველს" უწოდებენ; ქურდები მან ვერ დაამარცხაო. მაგრამ რუსების წესებთან რაიმე შედარებაც კი შეუძლებელი იყო. აქ აღვნიშნეთ, რომ 1807 წლის ზამთარში ფრანგებს უჭირდათ ცხოვრება ამ აოხრებულ ქვეყანაში; რუსები გაცილებით უარესად ცხოვრობდნენ. რუსი ჯარისკაცები შიმშილობდნენ, სიცივით იყინებოდნენ, იხოცებოდნენ.

ალექსანდრე I აუსტერლიცის გამეორებისა ეშინოდა. რუსეთის მმართველ და სამეფო კართან დაახლოებულ წრეებში დიდი ხანია წარმოიშვა აზრი, რომ საჭიროა არა მარტო მატერიალური, არამედ რუსეთის ხალხის მთელი სულიერი ძალების დაძაბვა და მათი შეგულიანება "დიდი" ბრძოლისათვის. მეტად კურიოზული შედეგები ჰქონდა ამ აზრს. ხალხის შესაგულიანებლად მიმართეს სინოდს*. სინოდმა — არ ვიცით, სხვისი ჩაგონებით იყო ეს, თუ საკუთარ მოზღვავებულ აზრთა ზეშთაგონებით — უცნაური ღონისძიებების განხორციელება განიზრახა, რამაც იმ დროს ბევრი საგონებელში ჩააგდო. გამოქვეყნდა ეპისტოლე ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისადმი მათი სულიერი მოძღვრებისაგან; ამ ეპისტოლეში იუწყებოდნენ, რომ ნაპოლეონი არის ანტიქრისტეს წინამორბედი, რომ ის ქრისტეს სარწმუნოების ძველი მტერია, ებრაელთა სინედრიონის* შემქმნელი, რომ მან ერთ დროს უარყო ქრისტიანობა და მიემხრო მაჰმადს (ეს იყო გადაკრული სიტყვა ეგვიპტისა და სირიის შესახებ), რომ რუსეთთან წარმოებული ომის პირდაპირი და მთავარი მიზანია მართლმადიდებელი ეკლესიის დანგრევა.

ასეთი იყო შინაარსი ამ განსაცვიფრებელი დოკუმენტისა, რომელსაც რუსეთის ყველა ეკლესიაში კითხულობდნენ ამბიონიდან. "ანტიქრისტეს" ლაშქართან ბრძოლისათვის რუსეთის ეს "იდეოლოგიური" მომზადება ჯერ კიდევ სათანადოდ არ იყო გაშლილი, რომ გადამწყვეტი მომენტი დადგა.

მაისის დასაწყისიდან ნაპოლეონის ბრძანებით ყველა ჯარის ნაწილი, რომელიც ქალაქებსა და სოფლებში იმყოფებოდა, ბანაკად გავიდა და მალე არმია მზად იყო ბრძოლისათვის. ბენიგსენმა ეს არ იცოდა და გადაწყვიტა ივნისის დამდეგს დაეწყო შეტევა. მას ძალიან აჩქარებდა არმიაში

ჩამოსული ალექსანდრე I, რომელიც თვით ბენიგსენის გაზვიადებულ ცნობებს ემყარებოდა; ბენიგსენმა შეალამაზა ეილაუსთან ბრძოლის ამბავი და ბოლოს კიდეც დაარწმუნა მეფე, რომ ნაპოლეონმა სასტიკი შარცხი განიცადა 8 თებერვალს და რომ ახლა, როცა ზამთარი დასრულდა და გზები გაიხსნა, საჭირო არ არის დაყოვნება.

რუსეთის არმიის შეტევა დაიწყო 5 ივნისს: ბენიგსენის ბრძანებით ბაგრატიონის თავს დაესხა მარშალ ნეის კორპუსს, რომელიც ყველაზე წინ იყო წამოწეული რუსეთის არმიის მიმართულებით, ხოლო კაზაკების ატამანი პლატოვი გადავიდა მდინარე ალეზე. ნეიმ ბრძოლით დაიწყო უკან დახევა; მის წინააღმდეგ მოქმედებდა და საერთოდ მას ემუქრებოდა ოცდაათ ათასამდე კაცი, გაცილებით მეტი, ვიდრე თვითონ მას ჰყავდა. ამავე დროს დაიწყო რუსეთის ჯარების შეტევა სხვა პუნქტებშიც.

ნაპოლეონი ფიქრობდა 10 ივნისს დაეწყო შეტევა რუსეთის არმიის წინააღმდეგ. რუსების უეცარი შემოტევის გამო იგი იძულებული გახდა მაშინვე შეედგინა ახალი გეგმა. ნაპოლეონი დაუყოვნებლივ მივიდა საომარ მოქმედებათა ასპარეზზე და გაუკვირდა, როცა დაინახა, რომ რუსები უეცრად, გაურკვეველი მიზეზის გამო, შეჩერდნენ, შეწყვიტეს ნეის კორპუსის დევნა და ორი დღეც კი არ შეჩერებულან, მოულოდნელად უკან გაბრუნდნენ. ნაპოლეონმა სწრაფად მოუყარა თავი და შეამჭიდროვა ექვსი კორპუსი, გარდა ამისა თავისი გვარდიაც (სულ ას ოცდახუთი ათასზე მეტი კაცი) და უბრძანა მარშლებს საერთო კონტრშეტევა დაეწყოთ რუსების წინააღმდეგ. ბენიგსენს ამ დროს ჰყავდა, ზოგიერთის გამოანგარიშებით, ორმოცდახუთი ათასი ხოლო სხვების ანგარიშით — დაახლოებით ასი ათასამდე ბრძოლაში გამოსადეგი ჯარისკაცი. ჰეილსბერგის მიდამოებში ბენიგსენი შეჩერდა გამაგრებულ პოზიციაზე, და აქ 10 ივნისს გაიმართა ბრძოლა, რომელიც რამდენიმე საათს გაგრძელდა. ფრანგების ავანგარდმა მოკლულებისა და დაჭრილების სახით რვა ათასამდე კაცი დაკარგა, რუსებმა — დაახლოებით ათი ათასი. ნაპოლეონმა ორ კორპუსი გაგზავნა კენიგსბერგის გზაზე და ამ მანევრის შედეგად ბენიგსენმა დაიხია ბარტენშტეინისაკენ, ჩრდილოეთ აღმოსავლეთით. ბენიგსენი ბრძოლაში დაჭრეს. ჰეილსბერგთან გამართულ ბრძოლას, ბენიგსენის აზრით, რამდენადმე უნდა შეეჩერებინა ნაპოლეონი, მაგრამ იმპერატორმა თავისი მთავარი ძალები ეილაუს გზით პირდაპირ კენიგსბერგისაკენ მიმართა. მან გაითვალისწინა, რომ ბენიგსენი შეეცდებოდა ეხსნა აღმოსავლეთ პრუსიის ეს მთავარი ქალაქი. და მართლაც, 14 ივნისს, ღამის 3 საათზე, მარშალმა ლანმა შენიშნა, რომ რუსების არმია, რომელიც წენადღით დაბა ფრიდლანდში შეეიდა, ემ-

ზადებოდა, იქიდან მდ. ალეს დასავლეთ ნაპირზე გადასასვლელად, რათა კენიგსბერგის მიმართულებით დაძრულიყო. მარშალმა ლანმა დაუყოვნებლივ სროლა აუტეხა მათ.

ასე დაიწყო 1807 წლის 14 ივნისს გრანდიოზული ბრძოლა, რომლითაც დასრულდა ეს ომი. ლანმა ადიუტანტების საშუალებით აცნობა ეს ნაპოლეონს. იმპერატორმა მაშინვე უბრძანა მთელ თავის ჯარს წასულიყო ბრძოლის ადგილისაკენ და თვითონაც იქით გაეშურა. მან აღმოაჩინა ბენიგსენის დამღუპველი შეცდომა: ბენიგსენი ჩქარობდა მდინარეზე გადასვლას და თავის არმიის დიდ ნაწილს მოუყარა თავი მდ. ალეს მოსახვევში, სადაც მას გარს შემოერტყნენ ფრანგები. მარშალმა ნეიმ სახიფათო დავალება მიიღო — ის უნდა შეჭრილიყო რუსების ჯარში. რუსები (განსაკუთრებით კავალერგარდები კოლოგრივოვის მეთაურობით) ძალიან მამაცურად იცავდნენ თავს, და ნეის კორპუსის ნაწილი, რომელიც მეტად მჭიდროდ იყო დაწყობილი შეტევისათვის, განადგურებულ იქნა. ფრანგები ბრძოლით შეეიდნენ ფრიდლანდში და დაანგრიეს ხიდები მდ. ალეზე.

ნაპოლეონი პირადად ხელმძღვანელობდა ბრძოლას. როდესაც მას თავზე ყუმბარამ გადაუქროლა და მის გვერდით მდგომი ჯარისკაცი სწრაფად დაიღუნა, იმპერატორმა, რომელსაც ამ დროს თავიც არ დაუხრია, უთხრა შეშინებულ ჯარისკაცს: "ეს ყუმბარა რომ შენთვის ყოფილიყო დანიშნული, მაშინ ასი ფუტის სიღრმეზე რომ ჩამალულიყავ.მიწაში, იგი მაინც მოგნახავდა". რუსების ჯარების სიმამაცის მიუხედავად, მთავარსარდალი ბენიგსენის საბედისწერო შეცდომამ საბოლოოდ დაღუპა ისინი: რუსების ჯარი მდინარეში უნდა გადავარდნილიყო, რომ თავი დაეხსნა საფრანგეთის არტილერიის ცეცხლისაგან. მისი ნაწილი გაიქცა მდინარის გასწვრივ, ნაწილი ტყვედ დანებდა; მაგრამ ტყვედ ჩავარდნილი ცოტა აღმოჩნდა; გაცილებით მეტი მდინარეში ჩაიხრჩო. რუსების თითქმის მთელი არტილერია ხელთ იგდო ნაპოლეონმა. არტილერიის დაკარგვისა და საშინელი დანაკლისის შემდეგ (ოცდახუთ ათასზე მეტი მოკლული, დაჭრილი და ტყვე) ფრანგების მიერ შევიწროებულმა ბენიგსენმა სწრაფად დაიხია მდ. პრეგელისაკენ. სრული განადგურებისაგან გადარჩენის ერთადერთი შანსი გაქცევა იყო.

ფრიდლანდთან გამართული ბრძოლის შემდეგ მარშალი სულტი დაუყოვნებლივ შეეიდა კენიგსბერგში, სადაც ხელთ იგდო უამრავი საომარი საჭურველი, პური, ტანსაცმელი — ყოველივე ეს სწორედ ახლახან ზღვით მოეტანათ ინგლისელებს, რომლებიც ასეთ უეცარ კატასტროფას არ მოელოდნენ.

ნაპოლეონის არმია 19 ივნისს მივიდა ნემანთან, ფრედლანდთან მომხდარი ბრძოლიდან ხუთი დღის გასვლის შემდეგ რუსეთის არმიის ნარჩენებმა მოასწრეს მდინარეზე გადასვლა. ნაპოლეონი იდგა რუსეთის იმპერიის საზღვარზე, ტილზიტთან.

19 ივნისს საღამოს, ფრანგების ცხენოსანი დივიზიის ავანპოსტზე, რომელიც ნემანის ნაპირას იდგა, პარლამენტიორის თეთრი ბაირაღით გამოცხადდა რუსი ოფიცერი ბაგრატიონის რაზმიდან; მან მოითხოვა მარშალ მიურატისათვის გადაეცათ რუსის ჯარების მთავარსარდლის ბენიგსენის წერილი. ბენიგსენი მოითხოვდა დროებით ზავს, მიურატმა დაუყოვნებლივ გადაუგზავნა ეს წერილი ნაპოლეონს. ნაპოლეონმა თანხმობა განაცხადა. სისხლისმღვრელი ბრძოლა დასრულდა.

უკანასკნელ წუთამდე ალექსანდრეს თავისი საქმე წაგებულად არ მიაჩნდა. ჯერ კიდევ 12 ივნისს, როცა ტილზიტში მიიღეს ცნობები პეილსბერგთან მომხდარი ბრძოლის შესახებ, რომელიც რუსეთის არმიის დიდი ზარალით და უკან დახევით დასრულდა, მეფის ძმა, კონსტანტინე პავლესძე, დაჟინებით ურჩევდა ალექსანდრეს, და ძალიან მკვახე სიტყვებითაც, დაუყოვნებლივ შერიგებოდა ნაპოლეონს. "ხელმწიფევ, — დაიყვირა ცესარევიჩმა, — თუ თქვენ არ გსურთ ზავი, მაშინ უმჯობესია თითოეულ რუს ჯარისკაცს მისცეთ გატენილი დამბაჩა და უბრძანოთ თავი მოიკლას ყველამ. თქვენ იმავე შედეგს მიიღებთ, რას მოგცემთ ეს ახალი (და უკანასკნელი) ბრძოლა, რომელიც აუცილებლად გზას გაუხსნის ფრანგების ჯარებს თქვენი იმპერიისაკენ".

ალექსანდრე გადაჭრით წინააღმდეგი იყო. ის გავიდა ტილზიტიდან რუსეთის რეზერვების შესახვედრად 14 ივნისს საღამოს, სწორედ მაშინ, როდესაც რუსეთის არმია ალეს ტალღებში დაიღუპა ფრიდლანდთან. 15 ივნისს კი დილიდან ტილზიტში მივიდა პირველი ცნობა მომხდარი კატასტროფის შესახებ: რომ რუსეთის გვარდიის მესამედი განადგურებულია ფრიდლანდთან, რომ ჯარი, რომელიც გმირულად იბრძოდა, დაიღალა და არ სურს განაგრძოს ბრძოლა, რომ ბენიგსენს თავგზა აებნა და არ იცის რა ჰქნას.

ხმები ზუსტი ცნობებით შეიცვალა: რუსეთის არმია ფრიდლანდთან თითქმის ისევე სასტიკად განადგურდა, როგორც 1805 წელს აუსტერლიცთან; ნაპოლეონს თავისი დიდი არმიით დაუყოვნებლივ შეეძლო დაეწყო რუსეთში შემოჭრა.

რუსეთის არმიის ზედა ფენები სრულმა პანიკამ მოიცვა. შემდგომ სახელგანთქმული პარტიზანი დენის დავიდოვი, რომელიც თვალყურს

ადევნებდა არმიას ფრიდლანდის შემდეგ, წერდა: "18 ივნისს მე ცხენით მივიჭერ მთავარ ბანაკში, რომელსაც შეადგენდა სხვადასხვა ჯგუფის ადამიანთა ბრბო. აქ იყვნენ ინგლისელები, შვეიცელები, პრუსიელები, ფრანგი როიალისტები, რუსები, — სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი, რაზნოჩინცები, სამხედრო და სამოქალაქო სამსახურისთვის უცხონი, მუქთახორები და ინტრიგანები, — ერთი სიტყვით, ეს იყო პოლიტიკური და სამხედრო სპეკულანტების ბაზარი, იმედგაცრუებული და გაკოტრებული ხალხი... ყველანი თავზარდაცემულნი იყვნენ, თითქოს ნახევარი საათის შემდეგ "მეორედ მოსვლა" უნდა მომხდარიყო"

ბენიგსენმა ალექსანდრეს სთხოვა დროებითი ზავის დადების ნებართვა. ალექსანდრე ამჯერად დამორჩილდა... მიიღო თუ არა ნაპოლეონმა რუსეთისაგან დროებითი ზავის წანადადება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაშინვე დათანხმდა. რუსეთთან ბრძოლის გაგრძელებას მისთვის არავითარი აზრი არ ჰქონდა: ასეთი საქმისათვის სხვაგვარი მომზადება იყო საჭირო. პრუსია საბოლოოდ განადგურებული იყო, ხოლო რუსეთი შეიძლება დათანხმებულიყო კონტინენტური ბლოკადის მიღებაზე. ამაზე მეტი ალექსანდრესაგან ჯარჯერობით არაფერი ესაჭიროებოდა მას.

22 ივნისს ალექსანდრემ გენერალი ლობანოვ-როსტოვსკი გაგზავნა ნაპოლეონთან ტილზიტში, სადაც დაბინავდა ფრანგების იმპერატორი ფრიდლანდთან ბრძოლის შემდეგ. ნაპოლეონმა ლობანოვთან ლაპარაკი იმით დაიწყო, რომ მივიდა მაგიდასთან, სადაც გაშლილი იყო გეოგრაფიული რუკა, მიუთითა მას მდინარე ვისლაზე და უთხრა: "აი ორივე იმპერიის საზღვარი; ერთ მხარეზე თქვენმა ხელმწიფემ უნდა იმეფოს, მეორე მხარეზე კი მე.". ამით ნაპოლეონმა აღნიშნა, რომ მას განზრახვა აქვს დედამიწის პირიდან აღგავოს პრუსია და ამასთანავე გაანაწილოს პოლონეთი.

ალექსანდრე ჯერ კიდევ შავლიში იყო. ამ შაებნელ დღეებში, ვიდრე ხელმოწერილი დროებითი ზავით არ დაბრუნდა ლობანოვი, ალექსანდრე იმაზე უარეს მდგომარეობაში იყო, რაც მან აუსტერლიცის შემდეგ განიცადა. ნაპოლეონს შეეძლო კვირანახევრის შემდეგ ვილნოში გაჩენილიყო. "ჩვენ უამრავი ოფიცერი და ჯარისკაცი დავკარგეთ. ყველა ჩვენი გენერალი და, განსაკუთრებით საუკეთესონი, დაჭრილია ან ავად არის, — აღიარებდა ალექსანდრე. — რასაკვირველია პრუსიას ძლიერ გაუჭირდება, მაგრამ არის გარემოება, როცა უმთავრესად უნდა ვიფიქროთ თავის გადარჩენაზე და უნდა ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ ერთი პრინციპით — სახელმწიფოს კეთილდღეობით"

"თავის გადარჩენამ", როგორც ეს აღნიშნა ალექსანდრემ შავლიში თავად კურაკინთან საუბრის დროს, აიძულა იგი ოცდაოთხი საათის განმავ-

ლობაში, მას შემდეგ, რაც მან ფრიდლანდის ამბები გაიგო, სწრაფად შეეცვალა თავისი პოლიტიკა, გადაეწყვიტა ზავის დადება და, თუ საჭირო იქნებოდა ნაპოლეონთან კავშირიც. რუსეთის პოლიტიკის ამ უეცარი შეცვლით საბოლოოდ დაიღუპება პრუსია, თუ მისგან ტერიტორიული ჩამონაჭერი დარჩება, — ეს მეორეხარისხოვანი საქმეა.

შავლიში მეფის გარშემო შემოკრებილი კარისკაცები ვერხვის ფოთოლივით თრთოდნენ ნაპოლეონის ავანგარდის თავდასხმის შიშით.

ალექსანდრე და მის გარშემო მყოფნი აღტაცებაში მოვიდნენ, როცა გაიგეს, რომ ნაპოლეონი თანახმაა ზავი დადოს მათთან. "ზეცამ დაგვიხსნა, — ღვთისმოშიშობით წერდა ძველი ქარაფშუტა კარისკაცი, თავადი კურაკინი. — ჩვენ არ გვქონია არც ფული, არც სურსათი, არც იარაღი... ჩვენ წინ იდგა ძლევამოსილი მოწინააღმდეგე, რომელსაც სამჯერ მეტი ძალები ჰყავდა, ვიდრე ჩვენ".

ალექსანდრე I დაუყოვნებლივ გასცა ბრძანება გაეგზავნათ ფრანგების იმპერატორისათვის რწმუნება, რომ მას, ალექსანდრეს გულითადად სურს მჭიდრო კავშირი იქონიოს ნაპოლეონთან და რომ მხოლოდ საფრანგეთ-რუსეთის კავშირს შეუძლია მისცეს მთელ ქვეყნიერებას ბედნიერება და მშვიდობა. დროებითი ზავის რატიფიკაციის შემდეგ, მან აცნობა ნაპოლეონს, რომ სასურველია პირადად შეხვედრა მასთან.

ალექსანდრე პავლეს-ძეს არ შეეძლო კიდევ გადაედო განმარტების მიცემა ფრიდრიხ-ვილჰელმ III-თვის, რომელსაც უკანასკნელ წუთამდე თავისი მეგობრის იმედი ჰქონდა. რუსეთის მეფემ განუმარტა მას ყოველივე, რაც მოხდა. ფრიდრიხ-ვილჰელმ III დროებითი ზავი სთხოვა ნაპოლეონს. მას სურდა ფრანგების იმპერატორის სამეფო კარზე ტილზიტში მიევლინებინა პატრიოტულად განწყობილი მინისტრი ჰარდენბერგი, მაგრამ ნაპოლეონმა ისე გააფთრებით დაიყვირა, როცა გაბედეს მისი დასახელება, და ისე მრისხანედ დააბაკუნა ფეხები, რომ ამის შემდეგ ჰარდენბერგზე კრინტიც არ დაუძრავთ. პრუსიის მეფეს აგრძნობინეს, რომ მას არ დაინდობდნენ.

1807 წლის 25 ივნისს დღის ორ საათზე მოხდა ორი იმპერატორის პირველი შეხვედრა. ალექსანდრე რომ არ გადასულიყო ფრანგების მიერ დაპყრობილ ნემანის ნაპირზე, ხოლო ნაპოლეონი ნემანის იმ ნაპირზე, რომელიც რუსებს ეჭირათ, — შუა მდინარეში აადეს ტივი ორი საუცხოო პავილიონით. ფრანგების სანაპიროზე ჩამწკრივდა ნაპოლეონის მთელი გვარდია, რუსების სანაპიროზე — ალექსანდრეს მცირერიცხოვანი ამალა.

დენის დავიდოვს და სხვა რუსებს — ამ ამბის დამსწრეთ — ყურადღება მიპყრობილი ჰქონდათ იმ ნავისაკენ, რომლითაც, მათი გადმოცემით, თა-

ვისი გვარდიის მისალმებათა გრიალში ნემანის ტიეთან მიცურავდა "საუცხოო ადამიანი, ეს უმაგალითო სარდალი ალექსანდრე მაკედონელისა და იულიუს კეისრის შემდეგ". "უდიდესი სარდალი, პოლიტიკოსი კანონმდებელი, ადმინისტრატორი და დამპყრობი, რომელმაც დაამარცხა მთელი ევროპის ჯარი და უკვე ორჯერ რუსეთის არმიაც, და რომელიც ახლა რუსეთის საზღვარზე დგას". "ადამიანი რომელიც განუსაზღვრელად ბატონობს ყველაზე, ვისაც კი მასთან საქმე ჰქონია, შესანიშნავი თავისი გამჭრიახობით", "უძლეველი ბელადი", "მეხთამტყორცნი ღმერთკაცი". ასეთი შეხედულების იყვნენ ნაპოლეონზე დენის დავიდოვი და ალექსანდრე I ამალის ბევრი სხვა წევრი.

რუსეთის სამხედრო წრეებში ტილზიტის ზავზე ისეთი შეხედულება დარჩა, როგორც გაცილებით უფრო სამარცხვინო მოვლენაზე, ვიდრე აუსტერლიცისა და ფრიდლანდის დამარცხება. ამ შემთხვევაში მერმინდელი ლიბერალური თავარ-აზნაურული ახალგაზრდობის აზრი დაემთხვა ამ ომების უშუალო მონაწილეთა შეხედულებას.

პუშკინის ლექსში (1823 წ.) ჩვენ ვკითხულობთ:

Таков он был, когда в равнинах Австерлица
Дружины севера гнали его десница,
И русский в первый раз пред гибелью бежал;
Таков он был, когда с победным договором
И с миром и с позором
Пред юным он царем в Тильзите предстоял...

მხოლოდ რევოლუციის შემდეგ დაიწყეს ჩვენში ამ ტექსტის სწორად ბეჭდვა; ყველა ძველ გამოცემაში შეჰქონდათ ერთგვარი შერბილება ("с миром иль позором"), რომელიც ამახინჯებდა პუშკინის აზრს.

ასე თუ ისე, ფიალა, რომელიც ალექსანდრეს უნდა შეესვა, ისე მწარე არ აღმოჩნდა, როგორც თვითონ მოელოდა. როდესაც იმპერატორები ტიეზე დასხდნენ, ნაპოლეონი გადაეხვია ალექსანდრეს და ისინი შევიდნენ პავილიონში, სადაც დაუყოვნებლივ დაიწყო მათი საუბარი, რომელიც თითქმის ორი საათი გაგრძელდა.

არც ერთს, არც მეორე იმპერატორს არ დაუტოვებია ამ საუბრის სისტემატური გადმოცემა. მაგრამ რამდენიმე ფრაზა ცნობილი გასდა და ამ საუბრის საერთო აზრი, რასაკვირველია, გამოიხატა რამდენიმე დღის შემდეგ ხელმოწერილ საზავო ტრაქტატში.

— რისთვის ვომობთ ჩვენ? — შეეკითხა ნაპოლეონი.

— მე მძაგს ინგლისელები ისევე, როგორც თქვენ გძაგთ ისინი, მე ვიქნები თქვენი თანამემწე ყველაფერში, რასაც თქვენ მათ წინააღმდეგ გააკეთებთ, — თქვა ალექსანდრემ.

— თუ ასეა, ყველაფერი მოგვარდება და ზავიც დაიდება, — უპასუხა ნაპოლეონმა.

მეფე ფრიდრიხ-ვილჰელმ III მთელი იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე იმპერატორები ისხდნენ ტილზე, პავილიონში, ნემანის რუსულ სანაპიროზე იცდიდა და იმედს არ ჰკარგავდა, რომ მასაც დაუძახებდნენ. ნაპოლეონმა მხოლოდ მეორე დღეს მიიღო იგი. გამოთხოვებისას ფრანგების იმპერატორმა ალექსანდრე სადილზე მიიპატიჟა, პრუსიის მეფე კი არ მიუწვევია, ნაპოლეონმა ოდნავ დაუქნია თავი და ზურგი შეაქცია მას. 26 ივნისს ნაპოლეონის მიწვევით ალექსანდრე ტილზიტში გადავიდა და მას აქეთ ყოველდღე იმართებოდა იმპერატორების შეხვედრა. პირველ ხანებში ნაპოლეონს არც ერთი თავისი მინისტრი არ დაუშვია ამ მოლაპარაკებებზე. "მე ვიქნები თქვენი მდივანი, თქვენ კი ჩემი მდივანი იყავით" უთხრა მან ალექსანდრეს.

ნაპოლეონის პირველივე სიტყვიდან გამოირკვა პრუსიის სრული უიმედო მდგომარეობა. ნაპოლეონი პირდაპირ ანაწილებდა მას: მდ. ვისლის აღმოსავლეთით დაე ყველაფერი ალექსანდრემ წაიღოს, ხოლო დასავლეთით — ნაპოლეონმა. მეფე ფრიდრიხ-ვილჰელმთან მას საერთოდ ლაპარაკიც არ სურდა. "გაიძვერა მეფე, გაიძვერა ერი, გაიძვერა არმია. სახელმწიფო, რომელიც ყველას ატყუებდა და არსებობის ღირსიც არ არის",

ეუბნებოდა ნაპოლეონი ალექსანდრეს მისი მეგობრის შესახებ, რომელსაც ერთ დროს რუსეთის მეფე სამუდამო კავშირსა და სიყვარულს ეფიცებოდა ფრიდრიხ დიდის კუბოსთან.

ამის პასუხად ალექსანდრე თავაზიანად იღიმებოდა და მხოლოდ სთხოვდა ფრანგების იმპერატორს ცოტა რამ მაინც დაეტოვებინა პრუსიიდან.

თუ კი პრუსია საერთოდ დარჩა ევროპის რუკაზე, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გამარჯვებული იმპერატორი ალექსანდრესადმი იჩენდა "თავაზიანობასა და პატივისცემას", როგორც ამას დაჟინებით იმეორებდა ნაპოლეონი. პრუსიას დაუტოვეს: "ძველი პრუსია", პომერანია, ბრანდენბურგი და სილეზია. ყველაფერი დანარჩენი დასავლეთით და აღმოსავლეთით ჩამოერთვა მას. ყველა მისი სამფლობელო ელბის დასავლეთით შევიდა ნაპოლეონის მიერ შექმნილ ახალ სამეფოში, ვესტფალიის სამეფოში, რომელსაც ნაპოლეონმა შეუერთა აგრეთვე ჰესენის დიდი საპერცოგო და მალე

ჰანოვერიც. ეს ახალი სამეფო ნაპოლეონმა თავის უმცროს ძმას, ჟერომ ბონაპარტს მისცა.

პრუსიისათვის ჩამორთმეული პოლონეთის მიწებიდან (პოზნანისა და ვარშავის ოლქებიდან) შეიქმნა ვარშავის დიდი საჰერცოგო, სადაც ნაპოლეონმა დიდ ჰერცოგად დანიშნა თავისი ახალი მოკავშირე -- საქსონიის მეფე. ალექსანდრე პირველმა (ნაპოლეონის დაჟინებითი მოთხოვნით) პრუსიის პოლონური სამფლობელოებიდან მიიღო ბელოსტოკის პატარა ოლქი. ნაპოლეონსა და ალექსანდრეს შორის დაიდო საიდუმლო (ჯერჯერობით) დაცვითი და შეტევითი კავშირი. რუსეთმა იკისრა ვალდებულება შეესრულებინა ნაპოლეონის დეკრეტი კონტინენტური ბლოკადის შესახებ.

1807 წლის 8 იულისს საბოლოოდ ხელი მოაწერეს გერმანიისათვის დამამცირებელ ტილზიტის ზავს.

ზეიმი და აღლუმი ტილზიტში 8 ივლისის საღამომდე გაგრძელდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ორივე იმპერატორი ერთმანეთს არ მოშორებია. ნაპოლეონი ყოველგვარად ცდილობდა აღენიშნა სრული მეგობრული განწყობილება თავისი ყოფილი მტრისადმი და ახლანდელი მოკავშირისადმი. 9 იულისს, როდესაც ნაპოლეონმა და ალექსანდრემ საფრანგეთისა და რუსეთის გვარდიების საერთო დათვალიერება მოაწყვეს, შემდეგ, ჯარებისა და ნემანთან თავმოყრილი ხალხის წინაშე ეამბორნენ და გამოეთხოვნენ ერთმანეთს, მაშინ ამ ორი იმპერატორისა და მათი მახლობელი წარჩინებული პირების გარდა ჯერ კიდევ არავინ არაფერი იცოდა მსოფლიო მდგომარეობის იმ უდიდესი ცვლილების შესახებ, რომელიც მოხდა ტილზიტში ამ რამდენიმე დღის განმავლობაში.

ნაპოლეონის ბატონობა ევროპის კონტინენტზე ტილზიტიდან ვაგრამამდე განვლილ ეპოქაში

(1807-1809)

ნაპოლეონი, რომელსაც მთელს გერმანიაში მონური მორჩილებით ეგებებოდნენ, ტილზიტიდან პარიზში ჩავიდა. თითქოს, მან ახლა ძლიერების ისეთ მიუწვდომელ მწვერვალს მიაღწია, რომლისთვისაც არასოდეს არ მიუღწევია არც ერთ მბრძანებელს მთელი ისტორიის მანძილზე. თვითმპყრო-

ბელი იმპერატორი საფრანგეთის უდიდესი იმპერიისა, რომელიც შეიცავდა ბელგიას, დასავლეთ გერმანიას, ჰიემონტსა და გენუას, იტალიის მეფე, პროტექტორი (ე.ი., ფაქტიური თვითმპყრობელი) რაინის კავშირის გერმანული მიწა-წყლის უდიდესი ნაწილისა, რომელსაც ახლა საქსონიაც მიემატა, შვეიცარიის მბრძანებელი, — ნაპოლეონი ისევე თვითმპყრობელურად, როგორც თავის იმპერიაში, მბრძანებლობდა ჰოლანდიაშიც და ნეაპოლის სამეფოშიაც, სადაც მეფეებად მან თავისი ძმები ლუდოვიკი და იოსები დასვა, და მთელს შუა გერმანიასა და ჩრდილოეთ გერმანიის ნაწილშიაც, რომელიც მან ვესტფალიის სამეფოს სახელწოდებით მესამე ძმას — ჟერომს გადასცა, ავსტრიის ყოფილი მიწაწყლის მნიშვნელოვან ნაწილშიაც, რომელიც მან ავსტრიას წაართვა და თავის ვასალს, ბავარიის მეფეს, მისცა, ევროპის სანაპიროს ჩრდილოეთ ნაწილშიაც, სადაც ჰამბურგი, ბრემენი, ლუბეკი, დანციგი და კენიგსბერგი დაკავებული იყო მისი ჯარის მიერ, და პოლონეთშიაც, სადაც ახლადშექმნილი არმია მარშალ დავუს ემორჩილებოდა და სადაც მმართველად ითვლებოდა ნაპოლეონის ვასალი და მსახური — საქსონიის მეფე, რომელიც ნაპოლეონმა დანიშნა იქ დიდ ჰერცოგად.

გარდა ამისა, ნაპოლეონს ეკუთვნოდა იონიის კუნძულები, ქალაქი კატარო და ბალკანეთის ნახევარკუნძულის ადრიატიკის სანაპიროს ერთი ნაწილი. პრუსია, რომელიც დაყვანილი იყო მცირე ტერიტორიამდე, რომელსაც შეკვეცილი ჰქონდა არმიის შენახვის უფლება და გმინავდა მასზე დადებული სხვადასხვა კონტრიბუციით შეკიწროებული, ძრწოდა ნაპოლეონის ყოველ სიტყვაზე; ავსტრია დუმდა და ემორჩილებოდა; რუსეთს მჭიდრო კავშირი ჰქონდა საფრანგეთის იმპერიასთან, მხოლოდდამხოლოდ ინგლისი განაგრძობდა ბრძოლას.

ნაპოლეონმა ტილზიტიდან პარიზში ჩასვლის შემდეგ მთელი რიგი ფართო რეფორმები გაატარა ფინანსების რეორგანიზაციის საქმეში. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ იმპერიის შემოსავალი (შვიდას ორმოცდაათი — შვიდას სამოცდაათი მილიონი) სრულიად ფარავდა გასავალს, თვით ომის დროს არმიის შესანახი ხარჯების წინასწარი გამოანგარიშების ჩათვლითაც. ეს ნაპოლეონის დამახასიათებელი თვისება იყო: მას ომი მიაჩნდა არა არაჩვეულებრივი, არამედ სრულიად "ჩვეულებრივი" ხარჯების წყაროდ.

იტალია, რომელიც საფრანგეთისაგან "დამოუკიდებელ" სამეფოდ ითვლებოდა, ყოველწლიურად უხდიდა საფრანგეთს ოცდათექვსმეტ მილიონ ფრანკს ოქროთი. ამ თანხას "იტალიის გულუხვი მეფე" ნაპოლეონი სულგრძელად უძღვნიდა ყოველწლიურად ფრანგთა იმპერატორს ნაპო-

ლეონს. რაც შეეხება იტალიის სამმართველო ხარჯებს, ეს იფარებოდა მხოლოდდამხოლოდ იტალიის შემოსავლიდან. იტალიის მეფისნაცვალი იყო ნაპოლეონის გერი ევგენი ბოპარნე, რომელსაც მეფის მოადგილის ტიტული ჰქონდა. თავისთავად ცხადია, რომ საფრანგეთის არმია, რომელიც იტალიაში იდგა, იტალიის ხარჯზე ინახებოდა.

ნაპოლეონი კონტრიბუციებისა და ყოველგვარი ხარკის სახით დაუნდობლად წურავდა ოქროს დაპყრობილი ქვეყნებიდან და შემოიღო საფრანგეთში ოქროს ფულის რეგულარული მოჭრა. ეს ფული საკომერციო ბრუნვაში ექცეოდა. საფინანსო საქმის მოწესრიგება, რომელიც მან ჯერ კიდევ კონსულობის ეპოქაში დაიწყო, დამთავრდა 1807 წელს, ტილზიტიდან დაბრუნების შემდეგ.

ტილზიტიდან დაბრუნების შემდეგ, ნაპოლეონმა მალე დაიწყო უდიდესი პოლიტიკური საქმის მოფიქრება, ურომლისოდაც, მისი აზრით, ინგლისის ბლოკადის განძორციელება წარმოუდგენელი იყო. ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, ჩვენ უნდა გავეცნოთ ამ ახალი საქმის დასაწყისს, სახელდობრ — პირენეის ნახევარკუნძულის დაპყრობის ცდას.

უნდა აღინიშნოს, რომ 1807 წლის შემოდგომის თვეებსა და 1808 წლის ზამთარში იმპერატორსა და მის მარშლებს შორის, იმპერატორსა და მის მინისტრებს შორის, იმპერატორსა და მის ყველაზე უახლოეს წარჩინებულ პირთა შორის თავი იჩინა, ჯერ კიდევ ძლიერ ფარულად და გარეშე პირთათვის არაცხადლივ, ერთგვარი უთანხმოების ნიშნებმა.

ნაპოლეონის სასახლე უზომო განცხრომაში იყო; ძველი და ახალი დიდკაცობა, ძველი და ახალი მდიდარი ბურჟუაზია ექიშპებოდა ერთმანეთს ბრწყინვალე ნადიმების, ბანკეტებისა და მეჯლისების მოწყობაში; ოქრო ჩეჩქივით ეყარა. უცხოელი პრინცები, ვასალური მეფეები, რომლებიც თაყვანსაცემად ჩამოდიოდნენ, დიდხანს ცხოვრობდნენ მსოფლიოს დედაქალაქში და უდიდეს თანხებს ხარჯავდნენ. ეს იყო რაღაც განუწყვეტელი ბრწყინვალე დღესასწაული, მომხიბლავი ფეერია ტიუილრიში, ფონტენებლოში, სენკლუსა და მალმენზონში.

ძველი რეჟიმის დროს არასოდეს არ ყოფილა ასეთი ბრწყინვალება და ბრილიანტებით შემკულ ორივე სქესის კარისკაცთა ასეთი უდიდესი გროვა. მაგრამ მათ კარგად იცოდნენ, რომ სასახლის შორეულ კაბინეტში, სადაც ვერა სწვდება მხიარულების ხმები, პირენეის ნახევარკუნძულის გეოგრაფიულ რუკაზე დახრილია ნაცრისფერი მაუდის სერთუკში გამოწყობილი ადამიანი და რომ ბევრ უდარდელად მოცეკვავეს მოუხდება იმპერა-

ტორის ბრძანებით უეცრივ გამოეთხოვოს მთელ იმ განცხრომას, რომელშიაც ლივლივებს, და კვლავ ათიოს ღამე ჩალაზე ცივ ბეღლებსა ან თივის ზვინებში, კვლავ მიუშვირონ გულმკერდი ყუმბარებსა და ტყვიებს, კვლავ ჭამონ უმი კარტოფილი და დააყოლოს წუმპის მყრალი წყალი. და რის გულისათვის?

უკვე აუსტერლიცის შემდეგ ნაპოლეონის მეტად ბევრ თანამოსაგრეს ეგონა, რომ საჭიროა, ბოლოსდაბოლოს, წერტილი დაისვას, რომ საფრანგეთმა, უკვე მიაღწია არნახულ ძლიერებას, რომელზედაც მას ოცნებაც კი არ შეეძლო. რა თქმა უნდა, იმპერიის მთელი მოსახლეობა უღრტვინველად ემორჩილებოდა ნაპოლეონს.

იმპერატორის უკონტროლო, ყოვლად შეუზღუდავი ძალა — უფლება უდიდესი რაოდენობის ქვეყნებსა და ხალხებზე — კენიგსბერგიდან პირენეებამდე (და ფაქტიურად უკვე პირენეებს იქითაც), ვარშავიდან და დანციგიდან ნეაპოლამდე და ბრინდიზამდე, ანტვერპენიდან ბალკანეთის ჩრდილოეთ — დასავლეთ მთებამდე, ჰამბურგიდან კუნძულ კორფუმდე — იწყებდა ნაპოლეონის მახლობელთა შეშფოთებას. მათ იცოდნენ, რომ ამგვარი მსოფლიო მონარქები მეტისმეტად დღემოკლენი არიან და წარმოადგენენ არა მარტო უაღრესად იშვიათ, არამედ ისტორიულ ძალთა თამაშის უაღრესად სათუთ ქმნილებას. მათ შეგნებული ჰქონდათ (და შემდეგ ლაპარაკობდნენ), რომ ყველაფერი ის, რაც ნაპოლეონმა გააკეთა მისი კარიერის დასაწყისიდან ტილზიტამდე, უფრო საოცარ ზღაპარს წააგავდა, ვიდრე ისტორიულ სინამდვილეს. მაგრამ ბევრ მათგანს — არა მარტო ტალეირანს — ეგონა, რომ ამიერიდან კვლავ ახალი ზღაპრების ჩაწერა ისტორიის ფურცლებში სულ უფროდაუფრო ძნელი და სახიფათო იქნებოდა.

ნაპოლეონი საარაკოდ გულუხვი იყო თავის სამხედრო და სამოქალაქო თანაშემწეთა მიმართ. ტილზიტის შემდეგ მან მარშალ ლანს აჩუქა მილიონი ფრანკი ოქროთი, ნეის დაახლოების სამასი ათასი ყოველწლიური და სამიდღეშიო რენტა, მარშალ ბერტიეს ნახევარი მილიონი ოქროთი და კიდევ ოთხას ხუთი ათასი ყოველწლიური რენტა; სხვა მარშლები და მრავალი გენერალი და ოფიცერიც მან ძლიერ უხვად დააჯილდოვა. მინისტრები გოდენი, მოლიენი, ფუშე და ტალეირანი უფრო ნაკლებად დააჩუქრა. ჯილდო მისცეს აგრეთვე ბრძოლებში ფაქტიური მონაწილეობის მიმღებ ყველა ოფიცერს და ჯარისკაცს, ბევრს კარგი პენსია დაუნიშნა, დაჭრილებმა სამჯერ უფრო მეტი მიიღეს, ვიდრე უენებლად გადარჩენილებმა. უნდა ითქვას, რომ ეს გულუხვობა ერთი ფრანკიც არ დასჯდომია საფრანგეთის ხაზინას: ყველაფერს დაპყრობილი ქვეყნები იხდიდნენ.

ამნაირად, ნაპოლეონის ხელში აღმოჩნდა სრულიად განსაკუთრებული მრავალმილიონიანი შემოსავალი, რომელიც ყოველწლიურად რეგულარულად შემოუდიოდა დაპყრობილი ქვეყნებიდან. სწორედ ამ ფულს ასაჩუქრებდა იგი მეტად უხვის ხელით თავის არმიასა და წარჩინებულ პირთ. "ნუ ძარცვავთ, — არიგებდა ნაპოლეონი თავის გენერლებს, — მე უფრო მეტს მოგცემთ, ვიდრე თქვენ შეგიძლიათ აიღოთ". იგი არავის აპატიებდა და საშინლად სჯიდა ყველას, ვინც კი პოლკის შესანახად გაღებულ თანხებს არაკეთილსინდისიერად დახარჯავდა. ჯარის შემოწმების დროს ის ფხიზლად ადევნებდა თვალყურს არა მარტო ჯარისკაცის გაწვრთნას, არამედ იმასაც, აქვთ თუ არა მათ მაძღარი და კმაყოფილი სახე, და სასტიკ სასჯელს ადებდა დამნაშავეებს. მაგრამ ეს მეტისმეტად უხვი საჩუქრები, რომლებიც ეძლეოდა მარშლებსა და გენერლებს, მაინც ვერ აყუჩებდა მათს მისწრაფებას დამშვიდებით ესარგებლათ მთელი ამ სიმდიდრითა და პატივისცემით: მთელი მათი ცხოვრება ხომ თითქმის განუწყვეტელ ომებში გადიოდა.

ყველამ იცოდა, რომ ნაპოლეონი, დაბრუნდა თუ არა ტილზიტიდან, შეუდგა არმიის მზადებას პორტუგალიაზე გესალაშქრებლად ესპანეთის გავლით. თუ ყველას არა, ბევრს მაინც სრულიად არ ესმოდა, თუ რისთვის კეთდებოდა ეს. აქ საჭიროა კვლავ მოვიგონოთ კონტინენტური ბლოკადა, რადგან ამიერიდან ნაპოლეონის არც ერთი ასე თუ ისე მნიშვნელოვანი მოქმედება არ შეიძლება გარკვევით გავიგოთ, თუ ერთი წუთით მაინც დავიწყებთ კონტინენტური ბლოკადის შესახებ.

ნაპოლეონმა მიზნად დაისახა ეკონომიურად გაენადგურებინა ინგლისი კონტინენტური ბლოკადის საშუალებით და იგი ამ საქმეში საკვლევით თანმიმდევრული იყო: მას არ შეეძლო დანდობოდა არც ბრაგანცის დინასტიას პორტუგალიაში, არც ბურბონების დინასტიას ესპანეთში, არ შეეძლო დაეჯერებინა, რომ ორივე ეს დინასტია წესიერად და შეგნებულად შეუდგება თავისი ქვეყნების განადგურებას, აუკრძალავს გლეხებს, ფერმერებსა და მემამულეებს მიჰყიდონ ინგლისელებს მერინოსის მატყლი და წინააღმდეგობას გაუწევს ინგლისის იაფი საქონლის შემოტანას ესპანეთსა და პორტუგალიაში. ცხადი იყო, რომ ისინი, რომლებმაც უსიტყვოდ მიიღეს ნაპოლეონის მიერ ბერლინში გამოცემული დეკრეტი ბლოკადის შესახებ, ფარული ხელშეშვებით მოეპყრობოდნენ და მოწყალე თვალით შეხედავდნენ კონტრაბანდას და ათასგვარი სხვა საშუალებით დაარღვევდნენ ამ დეკრეტს. ვინაიდან პირენეის ნახევარკუნძულს ძალიან დიდი სანაპირო ხაზი ჰქონდა, ვინაიდან ბისკაიის ყურეშიც, მთელს ატლანტის ოკეანე-

ზედაც და ხმელთაშუა ზღვაზედაც ინგლისის ფლოტი იყო გაბატონებული და თვით პირენეის ნახევარკუნძულის ტერიტორიაზე იყო ინგლისის ციხე-სიმაგრე გიბრალტარი, — რასაკვირველია, ბლოკადის ფაქტიური გატარების შესახებ ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა, სანამ ნაპოლეონი არ გახდებოდა პორტუგალიისა და ესპანეთის სრული ბატონ-პატრონი. მისთვის საკითხი საბოლოოდ გადაჭრილი იყო: ევროპის ყველა სანაპირო სამხრეთისაც, ჩრდილოეთისაც და დასავლეთისაც — საფრანგეთის უშუალო საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ უნდა ყოფილიყო. ვისაც ეს არ სურდა, ის უნდა ჩამოეცილებინა გზიდან.

ამავე დროს ინგლისმა, რომელიც ტილზიტის შემდეგ მოკავშირეთა გარეშე დარჩა, მტკიცედ გადაწყვიტა უფრო ენერგიულად ებრძოლა.

1807 წლის სექტემბრის დასაწყისში ინგლისის ესკადრამ ყუმბარები დაუშინა კოპენჰაგენს, რადგან ხმები დადიოდა, დანია კონტინენტურ ბლოკადას მიემხრობაო. ნაპოლეონი გააფთრდა, როდესაც ეს გაიგო. ამან დაარჭარა მისი გადაწყვეტილება პოლტუგალიისა და ესპანეთის დაპყრობის შესახებ. 1807 წლის ოქტომბერში ოცდაშვიდი ათასი კაცისაგან შემდგარმა არმიამ მარშალ ჟუნოს ხელმძღვანელობითა და ნაპოლეონის ბრძანებით გაილაშქრა პორტუგალიის წინააღმდეგ ესპანეთის ტერიტორიის გავლით. ამ არმიას თითქმის ფეხდაფეხ მიჰყვა მეორე არმიაც, რომელიც ოცდათხი ათასი კაცისაგან შედგებოდა. გარდა ამისა, ნაპოლეონმა გაგზავნა იქ დაახლოებით ხუთათასიანი კავალერია. პორტუგალიის პრინც-რეგენტმა მფარველობისათვის მიმართა ინგლისს. მას ნაპოლეონის ეშინოდა, მაგრამ არა ნაკლებ ეშინოდა ინგლისელებისაც, რომლებსაც შეეძლოთ ისევე ადვილად დაენგრიათ ლისაბონი ზღვიდან, როგორც კოპენჰაგენი დაანგრიეს.

ესპანეთი ნაპოლეონმა მეორე რიგში ჩააყენა: მას მაშინ სურდა მის წინააღმდეგ გალაშქრება, როდესაც პორტუგალიასთან უკვე ყველაფერი დამთავრდებოდა; მაშინ ესპანეთის დაპყრობის დაწყება გაადვილდებოდა, რადგან ორი ბაზისი ექნებოდა: ერთი სამხრეთ საფრანგეთში, ხოლო მეორე პორტუგალიაში. იმპერატორი არც კი გარჯილა დიპლომატიურად მაინც ეუწყებინა ესპანეთისათვის იმის შესახებ, რომ მისი ჯარი გაივლიდა ესპანეთის ტერიტორიაზე. მან უბრალოდ უბრძანა მარშალ ჟუნოს, გადალახავდა თუ არა საზღვარს, ცნობა გაეგზავნა ამის შესახებ მადრიდში. იქ ცნობა მორჩილებით მიიღეს.

ნაპოლეონის სასახლეში იმპერიის დიდმა კანცლერმა კამბასერესმა გაბედა მეტისმეტი მოკრძალებით გაელაშქრა იმ საქმის წინააღმდეგ, რომე-

ლიც იწყებოდა. ტალეირანი კი, პირიქით, მთლიანად კვერს უკრავდა იმპერატორს. ტალეირანი ტილზიტის შემდეგ, 1807 წლის აგვისტოში, სამსახურიდან გადადგა. ამის საბაბი იყო ნაპოლეონის შენიშვნა ქრთამებისა და ფულის დატყუების შესახებ, რაშიაც მეტად დიდი ცოდვა მიუძღოდა ტალეირანს, ხოლო მიზეზი იყო ის, რომ ტალეირანი უკვე შორიდან გრძნობდა ნაპოლეონის მსოფლიო პოლიტიკის კატასტროფულობას და გადაწყვიტა თანდათან ჩამოშორებინა აქტიური როლი. მიუხედავად ამისა, იგი სასახლეში დარჩა დიდი ხარისხითა და პატივისცემით აღჭურვილი. ახლა მას სურდა კვლავ მოეპოვებინა ნაპოლეონის მოწყალება და ყველაფერს უდასტურებდა, რასაც კი იმპერატორი წამოიწყებდა, თუმცა პირადად მას ესპანეთის საქმე მაშინაც უკვე მეტად საძნელოდ, და ისეთ საქმედ მიაჩნდა, რომელსაც ბევრი საშიშარი შედეგი უნდა მოჰყოლოდა.

საფრანგეთის არმიამ ჟუნოს მეთაურობით პირდაპირ პორტუგალიის წინააღმდეგ გაილაშქრა ესპანეთის ტერიტორიის გავლით. გზა ჯარისკაცთათვის მეტად ძნელი, ცუდად მოწყობილი და უდაბური აღმოჩნდა; არ ჰქონდათ სურსათ-სანოვაგე. ფრანგები სძარცვავდნენ გლეხებს, რომლებიც შურს იძიებდნენ, სადაც კი შესძლებდნენ, და ხოცავდნენ ჩამორჩენილებს.

ლაშქრობის შემდეგ, რომელმაც ექვს კვირაზე მეტ ხანს გასტანა, ჟუნო ლისაბონში შევიდა (1807 წლის 29 ნოემბერს). მეფის ოჯახი ორი დღით ადრე ინგლისის გემში ჩაჯდა და თავისი დედაქალაქიდან გაიქცა.

დადგა ესპანეთის ჯერი.

ესპანეთში შემდეგი მდგომარეობა იყო. ტახტზე იჯდა კარლ IV, სუსტი და უჭკუო ადამიანი, რომელიც მთლიანად თავისი ცოლისა და ფავორიტ დონ გოდოის გაჭლენის ქვეშ იმყოფებოდა. მეფე, დედოფალი და გოდოი შეურიგებელ მტრულ განწყობილებაში იყვნენ ტახტის მემკვიდრე ფერდინანდთან, რომელზედაც ამ წლებში — 1805, 1806 და 1807 წლებში — ესპანეთის თავად-აზნაურობა და ესპანეთის ბურჟუაზია დიდ იმედებს ამყარებდნენ. მათ ეგონათ, რომ ძველი სასახლის ფავორიტის, გოდოის, ჩამოგდებით შესაძლებელი იქნებოდა მოშლილი ფინანსების გამოსწორება და ესპანეთის "აღორძინება"

მეტად პოპულარული იყო იდეა ესპანეთის ტახტის მემკვიდრის ფერდინანდის დაქორწინებისა ნაპოლეონის რომელიმე ნათესავ ქალზე: ძლიერ იმპერატორთან დანათესავებით შესაძლებელი იყო (როგორც ფიქრობდნენ) მიეღოთ დიდი დასაყრდენი და დახმარება და დამოუკიდებლობის

შენარჩუნებით დამშვიდებული ყოფილიყვნენ საგარეო პოლიტიკის ყველა საკითხში. ფერდინანდმა ფორმალურად სთხოვა ნაპოლეონს მიეთხოვებინა მისთვის თავისი ძმისწული. ნაპოლეონმა უარი განუცხადა. საფრანგეთის იმპერატორის ზრახვა სხვა იყო: მას სურდა ჩამოეგდო ტახტიდან ეს დინასტია და დაესვა ესპანეთის ტახტზე რომელიმე თავისი ძმა ან მარშალი. ზამთრის განმავლობაში და 1808 წლის გაზაფხულზე ნაპოლეონის სულ ახალ-ახალი ჯარი გადადიოდა პირენეიზე და ემატებოდა ესპანეთის ტერიტორიაზე გადასულ ჯარს. უკვე მარტში მას თავმოყრილი ჰყავდა იქ დაახლოებით ასიათასი კაცი. რაკი დარწმუნებული იყო თავის ძალღონეში, მან გადაწყვიტა მოქმედება დაეწყო. მან მეტად მოხერხებულად ისარგებლა უთანხმოების გამწვავებით ესპანეთის სამეფო ოჯახში.

მარშალი მიურატი ოთხმოცი ათასი კაცისაგან შემდგარი საფრანგეთის არმიით გაემართა მადრიდისაკენ. კარლ IV, მისმა ცოლმა და გოდოიმ გადაწყვიტეს გაქცეულიყვნენ დედაქალაქიდან, მაგრამ ისინი შეიპყრო აღშფოთებულმა ხალხმა. გოდოი შეიპყრეს, სცემეს და საპყრობილეში მოათავსეს, ხოლო მეფე აიძულეს უარი ეთქვა ტახტზე ფერდინანდის სასარგებლოდ. ეს მოხდა 1808 წლის 17 მარტს, ხოლო ექვსი დღის შემდეგ, 23 მარტს, მიურატი ესპანეთის დედაქალაქში შევიდა.

მაგრამ ნაპოლეონმა არ სცნო ფერდინანდი და გამოითხოვა თავისთან საფრანგეთში, ქალაქ ბაიონში, როგორც ახალი, ისე ძველი მეფე და ესპანელი ბურბონების მთელი ოჯახი. მან იკისრა უმაღლესი მოსამართლის როლი, რომელიც საბოლოოდ განსჯის და გადაწყვეტს, თუ ვინ არის მართალი. 1808 წლის 30 აპრილისათვის ესპანეთის მეფემ კარლ IV, მისმა ცოლმა, ახალმა მეფემ ფერდინანდ VII და გოდოიმ თავი მოიყარეს ბაიონში. მაგრამ ნაპოლეონი მოითხოვდა, რომ სამეფო სახლის ყველა პრინცი გამოცხადებულიყო მასთან იქვე. გაიგო რა ამის შესახებ, ხალხი მადრიდში კვლავ აღშფოთდა. ნაპოლეონის ზრახვა ცხადი ხდებოდა: ვერაგულად შეეტყუებინა ბაიონში ესპანელი ბურბონების მთელი დინასტია, დამხობილად გამოეცხადებინა იგი და დაეპატიმრებინა, ხოლო ესპანეთი ამათუიმ გარეგნული ფორმით შეეერთებინა საფრანგეთისათვის.

2 მაისს მადრიდში აჯანყებამ იფეთქა საფრანგეთის იმ ჯარის წინააღმდეგ, რომელმაც ქალაქი დაიკავა. მარშალმა მიურატმა აჯანყება სისხლში ჩაახრჩო, მაგრამ ეს ესპანეთის სახალხო-ომის საშინელი ხანძრის მხოლოდ დასაწყისი იყო.

მიიღო თუ არა ცნობა ამ ამბის შესახებ, ნაპოლეონმა, რომელიც ბაიონში სწორედ მაშინ ჩავიდა, როდესაც მივიდა იქ ესპანეთის სამეფო ოჯა-

. მისი თანდასწრებით მომხდარი მღელვარე სცენის შემდეგ, როდესაც
რლ IV ფერდინანდს ჯერ ისევ მოუქნია, უცებ თავისი ნება-სურვილი გამო-
ცხადა: მან მოითხოვა, რომ როგორც კარლ IV ისე ფერდინანდს უარი
იქვათ ესპანეთის ტახტზე და ფორმალურად მიეცათ მისთვის, ნაპოლეო-
ნისათვის, უფლება ისე განეგო ესპანეთი, როგორც მას მოეს:ურვებოდა. ეს
ეც მოხდა: ისინი ყველანი კარლ IV, ფერდინანდიცა და დედოფალიც
საფრანგეთის ჟანდარმებისა და ჯარის ხელში იყვნენ. ამის შემდეგ ნა-
ოლეონმა განუცხადა მათ, რომ, ზრუნავს რა მათს პირად კეთილდღეობა-
ა და მშვიდობიანობაზე, უკვე აღარ გაუშვებს მათ ესპანეთში, არამედ გაგ-
ზავნის მეფესა და დედოფალს ფონტენებლოში, ხოლო ფერდინანდსა და
ესპანელი ბურბონების სახლის სხვა პრინცებს ვალანსეში, თავად ტა-
ლეირანის სასახლეში. ეს მყისვე შესრულებილ იქნა.

რამდენიმე დღის შემდეგ, 1808 წლის 10 მაისს, ნაპოლეონმა უბრძანა
ძავის ძმას იოსებს, ნეაპოლის მეფეს, გადასულიყო მადრიდში და ამიერი-
დან ესპანეთის მეფე ყოფილიყო. მარშალ მიურატს კი, რომელიც მან ამის
წინ კლევებერგის დიდ ჰერცოგად გახადა (დასავლეთ გერმანიაში), უბ-
რძანა გადასულიყო ნეაპოლში და ამიერიდან ნეაპოლის მეფედ ყოფილი-
ყო.

იმპერატორი უაღრესად კმაყოფილი იყო: ყველაფერმა, თითქოს, ასე
მოხერხებულად და უდაკიდარაბოდ ჩაიარა, ესპანელი ბურბონები თვი-
თონვე ესოდენ გულუბრყვილოდ გაებნენ მახეში. ასე უმტკივნეულოდ მო-
ახერხა იმპერატორმა პირენეის ნახევარკუნძულის შეძენა.

და უცებ სრულიად მოულოდნელად არა მარტო ნაპოლეონისათვის,
არამედ მთელი ევროპისათვისაც, რომელიც უსიტყვოდ და შიშით ადევ-
ნებდა თვალყურს დამპყრობლის ახალ ძალმომრეობას, ესპანეთში იფეთქა
მძაფრი, შეურიგებელი, უაღრესად სისხლიანი გლეხური პარტიზანული
ბრძოლის ხანძარმა ფრანგ დამპყრობთა წინააღმდეგ.

აქ ნაპოლეონი პირველად შეეჯახა სრულიად განსაკუთრებული ხასი-
ათის მტერს, რომელსაც აქამდე არ შეხვედრია და რომელსაც მხოლოდ
ცოტა ხანს ადევნებდა თვალყურს ჯერ მხოლოდ ეგვიპტესა და სირიაში.
მის წინაშე იდგა დანით შეიარაღებული, გაბოროტებული, ასტურიელი
გლეხი, ძონძებში გახვეული, ჟანგიანი თოფით შეიარაღებული სიერა-მო-
რენელი მწყემსი, რკინის ჩალიჩითა და გრძელი ხანჯლით აღჭურვილი
კატალონელი მუშა ხელოსანი. "დაკონკილები!" ზიზღით წარმოთქვა
მათ შესახებ ნაპოლეონმა. განა მას, ევროპის მფლობელს, რომლის დანახ-
ვაზედაც გარბოდნენ რუსეთის, ავსტრიისა და პრუსიის არმიები არტილე-





რიითა და კავალერიით, მეფეებითა და ფელდმარშლებით, განა მას, რომლის სიტყვაც ანგრევდა ძველ სახელმწიფოებს და აგებდა ახლებს, უნდა ეშინოდეს ამ "ესპანელი ნაძირალის!"

არც თვით მან და არც სხვა ვინმემ მთელს მსოფლიოში არ იცოდა მაშინ, რომ სწორედ ამ "დაკონკილებმა" დაიწყეს იმ უფსკრულის თხრა, რომელშიაც შორეულ მომავალში ჩამსხვრევა ეწერა ნაპოლეონის დიდ იმპერიას.

ახლა იოსებ ბონაპარტი, ესპანეთის მეფის საუცხოო მანტიით, ნაპოლეონის უბრალო მოადგილეს, მის მოურავს წარმოადგენდა პირენეის ნახევარკუნძულზე კონტინენტური ბლოკადის განხორციელებისა და ესპანეთის ყოველმხრივი ექსპლუატაციის საგნად გეგმიანი გადაქცევის საქმეში, და ისიც მხოლოდამხოლოდ საფრანგეთის ბურჟუაზიის ინტერესებისათვის. ესპანეთში იცოდნენ, რომ უკვე 1799 წლის ბრიუმერის გადატრიალებიდან დაწყებული, ნაპოლეონი აავსეს საჩივრებითა და პეტიციებით მაუდისა და ტილოს ფაბრიკანტებმა და საფრანგეთის სხვა მრეწველებმა: მათ დასახეს ისეთი პროგრამა, რომელიც მთლიანად მიიღო ნაპოლეონმა. ეს პროგრამა განუყრელად უერთდებოდა იმ გეგმას, რომელიც ისახავდა ესპანეთის ვაჭრობის სრულ შეწყვეტას ინგლისთან, სადაც ასე ბლომად და ასე ძვირად საღებოდა მატყლი და სადაც ასე ბლომად და ასე იაფად ყიდულობდნენ საქონელს ესპანეთის საჭიროებისათვის.

მაშასადამე, ესპანეთის მესაქონლეთათვის, მეშალეთათვის და საერთოდ ყველა მრეწველისათვის, მთელი გლეხობისათვის, რომელიც ასე თუ ისე, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, დაკავშირებული იყო მატყლის მოპოვებასთან და მაუდების წარმოებასთან, და ესპანეთის იმ ნაწილებში, სადაც ფეოდალური ურთიერთობანი ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყვნენ, განსაკუთრებით კი იქ, სადაც ეს ურთიერთობანი სუსტდებოდნენ, მთელი მიწათმფლობელი თავად-აზნაურობისათვის, რომელიც დაკავშირებული იყო ინგლისსთან და კოლონიურ, პლანტატორულ მეურნეობასთან, ნაპოლეონისადმი დამორჩილება თითქმის სრულ განადგურებას ნიშნავდა. კერძოდ, მყისვე წყდებოდა შესაძლებლობა ურთიერთობისა ესპანეთის მაშინდელ უდიდეს ამერიკულ სამფლობელოებთან, მის ზღვისმიერ სამფლობელოებთან საერთოდ (მაგალითად, ფილიპინებთან ინდოეთის ოკეანის აღმოსავლეთით), რადგან ინგლისი დაუყოვნებლივ უცხადებდა ომს და ართმევდა ყველა ზღვისმიერ კოლონიას ევროპის ყველა სახელმწიფოს, როგორც კი ეს სახელმწიფო პირდაპირ თუ არაპირდაპირ შედიოდა ნაპოლეონის პოლიტიკის ორბიტში.

ქვეყნის სხვადასხვა კლასის ყველა ეს ეკონომიური ინტერესი, რომელიც ძლიერ უხეშად დაარღვია ნაპოლეონის შეჭრამ, იმ ეკონომიურ ნიადაგს წარმოადგენდა, რა ნიადაგზეც გაჩნდა ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ხანძარი ყველისშემძლე დამპყრობლის წინააღმდეგ. ესპანეთის აჯანყებულ გლეხებსა და ხელოსნებს უნარი აღმოაჩნდათ იქამდე გაეძლოთ ისეთი ბრძოლისათვის, რომელიც თითქოს მათ ძალღონეს აღემატებოდა, სანამ დახმარება არ გაუწია მათ ინგლისმა და სანამ აჯანყებულთა ხელში არ გაჩნდა ნამგლების, ხანჯლების, ცულების, ორთითებისა და ჟანგიანი თოფების ნაცვლად ინგლისის ქარხნის ცეცხლმსროლელი იარაღის საუკეთესო ნიმუშები. მხოლოდ მაშინ წარმოუდგა ნაპოლეონს ნახევარკუნძულის დაპყრობის საქმე მთელი თავისი საშინელი სიძნელით. მაგრამ ჯერჯერობით თითქოს ყველაფერი კარგად იყო. დაპატიმრებული ესპანელი ბურბონები წავიდ-წამოვიდნენ მათი გადასახლებისათვის მიჩენილ ადგილებში — ფონტენებლოსა და ვალანსეში პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. იოსებ ბონაპარტი მადრიდში შევიდა.

მართალია, იმპერატორს უკვე მოახსენეს ზოგი წვრილი არასასიამოვნო ამბის შესახებ, მაგალითად, იმის შესახებ, რომ ესპანელი გლეხები ბედავენ რამდენიმე კაცისაგან შემდგარი რაზმით მიიპარნენ ღამით ფრანგების ბანაკებთან და სროლა აუტეხონ მათ, და როდესაც მათ იჭერენ და ხვრეტენ, დასჯის წინ მხოლოდ დუმან ან ზიზღით აღსავსენი ილანძღებიან.

მოახსენეს იმის შესახებ, რომ როდესაც 2 მაისს, მადრიდში აჯანყების ჩაქრობის დროს, მარშალი მიურატი პირისპირ ხვრეტდა ბრბოს, ეს ბრბო კი არ იფანტებოდა მთლიანად და ერთბაშად, არამედ გაქცევისას სახლებში იმალებოდნენ და ფანჯრებიდან განაგრძობდნენ ტყვიის დაშენას ფრანგებისათვის; როდესაც ფრანგები სახლებში შერბოდნენ, რათა შეეპყროთ მსროლელნი, ესპანელები ვაზნების გამოლევის შემდეგ იბრძოდნენ დანებით, მუშტებით, კბილებით, იბრძოდნენ სანამ ფეხზე დგომა შეეძლოთ, და ფრანგები ყრიდნენ მათ სახლების ფანჯრებიდან ქვაფენილზე ან, თავიანთი ამხანაგების ხიშტებზე მხოლოდ უაღრესად გააფთრებული ბრძოლის შემდეგ. ყველა ეს უცნაურობა თავისთავად ჯერ კიდევ არ აშფოთებდა ნაპოლეონს. მან კარგა ხანს ვერ აუღო ალღო ამ ომის ხასიათს. ფრანგები ესპანეთში თავიანთი პირველი ნაბიჯებიდანვე წააწყდნენ დამპყრობლებისადმი გააფთრებული, ფანატიკური ზიზღის უამრავ, თითქმის ყოველგვარ გამოხატულებას.

ფრანგების რაზმი სოფელში შევიდა. ყველაფერი დაცარიელებულია, მცხოვრებლები ტყეში გახიზნულა. ერთ ქოხში ხედავენ ახალგაზრდა დე-

დას ბავშვებითურთ და იქვე პოულობენ სურსათ-სანოვაგეს. რაკი ოფიცერს ეჭვი შეეპარა სურსათ-სანოვაგის ვარგისობაში, სანამ ნებას დართავდა ეჭამათ, შეეკითხა დედაკაცს, სურსათ-სანოვაგე მოწამლული ხომ არ არისო. მიიღო რა დამამშვიდებელი პასუხი, მან უბრძანა ამ ქალს პირველად მას გაესინჯა ეს საჭმელი. გლეხის ქალმა წარბშეუხრელად შეჭამა აღნიშნული საჭმელი. ოფიცერი არ დაკმაყოფილდა ამით და უბრძანა ეს საჭმელი ბავშვებისთვისაც მიეცა. დედამ მყისვე შეასრულა ოფიცრის ბრძანება. მაშინვე ზოგიერთმა ჯარისკაცმა დაიწყო ჭამა, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ დედაც, ბავშვებიცა და ის ჯარისკაცებიც, რომლებმაც ეს საჭმელი ჭამეს, ტანჯვა-წამებით დაიხოცნენ. მახე უტყუარი აღმოჩნდა.

პირველ ხანებში ამგვარი ეპიზოდები კიდევ აკვირვებდნენ ფრანგებს, მაგრამ მალე ყველაფერი ეს საყოფაცხოვრებო მოვლენად გადაიქცა, და უკვე არავის არაფერი აკვირვებდა ესპანეთის ომში.

"მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა ჩქარა მოაჭკვიანებს ესპანეთის ველურ ბრბოს" — მოკრძალებით წერდნენ ევროპის გაზეთებში. "ვგონებ, ბოლოს ყაჩაღი თვით წამოეგო დანას" — ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს ამ გაზეთების მრავალი მკითხველნი დაპყრობილ ქვეყნებში, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ბედავდნენ დაეჯერებინათ თავიანთი იმედების განხორციელება. სწორედ ასეთი განწყობის დროს უცბად გამოცხადებულ იქნა, რომ შემოდგომაზე (1808 წელს) საფრანგეთისა და რუსეთის იმპერატორები შეხვდებიან ერთმანეთს ერფურტშიო.

საფრანგეთ-რუსეთის კავშირის სიმტკიცის ეს დემონსტრაცია ნაპოლეონს უკვე დიდი ხანია განზრახული ჰქონდა. მაგრამ 1808 წლის ივლისის შუა რიცხვებში მოულოდნელი ამბავი მოხდა, რომელმაც აიძულა ნაპოლეონი დაეჩქარებინა ალექსანდრესთან შეხვედრა. გენერალი დიუპონი სამხრეთ ესპანეთის დასპყრობად მიდიოდა. იგი უკვე შეიჭრა ანდალუზიაში, დაიკავა ქალაქი კორდოვა და წინ წავიდა. გენერალი დიუპონი აღმოჩნდა მზით გადამწვარ ვეებერთელა ვაკე ადგილში, სადაც სურსათ-სანოვაგე არ მოიპოვებოდა. მას გარშემოერტყა უამრავი პარტიზანი გლეხი, რომლებიც ყოველი მხრიდან ესხმოდნენ თავს მის რაზმს. და 17 ივლისს, ბაილენის მახლობლად, დიუპონი ჩაბარდა მათ თავისი რაზმით. რა თქმა უნდა ეს კიდევ არ ნიშნავდა ესპანეთის განთავისუფლებას ფრანგებისაგან, მაგრამ ის შთაბეჭდილება, რომელიც ამ კაპიტულაციამ მოახდინა ევროპაზე, უდიდესი იყო.

საფრანგეთის იმპერიის უძლეველმა ჯარმა თუმცა ნაწილობრივ, მაგრამ მაინც უდავო მარცხი განიცადა. გაიგო თუ არა ეს ამბავი, ნაპოლეონი

განრისხდა და დიუპონი სამხედრო სამართალში მისცა. ნაპოლეონს ისე ეჭირა თავი, თითქოს დამშვიდებული იყო, და ამბობდა — ბაილენის დანაკლისი სრულიად უმნიშვნელოა იმ რესურსებთან შედარებით, რომლებიც ჩემს იმპერიას მოეპოვებაო, მაგრამ საუცხოოდ ესმოდა, თუ რა გავლენას მოახდენდა ეს ამბავი ავსტრიაზე, რომელმაც გაორკეცებული ენერგიით იწყო შეიარაღება. ავსტრია ხედავდა, რომ ნაპოლეონს მოულოდნელად აღმოაჩნდა არა ერთი ფრონტი, არამედ ორი, და რომ ეს ესპანეთის ახალი, სამხრეთის ფრონტი ამიერიდან მეტისმეტად შეასუსტებდა მას დუნაიზე. ავსტრია რომ ომისაგან შეეკავებინა, საჭირო იყო შეეგნებინებინა მისთვის, რომ ალექსანდრე I შეიჭრებოდა ავსტრიის სამფლობელოში აღმოსავლეთით, სანამ ნაპოლეონი, მისი მოკავშირე, დასავლეთით მოუვლიდა ვენას. სწორედ ამიტომ იყო უმთავრესად მოწყობილი ორივე იმპერატორის მეგობრობის ერფურტის დემონსტრაცია.

ალექსანდრე I ტილზიტის შემდეგ მძიმე დრო დაუდგა. ნაპოლეონთან კავშირი და ამ კავშირის აუცილებელი შედეგები — ინგლისთან განხეთქილება — საშინლად ლაბავდა როგორც თავად-აზნაურობის, ისე ვაჭრების ეკონომიურ ინტერესებს, ფრიდლანდი და ტილზიტი ითვლებოდა არა მარტო უბედურებად, არამედ სირცხვილადაც.

ალექსანდრე, ენდობოდა რა ნაპოლეონის დაპირებებს, იმედოვნებდა, რომ საფრანგეთ-რუსეთის კავშირის მეოხებით დროთა განმავლობაში შეიძენდა თურქეთის ერთ ნაწილს და ამით დაამშვიდებდა სასახლის გვარდიისა, და საერთოდ თავად-აზნაურობის ოპოზიციას. მაგრამ დრო გადიოდა და ნაპოლეონს კი არავითარი ნაბიჯი არ ჰქონდა გადადგმული ამ მიმართულებით; ეს კიდევ ცოტაა: პეტერბურგამდე მოაღწია ხმებმა, თითქოს ნაპოლეონი აქეზებდა თურქებს შემდგომი წინააღმდეგობისათვის იმ ომში, რომელსაც აწარმოებდნენ ისინი ამ დროს რუსეთის წინააღმდეგ.

ერფურტში საფრანგეთ რუსეთის კავშირის მონაწილე იმედოვნებდა უფრო ახლოს დაეთვალიერებინათ ბანქოს კეთილხარისხოვნება, რომელსაც იყენებდა თითოეული მათგანი დიპლომატიურ თამაშში. ორივე მოკავშირე ატყუებდა ერთმანეთს; ეს ორივემ იცოდა; თუმცა არა სავსებით, მაგრამ არც ერთი არ ენდობოდა ერთმანეთს არაფერში და ორივეს ესაჭიროებოდა ერთმანეთი. ალექსანდრეს ნაპოლეონი უდიდესი ჭკუა-გონების ადამიანად მიაჩნდა; ნაპოლეონი აღიარებდა ალექსანდრეს დიპლომატიურ სინატიფეს და ცბიერებას. "ეს ნამდვილი ბიზანტიელია" — ამბობდა საფრანგეთის იმპერატორი რუსეთის მეფის შესახებ. ამიტომ პირველი შეხვედრისას ერფურტში, 1808 წლის 27 სექტემბერს, ისინი გულმხურვალედ გა-

დაეხვივნენ და საჯაროდ გადაკოცნეს ერთმანეთი; და ასევე იქცეოდნენ ისინი ზედიზედ ორი კვირის განმავლობაში და ყოველდღე განუყრელი იყვნენ შემოწმებებზე, პარადებზე, მეჯლისებზე, ლხინში, თეატრში, ნადირობაზე და ცხენით გასეირნებაზე. საჯაროობა ყველაზე უფრო მთავარი იყო-ამ ხვევნა-კოცნაში: ნაპოლეონისათვის ეს ხვევნა-კოცნა მთელს თავის სიტკბოებას დაკარგავდა, თუ მათ შესახებ ავსტრიელები ვერ გაიგებდნენ, ხოლო ალექსანდრესთვის — თუ მათ შესახებ თურქები ვერ გაიგებდნენ.

ალექსანდრე ტილზიტსა და ერფურტს შორის განვლილი წლის განმავლობაში დარწმუნდა იმაში, რომ ნაპოლეონმა მხოლოდ მიიტყუა იგი დაპირებებით, რომ მისცემდა მას "აღმოსავლეთს", ხოლო თავისთვის დაიტოვებდა "დასავლეთს"; ცხადი იყო, რომ იგი არა თუ ნებას არ მისცემდა მეფეს დაეკავებინა სტამბული, არამედ ის ამჯობინებდა თურქეთის ხელში დაეტოვებინა თვით მოლდავია და ვალახიაც კი. მეორე მხრივ, მეფე ხედავდა, რომ ნაპოლეონი ტილზიტის შემდეგ მთელი წლის განმავლობაში ვერ იცლიდა, რომ გაეყვანა თავისი ჯარი თვით პრუსიის იმ ნაწილიდანაც კი, რომელიც მან პრუსიის მეფეს დაუბრუნა.

რაც შეეხება ნაპოლეონს, მისთვის ყველაზე მთავარ საქმეს წარმოადგენდა შეეკავებინა ავსტრია საფრანგეთის წინააღმდეგ ამსედრებისაგან, სანამ იგი, ნაპოლეონი, ვერ მოახერხებდა ბოლო მოეღო ესპანეთში გაჩაღებული პარტიზანული ომისათვის. ამისათვის კი ალექსანდრეს უნდა ეკისრა აქტიურად ემოქმედა ავსტრიის წინააღმდეგ, თუ ავსტრია გამოსვლას გადაწყვეტდა. და აი ალექსანდრეს არ სურდა არც მიეცა და არც შეესრულებინა ეს პირდაპირი ვალდებულება. ნაპოლეონი თანახმა იყო წინასწარ მიეცა ალექსანდრესათვის რუსეთის ამ სამხედრო დახმარების გამო გალიცია და თვით კარპატებთან არსებული სამფლობელოებიც.

ალექსანდრე წინააღმდეგობის გაწევის სუსტი ცდის შემდეგ დაემორჩილა იმ ძლიერ მიმდინარეობას რუსეთის თავად-აზნაურობაში, რომელიც რუსის არმიის ორჯერ გამანადგურებელი (1805 და 1807 წლებში) ნაპოლეონის კავშირში ხედავდა არა მარტო სახელის გატეხას (ეს კიდევ არაფერი!), არამედ განადგურებასაც. ანონიმური წერილები, რომლებიც მოაგონებდნენ ალექსანდრეს იმას, თუ რა შედეგი მიიღო პავლემ, მისმა მამამ, რომელიც აგრეთვე დაუმეგობრდა ნაპოლეონს, საკმაოდ დამარწმუნებელი იყო.

მაგრამ რუსეთის მეფეს მაინც ეშინოდა ნაპოლეონისა და მასთან კავშირის გაწყვეტა არავითარ შემთხვევაში არ სურდა. ნაპოლეონს სურდა დასაჯა შვეცია ინგლისთან კავშირის დამყარებისათვის, მისი მითითებითა

და მიწვევით ალექსანდრე ჯერ კიდევ 1808 წლის თებერვლიდან აწარმოებდა შვეციასთან ომს, რომელიც დამთავრდა შვეციიდან ფინეთის ჩამოშორებით მდინარე ტორნეომდე და რუსეთთან მისი შეერთებით. ფინეთის შეძენა ალექსანდრეს აგრეთვე იმას უდასტურებდა, რომ ნაპოლეონთან კავშირის გაწყვეტა ამჟამად საშიშიც იყო და არახელსაყრელიც.

ერფურტში ტალეირანმა პირველად უღალატა ნაპოლეონს საიდუმლო ურთიერთობების დამყარებით ალექსანდრესთან, რომელსაც ურჩევდა წინააღმდეგობა გაეწია ნაპოლეონის ჰეგემონიისათვის. ტალეირანი შემდგომ თავის მოქმედებას იმით ასაბუთებდა, თითქოს იგი ზრუნავდა საფრანგეთზე, რომელიც დაღუპვისაკენ მიჰყავდა ნაპოლეონის უსაზღვრო ბატონობის მოყვარულობას.

ჩვენთვის აქ მნიშვნელოვანია აღინიშნოს ორი თვისება: ჯერ ერთი, ტალეირანი სხვაზე უფრო ნათლად ხედავდა ჯერ კიდევ 1808 წელს იმას, რაც ცოტად თუ ბევრად ბუნდოვანად, მკრალად აშფოთებდა, როგორც უკვე ნათქვამი იყო, ბევრ მარშალსა და დიდებულს. მეორე — ალექსანდრე მიხვდა, რომ ნაპოლეონის იმპერია არც ისე მტკიცე და ურყევი იყო, როგორც ეს შეიძლებოდა ადამიანს მოსჩვენებოდა. მან წინააღმდეგობის გაწევა დაუწყო ნაპოლეონის სწრაფვას, რომ რუსეთს სამხედრო გალაშქრება დაეწყო ავსტრიის წინააღმდეგ საფრანგეთ-ავსტრიის ახალი ომის შემთხვევაში. ერთ-ერთი ასეთი დავის დროს ნაპოლეონმა მიწაზე დაახეთქა თავისი ქუდი და გააფთრებით დაუწყო მას ფეხით თელვა. მაგრამ ალექსანდრემ ასეთი საქციელის პასუხად განუცხადა: "თქვენ ფიცხი ხართ, მე კი ჯიუტი... მოვილაპარაკოთ, ვიმსჯელოთ, თუ არა და გაგეცლებით".

კავშირი ფორმალურად ძალაში დარჩა, მაგრამ ამის შემდეგ ნაპოლეონს არ შეეძლო იმედი დაემყარებინა მასზე. დიდი შეშფოთებით ელოდნენ რუსეთში — მშვიდობიანად დამთავრდებოდა თუ არა შეხვედრა ერფურტში: ხომ არ დააპატიმრებდა ნაპოლეონი ალექსანდრეს, როგორც ეს მან სულ ოთხი თვის წინათ ჩაიდინა ესპანეთის ბურბონების მიმართ, რომლებიც ბაიონში შეიტყუაო. "უკვე არავის ჰქონდა იმედი, რომ იგი გამოგიშვებდათ თქვენ, თქვენო უდიდებულესობავ" გულახდილად (და ალექსანდრესათვის მეტად სამწუხაროდ) წამოსცდა პრუსიის ერთ მოხუც გენერალს, როდესაც მეფე ერფურტიდან ბრუნდებოდა.

გარეგნულად ყველაფერი საუცხოოდ იყო: მთელი ერფურტის შეხვედრის განმავლობაში ვასალური მეფეები და სხვა მონარქები, რომლებიც ნაპოლეონის ამალას წარმოადგენდნენ, გულაჩვილებულნი შესცქეროდნენ ნაპოლეონისა და ალექსანდრეს ურთიერთ გულითად სიყვარულს. მაგრამ

თვით ნაპოლეონი, რომელმაც გააცილა ალექსანდრე, პირქუში იყო. მან იცოდა, რომ ვასალურ შეფეებს არ სჯეროდათ ამ კავშირის სიმტკიცე და რომ არც ავსტრიას სჯეროდა იგი. საჭირო იყო რაც შეიძლებოდა მალე მოელო ბოლო ესპანეთის საქმეებისთვის.

ესპანეთში მას ასი ათასი კაცი ჰყავდა. მან ბრძანება გასცა, რომ კიდევ ას ორმოცდაათი ათასი კაცი შეეჭრილიყო სასწრაფო წესით ესპანეთში. გლეხთა აჯანყება თვიდან თვეზე უფრო მეტად ჩაღდებოდა, ესპანური სიტყვა "გუერილია" ("მცირე ომი") არასწორად გადმოგვცემდა იმის შინაარს, რაც იქ ხდებოდა. ეს ომი გლეხებთან და ხელოსნებთან, ცხერის ფარების მწყეშსებთან და ჯორების გამყოლებთან გაცილებით უფრო მეტად აწუხებდა იმპერატორს, ვიდრე სხვა დიდი კამპანიები. მონურად დამშვიდებული პრუსიის შემდეგ ესპანეთის გააფთრებული წინააღმდეგობა განსაკუთრებით საოცარი და მოულოდნელი ჩანდა. და მაინც ნაპოლეონს ვერ წარმოედგინა სანამდე მიაღწევდა ეს ესპანეთის ხანძარი. ამას კიდევ შეეძლო ნაწილობრივ მაინც მოეხდინა გავლენა გენერალ ბონაპარტზე და გამოეფხიზლებინა იგი, მაგარ იმპერატორ ნაპოლეონზე, ევროპის დამპყრობზე, "კონკია მათხოვართა ჯანყს" არ შეეძლო რაიმე გავლენა მოეხდინა.

ნაპოლეონი, რომელიც არ იყო დარწმუნებული ალექსანდრეს დახმარებაში და რომელსაც მტკიცედ სწამდა, რომ ავსტრია მის წინააღმდეგ გაილაშქრებდა, 1808 წლის შემოდგომის მიწურულში ესპანეთში გაეშურა. იგი მრის ხანებით იყო აღსავსე ურჩ, ჭუჭყიან და უვიც ესპანელ "გლეხთა" მიმართ. ამ ხნის განმავლობაში ინგლისელებმა უკვე მოასწრეს ჯარის გადმოსხმა და განდევნეს ფრანგები ლისაბონიდან. პორტუგალია გადაიქცა არა საფრანგეთის, არამედ ინგლისის ბაზად. ფრანგები ფლობდნენ მხოლოდ ჩრდილოეთ ესპანეთს, მდინარე ებრომდე, სხვა ადგილებში ისინი თითქმის არც კი იყვნენ. ესპანელებს უკვე ჰყავდათ ინგლისური თოფებით შეიარაღებული არმია. ნაპოლეონი შეტევაზე გადავიდა ესპანეთის არმიის წინააღმდეგ. ბურგოსსთან 1808 წლის 10 ნოემბერს მან ესპანელები საშინლად დაამარცხა; მახლობელ დღეებში მოხდა კიდევ ორი შეტაკება და ესპანეთის არმია თითქოს სრულიად განადგურებულ იქნა.

ნაპოლეონმა 30 ნოემბერს გაილაშქრა მადრიდზე, რომელსაც ძლიერი გარნიზონი იცავდა. საინტერესოა, რომ ესპანეთის დასამშვიდებლად ნაპოლეონმა მოიყვანა (თავისი არმიის კადრებში) "პოლონელთა ლეგიონი", რომლის ჩამოყალიბება მან ბრძანა ჯერ კიდევ 1807 წელს, პოლონეთის დაპყრობის დროს. პოლონელები თავზე ხელაღებული მამაცობით ჩეხდნენ, მისი ბრძანების თანახმად, ესპანელებს და თითქოს არც კი ფიქრობდნენ იმ

სამარცხვინო როლის შესახებ, რომელსაც ასრულებდნენ ესპანელი ხალხის ნაციონალურ გამათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობით.

ნაპოლეონმა უთხრა პოლონელებს — თქვენ კიდევ უნდა დაიმსახუროთ, რომ მე მოვისურვო პოლონეთის აღდგენაო; და აი, პოლონელებიც "იმსახურებდნენ" თავისთვის სამშობლოს, რისთვისაც ართმევდნენ ესპანელებს მათ სამშობლოს. 1808 წლის 4 დეკემბერს ნაპოლეონი მადრიდში შევიდა; დედაქალაქი დამპყრობს სამარისებური სიჩუმით შეხვდა. ნაპოლეონმა ესპანეთსა და მის დედაქალაქში მყისვე სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა და იქ სამხედრო-საველე სასამართლოები დააწესა.

შემდეგ იმპერატორმა ინგლისელების წინააღმდეგ გაილაშქრა. გენერალი მური მოკლულ იქნა ფრანგთა მიერ ინგლისის არმიის ნაშთების დევნის დროს.

ესპანეთის საქმე თითქოს კვლავ იღუპებოდა. მაგრამ რამდენადაც უფრო ცუდად მიდიოდა აჯანყებული მოსახლეობის საქმე, მით უფრო მეტი გააფთრებით უწევდნენ ისინი წინააღმდეგობას.

ქალაქი სარაგოსა გარემოცული იყო ფრანგთა მიერ და რამდენსამე თვეს იყო ამ მდგომარეობაში. ბოლოს მარშალმა ლანმა აიღო ყველა გარეშე სიმაგრე და შეიჭრა ქალაქში 1809 წლის 27 იანვარს. მაგრამ აქ მოხდა ისეთი რამ, რაც არავითარი გარემოცვის დროს არ მომხდარა: ყოველი სახლი სიმაგრედ გადაიქცა; საჭირო იყო ყოველი ფარდულის, საჯინიბოს, სარდაფისა და სხვენის ცალცალკე აღება. მთელი სამი კვირის განმავლობაში ხდებოდა ეს ხოცვა-ჟლეტა უკვე აღებულ ქალაქში, რომელიც კვლავ წინააღმდეგობას განაგრძობდა. ლანის ჯარისკაცები განურჩევლად ხოცავდნენ ყველას, თვით ქალებსა და ბავშვებსაც კი; მაგრამ ქალებიცა და ბავშვებიც კი კლავდნენ ჯარისკაცებს მათი ოდნავი დაუდევრობის შემთხვევაში. ფრანგებმა გარნიზონის დაახლოებით ოცი ათასი კაცი და ქალაქის მოსახლეობის ოცდათორმეტ ათასზე მეტი კაცი ამოჟლიტეს.

თვით მარშალი ლანიც კი, ეს მამაცი ჰუსარი, რომელსაც დედამიწის ზურგზე არაფრის არ ეშინოდა, ნაპოლეონის ყველაზე უფრო საშიშ ბრძოლებში ჰქონდა უკვე მიღებული მონაწილეობა და არ გაეგებოდა რას ნიშნავდა სიტყვა "ნერვები", გაოგნებული იყო სახლებში და სახლების წინ დაყრილი უამრავი გვამის დანახვით, რომლებიც სისხლის მორევში ცურავდნენ. "რა ომია! კაცი იძულებული გახდე დახოცო ამდენი მამაცი ადამიანი, ან, თუგინდ, ჭკუაზე შეშლილი ადამიანი! ეს გამარჯვება მხოლოდ სევდას შეგმატებს" — თქვა მარშალმა ლანმა. მიმართა რა თავის ამალას, როდესაც ისინი მკვდარი ქალაქის სისხლით მორწყულ ქუჩებში მიდიოდნენ.

ხარაგოსის გარემოცვამ და დალუპვამ თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა ევროპაზე — ყველაზე უფრო ავსტრიასა, პრუსიასა და სხვა გერმანულ სახელმწიფოებზე. ყველანი ღელავდნენ, უხერხულობას გრძნობდნენ, რცხვენოდათ, როდესაც ერთმანეთს ადარებდნენ ესპანელთა ყოფაქცევასა და გერმანელთა მონურ მორჩილებას.

ნაპოლეონმა ჯერ კიდევ 1806 წელს ნათელყო, თუ რა თვალით შეხედავდა იგი გერმანელების ნაციონალური პროტესტის აღორძინების ოდნავ ცდასაც კი. ბავარიის ქალაქ ნიურნბერგში წიგნის გამყიდველ პალმთან იპოვეს ანონიმური ბროშურა — "გერმანია თავის უღრმეს დამცირებაში". ნაპოლეონმა მოსთხოვა ბავარიის მთავრობას დაეხვრიტათ ბროშურის ავტორი. პალმმა უარი განაცხადა ავტორის დასახელებაზე. მაშინ ნაპოლეონმა ბრძანა დაეხვრიტათ თვით პალმი. ბრძანება დაუყოვნებლივ შესრულებილ იქნა. ყველაფერი ეს მოხდა 1806 წლის ზაფხულის დამლევს, ჯერ კიდევ პრუსიის განადგურებამდე. ახლა, ტილზიტის შემდეგ, ნაპოლეონს შესაძლებლად მიაჩნდა ყველაფერი გაეკეთებინა, რასაც კი მოისურვებდა, არა მარტო ბავარიაში, ან რაინის კავშირის სახელმწიფოებში, არამედ ჰამბურგშიაც, დანცინგშიაც, ლაიპციგშიაც, კენიგსბერგშიაც, ბრესლავლშიაც და საერთოდ მთელს გერმანიაში.

ნაპოლეონმა არ იცოდა, რომ ბერლინში ფილოსოფოსი ფიხტე თავის ლექციებში ატარებდა ბუნდოვან პატრიოტულ გადაკრულ აზრებს; არ იცოდა, რომ გერმანიის უნივერსიტეტში არსებობდა სტუდენტთა წრეები, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ ბედავდნენ პირდაპირ ელაპარაკნათ ყველას დამონებლის წინააღმდეგ აჯანყების შესახებ, მაგრამ აღგზნებელნი იყვნენ მისადმი ფარული და ღრმა სიძულვილით. მას მაინცდამაინც არ ჰქონდა გათვალისწინებული, რომ გერმანიის ბურჟუაზიას ვასალურ ქვეყნებში თუმცა უხაროდა ნაპოლეონის კოდექსის შემოღება, ფეოდალიზმის დამხობა, მაგრამ საფრანგეთის მიერ დადებული პოლიტიკური და საფინანსო უღელი, რომელიც დაკავშირებული იყო "სისხლის გადასახადთან", ე.ი. სარეკრუტო გაწვევასთან საფრანგეთის დიდი არმიის შესავსებად, უკვე მეტად მძიმე, უკვე მეტად ძვირფას სასყიდლად მიაჩნდა. ყველაფერი ეს მან არ იცოდა ან არ სურდა სცოდნოდა.

ერფურტში გერმანელ მონარქებს, გერმანელ არისტოკრატებსა და არისტოკრატ ქალებს, ერთი მეთვალყურის სიტყვით, თავი ისე ეჭირათ, როგორც ლაქიებსა და მოსამსახურე ქალებს მრისხანე ბატონთან, რომელიც, თუ დროზე დაუკოცნიდნენ ხელებს, ხანდახან გულუხვ საჩუქრებსაც იძლეოდა.

გერმანიის პირველი პოეტი გოეთე ცდილობდა შეხვედროდა ნაპოლეონს და როდესაც ნაპოლეონმა ბოლოსდაბოლოს მიიღო იგი ერფურტში (მაგრამ სხვათა შორის დაავიწყდა ეთქვა მოხუცი პოეტისათვის, რომ დამდარიყო) და ინება მოეწონებინა "ვერტერი", გოეთე ცას ეწია სიხარულით. ერთი სიტყვით, გერმანიის ზედაფენებს, რომლებთანაც ჰქონდა მხოლოდდამხოლოდ უშუალო დამოკიდებულება ნაპოლეონს, პროტესტის ოდავი ნიშანწყალიც კი არ დასჩნევიათ. დანარჩენი ხალხი დუმდა და ემორჩილებოდა. მაგრამ, სამაგიეროდ, ავსტრიიდან მოსული ცნობები სულ უფროდაუფრო შემაშფოთებელი იყო.

ავსტრიაში ითვალისწინებდნენ, რომ ნაპოლეონი ამჯერად შესძლებდა ბრძოლას მხოლოდ ერთი ხელით, რადგან მეორე ხელი დაკავებული ჰქონდა: მერე ხელზე ეკიდა ესპანეთის საშინელი ტვირთი. ავსტრიაში იცოდნენ, რომ ნაპოლეონი არავითარ შემთხვევაში არ დატოვებდა ესპანეთს, რომ მისთვის ეს უკვე არა მარტო მტარვალის კაპრიზი, არამედ სხვა რამეც იყო: უარის თქმა პირენეის ნახევარკუნძულზე ახლა, როდესაც იქ უკვე ინგლისელები გაჩნდნენ, ნიშნავდა უარის თქმას კონტინენტურ ბლოკადაზე, ე.ი. ნაპოლეონის მთელი პოლიტიკის ძირითად ზამბარაზე.

მექრთამე ტალეირანსა და ჯაშუშ ფუშეს, ამ, ნაპოლეონის აზრით, ქვეგრძნობებით გაჟღენთილი სულმდაბალი არამზადების ღალატი, ან დაეჭვება მათ ღალატში, მას, რა თქმა უნდა, ისე არ აფიქრებდა, როგორც ავსტრიასთან ომი, რომელიც უკვე მზადდებოდა. სწორედ ამიტომ მიატოვა მან ესპანეთი 1809 წლის იანვარში იმ მარშლების ანაბარად, რომლებიც უიმისოდ თავისი სამხედრო ღირებულების ნახევარს ჰკარგავდნენ, და თავისი ძმის, ესპანეთის მეფის იოსების განკარგულებაში, რომელიც არც უიმისოდ და არც მასთან ყოფნისას არასოდეს არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდა.

სწორედ ეს არის ახლა მოწყობილი სამხედრო დარბევით განადგურებულ ესპანეთში. ნაპოლეონის იქიდან წამოსვლისთანავე კვლავ იფეთქა გლეხთა და ქალაქთა აჯანყების ჩაუქრობელმა ცეცხლმა, რომელიც მთელს ქვეყანას მოედო. უჩინარი უშიშარი მტერი, რომელიც დედამიწის გულიდან ჩნდებოდა და მიწაშივე მიძვრებოდა, განაგრძობდა დიდი არმიის ნახევრის, ნაპოლეონის საუკეთესო ჯარის, სამასი ათასი კაცის შეჩერებას ესპანეთში. მაგრამ მეორე ნახევარს სასწრაფოდ ამზადებდა იმპერატორი ავსტრიასთან ახალი მძიმე ომისათვის.

მან ბრძანება გასცა მოეხდინათ საფრანგეთში ახალი ვადამდელი გაწვევა, რამაც მას ასი ათასი კაცი მისცა. გარდა ამისა, მან უბრძანა მისდამი

დაქვემდებარებულ გერმანიის სახელმწიფოებს, გამოეყვანათ კიდევ ასი ათასი ჯარისკაცი და მიეცათ მისთვის ომში გამოსაყენებლად. ეს უსიტყვოდ შესრულებულ იქნა. შემდეგ მან გამოყო ას ათი ათასზე მეტი ძველი ჯარისკაცი, რომლებსაც შეეძლო განსაკუთრებით დანდობოდა, და მათგან სამოცდაათი ათასი იტალიაში გაგზავნა, სადაც მოსალოდნელი იყო აგრეთვე ავსტრიელების თავდასხმა.

ამნაირად, მას 1809 წლის გაზაფხულისათვის ჰყავდა სამასი ათას ჯარისკაცზე რამდენადმე მეტი, რომლებიც მას შეეძლო გამოეყენებინა ავსტრიის წინააღმდეგ თავისი პირადი წინამძღოლობით. მაგრამ ავსტრიაც აგროვებდა მთელს თავის ძალებს.

ავსტრიის სასახლე, არისტოკრატია, საშუალო თავად-აზნაურობა — ამ ომის ინიციატორები — ერთსულოვანი იყვნენ. ავსტრიის სასახლის მიერ 1809 წელს დაწყებული ომი უფრო პოპულარული იყო, ვიდრე რომელიმე ომი ნაპოლეონთან გაჩაღებული სამი წინა ომიდან. "მზის სხივმა გამოაშუქა ბოლოსდაბოლოს ესპანეთიდან" — იმეორებდნენ ავსტრიასა და გერმანიაში ყოველნაირად.

მთელი მსოფლიო გაირინდა მოლოდინში. ნაპოლეონი და სამი საუკეთესო მარშალი — დავუ, მასენა და ლანი — მზად იყვნენ საბრძოლველად.

1809 წლის 14 აპრილს ავსტრიის ერცჰერცოგი კარლი, ავსტრიის საუკეთესო გენერალი, ბავარიაში შეიჭრა. "ორი თვის შემდეგ მე ვაიძულებ ავსტრიას განიარაღდეს და მაშინ, თუ საჭირო იქნება, კვლავ გავემგზავრები ესპანეთში" — თქვა ნაპოლეონმა ომში წასვლისას.

მას, რა თქმა უნდა, ნაკლები იმედი ჰქონდა ასი ათასი იძულებით გამოყვანილი გერმანელისა, რომლებიც რიცხობრივად ახლა მისი არმიის მესამედს შეადგენდნენ; მან იცოდა, თუ რა საუცხოო, ბრძოლებში გაწაფული კორპუსები დარჩა ესპანეთში და ვეტერანების რა დანაკლისი აქვს იქ საფრანგეთის არმიას. და ეს არა მარტო მან იცოდა. ავსტრიელები ამჯერად ჯერ არნახული გაბედულებითა და ძალით მოქმედებდნენ. პირველი დიდი ბრძოლა მოხდა აბენსბერგთან ბავარიაში. ავსტრიელები უკუგდებულ იქნენ; მათ ამ დროს ცამეტ ათასზე მეტი კაცი დაჰკარგეს, მაგრამ ძლიერ მამაცურად იბრძოდნენ, გაცილებით უფრო კარგად, ვიდრე არკოლესთან, ვიდრე მარენგოსთან, ვიდრე აუსტერლიცთან.

მეორე ბრძოლა — ეკმიულთან 22 აპრილს — ნაპოლეონის ახალი გამარჯვებით დამთავრდა. ერცჰერცოგი კარლი უკუგდებულ იქნა დუნაის იქით და მან საშინელი დანაკლისი განიცადა. შემდეგ მარშალმა ლანმა დაამთავრა მანევრი და იერიშით აიღო რეგენსბურგი. ნაპოლეონი, რომელიც

გარემოცვას ხელმძღვანელობდა, გააფთრებული ბრძოლის დროს ფეხში დაიჭრა. იმპერატორს ჩექმა გახადეს და ჭრილობა სასწრაფოდ შეუხვიეს; მან მყისვე გასცა ბრძანება შეესვათ ცხენზე და სასტიკად აუკრძალა ყველას ელაპარაკათ მისი ჭრილობის შესახებ, რათა არ შეეშფოთებინათ ჯარისკაცები. აღებულ რეგენსბურგში შესვლისას იგი ღიმილით აძლევდა სალამს რეგიმენტებს, რომლებიც მას ესალმებოდნენ, და ფარავდა საშინელ ტკივილს. ეს ბრძოლები ეკმიულთან და რეგენსბურგთან ავსტრიელებს ძვირად დაუჯდათ: მათ დაახლოებით გამოაკლდათ ორმოცდაათი ათასი კაცი მოკლულების, დაჭრილების, ტყვედ ჩავარდნილებისა და უგზოუკვლოდ დაკარგულების სახით.

გავიდა თუ არა დუნაიზე და განაგრძო რა უკან დახეული კარლის დევნა, ნაპოლეონი დაეწია მას ებერსბერგში და აქ კვლავ დაამარცხა და უკუაგდო იგი. ეს მოხდა 3 მაისს. 8 მაისს ნაპოლეონმა, კვლავ ისევე, როგორც 1805 წელს, ღამე გაათია ავსტრიის იმპერატორის სასახლეში შენბრუნში, ხოლო 13 მაისს ქალაქ ვენის ბურგომისტრმა იმპერატორს ავსტრიის დედაქალაქის გასაღები მიართვა. კამპანია, თითქოს, სწრაფ დასასრულს უახლოვდებოდა. მაგრამ კარლმა, რათა გადაერჩინა არმია, მოასწრო მისი გადაყვანა ვენის ხიდებით დუნაის მარცხენა მხარეზე, რის შემდეგაც მყისვე დააწვევინა ხიდები.

ნაპოლეონი შეუდგა არაჩვეულებრივად ძნელ ოპერაციას. დაახლოებით ნახევარ კილომეტრზე ვენის (მარჯვენა) ნაპირიდან დუნაიზე იწყება მეჩეჩი, რომელიც ლობაუს კუნძულისაკენ მიდის. ნაპოლეონმა გადაწყვიტა პონტონის ხიდი* გაედო ამ მეჩეჩამდე, გადაეყვანა იქ ბრძოლებითა და გზადაგზა გარნიზონების დატოვებით შეთხელებული თავისი არმიის მთავარი ძალები, ხოლო შემდეგ უკვე იოლად გადაეყვანა ამ კუნძულიდან მდინარის ვიწრო ტოტის საშუალებით, რომელიც ყოფს ლობაუს დუნაის მარცხენა (ჩრდილოეთის) ნაპირისაგან. 17 მაისს ლობაუზე გადასვლა უკვე მოხდა. შემდეგ ნაპოლეონმა ბრძანება გასცა პონტონის ხიდი გაედოთ ვიწრო ტოტზე, კუნძულიდან მარცხენა ნაპირზე. პირველი გადავიდა ლანის კორპუსი, შემდეგ — მასენას კორპუსი. ორივე მარშალმა დაიკავა ორი ერთმანეთის მახლობლად მდებარე სოფელი — ასპერნი და ესლინგი, სწორედ აქ განიცადეს ერცჰერცოგ კარლოსის თავდასხმა უკვე გადასულმა კორპუსებმა და საფრანგეთის არმიის სხვა ნაწილებმა, რომლებიც მათ მიყვებოდნენ.

გააფთრებული ბრძოლა გაჩაღდა, და, როდესაც ლანი კავალერიითურთ შეუდგა ავსტრიელების ჩეხვას, რომლებიც სრული წესრიგით იხევდნენ,

უცებ ჩაინგრა ხიდი, რომელიც აერთებდა მარჯვენა (ვენის) ნაპირს კუნძულთან და საფრანგეთის არმიას უეცრივ მოაკლდა ჭურვები, რომლებსაც გამუწყვეტლივ აწვდიდნენ მას ამ მომენტამდე. ნაპოლეონმა უბრძანა ლანს დაუყოვნებლივ უკან დაეხია. უკანდახევა ბრძოლით, დიდი დანაკლისით ხდებოდა. ბრძოლის დროს მარშალ ლანს ყუმბარა მოხვდა, რომელმაც ორივე ფეხი დაუჩეჩქვა და თითქმის მოაგლიჯა. იგი მოკედა ნაპოლეონის ხელზე, რომლის თვალებზეც მეორეჯერ შეამჩნიეს ცრემლები.

საფრანგეთის არმიამ უკან დაიხია ლობაუსაკენ, და რამდენიც არ უნდა ენუგეშებინა ნაპოლეონს თავისი თავი იმით, რომ ფრანგებმა ამ ბრძოლაში სულ მხოლოდ ათი ათასი (სინამდვილეში კი თექვსმეტი ათასი) კაცი დაკარგეს, ხოლო ერცჰერცოგმა კარლოსმა ოცდათხუთმეტი ათასი (სინამდვილეში კი დაახლოებით ოცდაშვიდი ათასი) კაცი დაკარგაო, დამარცხებისა და უკანდახევის ფაქტი ამჯერად მაინც აშკარა იყო.

ვენიდან გაქცეული ავსტრიის სასახლე და მთავრობა ზეიმობდა და დედაქალაქში დაბრუნებისთვის ემზადებოდნენ. თვით ერცჰერცოგი კარლოსი, ნიჭიერი და სერიოზული ადამიანი, არა თუ არ იკვეხნიდა გამარჯვებას, არამედ მას კიდეც აბრაზებდა ყველა ეს გადაჭარბება. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ეს უკვე არ ჰგავდა არც აკრის გარემოცვის მოხსნას 1799 წელს და არც ეილაუს 1807 წელს. ნაპოლეონის მესამე მარცხი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და გაცილებით უფრო აშკარა იყო.

ნაპოლეონმა იცოდა, რომ გერმანიაში პრუსიის მაიორმა შილმა თავის ჰუსართა რეგიმენტით უცებ რაღაც პარტიზანული ომის მსგავსი დაიწყო ფრანგთა წინააღმდეგ; რომ ტიროლის გლეხი ანდრეას ჰოფერი ასეთსავე პარტიზანულ ომს აწარმოებდა ტიროლის მთებში; რომ მეტად დიდი მღელვარება იყო იტალიაში; რომ ესპანეთში, თუმცა მან იქ დაახლოებით სამასი ათასი ჯარისკაცი, დიდი არმიის საუკეთესო ნაწილი დატოვა, მძაფრი ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა. ცნობას ესლინგის მახლობლად წარმოებული ბრძოლის შესახებ, იმპერატორის შესახებ, რომელიც თითქოს შეპყრობილი და ჩაკეტილი იყო ლობაუს კუნძულზე (ასე ლაპარაკობდნენ ევროპაში და თავისი სურვილი სინამდვილედ ეჩვენებოდათ), ახალი ძალა უნდა შთაებერა ყველა მებრძოლში.

მიუხედავად ამისა, ნაპოლეონი არ კარგავდა სიმშვიდესა და მხნეობას. ერთადერთი, რაც მას აწუხებდა ამ მრისხანე დღეებში, ეს თითქოს მარშალ ლანის სიკვდილი იყო და არა ბრძოლის წაგება. მან იცოდა, რომ ავსტრიის დანაკლისი ესლინგთან დიდი იყო, რომ კამპანიის პირველ ნაწილშიაც, ჯერ კიდევ ვენამდე, ავსტრიელებმა დაკარგეს ორმოცდაათი ათასზე მეტი კაცი

— გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე ფრანგებმა. იგი ვარაუდობდა, არმიას აძლიერებდა, სინჯავდა და ამავე დროს ყურადღებით კითხულობდა ყოველდღე მისი თვალუწვდენელი იმპერიის ყოველი კუთხიდან მიღებულ მოხსენებებს. მან გაიგო, რომ პაპი პიუს VII და მისი კარდინალები ქადაგებდნენ, თითქოს ესლინგის ბრძოლა ღვთის რისხვა იყო მსოფლიოს მჩაგვრელისათვის, მტარვალისათვის, ეკლესიის შეურაცხმყოფლისა და შემავიწროებლისათვის. ნაპოლეონმა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი საზრუნავი ჰქონდა, ძლიერ კარგად დაიმახსოვრა და მიიღო ცნობად ღვთის ოფიციალური ნაცვლის ყოფაქცევა.

ნაპოლეონი ხან ვენაში მიდიოდა, ხან შენბრუნში, ხან კი ლობაუს კუნძულზე ბრუნდებოდა. მან სწრაფად ჩაუნერგა ჯარისკაცებს მოახლოებული გამარჯვების სრული რწმენა; მაისის შუა რიცხვებში არმიამ დაისვენა და მაშველი ჯარი მიიღო. ლობაუს კუნძული საუკეთესოდ იყო გამაგრებული. იმპერატორი ახლა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ერცჰერცოგ კარლოს, რომელიც განუწყვეტლივ უმოქმედოდ იყო, მართლაც არ შეეძლო თავდასხმა და რომ ახლა მხოლოდ მასზე, ნაპოლეონზე, იყო დამოკიდებული, თუ როდის დაეწყო გადამწყვეტი ბრძოლა. დაამთავრა თუ არა ეს სასწრაფო სამხედრო საქმეები და მიიღო თუ არა რამდენიმე დღის დასვენების საშუალება, ნაპოლეონმა უწინარეს ყოვლისა ყურადღება მიაქცია რომის მღვდელმთავარ პიუს VII.

1809წლის 17 ივნისს გამოქვეყნდა ნაპოლეონის დეკრეტი, რომელიც აცხადებდა, რომ ქალაქი რომი და პაპის მთელი სამფლობელო საერთოდ ამიერიდან საფრანგეთის იმპერიას უერთდებოდა. "ბოძებულია ჩვენ მიერ ვენის ჩვენს საიმპერატორო ბანაკში. ნაპოლეონი" — ასე მთავრდებოდა ეს დეკრეტი.

მყისვე, დეკრეტის შემდეგ, ფრანგებმა საბოლოოდ დაიკავეს რომი, და საპაპომ დაკარგა ყველაფერი, რაც მის ხელთ იყო დაახლოებით ათას ხუთასი წლის განმავლობაში. პაპი დააპატიმრეს და სავონაში, საფრანგეთის სამხრეთ ნაწილში წაიყვანეს.

გაუსწორდა თუ არა პაპს, ნაპოლეონი შეუდგა უკანასკნელ სამხედრო მზადებას. 2, 3 და 4 ივლისს იმპერატორმა ახალი კორპუსები გადასხა ლობაუს კუნძულზე და ბრძანება გასცა გადაეტანათ ამავე კუნძულზე ხუთას ორმოცდაათზე მეტი საარტილერიო ქვემეხი. 5 ივლისს ნაპოლეონმა ბრძანება გასცა შესდგომოდნენ გადასვლას ლობაუს კუნძულიდან მარცხენა ნაპირზე. ნაპოლეონს, წინანდელ შევსებულ ჯარს გარდა, კიდევ ჰყავდა აგრეთვე იტალიიდან მოყვანილი მაკდონალდის კორპუსიც.

ბრძოლა დაიწყო 1809 წლის 5 ივლისს, და დაიწყო არა ისე, როგორც ერცჰერცოგი კარლოსი მოელოდა, და არა იქ, სადაც ყველაზე უფრო მოსალოდნელი იყო. ნაპოლეონს მტკიცე წესი ჰქონდა: არ გაეკეთებინა ის, რის მოლოდინიც შეიძლებოდა მტერს ჰქონოდა.

ფრანგებს ჰქონდათ დაახლოებით ხუთას ორმოცდაათი-ხუთასსამოცი ზარბაზანი, ავსტრიელებს კი — ხუთასზე ოდნავ მეტი. არტილერია ორივე მხრით საუცხოოდ იყო მომარაგებული ჭურვებით. უამრავი ჯარის გადაყვანა დუნაიზე ჩატარებულ იქნა განსაკუთრებით ორგანიზებულად. არაჩვეულებრივად სასტიკი ბრძოლა წარმოებდა. 5 და, განსაკუთრებით, 6 ივლისს ნაპოლეონისათვის საშიში მომენტები იყო. იგი ბრძოლის ცენტრში იმყოფებოდა. მარშლები დავუ, მაკდონალდი, მასენა და არტილერიის უფროსი გენერალი დრუო ისე ზუსტად მოქმედებდნენ, როგორც ეს იშვიათად ხდება ასეთ წარმოუდგენელ დიდ ბრძოლებში.

საშინელი კონონადის შემდეგ "მაკდონალდის კოლონამ" — ოცდაექვსმა ათასეულმა კარეში, რომლის გვერდიც ათას მეტრს უდრიდა, — უდიდესი ზარალით გაარღვია ავსტრიის არმიის ცენტრი. მას უკან მიჰყვნენ რეზერვები. შემდეგ, ჩრდილოეთით მარშალი დავუ, რომელიც მაღლობზე მყოფ სოფელ ვაგრამისაკენ გაემართა, ბრძოლით შევიდა სოფელში და ავსტრიის მთელი არმია ამის შემდეგ განადგურებულ იქნა.

1809 წლის 6 ივლისს, საღამოთი, ყველაფერი დამთავრებული იყო. ავსტრიელები უკუგდებულ იქნენ, მხოლოდ ყველანი როდი გაქცეულან და აქეთიქით როდი დაფანტულან, მათმა ერთმა ნაწილმა მწყობრი შეინარჩუნა. საბოლოო განადგურება, რომელიც ავსტრიის არმიამ განიცადა ვაგრამთან, საშინელი რამ იყო; ის არანაკლები იყო იმ განადგურებასთან შედარებით, რომელიც აუსტერლიცთან მოხდა. ავსტრიელებმა ამ მეორე დღეს მოკლულების; დაჭრილებისა და ტყვედ ჩავარდნილების სახით დაახლოებით ოცდაჩვიდმეტი ათასი კაცი დაკარგეს. მაგრამ ფრანგებიც ძალიან დაზარალდნენ, თუმცა დამარცხებულებზე უფრო ნაკლებად. ამ თვალსაზრისით გამარჯვება ძვირად დაუჯდათ.

თითქმის მთელი შემდეგი კვირის განმავლობაში გაგრძელდა ავსტრიის დამარცხებული არმიის დევნა. ნაპოლეონი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა კავალერიას, რომელიც ავსტრიის ცალკეულ ნაწილებს ანადგურებდა:

როდესაც 11 ივლისს იგი ქალაქ ცნაიმში შევიდა, მოახსენეს, რომ მას აუდიენციას სთხოვს თავადი ლიხტენშტეინი, იმპერატორ ფრანცის გენერალ-ადიუტანტი, რომელიც ეს-ეს არის მოვიდაო. ფრანცი სთხოვდა ნაპოლეონს დროებით ზავს. ნაპოლეონი დასთანხმდა, მაგრამ მეტად მძიმე

პირობებით: ავსტრიის ყველა ის ნაწილი, სადაც დროებითი ზავის მომენტისათვის ფრანგთა თუნდაც მცირე რაზმი მაინც შევიდა, დაუყოვნებლით უნდა დაეტოვებინათ ავსტრიელებს და საწინდრად გადაეცათ ფრანგებისათვის საბოლოო ზავის ჩამოგდებამდე. ლიხტენშტეინი ყველა პირობაზე დასთანხმდა.

დაიწყო მოლაპარაკება. ბევრ რამეზე იყო მზათ სულით დაცემული იმპერატორი ფრანცი, რომელიც წყვეტლა-კრულვით იხსენიებდა ახლა იმათ, ვინც წლინახევრის განმავლობაში განუწყვეტლივ ცდილობდა ჩაება იგი საშინელ ბრძოლაში, რამაც სისხლისღვრის მხრივ ბევრად გადააჭარბა ყველა ომს, რომელიც კი უწარმოებია ავსტრიას მთელი თავისი ისტორიის მანძილზე XVII საუკუნის ოცდაათწლიანი ომის შემდეგ. შიშით მოიგონებდნენ ხოლმე, თუ როგორ დასაჯა ნაპოლეონმა პაპი ჯერ კიდევ ვაგრამის ბრძოლამდე. მაშ რაღას უზამს ავსტრიას ვაგრამის შემდეგ?

ნაპოლეონის პრეტენზიები გაცილებით უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე აუსტერლიცის შემდეგ. მან მოითხოვა დაეთმოთ მისთვის ავსტრიის ახალი მიწები: კარინთია, კრაინა, ისტრია, ტრიესტი და ტრიესტის ოლქი, ჩამოეჭრათ და მიეცათ მისთვის უზარმაზარი ტერიტორია ავსტრიის სამფლობელოს დასავლეთითა და ჩრდილოეთ-დასავლეთით, გალიციის ნაწილი; მოითხოვა აგრეთვე კონტრიბუცია ასოცდათოთხმეტი მილიონი ფლორინის რაოდენობით ოქროთი. ავსტრიელები დიდხანს ეკაჭრებოდნენ, ემუდარებოდნენ, ცბიერობდნენ. გამარჯვებული ურყევი და ულმობელი იყო. მან მხოლოდ შეამცირა კონტრიბუცია ორმოცდაცხრა მილიონით — დასთანხმდა აეღო ოთხმოცდახუთი მილიონი — და წავიდა ერთგვარ უმნიშვნელო ტერიტორიულ დათმობაზე მოთხოვნილი რაოდენობიდან. მთელი ამ მოლაპარაკების განმავლობაში იგი შენბრუნში ცხოვრობდა.

ვენასა და მთელს ოკუპირებულ ავსტრიაში სრული მორჩილება სუფევდა. ესლინგის შემდეგ აღძრული იმედები ახლა უკვე ჩაქრა ავსტრიაშიაც და გერმანიაშიაც. ნაპოლეონმა მომზადებულ საზაკო ხელშეკრულებაში შეიტანა კიდევ ერთი მუხლი, რომლითაც უკრძალავდა ავსტრიას ჰყოლოდა ას ორმოცდაათ ათასზე მეტი კაცისაგან შემდგარი არმია. ფრანცი ამასზედაც დასთანხმადა.

12 ოქტომბერს ნაპოლეონმა თავის სასახლის წინ შენბრუნში მოახდინა გვარდიის შემოწმება. ამ შემოწმებებზე ჩვეულებრივ ჩამოდიოდა და ესწრებოდა (განსაკუთრებით უქმე დღეებში) ბევრი ხალხი, რათა დაენახათ ნაპოლეონი, რომელიც ყველგან უსაზღვრო ცნობისმოყვარეობას იწვევ-

და. ნაპოლეონი უშვებდა ხალხს შემოწმებაზე; საერთოდ ვენა მას მოსწონდა თავისი სრული მორჩილებით.

12 ოქტომბრის შემოწმება უკვე მთავრდებოდა, როდესაც რომელიღაც კარგად ჩაცმულმა ახალგაზრდა კაცმა მოასწრო ამალის ცხენთა შორის გაძრომა, მას თხოვნა ეჭირა მარცხენა ხელში და ისე მიუახლოვდა ცხენს, რომელზედაც იმპერატორი იჯდა. იგი შეიპყრეს უმალ, ვიდრე მოასწრებდა ეძრო გრძელი გალესილი ხანჯალი.

ნაპოლეონმა შემოწმების დამთავრების შემდეგ მოისურვა ენახა დაპატიმრებული. იგი აღმოჩნდა საქსონიის სტუდენტი შტაპსი ნაუმბურგიდან.

— რისთვის გინდოდათ მოგეკალით?

— მე ვფიქრობ, რომ სანამ თქვენ ცოცხალი ხართ, თქვენო უდიდებულესობავ, ჩემს სამშობლოს და მთელს მსოფლიოს არ ეღირსება თავისუფლება და მოსვენება.

— ვინ ჩაგაგონათ ეს?

— არავინ.

— ამას გასწავლიან თქვენს უნივერსიტეტებში?

— არა, ხელმწიფეო.

— თქვენ ბრუტობა გინდოდათ?

სტუდენტმა, როგორც ჩანს, არ უპასუხა, რადგან, როგორც შემდეგ ნაპოლეონი ამბობდა, შტაპსმა თითქოს ძალიან კარგად არ იცოდა, თუ ვინ იყო ბრუტი.

— რას იზამთ, მე რომ ახლა გაგანთავისუფლოთ? შეეცდებით თუ არა ისევ ჩემს მოკვლას?

შტაპსი დიდხანს დუმდა, სანამ პასუხს მისცემდა:

— შეეცდები, თქვენო უდიდებულესობავ.

ნაპოლეონიც დადუმდა და ღრმად ჩაფიქრებული გამოვიდა.

სამხედრო-საველე სასამართლო საღამოს შეიკრიბა. შტაპსი მეორე დღეს დახვრიტეს.

ამ ამბის ორი დღის შემდეგ, რაზედაც ნაპოლეონმა აკრძალა ლაპარაკი და ბეჭდვა, 1809 წლის 14 ოქტომბერს, ავსტრიის იმპერატორ ფრანც I გადაწყვიტა ბოლოსდაბოლოს ხელი მოეწერა შენბრუნის სახავო ხელშეკრულებაზე, რომელიც ასე ამცირებდა მის სამფლობელოს და ასე უსაზღვროდ აძლიერებდა სრულიად ევროპის დიქტატორს.

ასიათასამდე დალუპული ადამიანით, ქვეყნის განადგურებით, მრავალმილიონიანი კონტრიბუციით, თავისი ტერიტორიის საუკეთესო ნაწილეზის თითქმის ერთი მესამედისა და რამდენიმე მილიონი მოსახლის დაკარ-

ვით, გამარჯვებულზე დამოკიდებულების გაძლიერებით ზღო ავსტრიის მპერიამ თავისი გააფთრებული, მაგრამ მარცხით დამთავრებული ცდა – ჩამოეგდო ნაპოლეონის უღელი.

იმპერატორი და იმპერია ძლიერების მწვერვალზე

(1810-1811)

შენბრუნის სასავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისთანავე ნაპოლეონი ვენიდან გაემგზავრა და რამდენიმე დღის შემდეგ კელაკ როგორც ეგვიპტის შემდეგ, როგორც მარენგოს შემდეგ, როგორც აუსტერლიცის შემდეგ, როგორც ტილზიტის შემდეგ, ტრიუმფით შეეიდა თავის დედაქალაქში.

მსოფლიო იმპერია ბრწყინვალების, ძლიერების, სიმდიდრისა და დიდების აყვავების ხანაში იყო.

ნაპოლეონმა იცოდა, რომ მან ჰხოლოდ ძალით დაიპყრო ევროპა და მხოლოდ შიშით უჭირავს იგი. მაგრამ ინგლისი არ ნებდება. რუსეთის იმპერატორი აშკარად თვალთმაქცობს: არაფრით არ დაეხმარა მას აი ამჟამად დამთავრებულ ომში და მხოლოდ ისე აჩვენებდა თავს, თითქოს ავსტრიას ეომებოდა. ესპანელებს ისე ხოცავენ, როგორც ველურ მხეცებს, მაგრამ ისინიც განაგრძობენ ბრძოლას აგრეთვე ველური მხეცების დაუცხრომელი სიაფთრით, და მათზე წინანდებურად არავითარ გავლენას არ ახდენენ არავითარი ვაგრამები, იმპერატორის არავითარი ახალი გამარჯვებანი.

ნაპოლეონის გარშემო იყვნენ მისი ერთგული მარშლები, როგორც ჟუნო, ან ჭკვიანი პატივმოყვარენი, როგორც ბერნადოტი, ან გაქნილი არისტოკრატიული მოღალატენი, როგორც ტალეირანი, ანდა უბრალო აღმასრულებელნი, როგორც სავარი, რომელნიც მზად იყვნენ ნაპოლეონის პირველი ნიშნისთანავე დაეხვრიტათ მკვიდრი მამა, ან გულგრილი, სასტიკი პროკონსულები* და სატრაპები*, როგორც დავუ, რომელთაც უნარი ჰქონდათ დაუფიქრებლად წაეკიდებინათ ცეცხლი პარიზისათვის, თუ საშსახურის სარგებლობისათვის ამას საჭიროდ მიიჩნევდნენ, ან იმპერატორის პატივმოყვარე, თავმოყვარე, უნიჭო, ჭირვეული ძმები და დები,

რომლებიც მან მეფეებად და დედოფლებად აქცია, მაგრამ მაინც განუწყვეტლად სჩიოდნენ რამეზე და დაობდნენ ვინშესთან და იმპერატორს მხოლოდ დავიდარაბას და გაღიზიანებას ჰმატებდნენ. ნაპოლეონს არასოდეს არ ჰყოლია არცერთი ისეთი ადამიანი, რომელთანაც მას შესძლებოდა სულითა და გულით ლაპარაკი, და არც შეიძლებოდა ჰყოლოდა მისი ხასიათის გამო.

ჯერ კიდევ წინ იყო მრავალი ომი, ამაში ნაპოლეონს ეჭვი არ ეპარებოდა, როგორც არავის არ ეპარებოდა ეჭვი საფრანგეთში, და იქნებ უკვე ჩამოსხმულიც იყო ტყვია, რომელიც მას მოკლავდა, — ესეც ადვილი შესაძლებელი იყო. ნაპოლეონი საუცხოოდ არჩევდა იმას, რასაც აკეთებდა იგი საფრანგეთში და საფრანგეთისათვის, "ძველი დეპარტამენტებისათვის" — როგორც საფრანგეთის მეფე, და რასაც აკეთებდა იგი როგორც დასავლეთის იმპერატორი, იტალიის მეფე, რაინის კავშირის პროტექტორი და სხვა. პირველი მას მიაჩნდა მტკიცედ, ისეთად, რომელსაც ხანგრძლივი სიცოცხლე ეწერა, მეორე კი ისეთად, რომელიც იბოგინებდა მანამ, სანამ იგი ცოცხალი იყო. საჭიროა დინასტია, საჭიროა მემკვიდრე, რომელსაც ჟოზეფინა უკვე ვერ მისცემდა, მაშასადამე, საჭიროა სხვა ცოლი.

საკითხი მემკვიდრის შესახებ განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი გახდა.

შეკრებილ იქნა დიდებულთა საზეიმო სინკლიტი, რომელმაც განიხილა საკითხი და დაადგინა სთხოვოს მის უდიდებულესობას, იმპერიის კეთილდღეობისათვის სხვა ცოლი შეირთოს.

1810 წლის 28 იანვარს ნაპოლეონმა შეკრიბა სასახლეში იმპერიის წარჩინებულ პირთა საზეიმო თათბირი განქორწინებისა და ახალი დაქორწინების საკითხზე. 6 თებერვალს, საღამოთი, ტიულრის სასახლეში შეკრებილ იქნა წარჩინებულ პირთა ახალი საბჭო, რომელიც ერთხმად მიემხრო ავსტრიელ პრინცესასთან დაქორწინებას. მეორე დღეს, 7 თებერვალს, უკვე მზად იყო საქორწინო ხელშეკრულება და დაუყოვნებლივ გაეგზავნა დასამტკიცებლად ავსტრიის იმპერატორს. ფრანც I მყისვე დაამტკიცა იგი, ხოლო ამის შესახებ ცნობამ პარიზში 21 თებერვალს მიაღწია; 22 თებერვალს კი მთავარი შტაბის უფროსი მარშალი ბერტიე ვენაში გაემგზავრა საინტერესო მისიით: ის უნდა წამდგარიყო როგორც სასიძო, ე.ი. თვით ნაპოლეონი, ქორწინების საზეიმო წესის შესრულების დროს, რაც ვენაში უნდა მომხდარიყო.

ვენაში ცნობა ნაპოლეონის ამ უეცარი გადაწყვეტილების შესახებ სიხარულით მიიღეს. 1809 წლის საშინელ დამარცხებათა და დანაკლისთა

შემდეგ ეს ქორწინება რაღაც ხსნის მსგავსად მოჩანდა. მცირეოდენი უსიამოვნებანი და შეუთანხმებლობანი, რაც სწორედ ვენის ამ ზეიმის დღეებში მოხდა, დაფარულ იქნა დუმილით. მაგალითად, ქორწილის წინ გაჩაღებული ზეიმის დროს, ნაპოლეონმა ბრძანება გასცა დაეხვრიტათ ტიროლის აჯანყების ბელადი.

ანდრეას ჰოფერმა, სანამ ბათქი გაისმოდა (იგი დახვრიტეს ქალაქ მანტუაში), მოასწრო დაძახება: "გაუმარჯოს ჩემს კეთილ იმპერატორს ფრანცს!" მაგრამ "კეთილმა იმპერატორმა ფრანცმა", რომლისთვისაც ჰოფერმა თავი გასწირა, აკრძალა ეხსენებინათ ტიროლის უვიცი გლეხის სახელი, რომელსაც თავისი უსაზღვრო ერთგულებითა და უადგილო პატრიოტიზმით შეეძლო ნაპოლეონის უკმაყოფილება დაეტეხა მთელს ავსტრიაზე.

1810 წლის 11 მარტს ვენის წმინდა სტეფანეს ტაძარში, რომელსაც ხალხის უამრავი მასა გარს ერტყა, უაღრესად საზეიმო ცერემონიალით, ავსტრიის მთელი საიმპერატორო გვარეულობის, მთელი სასახლის, მთელი დიპლომატიური კორპუსის, დიდკაცებისა და გენერალიტეტის თანდასწრებით დაქორწინდნენ იმპერატორ ფრანცის ასული თვრამეტი წლის მარია-ლუიზა, და იმპერატორი ნაპოლეონი.

საპატარძლოს არასოდეს არ უნახავს თავისი საქმრო, მას იგი თვით ქორწილის დღესაც კი არ უნახავს, იმიტომ რომ ნაპოლეონმა, როგორც ნათქვამია, ზედმეტად სცნო შეეწუხებინა თავი თუნდაც ისეთი განსაკუთრებული შემთხვევისათვის, როგორიც არის საკუთარი ქორწინება, და პირადად წასულიყო ვენაში. მაგრამ ვენაში ამას შეურიგდნენ.

მარშალმა ბერტიემ ღირსეულად შეასრულა ეკლესიაში ყველა წესი, რაც სასიძოს უნდა შეესრულებინა, რის შემდეგაც საფრანგეთის ახალი დედოფალი გაგზავნილ იქნა სათანადო პატივისცემითა და ამალით საფრანგეთში. ვასალურ ქვეყნებში (მაგალითად ბავარიაში) გავლის დროს მას ყველგან აგრძნობინებდნენ, რომ იგი ევროპის მბრძანებლის მეუღლე იყო. ნაპოლეონი მას შეხვდა პარიზის მახლობლად, კომპიენში მიმავალ გზაზე. აქ მხოლოდ პირველად ნახა ცოლ-ქმარმა ერთმანეთი.

ევროპაში ამ ამბავმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა და იგი ყოველგვარი მსჯელობის საგნად გადაიქცა. "ახლა უკვე ბოლო მოეღო ომებს, ევროპამ წონასწორობა მოიპოვა, — ბედნიერი ხანა დაიწყება", — ამბობდნენ ჰანზის ქალაქთა ვაჭარები, დარწმუნებული იმაში, რომ ინგლისი, რომელსაც დასაყრდენი მოაკლდებოდა ავსტრიაში კონტინენტზე, იძულებული გახდებოდა ამას შერიგებოდა.

"იგი ომს გამოუცხადებს რამდენიმე წლის შემდეგ ერთ იმ ორ სახელმწიფოთაგანს, სადაც მას არ მისცემენ ერთბაშად საცოლეს" — ამბობდნენ დიპლომატები ჯერ კიდევ საფრანგეთის წარჩინებულ პირთა პირველი თათბირის შემდეგ.

ზოგიერთი ავსტრიელი არისტოკრატი, როგორც მოხუცი თავადი მეტერნიხი, ბედნიერებისაგან ატირდა, როდესაც გაიგეს მომავალი ქორწინების შესახებ. "ავსტრია გადარჩენილია" — იმეორებდნენ იმპერატორის სასახლეში შენბურნში.

პეტერბურგში ყრუ შეშფოთება დაიწყო. მარიამ თედორეს ასული აღტაცებაში იყო, რომ "საშინელ მინოტაურს"* შესაჭმელად მიუგდეს არა მისი, არამედ ავსტრიის იმპერატორის ქალიშვილი. მაგრამ ალექსანდრე I და ზოგი მისი მახლობელი შეშფოთებული იყვნენ საფრანგეთისა და ავსტრიის დაახლოებით. კონტინენტზე რუსეთი მარტოდმარტო დარჩა, დაპირისპირებული რევოლუციის ყოვლისშემძლე ჯარისკაცთან, რომელიც ავსტრიის იმპერატორის სიძე გახდა.

დიდი ისტორიული ტრაგედიის უკანასკნელი აქტის დაწყების უმალ, როდესაც ჯერ კიდევ ყველაფერი თრდოდა და მდუმარებდა ყოველად ძლიერი მბრძანებლის წინაშე, რომლის ფერხთით გაცამტვერებული ეყარნენ მეფეები და რომელთანაც განაგრძობდნენ ბრძოლას კონტინენტზე მხოლოდ ესპანეთის დაკონკილი "გლეხები". იმპერიამ მომავალი ქარიშხლის პირველი ქროლვა განიცადა: იფეთქა ეკონომიურმა კრიზისმა. ეს მოხდა 1811 წელს, და ეს პირველი ქროლვა ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა ქარიშხლის დასაწყისს.

1809 წლის მეორე ნახევრიდან, ვაგრამისა და შენბურნის ზავის შემდეგ, იმპერატორ ნაპოლეონს მკვეთრად უძლიერდება ორი რწმენა, რომლების ჩამოყალიბებაც აუსტერლიცის შემდეგ დაიწყო. ამ ორმა რწმენამ გარკვევით იჩინა მასში თავი იენისა და ბერლინის დაკავების შემდეგ და განსაზღვრა მთელი მისი მოქმედება ფრიდლანდისა და ტილზიტის შემდეგ: პირველი რწმენა იმაში მდგომარეობდა, რომ შესაძლებელია ინგლისის "წამოჩოქება" მხოლოდდამხოლოდ კონტინენტური ბლოკადით განადგურების მეთხებით; მეორე რწმენა გამოისატებოდა სიტყვებით: "მე ყველაფერი შემიძლია!", მათ ლოგიკურად ემატებოდა ჯრი: "მაშასადამე მე შემიძლია განვახორციელო კონტინენტური ბლოკადაც, თუნდაც ამისთვის საჭირო გახდეს მთელი კონტინენტი საფრანგეთის იმპერიად გადაკეთება".

გამარჯვებული ყველაფერს აკეთებდა, რაც კი სურდა. პუნების წინამძღოლ ატილას V საუკუნეში ძალად მიჰყავდა ცოლად ნახევრად ველური

გერმანული ტომის რომელიმე ურიცხვ წვრილ თავადთაგანის ქალიშვილი, რომელიც კი მოეწონებოდა. ნაპოლეონს კი, მისი პირველი მოთხოვნილებისთანავე, გაუგზავნეს პარიზში ავსტრიის იმპერატორის ქალიშვილი, პრინცესა ყველაზე უფრო ქედმაღალი. თავისი სიძველით მოამაყე დინასტიიდან, და ეს დიდ ბედნიერებადაც კი მიაჩნდა ყველას ჰაბსბურგის სამეფოსათვის, რომელიც ნაშსხვრევებად იყო ქცეული ნაპოლეონის მიერ.

ევროპის ასეთი მონური მორჩილების დროს დარჩენილი მტრის -- ინგლისის — დამარცხება სრულიად შესაძლებელი ჩანდა. სხვა მტრების გახსენებაც კი ზედმეტი იყო. "ლატაკი მუდრეგები", როგორც უწოდებდა ნაპოლეონი ესპანელებს, მას მხედველობაში არ ჰყავდა, ე.ი. არ სურდა მიენიჭებინა მათთვის პატივი, რომ ისინი მტრად ჩაეთვალა. იგი ისე იქცეოდა, თითქოს მათ აღარ ეომებოდა, რადგან სრულიად გაანადგურა ისინი 1809-1810 წლებში, არამედ უბრალოდ იძლეოდა ბრძანებას შეეპყრათ ან დაეხვრიტათ ისინი. ამ ილუზიით დიდხანს არ ღირსებია თავის გართობა: პარტიზანული ომი, გვერილია, კვლავ გრძელდებოდა და გრძელდებოდა. მაგრამ იმპერატორს ბოროტების პირველ წყაროდ აქაც ინგლისელები მიაჩნდა, რომლებიც დახმარებას უწევდნენ ესპანეთს უკვე არა მარტო იარაღით, არამედ მთელი რაზმებითაც.

ინგლისი — და მხოლოდ ინგლისი — ეღობებოდა მას გზაზე. სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილი ნაპოლეონსა და ინგლისს შორის უნდა დამთავრებულიყო ერთ-ერთი მოწინააღმდეგის დაღუპვით. მაგრამ ამაოდ ცდილობდა ნაპოლეონი თავისი ჭიდილი გადაექცია ინგლისის წინააღმდეგ მთელი ევროპის კონტინენტის ბრძოლად, ბლოკადა მწვავედ (და რაც დრო მიდიოდა, მით უფრო მწვავედ) ურტყამდა ერთი მხრით ინგლისს, ხოლო მეორე მხრით კონტინენტს. ნაპოლეონმა იცოდა ეს, მაგრამ სწორედ ეს აცოფებდა მას, რასაც იგი არც ფარავდა.

მისი რისხვა ამ წლებში მიმართული იყო, უწინარეს ყოვლისა, კონტინენტური ბლოკადის ფარულ დამრღვევთა წინააღმდეგ. იგი უცებ უსწორდებოდა მათ. კონტრაბანდისტებს ხვრეტდნენ, ჩამორთმეულ ინგლისურ საქონელს წვავდნენ, ხოლო კონტრაბანდის წამქეზებელ მონარქებს ნაპოლეონი ტახტიდან აგდებდა და აძევებდა.

1806 წელს ნაპოლეონმა ჰოლანდიის მეფედ თავისი უმცროსი ძმა ლუდოვიკო დააყენა. ახალ მეფეს ესმოდა, რომ სავაჭრო კავშირის სრული გაწყვეტა ინგლისთან ჰოლანდიის ვაჭრობას, სოფლის მეურნეობასა და საავაჭრო ზღვაოსნობას სრულ განადგურებას ემუქრებოდა. ყველაფერი ეს იძულებულს ხდიდა ლუდოვიკ ბონაპარტს ზერელედ ეცქირა ჰოლანდიის სანაპიროს კონტრაბანდული ვაჭრობისათვის ინგლისთან.

რამდენიმე მრისხანე საყვედურის შემდეგ ნაპოლეონმა ტახტი ჩამოართვა თავის ძმას, მოსპობილად გამოაცხადა ჰოლანდიის სამეფო, ხოლო ჰოლანდია 1810 წელს განსაკუთრებული დეკრეტით შეუერთა საფრანგეთის იმპერიას და დაყო დეპარტამენტებად, სადაც პრეფექტები დანიშნა.

მას მოახსენეს, რომ ჰანზის ქალაქები — ჰამბურგი, ბრემენი და ლუბეკი — საკმაო სისასტიკით არ იბრძვიან კონტრაბანდის წინააღმდეგ და რომ მისი წარმომადგენელი ჰამბურგში, ბურიენი, ქრთამს იღებს ხელშეშვებისათვის. ნაპოლეონმა დაუყოვნებლივ გადააყენა ბურიენი, ხოლო ჰანზის ქალაქებიც საფრანგეთის იმპერიას შეუერთა.

იგი აძევებდა წვრილ გერმანელ მფლობელთ, რომელთაც სამფლობელოები ზღვის პირას ჰქონდათ, არა იმიტომ, რომ მათ რაიმე დაშავეს, არამედ იმიტომ, რომ იგი მხოლოდ თავისთავს ენდობოდა. მან განდევნა ოლდენბურგის ჰერცოგი და ოლდენბურგი თავის სამფლობელოებს შეუერთა, თუმცა ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია იმპერატორ ალექსანდრესი, რომლის ნათესავიც იყო ოლდენბურგელი.

ხიძნელეები ყოველი მხრით გარს ერტყმოდნენ ნაპოლეონს: აღმოჩნდა, რომ რამდენიმე ათეული ათასი საბაჟო მოხელის, ჟანდარმის, პოლიციელისა და ყოველგვარი და ყოველი რანგის ისეთი მოხელის შოვნა ევროპის მთელი უზარმაზარი სანაპიროსათვის, რომლებიც ჰატიოსნად, მოუსყიდველად და გულმოდგინედ შეასრულებდნენ თავის მოვალეობას, გაცილებით უფრო ძნელი იყო ვიდრე წამქეზებელი მეფისა ან თაღლითი ნაცვლისათვის სამაგიეროს ზღვევინება. ყავის, კაკაოს, შაქრის, პილპილისა და ხანელებლებისათვის ევროპელი მომხმარებლები ხუთჯერ, რვაჯერ და თორმეტჯერ უფრო მეტს იხდიდნენ, ვიდრე ბლოკადამდე, თუმცა ისინი ამ საქონელს წინანდელზე ნაკლები რაოდენობით იღებდნენ.

ხაღებავ ინდიგოსა და ბამბას, ურომლისოდაც ჩერდებოდა მანუფაქტურა, საფრანგეთის, საქსონიის, ბელგიის, ჩეხიისა და რაინისპირა ბამბისმრეწველები და ჩითის მწარმოებლები ხუთჯერ და ათჯერ უფრო ძვირად ყიდულობდნენ, თუმცა ამ საქონელს ისინიც უფრო მცირე რაოდენობით იღებდნენ, ვიდრე წინათ. სად მიდიოდა ეს საოცარი მოგება? ჯერ ერთი, ინგლისელ გემთმფლობელთა და კონტრაბანდისტთა ჯიბეებში და, შემდეგ ნაპოლეონის საბაჟო მოხელეთა და ჟანდარმთა ჯიბეებში.

როდესაც მორიგე გარსშემომვლელ პიკეტს ან საბაჟო მოხელეს იმისათვის, რომ ისინი დათანხმებულიყვნენ მშვიდობიანად ეძინათ ერთ ღამეს, ისეთ თანხას სთავაზობდნენ, რომელიც მათი ხუთი წლის ჯამაგირს უდრიდა, ან როდესაც ჟანდარმს, რომ მას სამი საათის განმავლობაში ამა-

თუიმ სანაპირო ადგილიდან მოშორებით გაესეირნებინა, ხუთასი ოქროს ფრანკის ღირებულების წმინდა მაუდსა და სხვა ხუთასი ფრანკის ღირებულების შაქრის ფხვნილს სთავაზობდნენ, საცთური მეტად დიდი იყო.

ნაპოლეონმა იცოდა და ხედავდა, რომ ამ ფრონზე გამარჯვება მას უფრო გაუძნელდებოდა, ვიდრე აუსტერლიცთან, იენასთან ან ვაგრამთან. იგი ნიშნავდა და გზავნიდა რევიზორებსა და კონტროლიორებს, მუდმივებსაც და საგანგებოებსაც, მაგრამ მათს მოსყიდვასაც ახერხებდნენ. ნაპოლეონი ადგილიდან აყენებდა და სამართალში აძლევდა მათ, მაგრამ მათ ნაცვლად დაყენებული იმასვე სჩადიოდნენ, რასაც გადაყენებულნი და მსჯავრდადებულნი, მხოლოდ ცდილობდნენ უფრო ფრთხილად მოქცეულიყვნენ. მაშინ იმპერატორმა ახალ ღონისძიებას მიმართა. დაიწყო საყოველთაო ჩხრეკა უკვე არა მარტო სანაპირო ქალაქებსა და სოფლებში, არამედ ევროპის შორეულ ცენტრებშიაც, მაღაზიებშიაც, საწყობებსა და კანტორებშიაც. ხდებოდა ყველა ინგლისური საქონლის კონფისკაცია. პანიკით მოცული გაკოტრებული მფლობელნი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ საქონელი არა ინგლისური, არამედ ამერიკული იყო, და მართლაც, ამერიკელები ამ დროს ოქროს იხვეჭდნენ იმით, რომ თავისი ბაირაღით იფარავდნენ და ასაღებდნენ მათი გემებით მოზიდულ ინგლისურ საქონელს. და აი, მთელს ევროპაში გაჩაღდა კოცონები: ნაპოლეონი არ ენდობოდა საბაჟოს მოხელეებს, პოლიციას, ჟანდარმებს, მსხვილსა და წვრილ ხელისუფლებს (დაწყებული მეფეებით და გენერალ-გუბერნატორებით და დამთავრებული ღამის დარაჯებითა და ცხენოსანი პილიციელებით) და ბრძანება გასცა საჯაროდ დაეწვათ ყველა ჩამორთმეული საქონელი. ხალხის გროვა, მნახველთა სიტყვით, პირქუშად და მდუმარედ შეჰყურებდა ჩითის, წმინდა მაუდისა და ქიშმირის მაღალ მთებს, შაქრის, ყავისა და კაკაოს კასრებს, ჩაის ყუთებს, ბამბისა და ბამბის ნართების ნაკრაულებს და ინდიგოს, პილპილის და დარიჩინის ყუთებს, რომლებსაც გარს უწყობდნენ, ზედ ასხამდნენ საწვავ ნივთიერებას და საჯაროდ სწვავდნენ. "კეისარი შმაგობს" წერდნენ ინგლისური გაზეთები ამ სანახაობის შესახებ გავრცელებული ხმების გავლენით.

ნაპოლეონმა გადაწყვიტა, რომ ყველა ამ მხოლოდ შემოტანილი განძეულობის ფიზიკურად განადგურებას შეუძლია გახადოს კონტრაბანდა მართლაც საზარალო საქმედ და გაავრცელოს რისკი არა მარტო იმათზე, ვინც ცდილობს ყრუ ღამეში გადმოტვირთოს მოზიდული საქონელი მყუდრო დაბაში, ფრიალო კლდის ძირას, უდაბურ ნაპირზე, არამედ ლაიპციგის, ჰამბურგის, სტრასბურგის, ჰარიზის, ანტვერპენის, ამსტერდამის, გე-

ნუის, მიუნხენის, ვარშავის, მილანის, ტრიესტის, ვენეციისა და სხვათა მდიდარ ვაჭრებზედაც, რომლებიც დამშვიდებით სხედან თავიანთ კანტორებში და ყიდულობენ ამ კონტრაბანდ საქონელს უკვე მესამე ან მეოთხე ხელიდან.

საფეიქრო ფაბრიკების მეპატრონეთა შორის საჩივრები გაისმოდა: უბამბოდ შეუძლებელი იყო ჩითის წარმოება, უინდიგოდ შეუძლებელი იყო ქსოვილების შეღებვა.

რაც შეეხება ვაჭრებსა და ხელოსნებს, რომლებიც ფუფუნების საგნების წარმოებაზე მუშაობდნენ, აქ დრტვინვა კიდევ უფრო ძლიერი იყო: მწუხარებით იგონებდნენ 1802-1803 წლების ამიენის ზავის იმ ხანმოკლე თვეებს, როდესაც ათასობით მდიდარი ინგლისელი მიაწყდა პარიზს და ერთბაშად შეისყიდა თითქმის მთელი საქონელი დედაქალაქის ოქრომჭედლეთაგან და თითქმის მთელი ხავერდი და აბრეშუმი ლიონის საწყობებში. ჩაის, ყავის, შაქრისა და მანუფაქტურის ფასები განუწყვეტლივ იზრდებოდა.

სწორედ ამ ვითარებაში დაატყდა თავს იმპერიას 1811 წლის საეჭროსამრეწველო კრიზისი.

უკვე 1810 წლის შემოდგომის მიწურულში თვალსაჩინო გახდა საფრანგეთის საქონლის განაღდების შემცირება და ეს მოვლენა სწრაფად მოედო მთელს იმპერიას.

კრიზისი თვიდან თვეზე მატულობდა. მაგალითად, მთელი რიგი ბამბის ხაქსოვი და ბამბის ძაფსართავი ფაბრიკებისა და ჩითეულობის მანუფაქტურის მეპატრონეს რიშარ-ლენუარს, რომელთანაც 1811 წლის კრიზისის წინ საერთოდ თორმეტ ათასზე მეტი კაცი მუშაობდა, 1811 წელს ამ რაოდენობის მეხუთედიც არ დარჩებოდა, თუ ნაპოლეონს არ ებრძანებინა მიეცათ მისთვის სასწრაფო სუბსიდია მილიონნახევარი ოქროს ფრანკის რაოდენობით. მაგრამ გაკოტრება გაკოტრებას მისდევდა.

1811 წლის მარტში ნაპოლეონმა განკარგულება გასცა მიეცათ ამიენის ფაბრიკანტებისათვის ერთი მილიონი სუბსიდია და ერთბაშად შეისყიდა ორი მილიონის საქონელი რუანსა, სენ-კანტენსა და გენტში. უდიდესი სუბსიდიები გადაიდო აგრეთვე ლიონისათვისაც. მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ წვეთი იყო ზღვაში.

იმ საბუთთა შორის, რომლებიც მე ნაციონალურ არქივში ვიპოვე და რომლებიც კრიზისის გრანდიოზულ განვითარებას ახასიათებს, ყველაზე უფრო დიდ შთაბეჭდილებას ის საბუთები ახდენს, რომლებიც საერთო შედეგებს აჯამებენ. შინაგან საქმეთა მინისტრმა აცნობა ნაპოლეონს 1811 წლის 19 აპრილს: "სარეწაოთა მეტი ნაწილის მუშები ჩივიან, რომ ისინი

უმუშევრები არიან. ირწმუნებიან, რომ მუშათა დიდი რაოდენობა განუწყვეტლივ მიდის ემიგრაციაში". რუანსში ისეთი საშინელი უმუშევრობა იყო, რომ ნაპოლეონი იძულებული გახდა თხუთმეტი მილიონი გაეღო დაღუპვის პირას მისული სხვადასხვა სახის მანუფაქტურის გადასარჩენად.

მძიმე ზამთარი იყო, და, მრეწველობის ხელშესაწყობად საჭირო სუბსიდიების გარდა, ნაპოლეონი იძულებული იყო 1811-1812 წლების ზამთრის პერიოდში განსაკუთრებული თანხები გაეღო გაჭირვებული მუშათა მოსახლეობის უშუალო დახმარებისათვის; მაგრამ ამ გასაკითხს არ შეეძლო გაეუმჯობესებინა მუშათა მდგომარეობა. ამ პერიოდში ყრუ მღელვარება დაიწყო როგორც პარიზის მუშათა განაპირა ადგილებში, ისე სხვა სამრეწველო ცენტრებშიაც.

1813-1814 წლის ზამთარში ამ მღელვარებამ უკვე ნათლად იჩინა თავი ბორდოს მუშათა შორის; პარიზში, ტულონსა და ბრესტში აშკარა მღელვარება იყო.

ეს კრიზისი უწინარეს ყოვლისა (მაგრამ არამცდაარამც არა განსაკუთრებით) იმ საქონლის განაღდების კრიზისი იყო, რომელიც შეადგენდა უმთავრესად ვაჭრობისა და მრეწველობის საგნებს, რაც საფრანგეთს ამდიდრებდა. ვის უნდა გაესაღებინა პარიზის სახელოსნოთა შესანიშნავი ჯავარჩული ნაწარმები? ვის უნდა გაეყიდა ძვირფასი ავეჯეულობა, რომლის გაკეთებაზედაც სენტ-ანტუანის გარეუბნის მოსახლეობის თითქმის სამი მეოთხედი მუშაობდა? ან ძვირფასი საუკეთესო ხარისხის ტყავის ნაწარმი, რომლის წარმოებითაც ირჩენდა თავს სენ-მარსელის გარეუბანი და მუშათა უზარმაზარი კვარტალი მუფტარი? ან ქალთა საუკეთესო სამკაულები და მამაკაცთა კოსტიუმები, რომელთა კეთებასა და გაყიდვასაც უნდებოდა მსოფლიო დედაქალაქის უამრავი სამკერვალო სახელოსნოები? როგორ შეიძლებოდა მაღალი ფასები შერჩენოდა ლიონის აბრეშუმსა და ხავერდს, სედანის უმაღლესი ხარისხის მაუდს, წმინდა ტილოს თეთრეულს, რომლებიც ლილსა, ამიენსა და რუბეში კეთდებოდა, და ვალანსიენს მაქმანს?

ფუფუნების ყველა ეს ფრანგული საგანი კეთდებოდა არა მარტო შინაური ბაზრისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვისაც, ხოლო მთელი მსოფლიო ფრანგული საქონლისათვის მეტად შემცირებული აღმოჩნდა; ინგლისი ჩამოშორდა; როგორც ჩრდილოეთი ისე სამხრეთი ამერიკაც ჩამოშორდა; ანტილიის კუნძულებისა და მასკარენის კუნძულების მდიდარი პლანტატორები ჩამოშორდნენ. საერთოდ, ყველა ქვეყნიდან, ჩამოშორდა ყველა მყიდველი (უაღრესად მდიდარი და მრავალრიცხოვანი) ევროპის კონტი-

ნენტისაგან "მარილიანი წყლით" დაშორებული, რადგან "მარილიან წყალზე" განუყრელად ბატონობდნენ ინგლისელები.

შესაძლებელი იყო იძულებული გაეხადათ იტალია საფრანგეთში ეყიდა იაფფასიანი შალეულობა, შესაძლებელი იყო იძულებულეყოთ "ილირიის პროვინციები" ეყიდათ ფრანგული ჩითები, მაგრამ შეუძლებელი იყო ვისიმე იძულებულყოფა ეყიდათ უფულობისას ლიონის აბრეშუმი, ან ძვირფასი მაქმანები, ან სედანის წმინდა მაუდი, ან შავი ხის სასტუმრო ავეჯეულობა, ან შამპანური ღვინო და ძვირფასი ხარისხის კონიაკები, ან ოქროს საათები და სამკაულები და გამოეწერათ სამეჯლისო ტუალეტები პარიზიდან.

ნაპოლეონი მოითხოვდა, რომ სასახლეში ჩაეცვათ რაც შეიძლება უფრო მდიდრულად, რაც შეიძლება უფრო ხშირად გამოეცვალათ ტუალეტი და სხვ. იმპერატორის ამ განკარგულებას არ შეეძლო უზრუნველეყო ფუფუნების საგნების წარმოების უდიდესი დარგის ნაწარმის უხვი გასაღება, თუმცა სასახლის ცხოვრება ნაპოლეონის დროს თვით 1811 წლამდისაც კი არაჩვეულებრივად მდიდრული იყო, ხოლო იმპერატორის ამ განკარგულებათა შემდეგ კარგ ტონად მიიჩნიეს ფულის უანგარიშოდ მიცემა პარიზის ოქრომჭედელთა და ლიონის მეაბრეშუმეთათვის, ნადიმების გამართვა ასეულობით მოპატიჟებულთათვის, სადაც შამპანური და სხვა ძვირფასი ღვინოები უხვად იღვრებოდა, ავეჯეულობის შეცვლა უფრო ძვირფასი და კოხტა ავეჯით, ძვირფასი მაქმანებით მორთვა არა მარტო თავის თავისა, არამედ მოსამსახურისაც, საუცხოო კარეტების დაკვეთა და სხვ.

თვით ნაპოლეონმაც მეტად ძვირფასი და დიდი დაკვეთები მისცა 1811 წელს როგორც პარიზის, ისე ლიონის მრეწველებსა და ხელოსნებს სახაზინო შენობებისა და სასახლეებისათვის სახაზინო ხარჯზე.

1811-1812 წლის ზამთრისათვის კრიზისმა ნელნელა შესუსტება იწყო. დედაქალაქსა თუ პროვინციაში მუშათა მასის დიდ გამოსვლამდე არ მისულა საქმე, თუმცა მღელვარების, მოუთმენლობის, გულგატეხილობის და ზოგჯერ სასოწარკვეთილების ნიშნებს ამჩნევდნენ სახელმწიფო და კერძო მეთვალყურენიც. ნაპოლეონი ხშირად ამბობდა, რომ საშიში იქნება მხოლოდ ერთადერთი რევოლუცია — ცარიელი კუჭის რევოლუცია.

მას ესმოდა, რომ კონტინენტური ბლოკადა ანადგურებდა საფრანგეთის ვაჭრობას, ხოლო ბლოკადის შესაწყვეტად ჯერ საჭირო იყო იმის მიღწევა, რომ ინგლისს იარაღი დაეყარა. მას უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ახლა მიაჩნდა მთავარ საშუალებად ინგლისზე გამარჯვების დაჩქარება თა-

ვისი იმპერიის გამაგრებისათვის შიგნიდანაც და გარედანაც. და ის უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, დარწმუნებული იყო, რომ ბლოკადაში უკვე უდიდესი გარღვევა იყო მოხდენილი ინგლისელთა მიერ; რომ ალექსანდრე მას ეთვალთმაქცებოდა და ატყუებდა; რომ ინგლისის საქონელი რუსეთიდან მთელი თვალუწვდენელი დასავლეთის საზღვრით, პრუსიასა, პოლონეთსა და ავსტრიაზე გამოტარებით, ათასობით ფორებისა და ჭუჭრუტანების საშუალებით აღწევდა ევროპაში და რომ ამას ნულამდე დაპყავდა კონტინენტური ბლოკადა, ე.ი. სპობდა ერთადერთ იმედს "წამოეჩოქებინა ინგლისი".

უკვე 1810 წლიდან ნაპოლეონმა ბრძანება გასცა მოეტანათ მისთვის ისეთი წიგნები, სადაც ინფორმაცია იქნებოდა რუსეთის შესახებ — მისი ისტორიისა და თავისებურებათა შესახებ.

ლონდონისაკენ მიპყრობილი თვალი, რომელსაც ის მთელი ცხოვრების მანძილზე ხან ალპებისაკენ აცეცებდა, ხან ვენისაკენ, ხან ბერლინისაკენ, ხან მადრიდისაკენ, რათა კვლავ შეუპოვრად ისევ ლონდონისათვის მიეპყრო, ახლა, როგორც კი შესვენება დაიწყო კონტინენტურ ომებში, ლონდონიდან ევროპის ყველაზე უფრო შორეულ დედაქალაქს მიებჯინა.

იმპერატორის ნაწყვეტ-ნაწყვეტ გამოთქმათა და იმ უბადრუკ ცნობათა მიხედვით, რომლებიც იმპერატორის გარემოცვისაგან მოდიოდა, ნაპოლეონი უკვე 1810 წლის შემოდგომიდან ნელნელა შეეჩვია იმ აზრს, რომ ინგლისელებზე, ამ შეუპოვარ, უჩინარ შემომტევ მტერზე, რომლის დამარცხებაც ვერ მოხერხდა ვერც კაიროში, ვერც მილანში და ვერც მადრიდში, შეიძლება საბოლოო, თავზარდამცემი იერიშის მიტანა მხოლოდ მოსკოვში. ამ აზრს თვიდან თვეზე უფროდაუფრო მტკიცედ ადგებოდა ნაპოლეონი.

დიდი არმია მოსკოვში — ეს ნიშნავდა ალექსანდრეს მორჩილებას, კონტინენტური ბლოკადის სრულ, უტყუარ განხორციელებას; მაშასადამე ინგლისზე გამარჯვებას, ომების დასარულს, კრიზისების დასასრულს, უმუშევრობის დასასრულს და მსოფლიო იმპერიის როგორც შინაგან, ისე საგარეო განმტკიცებას. 1811 წლის კრიზისმა საბოლოოდ მიმართა ნაპოლეონის აზრი ამ მხრით.

ახალი უზარმაზარი შეიარაღებული ბრძოლის სისხლიანი აჩრდილი აღიმართა მსოფლიოს ჰორიზონტზე.



რუსეთთან განხეთქილება

(1811-1812)

1811 წლის 15 აგვისტოს ნაპოლეონისათვის დღეობის მისალოცავად მოსული დიპლომატიური კორპუსის საზეიმო მიღებაზე იმპერატორი შეჩერდა რუსეთის ელჩის, თავადი კურაკინის მახლობლად და მრისხანე სიტყვით მიმართა მას, რასაც მუქარის ხასიათი ჰქონდა. იგი ბრალს სდებდა ალექსანდრეს კავშირისადმი არაერთგულებაში. "რის იმედი აქვს თქვენს ხელმწიფეს?" — მუქარით ჰკითხა მან. შემდეგ ნაპოლეონმა წინადადება მისცა კურაკინს დაუყოვნებლივ მოეწერა ხელი შეთანხმებაზე. რომელიც მოაგვარებდა ყველა გაუგებრობას რუსეთსა და საფრანგეთის იმპერიას შორის. შეშინებულმა და აღელვებულმა კურაკინმა განუცხადა, რომ მას არა აქვს რწმუნება ასეთი აქტისათვის. "არა გაქვთ რწმუნება? — შეჰყვირა ნაპოლეონმა — მაშ, მოითხოვეთ ეს რწმუნება! მე არ მინდა ომი, არ მინდა აღვადგინო პოლონეთი, მაგრამ თქვენ თვითონვე გსურთ შეუერთოთ რუსეთს ვარშავისა და დანციგის საპერცოგოები... სანამ თქვენი სასახლის საიდუმლო ზრახვები არ გამოაშკარავდება, მე არ შევწყვეტ იმ არმიის გადიდებას, რომელიც გერმანიაში დგას..." კურაკინის თავის მართლებასა და ახსნა-განმარტებას, რომელიც უარყოფდა ყველა ამ ბრალდებას, იმპერატორი ყურს არ უგდებდა, არამედ ლაპარაკობდა და ყოველნაირად იმეორებდა თავის აზრებს.

ამ სცენის შემდეგ ევროპაში უკვე არავის ეჭვი არ ეპარებოდა რომ მალე დაიწყებოდა ომი.

ნაპოლეონი თანდათან ხდიდა მთელს ვასალურ გერმანიას უდიდეს პლაცდარმად მომავალი თავდასხმისათვის.

ამავე დროს მან გადაწყვიტა იძულებული გაეხადა როგორც პრუსია, ისე ავსტრია — ეს ორი სახელმწიფო კონტინენტზე, რომელიც ჯერ კიდევ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ითვლებოდნენ, თუმცა ფაქტიურად პრუსია ნაპოლეონის სრულ პოლიტიკურ მონობაში იმყოფებოდა — მასთან სამხედრო კავშირი შეეკრათ. ეს სამხედრო კავშირი უნდა დადებულიყო რუსეთზე თავდასხმის წინ.

მეტად მძიმე დროს განიცდიდა პრუსია იმ წლებში, როდესაც მას აწვა ნაპოლეონის უღელი, მაგრამ მაინც ტილზიტის მომდევნო პირველ მომენტებშიაც კი, 1807-1808 წლებში, იქ არ ყოფილა ისეთი ქრონიკული პანიკა, როგორც ვაგრამისა და ნაპოლეონის მეორედ დაქორწინების შემდეგ. პირველ წლებში, შტეინისა და "რეფორმების პარტიის" გავლენით, პრუ-

სიაში თუ სავსებით არ მოსპობილა ბატონყმობა, საგრძნობლად შეირყა ყველა მისი საფუძვლები. გატარდა აგრეთვე ზოგიერთი სხვა რეფორმაც.

მაგრამ აი მეზნებარე პატრიოტმა შტეინმა, რომელსაც მეტად აშკარად აფრთოვანებდა ესპანეთის აჯანყება, ნაპოლეონის პოლიციის ყურადღება მიიპყრო. ხელში ჩაუვარდათ ერთი მისი წერილი, რომელიც ნაპოლეონს არა საიმედოდ მოეჩვენა, და იმპერატორმა უბრძანა მეფე ფრიდრიხ-ვილჰელმ III დაუყოვნებლივ განედევნა შტეინი პრუსიიდან. მეფემ ერთგულების ნიშნად არა თუ მყისვე შეასრულა ბრძანება, არამედ ქონებაც კი ჩამოართვა შერისხულ მინისტრს.

რეფორმების საქმე პრუსიაში შენელდა, მაგრამ არ შეწყვეტილა. სამხედრო მინისტრი შარნჰორსტი, გნეიზენაუ და მათი თანაშეიწენი მუშაობდნენ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო არმიის რეორგანიზაციაზე. ნაპოლეონის მოთხოვნით, პრუსიას არ შეეძლო ჰყოლოდა ორმოცდაორ ათასზე მეტი კაცისაგან შემდგარი არმია, მაგრამ სხვადასხვაგვარი ოსტატური ღონისძიებებით პრუსია ახერხებდა სამხედრო ცოდნა შეეტანა დიდ მასაში, რომელსაც ხანმოკლე ვადით იწვევდა. ამნაირად, მონურად ასრულებდა რა ნაპოლეონის ნება-სურვილს, ემორჩილებოდა, ეპირფერებოდა და თავს იმცირებდა რა მის წინაშე, პრუსია ჩუმჩუმად მაინც ემზადებოდა შორეული მომავლისათვის და არ ჰკარგავდა იმედს, რომ გამოვიდოდა იმ სასოწარკვეთილი, აუტანელი მდგომარეობიდან, რომელშიაც ჩააყენა იგი 1806 წლის საშინელმა განადგურებამ და 1807 წლის ტილზიტის ზავმა.

როდესაც 1809 წელს ნაპოლეონისა და ავსტრიის ომმა იფეთქა, პრუსიამ მოახდინა ერთი თავგანწირული, მშფოთარე ცდა განთავისუფლებულიყო ჩაგვრისაგან: მაიორმა შილმა იმ ჰუსართა რეგიმენტის ნაწილით, რომელსაც იგი მეთაურობდა, პარტიზანული ომი დაიწყო. იგი დაამარცხეს, ტყვედ წაიყვანეს და ნაპოლეონის ბრძანებით პრუსიის სამხედრო სასამართლოს მიერ გასამართლებულ და დახვრეტილ იქნა. შეშინებული მეფე უაღრესად აღშფოთებული და გააფთრებული იყო შილის წინააღმდეგ, მაგრამ ნაპოლეონი ჯერჯერობით კმაყოფილი იყო ამ დასჯით და ფრიდრიხ-ვილჰელმის თავდამცირებული რწმუნებით. მაგრამ ავსტრიის ახალი განადგურების შემდეგ (ვაგრამთან), შენბურნის ზავისა და ნაპოლეონის მარია-ლუიზაზე დაქორწინების შემდეგ პრუსიის ხსნის უკანასკნელი იმედიც დაიკარგა.

პრუსია 1810-1811 წლებში დაღუპვას მოელოდა. შიშით იყო მოცული არა მარტო მეფე ფრიდრიხ-ვილჰელმ III, რომელსაც მამაცობა არასოდეს არ ახასიათებდა, არამედ ჩაჩუმდნენ ის პატრიოტული გაერთიანებანიც კი

ტუგენდბურდის სახით, რომელნიც იმ დროს გამოხატავდნენ ახალგაზრდა გერმანული ბურჟუაზიის ერთი ნაწილის მიდრეკილებებს თავი ეხსნათ უცხოელი მჩაგვრელისაგან და შემდეგ შეექმნათ ახალი, "თავისუფალი" გერმანია. ტუგენდბურდიც, ისევე როგორც სხვა არალეგალური ასოციაციები, მიყუჩდა და დასეკდიანდა 1810 წელს და განსაკუთრებით კი 1811 წელსა და 1812 წლის დასაწყისში. მდგომარეობა უკვე მეტისმეტად უიმედო ჩანდა.

კონტრიბუციას წესიერად იხდიდნენ. კონტინენტულ ბლოკადას პუნქტუალურად ასრულებდნენ, მეფე თრთოდა და მუცელზე ხოხავდა, პრუსიის მინისტრი ჰარდენბერგი მლიქვნელობდა და თავს იმცირებდა, მაგრამ ნაპოლეონს მაიც არ გაჰყავდა თავისი ჯარი პრუსიის ციხე-სიმაგრეებიდან და არ აძლევდა მათ არაკითარ დამაკმაყოფილებელ დაპირებებს. ყველა ზემონათქვამის შემდეგ საოცარი არ არის, რომ ნაპოლეონმა, როდესაც იგი რუსეთთან ომისათვის ემზადებოდა, უცებ მოითხოვა — პრუსია აქტიურად დახმარებოდა მას ამაში ჯარით, და ესეც შესრულებულ იქნა, თუმცა დიდი მერყეობის შემდეგ. ნაპოლეონმა ერთი დაკერით ბოლო მოუღო ამ მერყეობას. 1811 წლის 14 ნოემბერს მან ინსტრუქცია მისცა მარშალ დავუს: პირველი ნიშნისთანავე შესულიყო პრუსიაში და დაეკავებინა იგი მთლიანად საფრანგეთის არმიით. 1812 წლის 24 თებერვალს პარიზში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც პრუსია კისრულობდა მონაწილეობა მიეღო ნაპოლეონის მხარეზე მის მიერ წარმოებულ ყოველგვარ ომში.

ამის შემდეგ ნაპოელნმა მყისვე მიმართა ავსტრიას:

აქ საქმე მოეწყო აგრეთვე განსაკუთრებულ სიძნელეთა გარეშე.

თაედასხმის შიში და ყოვლისშემძლე სიძის მოწყალების იმედი ნაპოლეონის ისეთსავე მორჩილ მსახურად ხდიდა იმპერატორ ფრანცს, როგორც შეშინებული ფრიდრიხ-ვილჰელმ III იყო. ნაპოლეონს უკვე არც ვენიდან სმენია რამე ამ წლებში, მონური მლიქვნელობის გარდა. როდესაც დედოფალ მარია-ლუიზას 1811 წელს შეეძინა ვაჟიშვილი, ნაპოლეონის იმპერის მემკვიდრე, ვენაში გამოქ... ...ნდა საგულისხმო გრავიურა, რომელიც სასახლის გრძნობების აჩუყებას იწვევდა: გამოსახავდა ღვთისმშობელს მარია-ლუიზას სახით და ხელში ჩვილი ბავშვით ... ქრისტეთი, რომელსაც ახალშობილი "რომის მეფის" სახე ჰქონდა, ხოლო ზემოდან ღრუბლებში თვით მამა-ღმერთი მოჩანდა ნაპოლეონის ფიზიონომიით. ერთი სიტყვით, არ ყოფილა ისეთი უმსგავსობა, ისეთი კურიოზი და შეუსაბამობა, რომელიც არ გამოეყენებინათ, თუ საქმე იმას ეხებოდა, რომ ერთხელ კი-

დეკ ზედმეტად გამოეთქვათ პარიზელი მბრძანებლისათვის მონური თაყვანისცემის, რელიგიური პატივისცემის შეუსუსტებელი აღტაცების გრძნობები.

ეს ორი "კაკშირი" პრუსიასთან და ავსტრიასთან ნაპოლეონს ესაჭიროებოდა არა იმდენად დიდი არმიის შევსებისათვის, რამდენადაც, იმისათვის, რომ მიეპყრო რუსის ჯარის ერთი ნაწილის ყურადღება ჩრდილოეთისა და სამხრეთისაკენ და მოეშორებინა იგი იმ პირდაპირი გზიდან — კონვო-ვილნო-ვიტებსკ-სმოლენსკ-მოსკოვისაგან, — საითაც უნდა მიმართულიყო მისი შეტევა.

პრუსიამ იკისრა ნაპოლეონის განკარგულებაში გამოეყო მომავალი ომისათვის ოცი ათასი კაცი, ხოლო ავსტრიამ — ოცდაათი ათასი. გარდა ამისა, პრუსია კისრულობდა დაეთმო ნაპოლეონისათვის მისი არმიის სასარგებლოდ (საფრანგეთის იმპერატორისათვის გადაუხდელი ვალის ერთი ნაწილის დასაფარავად, რომლიდანაც პრუსიამ ვერაფრით ვერ შეძლო თავის დაღწევა) ოცი მილიონი კილოგრამი ჭყავი, ორმოცი მილიონი კილოგრამი ხორბალი, ორმოც ათასზე მეტი ხარი და ოცდაათი მილიონი ბოთლი მაგარი სასმელები.

ომის დიპლომატიური მომზადება დამთავრდა ადრიან გაზაფხულზე. არის ცნობები, რომ 1811 წლის ცუდმა მოსავალმა შიმშილი გამოიწვია საფრანგეთის ზოგიერთ ადგილას ზამთრის დასასრულსა და 1812 წლის გაზაფხულზე, რომ აქა-იქ სოფლად მღელვარებას ჰქონდა ადგილი ამ ნიადაგზე, ხოლო ზოგან მოსალოდნელი იყო მღელვარება, და ცნობებიც არსებობს, რომ ამან შეაფერხა ნაპოლეონის გალაშქრება თვენახევრითა თუ ორი თვით. პურის შესყიდვა და სპეკულაცია აძლიერებდა შფოთსა და მღელვარებას სოფლად, და ამ არეულ-დარეულობამაც შეანელა ნაპოლეონის გალაშქრება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1811 წლისა და 1812 წლის დასაწყისს ჩატარებული ჯარში გაწვევა მაინცდამაინც დაუბრკოლებლად არ მიმდინარეობდა. გაწვევას ახლა უფრო მეტი არიდებდა თავს, ვიდრე უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში, თუმცა ამ წლებშიაც (აუსტერლიცის კამპანიის შემდეგ) თავის ამრიდებელთა რიცხვი საკმაოდ დიდი იყო. ისინი ტყეებში გარბოდნენ, იმალებოდნენ. ნაპოლეონმა განსაკუთრებული მფრინავი რაზმები მოაწყო მათზე სანადიროთა და შესაპყრობად.

მაგრამ, საერთო გაწვევამ 1812 წლის ომის წინ მაინც მისცა ნაპოლეონს ის, რის იმედიც ჰქონდა.

სამხედრო და დიპლომატიური მომზადება 1812 წლის გაზაფხულის დასასრულისათვის ნაპოლეონის მიერ ძირითადად და ნაწილობრივ დე-

ტალურადაც დამთავრებულ იქნა. მთელი ვასალური ევროპა მზად იყო გასულიყო რუსეთის წინააღმდეგ. იმპერატორმა გადაწყვიტა დაენაწილებინა ესპანეთი: 1811 წელს მან მოსწყვიტა თავისი ძმის, მის მიერვე ესპანეთის მეფედ დანიშნული იოსებ ბონაპარტის სამფლობელოებს მდიდარი, ყველაზე უფრო სამრეწველო დიდი პროვინცია კატალონია. შეუერთა იგი უშუალოდ საფრანგეთს და დაპყო ოთხ დეპარტამენტად. ამ აქტს, რომელიც ამდიდრებდა საფრანგეთის ვაჭრობას, იმპერატორმა ესპანელთა დასჯის სახე მისცა — მათი "ამბოხებისათვის". მაგრამ "ამბოხება" გრძელდებოდა როგორც საფრანგეთის იმპერიაში შემავალი კატალონიის ახალ დეპარტამენტებში, ისე საფრანგეთის ჯარის მიერ დაკავებულ დანარჩენ ესპანეთშიაც, რომელიც ნომინალურად ჯერ კიდევ "დამოუკიდებლად" ითვლებოდა და მეფე იოსებ ბონაპარტს ექვემდებარებოდა. ესპანეთში დატოვებულ იქნენ მარშლები სულტი, მარმონი და სიუშე დიდი სამხედრო ნაწილებით, რაც, ნაპოლეონის აზრით, საკმარისი იყო, რომ მოეგერიებინათ ინგლისელთა თავდასხმა. ინგლისელები ველინგტონის წინამძღოლობით იბრძოდნენ ნახევარკუნძულზე. მათ დახმარებას უწევდა იმ ესპანელ პარტიზანთა, "გვერილიასთა*", ირიშები, რომლებიც უკვე ოთხი წლის განმავლობაში განაგრძობდნენ თავის გააფთრებულ ბრძოლას.

ზურგი უზრუნველყოფილი იყო, გზა თავისუფალი, სამხედრო ძალა იმპერატორის ხელში რამდენჯერმე მეტი იყო. ციდრე ყველა წინა ომში; მის წინაშე იდგა მტერი, რომელიც მას უკვე რამდენჯერმე ჰყავდა დამარცხებული.

დიპლომატები წინასწარ გრძნობდნენ კატასტროფას, მაგრამ მათი დიდი უმეტესობა ფიქრობდა, რომ კატასტროფა დამღუპველი იქნებოდა სწორედ რუსეთისათვის, მას ისეთი ხიფათი ატყდებოდა თავს, რომლის მსგავსიც არ განუცდია მას თავის ისტორიის მანძილზე თათრების შემოსევის შემდეგ.

ნაპოლეონისათვის სალაშქროდ საჭირო არმია უკვე მაშინ ისაზღვრებოდა ნახევარი მილიონი ადამიანით, თუ არ ჩავთვლით იმ ორმოცდაათი ათას კაცს, რომლებიც უნდა მიეღო ავსტრიიდან და პრუსიიდან. ამ ნახევარი მილიონიდან ორასი ათასზე მეტი უნდა გამოეყვანათ სხვა ვასალებს

იტალიას, ილირიას, ვესტფალიის სამეფოს, ბავარიას, ვიუმტერბერგს, ბადენს, საქსონიას, რაინის კავშირს, ყველა დანარჩენ სახელმწიფოს და ვარშავის დიდ საჰერცოგოს. სულ ოთხმოცდაათი ათასი პოლონელი მსახურობდა ნაპოლეონის არმიაში. ბელგია, ჰოლანდია და ჰანზის ქალაქები ირიცხებოდნენ არა ვასალებად, არამედ საფრანგეთის იმპერიის ნაწილს წარმოადგენდნენ.

მოისმინა რა ყველა ეს მოსაზრება, ბავარიის გენერალმა ვრედემ გაბედა მორიდებით შეენიშნა — უკეთესი ხომ არ იქნება თავი შეიკავოთ რუსეთთან ომისაგანო. "კიდევ სამი წელი და მე მთელი მსოფლიოს ბატონი ვიქნები" — უპასუხა ნაპოლეონმა.

1812 წლის 9 მაისს, დილის 6 საათზე, ნეპოლეონი დედოფალ მარიალუიზას თანხლებით გავიდა სენ-კლუს სასახლიდან და გაემართა დიდი არმიისაკენ, რომელიც უკვე სხვადასხვა გზით მიდიოდა, გერმანულ ქვეყნებზე გავლით, პოლონეთისაკენ და თანდათანობით იყრიდა თავს ვისლასა და ნემანთან.

16 მაისს იმპერატორი დრეზდენს გაემგზავრა საქსონიის მეფის თანხლებით, რომელიც ჯერ კიდევ წინა დღით გამოვიდა მის შესახვედრად. დრეზდენში თავი მოიყარეს ვასალური ქვეყნების მეფეებმა და დიდმა ჰერცოგებმა, რათა მისალმებოდნენ თავის უმაღლეს მბრძანებელს. სხვა მრავალ მონარქს შორის დრეზდენში მივიდა პრუსიის მეფე ფრიდრიხ-ვილჰელმ III და აგრეთვე აუსტრიის იმპერატორი ფრანცი დედოფლითურთ. თხუთმეტი დღე დაჰყო ნაპოლეონმა დრეზდენში, სადაც მას გარს ერტყნენ ეს პირმოთნე ვასალები. ისინი ყველანი (თვით სიმამრის ჩათვლით) ქუდმოხდილები იყვნენ მის წინაშე, და მხოლოდ ნაპოლეონს ეხურა თავისი ცნობილი სამკუთხოვანი ქუდი. ნაპოლეონის მოპყრობა მათდამი, საერთოდ, მწყალობლური იყო, ე.ი. იგი მათ მწყალობლურად ჰკიდებდა ხელს ყურში — და იმპერატორის ასეთი ალერსისაგან ისინი სიხარულით ცას ეწეოდნენ ხუმრობით აჯავრებდა მათ, ხოლო ზოგჯერ ხელს უთათუნებდა მხრებზე უფრო ღირსეულთ, ზოგს მეტად სასტიკ საყვედურს უცხადებდა საჯაროდ. მაგრამ დრეზდენში ეს იშვიათად ხდებოდა. პირფერობა ამჯერად ისეთი უსაზღვრო, თაყვანისცემელი იყო და ყოველგვარ მასშტაბსა და ფარგლებს შორდებოდა, რომ დრეზდენის ამ გახურებულ ზეიმში როდესაც ვიღაცამ გასაგონად გამოთქვა უკვე რაღაც ჰიპოთეზის, მსგავსი მთელი ქვეყნის დამპყრობის ღვთაებრივი ბუნების შესახებ, ნაპოლეონს, რომელიც შეჩვეული იყო ყოველგვარ პირფერობას, უცვლ ზიზღი მოერია და მან ხმამაღლა იკითხა: "მაშასადამე, ისინი მე მაინც დიდ ბრიყვად მთვლიან?"

ყველანი, გვირგვინოსნები და არაგვირგვინოსნები, გერმანელები და არაგერმანელები, რომლებიც მის ამალას შეადგენდნენ დრეზდენში, ნაპოლეონს მიაჩნდა მონებად და ყურმოჭრილ ყმებად, რომელთაც საშინლად ეშინოდათ მისი, და მათი გულწრფელობა არასოდეს არ სჯეროდა. მაგრამ ამალის ყოფაქცევა დრეზდენში უმტკიცებდა მას რომ ამ ამალას სწამდა მისი გამარჯვება რუსეთზე იმ ომში, რომელიც იწყებოდა.

ეს რწმენა ყველგან იყო გამეფებული იმ მომენტში ევროპაშიაც და ამერიკაშიაც, სასახლეებშიაც, ქოხებშიაც და ვაჭართა დახლებშიაც. წინანდებურად ელოდა შესაფერ წუთს მხოლოდ ინგლისი. აგრეთვე წინანდებურად არაფერს არ აქცევდნენ ყურადღებას, არ სურდათ პრაფერის ცოდნა არავითარი ექვსასათასიანი ლაშქრის შესახებ და არ სცნობდნენ საფრანგეთის კეისარს ესპანეთის გლეხები და ესპანეთის ქალაქების ღარიბ-ღატაკნი, რომლებიც გააფრთებით იბრძოდნენ და პირში აფურთხებდნენ ნაპოლეონის ოფიცრებს, როდესაც ისინი, ზურგზე გაკრული ხელებით დახახვრეტად მიჰყავდათ. მხოლოდ ინგლისი და ესპანეთი არ იყო წარმოდგენილი დრეზდენის ამ საუცხოო ზეიმზე. პარადებსა და ბილებაზე, ადამიანთა მონური მორჩილების, მლიქვნელობისა და პანიკური დაშინების ამ უაღრესად სანიმუშო გამოფენაზე.

ეს საერთო რწმენა ნაპოლეონის გამარჯვებაში თითქოს მტკიცედ იყო დასაბუთებული. რუსეთზე ილაშქრებდნენ საუცხოდ ორგანიზებული არმიის აურაცხელი რეგიმენტები: ამ ლაშქარს სათავეში უდგა ისეთი სარდალი, რომლის სამხედრო გენიასაც უკვე დიდი ხანია ალექსანდრე მაკედონელის, ჰანიბალის, კეისრისა და ფრიდრიხ დიდის გენიაზე მაღლა აყენებდნენ და რომელმაც უკვე 1812 წლამდე გაცილებით უფრო მეტი გამარჯვება მოიპოვა, ვიდრე მსოფლიო ისტორიის ყველა ამ გმირმა.

თვით ნაპოლეონის რწმენა ამ მომენტში უსაზღვრო იყო. უნდა აღინიშნოს, რომ მან რამდენჯერმე შეიცვალა აზრი 1812 წლის განმავლობაში. სმოლენსკში იგი ერთ აზრს გამოთქვამდა, ხოლო როდესაც თვალყურს ადევნებდა კრემლიდან მოსკოვის ხანძარს, მეორე აზრს იზიარებდა, დიდი არმიის უკანდახევის დროს კი მესამე აზრისა იყო. მაგრამ მაშინ, ლაშქრობის დასაწყისში, დრეზდენში და ნემანზე გადასვლას შორის, იგი აშკარად მიმართავდა გონებით თავისი ოცნების საყვარელ საგანს: აღმოსავლეთს, ინდოეთის დაპყრობას, იმ გეგმებს, რომლებზედაც მან უარი განაცხადა 1799 წლის 20 მაისს, როდესაც უბრძანა თავის არმიას ალყა მოეხსნა აკრის ციხე-სიმაგრისაგან და უკან წასულიყო სირიიდან ეგვიპტეში.

"ალექსანდრე მაკედონელმა განგს (ინდოეთის მდინარეს) მიაღწია, როდესაც ისეთივე შორეული პუნქტიდან გაემგზავრა, როგორც მოსკოვია... წარმოიდგინეთ, რომ მოსკოვი აღებულია, რუსეთი დამხობილია, მეფე შერიგებულია ან დაიღუპა სასახლის რომელიმე შეთქმულების დროს, და მითხარით, განა შეუძლებელია მაშინ განგთან მისვლა ფრანგების არმიისა და დამხმარე ჯარისათვის? — საკმარისია განგს შეეხოთ ფრანგული ხმლით, რომ დაინგრეს მერკანტილური დიდების ეს შენობა" (ინგლისი). ასე

ეუბნებოდა იგი ნარბონს, რომელთანაც იგი ზოგჯერ საკმაოდ გულახდილად საუბრობდა. ამ მოწმობას შეიძლება დავუჯეროთ, თუ მემუარული ლიტერატურიდან მივმართავთ უტყუარ საბუთებს.

დრეზდენიდან ნაპოლეონი პოზნანს წავიდა, სადაც რამდენიმე დღე დაჰყო. პოლონეთის თავად-აზნაურობა მას ამ დროს, კიდევ უფრო მეტი ენთუზიაზმით მიესალმა ვიდრე 1807 წელს.

პოზნანიდან ნაპოლეონი გაემგზავრა ტორნს, ხოლო იქიდან დანცინგს, სადაც ოთხი დღე დაჰყო და ჯარის ახალახალი დაუსრულებელი ეშელონები გაისტუმრა; დანცინგიდან გაემგზავრა კენიგსბერგს, სადაც ხუთი დღე დაჰყო (12-დან 17 ივნისამდე) არმიის მართვა-გამგეობისა და მისი მომარაგების ორგანიზაციის ხაზით განუწყვეტელ მუშაობაში. 20 ივნისს იგი უკვე გურბინენთან იყო, ხოლო 22 ივნისს — ლიტვაში, ვილკოვიშკში, სადაც ხელი მოაწერა ბრძანებას დიდი არმიისადმი:

"ჯარისკაცებო! პოლონეთის მეორე ომი დაწყებულია. პირველი დამთავრდა ფრიდლანდსა და ტილზიტში. ტილზიტში რუსეთმა ფიცი დადვა, რომ მუდამ საფრანგეთის მოკავშირე იქნებოდა და ომს გამოუცხადებდა ინგლისს. იგი ახლა არღვევს თავის ფიცს. მას არ სურს არავითარი ახსნა-განმარტების მოცემა თავის საოცარ საქციელის გამო, სანამ საფრანგეთის არწივები უკანვე არ გადავლენ რაინზე და მის ნებასურვილის ანაბარა არ დატოვებენ ჩვენს მოკავშირეებს. რუსეთი ბედისწერას აუტანია, მისი ეტლი უნდა აღსრულდეს. უკვე გადაგვარებულად ხომ არ გვთვლის ჩვენ იგი? განა ჩვენ უკვე აღარა ვართ აუსტერლიცის ჯარისკაცები? იგი ჩვენ არჩევნების წინაშე გვაყენებს: პატივის ახდა ან ომი. არჩევანი ეჭვს არ იწვევს, მაშასადამე, წინ გავსწოთ, გადავლახოთ ნემანი, გავაჩაღოთ ომი მის ტერიტორიაზე. პოლონეთის მეორე ომი სასახელო იქნება ფრანგული იარაღისათვის, ისევე როგორც პირველი ომი იყო, მაგრამ ზავი, რომელსაც ჩვენ დავდებთ, უზრუნველყოფილი იქნება და ბოლოს მოუღებს დამღუპავ გავლენას, რომელსაც რუსეთი უკვე ორმოცდაათი წელია ახდენს ევროპის საქმეებზე"

ნაპოლეონის მოწოდებას უკითხავდნენ რეგიმენტებს, რომლებიც ნემანთან მიდიოდნენ ყოველი მხრიდან და რომლებიც გამაყრუებელი კიჟინით ესალმებოდნენ ომის ამ ოფიციალურ გამოცხადებას.

ორი დღის შემდეგ ამ მოწოდებიდან, 1812 წლის 23 ივნისს, (11 ივნისს ძველი სტილით), ღამით ნაპოლეონმა ბრძანება გასცა დაეწყოთ ნემანზე გადასვლა, და პირველად მე-13 პოლკის სამასი პოლონელი გადავიდა მდინარის მეორე მხარეს. იმავე დღესა და უახლოეს დღეებში მთელი ძველი

გვარდია, მთელი ახალი გვარდია. შემდეგ მიურატის კავალერია, ხოლო მას შემდეგ მარშლები ზედიზედ გადადიოდნენ თავისი კორპუსებით ნემანის აღმოსავლეთ ნაპირზე. ნემანს იქით მთელს თვალუწვდენელ სივრცეზე თვით ჰორიზონტამდე არც ერთი ადამიანი არ დაუნახავთ ფრანგებს მას შემდეგ, რაც ჯერ კიდევ 24 ივნისს მოეფარნენ თვალიდან მოდარაჯე კაზაკები.

"ჩვენს წინაშე იყო უდაბნო, წაბლისფერი, ყვითელი მიწა მჭკნარი მცენარეულობითა და შორეული ტყეებით ჰორიზონტზე" — იგონებს ლაშქრობის ერთ-ერთი მონაწილე, და ეს სურათი მაშინ უკვე "ბოროტის მომასწავებლად" მიიჩნიეს. მაგრამ ეს, ალბათ, მეტად ინდივიდუალური შთაბეჭდილება იყო. იშვიათად იწყებოდა ნაპოლეონის რომელიმე ომი ასეთი აშკარა მხიარულებითა და გამოცოცხლებით არმიაში. ზაფხულის გრძელ დღეებში, სანამ მდინარის გადალახვა დამთავრდებოდა და ვილნოსაკენ სვლა დაიწყებოდა, ნემანის ორივე მხარეს მუსიკა და სიმღერები აყრუებდა.

ნაპოლეონი, როგორც ყოველთვის ომის დროს, გაცილებით უფრო ფხიზლად და მხნედ იყო. იგი მარშლებითა და უდიდესი ამალით იყო გარშემორტყმული, მას განუწყვეტლივ უჭედდნენ ყურებს მისასალმებელი შეძახილებით დიდი არმიის ნაწილები, რომლებსაც იგი წინ გაუსწრებდა ხოლმე; წინ მიდიოდა მთელი კავალერია. ჯარი პირდაპირი გზით მიეშართებოდა ვილნოსკენ და მას წინააღმდეგობის ნიშანწყალიც კი არსად ხვდებოდა.

ნაპოლეონის თავდასხმა რუსეთზე

(1812)

როდესაც განუწყვეტელ ომებში მყოფი ნაპოლეონი ამა თუ იმ ომს იწყებდა, მას აინტერესებდა უწინარეს ყოვლის მტრის სარდალი და მტრის სარდლობის ორგანიზაცია საერთოდ. ძლიერია თუ არა მთავარსარდალი? აქვს თუ არა მას სრული დამოუკიდებლობა თავის მოქმედებაში? ეს ორი პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საკითხი აინტერესებდა უწინარეს ყოველისა ნაპოლეონს.

ამ შემთხვევაში ორივე საკითხზე იმპერატორს, თითქოს, შესაძლებლად მიაჩნდა უაღრესად დამაკმაყოფილებელი პასუხი მიეცა თავისი თავისათვის. რუსებს ჰყავდათ მხოლოდ ერთი ნამდვილი, კარგი გენერალი — ბაგრატიონი, მაგრამ იგი მეორეხარისხოვან როლებზე იყო. ბაგრატიონზე უარესი იყო ბენიგსენი. "უნიჭო", — ასე ამბობდა მასზე ნაპოლეონი. ბენიგსენი სრულიად დამარცხებულ იქნა ფრიდლანდთან; მაგრამ იგი მაინც შეუპოვარი და გაბედული ადამიანი იყო, მან გამოამეღვაენა თავისი სიმტკიცე არა იმით, რომ თავის დროზე წაახრჩო პავლე, არამედ იმით, თუ როგორ შეუდრეკელად გაუმაგრდა სისხლიან დღეს იელაუსთან. მაგრამ ბენიგსენიც მეორე როლებზეა. იყო კუტუზოვი? ნაპოლეონმა თუმცა დაამარცხა კუტუზოვი აუსტერლიცთან, მაგრამ არასოდეს აბუჩად არ აუგდია იგი და მას ცბიერ და ფრთხილ ბელადად თვლიდა. მაგრამ კუტუზოვი ჩამოშორებული იყო საქმეებს. მთავარსარდალი ბარკლაი-დე-ტოლი, სამხედრო მინისტრი, რომელზედაც მსჯელობისათვის ნაპოლეონს მასალა არ მოეპოვებოდა, მას მიაჩნდა ისეთ გენერლად, რომელიც დიდად ვერ აჭარბებდა რუს გენერალთა ჩვეულებრივ დონეს, მათ კი — მეტწილად — ნაპოლეონი დიდად არ აფასებდა. მეორე კითხვაზე შეიძლებოდა კიდევ უფრო გამამხნევებელი პასუხის გაცემა. არავითარი ნამდვილი ერთმართველობა რუსეთის არმიაში არ არსებობდა, სარდლობის ორგანიზაცია ყველგან უვარგისი იყო. არც შეიძლებოდა სხვანაირად ყოფილიყო, ვინაიდან ალექსანდრე არმიასთან იყო და ბარკლაის განკარგულებებში ერეოდა. ნაპოლეონმა ეს კარგად იცოდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ვილნოზე მიდიოდა, და ირონიულად უთხრა ეს თვით ვილნოში გენერალ-ადიუტანტ ბალაშოვს, რომელიც პირველად და უკანასკნელად გაგზავნა ალექსანდრემ, რათა ზავი შეეთავაზებინა ნაპოლეონისათვის: "რას აკეთებენ ისინი ყველანი? იმ დროს, როდესაც ჰფული წინადადებას იძლევა, არმფელდი წინააღმდეგობას უწევს, ბენიგსენი სინჯავს, ბარკლაიმ, რომელსაც დაკისრებული აქვს შესრულება, არ იცის რა დასკვნა გააკეთოს და დრო უსაქმობაში გაუდით!"

ეს ადგილი ბალაშოვის ნაამბობში ნაპოლეონთან მისი საუბრის შესახებ სრული ნდობის ღირსია, რადგან იგი სხვა ჩვენებებითაც დასტურდება.

ყოველ შემთხვევაში, შევიდა თუ არა ვილნოში, ნემანზე ყოველგვარი წინააღმდეგობის გაუწევლად გადასვლიდან ოთხი დღის შემდეგ, ნაპოლეონმა, რომელსაც უაღრესად ერთგულქვეშევრდომული პატივისცემით შეხვდა ადგილობრივი პოლონელი დიდკაცობა და რომელმაც იცოდა თავისი

ძალების დიდი უპირატესობა, სრული უარით უპასუხა ბალაშოვს, და სრულიად საეჭვო არ არის, რომ ამ უარყოფის კილო ნამდვილად მკვახე და შეურაცხმყოფელი იყო.

ვილნოში ნაპოლეონმა მთელი თვრამეტი დღე დაპყო, და შემდეგ სამხედრო ისტორიკოსებს ეს მის ერთ-ერთ საბედისწერო შეცდომად მიაჩნდათ. მაგრამ ვილნოშიაც, როგორც უფრო ადრე დრეზდენში, ნაპოლეონი უცდიდა არმიის ახალ-ახალ ნაწილებს, რომლებიც მასთან მიდიოდნენ. საერთოდ, ექვსას ოთხმოცდახუთი ათასი კაციდან, რომელიც ჰყავდა ნაპოლეონს რუსეთთან ომისათვის, ორას ოცდათხუთმეტი ათასი კაცი ჯერჯერობით საფრანგეთში და ვასალურ გერმანიაში უნდა დაეტოვებინა, ხოლო ხაზღვარზე გადაიყვანა მხოლოდ ოთხას ოცი ათასი კაცი. მაგრამ ეს ოთხას ოცი ათასი კაციც მხოლოდ თანდათანობით მოდიოდნენ მასთან და თანდათანობითვე იგზავნებოდნენ საზღვარს იქით. ვილნოში ნაპოლეონს მოახსენეს პირველი სერიოზული უსიამოვნების შესახებ: საკვების ნაკლებობის გამო ცხენები მასობრივად იხოცებიანო. იყო მეორე უსიამოვნებაც: პოლონელებმა ლიტვასა და ბელორუსიაში არ გამოიყვანეს საკმაო სამხედრო ძალები. ვილნოში ნაპოლეონი უკვე ბევრად უფრო მეტად, ვიდრე საზღვარზე გადასვლის დროს, და გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე დრეზდენში, მიხვდა დაწყებული საქმის თავისებურებებსა და სიძნელეებს.

იმისდა მიხედვით, თუ რამდენად უფრო მეტად მეღავნდებოდა ლაშქრობის სიძნელეები, ნაპოლეონის გონებაში აშკარად ქრებოდა მისი პირველი აზრი ამ ომის შესახებ და ჩნდებოდა მეორე. სარდალმა იცოდა, რომ თუმცა მას ხელთ ჰყავდა ოთხას ოცი ათასი კაცი, ხოლო რუსებს ორას ოცდახუთი ათასიც კი არ ჰყავდათ, მისი არმია სრულიადაც არ იყო ტოლფასიანი ყოველ მხრივ. მან იცოდა, რომ შეეძლო საკუთარი ძალებით დაყრდნობოდა თავისი არმიის მხოლოდ ფრანგულ ნაწილს (სულ დიდ არმიაში ითვლებოდა სამას ორმოცდათხუთმეტი ათასი ფრანგი და სამას ოცდაათი ათასი უცხოელი), და ისიც არა მთელ ნაწილს, რადგან შეუძლებელი იყო ახალგაზრდა ახალწვეულები დაყენებულ ყოფილიყვნენ იმ გამობრძმედილ მებრძოლებთან ერთად, რომელთაც მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული მის ლაშქრობებში. რაც შეეხება ვესტფალელებს, საქსონიელებს, ბავარიელებს, რაინელებს, პანზის გერმანელებს, იტალიელებს, ბელგიელებსა და პოლანდიელებს, იმ იძულებით "მოკავშირეებზე", ავსტრიელებსა და პრუსიელებზე რომ უკვე არაფერი ვთქვათ, რომლებიც მან მათთვის უცნობი მიზნით წაათრია სასიკვდილოდ რუსეთში და.რომელთაგანაც ბევრს ეზიზღებოდა სრულიად არა რუსები, არამედ თვით იგი, საეჭვო იყო, რომ მათ განსაკუთრებული გატაცებით ებრძოლათ.

ნაპოლეონმა იცოდა, რომ რუსების შტაბში დაბნეულობა სუფევდა და, მან ჯერ კიდევ ვილნოში ყოფნისას მიიღო ცნობები იმის შესახებ, რომ პირველი აზრი — თავი დაეცვათ დვინაზე, დრისში გამაგრებულ ბანაკში — მიტოვებული იყო, რომ რუსის არმია ორ კოლონად იხევდა უკან სიღრმეში: ბარკლაის კოლონა ვიტებსკისაკენ უფრო სწრაფი ნაბიჯით, ბაგრატიონის კოლონა — მინსკისაკენ უფრო ნელი ნაბიჯით. ნაპოლეონმა მთავარი ძალებით გასწია ბარკლაისაკენ. მაგრამ ბარკლაიმ დაიჩქარა გადასვლის ტემპი და უბრძანა თავის არიერგარდის უფროსს ოსტერმან-ტოლსტოის შეძლებისდაგვარად შეეჩერებინა შეტევაზე გადმოსული ფრანგები. სწორედ ეს იქნა შესრულებული ოსტროვნოსთან წარმოებულ ბრძოლებში 25 და 26 ივლისს. ამნაირად, ვიტებსკში შესვლისას ნაპოლეონმა უკვე ველარ მოუსწრო ბარკლაის, რომელიც ახლა სმოლენსკისაკენ მიისწრაფოდა.

ამაღე ივლისის დღეებში მარშალი დავუ ვილნოდან მინსკისაკენ მიემართებოდა, რადგან დაკისრებული ჰქონდა ამოცანა, გადაეჭრა უკანდასახევი გზა ბაგრატიონისათვის და გაენადგურებინა იგი იმაზე უმალ, ვიდრე ის ბარკლაისთან შეერთებას მოახერხებდა. მაგრამ ბაგრატიონის საბედნიეროდ, სამხედრო საქმის მხრივ (და ყოველივე სხვა მხრივაც) ნაპოლეონის უნიჭო უმცროსმა ძმამ, ვესტფალიის მეფემ ჟერომ ბონაპარტმა, რომელიც კვალდაკვალ მისდევდა ბაგრატიონს გროდნო-მინსკის გზაზე, ვერავითარი დავალება ვერ შეასრულა, დაიგვიანა თავისი კორპუსით და როდესაც 23 ივლისს ბრძოლა დაიწყო მოგილევის სამხრეთით დავუსა და ბაგრატიონს შორის, ბაგრატიონმა წარმატებით მოიგერია მთელი რიგი იერიშები, მობრუნდა სმოლენსკისაკენ და განაგრძობდა უკან დახევას უკვე მტრისაგან თითქმის შეუწუხებლად.

მიიღო თუ არა ცნობა მოგილევთან მომხდარი ბრძოლისა და დნეპრზე ნოვობიხოვთან ბაგრატიონის გადასვლის შესახებ, ბარკლაიმ გადაწყვიტა სმოლენსკთან შეერთებოდა ბაგრატიონს და იქით გაემართა რუდნიას გავლით. ნაპოლეონმა ყოველგვარი სამზადისი ჩაატარა დიდი ბრძოლისათვის, რომლითაც იგი ფიქრობდა გაენადგურებინა ბარკლაი. მაგრამ აი 28 იულისს გაემგზავრა თუ არა პოზიციაზე, დარწმუნდა, რომ რუსის არმია კიდევ უფრო შორს წასულა აღმოსავლეთისაკენ. ეს იმედის დიდი გაცრუება იყო იმპერატორისათვის, ახალ აუსტერლიცს ვიტებსკთან ერთბაშად შეეძლო, როგორც მას ეგონა, დაემთავრებინა ომი და იძულებული გაეხადა ალექსანდრე ზავი ეთხოვა. ჯარისკაცები გაწამებული იყვნენ საშინელი სიცხითა და ძნელი გადასვლებით. ისეთი პაპანაქება იყო, რომ ეგვიპ-

ტესა და სირიაში ნამყოფი ძველი ჯარისკაცები მხოლოდ იმით ანუგეშებდნენ ახალგაზრდებს, ეგვიპტეში კიდევ უფრო მეტი სიცხე იყო. ფურაჟი აკლდათ. ზოგიერთ ესკადრონში ვილნოდან გამრსელის დღიდან ნახევარზე მეტი ცხენი დაიხოცა. ამასთანავე არმიაში თავი იჩინა გაბრწყინის ნიშნებმა, რბევა-თარეში არაჩვეულებრივად განვითარდა.

ნაპოლეონი იძულებული იყო სულ უფროდაუფრო შორს მიპყოლოდა ბარკლაისა და ბაგრატიონს, რომლებიც სხვადასხვა გზით მიდიოდნენ სმოლენსკის მიმართულებით.

მომავალი ბრძოლისათვის, რომელიც სმოლენსკთან უნდა გაჩაღებულიყო, ნაპოლეონს ჯარი გაცილებით უფრო მეტი ჰყავდა, ვიდრე რუსებს. მას შემდეგ, რაც ფრანგებს შეჯახება მოუხდათ კრასნის მიდამოებში (14 აგვისტოს) ნეველოვის დივიზიასთან, რომელიც შესანიშნავი სიმტკიცით გაუმკლავდა ნეისა და მიურატის გაცილებით უფრო მეტი ძალების იერიშს და დაკარგა თავისი შემადგენლობის ერთი მესამედი, ნაპოლეონი სმოლენსკს მიუახლოვდა. ბაგრატიონმა დაავალა გენერალ რაევსკის შეეკავებინა ფრანგები, და შემდგომ შეტაკებებში რაევსკის კორპუსი ისეთი შეუპოვრობით იბრძოდა, რომ მარშალი ნეი კინაღამ ტყვედ მოხვდა. ბაგრატიონი დაჟინებით ამტკიცებდა, შეუძლებელია სმოლენსკის ჩაბარება დიდი ბრძოლის გარეშეო. "დიდ ბრძოლამდე" საქმე არ მისულა. რუსის არმიების მთავარი ძალები სმოლენსკს მიუახლოვდნენ, მაგრამ შემდეგ უკან დაიხიეს აღმოსავლეთისაკენ. მიუხედავად ამისა, ბარკლაიმ ვერ გაბედა უბრძოლველად ჩაებარებინა ქალაქი, თუმცა შებრძოლება საჭიროდ არ მიაჩნდა. 17 აგვისტოს, დილის 10 საათზე, ნაპოლეონმა ბრძანება გასცა დაეწყოთ სმოლენსკის საერთო ბომბარდირება და იერიში. გაჩაღდა გაფრთებული ბრძოლა, რამაც საღამოს 6 საათამდე გასტანა. ფრანგებმა სმოლენსკის გარეუბნები დაიკავეს, მაგრამ ქალაქის ცენტრში არ შესულან. დოხტუროვის კორპუსი, რომელიც იცავდა ქალაქს კონოვნიცინისა და პრინც ვიურტენბერგელის დივიზიასთან ერთად, ფრანგებისათვის საოცარი სიმამაცითა და შეუპოვრობით იბრძოდა. საღამოს ნაპოლეონმა მიიწვია მარშალი დავუ და კატეგორიულად უბრძანა მეორე დღესვე აეღო სმოლენსკი, რადაც უნდა დასჯდომოდა. მას უკვე წინათ ჩაესახა იმედი და ახლა კი განუმტკიცდა იგი, რომ ეს სმოლენსკის ბრძოლა, რომელშიაც თითქოს მთელი რუსეთის არმია იღებდა მონაწილეობას (მან იცოდა, რომ ბარკლაი და ბაგრატიონი ბოლოსდაბოლოს შეერთდნენ), გადამწყვეტი ბრძოლა იქნებოდა, რომელსაც რუსები აქამდე თავს არიდებდნენ და უბრძოლველად აბარებდნენ მას თავისი იმპერიის უდიდეს ნაწილებს.

სისხლიანი დღე ღამემ შეცვალა. ქალაქის ბომბარდირება, ნაპოლეონის ბრძანებით, კვლავ გრძელდებოდა. და აი უცებ შუა ღამისას ზედიზედ გაისმა სროლა, რომელმაც დედამიწა შეაზანზარა; დაწყებული ხანძარი მთელ ქალაქს მოედო. ეს რუსები აფეთქებდნენ დენთის საწყობებს და ცეცხლს უკიდებდნენ ქალაქს: ბარკლაიმ ბრძანება გასცა რუსის გარნიზონის უკანდახევის შესახებ. გათენებისას ფრანგების მზვერავებმა მოახსენეს, რომ ქალაქი დატოვებულია ჯარის მიერო, და დავუ უბრძოლველად შევიდა სმოლენსკში.

ადამიანებისა და ცხენების გვამები ყველა ქუჩაში ეყარა. ათასობით დაჭრილთა კვნესა და გოდება აყრუებდა ქალაქს, ისინი ბედის ანაბარად იყვნენ მიტოვებულნი. ქალაქის ერთი ნაწილი ჯერ კიდევ გიზგიზებდა. ნაპოლეონი ცხენზე იჯდა და აუჩქარებლად მიდიოდა თავისი ამალითურთ სმოლენსკის ქუჩებში, აკვირდებოდა ირგვლივ ყველაფერს და განკარგულებას იძლეოდა ჩაექროთ ხანძარი, აეკრიფათ გაბრწყინის პროცესში მყოფი გვამები და ხმამაღლა მკვნესარე დაჭრილები, აღერიცხათ ნაპოვნი სურსათ-სანოვაგე.

მეთვალყურენი გადმოგვცემენ, რომ იგი დაღვრემილი იყო და ამალას არ ელაპარაკებოდა. შევიდა თუ არა იგი ცხენით გასეირნების შემდეგ სახლში, სადაც მისთვის სასწრაფოდ იყო მომზადებული ბინა, იმპერატორმა მაგიდაზე დააგდო ხმალი და თქვა: "1812 წლის კამპანია დამთავრებულია". მაგრამ იგი იძულებული იყო იქვე, სმოლენსკშივე უარი ეთქვა ამ აზრზე, რომ შეჩერებულიყო სმოლენსკში, მტკიცედ გაემაგრებინა ზურგი პოლონეთში, ლიტვაში, ბელორუსიაში, მიეშველებინა ჯარი ევროპიდან და განეახლებინა წინსვლა მოსკოვისა და პეტერბურგისაკენ 1813 წლის გაზაფხულზე, ერთი სიტყვით იმ იდეაზე, რომ გაეყო რუსეთის ომი ორ ლაშქრობად. მტერი ისევ დაუძვრა ხელიდან.

ნაპოლეონმა არ იცოდა იმ სიძნელეთა შესახებ, რომლებიც სულ უფროდაუფრო ეღობებოდა წინ ბარკლაის ყოველი ახალი ბრძანების მიღების დროს უკან დახევის შესახებ, არ იცოდა, რომ აშკარად სდებდნენ ბრალს რუსის ჯარის მთავარსარდალს ღალატში, რომ შეძრწუნებული და დაბნეული იყო რუსეთის სასახლე. ის ხედავდა მხოლოდ ერთს: გენერალური ბრძოლა არ იყო და არა, საჭირო იყო უფრო შორს წასვლა აღმოსავლეთისაკენ, მოსკოვისაკენ. ამავე დროს კი, რამდენადაც ის უფრო ღრმად და უფრო შორს იწევდა აღმოსავლეთისკენ, მით უფრო ძნელი ხდებოდა ამ ბრძოლის დამთავრება ზავით, უბრალო დიპლომატიური შეთანხმებით. რუსეთზე სრული, დიდი გამარჯვების შესახებ ნაპოლეონი სმოლენსკში უკვე

აღარ ფიქრობდა. ახლა მას ბევრი რამ სრულიად სხვანაირად ეჩვენებოდა, ვიდრე სამი თვის წინ, როდესაც ნემანი გადმოლახა.

საქმე არა მარტო იმაში იყო, რომ მისი არმია ნახევრად შემცირდა. იგი სხვა რამესაც ხედავდა. რუსი ჯარისკაცები სრულიად არ იბრძოდნენ უფრო ცუდად, ვიდრე იელაუსთან. რუსი გენერლები ბაგრატიონს გარდაც უკვე ისე სრულიად უნიჭონი არ აღმოჩნდნენ, როგორც ამას იგი ფიქრობდა, როდესაც ბალაშოვთან ლაპარაკობდა ვილნოში.

ნაპოლეონი საერთოდ ძლიერ სწორად აფასებდა ადამიანის ნიჭს და ყველაზე უფრო სწორად კი სამხედრო ნიჭს. და მას არ შეეძლო არ ეღიარებინა, რომ, მაგალითად, რაევსკი, დოხტუროვი, ტუჩკოვი, კონოვნიცინი და პლატოვი მათდამი მინდობილ ცალკეულ, მეტად ძნელ ოპერაციებს ისე აწარმოებდნენ, როგორც არცერთი მისი საუკეთესო მარშლისათვის სასირცხვო არ იქნებოდა. ბოლოს, საერთო ხასიათი, რომელსაც ომი იღებდა, უკვე დიდი ხანია აწუხებდა მას და მის გარშემო მყოფთ.

რუსეთის არმია, რომელიც თანმიმდევრულად იხევდა უკან, მთელს მიდამოს ანადგურებდა. აქ, სმოლენსკში, შეეცადნენ ცეცხლში გაეხვიათ უკვე არა სოფლები, არამედ თვით ქალაქი — დიდი სავაჭრო და ადმინისტრაციული ცენტრი. ეს იმის მაჩვენებელი იყო, რომ სურვილი ჰქონდათ ეწერმოებინათ შეურიგებელი ბრძოლა დამპყრობლის წინააღმდეგ. ნაპოლეონს ახსოვდა, თუ როგორ უბრძანებდა წინანდელ ომებში ვენიდან გაქცეული ავსტრიის იმპერატორი ქალაქის ხელისუფლებას სიტყვის შეუბრუნებლად აესრულებინათ ფრანგების ყველა ბრძანება, ხოლო ბერლინიდან გაქცეული პრუსიის მეფე იმედს გამოთქვამდა პირად წერილში, რომ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობისათვის პოტსდამის სასახლეში ცხოვრება მოხერხებული იქნებოდა.

ნაპოლეონი იმ დღეებში, რომლებიც მან სმოლენსკში დაჰყო, მთელი საათების განმავლობაში იყო შებოჭილი მდუმარე ფიქრებით.

ნაპოლეონს ერთბაშად არ დაუძრავს სმოლენსკში შეჩერებული მთელი არმია, მან მხოლოდ მიურატი გაგზავნა ცხენოსანი კორპუსებით, რათა ფეხდაფეხ დასდევნებოდნენ ბარკლაის, რომელმაც ახლა მთელი რუსის არმიის სარდლობა მიიღო (ბაგრატიონი მათი შეერთების მომენტიდან მისი ხელქვეითი გახდა) და მოსკოვის გზით უკან იხევდა. შემდეგ იქითკენვე დაიძრნენ ნეი და დავუ. 18 და 19 აგვისტოს მოხდა ბრძოლა ვალუტინის მთასთან და ლუბინთან. ბარკლაის არმია აღმოსავლეთისაკენ წავიდა და დაკარგა ექვსი ათასი კაცი — უფრო ნაკლები, ვიდრე ფრანგებმა.

23 აგვისტოს, ღამით, ნაპოლეონი თავისი გვარდიით სმოლენსკიდან გავიდა და დოროგობუჟისაკენ გაემართა. მაგრამ ბარკლაი ბანაკიდან წავი-

და და ალმოსავლეთისაკენ გასწია. ახლა იგი დოროგობუჟიდან გავიდა, რადგან არ სურდა თუნდ არიერგარდული შეტაკებები დაეწყო ადგილმდებარეობის მეტად არახელსაყრელი პირობების გამო. მან უკან დაიხია ვიაზმისა, გუსტკისა და ცარევოზაიმიშჩისაკენ, ხოლო ნაპოლეონი სმოლენსკიდან გამოყვანილი მთელი ჯარით მას კვალდაკვალ მისდევდა. რუსის არმიის მიერ განადგურებული გზით.

ყოველთვის, როდესაც რუსები ოდნავ მაინც შეჩერდებოდნენ სადმე, ნაპოლეონი ოცნებას იწყებდა გენერალური ბრძოლის შესახებ... ასე იყო დოროგობუჟსა, ვიაზმასა და გუჟატსკში. "მინისტრს (ბარკლაის) სტუმარი პირდაპირ მოსკოვში მიპყავს" — გულისწყრომით წერდნენ ბაგრატიონის შტაბიდან პეტერბურგში.

ალექსანდრე I ასეთი მწარე დღეები ჯერ არ განეცადა ცხოვრებაში. კარისკაცები პანიკას მიეცნენ. დაბნეულობა თანდათან მატულობდა. მეშჩანობა და გლეხობა ნაირნაირ რამეებს ლაპარაკობდა მეფეზედაც და ნაპოლეონზედაც. ნაპოლეონის სიქმე უკვე დიდი ხანია გვამოურკვეველი იყო. 1807 წელს — ივნისამდე — იგი ეკლესიის ამბიონიდან საჯაროდ იქნა გამოცხადებული ანტიქრისტეს წინამორბედად, ხოლო ლაპარკში — თვით ანტიქრისტედ და ქრისტიანული სარწმუნოების მომსპობად; იმავე 1807 წლის ივნისიდან ანტიქრისტე უეცრივ, ყოველგვარი შემზადებისა და ახსნა-განმარტების გარეშე, რუსეთის მეფის მეგობრად და მოკავშირედ გადაიქცა; ახლა იგი კვლავ ანტიქრისტე გამოდგა და ნახევარი რუსეთი დაიპყრო თითქმის წინააღმდეგობის გაუწევლად.

სმოლენსკის განადგურებამ მწუხარება გამოიწვია. "გააბრაზეს მრისხანე გლეხი მეფემ და მისმა ძმამ კონსტანტინემ" — ასე ლაპარაკობდა ხალხი ომის ამ პირველ თვეებში. მაგრამ რა სურდა სახელდობრ "მრისხანე გლეხს" — ეს გამოცანას წარმოადგენდა. თავად-აზნაურობის შიში გაცილებით უფრო შეგნებული, გარკვეული და ძლიერი იყო, ვიდრე "უბრალო" ხალხის. ნაპოლეონის გამარჯვება იმუქრებოდა უკვე არა მარტო ბლოკადის გაგრძელებითა და განმტკიცებით, არამედ ბატონყმობის საფუძვლების შერყევითაც. სოფლად მეტად დიდი მღელვარება იყო. მემამულეები ამას აშკარად გრძნობდნენ. მოსკოვის მიცემა უბრძოლველად მეფესა და თავად-აზნაურობას შეუძლებლად ეჩვენებოდათ, და არც ჯარისკაცებს ესმოდათ მაინცდამაინც უკან დახევის აზრი. როდესაც რუსის არმია გუჟატსკიდან უკან დახევის შემდეგ ცარევო-ზაიმიშჩეში მივიდა (29 აგვისტოს), მას უკვე ახალი მთავარსარდალი ჰყავდა. ალექსანდრემ გადააყენა ბარკლაი და დანიშნა კუტუზოვი, რომელიც დიდი ხანია ძლიერ ეჯავ-

რებოდა, მაგრამ უფრო შესაფერი გენერალი ახლა აღარ მოიპოვებოდა. ბაგრატიონს უფრო ნაკლებად ენდობოდნენ, და მას გვარიც, ისევე როგორც ბარკლაის, არარუსული ჰქონდა.

ნაპოლეონისათვის ბარკლაის გამოცვლა, რაც მან მყისვე გაიგო მზვერავთა საშუალებით, იმის სიგნალი იყო, რომ რუსებმა ბოლოსდაბოლოს გადაწყვიტეს აღარ არიდებოდნენ გენერალურ ბრძოლას.

4 სექტემბერს, დილით, მან უბრძანა მიურატსა და ნეის გუატსკიდან გრიდნოვოსაკენ დაძრულიყვნენ. რუსის არმიამ შეანელა უკან დახევა და შეჩერდა. მისი არიერგარდი რამდენსამე სიმაგრეს ეყრდნობოდა. შეტევაზე გადმოსული ფრანგების შესახვედრად ყველაზე უფრო წინ წამოწეული იყო რუსების მიერ სოფელ შავარდინოსთან მოწყობილი სანგრები.

ნაპოლეონი, მივიდა თუ არა თავისი გვარდიით სოფელ გრიდნეოში, მყისვე შეუდგა მის წინაშე გაჭიმული ვაკე ადგილის შესწავლას, სადაც შეჩერდა ბოლოსდაბოლოს რუსის არმია. მას მოახსენეს, რომ შევარდინოს სანგრები დაკავებულია უამრავი ძალებით. შორს, ნახევრად დამშრალი პატარა მდინარე კოლოჩეის აქეთ დურბინდით მოჩანდა რუსის არმიის განლაგება. მზვერავებმა 4 სექტემბერს, საღამოთი, იმპერატორის შტაბს მოახსენეს, რომ რუსის არმია შეჩერდა და თავის პოზიციები დაიკავა უკვე ორი დღის წინათ და, რომ ბოროდინოდ წოდებული სოფლის მახლობლადაც აგებულია სიმაგრეები.

ბოროდინოს ბრძოლას ბევრჯერ მიუპყრია ყურადღება ისტორიკოსებისაც, სამხედრო სპეციალისტებისაც, სიტყვის დიდი მხატვრებისაც და ფერმწერლებისაც. ნაპოლეონის იმპერიას ბედმა უმტყუნა არა ბოროდინოს ველზე, არამედ მთელი ამ რუსული ლაშქრობის დროს; ბოროდინო წარმოადგენდა ტრაგედიის მხოლოდ ერთ-ერთ აქტს და არა მთელს ტრაგედიას, ხოლო თვით მთელი რუსული ლაშქრობა კი წარმოადგენდა არა დასასრულს, არამედ ჯერ კიდევ მეტად შორეული დასარულის მხოლოდ დასწყისს.

თანამედროვეებისა და ჩამომავლობის ფიქრი და აზრი მუდამ მიპყრობილი იყო ბოროდინოს ველისა და მისი ორმოცდაჩვიდმეტი ათასი გვამისაკენ, რომლებიც მთელი თვეების განმავლობაში არავის აუღია.

მოახლოვდა ის მომქანცი, რომელსაც ნაპოლეონი მოუთმენლად ელოდა და რომელზედაც იგი განუწყვეტლივ ოცნებობდა ჯერ კიდევ დრეზდენში, ხოლო შემდეგ ნემანზე, ვილნოში, ვიტებსკში, სმოლენსკში, ვიაზმასა და გუატსკში. როდესაც ნაპოლეონი იმ ადგილს მიუახლოვდა სადაც

ისეთი საშინელი ხოცვა-ჟლეტა უნდა დაწყებულიყო, როგორიც იმდრომდე კაცობრიობის ისტორიაში არ მომხდარა, მას თავის უშუალო განკარგულებაში სამნახევარჯერ (დაახლოებით) უფრო ნაკლები ძალა მეოპოვებოდა, ვიდრე რუსეთში შეჭრის პირველ მომენტში.

ლაშქრობის სიძნელეებმა, ავადმყოფობამ, დეზერტირობამ, რბევა-თარეშმა და იმან, რომ აუცილებელი იყო შორეული ფლანგებისა და ზურგის გაძლიერება, ერთის მხრით, ჩრდილოეთით რიგისა და პეტერბურგის მიმართულებით, ხოლო, მეორე მხრით, სამხრეთით, თურქეთიდან მომავალი რუსის ჯარის წინააღმდეგ, აგრეთვე იმან, რომ საჭირო იყო მიმოსვლის უზარმაზარი ხაზის სულ უფროდაუფრო სერიოზულად უზრუნველყოფა გარნიზონებით ნემანიდან შევარდინომდე — ყველაფერმა ამან საშინლად შეამცირა დიდი არმია. ნაპოლეონს იმ მომენტში, როდესაც იგი შევარდინოს სანგრებს მიუახლოვდა, ასოცდათხუთმეტი ათასი ჯარისკაცი და ხუთას ოთხმოცდაშვიდი ქვემეხისაგან შემდგარი არტილერია ჰყავდა. რუსებს ჰყავდათ ას სამი ათასი კაცისაგან შემდგარი რეგულარული ჯარი და ექვსას ორმოცი ქვემეხი, შვიდი ათასი კაზაკი და ათიათასამდე სათადარიგო ჯარისკაცი. რუსის არტილერია ხარისხობრივად საფრანგეთის არტილერიას არ ჩამოუვარდებოდა, ხოლო რაოდენობრივად კიდევ აღემატებოდა. ნაპოლეონს ძლიერ ბევრი ცხენი დაეხოცა და სრულიად არ შეეძლო ყველა ზარბაზანი მოეზიდა მოგილევიდან, ვიტებსკიდან და სმოლენსკიდან მოსკოვის გზაზე.

ბოროდინოს ბრძოლის დროს ნაპოლეონის სადგომი სოფელ ვალუევოში იყო.

ნაპოლეონი საკვებით დარწმუნებული იყო გამარჯვებაში და საქმის დასაწყისმა მხოლოდ განუმტკიცა ეს რწმენა. 5 სექტემბერს მან ბრძანება გასცა იერიში მიეტანათ შევარდინოს სანგრებზე. მიურატმა უკუაგდო რუსის კავალერიის ერთი ნაწილი, ხოლო გენერალმა კომპანმა საარტილერიო მომზადების შემდეგ ხუთი ქვეითი რეგიმენტით იერიში მიიტანა შევარდინოზე და შეუპოვარი ხიშტით ბრძოლის შემდეგ აიღო სანგრები. ფრანგები გაკვირვებით ლაპარაკობდნენ გვიან საღამოთი, რომ რუსი მეზარბაზნეები არ გაქცეულან, თუმცა ამის შესაძლებლობა ჰქონდათ, როდესაც მოიერიშენი სანგრებში შეიჭრნენ, და ისინი იქვე ამოჟლიტეს. გათენებისას ნაპოლეონი ცხენზე შეჯდა და აღარ ჩამომხტარა მთელი დღის განმავლობაში. მას ეშინოდა, რომ შეკარდინოდან რამდენსამე კილომეტრზე მდგარი რუსები დაიხევდნენ ამ სანგრების აღების შემდეგ, მაგრამ მისი შიში ამაო გამოდგა: კუტუზოვი ძველ პოზიციებზე იდგა.

სმოლენსკში შესვლისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, რომ არ გაეჭიანურებინათ ომი ორი წლით, არამედ ყველაფერი დაემთავრებინათ ერთ წელიწადში, ნაპოლეონის მთავარ და უშუალო მიზანს წარმოადგენდა მოსკოვში შესულიყო და მოსკოვიდან მიეცა მეფისათვის წინადადება შერიგებაზე. მაგრამ, მიუხედავად იმისა,რომ ნაპოლეონს ძლიერ სწყუროდა დაეპყრო მოსკოვი, არაკითარ შემთხვევარი არ სურდა მიეღო იგი უბრძოლველად: რუსეთს არმიის განადგურება, ე.ი. გენერალური ბრძოლა მოსკოვთან, — აი რისთვის უნდა მიეღწია მას, რადაც უნდა დასჯდომოდა. მას არ უნდოდა გამოდევნებოდა კუტუზოვს, თუ იგი განიზრახავდა წასულიყო მოსკოვიდან ვლადიმირისაკენ ან რიაზანისაკენ ან კიდეე უფრო შორს. ბარკლაისა და კუტუზოვს სწორედ იმიტომ არ სურდათ ბრძოლა, რომ ძლიერ უნდოდა იგი ნაპოლეონს. მაგრამ ბარკლაი ახლა დუმდა, რადგან ვალდებული იყო უსიტყვოდ დამორჩილებოდა კუტუზოვს, ხოლო კუტუზოვიც დუმდა, რადგან არ შესწევდა ძალა თავის თავზე აეღო საშინელი პასუხისმგებლობა და უბრძოლველად წასულიყო ისე, რომ მიეტოვებინა მოსკოვი ბედის ანაბარად, თუნდაც არმიის გადარჩენის მიზნით. ნაპოლეონს მთელი ამ დღის, 6 სექტემბრის განმავლობაში, რომელიც შეკარდინოს სანგრების აღებას მოჰყვა, ბრძოლა არ დაუწყია. მან ბრძანება გასცა საფუძვლიანად დაესვენებინა ჯარისკაცები და მიეცა მათთვის გაძლიერებული რაციონები. იგი ადგენდა და ამუშავებდა შემდეგი დღის მოქმედების გეგმებს და აზუსტებდა ინდივიდუალურ ბრძანებებს მარშლებისა და გენერლებისადმი, რომლებიც ბლომად ახლდა იმპერატორს მისი მიმოსვლის დროს. თვითონაც, ისინიცა და უბრალო ჯარისკაცებიც განუწყვეტლივ იცქირებოდნენ რუსების ბანაკისაკენ, რომელიც შორიდან მოჩანდა: ხომ არ წასულა კუტუზოვიო. მაგრამ ყველაფერი უძრავად იყო: რუსის ჯარი იქვე იდგა.

ნაპოლეონი გაციებული იყო, მაგრამ მთელი სადავიდარაბო დღის განმავლობაში დაღლილობის ოდნავ ნიშანსაც კი არ იმჩნევდა:

დაღამდა. არმიამ ადრე დაიძინა, რადგან იცოდა, რომ ბრძოლა გათენებისას დაიწყებოდა. ნაპოლეონი თითქმის არც კი დაწოლილა, მიუხედავად ფიზიკური და გონებრივი დაძაბულობისა მთელი დღის განმავლობაში. იგი მალავდა თავის მღელვარებას, მაგრამ ამჯერად მას კარგად ვერ ახერხებდა: ის ლაპარაკობდა ადიუტანტებთან, მაგრამ ისინი ხედავდნენ, რომ იგი მათ არ უსმენდა. ის განუწყვეტლივ გადიოდა კარვიდან, რათა დაენახა მოჩანდა თუ არა სინათლე რუსების ბანაკში.

მზე ჯერ კიდეე არ ამოსულიყო, როდესაც ნაპოლეონმა უკვე ბრძანება გასცა გაელაშქრათ რუსებზე, და იტალიის მეფის ნაცვალი ეუგენი ბოჰარ-

ე თავის კორპუსით ეკვეთა იმპერატორის დისპოზიციის თანახმად. სოფელ ბოროდინოს; მარცხენა ფლანგზე დავუ, ნეი და მიურატი ზედიზედ ჩაიჭრნენ თავიანთი კორპუსებით "ბაგრატიონის ფლეშებთან", საველე სიბაგრეებთან, სოფელ სემიონოვსკოეს მახლობლად, ცენტრში. გაჩხმა ორივე მხრით არტილერიის გამაყრუებელი და განუწყვეტელი გრიალი, როგორიც იელაუსთან და ვაგრამთან ნამყოფ ადამიანებსაც კი არ გაუგონიათ.

ჯერ კიდევ სექტემბრის მთელი ამ გრძელი და თბილი დღის განმავლობაში ნაპოლეონს, მნახველთა მოწმობის მიხედვით, ორჯერ შეეცვალა გუნება.

გათენებისას, როდესაც მზემ ჰორიზონტის ხაზზე იწყო ამოსვლა, მან მხიარულად წამოიძახა: "აი აუსტერლიცის მზე!" და ამ განწყობილებამ მთელ დილას გასტანა. თითქოს, რუსებს თანდათანობითა და განუხრელად ერეკებოდნენ მათი პოზიციებიდან.

მაგრამ ამ საათებშიაც, როდესაც ფრანგებმა პირველი მძლე იერიში მიიტანეს შევარდინოს სანგრებზე, საიდანაც იმპერატორი თვალყურს ადევნებდა ბრძოლას, დაიწყო საკმაოდ შემაშფოთებული ცნობების მოსვლა, რომლებიც სასიხარულო და ძლევამოსილ ცნობებს ენაცვლებოდა. იმპერატორს უკვე დილაადრიან მოახსენეს, რომ ერთ-ერთი მისი საუკეთესო გენერალი, 106 სახაზო რეგიმენტის მეთაური პლოზონი, შეიჭრა თავისი ნაწილით სოფელ ბოროდინოში, გარეკა იქიდან რუსები, მაგრამ მათი დევნის დროს წააწყდა რუსის ეგერებს, რომლებმაც სრულიად გაანადგურეს მისი რეგიმენტის ერთი ნაწილი და მოკლეს პლოზონი და მისი მრავალი ოფიცერი. მაგრამ პლოზონის დალუპვის პირობები ცხადყოფდა, რომ რუსები გააფთრებით იბრძოდნენ ამ დღეს.

შემდეგ ადიუტანტი მოვიდა ცნობით, — მარშალ დავუს იერიში წარმატებით ვითარდებაო; მაგრამ მას მოჰყვა მეორე, რომელმაც აცნობა, რომ დავუს კორპუსის საუკეთესო დივიზია, გენერალ კომპანის დივიზია, საშინელ ცეცხლში მოხვდაო; კომპანი დაჭრილია, მისი ოფიცრები დაჭრილი ან დახოცილები არიან, ხოლო თვით მარშალი დავუ, მისაშველებლად გაიჭრა, იერიში მიიტანა რუსის ბატარიებზე, რომლებიც კომპანს უშენდნენ, ხელთ იგდო ისინი და კვლავ გაწყვიტა რუსის მეზარბაზნეები (როგორც ორი დღის წინათ შევარდინოში) თავის ზარბაზნებზე, რადგან ისინი უკანასკნელ წუთამდე ისროდნენ, და ერთმა მათმა ყუმბარამ მოკლა მარშალ დავუს ცხენი, ხოლო თვით მარშალმა კანტუზია მიიღო და უგრძნობლად დაეცა მიწაზეო.

ვერც კი მოასწრო იმპერატორმა მოსმენა და ახალი ბრძანების გაცემა, რომ მას მოახსენეს, — მარშალი ნეი სამი დივიზიით შეიჭრა იმ ფლეშებში, რომლებსაც რუსის გრენადერები იცავდნენ, და თუმცა ჯერ კიდევ იკავებს ამ ფლეშებს, მაგრამ რუსები კვლავ გააფთრებულ იერიშებს განაგრძობენ. ასალმა ადიუტანტმა ცნობა მოიტანა, ნეიროვსკის დივიზიამ ნეი გააძევაო. რამდენიმე ხნის შემდეგ ნეიმ გამოასწორა მდგომარეობა, მაგრამ თავადი ბაგრატიონი განაგრძობდა ამ უბანზე უმძაფრეს ბრძოლას. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფლეშზე, რომელიც ის-ის იყო ფრანგებმა აიღეს, რუსებმა გააფთრებული იერიში მიიტანეს ხიშტებით და ფრანგები, რომლებიც ძალიან დაზარალდნენ, გადარეკეს იქიდან. მიურატმა ბოლოსდა-ბოლოს კვლავ დაიბრუნა ეს ფლეში ახალი უზომო დანაკლისით.

ნაპოლეონს განუწყვეტლივ მოდიოდა ცნობები სხვადასხვა პუნქტი-დან, რომ რუსების ზარალი გაცილებით აღემატებოდა ფრანგებისას, რომ რუსები კი არ ნებდებიან, არამედ უკანასკნელ კაცამდე იღუპებიან კონ-ტრიერიშების დროს, რითაც ცდილობენ თაეისი მდგომარეობის გამოსწო-რებას. კავალერიის მოქმედების გასაშლელად საჭირო იყო ძალღონის ნა-შინელი დაძაბვით აელოთ მცილე მაღლობები და ოღრო-ჩოღრო ადგილე-ბი რომლებიც თითქმის შეაზე პკვეთდნენ ბრძოლის ველს.

რაევსკის კორპუსმა, რომელიც უდიდეს დანაკლისს განიცდიდა, ისეთი ზარალი მიაყენა ნეისა და მიურატს, რომ ორივე მარშალს მთელი თავისი ძალების კონცენტრაცია მოეხდინათ. სემიონოვსკოეს ხევი და ამ ხეეის მახ-ლობელი მიდამო რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში. ბოლოს მარ-შლებმა ადიუტანტები გაუგზავნეს იმპერატორს და მაშველი ჯარი სთხო-ვეს; ისინი აცხადებდნენ — ბრძოლას უეჭველად მოვიგებთ, თუ დროზე ავიღებთ სემიონოვსკოეს ხევსა და სემიონოვსკოესო.

ნაპოლეონმა მათ დასახმარებლად გაუგზავნა ერთი დივიზია, მეტის მი-ცემაზე კი უარი განაცხადა. ვინაიდან ბრძოლა არნახული გააფთრებით წარმოებდა, ის ხედავდა, რომ ნეი და მიურატი ცდებოდნენ; რუსის კორ-პუსები, რომლებიც, მათი აზრით, მზად იყვნენ დაეცალათ ბრძოლის ველი, არ წავიდოდნენ, ხოლო ფრანგთა რეზერვები გადამწყვეტი მომენტის დად-გომამდე გამოილეოდა. გადამწყვეტი მომენტი კი ჯერ კიდევ არ დგებო-და.

დილის 11 საათზე ნაპოლეონმა ბრძანება გასცა იერიში მიეტანათ სემი-ონოვსკოეზე. სანგრები კვლავ აღებულ იქნა ფრანგების მიერ საშინელი იერიშის შემდეგ. ნაპოლეონს ყველა თავის მარშალზე უკეთ შეეძლო აე-წონ-დაეწონა და შეეფასებინა საშინელი ზარალი რომლის შესახებაც ცნო-ბები განუწყვეტლივ მოსდიოდა.

საშინელი ბრძოლა გაჩაღდა სემიონოვსკოეს ფლეშებისათვის. რამდენიმე საათის განმავლობაში ისინი ხელიდან ხელში გადადიოდნენ. მარტო ამ უბანში შვიდასზე მეტი ქვემეხი გრიალებდა: ოთხასი ქვემეხი, რომლებიც მოტანილი იყო აქ ნაპოლეონის ბრძანებით, და სამასზე მეტი — რუსების მხრივ. რუსებიც და ფრანგებიც არაერთხელ შებმიან აქ ერთმანეთს ხელჩართულ ბრძოლაში.

ის მარშლები, რომლებმაც ეს დღე განიცადეს, აღტაცებით ლაპარაკობდნენ თავისი სიცოცხლის დასასრულამდე იმის შესახებ, თუ როგორ იქცეოდნენ რუსის ჯარის კაცები სემიონოვსკოეს ფლეშებთან. ფრანგები არ ჩამორჩებოდნენ მათ. სწორედ აქ შეაგება ბაგრატიონმა სიკვდილის წინ "ვაშა, ვაშა!" ფრანგების გრენადერებს, რომლებიც ფინდიხის სეტყვაში მირბოდნენ საიერიშოდ ხიშტმომარჯვებულნი და არც კი ესროდნენ მტრებს. რამდენიმე წუთის შემდეგ თვით თავადი ბაგრატიონი — ნაპოლეონის აზრით, რუსის არმიის საუკეთესო გენერალი — სასიკვდილოდ დაჭრილი დაეცა. და მომაკვდავი ძლიესძლიეობით გაიტანეს ბოროდინოს ველიდან სეტყვასავით წამოსული ტყვიის ზუზუნში.

დღისით გენერალ მორანის დივიზიამ იერიშით აიღო რაევსკის ბატარეა, სოფელ ბოროდინოსა და სემიონოვსკოეს შუა, მაგრამ რუსის ჯარის ნაწილები ხიშტზე გადავიდნენ, განდევნეს ფრანგები და კვლავ დაიკავეს ეს ბატარეა. რუსების ზარალი დიდი იყო, მაგრამ ბატარეა მაინც წაართვეს მორანს, ხოლო თვით მორანი ბრძოლის ველზე დაეცა.

ნაპოლეონმა მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ რუსებმა კვლავ ხელთ იგდეს დიდი ბატარეა და რომ ისინი გააფთრებით ცდილობენ წაართვან ნეისა და მიურატს სამი ფლეში, რომლებიც მათ ხელთ იგდეს ძალღონის ასეთივე დაძაბვით...

შუადღე იყო, ნაპოლეონის განწყობილება სწრაფად და საბოლოოდ შეიცვალა. საქმე იყო არა მის გაციებაში, რასაც ასე დაჟინებით აღნიშნავდნენ მისი ძველი ბიოგრაფები, არამედ შემდეგში: მან მიიღო ნეისა და მიურატის განმეორებითი და დაჟინებითი თხოვნა გაეგზავნა მათთვის მაშველი ჯარი და მიეცა ბოლოსდაბოლოს გვარდია; მან იცოდა რომ ისინი მართალი იყვნენ, რომ ბაგრატიონი გაძეკებულ იქნებოდა სემიონოვსკოედან და ბრძოლაც რუსების ამოჟლეტით დამთავრდებოდა, თუ კი საფრანგეთის გვარდია ახალი ძალებით შეიჭრებოდა ბრძოლაში. მაგრამ ნაპოლეონი ხედავდა, რომ შეუძლებელი იყო მაშველი ჯარის გაგზავნა. და არა მარტო იმიტომ, რომ, როგორც მან თქვა, არ შეეძლო საფრანგეთიდან რამდენიმე ათას კილომეტრზე, სახიფათო მდგომარეობაში ჩაეგდო გვარდია, არამედ

სხვა მიზეზითაც: რუსის კავალერია, მათ შორის კაზაკებიც, უვაროვისა და პლატოვის მეთაურობით, უეცრივ თავს დაესხნენ აღალსა და საფრანგეთის ერთ-ერთ დივიზიას. რუსის ცხენოსანი ჯარი უკუგდებულ იქნა, მაგრამ საფრანგეთის ჯარების ღრმა განლაგებაში მაინც დარჩა გრძნობა, რომ ისინი უზრუნველყოფილი არ იყვნენ.

საღამო ახლოვდებოდა, როდესაც იმპერატორმა დიდმნიშვნელოვანი ახალი ამბავი გაიგო: მოკლულია თავადი ბაგრატიონი, მოკლულია ორივე ტუჩკოვი, რაევსკის კორპუსი თითქმის განადგურებულია, რუსები გააფთრებით იცავენ თავს და ისე იხევენ სემიონოვსკოედანო.

ბაგრატიონის დაღუპვამ, რომელსაც ასე დიდხანს და ასე ამაოდ სწყუროდა გენერალური ბრძოლა და ბოლოს მაინც მოესწრო მას, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე, ვინც კი გაიგო ამის შესახებ ჯერ კიდევ გახურებული ბრძოლის დროს. ნაპოლეონი მიუახლოვდა სემიონოვსკოეს, ყველანი ვინც კი მასთან მიდიოდა და ელაპარაკებოდა, ერთხმად გადმოგვცემენ, რომ ისინი სრულიად ვერარ სცნობდნენ იმპერატორს. იგი დაღერემითა და მდუმარედ უცქერდა ადამიანებისა და ცხენების გვამთა გორებს და არ იძლეოდა პასუხს დაჟინებით მიცემულ შეკითხვებზე, რომლებზედაც მის გარდა არავის შეეძლო გაეცა პასუხი, იგი არ იძლეოდა ბრძანებებს, რომელთა გაცემა მხოლოდ მას შეეძლო. მას პირველად ხედავდნენ რაღაც პირქუში გულგრილობისა და თითქოს გაუბედაობის მდგომარეობაში.

უკვე სრულიად დაბნელდა, როდესაც ყუმბარები დაუშინეს რუსის ჯარს, რომელიც ნელი ნაბიჯითა და სრული წესრიგით იხევდა უკან. ყუმბარებს უშენდა დაახლოებით ფრანგების წინწამოწეული სამსი ქვემეხი. მაგრამ მოსალოდნელ ეფექტს ეს ვერ იძლეოდა: ჯარისკაცები ეცემოდნენ, მაგრამ არ გარბოდნენ.

"მათ კიდევ სურთ, მიეცით კიდევ" — ამნაირად იძლეოდა ნაპოლეონი ბრძანებას საღამოთი ცეცხლის გაძლიერების შესახებ. რუსები უკან იხევდნენ, თანაც ტყვიებს უშენდნენ ფრანგებს. ასე მოუსწრო ღამემ ორივე მხარეს.

როდესაც ღამით კუტუზოვს პირველი შეჯამებული ცნობები წარმოუდგინეს და მან დაინახა, რომ რუსის არმიის ნახევარი ამ დღეს, 7 სექტემბერს, უკვე განადგურებული იყო, კატეგორიულად გადაწყვიტა გადაერჩინა მეორე ნახევარი და მიეცა მოსკოვი ახალი ბრძოლის გაუჩალებლად.

მაგრამ როდესაც ნაპოლეონს მოახსენეს ღამით, ბრძოლის შემდეგ, რომ მისი ორმოცდაშვიდი გენერალი მოკლულია და მძიმედ დაჭრილია, რომ

მისი არმიის რამდენიმე ათეული ათასი ჯარისკაცი მკედარი ან დაჭრილია და დატოვებულია ბრძოლის ველზე, როდესაც ის პირადად დარწმუნდა, რომ ვერცერთი მის მიერ დღევანდლამდე მიცემული დიდი ბრძოლა ვერ შეედრება გააფთრებისა და სისხლისღვრის მხრივ ბოროდინოს ბრძოლას, მაშინ (თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მისთვის თავის გამარჯვებად გამოეცხადებინა ბოროდინო) მას, რომელმაც მთელი თავის სიცოცხლეში ამდენი ნამდვილი, უდავო გამარჯვება მოიპოვა, არ შეეძლო, რა თქმა უნდა, არ მიმხვდარიყო, რომ ბოროდინოსათვის საჭირო იყო რაიმე სხვა განსაზღვრა გამოეანახა. იგი ელოდა, რომ კუტუზოვი ახალ ბრძოლას გააჩაღებდა უშუალოდ მოსკოვის კედლებთან. რუსის გენერალთა ერთი ნაწილიც ამ ბრძოლის მომხრე იყო. მაგრამ ამჯერად კუტუზოვმა თავისი გაიტანა. ნაპოლეონმა არ იცოდა ფილიში მოწყობილი თათბირის შესახებ, მაგრამ მთელი რიგი უტყუარი ნიშნებით მიხვდა ბოროდინოს ბრძოლის ორი დღის შემდეგ, რომ გადაწყვეტილი იყო ქალაქის ჩაბარება ახალი ბრძოლის გაუჩაღებლად.

კუტუზოვს, რომელიც უკან იხევდა, ფეხდაფეხ მისდევდა მიურატი კავალერიით. 9 სექტემბერს ნაპოლეონი მოჟაისკში შევიდა; მეორე დღეს იტალიის მეფის მოადგილე პრინცი ევგენი რუზაში შევიდა. 13 სექტემბერს, მზიან დილას, ნაპოლეონი, რომელსაც აღტაცებული შეძახილებით ესალმებოდა არმია, თავის ამალით მივიდა იმ მთამდე, რომელსაც პოკლონნაია ჰქვია, და თავი ვეღარ შეიკავა აღტაცებისაგან: ისიც და მისი ამალაც განაცვიფრა სანახაობის სილამაზემ. უზარმაზარი ქალაქი, რომელიც მზეზე ბრწყინავდა და მის წინ იყო გაშლილი, მისთვის იმ ადგილს წარმოაგგენდა, სადაც მას საშუალება მიეცემოდა ბოლოსდაბოლოს თავისი არმია დაესვენებინა და მოეღონიერებინა; და, უწინარეს ყოვლისა, ის საწინდარი იქნებოდა, რომელიც აუცილებლად აიძულებდა ალექსანდრეს ზავზე დათანხმებულიყო. ბოროდინოს საშინელი სურათები ერთბაშად დაიჩრდილა ამ სანახაობით და ამ პერსპექტივებით.

14-16 სექტემბრის განმავლობაში რუსის არმია მოსკოვით კოლომნის (რიაზანის) გზაზე გადიოდა. მას ფეხდაფეხ მისდევდა ნეაპოლის მეფე მიურატი კავალერიით. არიერგარდის სარდალმა მილორადოვიჩმა იმდენი მოახერხა, რომ მიურატი დაპირდა რუსის ჯარს საშუალებას მივცემთ მშვიდობიანად გაიაროს ქალაქიო. რუსის არიერგარდი, რაევსკის მეთაურობით, საღამოთი შეჩერდა სოფელ ვიაზოვკასთან, ექვსი ვერსის მანძილზე კოლომნის სადარაჯოდან. ამ დროს ფრანგთა კავალერიის მოწინავე რაზმები გასცდნენ ქალაქს არბატის გავლით, და სოფელ კარაჩაროვს მიაღწია.

16 სექტემბერს კუტუზოვის არმია ბოროვის ხიდით გადაეიდა მდინარე მოსკოვზე, ღამე სოფელ კულაკოვოსთან არსებულ ბანაკში გაათია და მეორე დღეს ნაპოლეონისათვის შეუმჩნეველად თავი დაუარა მარცხნივ, აჰყვა ზემოთ მდინარე პაბრის მარჯვენა ნაპირს და 19 სექტემბერს პოზიცია დაიკავა მის მარცხენა ნაპირზე სოფელ კრასნაია პაბრასთან, კალუგის ძველ გზაზე. ნაპოლეონის ერთადერთი სამიმოსვლო გზა — სმოლენსკის გზა — რუსის ცხენოსანმა ჯარმა დაიკავა.

უკვე დოროგომილოვის სადარაჯოსთან ნაპოლეონამდე გვარდიიდან მომავალმა საოცარმა ხმებმა მოაღწია: მოსკოვიდან თითქმის ყველა მცხოვრები გავიდა, ქალაქი ცარიელია, არავითარი დეპუტაცია ქალაქის გასაღებებით, რასაც იმპერატორი ელოდა, არც ჩანს და არც იქნებაო. ხმები დადასტურდა.

16 სექტემბერს ნაპოლეონი კრემლში შევიდა, ხოლო უკვე წინადღით, გვიან საღამოთი, პირველმა ხანძრებმა იფეთქა. მაგრამ არც ოდენობა და არც მნიშვნელობა იმისი, რაც დაიწყო, ჯერ კიდევ არ შეიძლებოდა წინასწარ გამოეცნო ვინმეს, თუნდაც მიახლოებით.

16 სექტემბერს ხანძარი დილიდანვე გაძლიერდა. დღისით ეს ხანძარი იმდენად არ იყო შესამჩნევი, მაგრამ 16 სექტემბერს ღამით ამოვარდა უძლიერესი ქარი, რამაც ერთ დღე-ღამეზე მეტ ხანს გასტანა შეუნელებლად. მოზღვავებულმა ცეცხლის ალმა მოიცვა ცენტრი კრემლის მახლობლად, ზამოსკვორეჩიე, სოლიანკა — ცეცხლი თითქმის ერთბაშად მეოდო ერთმანეთისაგან ძალზე დაშორებულ ადგილებს.

როდესაც ნაპოლეონს პირველი ხანძრების შესახებ მოახსენეს, მას არ მიუქცევია ამისათვის განსაკუთრებული ყურადღება; მაგრამ როდესაც 17 სექტემბერს დილით მან კრემლი შემოიარა და სასახლის ყველა ფანჯრიდან, რომელსაც კი მიადგა, ცეცხლის აბობოქრებული ოკეანე დაინახა, იმპერატორი, მნახველთა ჩვენებით, გაფითრდა, დიდხანს უცქირა მღუმარედ ხანძარს, ხოლო შემდეგ წარმოთქვა: "რა საშინელი სანახაობაა! ისინი თვითონ აჩენენ ხანძარს... რა გაბედულებაა! რა ადამიანები არიან! ეს სკვითები არიან". ამასობაში ხანძარმა არა მარტო საფრთხე შეუქმნა თვით კრემლს, არამედ კრემლის ერთ ნაწილს (ტროიცკის კოშკს) უკვე ცეცხლი მოეკიდა, ზოგიერთი ჭიშკრიდან აღარც კი შეიძლებოდა გამოსვლა, რადგან ქარს ალი იქით გადაჰქონდა.

მარშლებმა დაჟინებით დაუწყეს თხოვნა იმპერატორს დაუყოვნებლივ გადასულიყო პეტრეს სასახლეში. ნაპოლეონი ერთბაშად როდი დათანხმდა და ამიტომ კინაღამ დაიღუპა. როდესაც ის-თავისი ამალით კრემლიდან

გავიდა, უკვე ნაპერწკლები ხვდებოდა მასა და მის ამალას და ყველას სუნთქვა უძნელდებოდა. "ჩვენ მივდიოდით ცეცხლოვან მიწაზე, ცეცხლოვანი ცის ქვეშ, ცეცხლის კედელთა შორის" -- მოგვითხრობს ნაპოლეონის ერთ-ერთი მხლებელი.

საშინელი ხანძარი ბობოქრობდა 17 და 18 სექტემბერსაც, მაგრამ საღამოთი შესუსტება იწყო. ქარი ჩადგა, წვიმა წამოვიდა, ხანძარი შემდეგ დღეებშიაც გაგრძელდა, მაგრამ ეს უკვე ის აღარ იყო 15-17 სექტემბრის გიგანტური ცეცხლოვანი კატასტროფა, რომელმაც ქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილი გაანადგურა.

ნაპოლეონს ოდნავაც ეჭვი არ ეპარებოდა ამ სრულიად მოულოდნელი კატასტროფის მიზეზებში: რუსებმა დაწვეს ქალაქი, რათა იგი დამპყრობს არ დარჩენოდა. მას ყველაფერი არწმუნებდა ამაში: ისიც, რომ როსტოპჩინმა* თან წაიღო ყველა სახანძრო მილი და ცეცხლის საქრობი მოწყობილობანი, ცეცხლის წაკიდებაში ეჭვით შეპყრობილი ზოგიერთი ადამიანის ჩვენებაც და ზოგიერთი ჯარისკაცის მოწმობაც, რომელთაც თითქოს დაენახოთ ცეცხლის წამკიდებელნი ჩირაღდნებით. როსტოპჩინი ბოლოს, როგორც ცნობილია, ხან იკვეხნიდა თავის მონაწილეობას მოსკოვის ხანძარში, ხან უარყოფდა ამ მონაწილეობას. ხან ისევ იკვეხნიდა და იპრანჭებოდა თავისი გააფთრებული პატრიოტიზმით, ხან კი ისევ უარყოფდა (თვით სპეციალურ ბროშურაშიაც კი). ჩვენ უწინარეს ყოვლისა, გვაინტერესებს, თუ რა გავლენა მოახდნა ხანძარმა დიდი არმიის ბელადის განწყობილებასა და შემდგომ მოვლენათა განვითარებაზე.

ნაპოლეონი, ერთსულოვანი გადმოცემით, პეტრეს სასახლეშიაც და კრემლშიაც, სადაც დაბრუნდა, როდესაც ხანძარმა შენელება იწყო, უაღრესად მძიმე და მშფოთარე დღეებს განიცდიდა. მას ხანდახან ცოფი ერეოდა, და მაშინ ცუდი დღე ადგებოდათ მის გარშემო მყოფთ; ხანდახან იგი მრავალი საათის განმავლობაში მკვდარივით დუმდა. ენერგია არ ღალატობდა. იგი მოსკოვიდან განაგრძობდა თავისი თვალუწვდენელი იმპერიის მართვას, ხელს აწერდა დეკრეტებს, ბრძანებულებებს, დანიშვნებს, გადაყვან-გადმოყვანას, დაჯილდოებას, მოხელეთა და წარჩინებულ პირთა დათხოვნას. მოსკოვში, როგორც ყოველთვის, იგი ცდილობდა ყველაფერს ჩასწვდომოდა, აკვირდებოდა მთავარსაც, მეორეხარისხოვანსაც და მესამეხარისხოვანსაც.

მაგრამ მთავარი, საშინელი საზრუნავი არ შორდებოდა იმპერატორს; რა უნდა გაეკეთებინა შემდგომ? მოსკოვის ხანძარს არ მოუსპია მისთვის მთელი მარაგი, მას დარჩა უენებლად გადარჩენილი საწყობები, მაღაზიე-

ბი. მაგრამ ფურაჟირებას ქალაქგარეთ ვერ ახერხებდა; ჯარისკაცები მიდამოებს ძარცვავდნენ და უგზოუკვლოდ იკარგებოდნენ. დისციპლინა აშკარად ირყეოდა. მოსკოვში საზამთროდ დარჩენა, რა თქმა უნდა, შესაძლებელი იყო. და ზოგიერთი მარშალი და გენერალი კიდეც ურჩევდა ამას, მაგრამ ნაპოლეონი უტყუარი ინსტიქტით გრძნობდა, რომ არც ისე მტკიცე იყო მისი იმპერია და არც ისე საიმედო იყვნენ მისი "მოკავშირენი", რომ დიდხანს მიეტოვებინა ევროპა და რუსეთის თოვლში ჩაფლობილიყო. გასდეენებოდა კუტუზოვს, რომელიც თავისი არმიით სიცოცხლის არავითარ ნიშანს არ იძლეოდა? მაგრამ კუტუზოვს შეეძლო უკან დაეხია თუნდაც ციმბირამდე და კიდევ უფრო შორსაც.

ცხენები იხოცებოდნენ უკვე არა ათასობით, არამედ თითქმის ათიათასობითაც. უზარმაზარი საკომუნიკაციო ხაზი ძლიერ სუსტად იყო უზრუნველყოფილი, თუმცა ნაპოლეონმა გზაზე საკმაოდ ბევრი რაზმი დაატანდა და ამით შეარყია თავისი დიდი არმიის ძლევამოსილება. ხოლო მთავარი იყო მოსკოვის ხანძარი, რომელმაც დაამთავრა იმ ხანძართა ხანგრძლივი სერია, რომლებითაც ხედებოდნენ დამპყრობს რუსეთის სოფლები და ქალაქები, როდესაც ის კვალდაკვალ მისდევდა ბარკლაისა და ბაგრატიონს ნემანიდან სმოლენსკამდე და სმოლენსკიდან ბოროდინომდე, ძველი დედაქალაქის თითქმის მთელი მოსახლეობის გაუგებარი, იდუმალი გახიზვნა, ბოროდინოს ბრძოლის სურათი, რომელიც (ნაპოლეონმა აღიარა თავისი სიცოცხლის დასასრულს) ყველაზე უფრო საშინელი იყო იმპერატორის მიერ გაჩაღებულ ყველა ბრძოლათაგან, — ყველაფერი ეს ნათლად ადასტურებდა, რომ ამჯერად მისმა მოწინააღმდეგემ გადაწყვიტა განეგრძო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა.

რჩებოდა ორი გამოსავალი. პირველი — გაეგებინებინა ალექსანდრესათვის, ნაპოლეონი თანახმაა უაღრესად შემწყნარებელი, უაღრესად მსუბუქი, აუღრესად საპატიო და უწყინარი ზავის დადებაზე. მეორე გამოსავალი — გამოეცა მანიფესტი ფრანგთა მიერ დაკავებულ რუსეთის ნაწილში ბატონყმობის გაუქმების შესახებ და ეცადა მოეწყო ამით გლეხთა აჯანყება კუტუზოვის არმიის ზურგში და ამავე დროს გაესრწნა რუსის ყმა ჯარისკაცთა მასა. ჩვენ ვიცით, რომ ნაპოლეონი ფიქრობდა (და ლაპარაკობდა) ორივე გამოსავლის შესახებ. მაგრამ მან სცადა განეხორციელებინა მხოლოდ პირველი და არა მეორე. ზავის დადება მოსკოვში ყოფნისას ჯერ კიდევ გამარჯვებულის პოზის შენარჩუნებით, მშვიდობიანად გასვლა არმიით რუსეთიდან, — აი ყველაფერი, რის იმედიც შეიძლებოდა ჰქონოდა მას ამჟამად; იგი მზად იყო დაკმაყოფილებულიყო ალექსანდრეს სიტყვე-

ბითა და დაპირებით, მზად იყო დათმობებზე. ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო ალექსანდრეს დამორჩილებისა და მისი ვასალიტეტის შესახებ. მაგრამ როგორ უნდა მიეწოდებინა ცნობა ალექსანდრესათვის, რომელთანაც ნაპოლეონს არაკითარი ურთიერთობა აღარ ჰქონდა და არც შეიძლებოდა ჰქონოდა, მას შემდეგ, რაც ვილნოდან მას გენერალი ბალაშოვის შემწეობით შეურაცხმყოფელი უარი შეუთვალა, ნაპოლეონმა სამგვარად სცადა ეცნობებინა მეფისათვის თავისი მშვიდობისმოყვარული ზრახვების შესახებ.

მოსკოვში ცხოვრობდა აღმზრდელობითი სახლის უფროსი, გენერალ-მაიორი ტუტოლმინი. მან სთხოვა ფრანგთა სამხედრო ხელმძღვანელობას მოსკოვში დარჩენილი სახლისა და მოწაფეთა დაცვის შესახებ. ნაპოლეონმა ბრძანება გასცა გამოეწვიათ იგი და დიდხანს მხურვალედ ელაპარაკა მას მოსკოვის დაწვის საშინელებაზე, როსტოპჩინის დანაშაულებრივ ბარბაროსობაზე, იმაზე, რომ იგი, იმპერატორი, არაკითარ შეურაცხყოფას არ მიაყენებდა მოსკოვსა და მშვიდობიან მოსახლეობას. ტუტოლმინის თხოვნაზე — ნება დაერთო მისთვის პიტაკი გაეგზავნა საალმზრდელო სახლის შესახებ დედოფალი მარიამისათვის, ნაპოლეონმა არა თუ ნება დართო, არამედ, უეცრივ, კიდეც დაუმატა: "გთხოვთ მისწეროთ ამასთანავე იმპერატორ ალექსანდრეს, რომელსაც მე წინანდებურად პატივს ვცემ, რომ მე მსურს ზავი". იმავე დღეს, 18 სექტემბერს, ნაპოლეონმა ბრძანება გასცა გაეშვათ ფრანგთა საადარაჯოებს საალმზრდელო სახლის მოხელე, რომლის საშუალებითაც გაგზავნა ტუტოლმინმა თავისი პიტაკი.

ნაპოლეონს პასუხი არ მიუღია, მაგრამ მას არც კი დაულოდნია იმ დროისათვის, როდესაც პასუხის მიღება შეეძლო, და გადაწყვიტა მეორეც ესინჯა. მოსკოვში შემთხვევით, თავისი ნება-სურვილის წინააღმდეგ, დარჩა ერთი მდიდარი კაცი, ვინმე იაკოვლევი, ალექსანდრე ივანეს-ძე გერცენის მამა. მან ფრანგებს მიმართა დაცვისა და მფარველობისათვის; მის შესახებ მოახსენეს მარშალ მორტიეს, რომელიც წინათ შეხვედრია იაკოვლევს პარიზში, მარშალმა კი ნაპოლეონს მოახსენა მის შესახებ. იმპერატორმა ბრძანა წარედგინათ მისთვის იაკოვლევი. "ნამყოსა და ნაამბრეკში" გერცენი გადმოგვცემს მის მამასთან იმპერატორის ლაპარაკის შესახებ: "...ნაპოლეონმა გალანძღა როსტოპჩინი ხანძრისათვის, თქვა, რომ ეს ვანდალიზმია; ირწმუნებოდა, როგორც ყოველთვის, რომ უსაზღვროდ უყვარდა მშვიდობიანობა, ამტკიცებდა რომ მისი ომი ინგლისშია და არა რუსეთში, იკვეხნიდა იმას, რომ დარაჯი დაუყენა საალმზრდელო სახლსა და უსპენსკის ტაძარს, ჩიოდა ალექსანდრეზე, ამბობდა, რომ მას ცუდი ადამიანები ახვევია გარს და რომ მისი მშვიდობიანი განწყობილებანი იმპერატორმა არ იცის".

კიდევ რამდენიმე ფრაზის შემდეგ ნაპოლეონი დაფიქრდა და უცებ ჰკითხა: "იკისრებთ თუ არა თქვენ მიუტანოთ იმპერატორს ჩემი წერილი? ამ პირობით მე ბრძანებას გავცემ მოგცენ საშვი თქვენა და ყველა თქვენიანს". — "მივიღებდი თქვენი უდიდებულესობის წინადადებას, მაგრამ თავდებობა მეძნელება". ნაპოლეონმა წერილი მისწერა ალექსანდრეს ზაეის შეთავაზებით და ჩააბარა იგი იაკოვლევს, რომელმაც პატიოსანი სიტყვა მისცა, რომ ყველაფერს გააკეთებდა იმისათვის, რათა მიეტანა წერილი ალექსანდრესათვის. ამ მეტად შემარიგებელი კილოთი დაწერილ წერილში არის ერთი საგულისხმო და მისი დამახასიათებელი სტრიქონი: "მე ოშს ვაწარმოებ თქვენს უდიდებულესობასთან ყოველგვარი გაბოროტების გარეშე". ნაპოლეონს, ალბათ, ეგონა, რომ ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდა, გაბოროტების გრძნობას იწვევდა არა ის, არამედ მას თვითონ ჰქონდა უფლება გაბოროტება ეგრძნო.

პასუხი არც ამ წერილზე მიუღია.

მაშინ ნაპოლეონმა სცადა მესამე და უკანასკნელი საშუალება ზაეის შესათავაზებლად.

4 ოქტომბერს მან გაგზავნა კუტუზოვის ბანაკში, სოფელ ტარუტინოში, გრაფი ლორისტონი, რომელიც ელჩად იყო რუსეთში თვით ომის წინ. "ჩემთვის საჭიროა ზაეი, ოღონდ კი ღირსება გადარჩეს. დაუყოვნებლივ გაემგზავრეთ რუსების ბანაკში" — თქვა ნაპოლეონმა.

მეფემ არ უპასუხა. დარჩა მეორე საშუალება: დაეწყო რუსეთში გლეხთა რევოლუცია.

მძაფრმა მღელვარებამ შეიპყრო ზედაფენები ნაპოლეონის მიერ მოსკოვის დაკავების შემდეგ და ალექსანდრეს მოახსენეს, რომ არა მარტო გლეხთა შორის დადის ხმები თავისუფლების შესახებ, არამედ უკვე ჯარისკაცთა შორისაც ლაპარაკობენ, თითქოს, ალექსანდრემ სთხოვა ნაპოლეონს საიდუმლოდ შესულიყო რუსეთში და გაეთავისუფლებინა გლეხები, ალბათ, იმიტომ რომ თვით მეფესაც ეშინია მემამულეებისაო. ხოლო პეტერბურგში უკვე ლაპარაკობდნენ (და ამისთვის თვით სამართალშიაც კი მისცეს ვინმე შებალკინი), რომ ნაპოლეონი ეკატერინე II შვილია და მოდის, რათა წაართვას ალექსანდრეს თავისი კანონიერი სრულიად-რუსეთის გვირგვინი; რის შემდეგაც გლეხებს გაანთავისუფლებსო, რომ 1812 წელს მოხდა გლეხთა მთელი რიგი მღელვარება მემამულეთა წინააღმდეგ და მეტად სერიოზული მღელვარებაც, ეს ჩვენ დოკუმენტალურად ვიცით.

ნაპოლეონი ერთხანს აშკარად მერყეობდა. ხან უცებ ბრძანებას იძლეოდა მოეძებნათ მოსკოვის არქივში ცნობები პუგაჩევის შესახებ (მათი ნახ-

კა ვერ მოასწრეს), ხან იმპერატორის გარშემო მყოფნი ადგენდნენ მანიფესტის მონახაზს გლეხებისადმი, ხან თვით იგი სწერდა ეგეგენი ბოჰარნეს, რომ კარგი იქნებოდა გამოეწვია გლეხთა აჯანყება, ხან ეკითხებოდა მაღაზიის პატრონს მოსკოვში, ფრანგ ქალს ობერ-შალმეს თუ რას ფიქრობდა იგი გლეხთა განთავისუფლების შესახებ, ხან კი სრულიად წყვეტდა ამაზე ლაპარაკს და იწყებდა გამოკითხვას თათრებისა და კაზაკების შესახებ...

იგი კრემლში ყოფნისას ფიქრობდა აგრეთვე უკრაინის აჯანყების შესახებ, თათართა შორის შესაძლებელი მოძრაობის შესახებ. და ყველა ეს გეგმა მის მიერ აგრეთვე უარყოფილ იქნა.

იმ ოქტომბრის დღეს, როდესაც მოსკოვის პეტრეს სასახლეში ნაპოლეონი მერყეობდა, გამოეცა თუ არა დეკრეტი ყმა გლეხთა განთავისუფლების შესახებ, მასში ძლიერი ბრძოლა წარმოებდა. ოცდახუთი წლის გენერლისათვის, რომელმაც ის იყო დაიპყრო კონტრრევოლუციური ტულონი, ოგიუსტენ რობესპიერის მეგობრისათვის, მაქსიმილიან რობესპიერის მომხრისათვის, თვით უფრო გვიან უკვე ნაპოლეონის კოდექსის ავტორისათვის, — მერყეობა იმ საკითხზე, დაეტოვებინა თუ არა გლეხები ორიეე სქესის სალტიჩიხების* ხელში, შეუძლებელი იყო. ნაპოლეონმა ძლიერ კარგად იცოდა, რომ რუსეთის ბატონყმობა გაცილებით უფრო წაგავდა ზანგთა მონობას, ვიდრე ბატონყმობის მის მიერ განადგურებულ ევროპის რომელიმე ფეოდალურ-აბსოლუტისტურ სახელმწიფოში: რუსეთში იგი უამრავ ჯაშუშს ინახავდა და ინფორმაცია მეტად სრული და სხვადასხვანაირი ჰქონდა. მაგრამ რევოლუციური გენერალი უკვე დიდი ხანია აღარ არსებობდა, ხოლო პეტრეს სასახლის დარბაზებში ჩაფიქრებული სცენდა ბოლთას მისი უდიდებულესობა ნაპოლეონ I, წყალობითა ღვთისათა ფრანგების თვითმპყრობელი იმპერატორი, იტალიის მეფე. მთელი ევროპის კონტინენტის ფაქტიური უმაღლესი სუზერენი და ბატონპატრონი, ავსტრიის იმპერატორის სიძე, რომელსაც ფარულად უთვალთვალებდნენ მორიგე ადიუტანტები; მან ჩამოაღრჩო ან საპყრობილეში ჩაგდო და გადაასახლა მრავალი ადამიანი, რომელნიც თავის დროზე მაქსიმილიან და ოგიუსტენ რობესპიერების მეგობრები იყვნენ და შესწეოდათ გამბედაობა ოავიანთი რწმენის ერთგულები დარჩენილიყვნენ. თუ ნაპოლეონს გამოეცა და მისი ჯარის მიერ დაკავებულ ყველა გუბერნიაში, განეხორციელებინა დეკრეტი გლეხთა განთავისუფლების შესახებ, თუ ეს დეკრეტი ამასთანავე მიაღწეოდა რუსის არმიამდე, რომელიც მთლიანად ბატონყმური იყო და ჯობის დისციპლინას ემყარებოდა, — მას ამ გზით

შეეძლო აემოძრავებინა გლეხთა მილიონები, გაეხრწნა დისციპლინა მეფის ჯარში და უწინარეს ყოვლისა გამოეწვია პუგაჩევის აჯანყების მსგავსი მღელვარება.

ახლა უკვე ზუსტად არის ცნობილი, თუ რა საშინლად აშინებდა გლეხთა აჯანყება რუსეთის თავად-აზნაურობას 1812 წელს. ჩვენ სწორედ ეს იყო ალვნიშნეთ, თუ რა ხმები დადიოდა სოფლად, რა აფეთქება ხდებოდა უკვე აქა-იქ, რა უსუსურად გრძნობდა თავს ხელისუფლება იმ შინაგანი რისხვის წინაშე, რომელიც უკვე ახლოვდებოდა. ჩვენ ვიცით, თუ რა სამარისებური სიჩუმით შეხვდა ხალხი სიკვდილივით გაფითრებულ ალექსანდრეს, როდესაც იგი მივიდა ყაზანის ტაძართან. მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა პეტერბურგში ცნობა ბოროდინოში გამოწვეული ზარალისა და მოსკოვში საფრანგეთის იმპერატორის შესვლის შესახებ.

რამ შეაჩერა ნაპოლეონის ხელი? რატომ ვერ გაბედა მან გადმოებირებინა ყმების მრავალმილიონიანი მასა? აქ ბევრი ფიქრი ზედმეტია; მან ეს თვითონვე ახსნა. მან შემდგომ განაცხადა, რომ არ სურდა ლაგამი აეხსნა სახალხო ამბოხების სტიქიონისათვის, არ სურდა შეექმნა ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც "არაკისთან" არ ექნებოდა საშუალება დაედო საზავო ხელშეკრულება. ერთი სიტყვით, ახალი, ბურჟუაზიული მონარქიის იმპერატორი მაინც გაცილებით უფრო ახლოს გრძნობდა თავისთავს რომანოვების ბატონყმურ, ნახევრადფეოდალურ სახელმწიფოს პატრონთან, ვიდრე გლეხთა აჯანყების სტიქიონთან.

უკუაგდო რა რუსეთში გლეხთა მოძრაობის დაწყების აზრი, უარი თქვა რა ამავე დროს მოსკოვში დაზამთრებაზე, ნაპოლეონს დაუყოვნებლივ უნდა გადაეწყვიტა, სად წასულიყო მოსკოვიდან. ალექსანდრე რომ არავითარ მოლაპარაკებაზე არ თანხმდებოდა, ეს სრულიად აშკარა იყო, მას შემდეგ, რაც მეფე დუმდა იმ წინადადებების პასუხად, რომელიც ნაპოლეონმა მისცა მას ჯერ ტუტოლმინისა, შემდეგ იაკოვლევისა და, ბოლოს, ლორისტონის საშუალებით.

პეტერბურგზე გაილაშქროს? ეს აზრი დაებადა ნაპოლეონს უწინარეს ყოვლისა. მოსკოვის ჩაბარების შემდეგ პეტერბურგში პანიკა სუფევდა: იქ უკვე ბარგის ჩასაწყობად და გასამგზავრებლად ემზადებოდნენ. ყველაზე უფრო მეტად ჩქარობდა და შიშობდა მარიამ თეოდორეს ასული, ალექსანდრეს დედა, ნაპოლეონის სასტიკი მოძულე. მას სურდა ზავის რაც შეიძლება უფრო სწრაფად ჩამოგდება. კონსტანტინესაც იგივე სურდა. არაკჩეევი შეშინდა და მასაც ძლიერ სურდა ზავი. ნაპოლეონის გალაშქრებას პეტერბურგზე, რა თქმა უნდა, შეეძლო კიდევ უფრო გაეძლიერებინა ეს

პანიკა. მაგრამ ეს ლაშქრობა შეუძლებელი აღმოჩნდა. ადამიანებმა, მართალია, რამდენადმე დაისვენეს და საჭმელი მოამარაგეს მოსკოვში, მაგრამ ცხენები ისე ცოტა ჰყავდათ, რომ ზოგიერთი მარშალი რჩევასაც კი იძლეოდა თავი მიენებებინათ ზარბაზნების ერთი ნაწილისათვის.

მოსკოვში ვერ იპოვეს ვერც თივა და ვერც შვრია, ხოლო ფურაჟირებას უახლოეს, სრულიად განადგურებულ ადგილებში არაფრის მოცემა არ შეეძლო. გარდა ამისა, მფელი საფრანგეთის არმიის განწყობილება ისეთი როდი იყო, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ახალი შორეული ლაშქრობის დაწყება ჩრდილოეთისაკენ. კუტუზოვის არმიის ერთი ნაწილის უეცარმა თავდასხმამ მიურატზე, რომელსაც სათვალთვალო პოზიცია ეკავა მდინარე ჩერნიშნაზე ტარუტინოს წინ, სადაც კუტუზოვი იმყოფებოდა, აიძულა ნაპოლეონი დაეჩქარებინა თავისი გადაწყვეტილება. მართალია, ეს მეორეხარისხოვანი შეტაკება იყო, მაგრამ მან მაინც ცხადჰყო, რომ კუტუზოვი ბოროდინოს შემდეგ უფრო გაძლიერდა და მოსალოდნელი იყო შემდგომ ინიციატივასაც გამოიჩენდა. სინამდვილეში კი ტარუტინოს ბრძოლა დაწყებულ იქნა კუტუზოვის სურვილის წინააღმდეგ, და ბენიგსენი გაცხარებული იყო მთავარსარდალზე, რომელმაც არ მოისურვა მიეცა მისთვის საჭირო ძალები.

ნაპოლეონმა მიიღო ბოლოს გადაწყვეტილება. იგი მოულოდნელი როდი იყო, ის უაღრესად ბუნებრივი ჩანდა, რაკი ნაპოლეონი იძულებული გახდა უარი ეთქვა პეტერბურგისაკენ გალაშქრებაზე. იმპერატორმა გადაწყვიტა დაეტოვებინა მოსკოვში მარშალი მორტიე ათი ათასიანი გარნიზონით და გაელაშქრა კუტუზოვის წინააღმდეგ მთელი დანარჩენი არმიითურთ კალუგის ძველი გზით. მან იცოდა, რომ კუტუზოვს შევსებული ჰყავდა თავისი არმია, მაგრამ მან თვითონაც მიიღო ამ დროის განმავლობაში ცოტაოდენი მაშველი ჯარი, და მას ჰყავდა ასი ათასზე მეტი კაცი, მათ შორის იმპერატორის გვარდიის ოცდაორი ათასი რჩეული ჯარისკაცი და ოფიცერი.

ნაპოლეონმა ბრძანება გასცა, და 19 ოქტომბერს მოსკოვიდან კალუგის ძველი გზით დაიძრა მთელი საფრანგეთის არმია, მარშალ მორტიეს კორპუსის გამოკლებით.

მეტად სხვადასხვაგვარი ეკიპაჟებისა და ოთხთვალების დაუსრულებელი მწკრივი პროვიანტითა და მოსკოვში ნაძარცვი ქონებით მისდევდა არმიას. დისციპლინა იმდენად შესუსტდა, რომ თვით მარშალმა დაკუმაც კი შეწყვიტა იმ ურჩთა დახვრეტა, რომლებიც სხვადასხვა საბაბითა და ყოველგვარი ხერხით ცდილობდნენ დაედოთ ოთხთვალებზე ქალაქში ნა-

პოვნი ძვირფასი ნივთები, თუმცა ცხენები თვით არტილერიისთვისაც კი არ ჰყოფნიდათ.

ამ დაუსრულებელი აღალით გამოსული არმია მეტისმეტად გაჭიმულ ხაზს წარმოადგენდა. საკმარისია მოვიყვანოთ დამსწრეთა ხშირად ციტირებული დაკვირვება: მთელი დღის განუწყვეტელი მარშის შემდეგ, 19 ოქტომბერს, საღამოთი, არმია და აღალი, რომელიც კალუგის უფართოესი გზით მიდიოდა, სადაც თავისუფლად მოძრაობდა ერთმანეთის გვერდით ჩამწკრივებული რვა ეკიპაჟი, ქალაქიდან სრულიად ჯერ კიდევ ვერ გამოსულიყო.

ნაპოლეონმა მყისვე შეაფასა თავისი სამხედრო თვალით ამგვარი აღალის მთელი საშიშროება არმიისათვის, მთელი სიძნელე ამ დაუსრულებელი ხაზის დაცვისა მტრის ცხენოსანი ჯარის უეცარი თავდასხმისაგან.

და აქ მან მთლად ერთიანად შეცვალა უცებ მთელი თავისი გეგმა. რომლითაც იგი რამდენიმე საათის წინ მოსკოვიდან გამოვიდა.

მან გადაწყვიტა თავს არ დასხმოდა კუტუზოვს. ახალ ბოროდინოს, გამარჯვებითაც რომ დამთავრებულიყო იგი, უკვე აღარ შეეძლო შეეცვალა მთავარი, ე.ი. ის, რაც მას იმ მომენტში მთავარ საქმედ ეჩვენებოდა: მოსკოვის დატოვება. მან გაითვალისწინა ის შთაბეჭდილება, რომელსაც მოახდენდა ევროპაში მოსკოვიდან წასვლა, და უფრთხოდა ამ შთაბეჭდილებას. მაგრამ რაკი გადაწყვიტა თავი აერიდებინა კუტუზოვთან ბრძოლისათვის, ნაპოლეონი მყისვე შეუდგა ახალი გეგმის განხორციელებას: კალუგის ძველი გზიდან მარჯვნივ გადაეხვია, გვერდი აექცია რუსის არმიის განლაგებისათვის, გასულიყო ბოროვსკის გზაზე, ევლო ომით ხელშეუხებელი ადგილებით კალუგის გუბერნიაში სამხრეთ-დასავლეთისკენ და წასულიყო სმოლენსკისაკენ. შემდგომ ომზე ნაპოლეონი უარს ჯერ კიდევ არ აცხადებდა: მშვიდობიანად მივიდოდა რა მალოიაროსლავეცისა და კალუგის გავლით სმოლენსკამდე, შესაძლებელი იქნებოდა დაეზამთრებინა სმოლენსკში გინდ ვილნოში, ანდა კიდევ სხვა რაიმე ღონისძიება მიეღო. მაგრამ უწინარეს ყოვლისა, უკვე საჭირო იყო მოსკოვის საბოლოოდ დატოვება. 20 ოქტომბერს, საღამოთი, ნაპოლეონმა თავისი მთავარი ბინიდან სოფელ ტროიცკოეში ბრძანება გაუგზავნა მარშალ მორტიეს: დაუყოვნებლივ შეერთებოდა თავისი კორპუსით არმიას, ხოლო მოსკოვიდან გამოსვლის წინ აეფეთქებინა კრემლი.

ბრძანება კრემლის აფეთქების შესახებ შესრულებულ იქნა მხოლოდ ნაწილობრივ. მოსკოვიდან უეცარი გასვლით გამოწვეულ ჩოჩქოლში მორტიეს დრო არა ჰქონდა ისე შესდგომოდა საქმეს, როგორც საჭირო იყო.

"მე არასოდეს არ ვაკეთებ უსარგებლო საქმეს" — თქვა როგორღაც ნაპოლეონმა. ამ შემთხვევაში კრემლის აფეთქება უდავოდ სრულიად უსარგებლო საქმე იყო. ეს თითქოს პასუხი იყო ალექსანდრეს მდუმარებაზე ზავის სამი წინადადების შემდეგ.

ამნაირად, არმია ნაპოლეონის ბრძანების შესასრულებლად უცებ კალუგის ძველი კზიდან ახალი გზისკენ მიბრუნდა, და 23 ოქტომბერს მისმა მეტმა ნაწილმა ბოროვსკს მიაღწია. მალოიაროსლავეცი დაკავებული იყო გენერალ დელზონის დივიზიის ნაწილების მიერ. კუტუზოვმა ალღო აუღო ნაპოლეონის გეგმას და გადაწყვიტა გადაეჭრა კალუგის ახალი გზა. 24 ოქტომბერს, გათენებისას, გენერალმა დოხტუროვმა და მის შემდეგ რაევსკიმ იერიში მიიტანეს მალოიაროსლავეცზე, რომელიც წანადღით დელზონმა დაიკავა. მოხდა სისხლისმღვრელი ბრძოლა, რამაც მთელ დღეს გასტანა. განერლები დელზონი და ლეკიე მოკლეს. ექვსჯერ გადავიდა მალოიაროსლავეცი ხელიდან ხელში. მეშვიდეჯერ ის აიღეს ფრანგებმა და საღამოთი მათ ხელში დარჩა, მაგრამ ორივე მხარეს დიდი ზარალი მოუვიდა. ფრანგებმა მხოლოდ მოკლულთა სახით დაკარგეს დაახლოებით ხუთი ათასი კაცი. ქალაქი სრულიად დაიწვა; მას ჯერ კიდევ ბრძოლის დროს გაუჩნდა ხანძარი, ისე რომ მრავალი ასეული რუსი და ფრანგი ცეცხლისაგან დაიღუპა ქუჩებში და მრავალი დაჭრილი დაიწვა ცოცხლად.

მეორე დღეს, დილაადრიან, ნაპოლეონი მცირერიცხოვანი ამალით სოფელ გაროდნიდან გავიდა რუსების პოზიციების დასათვალიერებლად; ამ დროს ცხენოსანთა ამ ჯგუფს უცებ თავს დაესხნენ შუბმომარჯვებული კაზაკები. ნაპოლეონთან მყოფმა ორმა მარშალმა (მიურატმა და ბესიერმა), გენერალმა რაპმა და რამდენიმე ოფიცერმა მჭიდროდ შემოარტყეს რკალი იმპერატორს და იწყეს თავდამსხმელთა მოგერიება. პოლონელმა შვოლეჟერებმა (მსუბუქმა კაკალერიამ) და გვარდიის ეგერებმა, რომლებმაც ამასობაში მოუსწრეს, გადაარჩინეს იმპერატორი და ის ჯგუფი, რომელიც მას გარს ერტყა. დაუყოვნებლივ სიკედილისა და ტყვედ ჩავარდნის საფრთხე იმდენად დიდი იყო, რომ არა გვგონია, ის ღიმილი, რომელიც ამ ინციდენტის მთელი ხნის განმავლობაში არ მოშორებია ნაპოლეონის ბაგეებს, გულწრფელი ყოფილიყოს. მაგრამ ეს ღიმილი ყველამ დაინახა, და მის შესახებ აღტაცებით ლაპარაკობდნენ ყველანი ამ დღესაც და შემდგომაც; იმპერატორიც სწორედ ამიტომ იღიმებოდა. საღამოთი მან უბრძანა გვარდიის ექიმს იუვანს მოემზადებინა და მიეცა მისთვის ძლიერი საწამლავით სავსე შუშა — იმ შემთხვევისთვის, თუ იგი ტყვედ ჩავარდებოდა.

დაათვალიერა თუ არა პოზიციები, ნაპოლეონმა სამხედრო საბჭო გახსნა გოროდნიში.

მალოიაროსლავეცმა დაამტკიცა, რომ თუ ნაპოლეონს არ სურს ახალი ბოროდინო, თვით რუსები ეძებენ მას, და რომ ახალი ბოროდინოს გარეშე იმპერატორს სამხრეთის „უბერნიებში შესვლა არ შეუძლია.

მთელი სამხედრო საბჭოც ამავე აზრისა იყო, ამავე აზრს დაადგა ბოლოსდაბოლოს თვით ნაპოლეონიც. უარყოფილ უნდა იქნას გენერალური ბრძოლის გაჩაღების აზრი; მაშასადამე, დარჩა სმოლენსკისაკენ წასვლა. სმოლენსკის სრულიად განადგურებული გზით, წასვლა რაც შეიძლება უფრო ჩქარა, სანამ რუსებს არ დაეკავებიათ დაუცველად დატოვებული მოჟაისკი და არ გადაეჭრათ უკან დასახევი გზა. მოუსმინა რა გენერლებსა და მარშლებს, ნაპოლეონმა განუცხადა მათ, რომ იგი უარს ამბობს თავის გადაწყვეტილებაზე და რომ უკეთ მიაჩნია გენერალური ბრძოლა გაუჩაღოს კუტუზოვს და კალუგაში შეიჭრეს. ნაპოლეონის მერყეობა დამთავრდა 26 ოქტომბერს, როდესაც მან გაიგო, რომ რუსებმა უკუაგდეს პონიატოვსკის ცხენოსანი ჯარი მედინიადან.

მაგრამ კუტუზოვს არ სურდა ბრძოლა და არც ეძებდა მას.

მალოიაროსლავეცთან ბრძოლის შემდეგ კუტუზოვმა მტკიცედ გადაწყვიტა საშუალება მიეცა ნაპოლეონისათვის უკან დაეხია, არ გაეწია მისთვის არავითარი თუნდაც ოდნავ ენერგიული წინააღმდეგობა. როდესაც უცხოელები (გერმანელები და ინგლისელები), რომლებიც ალექსანდრეს ნება-სურვილით კუტუზოვის შტაბში იმყოფებოდნენ, მთავარსარდლის მზვერავთა სახით, მეტისმეტად მოაბეზრებდნენ თავს მოხუც ფელდმარშალს, უსაყვედურებდნენ მას ენერგიის ნაკლებობას, ის უეცრივ აჩვენებდა მათ თავის ბრჭყალებს და აგრძნობინებდა, რომ საუცხოოდ ესმის მათი თამაში და ნათლად აქვს წარმოდგენილი, თუ რატომ აშინებთ მათ რუსეთისა და ნაპოლეონის ომის "ნაადრევად" დამთავრება.

იმპერატორმა ბრძანება გასცა უკან დაეხიათ სმოლენსკისაკენ, და 27 ოქტომბერს დაიწყო უკან დახევა ბოროსკიდან ვერეიისა, მოჟაისკისა, დოროგობუჟისა და სმოლენსკისაკენ. არმია მიდიოდა მეტად გრძელი, გაჭიმული ხაზით, და ამჯერად — ნაპოლეონის ბრძანებით — წვავდნენ ყველა იმ სოფელს, დაბასა და კარმიდამოს, რომლებშიაც ჯარი გადიოდა. მაგრამ დაწყებული მოჟაისკიდან დასაწვავი თითქმის აღარაფერი დარჩენილიყო, რადგან ეს ადგილები საშინლად იყო განადგურებული ჯერ კიდევ ბოროდინოში მომხდარ ბრძოლამდე.

ქალაქი მოჟაისკი გადაბუგულ უდაბნოს წარმოადგენდა. როდესაც ნაპოლეონის ჯარმა ბოროდინოს ველის მახლობლად გაიარა, სადაც რუსებისა და ფრანგების ორმოცდაჩვიდმეტი ათასი აუღებელი გვამი ლპებოდა,

ნაპოლეონმა ბრძანება გასცა რაც შეიძლება ჩქარა გასცლოდნენ ამ ადგილს: საშინელი სანახაობა ცუდად მოქმედებდა ჯარისკაცების განწყობილებაზე, განსაკუთრებით ახლა, როდესაც ისინი გრძნობდნენ, რომ ომი წაგებული იყო.

როდესაც გჟატკს უახლოვდებოდნენ (უკვე 30 ოქტომბერი იყო), დაიწყო პირველი ძლიერი ყინვები. ეს მოულოდნელი იყო: იმ ცნობათა მიხედვით, რომლებიც ჯერ კიდევ რუსეთში შემოჭრამდე მისცეს ნაპოლეონს, ყინვა რუსეთის ამ ზონაში 1811 წელს მხოლოდ დეკემბრის დამლევს დაიწყო. ზამთარი 1812 წელს არაჩვეულებრივად ადრე დაიწყო და არაჩვეულებრივ სუსხიანი გამოდგა. კუტუზოვი კვალდაკვალ მისდევდა მტერს, რომელიც უკან იხევდა. კაზაკები ძალიან აწუხებდნენ ფრანგებს თავდასხმებით; ვიაზმის წინ რუსეთის რეგულარული კავალერია თავს დაესხა საფრანგეთის არმიას, მაგრამ კუტუზოვი აშკარად არიდებდა თავს დიდ ბრძოლას, თუმცა მას ყოველი მხრით აქეზებდნენ. კუტუზოვისათვის მთავარ საქმეს შეადგენდა ნაპოლეონის წასვლა რუსეთიდან, ხოლო ინგლისის აგენტ ვილსონისა და გერმანელი და ფრანგი ემიგრანტების მთელი მასისათვის ნაპოლეონის წასვლა რუსეთიდან წარმოადგენდა არა საქმის დასასრულს, არამედ მხოლოდ დასაწყისს: მათთვის მნიშვნელოვანი იყო თავი ეხსნათ ნაპოლეონისაგან და ეს კი შესაძლებელი იყო მხოლოდ მისი სრული დამარცხებით, ტყვედ ჩავარდნით ან სიკვდილით. სხვანაირად მათ ასე ეგონათ — ევროპაში ყველაფერი წინანდებურად დარჩებოდა და ნაპოლეონი წინანდებურად იბატონებდა ნემანამდე. მაგრამ კუტუზოვმა მათ ამ ჯერად აღარ დაუთმო. რამდენადაც უფრო მეტად ძლიერდებოდა ყინვები და ეღუპებოდა აღალი, რომელსაც აქა — იქ კაზაკები და რუსის პარტიზანები ფიგნერი, სესლავინი და დავიდოვი ართმევდნენ, საფრანგეთის არმია იმდენად უფრო კატასტროფული სისწრაფით დნებოდა.

როდესაც 6 ნოემბერს არმია დოროგობუჟში მივიდა, თოფქვეშ მას საბრძოლველად სავარგისი მხოლოდ ორმოცდაათ ათასამდე კაცი ჰყავდა.

ნაპოლეონი იტანდა ლაშქრობის ყველა სიძნელეს, როგორც ყოველთვის, ცდილობდა თავისი მაგალითით გაემხნევებინა ჯარისკაცები. იგი მთელი საათობით მიდიოდა ნამქერებში, ან როდესაც თოვლი ბარდნიდა, ჯოხზე დაყრდნობილი ჯარისკაცებს ელაპარაკებოდა. მან მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა — დაიზამთრებდა თუ არა და საერთოდ დიდხანს დარჩებოდა თუ არა სმოლესკში. მაგრამ დოროგობუჟში მისვლისას იმპერატორმა საფრანგეთიდან ისეთი ცნობები მიიღო, რომლებმაც დააჩქარეს მისი გადაწყვეტილება დაეტოვებინა სმოლენსკი.

უცნაური ცნობები მოუტანა მის დოროგობუჟში პარიზიდან გამოგზავნილმა შიკრიკმა. ვინმე გენერალმა მალემ, ძველმა რესპუბლიკელმა, რომელიც დიდხანს იჯდა პარიზის საპყრობილეში, მოახერხა იქიდან გაქცევა, შეადგინა სენატის ყალბი ბრძანებულება, გამოცხადდა ერთ ასეულში. განაცხადა, თითქოს რუსეთში ნაპოლეონი გარდაცვლილიყოს, წაუკითხა სენატის ყალბი ბრძანებულება რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ და დააპატიმრა პოლიციის მინისტრი საყარი, ხოლო სამხედრო მინისტრი დაჭრა. არეულობამ სულ ორ საათს გასტანა, გენერალი მალე იცნეს, დააპატიმრეს, გადასცეს სამხედრო სასამართლოს და დახვრიტეს 11 კაცთან ერთად,რომლებიც არაფერში არ იყვნენ დამნაშავენი, გარდა იმისა, რომ დაიჯერეს ბრძანებულების სინამდვილე; მალემ ყველაფერი ეს მარტო მოიფიქრა საპყრობილეში ჯდომისას.

ნაპოლეონზე ამ ეპიზოდმა (მიუხედავად მთელი თავისი შეუსაბამობისა) ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. მან იგრძნო, რომ მისი პარიზში ყოფნა აუცილებელი იყო. იქვე დოროგობუჟში, და შემდეგ კი სმოლენსკში, სადაც იგი 9 ნოემბერს მივიდა, ნაპოლეონმა გაიგო, რომ ჩიჩაგოვი თურქეთიდან მოსული სამხრეთის რუსის არმიით ბერეზინისაკენ მიისწრაფოდა, რათა გადაეჭრა მისთვის უკანდასახვევი გზა. მან გაიგო აგრეთვე მეფის ნაცელის ევგენის კორპუსის დიდი ზარალის შესახებ კაზაკებთან შეტაკების დრო. ბოლოს, მან ისიც გაიგო, რომ ქალაქი ვიტებსკი დაკავებული იყო ვიტგენშტეინის არმიის ნაწილების მიერ. სმოლენსკში დარჩენა წარმოუდგენელი იყო; მას სასწრაფოდ უნდა გადაელახა ბერეზინა, ვიდრე რუსები გადაუჭრიდნენ გადასასვლელ გზას, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაპოლეონსა და მისი არმიის ნაშთებს ტყვეობა ემუქრებოდა.

ყინვა ძლიერდებოდა. უკვე სმოლენსკიდან გასვლისას ჯარისკაცები ისე დასუსტნენ, რომ ეცემოდნენ, აღარ შეეძლოთ ფეხზე წამოდგომა და იქვე იყინებოდნენ. მთელი გზა გვამებით იყო მოფენილი. მოსკოვიდან თან არ წაუღიათ თბილი საზამთრო ნივთები; ეს საბედისწერო შეცდომა იყო ჯერ კიდევ ლაშქრობის დასაწყისში. იძულებული გახდნენ თავი მიენებებინათ აღალის მეტი ნაწილისათვის. არტილერიის ნაწილისათვის და ჩამოექვეითებიათ მთელი ესკადრონები, რადგან ცხენები უფრო და უფრო იხოცებოდნენ. პარტიზანები და კაზაკები სულ უფრო და უფრო გაბედულად ესხმოდნენ თავს არიერგარდს და ჩამორჩენილებს. მოსკოვიდან გასვლისას ნაპოლეონს დაახლოებით ასი ათასი კაცი ჰყავდა, სმოლენსკიდან გასვლისას კი, 14 ნოემბერს, მისი არმია შეადგენდა სულ ოცდათექვსმეტ ათას კაცს მწყობრში და რაშდენიმე ათას კაცს ჩამორჩენილსა და ისეთებს, რომ-

ლებიც მას თანდათანობით ეწეოდნენ და უერთდებოდნენ. ახლა მან მიმოქმედა ის, რაც ვერ გადაეწყვიტა მოსკოვიდან გასვლისას: მან ბრძანება გასცა დაეწვათ ყველა ოთხთვალა და ეკიპაჟი, რათა გაენთავისუფლებინათ ცხენები ზარბაზნების გადასაზიდავად.

16 ნოემბერს კრასნოეს მახლობლად რუსები თავს დაესხნენ ევგენი ბოჰარნეს კორპუსს, და ფრანგებმა დიდი ზარალი ნახეს. მეორე დღეს ბრძოლა კვლავ განახლდა. ფრანგები უკუგდებულ იქნენ; მათ ორი დღის განმავლობაში დაახლოებით თოთხმეტი ათასი კაცი დაკარგეს, აქედან დაახლოებით ხუთი ათასი კაცი მოკლულებისა და დაჭრილების სახით, ხოლო დანარჩენები ტყვედ ჩაჰბარდნენ. მაგრამ ამით ბრძოლა კრასნოეს მახლობლად არ დამთავრებულა. დანარჩენ არმიას მოწყვეტილი ნეი საშინელი ზარალის შემდეგ — შვიდი ათასიდან დაკარგული იყო სამი ათასი — დანარჩენი ოთხი ათასით მირეკილ იქნა მდინარეზე კუტუზოვის მთელი არმიის მიერ. ღამით მან გადალახა დნეპრი კრასნოეს ჩრდილოეთით, მაგრამ, რადგან ყინული ჯერ კიდევ თხელი იყო, ბევრი ჯარისკაცი ჩავარდა წყალში და დაიღუპა. ნეი ათას ორასი კაცით გადარჩა და ორშაში მივიდა.

ნაპოლეონი მთელ ძალღონეს ხმარობდა დისციპლინის შესანარჩუნებლად, მომარაგების საქმის მოსაწყობად, მაგრამ საკმაოდ არ ზრუნავდა მინსკის მიმართულებაზე. მან უკვე დუბროვკაში გაიგო, რომ პოლონელთა ნაწილებს, რომელთაც ჯერ კიდევ ლაშქრობის დასაწყისში უბრძანა დაეცვათ მოგოლევი და მინსკი, არ შეუსრულებიათ დაკისრებული დავალება; გენერალ დომბროვსკის, რომელმაც მიიღო ბრძანება ბორისოვოსაკენ წასულიყო, არ აღმოუჩენია დახმარება გენერალ ბრონიკოვსკისათვის, და მინსკი 16 ნოემბერს დაკავებულ იქნა ჩიჩაგოვის მიერ. მინსკში რუსებს ხელში ჩაუვარდათ სურსათ-სანოვაგის უდიდესი საწყობები, რომლების იმედიც ნაპოლეონს ჰქონდა. ყინვის გალხობა იწყებოდა.

ყოველად საშინელი მდგომარეობა შეიქნა. ჩრდილოეთიდან, დვინიდან მდინარე ბერეზინას, რომელიც ნაპოლეონს უნდა გადაელახა, ვიტგენშტეინი უახლოვდებოდა: მარშლებმა უდინომ და ვიქტორმა ვერ შეძლეს მისი შეკავება. სამხრეთით მოდიოდა ჩიჩაგოვი, რომელიც ბერეზინაზე მდებარე ქალაქ ბორისოვისაკენ.მიისწრაფოდა. 22 ნოემბერს ჩიჩაგოვი შევიდა ბორისოვში, საიდანაც მან დომბროსკი განდევნა.

ნაპოლეონი გაფითრდა, როდესაც ამის შესახებ მოახსენეს. პლატოვისა და ერმოლოვის რაზმები — კუტუზოვის ჯარის მოწინავე ნაწილები ფრანგებისაგან უკვე ორსა თუ ერთ გადასასვლელზე იყვნენ. ფრანგებს გარემოცვა და კაპიტულაციის საფრთხე მოელოდათ. იმპერატორმა დაუ-

ყოვნებლივ გასცა ბრძანება, მოეძებნათ სხვა ადგილი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ხიდების გაკეთება.

ბორისოვში მუდმივი ხიდი იყო, და როდესაც იმპერატორის შტაბში გაიგეს ამ გადასასვლელის დაკარგვის შესახებ, ყველაზე მამაცნიც კი დაიბნენ. ნაპოლეონმა ძლიერ მალე შეიკავა თავი. გენერალ კორბინოს მოხსენების შემდეგ მან გადაწყვიტა სტუდენკასთან გადაელახა მდინარე, ბორისოვის ჩრდილოეთით, სადაც პოლონელმა ულანებმა ფონი იპოვეს. ამ ადგილას მდინარე ბერეზინის განი ოცდახუთ მეტრსაც კი არ უდრის, მაგრამ მისი ნაპირები ორივ მხარეს დიდ მანძილზე დაფარულია შლამიანი ლაფით, ასე რომ, საერთოდ, საჭირო იყო თითქმის სამჯერ უფრო გრძელი ხიდის აგება, ვიდრე მდინარის განი იყო. ნაპოლეონმა ოსტატური ხერხით მოატყუა ჩიჩაგოვი. მან ისე მოაჩვენა ჩიჩაგოვს, თითქოს მდინარის გადალახვას მაინც ბორისოვის მახლობლად აპირებდა. მარშალმა უდინომ 23 ნოემბერს დაამარცხა და უკუაგდო ბორისოვისაკენ ჩიჩაგოვის ავანგარდის უფროსი გრაფი პალენი, დაედევნა პალენს და ჩიჩაგოვი აიძულა დაეტოვებინა ბორისოვი, რომელიც მან ის იყო დაიკავა. მაგრამ ჩიჩაგოვი მახლობლად დარჩა, ხოლო ჩრდილოეთიდან ვიტგენშტეინი მოისწრაფოდა. მდინარის გადალახვა აქ ნაპოლეონს არც სურდა და არც შეეძლო. მთელი რიგი მანევრებით მან მოახერხა ჩაეგონებინა ჩიჩაგოვისათვის ის აზრი, რომ მდინარის გადოლახვა ბორისოვთან ან ბორისოვის ქვემოთ მოხდებოდა. ნაპოლეონი კი 26 ნოემბერს, გათენებისას, სტუდენკასთან იყო. ფრანგმა მასანგრეებმა, რომლებიც წელამდე წყალში მუშაობდნენ მოცურავე ყინულებს შორის, მყისვე იწყეს პონტონის ორი ხიდის კეთება, და მალე, შუადღის შემდეგ, დაიწყო უდინოს კორპუსის გადაყვანა. გადაყვანა წარმოებდა 26 და 27 ნოემბერს. რუსები მარჯვენა ნაპირზე შეეცადნენ გადასასვლელის მახლობლად იერიში მიეტანათ უკვე გადასულ ნაწილებზე. მაგრამ საფრანგეთის გვარდიის კირასირებმა უკუაგდეს ისინი კონტრიერიშით.

მდინარეზე გადასვლა სრული წესრიგით წარმოებდა და თითქმის საფრანგეთის მთელმა არმიამ მოასწრო მშვიდობიანად გადასვლა, მაგრამ უცებ ხიდებს შიაწყდა თოთხმეტ ათასამდე ჩამორჩენილი ჯარისკაცი, რომელთაც კაზაკები მოსდევდნენ. ეს მასა თავზარდაცემული მიაწყდა ხიდებს, ყურს არ უგდებდა ბრძანებას, და მარშალ ვიქტორის კორპუსის უკანასკნელი რეგულარული ნაწილი, რომელმაც ვერ მოასწრო მდინარეზე გადასვლა, იარაღით იგერიებდა ამ ბრბოს. კუტუზოვმა, რომელმაც ცნობა მიიღო კაზაკებისაგან სტუდენკასთან გადასვლის შესახებ, ეს მყისვე აცნობა ჩიჩაგოვს. ამ დროს ერთ-ერთი ხიდი, რომელზედაც არტილერია გა-

დიოდა, ჩატყდა, იგი სასწრაფოდ შეაკეთეს, მაგრამ კელავ ჩატყდა: ჩიჩაგოვს რომ მოესწრო, კატასტროფა საბოლოო იქნებოდა. მაგრამ განზრახ თუ არაგანზრახ მან დაიგვიანა, და ნაპოლეონი არმიის ნაშთებითურთ მარჯვენა ნაპირზე გადავიდა. ჩამორჩენილთა მეტი ნაწილი (დაახლოებით ათი ათასი თოთხმეტი ათასიდან), რომელიც ვიქტორის რეგულარულმა კორპუსმა ხიდებთან არ მიუშვა, ნაპირზე დარჩა და ნაწილობრივ კაზაკებმა აკუწეს, ხოლო ნაწილობრივ ტყვედ წაიყვანეს. მდინარეზე გადასვლის შემდეგ ნაპოლეონმა მყისვე ბრძანება გასცა დაეწვათ ხიდები; ასეთი ბრძანება რომ არ გაეცა, ჩამორჩენილებიც კი ყველანი მოასწრებდნენ მდინარეზე გადასვლას და გადარჩებოდნენ, მაგრამ სამხედრო აუცილებლობა მოითხოვდა მოესპო რუსებისათვის გადასასვლელი საშუალებანი, ხოლო ჩამორჩენილი ათა ათასი კაცის დაღუპვამ, რომლებმაც ვერ მოასწრეს მდინარეზე გადასვლა, იმპერატორი ვერ შეაჩერა. მას საჭიროდ მიაჩნდა მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც ჯარის რიგებში დარჩნენ, ხოლო ჯარის რიგებიდან წასულნი, სულ ერთია რა მიზეზითაც — ავადმყოფობითა თუ დამძვრალი ხელ-ფეხით, — დიდად არ აინტერესებდა იმპერატორს. ნაპოლეონი ავადმყოფებზე და დაჭრილებზე იქ ზრუნავდა, სადაც ამ ზრუნვას არ შეეძლო ზიანი მიეყენებინა ბრძოლისუნარიანი ჯარისკაცებისათვის. ამ შემთხვევაში ხიდების დაწვა რაც შეიძლება ჩქარა იყო საჭირო — და მას ოდნავაც არ უყოყმანია, ისე დაწვევინა ხიდები.

თვით ნაპოლეონიც, მისი მარშლებიცა და მრავალი სამხედრო ისტორიკოსიც, როგორც წინანდელი, ისე ახალი, ფიქრობდნენ და ფიქრობენ, რომ ბერეზინის გადალახვა, როგორც სამხედრო მოქმედება, ნაპოლეონის შესანიშნავ მიღწევას წარმოადგენს. სხვების აზრით კი აქ ნაპოლეონს ხელი შეუწყო ჩიჩაგოვისა და ვიტგენშტეინის შეცდომებმა და დაბნეულობამ და ამ საქმეში ალექსანდრეს მიერ შეტანილმა არევ-დარევამ: ალექსანდრემ პეტერბურგიდან კუტუზოვის გარეშე დაუგზავნა გენერლებს ნაპოლეონის გაჭრემოცვის გეგმა, რომელიც კუტუზოვს სისულელედ მიაჩნდა.

ასე თუ ისე, საფრანგეთის არმიის ნაშთები გადარჩნენ და ვილნოსაკენ გაემართნენ. მაგრამ ზამთრის დროებითი სითბო (რომლის გამოც საჭირო გახდა ხიდების გაკეთება ბერეზინაზე) უცებ საშინელმა სიცივემ შეცვალა. ტემპერატურა დავიდა თხუთმეტ გრადუსამდე, შემდეგ ოცამდე, ოცდაექვსამდე, ოცდარვა გრადუსამდე რეომიურით, და ადამიანები თითქმის ყოველ წუთს ეცემოდნენ ძირს ათობითა და ასობით. მკვდრებს, ნახევრადმკვდრებსა და დასუსტებულებს გვერდს უვლიდნენ, რიგებს ამჭიდროებ-

დნენ და გზას განაგრძობდნენ. ამ უბედური უკანდახევის დროს ამაზე უფრო საშინელი არა მომხდარა რა. არასოდეს ამ უკანასკნელ ;ღლეებამდე არ ყოფილა ასეთი აუტანელი ყინვები. კუტუზოვი მათ თითქმის ფეხდაფეხ მისდევდა, მისი არმიაც საშინლად იტანჯებოდა სიცივისაგან, თუმცა რუსებს საფრანგეთის არმიაზე გაცილებით უფრო კარგად ეცვათ. საკმარისია ითქვას, რომ იმ მომენტში. როდესაც კუტუზოვმა ბოროდინოს შემდეგ თავისი არმია შეავსო, ოქტომბერში ტარუტინოდან გაეიდა და ჯერ მალოიაროსვეცისაკენ გაემართა, ხოლო შემდეგ ნაპოლეონს ფეხდაფეხ გაჰყვა, მას სსი ათასზე მეტი კაცი ჰყავდა, ხოლო ვილნოში დეკემბრის შუა რიცხვებში მან ოცდაშვიდი ათას ხუთასზე ნაკლები კაცი მიიყვანა. ასეთი საშინელი და ძნელი იყო ამ დაუსრულებელი გადასვლების პირობები იმ არაჩვეულებრივ სუსხიან ზამთარში.

აქვე უნდა დაემატოს,რომ ნაპოლეონის სერიოზულად უფრთხოდა მხოლოდ კუტუზოვის მთავარი არმიის თავდასხმას. კაზაკები, რა თქმა უნდა, უკიდურესად ართულებდნენ უკანდახეული საფრანგეთის არმიის მდგომარეობას აღალზე .თავდასხმითა და არიერგარდის შეშფოთებით, მაგრამ, ცხადია, დამოუკიდებელი ბრძოლა კაზაკებს საფრანგეთის ჯარის ნაწილებთან არ შეეძლოთ. კრასნოეს მახლობლად წარმოებულ ბრძოლებში ისინი ასრულებდნენ დიდ, მაგრამ დამხმარე, და არა მთავარ როლს. რაც შეეხება პარტიზანებს, მათი ფრანგებს კაზაკებზე უფრო ნაკლებად ეშინოდათ. პარტიზანული რაზმები რამდენიმე იყო: დავიდოვის. ფიგნერის, დოროხოვის, სესლავინის, ვადბოლსკის, კუდაშევისა და კიდევ ორი-სამი. ფრანგებს ისინი რეგულარულ არმიად არ მიაჩნდათ და ტყვედ თითქმის არც მიჰყავდათ, არამედ ხვრეტდნენ. მაგრამ პარიზანებსაც ცოტანი მიჰყავდათ ტყვედ და ისინიც ფრანგების მოსპობას არჩევდნენ. განსაკუთრებული სისასტიკით იყო განთქმული ფიგნერი. პარტიზანებს წარმოადგენდნენ ის ოფიცრები და ჯარისკაცები, რომლებიც გაანთავისუფლეს მათმა უფროსებმა.

პარტიზანთა შესახებ ფრანგები თავის მემუარულ ლიტერატურაში თითქმის არაფერს არ ამბობენ, მაშინ როდესაც კაზაკების შესახებ ძლიერ ბევრ ლაპარაკობენ და ერთსულოვნად აღიარებენ იმ უდიდეს ზარალს, რომელსაც მოძრავი, უჩინარი კაზაკთა ცხენოსანი რაზმი აყენებდა უკანდახეულ არმიას თავისი უეცარი თავდასხმებით, რის შემდეგაც მყისვე ქრებოდნენ. პარტიზანები კი თავს ესხმოდნენ მხოლოდ სრულიად არეულ-დარეულ ნაწილებს.

აი სურათი ნატურიდან, რომელიც დაგვიხატა შესანიშნავმა პარტიზანმა დენის დაკიდოვმა: "ბოლოს მოვიდა ძველი გვარდია, რომელშიაც

თვით ნაპოლეონი იყო... ჩვენ მოვახტით ცხენებს და კვლავ დიდ გზასთან გავჩნდით. მტერმა, დაინახა თუ არა ჩვენი ახმაურებული გროვა, თოფი ჩახმახზე შეაყენა და ამაყად განაგრძო გზა ისე, რომ ფეხიც კი არ აუჩქარებია. ბევრი ვეცადეთ თუნდაც ერთი მერიგე ჯარისკაცი მაინც მოგვეწყვიტა ამ მჭიდროდ შეკრული რაზმეულისაგან, მაგრამ ისინი, თითქოს გრანიტისაგან ყოფილიყვნენ გამოქანდაკებულნი, არაფრად აგდებდნენ მთელი ჩვენი ძალღონის დაძაბვას და უვნებელი რჩებოდნენ; მე არასოდეს არ დამაეიწყდება ამ ყოველგვარი სიკვდილის ცეცხლში ნაცად მებრძოლთა თავისუფალი ნაბიჯი და მრისხანე წარმოსადეგობა. ისინი, დათვის მაღალი ქუდებით დაფარულნი, ლურჯ მუნდირებში გამოწყობილნი, თეთრი ღვედებით, წითელი ჯილებითა და ეპოლეტებით, ყაყაჩოსფრად მოჩანდნენ თოვლით დაფარულ მინდორზე... ყველა ჩვენი აზიური იერიში ვერაფერს ვერ აკლებდა შემჭიდროებულ ევროპულ მწკრივს... რაზმეულები ერთმანეთს მისდევდნენ, ჩვენს იერიშებს თოფის სროლით იგერიებდნენ და დასცინოდნენ ჩვენს უნაყოფო ჯირითობას მათ გარშემო. ამ დღის განმავლობაში ჩვენ კიდევ ვიგდეთ ხელთ ერთი გენერალი, მრავალი აღალი და შვიდასამდე ტყვე. მაგრამ გვარდიამ ნაპოლეონითურთ ისე გაიარა ჩვენი კაზაკების გროვის შუა, როგორც ასზარბაზნიანმა გემმა მეთევზეთა ნავებს შორის".

რუსეთში ხალხის გააფთრება შემოჭრილი მტრის წინააღმდეგ თვიდან თვემდე იზრდებოდა. ჯერ კიდევ ომის დასაწყისში ყმა გლეხთა შორის აქა-იქ ხმა დადიოდა — ნაპოლეონი გლეხთა გასანთავისუფლებლად მოვიდაო. მაგრამ როდესაც თვე თვეს მისდევდა და ბატონყმური წესის არავითარ გაუქმებაზე სიტყვაც არ დაძრულა; რუსი ხალხისთვის სრულიად ნათელი გახდა ერთი რამ: რუსეთში მოვიდა სასტიკი და მტაცებელი მტერი, რომელიც ანადგურებს ქვეყანას და ძარცვავს მცხოვრებთ.

გრძნობამ ნაჯაჯგნი სამშობლოს შეურაცხყოფისა, წყურვილმა შურისძიებისა დანგრეული ქალაქებისა და გადაბუგულ სოფლებისათვის, განადგურებული და გაძარცული მოსკოვისათვის, თავდასხმის ყველა საშინელებისათვის, სურვილმა რუსეთის დაცვისა და თავზედი და სასტიკი დამპყრობის დასჯისა, - - ამ გრძნობებმა თანდათანობით მოიცვა მთელი ხალხი. გლეხები თავს იყრიდნენ პატარ-პატარა ჯგუფებად, იჭერდნენ ჩამორჩენილ ფრანგებს და შეუბრალებლად ხოცავდნენ.

ფრანგ ჯარისკაცებს, როდესაც მათ პური და თივა მიჰქონდათ, გლეხები ზოგჯერ გააფთრებულ შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევდნენ, ხოლო თუ ფრანგთა რაზმი მათთვის მეტად ძლიერი გამოდგებოდა, ისინი ტყეებში გარბოდნენ, გაქცევის წინ კი თვითონ წვავდნენ პურს და თივას.

რუსეთში გლეხები არსად არ ადგენდნენ მთელ დიდ რაზმებს, როგორც ეს ესპანეთში ხდებოდა, სადაც გლეხები, ესპანეთის არმიის დაუხმარებლად, თვითონ ერტყმოდნენ გარს ფრანგთა რეგიმენტებს და აიძულებდნენ მათ დანებებოდნენ. რუსეთში ხალხთა ბრძოლა დამპყრობლის წინააღმდეგ სხვა სახით წარმოებდა: გლეხები ყოველნაირ დახმარებას უწევდნენ ორგანიზებულ პარტიზანთა და კაზაკთა რაზმებს, მეგზურობას უწევდნენ მათ, სურსათ-სანოვაგეს აწვდიდნენ რუსის ჯარს, თვალყურს ადევნებდნენ ფრანგებს და საჭირო ცნობები მიჰქონდათ რუსის ჯართან.

მაგრამ რუსი ხალხი ყველაზე უფრო მეტად იჩენდა თავის მტკიცე სურვილს დაეცვა სამშობლო თავისი დაუცხრომელი მამაცობით გააფთრებულ ბრძოლებში სმოლენსკთან, კრასნოესთან, ბოროდინოსთან, მალოიაროსლავეცთან და უფრო მცირე ბრძოლებსა და შეტაკებებში. ფრანგები ხედავდნენ, რომ თუ რუსეთში მათ წინააღმდეგ არ წარმოებს სახალხო ბრძოლა, როგორც ესპანეთში, ეს, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ესპანეთის არმია საბოლოოდ გაანადგურა ნაპოლეონმა და იყო ისეთი ხანგრძლივი თვეები, როდესაც მხოლოდ მოხალისე გლეხებს შეეძლოთ ბრძოლა.

რუსეთში ერთი დღეც კი არ ყოფილა ისეთი, როდესაც სრულიად განადგურებული ყოფილიყოს რუსის არმია. ჩვენ დოკუმენტებიდან ვიცით, რომ ტამბოვის გუბერნიის გლეხებმა ახალწვეულთა საკრებულოში ცეკვა დაიწყეს სიხარულით, როდესაც ისინი ჯარში მიჰყავდათ 1812 წელს, მაშინ როდესაც ჩვეულებრივ დროს ჯარში გაწვევა ყველაზე უფრო მძიმე ბეგარად ითვლებოდა.

და ეს ადამიანები, რომლებიც სიხარულით ცეკვავდნენ, შემდგომ უაღრესად სისხლისმღვრელ ომებში გმირულად იბრძოდნენ და სწორედ ნამდვილ გმირებად კვდებოდნენ.

ბერეზინის შემდეგ საფრანგეთის არმია შემცირდა არა მარტო საშინელი ყინვების გამო, არამედ იმიტომაც, რომ პარტუნოს დივიზიამ, რომელსაც ნაპოლეონმა ჩიჩაგოვის თვალის ასახვევად უბრძანა ბორისოვში დარჩენილიყო, კუტუზოვის მთავარი ძალების თავდასხმა განიცადა და მისი ოთხი ათასი ჯარისკაციდან ორი დღის ბრძოლის შემდეგ უკვე ნახევარზე ცოტა მეტი დარჩა, რომელმაც კაპიტულაცია მოახდინა, რადგან მას ყოველი მხრიდან გარსშემოერტყნენ.

ისეთი ყინვა იყო, რომ ბერეზინიდან ვილნომდე, სადაც არმია 9 დეკემბერს მივიდა, დაჭრილებსა და ქანცგაწყვეტილობისაგან მიწაზე განართხულებს კი არ იყვანდნენ, არამედ იქვე ტოვებდნენ. ყოველ რეგიმენტში და ყოველ შესვენებისას რჩებოდა ათეულობით გაყინული და ათეულობით დაძინებული ჯარისკაცი, რომელთაც აღარ გამოუღვიძნიათ.

ვილნოში არმიის ნაშთები თითქოს უკვე გადარჩენილნი იყვნენ სრულ დაღუპვას. ისინი ქალაქს მიუახლოვდნენ ყოველად წარმოუდგენელ მდგომარეობაში, სიცივითა და დაღლილობით გაწამებულნი. ჯარის ზოგიერთ ნაწილს კიდევ შერჩა ბრძოლის უნარი: ვილნოს მახლობლად ნეიმ და მეზონმა ძლიერი საარტილერიო ცეცხლი გააჩაღეს მოწოლილი რუსების წინააღმდეგ, და დევნა რამდენიმე დღით შესუსტდა.

ვილნოში შესვლისთანავე არეულობა და თვით შეტაკებაც მოხდა სხვადასხვა ნაწილების ჯარისკაცებს შორის, რომლებიც თავშესაფარსა და საჭმელს ეძებდნენ და რომლებმაც დაუყოვნებლივ დაიწყეს საწყობებისა და მაღაზიების ძარცვა. 10-დან 12 დეკემბრამდე არმია კოვნოსაკენ მიდიოდა, მას მისდევდნენ კაზაკები, რომელთა მოგერიების საშუალებაც მას ჯერ კიდევ მოეპოვებოდა. კუტუზოვი მთავარი ძალებით ჯერ კიდევ რამდენიმე გადასასვლელზე იყო ვილნოსაგან. არმიის ნაშთები კოვნოში შეუჩერებლად გადავიდნენ გაყინულ ნემანზე. მოსკოვის საშინელი ლაშქრობა დამთავრდა. ოთხას ოცი ათასი კაციდან, რომელიც 1812 წლის ივლისში გადმოვიდა საზღვარზე, ახლა, იმავე წლის დეკემბერში, დარჩა პატარ-პატარა დაქსაქსული ჯგუფები, რომლებიც ცალ-ცალკე გადადიოდნენ უკან ნემანზე. შემდეგ ამათგან პრუსიასა და პოლონეთში მოხერხდა საერთოდ დაახლოებით ოცდაათი ათასი კაცისაგან შემდგარი რაზმის შექმნა (უმთავრესად იმ ნაწილებისაგან, რომლებიც მთელი ამ ნახევარი წლის განმავლობაში ფლანგებზე დარჩნენ და მოსკოვში არ ყოფილან). ზოგიერთი ან ტყვედ ჩავარდა ან დაიღუპა. მაგრამ ტყვეობაში, მეტად ოპტიმისტური გამოანგარიშებით, აღმოჩნდა არა უმეტეს ასი ათასი კაცისა. დანარჩენები დაიღუპნენ ბრძოლებში, ხოლო ყველაზე უფრო მეტი დაიღუპა სიცივისა, შიმშილისა, დაღლილობისა და ავადმყოფობისაგან უკან დახევის დროს.

ჯერ კიდევ ერთი კვირით ადრე რუსეთის საზღვრებიდან არმიის გასვლამდე, 1812 წლის 5 დეკემბერს, საღამოთი, დაბა სმირგონიდან ნაპოლეონი კოლენკურის, დიუროკის, ლობოსა და პოლონელი ოფიცრის ვონსოვიჩის თანხლებით წავიდა არმიიდან და სარდლობა მიურატს გადასცა.

გამგზავრების წინ ის მოელაპარაკა მარშლებს, რომლებმაც ჯერ მოკრძალებით სცადეს წინააღმდეგობა გაეწიათ, მაგრამ ნაპოლეონმა განუცხადა მათ, რომ ახლა მას აღარა აქვს არმიის ტყვედ ჩავარდნის შიში, რაც შეიძლება მომხდარიყო ბერეზინამდე, და რომ, მისი აზრით, მარშლები უიმისოდაც მიიყვანენ არმიას მოკავშირე პრუსიამდე, ე.ი. ნემანამდე. მისი პარიზში ყოფნა კი აუცილებელია, იმიტომ, რომ იქ უიმისოდ ვერაკინ ვერ შეძლებს ჯარში სასწრაფო გაწვევით ჩამოაყალიბოს ახალი, სამასათასია-

ნი არმია მაინც, რომლითაც საჭირო იქნება შესაძლებელი მტრების შეხვედრა გაზაფხულზე.

ნაპოლეონი სრულიად დამშვიდებული იყო, როდესაც ახსნა-განმარტებას აძლევდა მარშლებს, რომ იგი არმიას სტოვებდა არა სიმხდალით, რომ მისი სიცოცხლე ამჟამად საფრთხეში აღარ იყო და ის კი წარბშეუხრელად მრავალჯერ შეხვედრია მათიევ თანდასწრებით რეალურ და პირდაპირ საფრთხეს ეს მათ კარგად იცოდნენ. ის არ ღელავდა, როდესაც ლაპარაკობდა მათთან ამ საშინელ, მის მიერ დაწყებულ და წაგებულ ომზე და დაღუპულ დიდ არმიაზე. რა თქმა უნდა, სამწუხაროა. მაგრამ ეს ხომ უბედურება უფროა, ვიდრე შეცდომა: ჰავამ მეტად დაგვაღალატა და სხვა. მაგრამ მან თავისუფლად აღიარა აქვე, რომ ადგილი ჰქონდა შეცდომებს მისი მხრითაც: მაგალითად, ხანგრძლივი ყოფნა მოსკოვში, საერთოდ კი შეშფოთებისა თუ სულიერი მოშლილობის ნიშანწყალიც არ ემჩნეოდა ნაპოლეონს ამ საუბრის დროს. იგი კატეგორიულად მოითხოვდა მარშლებისაგან დროებით საიდუმლოდ შეენახათ მისი გამგზავრების ფაქტი. მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო იმას, რომ ჯარისკაცები სულიერად არ დაცემულიყვნენ იმ რამდენიმე დღის განმავლობაში, რომელიც კიდევ დარჩენოდათ მათ, სანამ ნემანს მიაღწევდნენ, არამედ კიდევ უფრო მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ნაპოლეონს გაეცლო გერმანია უფრო ადრე, ვიდრე იქ გაიგებდნენ სიმართლეს დიდი არმიის დაღუპვისა და იმის შესახებ, რომ იმპერატორი მცველთა უხლებლად მიემგზავრებოდა.

მარშლებს ეჭვი არ შესდიოდათ ერთ რამეში: რომ იმპერატორი მიდის, რათა შექმნას ახალი არმია და აუცილებლად შექმნის მას, რომ იგი ამას ძლიერ მალე გააკეთებს და რომ კიდევ ბევრჯერ წაიყვანს მათაც და ამ მომავალ არმიასაც ბრძოლაში.

მის გასაცილებლად გამოსვლის დროს მარშლები თვალყურს ადევნებდნენ, თუ როგორ ჯდებოდა იგი კოლენკურთან ერთად მარხილში. ის ისევე დამშვიდებული იყო, როგორც ოთხი თვის შემდეგ, როდესაც უკვე საფრანგეთიდან მიდიოდა, ახალი კოპუსების სათავეში ჩამდგარი, აჯანყებული ევროპის დასამშვიდებლად. იმ მარშალთა შორის, რომლებიც მას აცილებდნენ, იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ნამყოფი იყვნენ ნაპოლეონის ყველა უამრავ ბრძოლაში, იტალიის პირველი დაპყრობიდან რუსეთის ლაშქრობის დასასრულამდე, და ისინი ფიქრობდნენ, რომ მათ ბოროდინოზე უფრო საშინელი ჯერ მაინც არაფერი უნახავთ.

განმარტოებულ მარხილს, მსწრაფულ თვალთაგან მიფარებულს ამ დეკემბრის საღამოს ნისლში, მიჰყავდა ადამიანი, რომელსაც მტკიცედ ჰქონ-

ა გადაწყვეტილი შეუპოვარი ბრძოლის მიუცემლად არ დაეთმო თავისი ატონობა ევროპაზე

ვასალური ევროპის აჯანყება ნაპოლეონის წინააღმდეგ და "ხალხთა ბრძოლა" დიდი იმპერიის რღვევის დასაწყისი

(1813)

თორმეტი დღე-ღამის განმავლობაში, ჯერ მარხილით და შემდეგ ეტლით, ნაპოლეონმა გაიქროლა პოლონეთში, გერმანიაში, საფრანგეთში და 1812 წლის 18 დეკემბერს დილით გამოცხადდა ტიუილრის სასახლეში. მგზავრობაში იგი სრულ ინკოგნიტოს იცავდა, რადგან კარგად ჰქონდა გათვალისწინებული ამ კრიტიკული დღეების საშიშროება: გერმანელების მისდამი განწყობილებაში ის არ ტყუვდებოდა.

კოლენკური, რომელიც თან ახლდა მას ამ მოგზაურობის დროს, მოგვითხრობს ნაპოლეონის სრული სიმშვიდის, მხნეობის, ენერგიისა და შემდგომი ბრძოლებისათვის მზადყოფნის შესახებ.

იმპერატორს მასთან, სხვათაშორის, საუბარი ჰქონდა ახლად დამთავრებულ 1812 წლის ომის შესახებაც. "მე შევცდი, მაგრამ არა ამ ომის მიზნებსა და მის პოლიტიკურ მართებულებაში, არამედ ომის წარმოების ხერხებში. უნდა შევჩერებულიყავი ვიტებსკში და ახლა ალექსანდრე ჩემს ფერხთით იქნებოდა". მაგრამ კოლენკურთან მისი საუბრის კილო ისეთი იყო, როგორიც შეიძლება ჰქონდეს, მაგალითად, ჭადრაკის გროსმეისტერს, რომელმაც ესეცაა წააგო პარტია და ახალის დაწყებამდე, რომლის მოგებასაც ცდილობს, ანალიზს უკეთებს თავის შეცდომებს. ამ საუბარში არ ჩანს არათუ თუნდაც ოდნავი შეგნება იმ საშინელებისა, რაც მოხდა, ან უდიდესი პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა, არამედ აქ არ არის ცუდი სულიერი განწყობილების კვალიც, რაც ასე ხშირად ემჩნეოდა მას 1810-1811 წლებში, როდესაც ის თავის ძლიერებისა და დიდების მწვერვალზე იდგა.

ომი ნაპოლეონის ნამდვილი სტიქიონი იყო და ყოველთვის, როცა იგი ომისათვის ემზადებოდა ან აწარმოებდა მას, იგი ცოცხლობდა მთელი არსებით და სუნთქავდა სავსე მკერდით.

იმ წუთიდან, რაც კოლენკურთან ერთად ჩაჯდა მარხილში, მთელი მისი ფიქრი მომავალი ომის, მისი დიპლომატიური და ტექნიკური მომზადების გარშემო ტრიალებდა.

მარტო რუსეთთან მოგვიხდება ომის წარმოება? აჯანყდება თუ არა ევროპა, რომელი ქვეყანა დაიწყებს აჯანყებას, შეიძლება თუ არა (და რა გზით) ამის თავიდან აცილება? რამდენი თვე დასჭირდება ახალი არმიის შექმნას?

გზად იგი ვარშავაში შეჩერდა და აქ გამოიხმო თავისი ელჩი საქსონიის მეფესთან, არქიეპისკოპოსი პრადტი. მან პრადტიც განაცვიფრა თავისი სიმშვიდით. სწორედ მას უთხრა იმპერატორმა შეხვედრისას თავისი ცნობილი სიტყვები: "დიადიდან სასაცილომდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია". მაგრამ იქვე დასძინა, რომ მალე იგი სამასათასიანი არმიით დაბრუნდება ვისლაზე და "ძვირად დაუჯდებათ რუსებს ის წარმატება, რასაც ისინი არა თავის თავს, არამედ ბუნებას უნდა უმადლოდნენ". ვის არ მოსვლია მარცხი? "მართალია, ამის მსგავსი არავის განუცდია, მაგრამ იგი ხომ ჩემი ბედნიერების პროპორციული უნდა იყოს. თუმცა არაუშავს, მალე ყოველივე გამოსწორდება".

ჩავიდა თუ არა პარიზში, როგორც ვთქვით, 18 დეკემბერს, ნაპოლეონმა სწრაფად შეამჩნია მოსახლეობის დიდი სასოწარკვეთა. ასეულ ათას ოჯახებში გლოვა განსაკუთრებით ამძიმებდა ისედაც ნაღვლიან საზოგადოებრივ განწყობილებას.

უახლოეს დღეებში ნაპოლეონმა მიიღო თავისი მინისტრები, სახელმწიფო საბჭო და სენატი. მან ზიზღით გაიხსენა და მკაცრად შეაფასა ხელისუფლების დაბნეულობა გენერალ მალეს ოქტომბრის ისტორიის დროს და პასუხიც მოსთხოვა მათ. მაგრამ რუსეთზე გალაშქრების შესახებ ლაპარაკობდა გაკვრით, რადგან დაწვრილებით განმარტების ღირსად არ სთვლიდა მათ.

წარჩინებულნი და სასახლის კარისკაცნი კვლავინდებური პირფერობითა და მლიქვნელობით შეხვდნენ მას. სენატის პრეზიდენტმა გადამლაშებული უქვეშევრდომილესი ერთგულებით სთხოვა წლინახევრის მემკვიდრეზე შეესრულებინათ მეფის კურთხევის წესი, "როგორც გამგებლობის უწყვეტობის სიმბოლო". ამ დროს სენატმა მთელი შემადგენლობით უმდაბლესი თაყვანი სცა ტახტზე მჯდომ იმპერატორს.

ნაპოლეონი თავის საპასუხო სიტყვაში შეეხო რუსეთთან ომის საკითხს და აშკარა შეიქნა, რომ იგი კვლავ ილუზიებით იკვებებოდა, რომელთაგანაც თითქოს სავსებით განთავისუფლდა, როდესაც მორტიეს კრემლის

აფეთქება უბრძანა — ილუზიით, თითქოს ახლაც კი შესაძლებელი იყო ალექსანდრესთან ზავის დადება პარტიის ყაიმით დამთავრებით.

"ომი, რომელსაც მე ვაწარმოებ, პოლიტიკური ომია. მე იგი მტრობით არ დამიწყია, მინდოდა გადამერჩინა რუსეთი იმ უბედურებისაგან, რომელიც თვითონ დაატეხა თავის თავს. მე შემეძლო მის წინააღმდეგ ამემხედრებინა მისივე მოსახლეობის ნაწილი, თუ გამოვაცხადებდი გლეხთა განთავისუფლებას... ბევრი სოფელი მთხოვდა ამას, მაგრამ უარვყავი ეს საშუალება, ვინაიდან მრავალი ათასი ოჯახი შეეძლო ემსხვერპლა მას".

ამ სიტყვებს, რომ ეუბნებოდა თავის სენატორებს, ნაპოლეონი არსებითად მიმართავდა რუსეთის მემამულეებს და მათ შორის პირველ მემამულეს — მეფეს. ორი მთავარი ამოცანა მიაჩნდა ნაპოლეონს პირველხარისხოვნად: უპირველეს ყოვლისა არმიის შექმნა და შემდეგ ავსტრიის თუ დახმარება არა, ყოველ შემთხვევაში ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფა. აგრეთვე, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა — პრუსიის ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფაც.

პირველი ამოცანა სწრაფად იქნა გადაჭრილი. ჯერ კიდევ რუსეთში ყოფნისას ნაპოლეონმა განკარგულება გასცა 1813 წელს გასაწვევთა ვადაზე ადრე გაწვევის შესახებ და ახლა, 1813 წლის გაზაფხულზე, წვევამდელების მომზადება თითქმის უკვე დამთავრებული იყო. ახალწვეულები შეადგენდნენ ას ორმოც ათას კაცს. ნაპოლეონმა ჯერ კიდევ 1812 წელს ბრძანა "ეროვნული გვარდიის კოპორტების" შექმნა და ახლა ყველა ისინი ჩარიცხა არმიაში (თითქოს მათი სურვილის თანახმად, თუმცა ამ გვარდიას მხოლოდ შინაგანი წესრიგის დაცვა ევალებოდა იმპერიის ფარგლებში). ამან კიდევ ასი ათასი კაცი-მისცა. 1812 წლის ივნისში ნაპოლეონმა ორას ოცდათხუთმეტი ათასი ჯარისკაცი დატოვა საფრანგეთსა და ვასალურ გვრმანიაში. ახლა შესაძლებელი იყო მათი გამოყენებაც. აგრეთვე ოცდაათ ათასამდე კაცი მაინც გადარჩა რუსეთთან ომში, ვინაიდან ჩრდილოეთის (რიგა-პეტერბურგის) და სამხრეთის (გროდნოს) მიმართულებით ნაპოლეონის მიერ დატოვებული კორპუსები გაცილებით ნაკლებად დაზარალდნენ, ვიდრე ის ნაწილები, რომლებიც მონაწილეობდნე ბოროდინოს ომში და შემდეგ ორი თვის განმავლობაში უკან იხევდნენ მოსკოვიდან ნემანამდე.

ყოველივე ეს აიმედებდა იმპერატორს, რომ 1813 წლის გაზაფხულისათვის მას ეყოლებოდა არა სამასი, არამედ ოთხას-ოთხას ორმოცდაათი ათასი კაცისაგან შემდგარი არმია. ის ითვალისწინებდა, რომ ასეთი ანგარიში შეიძლება გაზვიადებული ყოფილიყო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში

მას უეჭველად მიაჩნდა, რომ სულ ახლო ხანში მის განკარგულებაში იქნებოდა ძალიან დიდი არმია. საბრძოლო საჭურველი, არტილერია, სასანგრო მასალები და მთელი მატერიალური ნაწილი — ყოველივე ეს, ცხადია, ძალ-ღონის დაჭიმვით უნდა ყოფილიყო აღდგენილი, შევსებული და მომზადებული. ნაპოლეონი დღედაღამ განუწყვეტლივ მუშაობდა ჯარის შეიარაღებისა და გაწვრთნის საკითხებზე.

თუ ალექსანდრე I უგულებელყოფდა ახლა, 1813 წლის გაზაფხულზე, ნაპოლეონის მიერ სენატში წარმოთქმულ სამშვიდობო სიტყვებს, როგორც უგულებელყო 1812 წლის შემოდგომაზე ტუტოლმინის, იაკოვლევისა და ლორისტონის საშუალებით გაგზავნილი წერილები, ამჟამად ნაპოლეონი სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ის დაუხვდებოდა რუსებს ვისლაზე და უთუოდ დაამარცხებდა მათ. მან კარგად იცოდა, რომ 1812 წლის ზამთარი არც კუტუზოვს დაუჯდა იაფად, თუმცა კარგად არ იცოდა მაშინ, რომ კუტუზოვმა ორი თვის დევნის განმავლობაში ტარუტინოდან ნემანამდე დაკარგა თავისი ასიათასიანი არმიის ორი მესამედი და არტილერიის ორ მესამედზე მეტი.

ნაპოლეონის აზრით, რუსეთის გზებისა და რუსეთში არსებული წესების პირობებში კუტუზოვს არ ძალუძდა სწრაფად შეევსო არმიის დანაკლისი ბრძოლისუნარიანი ადამიანებით და აღედგინა არტილერიაც. რათა არ განმეორებულიყო თავდასხმის შეცდომა, მას შეეძლო თავისუფლად დალოდებოდა რუსებს ვისლასა და ნემანის ნაპირებზე და აქ დაემარცხებინა ისინი.

მაგრამ აქ თავისთავად წამოიჭრა მეორე საშიში პრობლემა: რუსები მარტო იქნებიან? ჯერ კიდევ 1812 წლის დეკემბერში პრუსიის გენერალი იორკი, რომელიც ირიცხებოდა მარშალ მაკდონალდის ხელქვეით (ვინაიდან პრუსია ნაპოლეონის მოკავშირე იყო), მოულოდნელად გადაეიდა რუსეთის მხარეზე. მართალია, შეშინებულმა მეფემ ფრიდრიხ-ვილჰელმა მაშინვე უარყო და გაემიჯნა იორკს, მაგრამ ნაპოლეონმა იცოდა მეფის მდგომარეობა: რუსებს შეეძლოთ მისი დამხობა, თუ არ მიემხრობოდა მათ, ისევე, როგორც ეს შეეძლოთ მისივე ქვეშევრდომებს. ნაპოლეონს ესმოდა ისიც, რომ მის მიერ ჩაწიხლული პრუსია შეეცდებოდა განთავისუფლებულიყო მისი ბატონობისაგან, თუ რუსეთის ჯარი შეიჭრებოდა ამ ქვეყანაში.

კუტუზოვი ომის გაგრძელების წინააღმდეგი იყო, და არა მარტო იმიტომ, რომ არ ხედავდა არაკითარ აზრს იმაში, რომ საკუთარი ხისლლით გაეთავისუფლებინათ პრუსია და გერმანიის ქვეყნები, არამედ იმ უბრალო და თვალსაჩინო მიზეზის გამო, რომ ითვალისწინებდა ყველა იმ უსაშინ-

ლეს სიძნელეს, რასაც გამოიწვევდა ახალი ომი ნაპოლეონთან რუსეთის მცირერიცხოვანი და დასუსტებული ჯარით.

მაგრამ ალექსანდრე სრულიად ვერ ურიგდებოდა ამ აზრს. ის ემყარებოდა იმ მოსაზრებას, რომ ნაპოლეონისათვის შესვენების საშუალების მიცემა ნიშნავდა მთელი ევროპის ძველებურად მის ხელში დატოვებას და ნემანზე თავდასხმის მუდმივ საშიშროებას.

და თუ პრუსიის ფარგლებში უკვე შეჭრილი რუსეთის არმია დამხმარე ძალებს მიიღებს, მაშინ, ცხადია, პრუსიის მეფე იძულებული იქნება იარაღი აღმართოს საფრანგეთის იმპერატორის წინააღმდეგ.

ნაპოლეონს უკვე აღარ მოსწონდა ავსტრიის საქციელი. მისმა სიმამრმა, იმპერატორმა ფრანცმა, და მეტერნიხმა, ავსტრიის პოლიტიკის მთავარმა ხელმძღვანელმა, დადეს "დროებითი ზავი" რუსეთთან, რომელთანაც ავსტრია 1812 წლიდან ომში იმყოფებოდა (როგორც ნაპოლეონის "მოკავშირე"), და აშკარა იყო, რომ, მიუხედავად ნათესაობისა, ავსტრიის იმპერატორს თავისი სიძის, ნაპოლეონის, ახალი მდგომარეობა მიაჩნდა როგორც ბედის მოულოდნელი გაღიმება და საწინდარი საშინელი უღლისაგან განთავისუფლებისა, რომელშიაც იმყოფებოდა ავსტრია ვაგრამის ბრძოლისა და შენბრუნის ზავის შემდეგ.

ამ მძიმე დროს საფრანგეთის იმპერატორს მოაგონდა, რომ 1809 წელს, როდესაც რომი დაიკავა, მან დააპატიმრა რომის პაპი და იგი საკონაში გადაიყვანა, ხოლო 1812 წელს, მოსკოვში გამგზავრებისას, ბრძანა მისი ფონტენებლოში გადაყვანა. იგულისხმებოდა, რომ მცველები — ეს საპატიო ყარაულია, ხოლო იმპერატორის სასახლე ფონტენებლოში პატიმრობა კი არ არის, არამედ სტუმრობა მის უდიდებულესობასთან. პაპი განუწყვეტლივ აცხადებდა პროტესტს როგორც ქალაქ რომის წართმევის გამო (რომელიც ნაპოლეონმა აჩუქა თავის ახალშობილ შვილს, "რომის მეფეს"), ისე ტყეობის წინააღმდეგ.

მოულოდნელად ნაპოლეონი ესტუმრა თავის ტყეს; ეს მოხდა 1813 წლის 19 იანვარს. საჭირო იყო როგორმე თუნდაც კათოლიკეებთან შერიგება: 1809 წლიდან ისინი ჩუმ-ჩუმად უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმპერატორზე; მაგრამ ნაპოლეონისა და პაპის ამ ურთიერთ თავაზიან შეხვედრას არავითარი რეალური შედეგი არ მოჰყოლია. ნაპოლეონმა აიძულა პიუს VII ხელი მოწერა ახალ შეთანხმებაზე, მაგრამ რომი კი არ მისცა. ნაპოლეონს დათმობები არ ეხერხებოდა. მას არც უყვარდა დათმობა და არც იცოდა როგორ უნდა დაეთმო. პაპთან ეს უმაქნისო პირფერული გათამაშება იმით დამთავრდა, რომ ნაპოლეონმა გაიგო — პაპს კარდინა-

ლი დი-პიეტრო მის ხაწინააღმდეგო რჩევას აძლევდა, დააპატიმრა დი-პიეტრო და გააძევა ფონტენებლოდან.

ნაპოლეონმა ასე დაახასიათა პაპთან შერიგების ეს უშედეგო ცდა: "დროებით დავანებოთ თავი რომს... ეს ნომერი ურნაში ძევს და იქიდან ამოვა მხოლოდ ელბაზე ან ვისლაზე ჩემი დიდი გამარჯვების შემდეგ". საქმე ხწორედ იმაშია, როგორც ქვემოთ დავინახავთ, რომ ნაპოლეონი დიდი გამარჯვების იმედით 1813 წლის განმავლობაში და შემდეგაც ფუშავდა ყოველგვარ სამშვიდობო მოლაპარაკებას მტრებთან. მაინც დიდხანს წყალობდა მას ბედი. თუ გავითვალისწინებთ ნაპოლეონის ცხოვრებას და ყველა იმ უმაგალითო საქმეს, რომელიც მან გააკეთა, დაწყებული ტულონის აღებიდან 1793 წ. და დამთავრებული იმ მსოფლიო სახელმწიფოს შექმნით, რომლის არმია მან 1812 წელს ნემანზე გადაიყვანა, — 1812 წლის ომი მხოლოდ ერთადერთ შავ ლაქად დარჩება მის უდიდეს წარმატებათა ფონზე.

პრუსია მზად იყო ჩამოსცილებოდა. მეფე სთხოვდა ნაპოლეონს თუნდაც ზოგიერთი ადგილიდან გაეყვანა ფრანგების ჯარი. სთხოვდა აგრეთვე ოთხმოცდათოთხმეტ მილიონ ფრანკს, რაც საფრანგეთის ხაზინას უნდა გადაეხადა ფრანგების ჯარის შენახვისათვის, მაგრამ უარი მიიღო. ინგლისი ვერ ურიგდებოდა საფრანგეთის მიერ ესპანეთის დაპყრობას, ხოლო ნაპოლეონმა 1813 წლის 14 თებერვალს, როდესაც ხაკანონდებლო კორპუსი გახსნა, პირდაპირ განაცხადა - საფრანგეთის დინასტია მეფობს და იმეფებს ესპანეთშიო. მეტერნიხმა მოისურვა გაეგო (მარტში) ის პირობები, რომლებზედაც ნაპოლეონი თანახმა იქნებოდა საერთაშორისო ზავი დაედო, მაგრამ გარკვეული პასუხი ვერ მიიღო. სწორედ ისევე მოიქცა, როგორც პაპთან: დიდი გამარჯვება ვისლაზე ან ნემანზე გადაწყვეტს ყველაფერს. 14 თებერვლის სიტყვაში ნაპოლეონი პირობას იძლეოდა, რომ იმპერიის მთელი ტერიტორია ხელუხლებელი დარჩებოდა, რომ ვარშავის საპერცოგო ძველებური სახით იარსებებდა.

ავსტრიის წარმომადგენლები ლონდონშიც იყვნენ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრთან, იყვნენ კალიშშიც --- მეფე ალექსანდრესთან. აქაც და იქაც ერთნაირად უპასუხეს: თუ ნაპოლეონი არავითარ დათმობაზე არ მიდის, მაშინ საკითხი დაე ომმა გადაჭრასო. დაბოლოს პრუსიის მეფე ფორმალურად მიემხრო ალექსანდრეს და კავშირი შეკრა მასთან. ამის საპასუხოდ ნაპოლეონმა კიდევ შეკრიბა ახალი ლაშქარი. საქსონია, ბავარია, ვიურტემბერგი და ბადენი ჯერ კიდევ მორჩილებდნენ მას.

1813 წლის 15 აპრილს ნაპოლეონი გაემგზავრა თაკის ჯართან ერფურტში და დაიძრა რუსებისა და პრუსიელების წინააღმდეგ. არმია ძალიან

კარგად იყო მომარაგებული. 1813 წლის პირველ თვეებში ნაპოლეონი განუწყვეტლივ მუშაობდა ჯარის შექმნასა და მოწყობაზე. ზოგჯერ ღამეებსაც ათენებდა ფინანსების მოწესრიგებაზე; ახლა ჯარს არაფერი აკლდა და შეეძლო ყველაფერი ნაღდზე შეეძინა: მთავარი იყო არა დაერბიათ და არ გაეღიზიანებინათ გერმანული ქვეყნების მცხოვრებნი, რომლებიც ჯერ კიდევ "მოკავშირეები", ე.ი. მორჩილები იყვნენ.

ორასათასიანი არმია მას უკვე საესებით მზად ჰყავდა და ამდენივეც მარქაფად იყო ან კიდევ იკრიბებოდა. სწორედ კამპანიის დაწყების წინ მოკვდა კუტუზოვი და ომის დაწყებისას არც რუსებს და არც პრუსიელებს მთავარსარდალი არ ჰყავდათ.

პირველი ნაბიჯებიდანვე დაიწყო ნაპოლეონის წარმატება. რუსები განდევნილ იქნენ ვეისენფელსიდან. შემდეგ 1 და 2 მაისს ბრძოლები გაიმართა ვეისენფელსსა და ლიუტცენთან. ნაპოლეონს ხვდა სრული გამარჯვება. ვეისენფელსთან ბრძოლის დროს მოკლეს იმპერატორის ამალაში მყოფი მარშალი ბესიერი, რომელიც იმპერატორთან ერთად ძველი გვარდიის მწკრივების რამდენიმედ წინ იდგა. იგი განგმირა მკერდში მოხვედრილმა ყუმბარამ. "სიკვდილი გვიახლოვდება" თქვა ნაპოლეონმა, როდესაც უცქერდა მოკლულ მარშალს, რომელიც ლაბადაში გაახვიეს ბრძოლის ველიდან გასატანად.

ლიუტცენთან ბრძოლა მეტად შეუპოვარი და სისხლისმღვრელი იყო. ნაპოლეონი დაქროდა ჯარის ერთი ფრთიდან მეორესაკენ და ბრძოლის ყველა ოპერაციას ხელმძღვანელობდა. ალექსანდრე და ფრიდრიხ-ვილჰელმი ბრძოლის ველის ახლოს იყვნენ, მაგრამ ბრძოლაში არ იღებდნენ მონაწილეობას. რუსები და პრუსიელები უკუგდებულ იქნენ ბრძოლის ველიდან. მოკავშირეებმა დაკარგეს ოცი ათასამდე კაცი, მაგრამ არც ფრანგებს დაუკარგავთ ბევრით ნაკლები. რამდენიმე დღის შემდეგ ნაპოლეონი უკვე დრეზდენში იყო.

ლიუტცენთან ნაპოლეონის გამარჯვების შემდეგ მეტერნიხმა იკისრა ზავის ჩამოგდება ნაპოლეონსა და მოკავშირეთა შორის და ამასთანავე ავსტრიასა და ნაპოლეონს შორის კავშირის უზრუნველყოფა. ნაპოლეონმა უარი განაცხადა, მან გადაწყვიტა ბოლომდე ეომა და არაფერი დაეთმო.

ჰამბურგში აღმოჩენილ იქნა მოძრაობა ნაპოლეონის წინააღმდეგ. იმპერატორმა იქ გაგზავნა დავუ ჰანზის ქალაქების დასასჯელად პილიციისა და საფრანგეთის საბაჟოს მოხელეებისათვის წინააღმდეგობის გაწევის გამო, ეს მოხელეები ახშობდნენ ვაჭრობას ბლოკადის მეტისმეტად სასტიკი შესრულებით, ნაპოლეონმა უბრძანა მარშალ დავუს დაეხვრიტა ჰამ-

ბურგის სენატი, ანტიფრანგული მოძრაობის ხელმძღვანელები და ზოგიერთი ოფიცერი, დაეპატიმრებინა 500 უმდიდრესი მოქალაქე, რომელნიც თავის არაკეთილსაიმედობით იყვნენ ცნობილი და ჩამოერთმიათ მათთვის ქონება.

ამ განკარგულებათა გაცემის შემდეგ ნაპოლეონი თავისი გვარდიით გავიდა დრეზდენიდან და შეუერთდა აღმოსავლეთით ბაუცენისაკენ (შპრეეზე) მიმავალ ჯარს. ბაუცენთან ბრძოლა დაიწყო 20 მაისს და დამთავრდა 21-ს საღამოს. ნეი ნაპოლეონმა გაგზავნა ჩრდილოეთით მოწინააღმდეგის მარჯვენა ფრთის შემოსავლელად, მაგრამ ნეიმ ყურადღება არ მიაქცია თავისი შტაბის უფროსის ჟომინის რჩევას და თავის დროზე არ მივიდა ბრძოლის ველზე. მოკავშირეებმა უკან დაიხიეს წესრიგით. ბრძოლა თითქმის ისეთივე სისხლისმღვრელი იყო, როგორც ლიუტცენთან. ორივე მხარემ დაკარგა დაახლოებით ოცდაათი ათასი კაცი მოკლულებისა და დაჭრილების სახით. გამარჯვება ისევ ნაპოლეონს დარჩა; მან განიზრახა დასდევნებოდა უკუქცეულ რუსებსა და პრუსიელებს და პირდაპირ ბერლინისკენ წასულიყო. მოკავშირენი ბრძოლით იხევდნენ უკან და იგერიებდნენ მოწინააღმდეგის იერიშს. 22 მაისს ნაპოლეონი გერლიცთან თავს დაესხა მოკავშირეთა არიერგარდს და უკუაგდო ის. ბრძოლა უკვე თავდებოდა. მტერმა უკან დაიხია. დიუროკი საღამოს მივიდა ნაპოლეონთან, მოელაპარაკა მას, შემდეგ მოშორდა და დაღრეჩმით მიმართა კოლენკურს: "ჩემო მეგობარო, აკვირდებით თუ არა იმპერატორს? აი ის ახლა კვლავ იმარჯვებს ამდენი მარცხის შემდეგ. ეს კარგი შემთხვევა იქნებოდა გვესარგებლა მარცხის გაკეთილით. მაგრამ თქვენ ხედავთ, რომ ის არ გამოცელილა. ის გაუმაძღრად ეძებს ბრძოლებს. ყოველივე ეს კეთილად არ დასრულდება".

ეს მარშლის სიცოცხლის უკანასკნელი წუთები იყო. ყუმბარა მოხვდა ხეს, რომელთანაც ნაპოლეონი იდგა, და რეკოშეტით დაჭრა დიუროკი. მან კიდევ მოასწრო ეთქვა იმპერატორისთვის, რომ უსურვებს მას გამარჯვებას და ზავის დადებას. "მშვიდობით" - უპასუხა ნაპოლეონმა - "შეიძლება ჩვენ მალე შეეხვდეთ ერთმანეთს".

დიუროკი ერთი იმ მცირეთაგანი იყო, რომელიც ნაპოლეონს ძალიან უყვარდა და ენდობოდა, მისმა სიკვდილმა დიდად დააღონა იმპერატორი. ნაპოლეონი უნებლიედ ჩამოჯდა ხის კუნძზე; პრუსიის არიერგარდის ტყვიები სეტყვასავით ცვიოდა გარშემო, მაგრამ ის იმდენად ღრმად იყო ჩაფიქრებული, რომ კიდევ დიდხან არ ამდგარა. მთელი 1813 წლის საომარი კამპანიის განმავლობაში ის ძალიან ხშირად საფრთხეში იგდებდა თავს.

ია მას წინათ არასოდეს არ ემართებოდა და რაც ეწინააღმდეგებოდა მის ნებელულებებს მთავარსარდლის ადგილის შესახებ ბრძოლის ველზე. იმპერატორის ამალას შთაბეჭდილებაც კი შეექმნა, რომ 1813 წელს ის განარახ ეძებდა სიკვდილს, მაგრამ არ ამხელდა ამას. უკუქცეული, მაგრამ ენერგიულად მებრძოლი რუსებისა და პრუსიელების დევნის დროს ნაპოლეონი მუდამ მოწინავე რიგებში იყო, ახალწვეულ ჯარისკაცთა შორის, და ყველაზე სახიფათო ადგილას.

ბაუცესთან ბრძოლისა და უკუქცეულ მოკავშირეთა რამდენიმე დღის განმავლობაში დევნის შემდეგ ორივე მებრძოლმა მხარემ მეტერნიხის შუამავლობით მიიღო ავსტრიის შუამდგომლობის წინადადება და დროებითი ზავი ჩამოაგდეს. 4 ივნისს პლეისვიცში ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას.

მართალია, დროებით ზავს ხელი მოაწერეს, მაგრამ არც მოკავშირეებს და არც ნაპოლეონს არ სურდათ, რომ ეს გადაქცეულიყო ნამდვილ ზავად, თუმცა ორივე მხარე დაეთანხმა მეტერნიხს გაეგზავნათ თავიანთი წარმომადგენლები პრაღაში მოსალაპარაკებლად. მოკავშირეებმა იცოდნენ, რომ ნაპოლეონი, რომელმაც ლუტცენთან და ბაუცენთან გამართულ ბრძოლებამდე არავითარ დათმობაზე არ მიდიოდა, მით უმეტეს არაფერს არ დათმობდა ორი გამარჯვების შემდეგ. ალექსანდრე დათანხმდა შერიგებაზე, ვინაიდან ბარკლაი დე-ტოლი პირდაპირ აცხადებდა — ამდენი დამარცხების შემდეგ არმიამ უნდა შეისვენოს, მოაწესრიგოს თავისი საქმეები და დამატებითი ძალებით შეივსოსო. ნაპოლეონიც დათანხმდა დროებით ზავზე, რათა გაეძლიერებინა თავისი ჯარი და საბოლოოდ გაენადგურებინა მოკავშირეები. ამ დროებით ზავზე ხელის მოწერით მან საბედისწერო შეცდომა დაუშვა, ვინაიდან იგი სასარგებლო აღმოჩნდა მისი მტრებისათვის და არა ნაპოლეონისათვის. ეს იყო სწორედ ერთ-ერთი მიზეზი, რომ ავსტრიამ ხელი აიღო შემრიგებლის როლზე და მიემხრო მოკავშირეებს.

"ყველაფერი ან არაფერი" — ამ ლოზუნგით დაიწყო ნაპოლეონმა 1813 წლის დიდი ბრძოლა და ამავე ლოზუნგით განაგრძობდა მას, წმინდა ელენეს კუნძულზედაც კი, როცა მას უკვე ყველაფერი წაგებული ჰქონდა, თვით პირადი თავისუფლებაც, იმპერატორს არც ერთხელ არ გამოუთქვამს სინანული შეცდომის გამო, ვინაიდან იმისათვის ასეთი საქციელი სრულიად არ იყო შეცდომა. "მე რომ მე არა, არამედ ჩემი შვილიშვილი ვყოფილიყავი, — ირონიით შენიშნავდა ის. — შემეძლო დამარცხებული დავბრუნებულიყავი და დანკლისთა შემდეგაც განმეგრძო მეფობა".

მოსკოვზე გალაშქრების საშინელებათა შემდეგ ნაპოლეონს სრული მორჩილებით შეხვდნენ პარიზში. ასეთი შეხვედრა ეჭნებოდა მას, თუ 1813 წლის ბრწყინვალე საგაზაფხულო კამპანიის შემდეგ დაბრუნებულიყო და შეენარჩუნებინა თავისი ვეებერთელა სამფლობელო გარდა შორეული ბალკანეთის ილირიისა, რომელიც არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა, და შეეწირა მხოლოდ ვარშავის საპერცოგო და რაინის კავშირი, რომლებიც სრულიად არ შედიოდნენ მისი იმპერიის შედგენილობაში: მათ ის შართავდა არა პირადად, არამედ თავისი ვასალების საშუალებით. მაგრამ მან იცოდა, რომ დათმობა, მსოფლიო იმპერიის შექმნაზე უარის თქმა ინგლისის პოლიტიკური და ეკონომიური გამარჯვების მომასწავებელი იქნებოდა. მისი ამოცანა შეუსრულებელი დარჩებოდა: საფრანგეთის ვაჭრობა და მრეწველობა მომავალშიაც უძლური იქნებოდა ინგლისის ვაჭრობა-მრეწველობის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1811 წლის კრიზისი და აგრეთვე უმუშევრობაც მუდმივ მოვლენად გადაიქცეოდა. "მშიერი კუჭის რევოლუცია", რომელსაც ტყვიის არ ეშინია, მაგრად გაიდგამდა ფესვს მუშათა ცენტრებში, პარიზსა და პროვინციაში, ხოლო ბურჟუაზიისთვის კი ნაპოლეონი, მისი ერთგული და ძლევამოსილი ხელადი ინგლისის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში, საჭირო აღარ იქნებოდა, რაკი ამ ბრძოლას დამარცხებით დაამთავრებდა. სხვაგვარად მართვა კი მას არ სურდა და ორგანულადაც არ შეეძლო.

აი რამ აიძულა ნაპოლეონი, რომ სწორედ მაშინ, როდესაც მეტერნიხი ყოველ ღონეს ხმარობდა დაერწმუნებინა ის ხელი აეღო ჰამბურგსა, ბრემენსა და ლუბეკზე. იქ გაეგზავნა მარშალი დავუ სასტიკი ბრძანებით დახვრეტებისა და კონფისკაციების შესახებ. აი რა აიძულებდა მას არა ზაუზე და პარიზში დაბრუნებაზე, არამედ ახალ გალაშქრებაზე კისლასა და ნემანის მიმართულებით; აი რამ გადააქცია პრაღის მოლაპარაკება ცარიელ კომედიად. მას ეუბნებოდნენ ჰამბურგის დათმობის შესახებ, ის კი ნემანზე ფიქრობდა. ურჩევდნენ ხელი აეღო ილირიაზე, მას კი აგენტები და მზვერავები არ გამოჰყავდა თურქეთიდან, სპარსეთიდან, სირიიდან და ეგვიპტიდან, სადაც გაგზავნა ისინი რუსეთზე გალაშქრების წინ. ამ დავის გადაწყვეტა მხოლოდ ზარბაზნებს შეეძლო და არა დიპლომატიურ ხლართებს.

მეტერნიხს სურდა ნაპოლეონი დაეყოლებინა დათმობაზე, ამ მიზნით ის ჩავიდა დრეზდენში, სადაც ცხოვრობდა იმპერატორი, და 1813 წლის 28 ივლისს გამოცხადდა სასახლეში.

ნაპოლეონმა მუქარით დაიწყო და ბრალს სდებდა ავსტრიას, რომ შუამავლის ნიღაბქვეშ კოალიციაში შესასვლელად ემზადებოდა. "განმიმარ-

ტეთ: ომი გსურთ ჩემთან? მაშ გაუსწორებელი ხალხი ყოფილხართ! გაკვეთილებმა ჭკუა არ გასწავლათ. რუსები და პრუსიელები, მიუხედავად მწარე გამოცდილებისა, გათამამდნენ უკანასკნელი ზამთრის წარმატებებით და გაბედეს ჩემს წინააღმდეგ წამოსვლა -- მე ისინი დავამარცხე. თქვენ გნებავთ მიიღოთ? ძალიან კარგი. თქვენც მიიღებთ კუთვნილს. მე თქვენ ოქტომბერში ვენაში შეგხვდებით".

მეტერნიხმა ზრდილობიანად, მაგრამ ძალიან მტკიცედ განუცხადა, რომ არაფერი ამის მსგავსი ავსტრიას აზრადაც კი არა აქვს და, პირიქით, მტკიცე ზავი სურს. და იქვე ჩამოთვალა პირობები: ყველაფერი დარჩება ნაპოლეონს, თუ ის დათმობს ილირიას, ჰამბურგს, ბრემენს, ლუბეკს, ვარშავის საპერცოგოს და უარს იტყვის რაინის კავშირის პროტექტორობაზე. ნაპოლეონი გაცოფდა. "მე ვიცი თქვენი საიდუმლოება! თქვენ, ავსტრიელებს, გინდათ მთელი იტალია. თქვენს მეგობრებს -- რუსებს -- პოლონეთი უნდათ, პრუსიელებს -- საქსონია, ინგლისელებს — ბელგია და ჰოლანდია... და თუ მე დღეს დავთმობ, ხვალ ყველაფერს მოითხოვთ! მაგრამ ამისათვის მზად უნდა იყოთ თავი მოუყაროთ მილიონიან ჯარს, დაღვაროთ რამდენიმე თაობის სისხლი და მოემზადოთ მონმარტის ძირას მოლაპარაკებისთვის".

მეტერნიხმა უპასუხა, რომ არაფერს ამის მსგავს მისგან არ მოითხოვენ, რომ ზავი, რომელსაც მას სთავაზობენ, საპატიო და სახელოვანი ზავია. მაშინ ნაპოლეონმა ასეთი არგუმენტი წარმოადგინა: სრულიად უმნიშვნელო დათმობაც კი მე მამცირებსო."თქვენს მეფეებს, რომლებიც ტახტზე დაბადებულან, არ შეუძლიათ გაიგონ გრძნობები, რომლებიც მე მასულდგმულებენ. ისინი დამარცხებულნიც კი ადვილად უბრუნდებიან თავიანთ ტახტს. მე კი ჯარისკაცი ვარ. მე უნდა მქონდეს ღირსება, დიდება — მე არ შემიძლია დამცირებული ვეჩვენო ჩემს ხალხს. მე უნდა დავრჩე დიადი, სახელოვანი და ვიწვევდე აღტაცებას". ამაზე მეტერნიხმა უპასუხა -- თუ ასეა, მაშინ ომი არასოდეს დასრულდება, მთელი ევროპა და აგრეთვე საფრანგეთიც კი დაღლილია ომით და მშვიდობიანობას საჭიროებენო. "ხელმწიფეო, მე ეს არის გამოვიარე თქვენი რეგიმენტების ახლოს: თქვენი ჯარისკაცები -- ბავშვები არიან. თქვენ მოახდინეთ რამდენიმე შეკრება ვადაზე ადრე და მოუმწიფებელი ასაკის ახალგაზრდობა გაიწვიეთ ჯარში. როცა ეს თაობაც განადგურდება ახლანდელ ომში, მოახდენთ თუ არა კიდევ ვადაზე ადრე შეკრებას, გაიწვევთ თუ არა კიდევ უფრო ახალგაზრდებს?"

ნაპოლეონი გაფითრდა სიბრაზით, იგონებს მეტერნიხი, -- და მიწაზე დაანარცხა თავისი ქუდი. "თქვენ არა ხარო მხედარი თქვენ არა გაქვთ

ჯარისკაცის სული, როგორიც მე მაქვს, თქვენ არ გიცხოვრიათ ბანაკში. თქვენ არ გჩვეულიათ საკუთარი და სხვისი სიცოცხლის არაფრად ჩაგდება, როცა ეს საჭიროა. რას ნიშნავს ჩემთვის ორასი ათასი კაცი!" ნაპოლეონი ამ დროს ისეთი გააფთრების მდგომარეობაში იმყოფებოდა, არ ერიდებოდა არავითარ ცინიკურ გამოთქმას, ოღონდაც შეურაცხყოფა მიეყენებინა მოწინააღმდეგისათვის. "ბოლოს და ბოლოს ფრანგები, რომელთა სისხლსაც თქვენ აქ უფრთხილდებით, აგრე ვერ მისაყვედურებენ მე. მართალია, რუსეთში დავკარგე ორასი ათასი კაცი, მათ შორის ასი ათასი შესანიშნავი ფრანგი ჯარისკაცი იყო და ისინი მე მართლაც მენანებიან. რაც შეეხება დანარჩენებს, ესენი იყვნენ იტალიელები, პოლონელები და უმთავრესად გერმანელები" უკანასკნელ სიტყვაზე მან ათვალწუნებით ჩაიქნია ხელი. "ვთქვათ ასეა, — უპასუხა მეტერნიხმა, — მაგრამ დამეთანხმეთ, სელმწიფეო, რომ ეს არ არის ისეთი არგუმენტი, რომელიც გამოდგება გერმანელებთან ლაპარაკის დროს"

ამგვარი სიტყვების შემდეგ მოლაპარაკებამ, რა თქმა უნდა, არავითარი შედეგი არ გამოიღო. ნაპოლეონი დაცინვით ამბობდა, ავსტრია განგებ აზვიადებს თავის სამხედრო ძლიერებასო; მეტერნიხის თხოვნის საპასუხოდ, რომ მისთვის ნება მიეცა დიპლომატიური შუამავლობა ეკისრა ზემოთაღნიშნულ პირობებში, მან შეჰყვირა: "აპა, თქვენ მაინც დაჟინებით მოითხოვთ! თქვენ მაინც გსურთ მიკარნახოთ კანონები! კარგი, იყოს ომი. მაშ, ნახვამდის, ერთმანეთს ვენაში შევხვდებით!"

როდესაც მეტერნიხი დაემშვიდობა და გავიდა დარბაზში, მარშალი ბერტიე შეეკითხა მას მოლაპარაკების შედეგებზე (თვითონ ბერტიეს ძლიერ სურდა ზავი და პირობები საპატიოდ და საუსებით მისაღებად მიაჩნდა). მეტერნიხმა უპასუხა: "გეფიცებით, თქვენმა ბრძანებელმა გონება დაკარგა".

მიუხედავად ამ სცენისა (ნაპოლეონმა, სხვათა შორის, განაცხადა, რომ მან დიდი პატივი დასდო ავსტრიას, როცა მარია-ლუიზა ითხოვა ცოლად და რომ ის თავის საქციელს შეცდოსად თვლის), ბოლოს და ბოლოს ნაპოლეონი, ყოველგვარ ოფიციალურ ვალდებულებათა აღების გარეშე, დათანხმდა ავსტრიის შუამავლობაზე. სანამ, მეტერნიხის მიწვევით, რუსეთის, პრუსიისა და ავსტრიის რწმუნებულები 1813 წლის 12 ივლისისათვის პრაღაში იკრიბებოდნენ და უნაყოფო მოლაპარაკებაში დრო გადიოდა, ნაპოლეონის არმია მტკიცდებოდა, მაგრამ საერთო პოლიტიკური მდგომარეობა თანდათან ირყეოდა.

სხვათა შორის, მოვიდა რამდენიმე ცნობა ფრანგების დამარცხების შესახებ ესპანეთში.

ინგლისელებმა და ესპანელმა გვირილიასებმა საფრანგეთის ჯარებს პირინეისაკენ დაახევინეს. ვიტორიასთან ბრძოლა ინგლისის მთავარსარდლის ლორდ ველინგტონის სრული გამარჯვებით დამთავრდა.

ვინაიდან ნაპოლეონმა წინასწარ იცოდა, რომ პრაღის მოლაპარაკებიდან არა გამოვიდოდა რა, და არც სურდა რაიმე გამოსულიყო, ის აჭიანურებდა საქმეს. რუსეთისა და პრუსიის რწმუნებულები, აგრეთვე თვით მეტერნიხიც შეურაცხყოფილად გრძნობდნენ თავს და ნერვიულობდნენ ამ გაჭიანურების გამო. ისინი 12 იელისის შემდეგ ისხდნენ პრაღაში, ფრანგები კი არ ცხადდებოდნენ და ყოველნაირად უშლიდნენ ხელს მოლაპარაკებას.

ნაპოლეონისა და მეტერნიხის ბაასის შემდეგ შეწყდა ავსტრიელთა მეფეობა. მეტერნიხმა პირდაპირ გამოუცხადა საფრანგეთის წარმომადგენელს ნარბონს — თუ პრაღის თათბირი არ შეიკრიბება დროებითი ზავის ვადის დამთავრებამდე, ე.ი. 10 აგვისტომდე, ავსტრია კოალიციას მიემხრობაო.

ნარბონი, კოლენკური, ფუშე, სავარი, ბერტიე — თითქმის ყველა მარშალი არწმუნებდა იმპერატორს ჩამოეგდო ზავი. ყველაფერი ამაო იყო. პოლიციის მინისტრი სავარი გაკადნიერდა მოეხსენებინა იმპერატორისათვის, რომ ხალხი გატანჯულია გაუთავებელი ომებით და შესაძლებელია ის ბოლოს და ბოლოს თავის სათაყვანებელ მეფეზედაც კი გაბრაზდესო. ამაზე პოლიციის მინისტრს უბრძანეს გაჩუმებულიყო და არ გარეულიყო ისეთ საქმეში, რომელიც მას არ გაეგებოდა.

10 აგვისტოს დამთავრდა დროებითი ზავი და 11 აგვისტოს მეტერნიხმა განაცხადა — ავსტრია ომს უცხადებს ნაპოლეონსო.

ლონდონი და რუსეთ-პრუსიის ბანაკი დიდმა სიხარულმა მოიცვა. კოალიციის ძალები ახლა აშკარად სჭარბობდნენ ნაპოლეონის ძალებს.

1813 წლის კამპანიის დასასრული ახლოვდებოდა. რუსეთსა, პრუსიასა და ავსტრიაში განუწყვეტლივ წარმოებდა ჯარის შეკრება. იწკვეედნენ მარქაფს, მთელი ძალები დაძაბული იყო. ინგლისის ხაზინამ ფართოდ გახსნა თავისი სალარო და არ ზოგავდა ოქროს კოალიციის გასაძლიერებლად, როგორც არ ზოგავდა მას ველინგტონის არმიის გასაძლიერებლად ესპანეთში. კოალიციას ახლა უკვე ჰყავდა დაახლოებით რვაას ორმოცდათიათასიანი ჯარი, მარქაფის ჩათვლით. ნაპოლეონს კი (აგრეთვე მარქაფით) — ხუთას ორმოცდაათ ათასამდე.

მოკავშირეთა შეერთებული ძალების მთავარსარდლად დაინიშნა ავსტრიის ფელდმარშალი შვარცენბერგი. ნაპოლეონს სრულიად არ ეშინო-

და მისი. რუსებს აღარ ჰყავდათ არც კუტუზოვი და არც ბაგრატიონი, ხოლო დანარჩენ რუს გენერლებზე საფრანგეთის იმპერატორი 1812 წლის შემდეგაც არ იყო უკეთესი აზრის. ვიდრე მანამდე. სმოლენსკისა და ბოროდინოს ზოგიერთ მონაწილეზე ნაპოლეონი საკმაოდ კარგი შეხედულებისა იყო, მაგრამ საერთოდ რუსის მთავარ შტაბს ძალიან დაბლა აყენებდა. მას, მაგალითად, რუსეთის გენერლების საქციელი მისი მოსკოვიდან უკან დახევის დროს სრულ სიბეცედ მიაჩნდა. ის ღრმად იყო დარწმუნებული და სიკვდილამდის იმეორებდა, რომ თვალუწვდენელი სივრცეები, მოსკოვის ხანძარი, საშინელი ყინვები და მისი საკუთარი შეცდომა, რაც მოსკოვის აღებასა და იქ დიდი ხნით შეჩერებაში გამოიხატა --- ყოველივე ეს იყო ლაშქრობის მარცხის მიზეზი, ხოლო რუსეთის გენერლებმა ოდნავადაც ვერ შეძლეს ესარგებლათ მათვის ხელსაყრელი პირობებით. რუსეთის ჯარისკაცებს კი ახლა, 1813 წელს, ის კიდევ უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე 1807 წელს ვილაუს შემდეგ, და უფრო მაღლა, ვიდრე დანარჩენ მოწინააღმდეგეთა ჯარისკაცებს.

რაც შეეხება პრუსიელებს, მათ შორისაც ისე, როგორც რუსებსა და ავსტრიელებში, ნაპოლეონი ვერ ხედავდა თავისთვის ოდნავ მაინც საშიშ მეტოქეს სამხედრო ხელოვნებაში. მაგრამ მან იცოდა, რომ ალექსანდრე I. და მისმა მოკავშირე მონარქებმა დასახმარებლად მიიწვიეს გენერალი მორო, ნიჭიერი სარდალი, რომელსაც 1804 წელს დაებრალეს ნაპოლეონის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობა: იგი ნაპოლეონმა მაშინ საფრანგეთიდან გააძევა. მას შემდეგ გადასვლილი მორო ამერიკაში ცხოვრობდა.

ნაპოლეონის შეურიგებელი მტერი მორო მივიდა ალექსანდრეს ბანაკში სწორედ საომარი მოქმედებების განახლებისას პრაღის საზავო მოლაპარაკებების ჩაშლის შემდეგ. "თავს არ დაესხათ იმ ნაწილებს, სადაც ნაპოლეონი იმყოფება, თავს დაესხით მხოლოდ მარშლებს" — ეს იყო პირველი რჩევა, რომელიც მორომ მისცა ალექსანდრეს და მის მოკავშირეებს. ალექსანდრეს სურდა მორო ყოფილიყო შეერთებული ძალების მთავარსარდალი შვანცენბერგის ნაცვლად. თვით მორო მთავარსარდლად ასახელებდა ალექსანდრეს, თვითონ კი იქნებოდა შტაბის უფროსი და ფაქტიური უმაღლესი ხელმძღვანელი. მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად მოიწყო.

პირველი დიდი ბრძოლა საომარი ოპერაციების განახლების შემდეგ დრეზდენთან მოხდა 1813 წლის 27 აგვისტოს. ნაპოლეონს აქ წილად ხვდა ერთ-ერთი უბრწყინვალესი გამარჯვებათაგანი. მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვეთა რაოდენობა მოკავშირეების მხრით ამ ბრძოლაში იცდახუთ ათას უდრიდა: ნაპოლეონის მხრით კი დაახლოებით ათი ათასს.

მოკავშირე ჯარების ზოგიერთმა ნაწილებმა უკან დაიხიეს წესრიგით, ზოგიერთი კორპუსი გაიქცა ბრძოლის ველიდან და მათ კვალდაკვალ დაედევნა ფრანგების კავალერია. ორივე მხრიდან მოქმედებდა მძლავრი არტილერია. და მთელი ბრძოლა წარმოებდა ათასორასი ზარბაზნის განუწყვეტელ გრიალში. გაცხარებული ბრძოლის დროს ნაპოლეონმა იკისრა არტილერიის უშუალო ხელმძღვანელობა. მოწინააღმდეგეთა ბანაკში პატარა გორაკზე მან შეამჩნია ცხენოსანთა ჯგუფი და ერთ-ერთ ბატარეას უბრძანა სროლა აეტეხათ. ამ ცხენოსანთა ჯგუფის ცენტრში აღმოჩნდა იმპერატორი ალექსანდრედა მის გვერდით გენერალი მორო, რომელიც პირველად გამოვიდა მოკავშირეთა ჯარის ხელმძღვანელად. ერთ-ერთმა პირველმა ყუმბარამ, რომელიც ნაპოლეონის ბრძანებით გაისროლეს, ორივე ფეხი დაუმსხვრია გენერალ მოროს. ის რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა. საფრანგეთისა და მოკავშირეთა ჯარში გავრცელდა ლეგენდა, თითქოს მორო მოკლული იქნა იმ ყუმბარით, რომელიც პირადად ნაპოლეონმა გაისროლა, როცა მივიდა ბატარეასთან და ჭოგრიტით გამოიცნო თავისი მოღალატე. ასე თუ ისე, მოკავშირე არმიის სამხედრო ნაწილებმა დრეზდენთან სრული მარცხი განიცადეს, რასაც თან დაერთო ამავე ბრძოლაში მათი საუკეთესო სარდლის, მოროს სიკვდილიც, რაც ზედმეტად თავზარდამცემი შეიქნა მოკავშირეებისათვის.

დრეზდენთან დამარცხებულმა მოკავშირეებმა რამდენიმე გზით დაიხიეს უკან სამადნო მთებისაკენ. შემდეგ დღეებში მარშლები მარმონი, ვიქტორი, მიურატი, სენსირი და გენერალი ვანდამი კვალდაკვალ დაედევნენ მოკავშირეებს და რამდენიმე ათასი რუსი, პრუსიელი და ავსტრიელი ტყვედ წაიყვანეს.

მაგრამ ვანდამი ძლიერ გაიტაცა მოწინააღმდეგის დევნამ და მოსწყდა ავანგარდის მთავარ ძალებს. 29 და 30 აგვისტოს კულმთან ბრძოლის დროს ვანდამი დამარცხდა, ის დაჭრეს და მისი რაზმის ნაწილთან ერთად ტყვედ წაიყვანეს.

ამან გაამხნევა დრეზდენის დამარცხების შემდეგ დაბნეული მოკავშირეები. შეუპოვრობა გამოიჩინეთ, ნუ შეურიგდებით ნაპოლეონს დამარცხების შემდეგ, ასეთი იყო ერთ-ერთი რჩევა, რომელიც მისცა მოკავშირეებს მორომ თავის უეცარი დაღუპვის წინ. მოკავშირენი ხედავდნენ, რომ თუ ნაპოლეონს ჯერ კიდევ არ ღალატობდა მისი სამხედრო გენია, სამაგიეროდ მას უკვე აღარ ჰყავდა ის ჯარისკაცები, რაც წინათ. თვრამეტი და ცხრამეტი წლის ყმაწვილებს არ შეეძლოთ შეეცვალათ ის უძლეველი რკინის არმია, რომლითაც ნაპოლეონი ომობდა ეგვიპტეში, სირია-

ში, რომლითაც დაიპყრო ევროპა და გაილაშქრა მოსკოვზე და რომელთა ძვლებითაც დაფარა მრავალი ბრძოლის ველი. ნაპოლეონმაც იცოდა ეს. ის ითვალისწინებდა კიდევ ერთ დაბრკოლებას. მისი კლასიკური წესის მიხედვით, რომელიც შემდეგ სამხედრო სტრატეგიისა და ტაქტიკის ყველა სახელმძღვანელოში შეიტანეს,სამხედრო ხელოვნების საიდუმლოება მდგომარეობს იმაში, რომ მოწინააღმდეგეზე ძლიერი იყო საჭირო დროსა და ადგილას. და სწორედ ახლა, როცა ყველაფერი დამოკიდებული იყო საქსონიის კამპანიაზე, თვითვე დაარღვია ეს წესი.

სად იყო დავუ, ერთ-ერთი მისი საუკეთესო მარშალი, თავისი დიდი ჯარით? ჰამბურგში ვაჭრებს ხვრეტდა. სად იყვნენ ქვეითი ჯარის, არტილერიისა და კავალერიის ძლიერი ნაწილები, რომელნიც ესოდენ გამოადგებოდნენ ნაპოლეონს მოახლოებულ გადამწყვეტ ბრძოლებში? დანციგსა, ჩრდილოეთ გერმანიასა, სამხრეთ და შუა იტალიასა და ესპანეთში. მათი იქედან გამოწვევა ნიშნავდა იმას, რომ თვითვე დაერღვია დიდი იმპერია, რომელიც არსებობდა არა მხოლოდ და მხოლოდ ამ შეიარაღებული ძალის საშუალებით. თუ არ გამოიწვევდა მათ, ესეც იმპერიის უეჭველ დანგრევას ნიშნავდა, ვინაიდან მას უთუოდ დაამარცხებდნენ მოკავშირენი, რომელთაც, მართალია, მოროს სიკვდილის შემდეგ არ ჰყავდათ კარგი გენერლები, მაგრამ მათი ჯარი ნაპოლეონის ჯარზე ორჯერ მეტი იყო.

გამოუვალ, ღრმა წინააღმდეგობაში მოექცა ნაპოლეონი. გზა ბერლინისაკენ რთული აღმოჩნდა. ბერნადოტმა შვეციების არმიით და ბიულოვმა პრუსიის ჯარის ნაწილით უკუაგდეს ფრანგების დივიზიები, რომლებშიაც ძალიან ბევრნი იყვნენ ნაპოლეონის ბავარელი, საქსონელი და სხვა გერმანული ქვეყნების ვასალები: ისინი დღითიდღე უფრო და უფრო არასაიმედონი ხდებოდნენ, ასობით დეზერტირობდნენ და არ სურდათ ებრძოლათ სხვა გერმანელების წინააღმდეგ ნაპოლეონის იმ მიზნებისათვის, რომლებიც გაურკვეველი იყო მათთვის. თავის არმიის გერმანელ ჯარისკაცებზე დანდობა ნაპოლეონს უკვე აღარ შეეძლო. ნეი იძულებული გახდა უკან დაეხია მხოლოდ იმიტომ, რომ საქსონელები, რომლებიც ბევრი იყვნენ მის ნაწილში, მასობრივად გარბოდნენ ყოველგვარი პირდაპირი საბაბის გარეშე. ნაპოლეონი უკმაყოფილო იყო თავისი მარშლებითაც. "გენერლები და ოფიცრები დაღლილი არიან ომით და აკლიათ ის სიმკვირცხლე, რომელიც აიძულებდა მათ წინათ უდიდესი საქმეები გაეკეთებინათ" სწერდა ის სამხედრო მინისტრს კლარკს 1813 წლის 8 სექტემბერს და ბრძანებას აძლევდა მას გაემაგრებინა და მოემარაგებინა რაინისპირა ციხე-სიმაგრეები. "იმპერატორი ყოველთვის იმარჯვებს. სადაც კი გამოჩნდება. მაგრამ

მას არ შეუძლია ყველგან იყოს, ხოლო ოფიცრები და სარდლები იშვიათად ამართლებენ მის იმედს".

სექტემბერი ისე დასრულდა, რომ არაფერი მნიშვნელოვანი არ მომხდარა. ნაპოლეონსაც და მოკავშირეებსაც სურდათ ზამთრამდე შეხვედროდნენ ერთმანეთს გენერალურ ბრძოლაში. გერმანია თანდათან მოიცვა მძაფრმა მღელვარებამ. გაჩდნენ მოხალისეთა პარტიზანული რაზმები, რომლებიც ჩამოაყალიბეს ტუგენდბუნდმა და სხვა პატრიოტულმა გაერთიანებებმა.

ნაპოლეონი გაცხოველებით ემზადებოდა საშემოდგომო კამპანიისათვის, მაგრამ ის წინასწარ ითვალისწინებდა, რომ თუნდაც გაემარჯვა, ომი მაშინვე არ დამთავრდებოდა. მან ხომ მტკიცედ გადაწყვიტა არაფერი არ დაეთმო, და იცოდა, რომ არც მოკავშირენი, თავიანთი ვეებერთელა მარქაფის იმედით, არ სცნობდნენ თავს დამარცხებულად, თუნდაც სასტიკად დამარცხებულიყვნენ. და მან გასცა ახალი განკარგულება — გაწვეულ იქნეს იმპერიის დროშის ქვეშ კიდევ ორასოთხმოცი ათასი ახალგაზრდა. აქედან ასსამოცი ათასი 1815 წლის წვევამდელი, ე.ი. თითქმის სულ მოზარდნი. მეტერნიხის წინასწარმეტყველება ასრულდა: თითქმის ბავშვები იგზავნებოდნენ ყაზარმებში.

ოქტომბრის პირველ რიცხვებშივე დაიწყო მოწინააღმდეგე ჯარებში რთული შანევრები ცალკეული მცირე ბრძოლებით, იერიშებით და უკან დახევით. ნაპოლეონის საქმიანობა ამ მისთვის საბედისწერო დღეებში მართლაც განსაცვიფრებელი იყო: იგი ყველაფერს უძღვებოდა, ამოწმებდა და ყოველდღე იგონებდა ახალ-ახალ ფანდებსა და სამხედრო ხერხებს.

რუსები ამ დროს შეიჭრნენ ჟერომ ბონაპარტის ვესტფალიის სამეფოში და მეფე გაიქცა. ბავარია ჩამოშორდა ნაპოლეონს და კოალიციას მიემხრო. ნაპოლეონისათვის საჭირო იყო მალე გაემართა გენერალური ბრძოლა და გაემარჯვა ამ ბრძოლაში. ის ისე ამბობდა, მაგრამ არ შეეძლო არ მიმხვდარიყო იმ ფაქტის საბედისწერო აზრს, რომ ვასალები მომავალი ბრძოლების შედეგების მიუხედავად, უკვე ღალატობდნენ მას. 1813 წლის 16 ოქტომბერს ქალაქ ლაიპციგის მახლობლად მდებარე ვაკეზე დაიწყო ნაპოლეონის ეპოპეის უდიდესი ბრძოლა, "ხალხთა ბრძოლა", როგორც მას მაშინვე უწოდეს გერმანიაში. სამი დღის განმავლობაში — 17, 18, და 19 ოქტომბერს — ლაიპციგის მინდვრებზე ნაპოლეონი ებრძოდა რუსების, ავსტრიელების, პრუსიელებისა და შვეიცების კოალიციას, მის საკუთარ ჯარებში ფრანგების გარდა იყვნენ: პოლონელები, საქსონელები, ჰოლანდიელები, იტალიელები, ბელგიელები და რაინის კავშირის გერმანე-

ლები. ბრძოლის დასაწყისში ნაპოლეონს ჰყავდა ასორმოცდაათი ათასი კაცი, ხოლო მოკავშირეებს — ორასოცი ათასი კაცი. დაღამდა, მაგრამ არც ერთი მხარე არ შემდრკალა, და ბრძოლა გადაუწყვეტელი დარჩა. პირველ დღეს ნაპოლეონმა დაკარგა თითქმის ოცდაათი ათასი კაცი, მოკავშირეებმა — ორმოც ათასამდე.

ელოდნენ მეორე დღეს. დამხმარე ძალა ემატებოდა მთელი ღამის განმავლობაში ნაპოლეონსაც და მოკავშირეებსაც. მაგრამ ნაპოლეონს ბრძოლის მეორე დღისთვის შეემატა თხუთმეტი ათასი კაცი, მოკავშირეებს კი შეუერთდა ბერნადოტისა და ბენიგსენის ჩრდილოეთის არმია ას ათი ათასი კაცის შემადგენლობით.

დილით ადრე ნაპოლეონმა მიურატის თანხლებით, ჩამოიარა წინადღის ბრძოლის ველი. მიურატმა შენიშნა, ბოროდინოს შემდეგ ამდენი მოკლული არ ყოფილაო. 17 ოქტომბერს დილით ნაპოლეონი უკან დახევაზე ფიქრობდა, მაგრამ ბოლოს დარჩენა გადაწყვიტა: მან ბრძანა მოეყვანათ წინადღით ტყვედ ჩავარდნილი ავსტრიის გენერალი მერველდტი. ნაპოლეონმა ლაპარაკი დაუწყო მას ავსტრიასთან ზავის შესახებ. მერველდტმა უპასუხა — ავსტრიას ახლაც სურს ზავი და რომ ნაპოლეონი დასთანხმდებოდეს, "მთელი ქვეყნისა და საფრანგეთის საკეთილდღეოდ" ზავი ახლავე შეიძლება დაიდოსო. 17 ოქტომბერს მთელი დღე მოანდომეს დაჭრილების აკრეფას და მომავალი ბრძოლისათვის მზადებას. ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ ნაპოლეონმა გადაწყვიტა დაეხია მდინარე ზაალეს ხაზზე, მაგრამ ვერ მოასწრო ამ განზრახვის შესრულება, რომ კელავ გაჩაღდა ბრძოლა 18 ოქტომბრის განთიადზე. ძალთა ურთიერთობა უფრო მკვეთრად შეიცვალა მოკავშირეთა სასარგებლოდ. 16 ოქტომბერს დაკარგულ ორმოცი ათასი კაცის ნაცვლად 17 და 18 ოქტომბერს ღამით მოკავშირეებმა მიიღეს დიდი დამხმარე ძალა და 18 ოქტომბრის ბრძოლაში მათ ჰყავდათ ორჯერ მეტი ჯარი, ვიდრე ნაპოლეონს. 18 ოქტომბრის ბრძოლა უფრო ძლიერი იყო, ვიდრე 16 ოქტომბრისა და სწორედ აქ, გაცხარებული ბრძოლის დროს, მთელი საქსონიის არმია, რომელიც იძულებით იბრძოდა ნაპოლეონის არმიის რიგებში, უეცრად გადავიდა მოკავშირეთა ბანაკში, მათ მაშინვე მოაბრუნეს ზარბაზნები და სროლა აუტეხეს ფრანგებს. მიუხედავად სასოწარკვეთილი მდგომარეობისა, ნაპოლეონი გაორკეცებული ენერგიით განაგრძობდა ბრძოლას.

დაბინდებისას ბრძოლა შეწყდა. ორივე მხარე იდგა პირისპირ და ბრძოლას კელავ არ ჰქოდა დასასრული.

მაგრამ 18 ოქტომბერს ღამით ბრძოლას გარკვეული დასასრული მიეცა. ნაპოლეონმა ახალი დიდძალი დანაკარგისა და საქსონიის ღალატის

გამო ვეღარ შესძლო გამკლავება. მან გადაწყვიტა უკან დაეხია. უკანდახევა დაიწყო ღამით და მთელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა. 19 ოქტომბერს მოკავშირეების მიერ შეეიწროებული ნაპოლეონი ბრძოლით იხევდა უკან ლაიპციგიდან და ლაიპციგის იქით. ვინაიდან ქალაქის ქუჩები და განაპირა უბნები გაჭედილი იყო მრავალრიცხოვანი ლტოლვილი ჯარისკაცებით, ბრძოლა უმაგალითო სისხლისმღვრელი შეიქნა. ნაპოლეონმა უკანდახევის დროს ააფეთქა ხიდები, მაგრამ მესანგრეებმა შეცდომით ხიდი მეტისმეტად ადრე ააფეთქეს და ოცდარვა ათასმა კაცმა. მათ შორის პოლონელებმა, ვერ მოასწრო გადასვლა. მათი უფროსი მარშალი პონიატოვსკი, პოლონეთის კორპუსის სარდალი, დაიჭრა და მდინარე ელსტერის გადაცურვის დროს დაიხრჩო. მაგრამ მოკავშირეებმა დევნა მალე შეწყვიტეს და ნაპოლეონი თავისი არმიით მდინარე რაინის მიმართულებით გაემართა.

ფრანგების საერთო დანაკლისი 16-19 ოქტომბრის განმავლობაში სამოცდახუთ ათას კაცს მაინც უდრიდა; მოკავშირეებმაც დაკარგეს სამოც ათას კაცამდე. მძიმედ დაჭრილთა საზარელი ყვირილი აყრუებდა ლაიპციგის მინდვრებს და გახრწნილ გვამთა აუტანელი სიმყრალე იდგა. არ კმაროდა მუშახელი, რომ გაეწმინდათ მინდორი და არც საექიმო პერსონალი იყო საკმარისი დაჭრილ-დასახიჩრებულთათვის დახმარების აღმოსაჩენად. საერთოდ დაიღუპა ასოცდახუთი ათასი კაცი.

ნაპოლეონი ლაიპციგიდან საფრანგეთის საზღვრებისაკენ იხევდა, იმ მიჯნამდე რომელიც ჰყოფდა საფრანგეთს გერმანიის სახელმწიფოებისაგან ნაპოლეონის ომებამდე, რაინის ნაპირებისაკენ. საფრანგეთის ფერწერაში სწორედ ეს მომენტი და 1814 წლის დასაწყისის ამბები ბევრჯერ გამოიყენეს თემებად მხატვრებმა და მათი ყურადღების ცენტრში მუდამ ნაპოლეონი იყო. 1813 წლის ოქტომბრის დამლეესა და ნოემბრის დასაწყისში, საქსონიაში სამომარი კამპანიის დამთავრებისა და საფრანგეთში ამ კამპანიის დაწყების პერიოდში, ეს ადამიანი, უეჭველია, დიდ შინაგან ტანჯვას განიცდიდა, რის შესახებაც ის არაფერს უმხელდა თავის ამალას, ძველი გვარდიის გრენადერთა შეთხელებულ რიგებს, მაგრამ ეს ტანჯვა აშკარად აღბეჭდილი იყო მის მკაცრ სახეზე და დაღრეჯილ თვალებში. 1813 წლის შემოდგომაზე და 1814 წლის გაზაფხულზე მისი სახის ამგვარ გამომეტყველებას მთელი არმია ხედავდა.

პირველად უნდა ეგრძნო ნაპოლეონს, რომ დიდი იმპერია ირღვეოდა, რომ დაშალა იმ ხალხებისა და ქვეყნების ჭრელი შემადგენლობა, რომლის ერთ იმპერიად შედუღებას ცეცხლითა და მახვილით ცდილობდა ამდენი წლების განმავლობაში.

აი მას გამოეთხოვა მიურატი, მისი მარშალი, მისი კავალერიის უფროსი, მრავალი ბრძოლის გმირი, რომელიც მან გახადა ნეაპოლის მეფედ. მიურატი გაემგზავრა ნეაპოლში, და ნაპოლეონმა იცოდა, რომ იგი გაემგზავრა ღალატისათვის და ფარულად უკვე გადასულია კოალიციის მხარეზე თავისი ტახტის შენარჩუნების მიზნით. აი მის მიერ ესპანეთის მეფედ დანიშნული მისი ძმა იოსები უკვე გამოაძევეს პირენეის ნახევარკუნძულიდან ინგლისის ჯარებმა და ესპანეთის მოამბოხეებმა. კასელიდან წავიდა მისი მეორე ძმა ჟერომი ვესტფალიის მეფე. ჰამბურგში დავუ გარშემორტყმულია რუსებითა და პრუსიელებით. ჰოლანდიაში ფრანგთა ბატონობა ირყევა. ინგლისი, რუსეთი, ავსტრია და პრუსია არ მოისვენებენ, ვიდრე საფრანგეთს არ ჩააყენებენ მის ძველ საზღვრებში. მის მიერ შექმნილ დიდ იმპერიას ბოლო ეღება, იგი ქრება.

მას კიდევ ჰყავდა დაახლოებით ასი ათას კაცამდე, აქედან ორმოცი ათასი კარგად შეიარაღებული; დანარჩენებს ესაჭიროებოდა კარგად შეიარაღება და კადრში ჩარიცხვა. ჰყავდა მას კიდევ გარნიზონები დანცინგსა და ჰამბურგში და აგრეთვე აქა იქ გაფანტული ევროპის იმ ნაწილებში, რომლებიც ჯერ კიდევ მორჩილებდნენ მას -- დაახლოებით ას ორმოცდაათი ათასიდან ას ოთხმოც ათასამდე. 1815 წლის წეევამდელი ახალგაზრდობა, გაწვეული 1813 წელს, სასწრაფოდ იწვრთნებოდა ბანაკებში.

ნაპოლეონი ჯერ კიდევ არ ყრიდა იარაღს. ის ფიქრობდა ბრძოლის მომავალი ახალი სტადიის შესახებ და თუ დაელაპარაკებოდა მარშლებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ახალი განკარგულება გაეცა. მან ახლა გადაწყვიტა პაპი რომში გაეშვა; მან ნაბა დართო ესპანეთის მეფეს ფერდინანდ VII-ს, რომელიც 5 წელიწადი ჰყავდა ტყვედ. ესპანეთში დაბრუნებულიყო.

მხოლოდ ლაიპციგის მინდორზე ას ოცდახუთი ათასი კაცის სიკვდილის შემდეგ და უმთავრესად ლაიპციგიდან უკან დახევის შემდეგ შეურიგდა იმპერატორი იმ აზრს, რომ ერთის დაკარით ვერ გამოასწორებდა ყოველივე იმას, რაც მოხდა, ვერ გამოისყიდდა ბოროდინოს, მოსკოვის დაწვას, დიდი არმიის დალუპვას რუსეთის თოვლში, პრუსიის, ავსტრიის, საქსონიის, ბავარიის, ვესტფალიის სამეფოს ჩამოშორებას, ვერ აღმოფხვრიდა ლაიპციგის მარცხს და ესპანეთის სახალხო ომს, ვერ გადაყრიდა ზღვაში ველინგტონს ინგლისელებთან ერთად. ახლა საქმე შეეხებოდა მტრის შემოჭრას საფრანგეთში და საკუთარი ტერიტორიის დაცვას.

გზად რაინის მიმართულებით მას კიდევ დასჭირდა ბანაუსთან ბავარია -- ავსტრიის რაზმებთან შებრძოლება და იარაღით გზის გაკაფვა, და როდესაც ის 1813 წლის 2 ნოემბერს ქ. მაინცში შევიდა, მას თან ახლდა დაახ-

ლოებით ორმოცი ათასი ბრძოლისუნარიანი ჯარისკაცი. მაინცში შესული დანარჩენი იარაღაყრილი, დაავადებული და დამშეული ბრბო, რომელიც ჯარში ირიცხებოდა, ანგარიშში მისაღები არ იყო.

შუა ნოემბერში ნაპოლეონი პარიზში იყო. 1813 წლის კამპანია დამთავრდა, იწყებოდა 1814 წლის კამპანია. შეჯამებისას საფრანგეთს შეეძლო დაენახა, რომ 1812 წელს დაღუპულ დაახლოებით ნახევარმილიონიან დიდ არმიას დაემატა 1813 წელს გაწვეული და განადგურებული ახალი ასი ათასები, ომი კი უფროდაუფრო მეტად მძვინვარებდა და ზარბაზნების გრიალი უკვე საფრანგეთის საზღვრებთან ისმოდა.

დადგა შეჯამების დრო. საფრანგეთი კვლავ ისეთივე ხასიათის ეკონომიურ კრიზისს განიცდიდა, როგორიც მოხდა იმპერიაში 1811 წლის პირველ ნახევარში. მაგრამ ამ ჯერად არ ცდილობდნენ და არც შეეძლოთშეემსუბუქებინათ უმუშევრობა მთავრობის სუბსიდიებით და არც იმის იმედი იყო, რომ მალე შეწყდებოდა ეს უმუშევრობა.

1813 წელს, როცა ნაპოლეონი გერმანიაში იბრძოდა, პარიზის პოლიცია ამჩნევდა და აღნიშნავდა თავის ცხოვრებაში ერთ მოვლენას, რომლის შესახებ 1811 წელს ძალიან ცოტას ამბობდნენ და რაც ყოველ შემთხვევაში პოლიციას არ შეუმჩნევია: მუშები ჩიოდნენ, ისინი გაგულისებული იყვნენ და საამბოხო სიტყვებს ამბობდნენ.

შეუძლებელი იყო, რომ ნაპოლეონი, ეს თვითმპყრობელი იმპერატორი, ავტორი "მუშათა წიგნაკებისა", რომლებიც მუშას პირდაპირ მონურ მდგომარეობაში აყენებდა (ეს წიგნაკები მეპატრონეებს ანიჭებდა სრულ ძალაუფლებას მუშებზე), ნაპოლეონი, რომელიც ყოველწლიურად მოითხოვდა ჯერ მოზრდილი ვაჟკაცების, ხოლო შემდეგ თვრამეტი წლის ჭაბუკების სისხლის გადასახადს და ასიათასობით ასამარებდა მათ მსოფლიო სასაკლაოს შორეულ მინდვრებზე, ნაპოლეონი, რომელმაც ექსპლოატატორებისაგან უბრალო თავდაცვის ყოველგვარი შესაძლებლობა მოუსპო მუშებს, ყვარებოდა მუშათა კლასს ან კეთილად ყოფილიყო მისდამი განწყობილი.

მაგრამ როდესაც, როგორც რევოლუციის დასაწყისში, ისე ახლაც იმპერიის საზღვრებს მიუახლოვდა მტერი, რათა დაემხო იმპერია და აღედგინა ბურბონების დინასტია, მუშათა შორის დაბნეულობამ და შეშფოთებამ იჩინა თავი. სისხლში მოსვრილი რკინის დესპოტს, გაუმაძღარი პატიემოყვარე იმპერატორის სახე ერთბაშად დაიჩრდილა და მათ შეგნებაში, ვისთვისაც რევოლუცია შორეულ, მაგრამ სამუდამოდ ძვირფას და დიდებულ მოგონებას წარმოადგენდა, კვლავ აღდგა თითქოს უკვე დიდი ხნით

დავიწყებული სახე ახალგაზრდა რევოლუციონერი გენერლისა, შალის შარფით, ჯარისკაცის ხმლით, იმ გენერლისა, რომელმაც თავის ბატარიებით ტულონიდან გარეკა ინგლისის ესკადრა და წაართვა ტულონი თეთრ მოღალატეებს, კონტრრევოლუციულ გამყიდველებს, და დაუბრუნა ქალაქი რესპუბლიკას. აღდგა სახე ოგიუსტენ რობესპიერის მეგობრისა, სახე "ვანდემიერის გენერლისა", რომელმაც პარიზის ქუჩებში ფინდიხით დაცხრილა აზნაურები, მღვდლები და მთელი მონარქისტული ნაძირალები, რომელთაც მაშინ, 1795 წლის ოქტომბერში (ვანდემიერში), ბურბონების დაბრუნება სურდათ.

კვლავ ამოტივტივდა სახე "პატარა კაპრალისა", რომელმაც შესძლო ერთსა და იმავე დროს ყოფილიყო ჯარისკაცთა მასისათვის ძმაც და სათაყვანებელი სარდალიც, რომლისადმი სიყვარული და ნდობა მაინც დარჩა, მიუხედავად იმ კატასტროფებისა, რომლებიც უკანასკნელი წლინახევრის განმავლობაში მოხდა.

მუშათა მასა არ აჯანყდა 1813 წლის დამლეგს და 1814 წლის დასაწყისში, თუმცა ნაპოლეონის მეფობის მთელი ხნის განმავლობაში მას არ შეხვედრია ისეთი ტანჯვა, როგორც ამ დროს.

ბურჟუაზიის განწყობილება სხვაგვარი იყო. მრეწველთა უმრავლესობა ნაპოლეონის მხარეზე იყო. მათ სხვებზე უკეთ იცოდნენ, თუ რა სურდა და რას ელოდა ინგლისი და ადვილი იქნებოდა თუ არა ინგლისის კონკურენციასთან ბრძოლა ქვეყნის შიგნით და გარეთ, თუ ნაპოლეონი დამარცხდებოდა.

მოვაჭრენი, მსხვილი და საშუალო ვაჭრები, ფინანსისტები და ბირჟა უკვე დიდი ხანია ჩიოდნენ — შეუძლებელია ცხოვრება და მუშაობა გაუწყვეტელ ომებისა და სისტემად ქცეულ თვითნებობის პირობებშია. ისინი ჯერ კიდევ არ მოითხოვდნენ დინასტიის შეცვლას, მაგრამ მათ შორის მტკიცდებოდა ის აზრი, რომ ნაპოლეონის მეფობის დროს არ იქნებოდა და შეუძლებელიც იყო მტკიცე ზავი ევროპასთან. მოუთმენლობამ, გაღიზიანებამ, მწუხარებამ, ნერვიულობამ მოიცვა ბურჟუაზიის ეს მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი, ის სწრაფად სცილდებოდა ნაპოლეონს.

პოლიტიკურ ცვლილებებს განსაკუთრებით უფრთხოდა გლეხობა. გლეხობის დიდი უმრავლესობისათვის ბურბონები ნიშნავდნენ ფეოდალიზმისა და სენიორების ძალაუფლების აღდგენას, რაც გულისხმობდა როგორც საეკლესიო, აგრეთვე ემიგრანტთათვის ჩამორთმეული მიწების წართმევას, ეს მიწები ნაკვეთებად შეისყიდეს ბურჟუაზიამ და გლეხობამ რევოლუციის დროს. ნაპოლეონმა ჯარში განუწყვეტლივ გაწვევით გაანადგუ-

რა საფრანგეთის სოფელი, მაგრამ ნაპოლეონი მაინც უფრო ასატანი იყო გლეხებისათვის, ვიდრე ძველი ფეოდალური წყობილება, რომელიც თან მოჰქონდათ ბურბონებს.

ადამიანები, რომლებსაც ნაპოლეონმა უბოძა მარშლობა, გრაფობა, პერ-ოგობა, ბარონობა, რომლებიც მან უხვად დააჯილდოვა ოქროთი და ყო-ველგვარი წყალობით, ერთნაირად როდი უჭერდნენ მას მხარს. ისინი მო-ქანცა იმ ცხოვრებამ, რომელსაც ძალაუნებურად ატარებდნენ. მათ სწყუ-როდათ იმგვარად გამოეყენებინათ თავიანთი უამრავი მატერიალური სახ-სრები, როგორც ნამდვილ არისტოკრატებს შეჰფერით, ეცხოვრათ პატი-ვითა და კომფორტით და თავიანთი სამხედრო გმირობა, ახლახან მათ მი-ერ განცდილი, სასიამოვნო მოგონებათა სფეროში გადაეტანათ.

"თქვენ უკვე აღარ გსურთ იომოთ, თქვენ პარიზში გასეირნება გსურთ", — უთხრა 1813 წელს გულმოსულმა ნაპოლეონმა ერთ-ერთ თავის გენე-რალს. "დიაღ თქვენო უდიდებულესობავ, მე ძალიან ცოტა მიცხოვრია პა-რიზში ჩემი ცხოვრების მანძილზე", — ნაღვლიანად უპასუხა მან. მუდამ ბანაკებში, მუდამ სახიფათო გარემოცვაში ცხოვრებამ და სიკვდილთან სა-ბედისწერო თამაშმა ისე მოღალა ისინი, რომ ყველაზე მამაცნი, როგორიც იყვნენ მაკდონალდი, ნეი, ოჟერო, სებასტიანი, ვიქტორი, ყველაზე ერ-თგულნი, როგორც კოლენკური ან სავარი უკვე ყურს უგდებდნენ ტა-ლეირანისა და ფუშეს გადაკრულ სიტყვებს, რომლებიც კარგა ხანია ამ ალიაქოთში ფარულად მოთმინებითა და სიფრთხილით ღალატს უწყობ-დნენ ნაპოლეონს.

ასეთი იყო მდგომარეობა, ასეთი იყო განწყობილება როდესაც ნაპო-ლეონმა 16-19 ოქტომბერს ლეიპციგთან წააგო ის ბრძოლა, რომელიც ასე ბრწყინვალედ დაიწყო 1813 წლის გაზაფხულზე. ნოემბერში ის გამოც-ხადდა პარიზში და დაიწყო ახალი ძალების მზადება, რომლებითაც უნდა დახვედროდა ევროპის ხალხების თავდასხმას საფრანგეთზე.

"წავიდეთ, დავცხოთ ბაბუა ფრანცს", — იმეორებდა ჰატარა "რომის მეფე" იმ ფრაზას, რომელიც თავის სათაყვანებელ შვილს ასწავლა ნაპო-ლეონმა. იმპერატორი თავდავიწყებით იცინოდა, როდესაც უსმენდა ბავშვს, რომელიც თუთიყუშივით იმეორებდა ამ სიტყვებს, ისე რომ მათი მნიშვნე-ლობაც არ ესმოდა. ბაბუა ფრანცი კი სულ უფრო და უფრო დიდ მერყეო-ბას იჩენდა, რაც უფრო უახლოვდებოდა მოკავშირეთა ჯარი რაინის ნაპი-რებს და არა მარტო ის, არამედ მისი ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმე-ლი მინისტრი მეტერნიხიც.

საქმე არ განისაზღვრებოდა ნათესაური ურთიერთობით, იმით, რომ ნა-პოლეონი იყო ავსტრიის იმპერატორის სიძე, ხოლო ნაპოლეონის ტახტის

მემკვიდრედ ფრანც. I-ის ღვიძლი შვილიშვილი უნდა ყოფილიყო, — აქ სხვა მიზეზებიც იყო.

ინგლისისათვის ნაპოლეონი ყველაზე შეურიგებელი და საშიში მტერი იყო, რომელიც კი მას თავის 1500 წლის ისტორიის მანძილზე ჰყოლია. ნაპოლეონის დროს ინგლისსა და საფრანგეთს შორის შეუძლებელი იყო ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი ზავი.

ალექსანდრე I-ისათვის ნაპოლეონი იყო პირადი შეურაცხმყოფელი და ამის გარდა ერთადერთი მონარქი, რომელსაც ყოველ ხელსაყრელ მომენტში შეეძლო აღედგინა პოლონეთი. ალექსანდრეს ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ თუ ნაპოლეონი დარჩებოდა ტახტზე, თავის რისხვას არ მოაკლებდა მოწინააღმდეგეებს.

იგივე მოტივი გაცილებით უფრო მეტად ამოქმედებდა პრუსიის მეფეს. ფრიდრიხ-ვილჰელმ III, რომელიც, შეიძლება ითქვას, ძალით გამოიყვანეს ნაპოლეონის წინააღმდეგ 1813 წლის მარტში, ამ დღიდან მუდმივი შიშით იყო შეპყრობილი თვით ლაიპციგამდე. ის ყოველთვის უსაყვედურებდა ალექსანდრეს, განსაკუთრებით ლუტცენის, ბაუცენისა და დრეზდენის დამარცხების შემდეგ. "აი მე ისევ ვისლაზე ვარ" — სასოწარკვეთილებით გაიძახოდა ის. ის ვერც ლაიპციგმა დააწყნარა.

ეს დამახასიათებელი თვისება — პანიკური, თითქმის ცრუმორწმუნეობრივი შიში ნაპოლეონის წინაშე — ძალიან იყო მაშინ გავრცელებული. ლაიპციგის შემდეგაც, მას შემდეგ, რაც მან დაკარგა ყველა თავისი მონაპოვარი, გამოფიტულ, ნაწილობრივ მდრტვინვარე საფრანგეთში მყოფი ნაპოლეონი ისეთ შიშის ზარს ჰგვრიდა ფრიდრიხ-ვილჰელმ III, რომ მას ჟრუანტელი უელიდა ტანში, როცა გაიფიქრებდა, რომ მოკავშირეების წასვლის შემდეგ მას, პრუსიის მეფეს, კვლავ მოუხდებოდა ცხოვრება ისეთი მეზობლის გვერდით, როგორიც იყო ნაპოლეონი.

. ავსტრიას არ ჰქონდა ყველა ის მოტივები, რაც აწუხებდა ინგლისს, ალექსანდრე I და ფრიდრიხ-ვილჰელმს, რომლებიც ფიქრობდნენ - თუ კოალიციამ ნაპოლეონი ისეთ ტახტზე დატოვა, მაშინ 1812 და 1813 წლების სისხლისღვრა სრულიად უნაყოფოდ ჩაიელისო.

მეტერნიხს სურდა, რომ ევროპაში დარჩენილიყო ნაპოლეონი, რომელიც ავსტრიისთვის უკვე აღარ იქნებოდა საშიში, მაგრამ მეტად არასასურველი იყო რუსეთისათვის, როგორც ავსტრიის შესაძლებელი მოკავშირე. იყო კიდევ ერთი მოტივი... "სულმდაბალი ბრბო ნაპოლეონს ეხმარება!" — იტყობინებოდნენ პარიზიდან ბურბონთა და მოკავშირეთა მზვერავები, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ მუშათა გარეუბნების განწყო-

ბილებას, სადაც სულ უფრო და უფრო იზრდებოდა ზიზღი ინტერვენციისა და ბურბონების რესტავრაციის იდეისადმი. მეტერნიხს მუდამ ეგონა, რომ თუ ვინმეს შეეძლო ალაგმული ჰყოლოდა ეს საშიში რევოლუციური ძალა — ეს მხოლოდ ნაპოლეონი იყო.

მეტერნიხმა და ფრანც I კვლავ გადაწყვიტეს მოლაპარაკებოდნენ ნაპოლეონს. და მეტერნიხმა შესძლო დაეთანხმებინა ინგლისი, რუსეთი და პრუსია კვლავ შეეთავაზებინათ ნაპოლეონისათვის საზავო მოლაპარაკება შემდეგ პირობებში: ნაპოლეონი უარს ამბობს ყველა დაპყრობილ ქვეყანაზე (ისედაც დაკარგულზე) და წყვეტს ომს; მას რჩება საფრანგეთი იმ ფარგლებში, მცირედი ცვლილებებით რომელიც მან მიიღო ლუნევილის ზავით 1801 წელს.

მოკავშირე ხელმწიფეები ფრანკფურტში იმყოფებოდნენ. მეტერნიხმა მოიწვია წინათ ფრანკფურტში მყოფი და იქ შემორჩენილი დიპლომატი სენტ-ენიანი და ინგლისის წარმომადგენლის ლორდ ებერდინისა და რუსეთის წარმომადგენლის ნესელროდეს თანდასწრებით გამოაცხადა, რომ ის გამოთქვამს აგრეთვე პრუსიის კანცლერს ჰანდენბერგის აზრს. ნაპოლეონის დიპლომატს დაეკალა გამგზავრებულიყო იმპერატორთან და გადაეცა მოკავშირეთა საზავო პირობები.

1801 წლის ლუნევილის ზავი თავის დროზე იყო დიდი ძლევამოსილი ომის შედეგი, ე.ი. ნაპოლეონს რჩებოდა უდიდესი სახელმწიფო, რომელიც მან შექმნა 1801 წელს მარენგოსა და ჰოჰენლინდენთან ფრანგების გამარჯვების შემდეგ. უკვე უფრსკულის პირას, 1812 და 1813 წლების საშინელ კატასტროფათა შემდეგ, საფრანგეთის ტერიტორიაზე მოკავშირეთა უშუალო შემოჭრის საშიშროების წინ, მოულოდნელად გამოჩნდა გადარჩენის საშუალება. იმპერატორი რჩებოდა პირველ ხარისხოვანი სახელმწიფოს მფლობელად. სენტ-ენიანი ჩავიდა პარიზში 1813 წლის 14 ნოემბერს, მოკავშირე სახელმწიფოთა წინადადებით. ნაპოლეონს არ სურდა მაშინვე გამოეთქვა თავისი აზრი, ის გატაცებული იყო ახალი გაწვევისა და ახალი ომის სამზადისით. უნებურად, ზოგიერთი შენიშვნით, ის დათანხმდა მოლაპარაკების დაწყებაზე, ამავე დროს კიდევ უფრო გააძლიერა ენერგია ახალი არმიის შესაქმნელად.

"მაცალეთ, მაცალეთ, — ელაპარაკებოდა ის თავის თავს და განუწყვეტლივ ბოლთას სცემდა თავის კაბინეტში — თქვენ მალე გაიგებთ, რომ მე და ჩემს ჯარისკაცებს არ დაგვიწყებია ჩვენი ხელობა. ჩვენ დაგვამარცხეს ელბასა და რაინს შუა, ჩვენ დაგვამარცხეს ღალატით... მაგრამ რაინსა და პარიზს შუა მოღალატეები არ იქნებიან"

ეს სიტყვები მთელს საფრანგეთსა და ევროპას მოედო. ვინც კი იცნობდა ნაპოლეონს, არავის არ სჯეროდა მოკავშირეთა სამშვიდობო წინადადების წარმატება.ყოველდღე სულ ახალ-ახალი ჯარის ნაწილები ცხადდებოდნენ იმპერატორის წინაშე, რომლებსაც ის გამომცდელი თვალით ზომავდა. ისინი იგზავნებოდნენ აღმოსავლეთით, რაინისაკენ. დიდი ტრაგედიის დასასრული ახლოვდებოდა.

ომი საფრანგეთში და ნაპოლეონის პირველი გადადგომა

(1814)

ნაპოლეონი 1814 წელს, ისე როგორც 1813 წელს ევროპის წინააღმდეგ ბრძოლის დროს, მთელ თავის იმედს ამყარებდა იარაღზე და მხოლოდ იარაღზე. მაგრამ მან იცოდა, რომ ახლა, ლაიპციგის შემდეგ საფრანგეთში მტრის შემოჭრის მოლოდინში, არავითარი შესაძლებლობა არ ჰქონდა ისე მოქცეულიყო, როგორც 1813 წლის აგვისტოში, როდესაც მან სრულიად შეგნებულად და გეგმიანად ჩაშალა პრაღის მოლაპარაკება. მაშინ მას აძლევდნენ არა მარტო საფრანგეთს, არამედ ყველა დაპყრობილ ქვეყანას, ილირიის, ჰანზის ქალაქებისა და გერმანიის ზოგიერთი ქვეყნის გარდა, უტოვებდნენ აგრეთვე ყველა უფლებასა და ხარისხს, გარდა რაინის კავშირის პროტექტორატისა, მაგრამ მან ჩაშალა ეს მოლაპარაკება, ვინაიდან ფიქრობდა ერთის დაკვრით გაენადგურებინა მოწინააღმდეგეთა კოალიცია.

ახლა, რა თქმა უნდა, წინადადებები უარესი იყო. მაგრამ მან მაინც იცოდა, რომ გლეხობა და მუშები, საკაჭრო და სამრეწველო ბურჟუაზია, მის მიერ შექმნილი ვეებერთელა ბიუროკრატიული ფენა საზოგადოებისა და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, არმიის მეთაურები, მარშლები – ერთი სიტყვით, მთელი ხალხი, ყველა კლასი, ერთეულების გამოკლებით, მოქანცული იყო ომებით და სწყუროდა მშვიდობიანობა, ამიტომ მან აშკარად ვერ უარყო ზავის ის წინადადება, რომელიც სენტ-ენიანმა ფრანკფურტიდან პარიზში მოიტანა, და მთელი ორი თვის განმავლობაში თავი ისე ეჭირა, თითქოს მასაც სურდა ზავი, მაგრამ ყოველგვარი საშუალებებით აჭიანურებდა საქმეს.

ის გარეგნულად ისეთ შთაბეჭდილებას აქმნიდა, თითქოს ახალწვეულებს აგროვებდა არა ომისათვის, არამედ თავისი სამშვიდობო განზრახვების განსამტკიცებლად. "ჩემის მხრით არაფერი არ აბრკოლებს მშვიდობიანობის აღდგენას" — ამბობდა ის თავის სიტყვაში სენატის წინაშე 1813 წლის 19 დეკემბერს. — მე ვიცი და ვიზიარებ ფრანგების გრძნობებს, — მე ვლაპარაკობ, ფრანგების, ვინაიდან მათ შორის არ არის არც ერთი, რომელსაც სურდეს ღირსების შემბღალავი ზავი. მე გულის წუხილით მოვითხოვ ამ კეთილშობილი ხალხისაგან ახალ-ახალ მსხვერპლს; მაგრამ ეს მსხვერპლი ნაკარნახევია ქვეყნის ყველაზე ძვირფასი და კეთილშობილი მიზნებით. მე იძულებული ვიყავი გამეძლიერებინა არმია მრავალი გაწვევით; ერები მხოლოდ მაშინ აწარმოებენ მოლაპარაკებას ისე, რომ მათ საფრთხე არ ელოდეთ, როცა ისინი მთლიანად გაშლიან თავის ძალებს".

აშკარა იყო, რომ მას ზავი არ სურდა. "დაე, მომავალმა თაობამ არა თქვას ჩემზე: მათ გასწირეს ქვეყნის უპირველესი ინტერესები, მათ მიიღეს კანონები, რომელთაც ინგლისი ამაოდ ცდილობდა თავზე მოეხვია საფრანგეთისთვის".

ასე დაამთავრა მან თავისი სეფესიტყვა იმ საზავო წინადადების პასუხად, რომელიც ერთი თვის წინათ წამოაყენეს მეომარმა სახელმწიფოებმა.

ას ათი ათასი წვევამდელი იქნა გაწვეული 1813 წლის დეკემბერში. კიდევ ახალი გაწვევა მზადდებოდა. იანვარში მოვიდა ცნობა, რომ მტრის არმიებმა უკვე გადმოლახეს რაინი და შემოსევა ვითარდებოდა ელზასსა და ფრანშკონტეზე, რომ ველინგტონი სამხრეთში ესპანეთიდან გადადის პირენეიზე და შემოჭრას აპირებს სამხრეთ საფრანგეთში...

"მე არ მეშინია ვაღიარო, — უთხრა იმპერატორმა შეკრებილ სენატორებს, რომელნიც მან დანიშნა, რათა მათ საფრანგეთი შემოევლოთ, — მე არ მეშინია ვაღიარო, რომ ძალიან ბევრი ვიომე; მე დავსახე უდიდესი გეგმები, მინდოდა უზრუნველმეყო საფრანგეთის ბატონობა მსოფლიოზე. მე შევცდი: ეს გეგმები არ იყო შეფარდებული ჩვენი მოსახლეობის რიცხობრივ ძალასთან. საჭირო იყო მთელი მოსახლეობის იარაღქვეშ დაყენება, მაგრამ მე ვაღიარებ, რომ საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების პროგრესი, ზნე-ჩვეულებათა გასათუთება საშუალებას არ იძლევა მთელი მოსახლეობა ჯარისკაცებად იქცეს".

თუ ნაპოლეონის ბრძანებლობის პერიოდში არ გადაჩვეოდნენ მატყვეელების ნიჭით სარგებლობას, უნდა ეთქვათ იმპერატორისთვის, რომ იგი მორცხვობდა, რომ მთელი ერი, ქალების, ბავშვების და მოხუცების გარდა,

მან უკვე გადააქცია ჯარისკაცებად. "მე შევცდი და მე უნდა ვიტანჯო კიდეც, — განაგრძობდა იმპერატორი, — საფრანგეთს არაფერი არ დაუზოგავს, მან მე გულუხვად მომცა თავისი სისხლი. მას უარი არ უთქვამს ჩემთვის არც ერთ მსხვერპლზე".

ნაპოლეონი თავის მხრით მსხვერპლის გაღებად თვლიდა იმას, რომ ზავს დებდა და უარს ამბობდა უდიდეს "პატივმოყვარეობაზე, როგორიც კი ოდესმე არსებულა. ჩემი ხალხის ბედნიერებისათვის მე მსხვერპლად მოვიტან ჩემს დიდებას, რომლის მოპოვება შეიძლება მხოლოდ ისეთი საშუალებით, რომელთაც არ მინდა კიდევ მივმართო".

იშვიათად ულაპარაკნია ნაპოლეონს ისეთი გულახდილობით, როგორც მაშინ. მაგრამ სენატორების მას ძალიან ცოტა სჯეროდა. დღევანდელი მონები, ხვალინდელი მოღალატენი, — აი რა შეხედულება ჰქონდა ნაპოლეონს მათ შესახებ. ტალეირანის ღალატში მას უკვე ეჭვი არ ეპარებოდა. ჯერ კიდევ ლაიპციგის შემდეგ 1813 წლის ნოემბერში პარიზში დაბრუნებისთანავე ერთ-ერთ საერთო მიღებაზედ ის შეჩერდა ტალეირანის ახლოს. "თქვენ რა გინდათ აქ? — უყვირა მას, — მიფრთხილდით: ვერაფერს ვერ გახდებით ჩემ ძლევამოსილებასთან ბრძოლით. მე თქვენ გიცხადებთ: სულთმობრძავი, ავადმყოფიც რომ ვიყო, თქვენ მაინც ჩემზე ადრე მოკვდებით".

მაგრამ მან არ დაასვრეტინა ტალეირანი, რისაც კარგა ხნის განმავლობაში ეშინოდა ძველ დიპლომატს. 1814 წლის იანვარში ნაპოლეონმა წინადადებაც კი მისცა მას კოლენკორთან ერთად გამგზავრებულიყო მოლაპარაკებაზე და რისხვით მოუღერა მუშტი, როდესაც ტალეირანმა უარი განაცხადა.

არც ფუშეს ენდობოდა ის, მაგრამ ბოლო დროს მას აღარც მარშლებისა სჯეროდა. ის ენდობოდა მხოლოდ ჯარისკაცებს, მხოლოდ არა იმ სრულიად ნორჩ ბავშვებს, რომლებიც მან უკანასკნელო ორი წლის განმავლობაში მოსწყვიტა ოჯახებს, არამედ ძველ ნამსახურებს. მაგრამ ძალიან ცოტაღა დარჩნენ ისინი. მათი ძვლები გაფანტული იყო რომისა და მადრიდის ახლოს, იერუსალიმის მიდამოებში, მოსკოვსა და ბერეზინას შორის და ლაიპციგთან. ის სასწრაფოდ თავს უყრიდა გადარჩენილ ძველ ჯარისკაცებს ესპანეთიდან, პოლონეთიდან და იტალიიდან. მას მაინც ბრძოლები სწადდა და არა მშვიდობიანი მოლაპარაკება.

ახლა, უკვე ორი თვით საქმის გაჭიანურებისა და საფრანგეთის ტერიტორიაზე შემოჭრის შემდეგ, მოკავშირენი დარწმუნდნენ, რომ საფრანგეთი მეტისმეტად მოღლილია, რომ ახალწვეულთა შორის ფართოდ არის გავრცელებული დეზერტირობა და საბოლოოდ გადაწყვიტეს შესთავაზონ

ნაპოლეონს საფრანგეთის ის საზღვრები, რომლებიც 1790 წელს ჰქონდა ამ ქვეყანას, ე.ი. ბელგიის, ჰოლანდიისა და საოის გარეშე, აგრეთვე რაინის მარჯვენა ნაპირის იმ ნაწილის გარეშე, რომლებიც შემოერთებულ იქნა რევოლუციური ომების ეპოქაში. ეს იყო იმაზე ნაკლები, რასაც იძლეოდნენ 1813 წლის ნოემბერში. ამ ახალ საზავო პირობებზე ყველანი თანახმა იყვნენ, თვით ლორდი კესტლერიც კი, რომელიც მოკავშირეთა მთავარ ბანაკში ჩამოვიდა.

სამშვიდობო კონგრესი შატილიონში შეიკრება 1814 წლის 5 თებერვალს, გაცხარებული ბრძოლების დროს. რა თქმა უნდა, ამ მოლაპარაკებიდან არა გამოვიდა რა.

"მე ისე აღელვებული ვარ იმ საზიზღარი პროექტით (საზავო ხელშეკრულების პროექტით), რომელიც თქვენ გამომიგზავნეთ, რომ უკვე პატივაყრილად მიმაჩნია თავი მარტო იმით, რომ ჩვენ ის შემოგვთავაზეს" — სწერდა ნაპოლეონი თავის წარმომადგენელს შატილიონის კონგრესზე — კოლენკურს, რომელიც ატყობინებდა მას, რომ ეს არის ერთადერთი და უკანასკნელი საშუალება საიმპერატორო ტახტის შენარჩუნებისა და მოკავშირეთა ჯარების მეშვეობით ბურბონთა გამეფების თავიდან ასაცილებლადო. "თქვენ სულ ბურბონების შესახებ ლაპარაკობთ: მაგრამ მე მირჩევნია ვხედავდე საფრანგეთში ბურბონებს უფრო გონიერული ზავის პირობებში, ვიდრე მივიღო ის აღმაშფოთებელი პირობები, რომელთაც თქვენ მიგზავნით".

ომს და მხოლოდ ომს უნდა გადაეჭრა ყოველივე. შატილიონის კონგრესმა არაკითარი შედეგი არ გამოიღო და დაიშალა. ეს იყო დაძაბული სასტიკი ბრძოლის დროს, რომელსაც აწარმოებდა ნაპოლეონი მოკავშირეთა წინააღმდეგ.

1814 წლის 25 იანვარს ის გამოემშვიდობა ცოლსა და პაწია შვილს, რომელიც მას ამის შემდეგ აღარასოდეს აღარ უნახავს, და პარიზიდან გაემგზავრა არმიაში.

ახალწვეულთა მომზადება დამთავრებული არ იყო. გაწვევა გრძელდებოდა. ნაპოლეონსა და მის მარშლებს ომისათვის მომზადებული აღმოაჩნდათ სულ ორმოცდაშვიდი ათასი კაცი, საფრანგეთში შემოჭრილ მოკავშირეებს კი ჰყავდათ დაახლოებით ორას ოცდაათი ათასი კაცი და თითქმის ამდენივე სხვადასხვა გზით მოდიოდა მათ დასახმარებლად. მარშლები თითქმის ყველანი — თვით ნეიც დაეცნენ სულით. მარტო იმპერატორი იყო მხნედ და მხიარულად და ცდილობდა ყველასათვის შთაენერგა სიმხნეევ. "ის იყო მხიარული და უფრო ახალგაზრდად გამოიყურებოდა" — გადმოგვცემენ მნახველნი.

ჩავიდა თუ არა ვიტრიში მეორე დღეს, 26 იანვარს, ნაპოლეონმა შემოიკრიბა მარშლები, სენ-დიზიედან განდევნა ბლუხერის ნაწილები, იქედან გაზვერა ბლუხერის კორპუსის მოძრაობა, დაძრა თავისი ძალები ამ კორპუსისა და ოსტენ-საკენის რუსთა კორპუსის წინააღმდეგ და 31 იანვარს ბრიენში შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ კვლავ მოიპოვა გამარჯვება. ამან არაჩვეულებრივად გაამხნევა ნაპოლეონის ჯარისკაცები, რომელნიც ძალიან სასოწარკვეთილნი იყვნენ.

დამარცხებული ბლუხერი დაუყოვნებლივ გაეშურა ბარ-სიუს-ობისაკენ, სადაც თავმოყრილი იყო შვანცენბერგის მთავარი ძალები. მოკავშირეებს ას ოცდაორი ათასი ჯარისკაცი ჰყავდა შომონსა და ბარ-სიუს-ობს შუა.

ნაპოლეონს ამ დროისათვის ჰყავდა ოცდაათ ათასზე ცოტათი მეტი; მაგრამ მან გადაწყვიტა არ დაეხია და ბრძოლაში ჩაბმულიყო.

ბრძოლა ლა-როტიერთან 1 თებერვალს დილაადრიან დაიწყო და ათ საათამდე გაგრძელდა. ნაპოლეონი ამ ბრძოლის შემდეგ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გავიდა მდინარე ობზე და 3 თებერვალს შევიდა ქალაქ ტრუაში.

ლა-როტიერთან გამართულმა ბრძოლამ მოგებული ბრძოლის შთაბეჭდილება შეუქმნა ფრანგებს, იმდენად ჩინებულად ჩაატარა ნაპოლეონმა დაცვა ოთხ-ხუთჯერ მეტი მტრის წინააღმდეგ; მაგრამ მდგომარეობა მაინც მეტად საშიში იყო. იმპერატორს ძალიან მცირე მაშველი ძალები და ისიც დაგვიანებით მოსდიოდა. ნეი, მაკდონალდი, ბერტიე და მარმონი იმ აზრისა იყვნენ, რომ იმპერატორის ტაქტის ერთ-ერთ ხსნას სამშვიდობო მოლაპარაკება წარმოადგენდა. და როდესაც გამოირკვა, რომ შატილიონის კონგრესი უშედეგო იქნებოდა, ისინი სრულიად დაეცნენ სულით.

მაგრამ ნაპოლეონის ენერგია მატულობდა საშიშროების ზრდასთან ერთად. ჯერ კიდევ 1812 წელს ამჩნევდნენ მარშლები ნაპოლეონის ნაწილობრივ მოდუნებას, მის მოლლას და მისი სამხედრო გენიის შესუსტებას. მაგრამ ახლა 1814 წლის თებერვალ-მარტში, მათ თავიანთი თვალების აღარ სჯეროდათ: მათ წინ იყო ისევ გენერალი ბონაპარტი, იტალიისა და ეგვიპტის ახალგაზრდა გმირი. ის ამხნევებდა მარშლებს, ჯარისკაცებს, ამშვიდებდა პარიზში დარჩენილ მინისტრებს. 10 თებერვალს, რამდენიმე სწრაფი გადასვლის შემდეგ, ის თავს დაესხა შამპობერთან დაბანაკებულ ოლსუფიევის კორპუსს და სასტიკად დაამარცხა იგი. ათას ხუთასზე მეტი ჯარისკაცი გაჟლიტა და დაახლოებით სამი ათასი (თვით ოლსუფიევთან ერთად) ტყვედ წაიყვანა. დანარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს.

ნაპოლეონმა საღამოს უთხრა თავის მარშლებს: "თუ მე ხვალაც ასეთი ბედნიერი ვიქნები, როგორც დღეს, ორ კვირაში გავრეკავ მტერს რაინთან, რაინიდან ვისლამდე კი ერთი ნაბიჯია".

მეორე დღეს ის მიბრუნდა შამპობერიდან მონმირაილისაკენ, სადაც რუსები და პრუსიელები იდგნენ. 11 თებერვალს მონმირაილის ბრძოლა ნაპოლეონის ახალი ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. მოწინააღმდეგემ დაკარგა ოცი ათასი კაციდან რვა ათასამდე, ნაპოლეონმა კი ათასზე ნაკლები. მოკავშირენი აჩქარებით სტოვებდნენ ბრძოლის ველს. ნაპოლეონი დაუყოვნებლივ გაეშურა შატო-ტიერისაკენ, სადაც იდგნენ დაახლოებით თვრამეტი ათასი პრუსიელი და ათი ათასამდე რუსი ჯარისკაცი. ნაპოლეონს მოაგონდა თავის ელვისებური გამარჯვებანი 1796 წელს და წამოიძახა: "მე ვიპოვე ჩემი იტალიის კამპანიის ჩექმები".

სამხედრო კრიტიკოსების აზრით, 1814 წლის კამპანია ნაპოლეონის ეპოპეის უშესანიშნავესი ნაწილია სტრატეგიული შემოქმედების თვალსაზრისით.

შატო-ტიერთან ბრძოლა 12 თებერვალ კვლავ ნაპოლეონის ახალი დიდი გამარჯვებით დამთავრდა. მარშალ მაკდონალდის შეცდომით დაგვიანებას ხელი რომ არ შეეშალა, საქმე მებრძოლ მოკავშირეთა სრული განადგურებით დამთავრდებოდა. 13 თებერვალს ბლუხერმა დაამარცხა და უკუაქცია მარშალი მარმონი. მაგრამ 14 თებერვალს მარმონის დასახმარებლად მისულმა ნაპოლეონმა ხელმეორედ დაამარცხა ბლუხერი ვოშანთან ბრძოლაში. ბლუხერმა დაკარგა ცხრა ათასამდე კაცი. ნაპოლეონს დამატებით მოსდიოდა ახალი ძალები, მოკავშირენი კი ზედიზედ მარცხდებოდნენ. და იმპერატორის მდგომარეობა მაინც კრიტიკული იყო: მოკავშირეებს გაცილებით მეტი ძალები ჰყავდათ. ვიდრე მას. მაგრამ ნაპოლეონის ამ მოულოდნელმა, ყოველდღიურმა გამარჯვებებმა იმდენად შეაშფოთეს მოკავშირენი, რომ შვანცენბერგმა, რომელიც მოკავშირეთა მთავარსარდლად ითვლებოდა, ნაპოლეონის ბანაკში გაგზავნა ადიუტანტი დროებითი ზავის თხოვნით. ფრანგების ორმა ახალმა გამარჯვებამ მორმანთან და ვილნევთან აიძულეს მოკავშირეები გადაედგათ ეს მოულოდნელი ნაბიჯი და ეთხოვათ შერიგება. ნაპოლეონმა შვანცენბერგის მოციქულს უარი უთხრა პირად მიღებაზე, წერილი კი მიიღო, მაგრამ ჰასუხი გადადო.

"მე წავიყვანე ოცდაათ-ორმოც ათასამდე ტყვე, ხელთ ვიგდე ორასი ზარბაზანი და მრავალი გენერალი" — სწერდა ის კოლენკურს და ამასთანავე დახძენდა, რომ კოალიციას იმ შემთხვევაში შეურიგდებოდა თუ საფრანგეთს დარჩებოდა თავისი "ბუნებრივი საზღვრები" (რაინი, ალპები, პირენეი). დროებით ზავზე ის არ დათანხმდა.

18 თებერვალს კვლავ გაიმართა ახალი ბრძოლა მონტეროსთან და მოკავშირეებმა კვლავ დაკარგეს სამი ათასი დაჭრილ-დახოცილი, ოთხი ათასი ტყვედ და უკუგდებულ იქნენ.

ნაპოლეონმა, თავის მოწინააღმდეგეთა მეთვალყურეებისა და მემუარისტების შეფასებით, 1814 წლის ამ თითქოს უიმედო კამპანიაში თავის თავს გადააჭარბა. მაგრამ ჯარისკაცები მას ცოტა ჰყავდა, მარშლები კი (ვიქტორი, ოჟერო) მთელ რიგ შეცდომებს უშვებდნენ, ისინი მეტისმეტად დაღლილი იყვნენ. ამიტომ ნაპოლეონმა ვერ შეძლო გამოეყენებინა თავისი იმ მომენტში მოულოდნელი და ბრწყინვალე გამარჯვებანი. ნაპოლეონი მრის ხანედ და მოუთმენლად უსაყვედურებდა თავის მარშლებს და აჩქარებდა მათ: "რა უბადრუკი გასამართლებელი საბუთები მოგყავთ, ოჟერო! მე გავანადგურე ოთხმოცი ათასი მტერი ახალწვეულებით, რომლებიც თითქმის შიშვლები იყვნენ; თუ თქვენ თქვენი სამოცი წელი გამძიმებთ, გადააბარეთ სარდლობა"... "იმპერატორს არასგზით არ სურდა გაეგო, რომ ყველა მისი ხელქვეითი ნაპოლეონი არ იყო" — ამბობდა შემდეგ ერთ-ერთი მისი გენერალთაგანი, როცა იგონებდა იმ დროს.

შვანცენბერგმა შეკრიბა სამხედრო საბჭო. ჰკითხეს იმპერატორ ალექსანდრეს, პრუსიის მეფეს და ავსტრიის იმპერატორს მათი აზრი და გადაწყვიტეს კვლავ ზავის წინადადებით მიემართათ ნაპოლეონისთვის.

ნაპოლეონთან გაგზავნეს ავსტრიის ერთ-ერთი ყველაზე შეძლებული თავადთაგანი, ლიხტენშტეინი, ახალი წინადადებით ახალი ზავის შესახებ. აშკარა იყო, რომ მოკავშირენი ძლიერ იყვნენ შეშფოთებულნი და ზოგიერთ მათგანს მართლაც ძალიან სურდა ომის საჩქაროდ დამთავრება.

ამჯერად ნაპოლეონმა პირადად მიიღო კოალიციის წარმომადგენელი. ლიხტენშტეინი მეტად შემარიგებლად ლაპარაკობდა, არწმუნებდა ნაპოლეონს, რომ მოკავშირეებს ნამდვილად სურთ მორიგება და განზრახვა არა აქვთ აღადგინონ ბურბონები საფრანგეთის ტახტზე. მაგრამ ამ შეხვედრიდანაც არა გამოვიდა რა. ნაპოლეონი თავის ბრწყინვალე გამარჯვებათა გაელენით ფიქრობდა, რომ გაანადგურა მოკავშირეთა ჯარების ნახევარი (ოთხმოცი ათასი ორასიდან) და სრული იმედი ჰქონდა თავისი სრულქმნილი სამხედრო ხელოვნებისა, რომლის საშუალებითაც კვლავ და კვლავ ამარცხებდა უძლიერეს მტერს.

პარიზიდან ტალეირანი და სხვები კარგა ხანია გაძლიერებულ საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებდნენ მოკავშირეებთან ბურბონების აღდგენის შესახებ. მოკავშირეები მეტად თავშეკავებული იყვნენ ბურბონების მიმართ და მათგან ყველაზე უფრო შეურიგებელნიც კი (მაგალითად, ალექ-

სანდრე I) კმაყოფილი იქნებოდნენ ნაპოლეონის სამი წლის შვილის გამეფებითაც, ოღონდ თვითონ ნაპოლეონი გადამდგარიყო ტახტიდან. მაგრამ ახლა, ამ მოულოდნელ თებერვლის გამარჯვებათა შემდეგ, იმპერატორის გადადგომაზე არაფერს ამბობდნენ.

ერთმა ფრანგმა არისტოკრატმა, ძველმა ბარონმა დე-გუომ, ქ. ტრუადან, პეტიცია მიართვა ალექსანდრეს, რომელშიაც ის ბურბონებისათვის დახმარებას ითხოვდა. ალექსანდრემ უპასუხა, რომ მოკავშირეებს ჯერ არაფერი დაუდგენიათ ბონაპარტის დინასტიის ბურბონების დინასტიით შეცვლის შესახებო და გააფრთხილა პეტიციონერები (გუო მარტო არ იყო) ისეთი საშიში ნაბიჯისაგან, როგორიც მათი პეტიცია იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ნაპოლეონი ქალაქ ტრუაში შევიდა, გუო დააპატიმრეს, გადასცეს სამხედრო-საველე სასამართლოს და იგი დახვრეტილ იქნა. ცოტა უფრო გვიან ალექსანდრე I გაკვირვებით ლაპარაკობდა, რომ საფრანგეთის არც ერთ სოფელში არ შეუმჩნევია მას ნაპოლეონისაგან განთავისუფლების სურვილი. პირიქით, ვოგეზის მთების, ლოტარინგიის, სამხრეთის და იურის გლეხები თავს ესხმოდნენ მოკავშირეთა ჩამორჩენილ ჯარისკაცებს და გარკვეულ ზიზღს გამოთქვამდნენ შემოჭრილი მტრისადმი. ასეთი განწყობილება გამოწვეული იყო იმით, რომ რუსებისა და პრუსიელების ჯარისკაცები სძარცვავდნენ გლეხების ქონებას (ავსტრიელებზე ნაკლებად ჩიოდნენ) და აგრეთვე შიშით, რომ მოკავშირეებს "თავიანთი ფურგონებით" თან მიჰყავდათ ბურბონთა დინასტია და მიჰქონდათ ძველი, რეოლუციამდე არსებული სენიორული წესები. ნაპოლეონმა მალე იგრძნო ეს. "საჭიროა 1793 წლის თავდადებით ბრძოლა" — სწერდა ის მარშლებს.

მაგრამ, დამარცხებათა მიუხედავად, მოკავშირეები ჯერ კიდევ არ ეცემოდნენ სულით. ძალიან ბევრი რამ იყო განწირული. თითქმის უკვე დაღუპული ნაპოლეონის ამ მოულოდნელმა გამარჯვებებმა საგონებელში ჩააგდო ისინი: რა იქნება, რომ ეს კაცი, რომელსაც ყველანი მსოფლიო ისტორიის უპირველეს სარდლად თვლის, ტახტზე დარჩეს, დაისვენოს და შემოიკრიბოს ახალი ძალები? ვინ გაუმკლავდება მას მაშინ, ერთი ან ორი წლის შემდეგ?

მარტის დასაწყისში იმპერატორს უკვე სამოცდათხუთმეტ ათასზე მეტი ჯარისკაცი ჰყავდა. აქედან ორმოცი ათასი მან უკუქცეულ შვანცენბერგის საფარად დაყენა, ხოლო ოცდათხუთმეტი ათასით დაედევნა ბლუხერს, რომელიც დაღუპვას გადაურჩა კომენდანტ სუასონის დაუდევრობის გამო, რომელმაც ქალაქი ჩააბარა მტერს.

ბლუხერი ტყვეობას გადაურჩა, მაგრამ ბრძოლის ველს ვერ დააღწია თავი. ნაპოლეონი დაეწია მას კრაონთან და იქ დაამარცხა. დიდი დანაკარგების შემდეგ ბლუხერი გაიქცა ქალაქ ლაონისაკენ. ნაპოლეონის ცდები — გამოეგდო ის ლაონის პოზიციებიდან (9 და 10 მარტს) უშედეგო იყო. ბლუხერი მან დროებით ჩამოიშორა, თუმცა ვერ შეძლო, როგორც ეს ქონდა განზრახული, მისი საბოლოოდ განადგურება. მაგრამ ამ დროს მარშლები უდინო და მაკდონალდი, რომელთაც ნაპოლეონმა მისცა ორმოციათასიანი ჯარი და უბრძანა თვალყური ედევნებინათ ავსტრიის მთავარსარდალ შვანცენბერგისათვის, უკუგდებულ იქნენ პროვანსის რაიონში.

9 მარტს ქალაქ შომონში მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა დადეს ახალი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ისინი კისრულობდნენ ვალდებულებას, ჯერ ერთი მოეთხოვათ ნაპოლეონისათვის, რომ საფრანგეთი დაბრუნებოდა 1792 წლის საზღვრებს და რომ მას სავსებით გაენთავისუფლებინა ჰოლანდია, იტალია, ესპანეთი, შვეიცარია, გერმანიის ყველა სახელმწიფო, ხოლო მოკავშირეებს არ დაეყარათ იარაღი, ვიდრე ამ მიზანს არ მიაღწევდნენ. მეორე: რუსეთი, ავსტრია და პრუსია ვალდებულებას იღებდნენ ამ მიზნის განსახორციელებლად გამოეყვანათ თითოეულს ას ორმოცდაათი ათასი კაცი, დიდი ბრიტანეთი კი ვალდებული იყო ეხადა ყოველწლიული სუბსიდია მოკავშირეებისათვის წელიწადში ხუთი მილიონი სტერლინგის რაოდენობით.

მოკავშირეებმა დაახლოებითაც კი არ იცოდნენ, როდის და როგორ შესძლებდნენ ნაპოლეონის გააფთრებული წინააღმდეგობის დაძლევას, ნაპოლეონისა, რომელსაც კვლავ გაგონებაც კი არ სურდა იმპერიის იმ საზღვრებზე, რომელთაც მას სთავაზობდნენ.

ამავე დროს მისი მარშლები მარცხს განიცდიდნენ. სამხრეთით ველინგტონი ინგლისელებით პირდაპირ ბორდოზე მოდიოდა, მან გადმოლახა პირენეი და უკუაქცია სულტი დ' სუშე. შვანცენბერგი წარმატებით იბრძოდა მაკდონალდისა და უდინოს წინააღმდეგ.

ნაპოლეონმა ლაონის ბრძოლის შემდეგ არც თვითონ დაისვენა და არც ჯარი დაასვენა, თავს დაესხა რეიმსში შემოსულ რუს-პრუსიელთა თხუთმეტ ათასიან ჯარს, რომელსაც სარდლობდა რუსების გენერალი გრაფი სენ-პრი (წარმოშობით ფრანგი, რომელიც რევოლუციის დროს გაიქცა მისი ქვეყნიდან). რეიმსთან ომი (13 მარტს) დამთავრდა რუსეთ-პრუსიელთა რაზმის ნახევრად განადგურებით და თვითონ სენ-პრის სიკვდილით.

მაგრამ ყველა ამ ახალ გამარჯვებას არაფრის შეცვლა აღარ შეეძლო, რაკი მოკავშირეებმა მტკიცედ გადაწყვიტეს არ შეეცვალათ თავიანთი პი-

რობები, ხოლო ნაპოლეონმა ასეთივე სიმტკიცით გადაწყვიტა არ მიეღო ეს პირობები: უმჯობესია დაიკარგოს ყველაფერი, დაიკარგოს ტახტიც, ვიდრე მიიღოს იმპერია ძველ საზღვრებში.

როდესაც კოლენკურმა, რომელიც ნაპოლეონის ბრძანების თანახმად ყოველმხრივ აჭიანურებდა სამშვიდობო კონგრესის სხდომებს შატილიონში, ინგლისის, რუსეთის, პრუსიისა და ავსტრიის წარმომადგენლებს გამოუცხადა, რომ ნაპოლეონი საბოლოოდ უარყოფს მათ პირობებს და მოითხოვს, რომ მის იმპერიაში კვლავინდებურად შედიოდნენ რაინის მარცხენა ნაპირი, ქალაქები, კელნი და მაინცი, ანტვერპენი და ფლანდია, საოია და ნიცა, — მოლაპარაკება შეწყვეტილ იქნა.

17 მარტს მოკავშირეთა ბანაკში ჩამოვიდა და ალექსანდრემ მიიღო ბურბონების აგენტი და ტალეირანის ემისარი გრაფი ვიტროლი. ვიტროლმა მოახერხა პარიზიდან გაპარვა, ნაპოლეონის ჯარისა და რუსის ავანპოსტების გავლით მიაღწია მოკავშირეთა ბანაკს და მიუტანა მათ ცნობა ტალეირანისაგან, რომ მოკავშირეებმა უნდა ისწრაფონ პარიზისაკენ და არ უნდა სდიონ ნაპოლეონს, რომ პარიზში მათ უკვე მოელიან და საკმაოა მათი გამოჩენა, რომ მაშინვე დაამხონ ნაპოლეონი და აღადგინონ ბურბონები ლუდოვიკ XVIII-ის სახით. (ეს სახელი უკვე წინასწარ მიიკუთვნა პროვანსის გრაფმა, რევოლუციის დროს სიკვდილით დასჯილი მეფის ლუდოვიკ XVI-ის ძმამ).

ვიტროლის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მან გაიგო ალექსანდრე I აზრი, რომ მას, მართალია, მტკიცედ სურს ნაპოლეონის დამხობა, მაგრამ მოკავშირეები სრულიადაც არ სცნობენ საჭიროდ ჩაერიონ საფრანგეთის შინაურ საქმეებში და გადაწყვიტონ მემკვიდრეობის საკითხი და რომ მას თვითონაც, რუსეთის მეფეს, სრულიადაც არ მიაჩნია ცუდ შედეგად თუნდაც რესპუბლიკა.

ვიტროლი თავის ყურს არ უჯერებდა, როდესაც ეს გაიგონა. "ღმერთო სადამდის მივედით", — ამბობდა ის შემდეგ ამ შეხვედრის აღწერის დროს. მაგრამ ტალეირანის ხელმოუწერელი და განზრახ უვიცად დაწერილი რჩევა, რომელიც გადასცა ვიტროლმა, ალექსანდრემ სიამოვნებით მიიღო ცნობად. ამ რჩევით ტალეირანი თავის თავს საფრთხეს უქმნიდა, ვინაიდან ვიტროლი შეიძლებოდა შეეპყროთ ნაპოლეონის ჟანდარმებს და ამ წერილის საშუალებით, მიუხედავად ხელის გამოცვლისა და გრამატიკული შეცდომებისა, მაინც მიაგნებდნენ ავტორს. ტალეირანი დაჟინებით ურჩევდა ალექსანდრეს და მოკავშირეებს პირდაპირ პარიზზე წასულიყვნენ, თანაც ზურგში დაეტოვებინათ ჯერ კიდევ დაუმარცხებელი ნაპოლეონი. ტალე-

ირანი ფრთხილი მოლაპარაკე იყო და რისკი არ სჩვეოდა, მაგრამ კარგად იცოდა, რომ პარიზში და პარიზს გარეთ, როგორც ქალაქში, ისე ჯარში, გამეფებული იყო დაბნეულობა და უიმედობა.

20 მარტს მოხდა ბრძოლა არსი-სიურ-ობთან. ნაპოლეონს ამ ბრძოლის დასაწყისში ჰყავდა ოცდაათი ათასამდე კაცი, ხოლო მოკავშირეებს ბრძოლის დაწყებისას ორმოცი ათასი, ხოლო დაბოლოებისას ოთხმოცდაათი ათასი. თუმცა ნაპოლეონი თავის თავს გამარჯვებულად თვლიდა და მან მართლაც განდევნა მოწინააღმდეგე რამდენიმე პუნქტიდან. ომი თავის შედეგებით მაინც დაუმთავრებლად უნდა ჩაითვალოს: ნაპოლეონმა ვერ შესძლო უკან დასდევნებოდა შეანცენბერგს, ის უკანვე გადაკიდა მდინარე ობზე და ააფეთქა ხიდები. ნაპოლეონმა არსი-სიურ-ობთან ბრძოლაში დაკარგა სამი ათასი კაცი, მოკავშირეებმა ცხრა ათასამდე. მაგრამ ამჯერად ნაპოლეონმა ვერ შესძლო მოკავშირეთა ჯარების განადგურება.

მოკავშირეებს ეშინოდათ სახალხო ომის, საყოველთაო ამხეღრების, მსგავსად საფრანგეთის რევოლუციის გმირული დროისა, რამაც იხსნა საფრანგეთი ინტერვენციისა და ბურბონების აღდგენისაგან.

არსი-სიურ-ობთან ბრძოლის შემდეგ ნაპოლეონმა გადაწყვიტა ზურგიდან მოეარა მოკავშირეებისათვის და თავს დასხმოდა მათ რაინთან შემაერთებელ გზებს. მაგრამ მოკავშირეებმა საბოლოოდ გადაწყვიტეს პირდაპირ პარიზზე წასულიყვნენ. რუსი კაზაკების მიერ შემთხვევით ხელში ჩაგდებული წერილიდან, რომელსაც იმპერატორის მეუღლე მარია-ლუიზა და პოლიციის მინისტრი საკარი სწერდნენ ნაპოლეონს, ალექსანდრე დარწმუნდა, რომ პარიზში წინააღმდეგობის გაწევა მოსალოდნელი არ იყო და რომ მოკავშირეთა არმიის მისვლა პარიზში სწრაფად გადაწყვეტს საკითხს ნაპოლეონის დამხობის შესახებ.

მოკავშირეები საბოლოოდ დარწმუნდნენ ამაში პოცო-დი-ბორგოს გავლენით, რომელიც წარმოშობით კორსიკელი და ნაპოლეონის ძველი მოსისხლე მტერი იყო, ამიტომ ალექსანდრე I-ის მახლობელად და მეგობრად ითვლებოდა. არსი-სიურ-ობის ბრძოლის შემდეგ, როდესაც გამოირკვა, რომ ნაპოლეონს სურდა მოკავშირეების ზურგის განადგურება, პოცო-დი-ბორგომ მოკავშირეთა ბანაკში განაცხადა, რომ "ომის მიზანი პარიზშია; სანამ თქვენ შეტაკებებზე ფიქრობთ, თქვენ დამარცხებული იქნებით, ვინაიდან ნაპოლეონი მუდამ უკეთ იომებს, ვიდრე თქვენ და ამას გარდა თუმცა მისი არმია უკმაყოფილოა, მაგრამ ღირსების შენარჩუნებისათვის უკანასკნელ კაცამდე იბრძოლებს; ვიდრე ნაპოლეონი მასთან არის, რაგინდ შერყეული უნდა იყოს მისი სამხედრო ძლიერება, ის მაინც დიდია,

ძლიერ დიდი და მისი გენიის გამო ის მეტია, ვიდრე თქვენი ძლიერება. მაგრამ მისი პოლიტიკური ძლიერება განადგურებულია. დრო გამოიცვალა, უნდა ვეცადოთ ომი დავამთავროთ არა სამხედრო ხერხებით, არამედ პოლიტიკურით... შეეხეთ მხოლოდ თითით პარიზს და ბუმბერაზი ნაპოლეონი ჩამოგდებული იქნება; თქვენ ამით გასტეხთ მის ხმალს, რომლის ხელიდან გამოგლეჯაც არ ძალგიძთ".

პოცო-დი-ბორგო დარწმუნებული იყო, რომ ბურბონები ქვეყანას სრულიად დაეწყებული ჰყავდა, და ეს აზრი გააცნო მოკავშირეებს, რომლებმაც ეს უამისოდაც იცოდნენ. მოკავშირეები დასთანხმდნენ, რომ ნაპოლეონის ჩამოგდების შემდეგ ბურბონების აღდგენა "შესაძლებელი" იქნებოდა. ალექსანდრე I-ს რესპუბლიკის შესახებ ლაპარაკი უკვე აღარ მიაჩნდა საჭიროდ: ის ხედავდა, რომ ამ არასასიამოვნო თემაზე ლაპარაკის გარეშეც შეიძლებოდა ნაპოლეონისათვის ბოლოს ძოღება.

გადაწყდა ესარგებლათ იმით, რომ ნაპოლეონი შორს იყო (ის ზურგში უელიდა სწორედ იმისთვის, რომ შეეჩერებინა მტერი პარიზიდან მოშორებით) და პირდაპირ პარიზისკენ წასულიყვნენ იმ იმედით, რომ პარიზში ღალატი იჩენდა თავს, რის წყალობით საატანტო ქალაქი მათ ჩაბარდებოდა, ვიდრე იმპერატორი მოასწრებდა იქ მისვლას.

მათ გზას უღობავდნენ მხოლოდ მარშლები მარმონი და მორტიე და გენერლები პაქტო და ამე; მათ სულ ჰყავდათ ოცდახუთი ათას კაცამდე. ნაპოლეონი მთავარი ძალებით შორს იყო, მოკავშირეთა ზურგში. 25 მარტს ფერ-შამპენუაზესთან ბრძოლა მოკავშირეთა გამარჯვებით დამთავრდა. მარშლები პარიზისაკენ უკუაგდეს. მოკავშირეთა ასიათასიანი არმია მიადგა სატანტო ქალაქს.

29 მარტს დედოფალი მარია-ლუიზა მცირეწლოვანი მემკვიდრით, რომის მეფით, პარიზიდან ბლუაში გავიდა.

ფრანგებს პარიზის დასაცავად ჰყავდათ ორმოც ათასამდე კაცი. განწყობილება პარიზში პანიკური იყო, ჯარსაც სასოწარკვეთა ემჩნეოდა. ალექსანდრე I-არ სურდა პარიზთან სისხლისღვრა და საერთოდ სულგრძელი დამმარცხებლის როლს თამაშობდა. "პარიზი, მოკლებული დამცველებს და თავის დიდ ბელადს, ვერ შეძლებს წინააღმდეგობის გაწევას, მე ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული" უთხრა მეფემ მ.ფ. ორლოვს, როცა დაავალა მყისვე შეეწყვიტა ომი. როგორც კი შესაძლებელი გახდებოდა სატანტო ქალაქის მშვიდობიანი კაპიტულაცია. გაცხარებული ომი რამდენიმე საათს გრძელდებოდა; მოკავშირეებმა ამ საათებში დაკარგეს ცხრა ათასი კაცი, მათგან ექვსი ათასი რუსი. მაგრამ ტალეირანას გაკლენითა

და დამარცხების საშიშროების გამო მარშალმა მარმონმა 30 მარტის საღამოს 5 საათზე დაყარა იარაღი.

ნაპოლეონმა მოკავშირეთა პარიზზე მოულოდნელი წასვლის შესახებ მაშინ გაიგო, როდესაც სენ დიზიესა და ბარ-სიურ-ობს შორის აწარმოებდა გაცხარებულ ჯრიმოლას. "ეს შესანიშნავი საჭალრაკო სვლაა! არასოდეს არ დავიჯერებდი, თუ მოკავშირეთა რომელიმე გენერალს შეეძლო ასეთი სვლის გაკეთება!" — თქვა ნაპოლეონმა 27 მარტს, როდესაც ეს ამბავი გაიგო. ამ ქებაში უპირველეს ყოვლისა ჩანდა სპეციალისტი-სტრატეგი.

ის მაშინვე გაეშურა არმიით პარიზისაკენ.

ნაპოლეონი 30 მარტს ღამით მიეიდა ფონტენებლოში და მხოლოდ იქ გაიგო ახლახან მომხდარი ბრძოლისა და პარიზის კაპიტულაციის შესახებ.

როგორც მუდამ, ის საკუთ იყო ენერგიითა და რწმენით. გაიგო თუ არა რაც მოხდა, თხუთმეტი წუთის დუმილის შემდეგ კოლენკურსა და სხვა მასთან მყოფ გენერლებს ახალი გეგმა დაუსახა: კოლენკური წავა პარიზში და ნაპოლეონის სახელით ალექსანდრე I-ს და მოკავშირეებს შესთავაზებს ზავს იმ პირობებით, რომელთაც ისინი შატილიონში აყენებდნენ. შემდეგ კოლენკური სხვადასხვა ხაბებით სამ დღეს მოანდომებს პარიზიდან ფონტენებლომდე მოგზაურობას. ამ სამი დღის განმავლობაში მოკლენ ის ძალები, რაც ჩვენ გაგვაჩნია, და მოკავშირენი განდევნილ იქნებიან პარიზიდანო. კოლენკურმა გაბედა ეთქვა სამხედრო ცბიერებით კი არა, იქნება მართლა შეეძლოთ ზავი შატილიონის პირობებზეო. "არა, არა! ეს არა ისიც, რომ იყო რყევის წუთები. არა, ხმალი ყველაფერს გადაწყვეტს. ეს არა ჩემი დამცირება!"

კოლენკური მაშინვე გაემგზავრა პარიზში, ნაპოლეონი კი შეუდგა გაცხარებულ მუშაობას ახალი ბრძოლის მოსამზადებლად, რომელიც სამოოთხი დღის შემდეგ უნდა გაჩაღებულიყო. მისთვის მთავარი იყო, რომ სამი-ოთხი დღის განმავლობაში მოკავშირეებს არავითარი გადამწყვეტი პოლიტიკური ღონისძიებები არ მიეღოთ და ამით არ შეექმნათ არეე-დარეეა და გაორება მერყეეთა განწყობილებებში. ამისათვის გამოიგონა მან კომედია საზავო წინადადებებისა შატილიონის პირობებზე, რომელიც ზიზღით უარყო ორი კვირის წინათ.

მაგრამ არაფრის უკან დაბრუნება აღარ შეიძლებოდა. როიალისტების აღტაცებული მანიფესტაციები, რომლითაც ისინი შეხვდნენ მოკავშირე მონარქების შესვლას პარიზში, ბურბუანების აპატია და მორჩილება,რომელსაც, მართალია, არ მოჰყოლია არავითარი მანიფესტაციები ყვე-

ლაფერი ეს ამტკიცებდა იმ მთავრობას, რომელსაც მას თავზე მოახვევ-დნენ. 1814 წლის ყველაზე კრიტიკულ მომენტებშიაც კი ნაპოლეონი ბრძა-ნებას იძლეოდა შუშებისათვის იარაღი არ მიეცათ. რა უნდა ექნათ მათ ახ-ლა, თუნდაც რომ სდომებოდათ წინააღმდეგობის გაწევა?

მოკავშირე მონარქებმა გამოუშვეს პროკლამაცია,სადაც ისინი აცხა-დებდნენ, რომ ნაპოლეონთან ისინი მოლაპარაკებას აღარ აწარმოებდნენ, მაგრამ იცნობდნენ იმ მთავრობას და იმ სახელმწიფოებრივ წყობას, რო-მელსაც საფრანგეთის ერი აირჩევდა თავისთვის. ამ პირობებში კოლენკუ-რის მოლაპარაკებიდან მოკავშირეებთან,რა თქმა უნდა,სრულიად არაფერი არ გამოვიდოდა. ალექსანდრემ პირდაპირ უთხრა კოლენკურს, რომ საფრანგეთს უკვე აღარ სურს ნაპოლეონი და მოქანცულია მისგან. შვარ-ცენბერგმა მოაგონა,რომ ნაპოლეონი თვრამეტი წელიწადი მთელ მსოფლი-ოს აბანზარებდა და რომ მის დროს მოსვენება არავის არ ექნება და არც შეიძლება ექნეს; რომ ნაპოლეონს განუწყვეტლივ აძლევდნენ სამშვიდო-ბო წინადადებებს და უნარსუნებდნენ იმპერიას. მაგრამ თვითონ არ თქვა-და არაფერს და ახლა კი გეგონდა არისო.

შვარცენბერგმა, რა თქმა უნდა, არ იცოდა რომ ნაპოლეონი ახლაც არ სომობდა არაფერს, და კოლენკური გამოგზავნა მხოლოდ იმისათვის, რომ მუსაიფში სამი დღე მოეგო,სანამ ფონტენებლოში მიუსწრებდა არმია. ფონ-ტებლოში დაბრუნებისას კოლენკურმა ასეთი სურათი ნახა: ჯარი თავს იყ-რიდა იმპერატორის სადგომთან. ხუთ აპრილს ძას ეფლებოდა საბოცდაა-თი ათასი კაცი თავის განკარგულებაში და ამ ჯარით გასწევდა პარიზისა-კენ.

4 აპრილს დილით ნაპოლეონმა მოახდინა ჯარის დათვალიერება და მიმართა რა მათ, თქვა: " ჯარისკაცებო! მტერმა გამოგვასწრო სამი გა-დასასვლელით და დაიპყრო პარიზი. უნდა განვდევნოთ მტერი იქიდან. ულირ-სი ფრანგები, ემიგრანტები, რომელთაც ჩვენ წინათ, ჩვენი სისუსტით, ეკა-პატიეთ, შეუერთდნენ მტერს და თეთრი კოკარდები გაიკეთეს. არამზა-დები! ისინი მიიღებენ ლირსულს ანაღი ღალატისათვის! დაეიფიცოთ, რომ გავიმარჯვებთ ან მოვკვდებით, გადავუხადოთ მტერს შეურაცხყოფისათ-ვის, რომელიც მათ მიაყენეს საშინაოს და ჩვენს იარაღს!" "ეფიცავ! "

უპასუხეს მას ერთხმად.

მაგრამ როდესაც ნაპოლეონი ჯარის დათვალიერების შემდეგ შეეცდა ფონტენებლოს სასახლეში, იქ სხვა განწყობილება დაუხვდა: უხმოდ, ფალ-ერემილნი, თავჩაღუნულნი იღგნენ მის წინ მარშლები. აქ იყვნენ უდინო, ნეი, მაკდონალდი, ბერტიე და პენიოგი ბასანი.

მათ უთხრეს, რომ არა აქვთ გამარჯვების იმედი, რომ პარიზი თავზარდაცემული კანკალებს, მოელის რა იმპერატორის თავდასხმას მოკავშირეებზე, რომლებიც უკვე შემოეიღნენ ქალაქში, ვინაიდან ეს თავდასხმა მოასწავებს მოსახლეობის ამოყლეტას და საფრანგეთის სატახტო ქალაქის განადგურებას; მოკავშირეები მოსკოვის სამაგიეროს გადაგვიხდიან და დაწვავენ პარიზს, თანაც ძნელი იქნება ვაიძულოთ ჯარისკაცები იბრძოლონ პარიზის ნანგრევებზეო.

"წადით აქედან, მე დაგიძახებთ და გეტყვით ჩემს გადაწყვეტილებას" — თქვა ნაპოლეონმა. მან დაიტოვა მხოლოდ კოლენკური, ბერტიე და პერცოგი ბასანო. ის განრისხებული უჩიოდა მარშლების მერყეობასა და მშიშარობას, მისდამი თავადადების უქონლობას. რამდენიმე წუთის შემდეგ მან გამოუცხადა მარშლებს, რომ უარს ამბობს ტახტზე თავისი პატარა შვილის, რომის მეფის სასარგებლოდ, მარია-ლუიზას რეგენტობით; თუ მოკავშირეები დასთანხმდებიან ამ პირობებზე დაღონ ზავი, ომი დამთავრებულია და მე ვგზავნი პარიზში კოლენკურს მოკავშირეებთან მოსალაპარაკებლადო.

ამის შემდეგ მან წაუკითხა მათ იქვე შედგენილი დოკუმენტი, რომელშიდაც ნათქვამი იყო: ვინაიდან მოკავშირე სახელმწიფოებმა გამოაცხადეს, რომ ევროპაში მშვიდობიანობის აღდგენის ერთადერთი ხელისშემშლელი იმპერატორი ნაპოლეონია, იმპერატორი ნაპოლეონი, ერთგული თავისი ფიცისა, აცხადებს, რომ მზად არის გადადგეს სამეფო ტახტიდან, მიატოვოს საფრანგეთი და შესწიროს თავისი სიცოცხლე სამშობლოს კეთილდღეობას, რომელიც დაკავშირებულია მისი შვილის უფლებებთან, დედოფლის რეგენტობის უფლებებთან და იმპერიის კანონებთან.

მარშლებმა მეტისმეტად მოიწონეს ეს აქტი. ამ ქაღალდის წაკითხვისთანავე იმპერატორმა აიღო კალამი და უცებ, ვიდრე ხელს მოაწერდა, იკითხა: "იქნება ჩვენ მაინც შევუტევთ მათ? ჩვენ მათ დავამარცხებთ!" მაგრამ მარშლები დუმდნენ. არც ერთმა არ დაუჭირა მხარი ამ სიტყვებს. ნაპოლეონმა მოაწერა ხელი ქაღალდს და ჩააბარა ის დეპუტაციას, კოლენკურს, ნეისა და მაკდონალდს, რომელნიც გაგზავნა პარიზში.

მრავალი ამბავი მოხდა პარიზში ამ ღღეების განმავლობაში: ტალეირანმა სასწრაფოდ შეკრიბა იმ სენატორთა საწილი, რომელთა იმედიც ჰქონდა, აიძულა ისინი ხმა მიეცათ ნაპოლეონის დინასტიის ჩამოგდებისა და ბურბონების მოწვეისათვის და, რაც მთავარია, მარშალმა მარმონმა, უღალატა ნაპოლეონს, დაიხია თავისი კორპუსით ვერსალში და ამით გა-

დავიდა ტალეირანის და მისი მეთაურობით (მოკავშირეთა სურვილით) შექმნილი "დროებითი მთავრობის" მხარეზე.

ალექსანდრე მერყეობდა. არც ის და არც ავსტრიის იმპერატორი არ იყვნენ წინააღმდეგი სამი წლის "ნაპოლეონ II-ის" გამეფებისა, მაგრამ როიალისტებმა, რომელნიც გარს ეხვევნენ მოკავშირე მეფეებს, დაიყოლიეს ისინი, რომ უარეყოთ ნაპოლეონის წინადადება. მარმონმა სწორედ მაშინ უღალატა იმპერატორს, როცა მოკავშირეები ყოყმანობდნენ — მიეღოთ თუ არა ნაპოლეონის წინადადება. ახლა კი, ნაპოლეონის განკარგულებაში მყოფი მთავარი ძალების ჩამოშორების შემდეგ, მისი პარიზზე თავდასხმა შეუძლებელი გახდა, და მოკავშირეებმა გადაწყვიტეს ხელი აეღოთ ამ კომბინაციაზე და ტახტი ბურბონებისათვის გადაეცათ. "დაარწმუნეთ თქვენი მბრძანებელი, რომ საჭიროა ბედისწერას დაემორჩილოს — უთხრა ალექსანდრემ კოლენკურს გამოთხოვებისას. — ყველაფერი, რაც შესაძლებელი იქნება, გაკეთდება მისი (ნაპოლეონის) ღირსების დასაცავად". და მან კიდევ უწოდა ნაპოლეონს "დიდი ადამიანი".

კოლენკურთან გამოთხოვებისას მოკავშირეებმა მას სთხოვეს ჩააგონეთ ნაპოლეონს გადადგეს ტახტიდან ყოველგვარი პირობების გარეშეო. იმპერატორს ჰპირდებოდნენ მისი ტიტულის შენარჩუნებას და სრულ მფლობელობაში აძლევდნენ კუნძულ ელბას ხმელთაშუა ზღვაში. დაბეჯითებით სთხოვდნენ არ დაეყოვნებინა გადადგომის აქტი. მოკავშირეებს და როიალისტებს, მათ მხარეზე უკვე აშკარად გადასული თავადი ტალეირანის მეთაურობით, ცოტა არ იყოს აშინებდათ სამოქალაქო ომი და ჯარისკაცთა მასა, რომლებიც ძველებურად თაყვის მორჩილებას აუკრძალებდნენ ნაპოლეონის მიმართ. ნაპოლეონის ოფიციალურ გადადგომას შეეძლო აეცილებინა ერთგვარი არევ-დარევა. სენატის დადგენილებას ამ შემთხვევაში არ ჰქონდა არავითარი მორალური წონა. სენატორებს თელიდნენ ნაპოლეონის ლაქიებად, რომლებმაც დიდი სიამოვნებით გაყიდეს თავიანთი ბატონი და ახალი ბატონების მსახურები გახდნენ. "ეს დაწყევლილი სენატი, — შეჰყვირა მარშალმა ნეიმ ალექსანდრესთან საუბრის დროს, — მუდამ ისწრაფოდა დამორჩილებოდა იმ ადამიანის ნებას, რომელსაც ახლა მტარვალს უწოდებს! რა უფლებით იმაღლებს ახლა ხმას სენატი? ის დუმდა მაშინ, როცა ვალდებული იყო ხმა ამოეღო: როგორ ბედავს ლაპარაკს ახლა, როცა ყველაფერი უბრძანებს ხმა გაიკმინდოს?"

მხოლოდ თვით ნაპოლეონის სიტყვას შეეძლო დაემთავრებინა ეს შემაძრწუნებელი გაურკვეველობა, გაენთავისუფლებინა ძველი ფიცისაგან ჯარისკაცები, ოფიცრები, გენერლები და მოხელეები. ასე ფიქრობდნენ ყველა პარტიის ფრანგები და მოკავშირენიც.

5 აპრილს საღამოს დაბრუნდნენ პარიზიდან ფონტენებლოში კოლენკური, ნეი და მაკდონალდი. მოისმინა რა მათი ნაამბობი ალექსანდრესთან და მის მოკავშირეებთან მოლაპარაკების შესახებ და იმათი რჩევა — დამორჩილებოდა ბედისწერას, ნაპოლეონმა თქვა, რომ მას კიდევ ჰყავს ჯარი და ჯარისკაცები მისი ერთგულნი არიან. "ყოველ შემთხვევაში, ვნახოთ. ხვალამდის". ისინი რომ გაისტუმრა, ბრძანა კვლავ ეხმოთ მასთან კოლენკური.

ამ ღამეს მან გაუმხილა კოლენკურს ყველაფერი, რის შესახებაც ის დიდი ხანია ფიქრობდა. უპირველეს ყოვლისა, მაშინ თვალსაჩინო გახდა, რომ ხალხი წარმოუდგენლად დაიღალა ამ სისხლიანი მეფობით, სიკვდილის დაუმთავრებელი და დაუბოლოებელი ცეკვით, მთელ თაობათა მსხვერპლად შეწირვით აშკარა განუხორციელებელი მიზნისათვის.

"მე მინდოდა საფრანგეთის გაბატონება მთელ მსოფლიოზე" — გულახდილად ამბობდა ნაპოლეონი 1814 წელს. მან არ იცოდა მაშინ, რომ შორეულ შთამომავლობაში გაჩნდებოდა მთელი სკოლა ფრანგი პატრიოტი ისტორიკოსებისა, რომლებიც შეეცდებოდნენ დაემტკიცებინათ, თითქოს ნაპოლეონი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში არავის დასხმია თავს, არამედ მხოლოდ იცავდა თავს და, არსებითად როდესაც ის შედიოდა ვენაში, მილანში, მადრიდში, ბერლინში, მოსკოვში — ამით ის მხოლოდ ინარჩუნებდა "ბუნებრივ საზღვრებს" და მდინარე მოსკოვზე რაინს "იცავდა". თვითონ ნაპოლეონს აზრადაც არ მოსვლია ასეთი ახსნა-განმარტება.

მან არაფერი იცოდა აგრეთვე იმ ზუსტი გამოანგარიშების შესახებ, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ დაამთავრა, ოფიციალური და არა ოფიციალური საარქივო მასალების მიხედვით, თანამედროვე მკვლევარმა ალბერ მეინეიმ: ამ გამოანგარიშების თანახმად ნაპოლეონის ომების დროს მოკლულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ საფრანგეთის მოქალაქეთა საერთო რიცხვი ერთ მილიონს აღემატებოდა.

ამ რიცხვში, რა თქმა უნდა, არ შედიან, მაგალითად, მძიმედ დაჭრილნი და დასახიჩრებულნი, რომელნიც ჭრილობებისგან გარდაიცვალნენ არა მაშინვე, ბრძოლის ველზე, არამედ უფრო გვიან, სამხედრო ჰოსპიტლებში ან შინ.

მეინეს გამოანგარიშებები შეეხება არა ნაპოლეონის მთელს იმპერიას, არამედ მარტო "ძველ საფრანგეთს", "ძველ დეპარტამენტებს", ე.ი, არც იმ ქვეყანას, რომელიც ნაპოლეონმა მიიღო თავის ტახტზე ასვლისას 1799 წლის 18 ბრუმერს (მაშასადამე ანგარიშში არ შესულა ბელგია, პიემონტი და რევოლუციის დროს და თვით ნაპოლეონის მიერ 18 ბრუმერამდე დაპ-

ყრობილი ადგილები), არამედ მხოლოდ და მხოლოდ საფრანგეთი ძველი, რევოლუციამდელი საზღვრებით. აგრეთვე აქ ნაანგარიშევია ნაპოლეონის არა ყველა ომი, არამედ მარტო ისინი, რომლებსაც ის აწარმოებდა 1800 წლის შემდეგ (ე.ი. არ არის ციფრები, რომლებიც შეეხება იტალიის პირველ დაპყრობას 1796-1797 წლებში, ეგვიპტის დაპყრობასა და სირიაში ლაშქრობას). რომ "ძველი დეპარიამენტების" ოცდაექვსმილიონნიანი მოსახლეობიდან, ბავშვებისა და ქალების ჩათვლით, მის ომებში გაწყვეტილ და განადგურებულ იქნა ერთ მილიონზე მეტი მოზრდილი მამაკაცი, ეს შეიძლება არც სცოდნოდა ნაპოლეონს მთელი სიზუსტით, მაგრამ გაწვევებით დაცარიელებული სოფლები და თავისი უამრავი ბრძოლის ველები მას ნახული ჰქონდა. ის ხანდახან ანუგეშებდა სხვებს (თვითონ ძალიან ცოტას წუხდა ამის შესახებ) იმით, რომ მის ომებში ფრანგებზე ბევრად უფრო მეტი იხოცებოდა მისი ვასალური და "მოკავშირე" ქვეყნებიდან გაწვეული ჯარისკაცები — ყველა ეს გერმანელები, შვეიცარიელები, იტალიელები, ბელგიელები, ჰოლანდიელები, პოლონელები, ილინიელები და სხვ.

მაგრამ ნაპოლეონის არმიებში მებრძოლ სამ თუ ოთხ მილიონიან უცხოელთა დაღუპვა ვერ იყო კარგი ნუგეში, ვინაიდან დაღუპული იყო აგრეთვე ერთი მილიონი "წმინდა ფრანგი" (მას ერთხელაც არაფერი წამოსცდენია მტრების მხრით მილიონობით დაღუპულთა, დაჭრილ-დასახიჩრებულთა და დაკარგულთა შესახებ).

ახლა ამ გრძელი ღამის განმავლობაში ნაპოლეონი ბოლთას ცემდა ფონტენებლოს დიდებულ პირქუშ დარბაზში და აჯამებდა მთელ თავის მოღვაწეობას კოლენკურის წინაშე; ნაპოლეონმა გააკეთა ერთი ძირითადი დასკვნა: მან მოქანცა საფრანგეთი, ქვეყანა წელში გაწყდა.ამ აპრილის დღეებში მას აცნობეს,რომ პარიზის ვაჭრები და მსხვილი ბურჟუაზია თუმცა ისეთი აღფრთოვანებით არ შეხვედრია მოკავშირეებს, როგორც აზნაურ-როიალისტები, მაგრამ ვაჭრებიც კი ხმამაღლა ამბობენ, რომ დაიტანჯნენ და განადგურდნენ ომებისაგან.

აგრეთვე დაღლილნი და დაქანცულნი იყვნენ მარშლებიც, რომლებიც მან წყალობით აავსო. ამ წყალობით სარგებლობისათვის მათთვის საჭირო იყო მტკიცე მშვიდობიანობა, რომელიც წარმოუდგენელი იყო ნაპოლეონის დროს.

ნაპოლეონი თითქმის არ დაწოლილა ამ ღამეს. დადგა 1814 წლის 6 აპრილის დილა. მან ბრძანა ეხმოთ მარშლები და უთხრა მათ: "ბატონებო, დამშვიდდით! არც თქვენ და აღარც არმიას აღარ მოგიხდებათ მეტი სისხლისღვრა. მე თანახმა ვარ გადავდგე. მე მსურდა თქვენთვისაც ისე, რო-

გორც ჩემი ოჯახისათვის, უზრუნველმეყო ჩემი შვილის ტახტის მემკვიდრეობა. მე ვფიქრობ, რომ ამგვარი ბოლო თქვენთვის უფრო მეტად ხელსაყრელი იქნებოდა, ვიდრე ჩემთვის, ვინაიდან თქვენ მაშინ ისეთი მთავროობის ხელქვეით იცხოვრებდით, რომელიც შეეფერება თქვენს წარმოშობას, თქვენს გრძნობებს, თქვენს ინტერესებს... შესაძლებელი იყო, მაგრამ სულთდამბლურმა ღალატმა მოგისპოთ ის მდგომარეობა, რომლის უზრუნველყოფაც მე მსურდა თქვენთვის. მე-6 კორპუსის (მარმონის) გადასლა რომ არ მომხდარიყო, ჩვენ მივაღწევდით იმასაც და კიდევ სხვა რამესაც, ჩვენ ფეხზე დავაყენებდით საფრანგეთს. მაგრამ სხვანაირად გამოვიდა. მე ვემორჩილები ჩემს ბედს, დაემორჩილეთ თქვენც თქვენსას. შეურიგდით იმას, რომ იცხოვრებთ ბურბონებთან და ემსახურეთ ერთგულად. თქვენ გსურდათ მოსვენება — თქვენ მიიღებთ მას. მაგრამ — ეაი! ღმერთმა ქნას, რომ მე ვცდებოდე ჩემს წინათგრძნობებში, მაგრამ ჩვენ არ ვიყავით მოსვენებისათვის გაჩენილი თაობა. მშვიდობიანობა, რომელიც თქვენ გწადიათ, თქვენს ბუმბულის ლოგინზე, უფრო მეტ ხალხს მოცელავს თქვენი წრიდან, ვიდრე ბანაკში ომი".

შემდეგ ნაპოლეონმა აიღო ქაღალდის ფურცელი და წაუკითხა მათ შემდეგი: "ვინაიდან მოკავშირე სახელმწიფოებმა გამოაცხადეს, რომ იმპერატორი ნაპოლეონი არის ერთადერთი დაბრკოლება, რომელიც ევროპაში მშვიდობიანობის დამყარებას აფერხებს, ამიტომ იმპერატორი ნაპოლეონი, ერთგული თავისი ფიცისა, თავისი თავისა და მემკვიდრეთა სახელით უარს აცხადებს საფრანგეთისა და იტალიის ტახტზე, ვინაიდან არ არსებობს ისეთი პირადი მსხვერპლი, თუნდაც საკუთარი სიცოცხლეც, რომელსაც ის არ გაიღებს საფრანგეთის ინტერესებისათვის". ის მიუჯდა მაგიდას და მოაწერა ხელი. მარშლები აღელვებულნი იყვნენ. მათ დაუკოცნეს მას ხელები და აავსეს პირფერული ქებით, რასაც იგი ესოდენ იყო შეჩვეული. კოლენკურმა ორა მარშლის თანხლებით მაშინვე წაიღო ეს საბუთი პარიზში.

ალექსანდრე და მოკავშირენი დიდი აღელვებით ელოდნენ საქმის დაბოლოებას. გადადგომის საბუთის მიღების გამო ისინი ძლიერ აღტაცებულნი იყვნენ. ალექსანდრემ დააადასტურა, რომ კუნძული ელბა, დაუყოვნებლივ გადაეცემა ნაპოლეონს სრულ მფლობელობაში, ხოლო რომის მეფე, ნაპოლეონის შვილი, და მარია-ლუიზა მიიღებენ დამოუკიდებელ სამფლობელოს იტალიაში.

ყოველივე დასრულდა.

გადადგომის ცნობამ საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა ჯარისკაცებსა და უნტერ-ოფიცრებზე. 6 აპრილს ღამით გვარდიის გრენადერებმა და

ეგერებმა ჩამოიარეს ფონტენებლოს ყველა ქუჩაში ყვირილით: "გაუმარჯოს იმპერატორს!" "ძირს გამცემლები!" და შეიკრიბნენ სასახლესთან. მათ შორის გაისმოდა ხმამაღალი ყვირილი და მუქარა, რომ გაწყვეტდნენ ნაპოლეონის მოღალატე მარშლებს...

იმპერატორმა ბრძანა გადაეცათ მათთვის, რომ არ სურდა მათი გამოსვლა და სთხოვა ყაზარმებში დაბრუნებულიყვნენ.

მარშლები, გენერლები, ოფიცრები და ამალა უკვე 1813 წელსაც ამჩნევდნენ რომ იმპერატორი ხშირად საჭიროების გარეშე აგდებდა თავის თავს მომაკვდინებელ საფრთხეში, მაგრამ ამას სჩადიოდა არა ისე, როგორც წინანდელ ომებში, მაგალითად, არკოლეს ხიდთან 1796 წელს, ან ქალაქის სასაფლაოზე ეილაუში 1807 წელს, ე.ი. არა იმ დროს, როცა ეს საჭირო იყო რაიმე სამხედრო თვალსაზრისით, არამედ სრულიად ტყუილუბრალოდ.

მაგალითად, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზეკით, რომ დიუროკის დაღუპვის შემდეგ იმპერატორი ჩამოჯდა კუნძზე და რამდენიმე ხანი უძრავად იჯდა, თითქოს საგანგებო სანიშნო ყოფილიყო ირგვლივ მოზუზუნე ტყვიებისათვის. 1814 წელს ეს უცნაური საქციელი მან უფრო გაახშირა და ამის მნიშვნელობა ნათელი იყო. როდესაც, მაგალითად, არსი-სიურ-ობთან ბრძოლის დროს, 20 მარტს, ნაპოლეონი კვლავ უმიზნოდ გაეშურა სწორედ იმ ადგილისაკენ, რომელიც მყისვე ბრძანებით გაწმენდილ იქნა ჯარისკაცთაგან, ვინაიდან იქ დგომა შეუძლებელი იყო, გენერალი ექსელმანსი გაიქცა იმპერატორისაკენ, რათა შეეჩერებინა იგი, ხოლო მარშალმა სებასტიანმა უთხრა ექსელმანსს ის, რაც ყველამ დიდი ხანია იცოდა: "დაანებეთ თავი, ხომ ხედავთ, რომ ის განზრახ ჩადის ამას; მას თავის მოკვლა სურს", მაგრამ არც ტყვია და არც ყუმბარა არ ეკარებოდა მას.

თვითმკვლელობა ნაპოლეონს ყოველთვის სულმოკლეობის გამოვლინებას და სისუსტედ მიაჩნდა, და, ცხადია, არსი-სიურ-ობთან და ბევრ სხვა შემთხვევაშიც ის თავს იტყუებდა, ეძებდა სიკვდილს, მაგრამ არა საკუთარი ხელით, არამედ შენილბული თვითმკვლელობისაკენ მიილტვოდა.

მაგრამ 1814 წლის 11 აპრილს, გადადგომიდან ხუთი დღის შემდეგ, როდესაც ფონტენებლოს სასახლეში უკვე დაიწყო სამზადისი კუნძულ ელბაზე გასამგზავრებლად, ნაპოლეონი დაემშვიდობა კოლენკურს, რომელთანაც უკანასკნელ ხანებში ბევრ დროს ატარებდა, წავიდა თავის აპარტამენტებში და, როგორც შემდეგ გამოირკვა, ამოიღო შუშა ოპიუმის ხსნარით, ეს ხსნარი მას ჰქონდა სალაშქრო ნესესერში, რომელსაც არასოდეს არ იშორებდა. როგორც უკვე ვთქვით, ნაპოლეონმა ჯერ კიდევ 1812 წელს,

მალოიაროსლავეცთან ბრძოლის შემდეგ, სადაც მას ტყვედ ჩავარდნის საშიშროება მოელოდა, უბრძანა ექიმ იუვანს, ყოველი შემთხვევისათვის მიეცა მისთვის სწრაფმოქმედი შხამი და მიიღო ის შუშა ოპიუმით, რომელიც მას წელიწადნახევრის განმავლობაში არ ამოუღია ნესესერიდან.

ახლა, ფონტენებლოში, მან ის ამოიღო და მთლიანად შესვა.

საშინელი ტკივილები აუტყდა, კოლენკურმა ალღო აუღო, აქ რაღაც ცუდი ამბავიაო, შევიდა ნაპოლეონთან, ეგონა ეს უეცარი ავადმყოფობაო და სასახლეში მყოფი ექიმის დასაძახებლად დააპირა გაქცევა, ნაპოლეონმა სთხოვა არავისთვის არ დაეძახნა და მრისხანედ გაუმეორა ეს. კრუნჩხვა ისეთი ძლიერი იყო, რომ კოლენკური მაინც გაუსხლტდა, გამოვარდა ოთახიდან და გააღვიძა იუვანი, სწორედ ის ექიმი, რომელმაც ნაპოლეონს ოპიუმი მისცა მალოიაროსლავეცის შემდეგ. დაინახა თუ არა ექიმმა ცარიელი შუშა მაგიდაზე, მაშინვე მიხვდა რაშიაც იყო საქმე. ნაპოლეონი ჩიოდა, შხამი უვარგისია ან ძალა დაჰკარგვიაო, და მბრძანებლურად მოსთხოვა ექიმს, რომ დაუყოვნებლივ მიეცა მისთვის ოპიუმის ახალი დოზა. ექიმი გაიქცა ოთახიდან და თქვა, რომ არასოდეს მეორედ აღარ ჩაიდენს ასეთ ბოროტმოქმედებას.

ნაპოლეონის ტანჯვამ რამდენიმე საათს გასტანა, რადგანაც მან უარი განაცხადა შხამის საწინააღმდეგო წამლის მიღებაზე. ის კატეგორიულად მოითხოვდა ყველასთვის დაემალათ მომხდარი ამბავი. "რა ძნელია სიკვდილი! რა ადვილი იყო ეს ბრძოლის ველზე! რატომ არ მომკლეს არხისიურ-ობში?!" — აღმოხდა მას საშინელი კონვულსიების დროს. შხამმა არ იმოქმედა, ვინაიდან ის ძალიან ძველი იყო.

მას შემდეგ ნაპოლეონს არც ერთხელ აღარ უცდია თავის მოკვლა და არასოდეს აღარ მოუგონებია პირველი ცდა.

სამზადისი თითქმის დათავრებული იყო. მოკავშირეთა პირობის თანახმად, ნაპოლეონს შეეძლო თან წაეყვანა კუნძულ ელბაზე თავისი გვარდიის ერთი ათასეული.

მთელი დანარჩენი გვარდია, განსაკუთრებით ჯარისკაცები და უნტერ-ოფიცრები, არ ფარავდნენ თავიანთ შურს იმ ათასეულის მიმართ, რომელიც ნაპოლეონს მიყვებოდა.

1814 წლის 20 აპრილს ყველა სამზადისი დამთავრდა. ეტლები ნაპოლეონისა, მისი მცირერიცხოვანი ამალისა და მოკავშირეთა კომისრებისთვის, რომელთაც უნდა გაეცილებინათ ნაპოლეონი ელბაზე, უკვე სასახლესთან იდგა.

ნაპოლეონმა მოისურვა თავის გვარდიასთან გამოთხოვება. გვარდია ჩამწკრივდა სასახლის სააღლუმო ეზოში, სწორედ იმ დიდ ეზოში, რომე-

ლიც ახლა ესოდენ ცნობილია ფონტენებლოს სასახლის დასათვალიერებლად მისულ მოგზაურთათვის და რომელსაც მას შემდეგ დაერქვა ისტორიული სახელი — "გამოთხოვების ეზო".

წინა რიგში იდგა ძველი გვარდია ოფიცრებითა და გენერლებით, უკან ახალგაზრდა გვარდია. როდესაც იმპერატორი გამოვიდა, ჯარისკაცებმა სამხედრო სალამი მისცეს თოფით, მედროშემ კი ძველი გვარდიის დროშა დახარა ნაპოლეონის ფეხებთან.

"ჯარისკაცებო, ჩემო ძველო ამხანაგებო იარაღში, რომლებთანაც მუდაე ვიდოდი ღირსების გზაზე! ახლა უნდა გამოგეთხოვოთ თქვენ. მე შეძეძლო კიდევ დავრჩენილიყავი თქვენს შორის, მაგრამ საჭირო იქნებოდა სასტიკი ბრძოლების გაგრძელება, ხოლო უცხოელების წინააღმდეგ ბრძოლას შეიძლება თან დართოდა სამოქალაქო ომიც, მე კი ვერ გავბედე კიდევ მეფლითა საფრანგეთის გული. ისარგებლეთ მოსვენებით, რომელიც თქვენ სამართლიანად დაიმსახურეთ, და იყავით ბედნიერი. ჩემზე ნუ ინაღვლებთ. მე მაქვს მისია და რათა ის შევასრულო, მე თანახმა ვარ ვიცოცხლო. ეს მისია იმაში მდგომარეობს, რომ ვუამბო შთამომავლობას იმ დიად საქმეთა შესახებ, რომლებსაც ჩვენ ერთად ვაკეთებდით. მე მსურს ყველა თქვენგანი ჩავიკრა გულში, მაგრამ ნება მომეცით, ვეამბორო ამ დროშას, რომელიც ყველას გაერთიანებთ..."

ნაპოლეონმა მეტის თქმა ვეღარ შეძლო, ხმა ჩაუწყდა. მან ხელი მოხვია და დაკოცნა მედროშე და დროშა, სწრაფად გავიდა და ჩაჯდა ეტლში. გვარდიის ჯარისკაცები, დამსწრეთა გადმოცემით, ბავშვებივით ატირდნენ. ეტლები გაექანენ განუწყვეტელი ყიჟინის ქვეშ: "გაუმარჯოს იმპერატორს!"

"მსოფლიო ისტორიის ყველაზე გრანდიოზული გმირული ეპოპეა დამთავრდა: ის გამოეთხოვა თავის გვარდიას" ... ასე წერდნენ ინგლისური გაზეთები ამ დღის შესახებ.

ნამდვილად კი 1793 წელს ტულონში დაწყებული ეს ოცწლიანი ეპოპეა სრულიადაც არ დასრულებულა 1814 წლის აპრილს ფონტენებლოში.

"ასი დღე"

(1815)

ვიწყებთ რა ამ განსაკუთრებული ცხოვრების ყველაზე არაჩვეულებრივი ამბის თხრობას, უწინარეს ყოვლისა შემდეგი უნდა აღინიშნოს. უდავოა, რომ ელბაზე მისვლის პირველ ხანებში იმპერატორს არავითარი გეგმა არ ჰქონდა, თავისი პოლიტიკური ცხოვრება დამთავრებულად მიაჩნდა და მართლაც განზრახული ჰქონდა დაეწყო ის, რასაც თავის გვარდიას დაჰპირდა: დაეწერა თავისი მეფობის ისტორია. ყოველ შემთხვევაში, კუნძულზე ყოფნის პირველ ნახევარ წელს იგი ასეთ შთაბეჭდილებას ახდენდა. ის დამშვიდებული იყო. გაიარა რა სამხრეთის დეპარტამენტები, სადაც როიალისტები ძლიერ მტრულად ხვდებოდნენ და სადაც ზოგიერთ მომენტში თვით მისი სიცოცხლეც კი შეიძლებოდა საფრთხეში ყოფილიყო, ნაპოლეონმა 1814 წლის 3 მაისს ელბას მიაღწია.

ახლა ის აღმოჩნდა განმარტოებულ კუნძულზე, მშვიდობიან უცხო მოსახლეობაში, რომელიც თავის ახალ ხელმწიფეს დიდი პატივით შეხვდა.

სწორედ სამი წლით ადრე კუნძულ ელბაზე მისვლამდე ნაპოლეონმა, 1811 წლის გაზაფხულზე, თავის ტიულრის დარბაზში მიიღო ბავარიის გენერალი ვრედე, და როდესაც ვრედემ მოკრძალებით აღნიშნა — უკეთესი იქნება თავს შეიკავებდეთ რუსეთზე თავდასხმისაგან, რომელიც უკვე თითქმის აშკარად ემზადებაო, ნაპოლეონმა მკვახედ შეაწყვეტინა და უთხრა: "სამი წლის შემდეგ მე მთელი მსოფლიოს ბატონ-პატრონი ვიქნები".

ახლა, ამ ლაპარაკიდან სამი წლის გასვლის შემდეგ, დიდი იმპერია უკვე გაქრა, და ნაპოლეონის წინაშე იყო კუნძული, რომელიც ორას ოცდასამ კვადრატულ კილომეტრს მოიცავდა და სადაც სამი მცირე ქალაქი და რამდენიმე ათასი მცხოვრები იყო.

ბედმა ნაპოლეონი მეტად ახლოს მიიყვანა მისი დაბადების ადგილთან: კუნძული ელბა კორსიკიდან დაახლოებით ორმოცდაათ კილომეტრზეა. 1814 წლის აპრილამდე ელბა ეკუთვნოდა ტოსკანის საპერცოგოს, ნაპოლეონის ერთ-ერთ იტალიურ ვასალურ სამფლობელოს. ახლა, იმპერიის დაცემის დროს, სწორედ ეს კუნძული მისცეს ნაპოლეონს სრულ მფლობელობაში.

იმპერატორი ეცნობოდა თავის სამფლობელოს, იღებდა მცხოვრებთ, იძლეოდა განკარგულებებს და, როგორც ჩანდა, დიდი ხნით ეწყობოდა. მასთან დროგამოშვებით მიდიოდნენ ნათესავები, — მოინატრეს დედამ — ლეტიციამ, დამ — თავადის მეუღლემ პოლინე ბორგეზემ. მისი ცოლი, მარია-ლუიზა, მასთან არ მისულა და არც პატარა ვაჟი მიუყვანია: მამა,

ავსტრიის იმპერატორი, არ უშვებდა მას და თვით ისიც არ ცდილობდა მაინცდამაინც მისი მეუღლის ნახვას. ნაპოლეონის ფრანგი ბიოგრაფები, ჩვეულებრივ, ჰკიცხავდნენ დედოფალს მისი გულგრილობისა და ქმრის ღალატისათვის, რადგან მათ, ალბათ, ავიწყდებათ, რომ როდესაც ნაპოლეონმა გამოითხოვა იგი თავისთან 1810 წელს, რათა ცოლად შეერთო, მაშინ არც ისა და არც საერთოდ არავინ დაინტერესებულა თუნდაც იმით, რომ ეკითხათ მისთვის, სურდა თუ არა მას ეს ქორწინება. საკმარისი იქნებოდა მოეგონებინათ, თუ რას სწერდა მარია-ლუიზა ამ ამბის წინ 1810 წლის იანვარში (ოფენიდან, ავსტრიაში) თავისი ახლობელი მეგობარი ქალისადმი მიწერილ წერილში: "ნაპოლეონის განქორწინების შემდეგ მე ვშლი "ფრანკფურტის გაზეთს" იმ აზრით, რომ ვიპოვო იქ მისი ახალი მეუღლის სახელი და ვაღიარებ, რომ გადადება მოსვენებას არ მაძლევს. მე ღვთის განგებას ვანდობ ჩემს ბედს... მაგრამ თუ ჩემი დაწყეულილი ბედი მოისურვებს, მე მზად ვარ შევსწირო ჩემი პირადი კეთილდღეობა სახელმწიფოს ინტერესებს". ასე უყურებდა იმპერატორის მომავალი საპატარძლო და მეუღლე იმ მაჭანკლობას რომელიც მას ემუქრებოდა. ცხადია, რომ ნაპოლეონის იმპერიის დაცემა პირადად იმისათვის თითქმის ტყვეობიდან განთავისუფლებას უდრიდა.

არ მისულა ნაპოლეონთან არც პირველი მეუღლე, რომელიც მას ოდესღაც გაგიჟებით უყვარდა, ხოლო შემდეგ უარყო. ჟოზეფინა გარდაიცვალა თავის სასახლეში მალმეზონში, პარიზის მახლობლად, კუნძულ ელბაზე იმპერატორის მისვლის დღიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, 1814 წლის 29 მაისს. დაღვრემილი და მდუმარე იყო რამდენსამე დღეს იმპერატორი, როდესაც ეს ახალი ამბავი გაიგო.

ასე წყნარად და ერთფეროვნად მიდიოდა ელბაზე მისი ყოფნის პირველი თვეები. არაფრითა და არავის წინაშე არ აამკარავებდა იგი თავის შინაგან განცდებს. მრავალი საათის განმავლობაში იგი უაღრესად ჩაფიქრებული იყო ხოლმე. როგორც ეტყობა, უკვე 1814 წლის შემოდგომიდან და განსაკუთრებით კი ამ წლის ნოემბერ-დეკემბრიდან ნაპოლეონმა ყურადღებით იწყო ყველაფრის მოსმენა, რასაც კი აცნობებდნენ მას საფრანგეთისა და ვენის კონგრესის შესახებ, რომელმაც დაიწყო მაშინ თავისი სხდომების მოწვევა. მაუწყებლები ცოტანი როდი იყვნენ. იტალიიდანაც, რომლის უახლოესი პუნქტიდან (ქალაქ პიომბინოდან) კუნძული ელბა დაშორებულია მხოლოდ 12 კილომეტრით. და უშუალოდ საფრანგეთიდანაც მოსდიოდა მას ცნობები, რომლებიც ცხადყოფდნენ, რომ აღდგენილ ბურბონებსა და მათ გარშემო მყოფთ თავი კიდევ უფრო არაფრთხილად, კიდევ უფრო შეუსაბამოდ ეჭირათ, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

ტალეირანმა, ყველაზე უფრო ჭკვიანმა იმათგან, ვინც უღალატა ნაპოლეონს და ხელი შეუწყო ბურბონების რესტავრაციას 1814 წელს, მათი პირველი ნაბიჯებიდანვე თქვა მათ შესახებ: "მათ არაფერი არ დავიწყებიათ და არაფერი არ უსწავლიათ". იგივე აზრი გამოთქვა ალექსანდრე I კოლენკურთან საუბრის დროს: "ბურბონები არ გამოსწორებულან და გამოუსწორებლებიც არიან".

თვითონ მეფე, ნიკრისით დაავადებული ლუდოვიკ XVIII, ფრთხილი კაცი იყო. მაგრამ მისი ძმა, კარლ არტუა, ბურბონებთან ერთად დაბრუნებული მთელი ხროვა და ამ კარლ არტუას შვილები — ანგულემის ჰერცოგი და ბერიის ჰერცოგი — ისე იქცეოდნენ, თითქოს არავითარი რევოლუცია არ ყოფილიყოს და არასოდეს არავითარი ნაპოლეონი არ არსებულიყოს. ისინი ყოველად მოწყალედ აცხადებდნენ თანხმობას დაევიწყებინათ და ეპატიებინათ საფრანგეთისთვის ცოდვები, მაგრამ იმ პირობით, რომ ეს ქვეყანა მოინანიებდა და დაუბრუნდებოდა წინანდელ კეთილშსახურებას და წინანდელ წესრიგს. მიუხედავად მთელი მათი უგუნურობისა, ისინი მალე დარწმუნდნენ, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო ნაპოლეონის მიერ დაარსებულ დაწესებულებათა გაუქმება. ნაპოლეონის სახელმწიფო აპარატი ხელშეუხებელი დარჩა, ხოლო თვითმპყრობელი იმპერატორის ნაცვლად მას კონსტიტუციური მეფე ედგა სათავეში.

მეფე იძულებული გახადეს მიეცა ხალხისათვის კონსტიტუცია; უწინარეს ყოვლისა ამას დაჟინებით მოითხოვდა ალექსანდრე I, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ უკონსტიტუციოდ ბურბონები სრულიადაც ვერ გასძლებდნენ. ეს კონსტიტუცია საარჩევნო უფლებას აძლევდა მხოლოდ მდიდარ ადამიანთა მცირე ჯგუფს და აცხადებდა ბეჭდვითი სიტყვის ერთგვარ (ძლერ მცირე) თავისუფლებას და პირად უშიშროებას.

ძველი წყობილების სრული რესტავრაციის მიმდევარნი, ულტრარაციონალისტები, გააფთრებული იყვნენ ამ კონსტიტუციით. რატომ განაგებდა ნაპოლეონი ამდენ წელს დიქტატორული ხელისუფლებით და წყალობითა ღვთისათა კანონიერი მეფე შეზღუდულია თავის უფლებებში? ისინი უკმაყოფილონი იყვნენ ბევრი სხვა რამითაც. პირველივე დღეებიდანვე განუწყვეტლივ გაკკიოდნენ ისინი იმის შესახებ, რომ მიწები, რომლებიც ჩამოართვეს მათ რევოლუციის დროს და მიჰყიდეს საჯარო ვაჭრობით გლეხებსა და ბურჟუაზიას, ჩვენვე უნდა დაგვიბრუნდესო. რა თქმა უნდა, ამის გაკეთება ვერავინ გაბედა. მაგრამ თვით ასეთი ლაპარაკიც კი აშფოთებდა გლეხებს და აღელვებდა სოფელს.

სამღვდელოება მთლიანად დაბრუნებული ემიგრანტი თავად-აზნაურობის მხარეს იყო და ეკლესიის ამბიონიდანაც კი ქადაგებდა, რომ გლეხებს,

რომლებმაც ოდესღაც შეისყიდეს ჩამორთმეული მიწები, ღვთის რისხვა ეწევათ და მათ "ძაღლები შეჭამენ, როგორც ბიბლიურ იეზაველს".

დაბრუნებულ თავად-აზნაურობას თავი მეტად თავხედურად ეჭირა. იყო გლეხთა ცემა-ტყეპის შემთხვევებიც ამასთან, ნაცემს არ შეეძლო სამართალი ეპოვა სასამართლოში შეურაცხმყოფელის წინააღმდეგ. ისინი, ვინც უფრო ჭკვიანი იყვნენ ლუდოვიკ XVIII სასახლეში, სასოწარკვეთილებით ხედავდნენ, თუ რა ხდებოდა სოფლად და როგორ აღელვებდა სოფელს ხმები მიწაწყლის წართმევის შესახებ, მაგრამ რისიმე გაკეთება შეუძლებელი იყო.

იმპერიის დაცემის პირველსავე მომენტში ბურჟუაზიის უმთავრესმა მასამ შემსუბუქებაც კი იგრძნო: მას იმედი ჩაესახა, რომ შეწყდებოდა დაუხრულებელი ომები, გამოცოცხლდებოდა ვაჭრობა და შეჩერდებოდა ჯარში გაწვევა.

მაგრამ რამდენიმე თვემ განვლო იმპერიის დაცემისა და კონტინენტური ბლოკადის გაუქმების შემდეგ, და თუ მოვაჭრე ბურჟუაზია არ დრტვინავდა, მრეწველებმა გოდება დაიწყეს: ინგლისის საქონელი, რომელიც ევროპაში ბლომად შეიჭრა, საფრანგეთშიც ბლომად შევიდა და სრულიად განდევნა საფრანგეთის პროდუქცია. ბურბონების მთავრობა პირველ ხანებში ფიქრსაც კი ვერ ბედავდა გადამწყვეტი საბაჟო ბრძოლის შესახებ ინგლისელთა წინააღმდეგ, რომელთაც ასე დიდად შეუწყეს ხელი ნაპოლეონის დაცემას.

ბურბონები და მათი მახლობლები თვიდან თვეზე სულ უფრო და უფრო მეტად არყევდნენ თავიანთ მდგომარეობას. ისინი, რაკი უძლურნი იყვნენ აღედგინათ ძველი წყობილება, მოესპოთ რევოლუციისა და ნაპოლეონის მიერ გამოცემული სამოქალაქო კანონები, რაკი უძლურნი იყვნენ თუნდაც მხოლოდ შეხებოდნენ ნაპოლეონის მიერ აგებულ შენობას, - პროვოკაციას უწყობდნენ თავიანთი სიტყვებით, წერილებით, გააფთრებული აგიტაციით და თავხედური საქციელით როგორც გლეხობას, ისე ბურჟუაზიას. მათი მუქარა და პროვოკაცია ხიმტკიცეს აცლიდა მთელს პოლიტიკურ მდგომარეობას. განსაკუთრებით აღელვებული იყო სოფელი.

იყო კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯარისკაცთა თითქმის მთელი მასა და ოფიცრების საგრძნობი რაოდენობა ისე ეპყრობოდნენ ბურბონებს, როგორც გარედან თავზემოხვეულ აუცილებელ ბოროტებას, რომელიც მდუმარედ და მოთმინებით უნდა გადაეტანათ. დროთა ვითარების მიხედვით, წარსულს ბარდებოდნენ საშინელი ჭრილობანი და დასახიჩრებანი, განუწყვეტელი ხოცვა-ჟლეტაცა და რუ-

სეთიდან უკან დახევის საშინელებანიც. ყველაფერი ეს ფერს აკარგავდა და დავიწყებას ეძლეოდა. ძლიერდებოდა მხოლოდ მოგონება ადამიანის შესახებ, ვისაც ძიპყავდა ისინი გაუგონარ გამარჯვებამდე და საუკუნო დიდების გვირგვინს ადგამდა მათ. მათთვის ნაპოლეონი არა მარტო სახელგანთქმული გმირი, უდიდესი სარდალი და ნახევარი მსოფლიოს მბრძანებელი, არამედ იგი რჩებოდა მათთვის ამავე დროს მათს ძმა-ჯარისკაცად, "პატარა კაპრალად", რომელსაც ახსოვდა მათი სახელებიც და ყურებსა და ულვაშებს უწევდა მათ თავისი მწალობლობის ნიშნად. მათ მუდამ ეგონათ, რომ ნაპოლეონს ისინი სწორედ ისევე უყვარდა, როგორც მათ ნაპოლეონი. და იმპერატორი მუდამ ძლიერ ბეჯითად და დიდი წარმატებით უნერგავდა და უღვიძებდა მათ ამ ილუზიას.

ოფიცრობა არ იყო ისე მტრულად განწყობილი ბურბონების მიმართ, როგორც ჯარისკაცები. ჯარისკაცებსა და ოფიცრებს აღიზიანებდა აგრეთვე თეთრი დროშა, რომელიც შემოიღეს ბურბონებმა იმ სამფეროვანის ნაცვლად, რაც მათ რევოლუციისა და ნაპოლეონის დროს ჰქონდათ. ნაპოლეონის ჯარისკაცთათვის თეთრი დროშა იყო დროშა მოღალატე ემიგრანტებისა, რომელთაც ხვდებოდნენ და ხოცავდნენ ისინი წარსულ წლებში, როდესაც საჭირო იყო ინტერვენტთა იერიშების მოგერიება. ახლა ამ დროშით მოვიდნენ და რუსების, ავსტრიელების და პრუსიელების ხიშტებით დამკვიდრდნენ სწორედ ეს კონტრრევოლუციონური მოღალატენი, რომელთაც სურდათ ამავე დროს, როგორც სოფლიდან იწერებოდნენ, წაერთმიათ გლეხთათვის მიწა-წყალი... "სად არის იგი? კვლავ როდის გამოცხადდება?" ეს კითხვა ყველაზე უფრო ადრე, ვიდრე სადმე. ყაზარმაში და სოფლად წამოიჭრა.

ნაპოლეონმა იცოდა ეს. მან სხვა რამეც იცოდა. იტალიიდან და, ბოლოს, გაზეთების საშუალებით ნაპოლეონამდე აღწევდა ცნობები იმის შესახებაც, თუ რა ხდებოდა ვენის კონგრესზე. ის თვალყურს ადევნებდა იმას, თუ როგორ იყოფდნენ ხელმწიფეები და დიპლომატები მის უზარმაზარ მემკვიდრეობას და ვერაფრით ვერ გაეყოთ; თუ როგორ უძრავდნენ სიხარბეს და აჩხუბებდნენ ყოფილ მოკავშირეებს მისი მონაპოვარნი, რომელნიც საფრანგეთს წაართვეს. ის ხედავდა, რომ ინგლისი და ავსტრია გადაჭრით გამოდიოდნენ რუსეთისა და პრუსიის წინააღმდეგ საქსონიის საკითხშიაც და პოლონეთის საკითხშიაც. ევროპის სახელმწიფოთა მოქმედების იმ წინანდელ ერთიანობის მოლოდინი, რომელმაც ბოლო მოუღო 1814 წელს ნაპოლეონის დიდ იმპერიას, შეუძლებელი იყო...

1814 წლის დეკემბერში პორტო,ფერაიოში (კუნძულ ელბას მთავარ ქალაქში) თავის სასახლის მახლობლად სეირნობისას ნაპოლეონი უცებ

შეჩერდა საგუშაგოზე მდგომი გრენადერის მახლობლად. ეს იყო ჯარისკაცი ძველი გვარდიის იმ ათასეულიდან, რომელიც მოკაშირეთა ნებართვით გაპყვა იმპერატორს ელბაზე. "რაო, მოხუცო ბუზღუნავ, აქ მოწყენილი ხარ?" — "არა, ხელმწიფეო, მაგრამ არც თუ ძალიან ვერთობი". ნაპოლეონმა მას ხელში ოქროს ფული ჩაუდო, გაშორდა და დაბალის ხმით თქვა: "ეს მუდამ ასე როდი გაგრძელდება".

მიაღწია თუ არა ვინმემდე ცნობამ ამ შემთხვევის შესახებ, ან ორისამი ანალოგიური სიტყვის შესახებ, რომელიც ნაპოლეონს წამოცდა, ეს არ ვიცით. ვიცით მხოლოდ ის, რომ მეტერნიხიც, ლუდოვიკ XVIII და ინგლისის კაბინეტიც მეტად შეშფოთდნენ საფრანგეთის ნაპირებთან ნაპოლეონის მეტად ახლოს ყოფნის გამო. იყო ლაპარაკი მისი სადმე შორს გადაყვანის შესახებ. ის კვლავ საშინლად ეჩვენებოდათ თვით მის პატარა კუნძულზედაც კი. ხმები დადიოდა, რომ სურდათ მკვლელები მიეგზავნათ მასთან. რამდენადაც მეტ სისულელეს ჩადიოდნენ ბურბონები და მათი მომხრეები საფრანგეთში, მით უფრო მეტად შფოთავდნენ ხელმწიფეები და დიპლომატები ვენაში. მაგრამ კუნძულ ელბიდან ამავე დროს აგრეთვე სრულიად დამამშვიდებელი ცნობები მოდიოდა. რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ საშიშარ ხმებს: იმპერატორი თითქმის არ გამოდის თავის ოთახებიდან, ის მეტად დამშვიდებულია, საესებით შეურიგდა თავის ბედს, მეტისმეტი ლბომიერებით ელაპარაკებოდა ინგლისის წარმომადგენელს კემპბელს, რომელსაც უთხრა, რომ ახლა მას, გარდა თავისი პატარა კუნძულისა, უკვე აღარაფერი აინტერესებსო.

5 მარტს, საღამოთი, ვენაში, იმპერატორის სასახლეში, მეჯლისი გაიმართა, რომელიც მოაწყო ავსტრიის სასახლემ ევროპის სახელმწიფოთა თავმოყრილი მეფეებისა და წარმომადგენლების პატივსაცემად. უცებ გაჩაღებული ზეიმის დროს, სტუმრებმა რაღაც შეშფოთება შეამჩნიეს იმპერატორ ფრანცის მახლობლად. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს სასახლეში უეცრივ ხანძარი გაჩენილიყოს. თვალის დახამხამებაში სასახლის ყველა დარბაზს მოედო დაუჯერებელი ამბავი, რომელმაც თავშეყრილნი აიძულა მყისვე პანიკით მიეტოვებინათ მეჯლისი: იმ წუთს მოსულმა შიკრიკმა მოიტანა ცნობა, რომ ნაპოლეონმა ელბა მიატოვა, გადმოვიდა საფრანგეთში და უიარაღოდ მოდის პირდაპირი გზით პარიზშიო.

1815 წლის თებერვლის დასაწყისში ნაპოლეონმა გადაწყვიტა დაბრუნებულიყო საფრანგეთში და აღედგინა იმპერია. მას არასოდეს და არავისთვის უამბნია, თუ როგორ მივიდა ამ გადაწყვეტილებამდე. შესაძლებე-

ლია, მასში მხოლოდ 1814 წლის მიწურულსა და 1815 წლის პირველ თვეებში მომწიფდა რწმენა, რომ მას წინანდებურად ეპყრობა მთელი არმია და არა მარტო მისი გვარდია, და რომ მარშლებთან ერთად, რომლებიც 1814 წლის აპრლში მას არწმუნებდნენ საჭიროა ხელმძღვანელობაზე უარის თქმაო, არსებობენ დავუს მსგავსი მარშლებიც. ექსელმანსის მსგავსი გენერლებიც, როგორც სამსახურიდან გადამდგარი, ისე ნამდვილ სამსახურში მყოფი ოფიცრებიც, რომლებიც ზიზღითა და სიძულვილით შესცქერიან ბურბონებს და სავსებით იზიარებენ ჯარისკაცთა მასის გრძნობებს. დარწმუნდა იგი იმაშიაც, რომ თვით ბევრი იმ მარშალთაგანიც, რომელთაც მშვიდობიანობა სწყუროდათ, დაღლილი იყვნენ განუწყვეტელი ომებით და სიამოვნებით შეუდგნენ ბურბონების სამსახურს, ახლა გაჯავრებულნი და უკმაყოფილო არიან მეფე ლუდოვიკ XVIII, მისი ძმითა და მისი ძმისწულებითაც. მან იცოდა და დიდ ანგარიშსაც უწევდა გლეხთა განწყობილებას და მთელ იმ შეშფოთებას, რომელიც სოფლად თანდათან მატულობდა. ერთმა ცნობამ დააჩქარა მისი გადაწყვეტილება.

თებერვლის შუა რიცხვებში მან საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება, როდესაც ესაუბრა ჯერ კიდევ ნაპოლეონის დროის ერთ ახალგაზრდა მოხელეს ფლერი-დე-შაბულონს, რომელიც ელბაზე გამოგზავნა ინფორმაციით საფრანგეთში მცხოვრებმა ნაპოლეონის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ბასანოს ჰერცოგმა, მარემ. ბასანოს ჰერცოგმა დაავალა ფლერი-დე-შაბულონს დაწვრილებით ეამბნა იმპერატორისათვის საყოველთაო უკმაყოფილების ზრდისა, თავის სოფლებში დაბრუნებული ემიგრანტი თავად-აზნაურობის უმსგავსოებათა და იმის შესახებ, რომ არმიას თავის კანონიერ ხელმწიფედ თითქმის მთლიანად თავის სულსა და გულში მხოლოდ ნაპოლეონი მიაჩნია, ხოლო მეფე ლუდოვიკ XVIII და ბურბონთა ოჯახის სხვა წევრებს არმია არ იცნობს და არც სურს იცნობდესო. მოხსენება დაწვრილებითი იყო. სხვათა შორის, ნაპოლეონმა მეტად ბევრი რამ იცოდა ჯერ კიდევ ბასანოს ჰერცოგის მიერ გამოგზავნილი ამ შიკრიკის მოსვლამდე. ასე იყო თუ ისე, ამ ლაპარაკის შემდეგ მან მიიღო გადაწყვეტილება.

ამ დროს მასთან სტუმრად იყო მისი დედა, ლეტიცია, ჭკვიანი, მტკიცე, მამაცი ქალი, რომელსაც ნაპოლეონი უფრო მეტი პატივისცემით ეპყრობოდა, ვიდრე ვინმეს თავისი ოჯახიდან. მან დედას გაუზიარა პირველად თავისი გადაწყვეტილება. "მე არ შემიძლია მოვკვდე ამ კუნძულზე და დავამთავრო ჩემი ასპარეზი მშვიდობიანობაში, რაც მე არ შემეფერება. — უთხრა მან დედას. — არმიას მე ვუნდიყარ. მე ყველაფერი მაიმედებს,

რომ, დამინახავს თუ არა, არმია საჩქაროდ ჩემსკენ გამოიწევს. რა თქმა უნდა, შეიძლება გზაში მოულოდნელ წინააღმდეგობას წავაწყდე, შეიძლება წავაწყდე ბურბონების ერთგულ ოფიცერს, რომელიც შეაჩერებს ჯარის აღფრთოვანებას, და მაშინ მე რამდენიმე საათში ბოლო მომეღება. ასეთი აღსასრული უკეთესია, ვიდრე ამ კუნძულზე ყოფნა... მე მინდა წავიდე და ერთხელ კიდევ ვცადო ბედი. თქვენ რა აზრის ხართ დედა?"

ლეტიცია ისე შეაძრწუნა ამ მოულოდნელმა კითხვამ, რომ ვერ შესძლო ერთბაშად ეპასუხა: "ნება მიბოძეთ ერთი წუთით დედა ვიყო, მე შემდეგ გიპასუხებთ". და დიდი ხნის მდუმარების შემდეგ თქვა: "წადი, შვილო ჩემო, და მიჰყევით თქვენს დანიშნულებას. შეიძლება მარცხი განიცადოთ და ამ მარცხს მყისვე მოჰყვეს თქვენი სიკვდილი. მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ აქ დარჩეთ, მე ამას კარგად ვხედავ დამწუხრებული. იმედი ვიქონიოთ, რომ ღმერთი, რომელმაც დაგიფარათ უამრავ ბრძოლაში, ერთხელ კიდევ დაგიფარავთ", თქვა ესა და მაგრად ჩაიკრა გულში შვილი.

დედასთან ლაპარაკის შემდეგ ნაპოლეონმა მყისვე მოიწვია თავისი გენერლები, რომლებიც თან გაჰყვნენ მას კუნძულ ელბაზე. ეს გენერლები იყვნენ ბერტრანი, დრუო და კამბრონი. ბერტრანი და კამბრონი ამ ამბავმა აღაფრთოვანა, დრუოს კი წარმატებაში ეჭვი ეპარებოდა, მაგრამ ნაპოლეონმა უთხრა მას: ახლა მე განზრახვა არა მაქვს ვიომო და ან ემართო სახელმწიფო თეითმპყრობელურად, - მე მსურს თავისუფლება მივანიჭო საფრანგეთის ხალხსო. ეს იმ ახალი პოლიტიკური პროგრამის დამახასიათებელი იყო, რომლითაც იწყებდა ნაპოლეონი თავის საქმეს, თუ არა იმ მიზნით, რომ განეხორციელებინა იგი, იმ მიზნით მაინც, რომ გამოეყენებინა ტაქტიკური თვალსაზრისით.

მან მყისვე მისცა გენერლებს ბრძანებები და ინსტრუქციები. ის მიდიოდა არა იმისთვის, რომ იარაღით დაეპყრო საფრანგეთი, არამედ მხოლოდ განზრახვა ჰქონდა გამოცხადებულიყო საფრანგეთში, გადმოსულიყო ნაპირზე, გამოეცხადებინა თავისი მიზნები და მოეთხოვა უკან დაებრუნებინათ მისთვის იმპერატორის ტახტი. ასე დიდი იყო მისი რწმენა თავისი სახელის მომხიბლველობისა; იგი ფიქრობდა, რომ ამ ქვეყანას მყისვე, უბრძოლველად წინააღმდეგობის გაწევის ცდის გარეშე მუხლები უნდა მოეყარა მის წინაშე. მაშასადამე, ის, რომ მას არა ჰყავდა შეიარაღებული ძალა, არ შეიძლებოდა დაბრკოლებად ჩათვლილიყო. ხოლო იმისათვის, რომ არ შესძლებოდათ მისი დაპატიმრება და მოკვლა იმაზე უფრო ადრე, ვიდრე თუნდაც ერთი ნამდვილი ჯარისკაცი მაინც დაინახავდა მას, ნაპოლეონს თან ჰყავდა ადამიანები. ჯერ ერთი მასთან იყო შვიდას ოცდაოთხი

კაცი, რომლებიც სრულიად საკმარისი იყვნენ, რომ დაეცვათ იგი, რაც საჭირო იყო მხოლოდ პირველ მომენტში; მათ შორის იყვნენ ძველი გვარდიის ექვსასი გრენადერი და ქვეითი ეგერი და ასზე მეტი კავალერისტი. შემდეგ მის განკარგულებაში აღმოჩნდა აქ დიდიხნის წინათ დაბანაკებული მე-35 რეგიმენტის სამასზე მეტი ჯარისკაცი, რომლებიც მის.მიერვე იყვნენ გაგზავნილნი თავის დროზე კუნძულის დასაცავად. ნაპოლეონმა გადაწყვიტა თან წაეყვანა ისინი ყველანი, დაახლოებით ათას ასი კაცი. გადასასვლელად მის განკარგულებაში აღმოჩნდა რამდენიმე მცირე გემი.

ყველა სამზადისი უდიდესი საიდუმლოებით ტარდებოდა. ნაპოლეონმა უბრძანა თავის სამ გენერალს, რომ ყველაფერი მზად ყოფილიყო 26 თებერვალისათვის. ამ დღეს ქალაქ პორტო-ფერაიოში შუადღის შემდეგ უეცრად გაგზავნეს სავსებით შეიარაღებული ათას ასი ჯარისკაცი ნავსადგურში და გემებში ჩასხეს. მათ წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ იმაზე, თუ რისთვის ჩასხეს ისინი გემებში და სად უნდა წაეყვანათ; აქამდე მათთვის ერთი სიტყვაც კი არავის უთქვამს. მაგრამ ჯერ კიდევ გემებში ჩასხდომის დაწყებამდე ისინი, რა თქმა უნდა, მიხვდნენ და სიხარულით მიესალმნენ იმპერატორს, როდესაც იგი ნავსადგურში გამოცხადდა რამდენიმე გენერლისა და ძველი გვარდიის რამდენიმე ოფიცრის თანხლებით.

ნაპოლეონის დედა უნუგეშოდ ქვითინებდა, როდესაც ეთხოვებოდა შვილს, რომლის დანახვა მას ამიერიდან აღარ ეწერა.

ჯარისკაცებმა, ოფიცრებმა, გენერლებმა და ნაპოლეონმა თავისი ადგილები დაიკავეს ჰატარა გემებზე, და საღამოს 7 საათზე ჰატარა ფლოტილია ზურგის ქარის მეოხებით ჩრდილოეთისაკენ გაემართა.

პირველ საფრთხეს წარმოადგენდნენ ინგლისური და ფრანგული სამეფო სამხედრო ფრეგატები, რომლებიც განუწყვეტლივ დაცურავდნენ კუნძულ ელბის გარშემო. ეს გემები აქ იყო ყოველი შემთხვევისათვის, რათა თვალყური ედევნებინათ კუნძულისათვის. საფრანგეთის ერთმა სამხედრო გემმა ისე ახლოს გაუარა ფლოტილიას, რომ ამ გემის ოფიცერი რამდენიმე სიტყვითაც კი გამოეხმაურა რუპორით ნაპოლეონის ბრიგის კაპიტანს. "როგორ არის იმპერატორი?" — იკითხა ოფიცერმა. "ძალიან კარგად" — უპასუხა კაპიტანმა. შეხვედრა მხოლოდ ამით დამთავრდა. ჯარისკაცები დამალული იყვნენ და სამეფო გემიდან არავის არაფერი შეუმჩნევია. რაღაც ბედნიერი შემთხვევით მათ ინგლისელები სრულიად არ შეხვედრიათ. მოგზაურობამ თითქმის სამ დღედაღამეს გასტანა, რადგან ზურგის ქარი რამდენადმე შენელდა.

1815 წლის 1 მარტს, დღის სამ საათზე, ფლოტილია საფრანგეთის სანაპიროს მიადგა და ჟუანის ნავსადგურში გაჩერდა, ანტიბის კონცხის

მახლობლად. იმპერატორი ნაპირზე გადმოვიდა და ბრძანება გასცა დაეწყოთ გადმოსხმა. მოირბინეს საბაჟოს დარაჯებმა, რომლებმაც დაინახეს თუ არა ნაპოლეონი, ქუდები მოიხადეს და ხმამაღლა შესძახეს: "გაუმარჯოს იმპერატორს!"

ნაპოლეონმა კამბრონი გაგზავნა რამდენიმე ჯარისკაცის თანხლებით ქალაქ კანში სურსათ-სანოვაგისათვის. სურსათ-სანოვაგე დაუყოვნებლივ მოიტანეს, რის შემდეგაც ნაპოლეონი ჩრდილოეთისაკენ გაემართა თავისი რაზმით, დოფინეს პროვინციის გავლით. მან ნაპირზე დატოვა წინასწარ ის ოთხი ზარბაზანი, რომლებიც მან თან წამოიღო პორტო-ფერაიოდან. მან გადაწყვიტა წასულიყო მთა-მთა მიმავალი გზებით. ამავე დროს ბრძანება გასცა დაებეჭდათ ქალაქ გრასის სტამბაში მოწოდებანი საფრანგეთის არმიისა და ხალხისადმი. ქალაქი კანიცა და ქალაქი გრასიც უკვე მის განკარგულებაში იყო ყოველგვარი წინააღმდეგობის გაუწევლად. მან შეუჩერებლად გასწია წინ, გრენობლისაკენ, სოფელ სერნონისა და დინგაპის გავლით.

დეპარტამენტის მთავარ ქალაქ გრენობლში მდგარი ჯარის მეთაურმა ის იყო გადაწყვიტა წინააღმდეგობა გაეწია, მაგრამ ჯარისკაცები ხმამაღლა, მოურიდებლად აცხადებდნენ — არაფრის გულისთვის არ შევებრძოლებით იმპერატორსო. ბურჟუაზია გრენობლში შემკრთალი და შეშფოთებული ჩანდა. თავად-აზნაურობის ერთი ნაწილი მოსვენებას არ აძლევდა ხელისუფლებას და ეევედრებოდა მას წინააღმდეგობა გაეწია, ხოლო მეორე ნაწილმა თავგზააბნეულმა მოკურცხლა ქალაქიდან.

7 მარტს გრენობლში მოვიდა ნაპოლეონის წინააღმდეგ სასწრაფოდ გამოგზავნილი ჯარი — ორნახევარი სასაზღვრო ქვეითი რეგიმენტი არტილერიით და ჰუსართა ერთი რეგიმენტი.

ნაპოლეონი უკვე გრენობლს უახლოვდებოდა. მეტად კრიტიკული წუთი დგებოდა. იმის შესახებ, რომ ბრძოლა გაეჩაღებინა ჯართან, რომელსაც ამასთანავე არტილერიაც ჰქონდა, ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. მეფის ჯარს შეეძლო შორიდან დაეცხრილა ნაპოლეონი და მისი ჯარისკაცები ისე, რომ მას ერთი კაციც არ დაჰკლებოდა: ნაპოლეონს ხომ ერთი ქვემეხიც არ გააჩნდა.

7 მარტს, დილით, ნაპოლეონმა სოფელ ლამიურს მიაღწია. წინ, მოშორებით, მოჩანდა საბრძოლო მწყობრად ჩამწკრივებული ჯარი, რომელიც გზას უღობავდა მას და რომელსაც დაკისრებული ჰქონდა ჰენგოსთან ხიდის აფეთქება. ნაპოლეონი დურბინდით დიდხანს უყურებდა მის წინააღმდეგ დარაზმულ ჯარს. შემდეგ მან უბრძანა თაეის ჯარისკაცებს — ამოე-

დოთ თოფი მარცხენა ხელქვეშ, ლულით მიწისაკენ. "წინ!" — ებრძანა მან და წარუძღვა მის წინააღმდეგ დარაზმული მეფის ჯარის მოწინავე ათასეულის თოფებისაკენ.

ათასეულის უფროსმა გადახედა თავის ჯარისკაცებს, მიუბრუნდა გარნიზონის მეთაურის ადიუტანტს, მიუთითა მას თავის ჯარისკაცებზე და უთხრა: "რა უნდა ვქნა? შეხედეთ ამათ: ესენი სიკეთილივით გაფითრებული არიან და ცახცახებენ მარტო იმის წარმოდგენითაც კი, რომ საჭიროა ესროლონ ამ ადამიანს!" მან უბრძანა ათასეულს უკან დაეხა, მაგრამ მათ ვერ მოასწრეს.

ნაპოლეონმა უბრძანა თავის ორმოცდაათ კავალერისტს, შეეჩერებინათ უკანდასახევად გამზადებული ათასეული. "მეგობრებო, ნუ გეესვრით! — იძახოდნენ კავალერისტები. — აი იმპერატორი!" ათასეული შეჩერდა. მაშინ ნაპოლეონი მიუახლოვდა ჯარისკაცებს, რომლებიც გაირინდნენ თოფმომარჯვებულნი და თვალს არ აშორებდნენ მარტოხელა ფიგურას, ნაცრისფერსურთუკიანსა და სამკუთხოვან ქუდიანს, რომელიც მათ მტკიცე ნაბიჯით უახლოვდებოდა. "მეხუთე რეგიმენტის ჯარისკაცებო! — გაისმა სამარისებურ სიჩუმეში. — მცნობთ თუ არა?" — "დიახ, დიახ, დიახ!" — დაიძახეს მწკრივებში. ნაპოლეონმა სერთუკი გაიხსნა და გულმკერდი გადაიღეღა. "რომელ თქვენგანს სურს ესროლოს თავის იმპერატორს? ესროლეთ!" მან პასუხად მქუხარე მისასალმებელი შეძახილები მიიღო.

მთელი ჯარი, რომელიც გრენობლის დასაცავად იყო გაგზავნილი, მთელი ნაწილებით გადავიდა ზედიზედ იმპერატორის მხარეს. ლაბედოიერს, იმ რეგიმენტის მეთაურს, რომელიც თვით გრენობლში იდგა 7 მარტიდან, არ სურდა დაეცადა ნაპოლეონის მოსვლისათვის, მან შეკრიბა თავისი რეგიმენტი მთავარ მოედანზე და შესძახა მას: "გაუმარჯოს იმპერატორს!" და რეგიმენტი ერთად გამოვიდა ნაპოლეონის შესახვედრად. ლაბედოიერმა ეს ისე მოიმოქმედა, რომ მან ჯერ კიდეე არც კი იცოდა, თუ რა მოხდა ლამიურში. ნაპოლეონი ქალაქ გრენობლში შევიდა მის მხარეზე გადასული ნაწილებისა და ორთითებითა და ძველი თოფებით შეიარაღებულ გლეხთა ბრბოს თანხლებით. ქალაქში შესვლის საქმეში მას დახმარება გაუწიეს ადგილობრივმა მეკარატე ხელოსნებმა.

გრენობლში მის წინაშე წარსდგნენ ხელისუფლების წარმომადგენლები და ყველა უწყების უფროსნი, გარდა მცირეოდენი რიცხვისა, რომელიც ქალაქიდან გაიქცა. ამ მიღებაზე ნაპოლეონი იმეორებდა, რომ მან საბოლოოდ გადაწყვიტა მისცეს ხალხს თავისუფლება და რომ წინათ მას მარ-

თლაც "ძლიერ უყვარდა დიდებანი და დაპყრობანი", მაგრამ ახლა ის უკვე სხვა პოლიტიკას დაადგება. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ წარსულშიაც "უნდა ეპატიოს მას შეცდომა — გაეხადა საფრანგეთი ყველა ხალხის ბატონ-პატრონად".

კიდევ უფრო დამახასიათებელი იყო მისი განცხადება, რომელსაც იგი არანაკლები სიმტკიცით იმეორებდა, რომ იგი მოვიდა იმისათვის, რათა გადაარჩინოს გლეხები იმ საფრთხისაგან, რომელიც ემუქრება მათ ბურბონების მხრივ ფეოდალური წყობილების აღდგენით; მოვიდა რათა უზრუნველყოს გლეხთა მიწა-წყალი ემიგრანტი თავად-აზნაურობის თავდასხმისაგან. მან მტკიცედ განაცხადა, რომ სურს გადასინჯოს თვით მის მიერვე მოცემული სახელმწიფოებრივი წყობილება და გადააქციოს იმპერია კონსტიტუციურ მონარქიად, ნამდვილ მონარქიად წარმომადგენლობითი მმართველობით. სწორედ ამით იგი აშკარად აღიარებდა, რომ მის დროს არსებული საკანონმდებლო კორპუსი რაც გნებავთ ის იყო, მხოლოდ კი არა ნამდვილი წარმომადგენლობითი დაწესებულება.

მან სიტყვა დადო, სავსებით აპატიებდა ყველას, ვინც მის მხარეზე გადავიდოდა, და ამტკიცებდა, რომ მან თვითვე ურჩია თავის მახლობელთ ტახტიდან გადადგომის დროს ემსახურათ ბურბონებთან და გაათავისუფლა ისინი მისთვის, იმპერატორისათვის მიცემული ფიცისაგან. მაგრამ ბურბონებმა ცხადყვეს, რომ ისინი "შეუთავსებელი არიან ახალ საფრანგეთთან".

უბრძანა რა ახლომახლოს მყოფ რეგიმენტებს გამოცხადებულიყვნენ გრენობლში და დაათვალიერა რა ისინი, იგი უკვე ექვსი რეგიმენტით და საკმაოდ მნიშვნელოვანი არტილერიით პირდაპირი გზით გაემართა გრენობლიდან ლიონისაკენ. გზაში ყოველი მხრიდან მიილტვოდნენ მისკენ გლეხთა დელეგაციები. წინ მიდიოდა შვიდი ათასი ჯარისკაცისაგან შემდგარი რაზმი ოცდაათი ქვემეხით. ნაპოლეონი, დანარჩენი ჯარით, ერთი დღით შეჩერდა გრენობლში და გავიდა იქიდან, როდესაც უკვე დაგზავნა მთელი რიგი ბრძანებები და განკარგულებანი: ის თავის თავს კვლავ საფრანგეთის ნამდვილ მბრძანებლად გრძნობდა. ახლა მას საჭიროების შემთხვევაში შეეძლო შებრძოლებოდა მეფის ჯარს. მაგრამ იგი წინანდებურად მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ მას ერთხელაც არ მოუხდებოდა თოფის გარსოლა და რომ საერთოდ არავითარი მეფის ჯარი არ არსებობდა საფრანგეთში და არც არასოდეს არ არსებულა, არამედ არსებობდა მხოლოდ მისი, ნაპოლეონის, იმპერატორის ჯარი, რომელსაც უბედური შემთხვევის გამო მოუხდა თერთმეტი თვის განმავლობაში ყოფილიყო უცხო თეთრი დროშის ქვეშ.

ნაპოლეონსა და მის არმიას უკან მიჰყვებოდნენ გლეხთა ბრბოები — და უდიდესი ბრბოებიც — მოწმეების ჩვენებით, სამი-ოთხი ათას კაცამდე თითოეულში; ისინი გზადაგზა უერთდებოდნენ მას, მიჰქონდათ მასთან სურსათ-სანოვაგე და აღუთქვამდნენ ყოველგვარ დახმარებას. ბრბოები, რომლების შემადგენლობა იცვლებოდა არ მცირდებოდა რიცხობრივად. თვით ნაპოლეონიც კი მიუხედავად მთელი მისი რწმენისა ამის მსგავს არაფერს მოელოდა. იგი უკვე სრულიად არ ეჭვობდა, რომ რამდენიმე დღის შემდეგ პარიზში იქნებოდა. რას შეეძლო შეეჩერებინა ის? ქალაქთა დაკეტილ კარებს? მაგრამ გრენობლშიაც სცადეს როიალისტებმა ქალაქიდან გაქცევის დროს კარები დაეკეტათ: "მხოლოდ ჩემი სათუთუნე დავაკაკუნე ამ კარებზე და იგი გაიღო" — ასე განაცხადა ამის შესახებ ნაპოლეონმა. მან კიდეც გადააჭარბა თავის ძალღონის დახარჯვის შესახებ, როდესაც ესა თქვა: მას სათუთუნის დაკაკუნებაც არ დასჭირვებია — კარები მთლად ღია იყო, როდესაც იგი მას მიუახლოვდა. ნაპოლეონი გლეხთა მასების მისალმების ხმაურში ტრიუმფატორად მიდიოდა პირდაპირ ლიონისაკენ; მას წინ მიუძღოდნენ და თან ახლდნენ მწყობრი რეგიმენტები, და იგი გზადაგზა იძლეოდა ბრძანებებს ჰგზავნიდა შიკრიკებს, იღებდა მოხსენებებს და ნიშნავდა ახალ მეთაურებსა და ხელისუფალთ.

5 მარტს, საღამოთი, მოახსენეს მეფე ლუდოვიკ XVIII იმ წუთს მიღებული (მაშინდელი სასიგნალო ტელეგრაფით) დაუჯერებელი ახალი ამბავი — ნაპოლეონის საფრანგეთში შესვლა. პარიზმა იმ მომენტში ჯერ კიდეე არაფერი იცოდა; მეფემ ბრძანება გასცა, უწინარეს ყოვლისა, დეპეშა დაემალათ. მხოლოდ 7 მარტს დართეს ნება მოეთავსებინათ გაზეთებში ცნობა ნაპოლეონის საფრანგეთში შესვლის შესახებ, შთაბეჭდილება თავზარდამცემი იყო. თავიდან ვერავის გაეგო, თუ როგორ მოახერხა ნაპოლეონმა, ჯერ-ერთი, მშვიდობიანად გამოეევლო ხმელთაშუა ზღვის ის ნაწილი, რომელსაც კუნძულ ელბას მოდარაჯე ორი ფლოტი იცავდა, და მეორე, როგორ არ შეიპყრეს იგი, უიარაღო, ან რამდენიმე თანმხლებლით, მყისვე საფრანგეთში შესვლისას. მთავრობა ჯერ მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ არასასიამოვნო ინციდენტის ლიკვიდაცია არ გაჭიანურდებოდა: "ყაჩაღი ბონაპარტი", ალბათ, შეიშალა, იმიტომ რომ შეუშლელი ვერასოდეს ვერ გაბედავდა ასე მოქცეულიყო.

როიალისტები და განსაკუთრებით 1814 წელს ბურბონებთან ერთად დაბრუნებული თავად-აზნაურები სრულ პანიკას განიცდიდნენ. მათ სრულიად დაკარგეს თავი ამ სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით და აშკარა ძრწოლით ემზადებოდნენ იმისათვის, რომ დაეკარგათ იგი მისი ნამდვი-

ლი, ფიზიკური მნიშვნელობით. რას უზამს მათ კორსიკელი კაციჭამია? ენგიენის ჰერცოგის გასისხლიანებული აჩრდილი განუწყვეტლივ იდგა ბურბონებისა და მათი სასახლის თავალწინ ამ დღეებში.

და მეფეს მაინს არ სურდა დაეჯერებინა ჯერჯერობით საფრთხის სერიოზულობა. ახალ-ახალი ცნობები ლაპარაკობდნენ ნაპოლეონის წინსვლის შესახებ მთებზე გადმოვლით გრენობლისაკენ. ჯერ კიდევ არ იცოდნენ იმის შესახებ, თუ რა მოხდა ლამიურში, მაგრამ ჯარი რომ უიმედო იყო, ეს სრულიად ცხადი იყო. მარშლები და გენერლები ჯერ მაგრად იდგნენ, შეიძლება არც ოფიცრები გადასულიყვნენ იმპერატორის მხარეს, მაგრამ პარიზის გარნიზონის ჯარისკაცები თავის სიხარულს არც კი ფარავდნენ.

გადაწყვეტილ იქნა დაეპირისპირებინათ ნაპოლეონისათვის ისეთი ადამიანი, რომელიც იმპერატორის შემდეგ ყველაზე უფრო პოპულარული იქნებოდა არმიაში. ასეთ ადამიანად დასახული იყო მარშალი ნეი, რომელიც, თითქოს, სრულიად გულწრფელად შეუერთდა ბურბონებს და რომელიც ყველაზე უფრო მეტად არწმუნებდა ნაპოლეონს 1814 წელს საჭიროა ტახტზე უარის თქმაო. მეორე მხრით თვით ნაპოლეონმა მისცა მას მარშლის კვერთხიც, ხოლო შემდეგ ჰერცოგის ტიტულიც, და რაც მისთვის ყველაზე უფრო საპატიო იყო ჯარისკაცთა თვალში, იმპერატორმა მისცა მას სახელწოდება: "მამაცთა შორის უმამაცესი". თუ ასეთი ადამიანი დათანხმდებოდა ეკისრა სარდლობა, მაშინ შესაძლებელი იყო ჯარისკაცებიც გაჰყოლოდნენ მას თვით ნაპოლეონის წინააღმდეგ.

ნეი მეფესთან მიიწვიეს. ნეი გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა ნაპოლეონის საქმეს, რომელთანაც იგი, გარდა ბოროტებისა, საფრანგეთისათვის არაფერს მოულოდა. მან, ცხარე მებრძოლმა, ფიცხმა ჯარისკაცმა, იმ პირფერული მლიქვნელობის გაკვლენით, რომლითაც ეევედრებოდნენ მას მეფეცა და ბურბონთა მთელი სასახლეც, თავის ჯარისკაცთა თავმდებობა იკისრა და წამოიძახა: "მე მოვიყვან მას დატყვეებულს, რკინის გალიაში".

მაგრამ მარშალ ნეის გალაშქრებამდე ერთბაშად მოვიდა ბურბონებისათვის შემაძრწუნებელი ცნობები: ჯარი უბრძოლველად გადადის იმპერატორის მხარეს, პროვინციები და ქალაქები ზედიზედ იყრიან მუხლს მის ფერხთით ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, ხდება ისეთი რამ, რაც არასოდეს მომხდარაო.

საჭირო იყო, რადაც უნდა დამჯდარიყო, შეენარჩუნებინათ ლიონი, პარიზის შემდეგ ეს მეორე ქალაქი სიმდიდრით, მცხოვრებთა რიცხვითა და პოლიტიკური მნიშვნელობით. ლიონში გაემგზავრა მეფის ძმა, გრაფი არ-

ტუა, ყველაზე უფრო საძულველი ბურბონთაგან, იმ გულუბრყვილო იმედით, რომ აღუნთებდა გულში ლიონის მუშებს ბურბონებისადმი ერთგულების გრძნობას. იქვე მივიდა მარშალი მაკდონალდიც, რომელზედაც ისეთსავე დიდ იმედებს ამყარებდნენ ბურბონები, როგორც ნეიზე. მაკდონალდმა ბარიკადები ააგო ხიდებთან, სასწრაფოდ ჩაატარა სათავდაცვო სამუშაოები და განიზრახა დაეთვალიერებინა ჯარი და თანაც ეჩვენებინა მისთვის მეფის ძმა, გრაფი არტუა.

უკვე ყველაფერი მზად იყო ამ საზეიმო დემონსტრაციისათვის, როდესაც უცებ მაკდონალდთან გამოცხადდა ერთი გენერალი და უთხრა მას, რომ უკეთესი იქნება, თუ მეფის ძმას რაც შეიძლება ჩქარა წაიყვან უფრო უშიშარ ადგილამდე. მაკდონალდმა დასათვალიერებლად შეაგროვა გარნიზონის სამი რეგიმენტი და წარმოთქვა მათ წინაშე სიტყვა, სადაც აღნიშნა, თუ რა ახალი ომი ემუქრებოდა საფრანგეთს ევროპასთან ნაპოლეონის გამარჯვების შემთხვევაში, და წინადადება მისცა მათ მისალმებოდნენ მეფის მიერ გამოგზავნილ გრაფ არტუას შეძახილით: "გაუმარჯოს მეფეს!", რათა ამით დაედასტურებინათ ბურბონების ერთგულება. პასუხად სამარისებური სიჩუმე იყო. გრაფი არტუა საშინელმა პანიკამ მოიცვა, იგი ჯარის დათვალიერებიდან გაიქცა და მყისვე უაღრესი სისწრაფით დატოვა ლიონი. თვით მაკდონალდი კი იქვე დარჩა რათა ხელმძღვანელობა გაეწია სათავდაცვო სამუშაოებისათვის. დაღვრემილი ჯარისკაცები უხალისოდ მუშაობდნენ. ერთი მესანგრე ჯარისკაცი მივიდა მარშალთან და ყველრებით უთხრა მას: "უკეთესი იქნება ჩვენს ხელმწიფესთან, იმპერატორ ნაპოლეონთან წაგეყვანეთ". მარშალმა არაფერი არ უპასუხა.

"გაუმარჯოს იმპერატორს! ძირს თავად-აზნაურები!" — ამ ძახილით შეეიდნენ გლეხები ლიონის გარეუბან ლაგილიოტიერში და აცნობეს ქალაქს იმპერატორის ავანგარდის მოახლოების შესახებ.

მართლაც, ნაპოლეონის ჰუსარები უკვე შეეიდნენ ქალაქში. მაკდონალდი თავისი ჯარით შესახვედრად წავიდა; ის ჯერ კიდევ ფიქრობდა შებრძოლებოდა მას, მაგრამ დაინახეს თუ არა მისმა ნაწილებმა (წინ დრაგუნები მიდიოდნენ) კირასირები, შესძახეს, "გაუმარჯოს იმპერატორს!" და მიიჭრნენ პირდაპირ მათთან. მარშალის განკარგულებაში მყოფი ყველა ჯარის ნაწილი ერთბაშად, ერთ წუთში აირია ნაპოლეონის ჯარში ერთ საერთო მასად. მაკდონალდმა, რათა ტყვედ არ ჩავარდნოდა თავისავე ჯარისკაცებს, ცხენი გააჭენა და გაიქცა ქალაქიდან.

ამ სცენის შემდეგ ნახევარი საათის განვლისას ამალით გარსშემორტყმული ნაპოლეონი შევიდა ლიონში, რომელიც შეხვდა მას ისევე, რო-

გორც ყველა სხვა ქალაქი, ერთი თოფის გაუსროლელად. ეს მოხდა 10 მარტს, ცხრა დღის შემდეგ ჟუანის ნაესადგურში მისი გადმოსხდომის დღიდან.

მან ტახტიდან ჩამოაგდო ბურბონების დინასტია, მოსპო მათ მიერ ბოძებული კონსტიტუცია და უკვე აღადგინა ფორმალურად ლიონში თავისი იმპერია. ლიონიდან იგი თითქმის თხუთმეტათასიან ჯარის სათავეში პარიზისაკენ გაემართა. "ჩემი არწივები სამრეკლოზე გადაფრინდებიან და ნოტრ-დამის ტაძარზე დასხდებიან", — ამბობდა ის იმ აზრის განმეორებით, რომელიც გამოთქვა თავის მოწოდებაში ჯარისკაცებისადმი ჯერ კიდევ საფრანგეთში შესვლის პირველ მომენტში.

ნაპოლეონი ისე მიდიოდა, რომ მას წინანდებურად არავითარი დაბრკოლება არ ელობებოდა; ის ტრიუმფით შეავიდა მაკონში, ლიონსა და მაკონს შორის არსებულ სოფლებსა და დაბებში, მაკონსა და სონის შალონს შორის არსებულ ადგილებში. მაგრამ სანამ ის შალონს მიაღწევდა, მოხდა ნაპოლეონის გადამწყვეტი შეხვედრა მარშალ ნეისთან. ნაპოლეონი კარგად იცნობდა ნეის, მას უყვარდა მისი გული, მაგრამ სრულიად არ სცემდა პატივს მის თავს. მან ნახა ნეი ბრძოლებში, ახსოვდა ნეი სემიონოვის ფლეშებთან ბოროდინოს ღლეებში, არასოდეს არ ივიწყებდა, თუ რას აკეთებდა ნეი, როდესაც რუსეთიდან უკან დახეული დიდი არმიის არიერგარდს მეთაურობდა. იმ მომენტში, როდესაც იგი მაკონიდან გადიოდა და მას მოახსენეს, რომ მარშალი ნეი თავისი არმიით ლონ-ლე-სონიეში დაბანაკდა და გზა გადაუღობა, ნაპოლეონს ბრძოლის უკვე აღარ ეშინოდა. თხუთმეტი ათასი ჯარისკაცით მას თავის სიცოცხლეში ამაზე მეტი საქმეც გაუკეთებია. მაგრამ მას არ სურდა სისხლისღვრა; მისთვის მნიშვნელოვანი იყო დაეპყრო ქვეყანა ისე, რომ მსხვერპლად არც ერთი ადამიანი არ შეეწირა, რადგან მას იმპერიის სასარგებლოდ უფრო დამარწმუნებელი პოლიტიკური დემონსტრაციების გამონახვაც კი არ შეეძლო.

მარშალი ნეი ლონ-ლე-სონიეში ჩავიდა 12 მარტს. მას ოთხი პოლკი ჰყავდა და კიდევ ელოდა მაშველ ჯარს. იგი ამ მომენტში დარწმუნებული იყო თავის მოქმედების სამართლიანობაში: მას ისე ჰქონდა წარმოდგენილი, რომ საფრანგეთის ერთადერთ ხსნას 1814 წ. წარმოადგენდა იმპერატორისაგან ტახტზე უარის თქმა. ტახტზე უარისთქმისთანავე ნაპოლეონმა თვითონ დართო ნება მარშლებს დარჩენილიყვნენ სამსახურში ბურბონებთან; ახლა ნაპოლეონმა დაარღვია თავისი ხელშეკრულება სახელშწიფოებთან, მიატოვა ელბა და სურს კვლავ დაიკავოს ტახტი, რაც აუცილებლად გამოიწვევს ევროპასთან ომს. ნეი გულწრფელად ფიქრობდა, რომ

ბგი მართალი იყო იმპერატორთან ბრძოლაში. მან იცოდა, რომ ახლა მასზეა დამყარებული მთელი იმედები მეფე ლუდოვიკ XVIII-ისა, რომელიც მთლიანად დაენდო მას.

მაგრამ ჯარისკაცები პირქუშად დუმდნენ, როდესაც იგი, მათი საყვარელი ადამიანი, ცდილობდა ელაპარაკა მათთან. მან თავი მიუყარა ოფიცრებსა და ჯარისკაცებს და წარმოთქვა სიტყვა, რომელშიაც მოაგონა მათ, თუ როგორ ემსახურებოდა იგი მთელ თავის სიცოცხლეში იმპერატორს თავის დაუზოგველად, თანაც განუცხადა მათ, რომ ახლა იმპერიის აღდგენა გამოიწვევს საფრანგეთისთვის ურიცხვ უბედურებას და უწინარეს ყოვლისა — ოშს მთელს ევროპასთან, რომელიც არაფრის გულისათვის არ შეურიგდება ნაპოლეონს. მან დაუმატა, რომ ახლავე გაუშვებს თავისი რაზმიდან იმათ, ვისაც რაიმე მიზეზით არ სურს იბრძოლოს, და გასწევს წინ დანარჩენებთან ერთად. მან პასუხად მიიღო მდუმარება როგორც ოფიცრების, ისე ჯარისკაცების მხრივ. იგი აღელვებული და შეშფოთებული დაბრუნდა თავის კარავში.

13 მარტს, ღამით, მარშალი გააღვიძეს და აცნობეს, რომ საარტილერიო ნაწილი, რომელიც უნდა მოსულიყო მასთან შალონიდან მოსაშველებლად, აჯანყდა და ნაპოლეონის მხარეს გადავიდა. შემდეგ, გათენებისას და დილით, განუწყვეტლივ მოდიოდა ახალ-ახალი ცნობები იმ ქალაქთა შესახებ, რომლებიც აძევებდნენ როიალისტულ ხელისუფლებას და უერთდებოდნენ იმპერატორს, აგრეთვე იმის შესახებ, რომ თვით იმპერატორი მიისწრაფოდა ლონ-ლე-სონიესაკენ.

სასტიკი მერყეობის მომენტში, რომელმაც სულიერი მღელვარება განაცდევინა ნეის, გარემოცულს ისეთი დაღვრემილი ჯარისკაცებით, რომელთაც არ სურდათ აშკარად არც მასთან ლაპარაკი და არც მისთვის პასუხის გაცემა, და ისეთი ოფიცრებით, რომლებიც თვალს არიდებდნენ მის შემოხედვას, მან მიიღო ნაპოლეონისაგან ცხენოსანი შიკრიკის მიერ მის ბანაკში მიტანილი ბარათი. "მე თქვენ ისე მიგიღებთ, როგორც მიგიღეთ მოსკოვთან მომხდარი ბრძოლის მეორე დღეს. ნაპოლეონი" — წაიკითხა მარშალმა ბარათში.

მარშალ ნეის მერყეობა დამთავრდა. მან უბრძანა მეთაურებს სასწრაფოდ შეეგროვებინათ და დაემწკრივებინათ რეგიმენტები. გამოვიდა რა მათი ფრონტის წინაშე, მან ფშვნელა ხმალი და ხმამაღლა შესძახა: "ჯარისკაცებო! ბურბონების საქმე სამუდამოდ წაგებულია. კანონიერი დინასტია, რომელიც შეარჩია თავისთვის საფრანგეთმა, ტახტზე ადის. იმპერატორმა ნაპოლეონმა, ჩვენმა ხელმწიფემ, უნდა იმეფოს ამიერიდან ამ

მშვენიერ ქვეყანაში". შეძახილებმა: "გაუმარჯოს იმპერატორს! გაუმარჯოს მარშალ ნეის!" დაფარა მისი სიტყვები. რამდენიმე როიალისტი ოფიცერი მყისვე მიიმალა. ნეის მათთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. ერთმა მათგანმა იქვე გადაამტვრია თავისი ხმალი და მწარედ უსაყვედურა ნეის. "მაშ, თქვენი აზრით, რა უნდა მექნა? განა მე შემიძლია შევაჩერო ზღვის მოძრაობა ჩემი ორი ხელით?" — უპასუხა ნეიმ.

მეტად საგულისხმოა, რომ მარშალმა ნეიმ, უეცრივ გადავიდა რა ნაპოლეონის მხარეზე დაუყოვნებლივ იწყო იმპერატორის სრულიად ზუსტი (როგორც ყოველთვის) ბრძანების შესრულება ლონ-ლე-სონიეში მდგარი რაზმის უახლოეს მოქმედებათა შესახებ. ნაპოლეონმა წინასწარ გაუგზავნა ეს ბრძანება, როდესაც ჯერ კიდევ არაფერი იცოდა ნეის მის მხარეზე გადასვლის შესახებ, მაგრამ მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ნეი არ იხმარდამის წინააღმდეგ იარაღს.

პარიზში თითქმის ერთსა და იმავე დროს გაიგეს ლიონში ნაპოლეონის შესვლის, ჩრდილოეთისაკენ მისი შემდგომი წინსვლის და ნეისა და მისი ჯარის ნაპოლეონის მხარეზე გადასვლის შესახებ.

გაქცევა! — აი ეს იყო მეფის სასახლის პირველი აზრი. გაქცევა უკან მოუხედავად სასიკვდილო საშიშროებისაგან, გაქცევა ვენსენის ორმოსაგან, სადაც ლპება ჰერცოგ ენგიენის გვამი. მეფე ლუდოვიკ XVIII ჯერ ეწინააღმდეგებოდა გაქცევის აზრს. მას ეს სამარცხვინოდაც და, შეიძლება ტაბტის დაკარგვადაც მიაჩნდა. მაგრამ მაშინ რალა გაეკეთებინა? საქმე მივიდა ასეთი სტრატეგიული გეგმის სერიოზულ განხილვამდე: მეფე ჩაჯდება კარეტაში და მთელი თავისი ოჯახითა და უმაღლესი სამღვდელოებით გავა ქალაქგარეთ; სადარაჯოსთან ყველა ეს ეკიპაჟი შეჩერდება და დაელოდება დედაქალაქზე მომავალ უზურპატორს. უზურპატორი როგორც კი დაინახავს ჭაღარა კანონიერ მონარქს, რომელიც თვითონ უშიშრად გადაულიბავს მას დედაქალაქში შესასვლელ გზას, უეჭველია, სამარცხვინოდ მიიჩნევს თავის საქციელს და უკან გაბრუნდება. რა უაზრობა გინდათ რომ არ შეეთავაზებინათ ამ პანიკის დროს იმ პირებს, რომელთაც დამშვიდებულთაც არ ჰქონდათ საქმის მოგვარების თავი.

მთავრობასთან და მმართველ სფეროებთან ახლოს მდგომი პარიზის პრესა თავისი თავის უკიდურეს რწმენიდან სრულმა უიმედობამ და აუტანელმა შიშმა შეიპყრო. ამ დღეებში მისი მოქმედების დამახასიათებელია სრული თანამიმდევრობა იმ ეპითეტებისა, რომლებსაც ხმარობდნენ ნაპოლეონის მიმართ იმის მიხედვით, თუ რამდენად მოიწევდა იგი წინ სამხრეთიდან,ჩრდილოეთისაკენ. პირველი ცნობა: "კორსიკელი ურჩხული გადმოჯ-

და ჟუანის ნავსადგურში". მეორე ცნობა: "კაციჭამია გრასისაკენ მიდის". მესამე ცნობა: "უზურპატორი გრენობლში შევიდა". მეოთხე ცნობა: "ბონაპარტმა ლიონი დაიკავა". მეხუთე ცნობა: "ნაპოლეონი ფონტენებლოს უახლოვდება". მეექვსე ცნობა: "მის იმპერატორობითი უდიდებულესობას ხვალ ელიან მის ერთგულ პარიზში". მთელი ეს ლიტერატურული გამა მოთავსდა ერთსა და იმავე გაზეთებში, ერთსა და იმავე რედაქციის პირობებში, რამდენიმე დღის განმავლობაში.

19 მარტს, ღამით, ნაპოლეონი თავისი არმიით ფონტენებლოში შევიდა; 19 მარტს, საღამოს 11 საათზე, მეფე მთელი თავისი ოჯახით გაიქცა ბელგიის საზღვრის მიმართულებით.

მეორე დღეს, 1815 წლის 20 მარტს, საღამოს 9 საათზე, ამალითა და კავალერიით გარემოცული ნაპოლეონი პარიზში შევიდა.

უამრავი ხალხი ელოდებოდა მას ტიულრის სასახლეში და ამ სასახლის გარშემო. ხალხი გაგიჟებულივით (მოწმეთა ჩვენებით) მიიჭრა იმპერატორთან, კუთხეში მიაგდო ამალა, გააღო კარეტა და დაუცხრომელი შეძახილებით ხელზე აყვანილი წაიყვანა ნაპოლეონი სასახლეში და სასახლის მთავარი კიბით აიყვანა ზემოთ, მეორე სართულის აპარტამენტებში.

მეტად გრანდიოზულ გამარჯვებათა და ბრწყინვალე ლაშქრობათა შემდეგაც, მეტად დიდ და მდიდარ დაპყრობათა შემდეგაც არასოდეს არ შეხვედრიან მას პარიზში ისე, როგორც 1815 წლის 20 მარტის საღამოს შეხვდნენ. ერთი მოხუცი როიალისტი ამბობდა ამის შემდეგ — ეს ნამდვილი კერპთაყვანისმცემლობა იყო.

ის იყო, ძლივს დაიყოლიეს ხალხი გადასულიყო სასახლიდან და ნაპოლეონი მოხვდა თავის ძველ კაბინეტში (საიდანაც 24 საათის წინათ მეფე ლუდოვიკ XVIII გაიქცა), და იქვე შეუდგა იმ საქმეებს, რომლებიც მას ყოველი მხრიდან მოდიოდა.

მოხდა არაჩვეულებრივი რამ. უიარაღო ადამიანმა, თოფის გაუსროლელად, სრულიად უბრძოლველად, 19 დღეში განვლო მანძილი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროდან პარიზამდე, განდევნა ბურბონების დინასტია და კვლავ გამეფდა საფრანგეთში. მაგრამ მან ყველაზე უკეთ იცოდა, რომ კვლავ, როგორც პირველი თავის მეფობის დროს, თან მოიტანა არა მშვიდობა, არამედ მახვილი, და რომ მისი უეცარი გამოცხადებით თავზარდაცემული ევროპა ამჯერად ყველაფერს ჩაიდენს, რათა ხელი შეუშალოს მას თავისი ძალების შეგროვებაში.

ნაპოლეონმა საზეიმოდ დადო სიტყვა თავისი ახალი მეფობის დაწყებისთანავე, რომ მისცემდა საფრანგეთს თავისუფლებასა და მშვიდობიანო-

ბას; ამით მან აშკარად და ხმამაღლა აღიარა და მრავალჯერ გაიმეორა გრენობლშიაც, ლიონშიაც და პარიზშიაც, რომ თავისი პირველი მეფობის დროს მას საფრანგეთისთვის არც თავისუფლება და არც მშვიდობიანობა არ მიუცია. თავისუფლებისმოყვარული და მშვიდობისმოყვარული ნაპოლეონი — ამას, ცხადია, ისე უნდა ეფლერა საფრანგეთისა და ევროპის ყურში, როგორც იმას, რომ ეთქვათ: ციცი ცეცხლი ან მხურვალე ყინულიო.

ნაპოლეონს, როგორც მეტად გონიერ ადამიანს, კარგად ესმოდა, რომ თუ მან ყოველგვარი ბრძოლის გარეშე, შიშველი ხელებით, რამდენიმე დღის განმავლობაში დაიბრუნა საფრანგეთის ტახტი, ეს მოხდა არა იმიტომ, რომ ერთბაშად ყველანი დაატყვევა იმ თავისუფლების მოცულობამ და მშვიდობიანობის სიმტკიცემ, რომელსაც ჰპირდებოდა იგი თავის ქვეშევრდომთ. მას ძლიერ კარგად ესმოდა, რომ მისი წარმატება უმთავრესად გამოწვეული იყო მისი დაპირებებით გლეხებისადმი, ე.ი. ერის დიდი უმეტესობისადმი.

"გლეხები გაიძახოდნენ; "გაუმარჯოს იმპერატორს! ძირს თავად-აზნაურები! ძირს ხუცები!" ისინი თან მომყვებოდნენ ქალაქიდან ქალაქამდე, ხოლო როდესაც ალარ შეეძლოთ უფრო შორს წამოსვლა, მათ სცვლიდნენ სხვები, და ასე ხდებოდა პარიზამდე. პრეფესალელთა შემდეგ — დოფინელები, დოფინელთა შემდეგ — ლიონელები, ლიონელთა შემდეგ ბურგინიონელები შეადგენდნენ ჩემს ამალას; და ჭეშმარიტი შეთქმულნი, რომელთაც მომიმზადეს მე ყველა ეს მეგობარი, თვით ბურბონები იყვნენ" — ასე იუწყებოდა ნაპოლეონი თავისი სვლის შესახებ პირველსავე დღეებში ტიულრიში დაბინავების შემდეგ.

მაგრამ გლეხთა დაკმაყოფილება, ნაწილობრივ მაინც ადვილი იყო: მათთვის ნაპოლეონი ფეოდალიზმის სრული განადგურებისა და მიწაზე გლეხთა საკუთრების უზრუნველყოფის სიმბოლოს წარმოადგენდა. მართალია, გლეხებს ისიც უნდოდათ, რომ არ ყოფილიყო ომები და ჯარში გაწვევა, და გულმოდგინედ უგდებდნენ ყურს, როდესაც იმპერატორი თავისი მომავალი მშვიდობიანი პოლიტიკის შესახებ ლაპარაკობდა. მაგრამ ეს საკითხი მშვიდობიანობის შესახებ, ყოველ შემთხვევაში, პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საკითხს არ წარმოადგენდა. მნიშვნელოვანი იყო სხვა რამე: ნაპოლეონს ესმოდა, რომ კონსტიტუციური მონარქიის თერთმეტი თვის არსებობისა და ბეჭდვითი სიტყვის ერთგვარი თავისუფლების შემდეგ ქალაქის ბურჟუაზია ელოდა მისგან "თავისუფლებათა" თუნდაც ისეთ მინიმუმს რომელსაც აძლევდნენ მას ბურბონები. ამასთან საჭირო იყო აგრეთვე იმ პროგრამის რაც შეიძლება უფრო ჩქარა ილუსტრირება, რომელსაც ავი-

თარებდა ნაპოლეონი, როდესაც პარიზისაკენ მიიწევდა და რევოლუციური გენერლის როლს თამაშობდა. "მე მოვედი, რათა ვიხსნა საფრანგეთი ემიგრანტებისაგან, — თქვა მან გრენობლში. — მე რევოლუციის შვილი ვარ. დე, თრთოდნენ მღვდლები და თავად-აზნაურები, რომელთაც სურდათ ფრანგები შეგუებოდნენ მონობას. მე მათ ფარნებზე ჩამოვახრჩობ" — განაცხადა მან ლიონში.

მან მთელი რიგი ადრესები მიიღო ძველ იაკობინელთაგან, რომელნიც როგორღაც გადაურჩნენ პროვინციაში დევნას მისი პირველი მეფობის დროს; ისინი ახალ სალაშს აძლევდნენ მას როგორც წარმომადგენელს რევოლუციური აქტივობისა ბურბონების, ბერების, თავად-აზნაურებისა და მღვდლების წინააღმდეგ.

ქალაქ ტულუზში მთელი დღის განმავლობაში დაჰქონდათ იმპერატორ ნაპოლეონის ბიუსტი მარსელიეზის სიმღერითა და შეძახილებით: "არისტოკრატები — შუბზე!" მარშალ დავუს, ნაპოლეონის საყვარელ ადამიანს, რომელიც მან მყისვე დანიშნა თავისი დაბრუნებისთანავე სამხედრო მინისტრად, თხოვნით მიმართავდნენ ხოლმე პროვინციიდან, რათა იმპერატორს შემოეღო 1793 წლის ტერორი. თვით ნაპოლეონმაც ძლიერ კარგად იცოდა ეს განწყობილება.

20 მარტს, ღამით, როგორც კი ის ხელზე აყვანილი შეიყვანეს სასახლეში, მან უთხრა გრაფ მოლეს: "მე ყველგან იგივე ზიზღი ვპოვე ხუცებისა და თავად-აზნაურებისადმი, და თანაც ისეთივე ძლიერი ზიზღი, როგორც რევოლუციის დასაწყისში".

დაბრუნდა თუ არა პარიზში, ნაპოლეონმა ბრძანება გასცა მოეძებნათ სადმე დამალული მწერალი ბენჟამენ კონსტანი და მოეყვანათ სასახლეში. ბენჟამენ კონსტანი იმიტომ იმალებოდა, რომ ჯერ კიდევ პარიზში ნაპოლეონის შესვლის მხოლოდ ერთი დღით ადრე იგი იმპერატორის დაბრუნებას საჯაროდ აცხადებდა საზოგადოებრივ უბედურებად, ხოლო ნაპოლეონს ნერონს უწოდებდა.

ბენჟამენ კონსტანი "ნერონს" წარუდგა არც თუ სრულიად უძრწოლველად და თავისდა სასიხარულოდ გაიგო, რომ მას არათუ არ დახვრეტენ, არამედ წინადადებას აძლევენ დაუყოვნებლივ მოამზადოს კონსტიტუცია საფრანგეთის იმპერიისათვის.

6 აპრილს კონსტანი იმპერატორს მიუყვანეს, ხოლო 23 აპრილს კონსტიტუცია უკვე მზად იყო. მას საოცარი სახელი ეწოდა: "იმპერიის კონსტიტუციების დამატებითი აქტი". ნაპოლეონს სურდა, რომ ამით დამყარებულიყო მემკვიდრეობითობა მის პირველ და მეორე მეფობას შორის.

ბენჟამენ კონსტანმა აიღო მეფე ლუდოვიკ XVIII მიერ 1814 წელს ბოძებული კონსტიტუცია. ახლა რამდენადმე უფრო მეტად უზრუნველყოფილი იყო ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, ვიდრე ბურბონების დროს. ისპობოდა წინასწარი ცენზურა, ბეჭდვითი სიტყვის მიერ ჩადენილ დანაშაულთა დასჯა ამიერიდან შესაძლებელი იყო მხოლოდ სასამართლოს წესით. დეპუტატთა საარჩევნო პალატის გარდა (რომელიც სამასი კაცისაგან შედგებოდა), არსდებოდა მეორე — "ზედა პალატა", რომელიც იმპერატორს უნდა დაენიშნა და მემკვიდრეობითი ყოფილიყო. კანონებს უნდა განევლო ორივე პალატა და უნდა დამტკიცებულიყო იმპერატორის მიერ.

ნაპოლეონმა მიიღო ეს პროექტი, და ახალი კონსტიტუცია გამოქვეყნებულ იქნა 23 აპრილს. ნაპოლეონს დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია ბენჟამენ კონსტანის ლიბერალური შემოქმედებისათვის. მას სურდა მხოლოდ გადაედო პალატების არჩევნები და მოწვევა, სანამ ომის საკითხი არ გადაწყდებოდა. აქ კი, თუ გამარჯვება იქნებოდა, გამოჩნდებოდა, რა უნდა ექნა დეპუტატებისათვის, პრესისთვისაც და თვით ბენჟამენ კონსტანისათვისაც. ჯერჯერობით კი ამ კონსტიტუციას უნდა დაემშვიდებინა ხალხი.

ნაპოლეონმა 26 მაისისათვის დანიშნა "მაისის ველი", როდესაც უნდა გამოქვეყნებულიყო იმ პლებისციტის შედეგები, რომელშიაც გაატარა იმპერატორმა თავისი ახალი კონსტიტუცია, უნდა დარიგებულიყო ნაციონალური გვარდიის დროშები და გახსნილიყო პალატის სხდომები.

პლებისციტმა კონსტიტუციის სასარგებლოდ მისცა 15524150 ხმა და წინააღმდეგ — 4800. დროშების დარიგების ცერემონია (ფაქტიურად იგი მოხდა არა 26 მაისს, არამედ 1 ივნისს) მეტად დიდებული და ამაღელვებელი იყო, რადგან ყველამ იცოდა, თუ საით უნდა წასულიყო უწინარეს ყოვლისა სასიკვდილოდ ეს ნაციონალური გვარდია. მაშინვე, 1 ივნისს, გაიხსნა ახლადარჩეული პალატის სხდომები (ამ პალატას- როგორც წინათ,საკანონდებლო კორპუსი ეწოდებოდა).

სულ კვირანახევარს ჰქონდათ სხდომები სახალხო წარმომადგენლებს და ნაპოლეონი კი მათი უკვე უკმაყოფილო იყო და მრისხანებას იჩენდა. იგი სრულიად მოკლებული იყო უნარს შეგუებოდა თავისი ძალა უფლების რაიმე შეზღუდვას და ვისიმე დამოუკიდებელი მოქმედების ნიშანწყალსაც კი.

მიიღო რა ყოვლად უქეშევრდომილესი და მეტად მოკრძალებული ადრესი საკანონდებლო კორპუსისაგან, ნაპოლეონმა თქვა: "ნუ მივბაძავთ ბიზანტიის მაგალითს, რომელიც, ბარბაროსთა მიერ ყოველმხრივ შეევიწროებული, შთამომავლობის სასაცილოდ გადაიქცა, რადგან განყენებულ

დავას აწარმოებდა იმ მომენტში, როდესაც ურნალი ქალაქის კარებს ანგრევდა".

იგი გადაკერით ლაპარაკობდა ევროპის კოალიციაზე, რომლის ურდოებიც ყოველი მხრიდან მიაწყდნენ საფრანგეთის საზღვრებს.

მან მიიღო სახალხო წარმომადგენელთა ადრესი 11 ივნისს, ხოლო მეორე დღეს გაემართა არმიისაკენ — მის სიცოცხლეში ევროპასთან უკანასკნელი გიგანტური შეტაკებისათვის.

მიდიოდა რა არმიაში, ნაპოლეონს კარგად ესმოდა, რომ ზურგში მეტად არასაიმედო ადამიანებს სტოვებდა, მაგრამ ყველაზე მეტად მას ის ადამიანი აწუხებდა, რომელიც მან თავის დაბრუნებისას კუნძულ ელბადან მყისვე კვლავ პოლიციის მინისტრად დანიშნა. ჟოზეფ ფუშემ მოახერხა ნაპოლეონის პარიზში შესვლის სწორედ წინა მომენტში ბურბონების რისხვა და დევნა გამოეწვია თავის წინააღმდეგ, და ამ ოსტატურმა ხერხმა უთავაზა მას მინისტრის ადგილი, როგორც კი ნაპოლეონი პარიზში შევიდა. ფუშეს რომ ყოველგვარი ინტრიგისა და ღალატის უნარი ჰქონდა, ეს ნაპოლეონმა ძალიან კარგად იცოდა. მაგრამ, ჯერ ერთი, ვანდეაში მღელვარება იყო და ფუშე კი ყველაზე უკეთ იცნობდა ვანდეის აჯანყებას და ყველაზე უკეთ შეეძლო მათთან ბრძოლა; მეორე — იმპერატორს იმის იმედი ჰქონდა, რომ ფუშე ბურბონებთან წაჩხუბებული იყო. და მასთან ერთად, ისევე, როგორც თავისი პირველი მეფობის დროს, გამოიყენა რა ფუშეს პოლიციური და პროვოკატორული ნიჭი, ნაპოლეონმა დააწესა განსაკუთრებული, უკვე სრულიად გაიდუმალებული თვალყურისდევნება თვით ფუშესათვის. ფუშეს თვალყურისმდევნებლად მან დანიშნა ფლერი-დე-შაბულონი. სწორედ ის, რომელიც დადიოდა მასთან ფარულად კუნძულ ელბაზე. ფლერი-დე-შაბულონმა ამხილა რაღაც საიდუმლო მახინაციები ფუშესა და მეტერნიხს შორის. მართალია, ფუშე დაუსხლტა საშიშროებას, მაგრამ ნაპოლეონმა მასთან ლაპარაკი დაამთავრა გასაგონად გამოთქმული შემდეგი აზრით (ეს საქმე ჯერ კიდევ მაისში იყო): "თქვენ მოღალატე ხართ, ფუშე! მე უნდა მებრძანებინა ჩამოეხრჩვეთ თქვენ!" რაზედაც ფუშემ, რომელიც ნაპოლეონთან თავისი ხანგრძლივი საშსახურის განმავლობაში რამდენადმე უკვე შეჩვეული იყო საუბრის ასეთ შემობრუნებას, მდაბალი თაყვანისცემითა და წელში ხაშინლად მოხრით უპასუხა: "მე არ ვიზიარებ თქვენი უდიდებულესობის ამ აზრს".

მაგრამ რა უნდა ექნა? პალატაც დამშვიდდებოდა და ფუშეც ერთგული და უენებელი იქნებოდა, თუ ნაპოლეონი მოკავშირეთა დამარცხებას მოახერხებდა.

ნაპოლეონი ეყრდნობოდა დავუს, რომელიც მან პარიზის გენერალ-გუბერნატორისა და სამხედრო მინისტრის უფლებებით დატოვა; ეყრდნობოდა ძველ მტკიცე რესპუბლიკელ კარნოს, რომელსაც წინათ არავითარ შემთხვევაში არ სურდა სამსახური გაეწია რესპუბლიკის ჩამხშობი დესპოტისათვის და ახლა კი 1815 წელს, თვითონ შესთავაზა ნაპოლეონს თავისი სამსახური, რადგან ბურბონებს ყველაზე უფრო მეტ ბოროტებად სთვლიდა.

ნაპოლეონმა ძლიერ კარგად იცოდა, რომ არც მუშათა უბნები (რომლებიც კიდევ უფრო მეტად შიმშილობდნენ 1815 წელს, ვიდრე 1814 წლის გაზაფხულზე) აუჯანყდებოდნენ მას ზურგში, ისევე, როგორც არ აჯანყებულან ისინი არც 1814 წელს და არც 1813 წელს, სწორედ იმავე მიზეზით, რომლითაც კარნო შეუდგა ახლა მის სამსახურს და იაკობინელები ზეიმობდნენ როგორც კი გაიგეს ჟუანის ნავსადგურში მისი გადმოსხდომის შესახებ. მას ესმოდა, რომ მუშებიც, კარნოც და იაკობინელებიც პროვინციაში ახლა მას უყურებენ არა როგორც იმპერატორს, რომელიც იცავს თავის ტახტს სხვა მონარქიული პრეტენდენტისაგან, არამედ როგორც რევოლუციის შემდგომდროინდელი საფრანგეთის ჯარის ბელადს, რომელიც მიემგზავრება იმისათვის, რომ დაიცვას ტერიტორია ძველი წყობილების ალსადგენად მომავალი ინტერვენტებისა და ბურბონებისაგან. თანაც ეს სამხედრო ბელადი საფრანგეთის შეხედულებითაც ისევე როგორც მთელი მსოფლიოს, მეგობრებისა და მტრების შეხედულებით, შეუდარებელი ოსტატი და მხატვარი იყო ომის საქმეში, იგი ყველაზე უფრო გენიალური სარდალი იყო ყველა იმ სარდალს შორის, რომლებიც კი ოდესმე არსებობდნენ, იგი სტრატეგიისა და ტაქტიკის უბადლო ვირტუოზი იყო. ეს ქვეყანა და მის წინაშე მდგარი ევროპა მოლოდინში გაირინდნენ.

ნაპოლეონის მიერ გადახდილი ეს უკანასკნელი ომი მუდამ გაცხოველებული დავის საგანს წარმოადგენდა და გამოყენებულ იქნა არა მარტო მეცნიერული, არამედ მხატვრული ლიტერატურის მიერაც. თითქმის მთელი ლიტერატურა ლაპარაკობს მთელ რიგ იმ საბედისწერო შემთხვევებზე, რომლებმაც გამოსტაცეს ნაპოლეონს ხელიდან უკვე თითქოს სრულიად მზამზარეული გამარჯვება.

ჩაუკვირვებლად და გაუკრიტიკებლადაც რომ მივიღოთ სრულიად უკამათოდ იმის მტკიცება, რომ ასეთ შემთხვევათა გარეშე ნაპოლეონი მოიგებდა ბრძოლას ვატერლოოსთან, სულერთია, მთელი ამ ომის მთავარი შედეგი მაინც სწორედ იგივე იქნებოდა: იმპერია დაიღუპებოდა, რადგან ევროპა მხოლოდ იწყებდა მთელი თავისი ძალ-ღონის გაშლას, ნაპოლეონ-

მა კი უკვე საბოლოოდ ამოწურა თავისი ძალ-ღონეცა და საშხედრო რეზერვებიც.

იმპერატორი მომავალი კამპანიისათვის ფიქრობდა გამოეყვანა ხუთასი ათასი კაცი, ხოლო მოკავშირეები ფიქრობდნენ დაახლოებით მილიონი მებრძოლის გამოყვანას.

კოალიციამ სრულიად მტკიცედ გადაწყვიტა ბოლო მოელო ნაპოლეონისათვის. პირველი შიშისა და სულიერი დაცემის შემდეგ, სახელმწიფოთა ყველა მთავრობამ, რომელთა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ ვენის კონგრესს, არაჩვეულებრივი ენერგია გამოიჩინა, ნაპოლეონის ყოველგვარი ცდა სეპარატული მოლაპარაკება ეწარმოებინა რომელიმე სახელმწიფოსთან, უარყოფილ იქნა. ნაპოლეონი კანონსგარეშე იქნა გამოცხადებული, როგორც "კაცობრიობის მტერი".

როდესაც ნაპოლეონი არმიაში მივიდა, მას არაჩვეულებრივი ენთუზიაზმით შეხვდნენ. ინგლისის ჯაშუშები გონსაც კი ვერ მოვიდნენ ამ საოცრების გამო და ისინი აუწყებდნენ ინგლისის არმიის უფროსს ველინგტონს, ნაპოლეონის გაღმერთებამ არმიაში სიგიჟემდე მიაღწიაო. ამ ცნობას ეთანხმება სხვა უცხოელ მზირთა ჩვენებანიც, რომელნიც უკვირდებოდნენ საფრანგეთში არსებულ განწყობილებას. ვერც ველინგტონმა და ვერც მისმა ჯაშუშებმა ვერ შეამჩნიეს ჯარისკაცთა განწყობილებაში კიდევ სხვა თვისებაც, რომელიც მანამდე არ არსებობდა ნაპოლეონის არმიებში, — ეს იყო ჯარისკაცთა ეჭვიანობა და უნდობლობა გენერლებისა და მარშლებისადმი. ჯარისკაცები, დაწყებული 1814 წლიდან, ეჭვის თვალით უყურებდნენ ბევრ მარშალს და ფიქრობდნენ, რომ ისინი იმპერატორს ღალატობდნენ. ბრმად უჯერებდნენ რა ნაპოლეონს, მათ სურდათ, რომ იგი ისევე მოპყრობოდა "მოღალატეებს", როგორც კონვენტი ეპყრობოდა თავის დროს საეჭვო გენერლებს. გილიოტინა — გენერლის სირმებით მორთულ მოღალატეთათვის!

მაგრამ ნაპოლეონი ამას არ ჩადიოდა, მარშლები და გენერლები თავიანთ ადგილას რჩებოდნენ, იგი ვერ ბედავდა რევოლუციური ტერორის შემოღებას ვერც ზურგში და ვერც ფრონტზე, თუმცა თვითონვე წამოსცდებოდა ხოლმე, რომ ეს გააორკეცებდა მის ძალ-ღონეს.

იმპერატორის იქ ყოფნამ გაამხნევა ჯარისკაცები: ისინი დარწმუნდნენ, რომ გენერლები და მარშლები კარგი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ და ჯარისკაცებს შეეძლოთ არ ჰქონოდათ მათი უეცარი გამცემლობის შიში.

ნაპოლეონის წინაშე იყვნენ ინგლისელები და პრუსიელები, რომლებიც პირველნი გამოცხადნენ მოკავშირეთა შორის ბრძოლის ველზე. აკ-

სტრიელებიც რაინისკენ მიისწრაფოდნენ. ჯერ კიდევ ნაპოლეონის ხელახალი გამეფების დასაწყისშივე ნეაპოლის მეფე მიურატი, რომელსაც შერჩა ტახტი 1814 წელს და რომელიც მეფედ ცნობილ იქნა ვენის კონგრესის მიერ, უეცრივ (ეს მოხდა 1815 წლის მარტში), როგორც კი გაიგო იმპერატორის საფრანგეთში შესვლის შესახებ, მის მხარეზე გადავიდა, ომი გამოუცხადა ავსტრიელებს და დამარცხებულ იქნა უფრო უმალ, ვიდრე ნაპოლეონი კოალიციის წინააღმდეგ გაილაშქრებდა. ასე რომ ახლა, ივნისის შუა რიცხვებში, ნაპოლეონს არ შეეძლო იმედი დაემყარებინა თვით ამ ნაწილობრივ დივერსიაზეც, რომელსაც შეეძლო დაებანდებინა ავსტრიის არმიის ნაწილი. მაგრამ ავსტრიელები ჯერ კიდევ შორს იყვნენ. უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო ინგლისელთა და პრუსიელთა უკუგდება. ველინგტონი ინგლისის არმიითურთ იდგა ბრიუსელში და ბრიუსელის გარშემო, ბელგიაში, ხოლო ბლუხერი პრუსიელებით — სხვადასხვა ადგილას მდინარე სამბრასა და მაასთან, შარლერუასა და ლიეჟს შორის.

(14 ივნისს ნაპოლეონმა კამპანია დაიწყო ბელგიაში შეჭრით) მან სწრაფად გასწია წინ იმ შუალედისაკენ, რომელიც ყოფდა ველინგტონს ბლუხერისაგან, და ეკვეთა ბლუხერს (ფრანგებმა შარლერუა დაიკავეს და ბრძოლით გადავიდნენ მდინარე სამბრაზე. მაგრამ ოპერაცია ნაპოლეონის მარჯვენა ფრთაზე რამდენადმე შენელდა: გენერალი ბურმონი, რწმენით როიალისტი, რომელსაც დიდი ხანია ეჭვის თვალით უყურებდნენ ჯარისკაცები, პრუსიელთა ბანაკში გაიქცა.) ჯარისკაცებმა ამის შემდეგ კიდევ უფრო ეჭვის თვალით დაუწყეს ყურება თავიანთ უფროსებს. ბლუხერს ეს ინციდენტი ხელსაყრელად ეჩვენა, თუმცა მან უარი თქვა ნაპოლეონის მოღალატე გენერალ ბურმონის მიღებაზე და ბრძანებაც კი გასცა გადაეცათ ბურმონისათვის, რომ იგი მას "ძაღლის ნაყარად" მიაჩნია (ბლუხერმა ეს კიდევ უფრო ენერგიულად გამოთქვა).

(ნაპოლეონმა, როდესაც მას მოახსენეს ვანდეელისა და როიალისტი ბურმონის ღალატის შესახებ, თქვა: "თეთრები მუდამ თეთრებად დარჩებიან".)

(ნაპოლეონმა უბრძანა მარშალ ნეის ჯერ კიდევ 15 ივნისს დაეკავებინა ბრიუსელის გზაზე სოფელი კატრ-ბრა, რათა ამით შეებორკა ინგლისელები. მაგრამ ნეიმ, რომელიც ნელა მოქმედებდა, დააგვიანა ამის გაკეთება. 16 ივნისს დიდი ბრძოლა მოხდა ნაპოლეონსა და ბლუხერს შორის ლინის მახლობლად. გამარჯვება ნაპოლეონს დარჩა.) ბლუხერმა დაკარგა ოცი ათასზე მეტი კაცი, ნაპოლეონმა კი დაახლოებით თერთმეტი ათასი. მაგრამ ნაპოლეონი არ იყო კმაყოფილი ამ გამარჯვებით, ვინაიდან შეცდომა

რომ არ დაეშვა ნეის, რომელმაც ტყუილუბრალოდ შეაჩერა პირველი კორპუსი და აიძულა იგი კატრ-ბრასა და ლინის შუა გაეელო, მას შეეძლო პრუსიის მთელი არმია გაენადგურებინა ლინისთან. ბლუხერი დამარცხებულ და უკუგდებულ იქნა (გამოურკვეველი მიმართულებით), მაგრამ ის არ განადგურებულა.

17 ივნისს ნაპოლეონმა შეასვენა თავისი არმია. სამხედრო კრიტიკოსები ბრალს სდებენ მას იმაში, რომ მან უნაყოფოდ დაკარგა ძვირფასი დღე და ამით შესაძლებლობა მისცა დამარცხებულ ბლუხერს სათანადოდ დაერაზმა თავისი ჯარი. დაახლოებით შუადღისას ნაპოლეონმა გამოყო თავისი არმიიდან ოცდათექვსმეტი ათასი კაცი, მას სათავეში ჩაუყენა მარშალი გრუში და უბრძანა მას განეგრძო ბლუხერის დევნა. თვით ნაპოლეონი მთავარი ძალებით ნეის შეუერთდა და ჩრდილოეთისაკენ გაემართა. მან გეზი აიღო პირდაპირ ბრიუსელის მიმართულებით. ველინგტონმა ინგლისის არმიის მთელი ძალებით პოზიცია დაიკავა 22 კილომეტრზე ბრიუსელიდან, მონ-სენ-ჟანის ტაფობში, სოფელ ვატერლოოს სამხრეთით. სუანის ტყემ, ვატერლოოს ჩრდილოეთით, მას ბრიუსელისაკენ დასახვევი გზა მოუჭრა.

ველინგტონი ამ ტაფობში გამაგრდა. მისი იდეა იყო დალოდებოდა ნაპოლეონს ამ მეტად ძლიერ პოზიციაზე და გამაგრებულიყო აქ, რადაც უნდა დაჯდომოდა, მანამდე, სანამ ბლუხერი მოასწრებდა დამარცხების შემდეგ მოღონიერებას, მაშველი ჯარის მიღებას და მის დასახმარებლად მოსვლას.

მზვერავები ზედიზედ აუწყებდნენ ინგლისელთა შტაბს, რომ მიუხედავად ნიაღვარისაგან წალეკილი გზებისა, ნაპოლეონი შეუჩერებლად მოდიოდა პირდაპირ მონ-სენ-ჟანის ტაფობისაკენ. თუ მოხერხდებოდა ბლუხერის მოსვლამდე მტერთან გამკლავება — გაიმარჯვებდნენ, ხოლო თუ ამას ვერ შეძლებდნენ — ინგლისის არმია განადგურდებოდა. ველინგტონისათვის ასე იდგა საკითხი ჯერ კიდევ 17 ივნისის შუადღიდან, როდესაც ბლუხერის შტაბის უფროსმა გენერალმა გნეიზენაუმ, აცნობა მას, რომ ბლუხერი, როგორც კი მომაგრდებოდა, სასწრაფოდ მოეშველებოდა.

17 ივნისს, დაბინდებისას, ნაპოლეონი მიუახლოვდა თავის ჯარით ტაფობს და შორს, ნისლში, დაინახა ინგლისის არმია.

ნაპოლეონს ჰყავდა დაახლოებით სამოცდათორმეტი ათასი კაცი, ველინგტონს სამოცდაათი ათასი იმ მომენტში, როდესაც 1815 წლის 18 ივნისს დილით — ისინი ერთმანეთის პირისპირ დადგნენ. ორივე ელოდა მაშველ ჯარს და მათ მოლოდინს მტკიცე საფუძველიც ჰქონდათ: ნაპოლეონი ელოდა მარშალ გრუშის, რომელსაც ჰყავდა არაუმეტეს ოცდაცამეტი

ათასი კაცისა; ინგლისელები ელოდნენ ბლუხერს, რომელსაც ლინისთან დამარცხების შემდეგ დაახლოებით ოთხმოცი ათასი კაცი დარჩა და შეეძლო გამოცხადებულიყო საბრძოლველად გამზადებული ორმოცი-ორმოცდაათი ათასი კაცით.

ღამე რომ გაილია, ნაპოლეონი თავის ადგილას იყო, მაგრამ არ შეეძლო იერიშზე გადასულიყო განთიადზე, რადგან წვიმას ისე გაეფხვიერებინა მიწა, რომ ძნელი იყო კავალერიის გაშლა. იმპერატორმა დილით ჩამოუარა თავის ჯარს და აღტაცებული იყო ჯარის მიერ გულთბილი შეხვედრით: ეს იყო მასობრივი ენთუზიაზმის სრულიად არაჩვეულებრივი გამოვლინება, რაც ასეთი ზომით არ ნახულა აუსტერლიცის შემდეგ. არმიის ამ დათვალიერებამ, რომელიც უკანასკნელი გამოდგა ნაპოლეონის ცხოვრებაში, წარუხოცელი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე და ყველა დამსწრეზე.

დილის თერთმეტ საათსა და ოცდაათ წუთზე ნაპოლეონმა იფიქრა ნიადაგი საკმაოდ ეაშრაო და მხოლოდ მაშინ გასცა ბრძანება დაეწყოთ ბრძოლა.

საშინელი ბრძოლა იყო საათნახევრის განმავლობაში. უცებ ნაპოლეონმა ძლიერ შორს ბუნდოვნად შეამჩნია მომავალი ჯარი. მან ჯერ იფიქრა ეს გრუშიაო, რომელსაც ღამითვე და შემდეგ რამდენჯერმე დილით გაუგზავნა ბრძანება სასწრაფოდ დაბრულიყო ბრძოლის ველისაკენ, მაგრამ ეს იყო არა გრუში არამედ ბლუხერი, რომელმაც თავი დააღწია გრუშის დევნას, ძლიერ ოსტატურად შესრულებული გადასვლების შემდეგ მოატყუა საფრანგეთის მარშალი და ახლა კი ველინგტონის დასახმარებლად მიისწრაფოდა. ნაპოლეონმა გაიგო საქმის ნამდვილი ვითარება, მაგრამ მაინც არ შეშინებულა: იგი დარწმუნებული იყო, რომ ბლუხერს ფეხდაფეხ მისდევდა გრუში, ხოლო როდესაც ისინი ორივენი მოვიდოდნენ ბრძოლის ადგილას, თუმცა ბლუხერი ველინგტონს უფრო მეტ მაშლეე ჯარს მოუყვანდა, ვიდრე გრუში იმპერატორს, ძალები მაინც ცოტად თუ ბევრად შეთანაბრდებოდნენ, ხოლო თუ ბლუხერისა და გრუშის გამოჩენამდე მოასწრებდა თავზარდამცემი იერიშის მიტანას ინგლისელებზე, ბრძოლა გრუშის მოსვლის შემდეგ საბოლოოდ მოგებული იქნებოდა.

ნაპოლეონმა ცხენოსანი ჯარის ნაწილები გაგზავნა ბლუხერის წინააღმდეგ და უბრძანა მარშალ ნეის განეგრძო იერიშის მიტანა ინგლისელთა მარცხენა ფრთასა და ცენტრზე, რომელმაც ბრძოლის დასაწყისიდან უკვე მთელი რიგი საშინელი იერიშები განიცადა. ქ მჭიდრო საბრძოლო მწყობრით უტევდა დერლონის კორპუსის ოთხი დივიზია. მთელს ამ ფრონტზე

სისხლისმღვრელი ბრძოლა გაჩაღდა. ინგლისელები ცეცხლით შეხვდნენ ამ მასიურ კოლონებს და რამდენჯერმე გადავიდნენ კონტრიერიშზე (ფრანგთა დივიზიები ზედიზედ ჩაებნენ ბრძოლაში და საშინელი ზარალი ნახეს.) შოტლანდიელთა კავალერია შეიჭრა ამ დივიზიებში და აკუწა მისი შემადგენლობის ერთი მესამედი. შეამჩნია თუ არა დივიზიების ჭაპანწყვეტა და დამარცხება, ნაპოლეონი მიიჭრა ფერმა ბელ-ალიანსის მახლობლად მდებარე მაღლობთან, გაგზავნა იქ გენერალ მილიოს რამდენიმე ათასი კირასირი, და შოტლანდიელები, რომლებმაც მთელი რეგიმენტი დაკარგეს, უკუგდებულ იქნენ.

(ამ იერიშმა დერლონის თითქმის მთელი კორპუსი შეარყია. ინგლისის არმიის მარცხენა ფრთის დამარცხება შეუძლებელი იყო. მაშინ ნაპოლეონმა შეცვალა გეგმა და მთავარი იერიში ინგლისის არმიის ცენტრსა და მარცხენა ფრთაზე --- უგემონის კოშკზე გადაიტანა.

ამ შესანიშნავი იერიშის დროს ფრანგთა კავალერია ინგლისის ქვეითი ჯარისა და არტილერიის ცეცხლქვეშ მოექცა, მაგრამ ამას ფრანგთა სხვა ნაწილები არ შეუშფოთებია. იყო ისეთი მომენტი, როდესაც ველინგტონი ფიქრობდა ყველაფერი წაგებულიაო, და ამას არა მარტო ფიქრობდნენ, არამედ კიდეც ლაპარაკობდნენ მის შტაბში.)

"მაშასადამე, დე ისინი ყველანი დაიხოცნენ ადგილზე! მე უკვე აღარ მყავს მაშველი ჯარი. დე უკანასკნელი ადამიანიც დაიღუპოს, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა გავმაგრდეთ ბლუხერის მოსვლამდე" — უპასუხებდა ველინგტონი თავის გენერლებს მათს შეშფოთებულ მოხსენებებზე და საბრძოლველად გზავნიდა თავის უკანასკნელ რეზერვებს.

მაგრამ ნაპოლეონი არ ელოდა ქვეით რეზერვებს. მან კიდევ გაგზავნა საბრძოლველად კავალერია, კელერმანის ოცდაჩვიდმეტი ესკადრონი. დაბინდდა. ნაპოლეონმა ბოლოს თავისი გვარდია გაგზავნა ინგლისელთა წინააღმდეგ და თვითვე გადაიყვანა იგი იერიშზე. და ამ მომენტში გაისმა ყიჟინა სრულის გუგუნი საფრანგეთის არმიის მარჯვენა ფრთაზე: ბლუხერი ოცდაათი ათასი ჯარისკაცით მივიდა ბრძოლის ველზე. მაგრამ გვარდიის იერიშები კვლავ გრძელდებოდა, ვინაიდან ნაპოლეონს სწამდა რომ ბლუხერს ფეხდაფეხ მოჰყვებოდა გრუში.

(ფრანგის ჯარში მალე პანიკა შეიქმნა: პრუსიის კავალერია თავს დაესხა ფრანგთა გვარდიას, რომელიც ორ ცეცხლშუა მოექცა, ხოლო თვით ბლუხერი დანარჩენი თავისი ძალებით გაექანა ფერმა ბელ-ალიანსისაკენ, საიდანაც გამოილაშქრა ამას წინ ნაპოლეონმა თავისი გვარდიით. ამ მანევრით ბლუხერს სურდა უკანდასახევი გზა გადაეჭრა ნაპოლეონისათვის.)

(საღამოს რვა საათი იყო, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაო სინათლე იყო, და მაშინ ველინგტონი, რომელიც მთელ დღეს ფრანგების განუწყვეტელი იერიშების წინაშე იდგა, საერთო შეტევაზე გადავიდა. გრუში კი არსად ჩანდა. იმპერატორი ამაოდ ელოდებოდა მას ბოლო წუთამდე.

ყველაფერი დამთავრდა. კარეს წესით გამწკრივებული გვარდია ნელი ნაბიჯით იხევდა უკან და გააფთრებით იცავდა თავს მტრის ((ჭიდრო რიგებისაგან. ცხენზე მჯდარ ნაპოლეონს გარს ერტყა მცველად გვარდიის გრენადერთა ათასეული და ნიბიჯით მიდიოდა)) ძველი გვარდიის გააფთრებული წინააღმდეგობა აფერხებდა გამარჯვებულთა წინსვლას. "მამაცო ფრანგებო, დაგენებდით!" — შესძახა მათ ინგლისელმა პოლკოვნიკმა ჰელკეტმა, როდესაც მიუახლოვდა ყოველი მხრით გარემოცულ კარეს, რომელსაც გენერალი კამბრონი მეთაურობდა, მაგრამ ამ კარეს გვარდიელებს არ შეუნელებიათ წინააღმდეგობის გაწევა, რადგან დანებებას სიკვდილი ერჩიათ. საფრანგეთის ჯარმა სხვა უბნებზე, განსაკუთრებით კიპლანსენუასთან, სადაც რეზერვი — ლობოს კორპუსი — იბრძოდა, წინააღმდეგობა გაუწია მტერს, მაგრამ საბოლოოდ მათ ვერ გაუძლეს პრუსიელთა ახალი ძალების იერიშებს, სხვადასხვა მიმართულებით გაიფანტნენ, რათა გაქცევით ეშველათ თავისათვის, და მხოლოდ მეორე დღეს, და ისიც ნაწილობრივ, იწყეს ორგანიზაციულ ერთეულებად შეგრეკება. პრუსიელები მთელი ღამის განმავლობაში მისდევდნენ მტერს შორ მანძილზე.

(ოცდახუთი ათასი ფრანგი და ოცდაორი ათასი ინგლისელი და მათი მოკავშირე დაეცა ბრძოლის ველზე მოკლულთა და დაჭრილთა სახით. მაგრამ საფრანგეთის არმიის დამარცხება, თითქმის მთელი არტილერიის დაკარგვა, ასიათასობით ავსტრიის ახალი ჯარის მიახლოება საფრანგეთის საზღვრებთან, კიდევ ახალი ასიათასობით რუსის ჯარის გამოჩენის ახლო პერსპექტივა — ყველაფერი ეს ნაპოლეონის მდგომარეობას სრულიად უიმედოს ხდიდა, და ეს მან ერთბაშად შეიგნო, როდესაც ვატერლოოს ველს შორდებოდა, სადაც დამთავრდა მისი სისხლიანი სარბიელი.

(ულალატა თუ არა გრუშმ, რომელმაც თავისი დაგვიანებით დაღუპა საფრანგეთის არმია, თუ მხოლოდ შემთხვევით შეცდა და გზა აებნა, იქცეოდა თუ არა ნეი ინგლისელებზე მიტანილი საკავალერიო იერიშის დროს როგორც გმირი, თუ გიჟივით მოქმედებდა იგი, ღირდა თუ არა დალოდებოდა შუადღეს, თუ საჭირო იყო ბრძოლის დაწყება გათენებისას, რათა ბოლო მოეღო ინგლისელებისათვის ბლუხერის მოსვლამდე, — ყველა ეს და ვატერლოოსთან წარმოებულ ბრძოლასთან დაკავშირებული სხვა კითხვები ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში იქცევდა ისტორიკოსების ყუ-

რადღლებას, აგრეთვე ძლიერი გატაცებით ამ ბრძოლის თანამედროვეთა ყურადღებასაც. მაგრამ ეს კითხვები — აქვე უნდა აღინიშნოს — ძლიერ ნაკლებად იპყრობდა ამ პირველ მომენტში თვით ნაპოლეონის ყურადღებას. გარეგნულად იგი დამშვიდებული და ძლიერ ჩაფიქრებული იყო მთელს მანძილზე ვატერლოოდან პარიზამდე. მაგრამ მისი სახე ისეთი დაღვრემილი იყო, როგორც ლაიპციგის შემდეგ, თუმცა ახლა მისთვის მართლაც ყველაფერი დაკარგული და სამუდამოდაც დაკარგული იყო.

საგულისხმოა, თუ როგორ შეაფასა მან ამ ბრძოლის იდუმალი აზრი ვატერლოოს ბრძოლიდან ერთი კვირის შემდეგ: "ახალმწიფოები მე კი არა, რევოლუციას ეომებოდნენ. ისინი ყოველთვის ხედავდნენ ჩემში მის წარმომადგენელს, რევოლუციის კაცს".

ნაპოლეონი 21 ივნისს ჩავიდა პარიზში და მინისტრები მოიწვია. კარნო წინადადებას იძლეოდა მოეთხოვათ პალატისათვის ნაპოლეონის დიქტატურის გამოცხადება. დავუ რჩევას იძლეოდა სესიის დროებითი შეწყვეტა გამოეცხადებინათ და პალატა დაეთხოვათ. ნაპოლეონმა უარი განაცხადა ამაზე. ამ დროს პალატაც შეიკრიბა და ლაფაეტის წინადადებით თავი დაუთხოვნელად გამოაცხადა. ნაპოლეონმა შემდგომ განაცხადა, ჩემ ერთ სიტყვაზე იყო დამოკიდებული, რომ ხალხთა მასას მთელი პალატა ამოეწყვიტაო, და ბევრმა დეპუტატმა, რომლებმაც განიცადეს ეს დღეები, დაადასტურეს მისი სიტყვები. მაგრამ ამ შემთხვევაში მას უნდა დაეპირისპირებინა ლაფაიეტისათვის — მარატი, 1789 წლის აღმდგენი ლიბერალებისათვის — 1793 წელი, ბურჟუაზიისათვის პლებეების მასა, რომლებმაც იხსნა რევოლუცია მეოთხედი საუკუნის წინათ. არც ვატერლოოს წინ და არც შემდეგ ნაპოლეონი, როგორც თავისი კლასის ერთგული შვილი, ამაზე არ დათანხმებულა და არც შეეძლო დათანხმებულიყო.

უაღრესად საგულისხმო ცნობები მოდიოდა მუშათა გარეუბნებიდან 21, 22 და 23 ივნისს: იქ დიდ ჯგუფებში ხმამაღლა ეწინააღმდეგებოდნენ ნაპოლეონის მიერ ტახტზე უარისთქმის აზრს და სამხედრო ბრძოლის განგრძობას მოითხოვდნენ მოახლოებული თავდასხმის წინააღმდეგ.

მთელი 21 ივნისის განმავლობაში, თითქმის 21 ივნისის მთელ ღამეს და მთელი 22 ივნისის განმავლობაში სენტ-ანტუანისა და სენ-მარსელის გარეუბნებში, ტამპლის გარეუბანსა და უბანში ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ პროცესიები და გაიძახოდნენ: "იმპერატორი ან სიკვდილი! ძირს მოღალატენი!", "საჭირო არ არის ტახტზე უარის თქმა! გაუმარჯოს იმპერატორს!", "ძირს პალატა!" მაგრამ ნაპოლეონს უკვე აღარ სურდა ბრძოლა და აღარ სურდა მეფობა.

22 ივნისს მან ხელმეორედ უარი განაცხადა ტახტზე)თავისი პატარა შვილის (რომელიც ჯერ კიდევ 1814 წლის გაზაფხულიდან თავის ბებიასთან, იმპერატორ ფრანცთან, იყო თავისი დედით) სასარგებლოდ. მისი მეორე მეფობა, რომელიც ას დღეს გაგრძელდა, დამთავრდა. ამჯერად ნაპოლეონს აღარ შეეძლო იმედი ჰქონოდა, რომ სახელმწიფოები დათანხმდებოდნენ მსხვერპლად გაეღოთ ბურბონები მისი შვილის სასარგებლოდ)

უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი ელისეს სასახლის გარშემო, სადაც დაბინავდა ნაპოლეონი არმიიდან დაბრუნების შემდეგ. "საჭირო არ არის ტახტზე უარის თქმა!" — ყვიროდნენ შეკრებილნი.

22 ივნისს, საღამოთი, გაიგო თუ არა ხალხმა, რომ ნაპოლეონი მალმეზონს გაემგზავრა და რომ ტახტიდან გადადგომა მან მტკიცედ გადაწყვიტა, ნელნელა იწყო დაშლა.

მასების მონაწილეობა იმით აიხსნებოდა, რომ ზაფხულში, პარიზში დეპარტამენტებიდან მუდამ მოდიოდა მრავალი ათეული ათასი მუშა, რომლებიც მუშაობდნენ სახლების შენებასა და ქუჩების მოკირწვლაზე: კალატოზები, ხუროები, დურგლები, ზეინკლები, მღებავები, მხურავები, მეშპალიერები, მიწისმთხრელები და სხვ. ისინი სოფლებიდან დედაქალაქში მიდიოდნენ საშოვარზე სახაფხულო სეზონში. ისინი უფრო მეტად იყვნენ დაკავშირებული სოფლებთან, ვიდრე პარიზის მუდმივი მუშები, და შესაძლებელია, ამიტომ სძულდათ მათ ბურბონები ორმაგად — როგორც მუშებს და როგორც გლეხებს, ხოლო ნაპოლეონი მათ მიაჩნდათ ბურბონებისაგან განთავისუფლების უტყუარ საწინდრად, ბურბონები კი მათთვის ფეოდალიზმის დაბრუნების სიმბოლოს წარმოადგენდნენ. მშენებელ მუშათა ამ მასას არ სურდა დამშვიდებულიყო, არ სურდა შერიგებოდა ნაპოლეონის მიერ ტახტზე უარის თქმას. მუშებმა ცემით სიკვდილის პირას მიიყვანეს ქუჩაში რამდენიმე კარგად ჩაცმული ადამიანი, რომელთაც როიალისტობა, "არისტოკრატობა" შესწამეს, რადგან მათ უარი განაცხადეს რომ ეყვირათ ხალხთან ერთად: "საჭირო არ არის ტახტზე უარის თქმა!"

ეს ხალხი განუწყვეტლივ ცვლიდა ერთმანეთს. "არასოდეს არ გამოუჩენია ხალხს, სწორედ იმ ხალხს, რომელიც ფულს იხდის და იბრძვის, უფრო მეტი ერთგულება იმპერატორისადმი" — წერს იმის მოწმე, რაც მოხდა არა მარტო ტახტზე უარის თქმამდე, არამედ შემდეგაც, — 23, 24 და 25 ივნისსაც, როდესაც მოსულ ადამიანთა ათიათასიან ბრბოებს ჯერ კიდევ არ სურდათ შერიგებოდნენ იმას, რაც უკვე მოხდა.

ტახტიდან გადამდგარი იმპერატორი მალმეზონიდან 28 ივნისს წავიდა. იგი გაემართა ატლანტიკის ოკეანის ნაპირისაკენ. მან გადაწყვიტა ჩამ-

ჯდარიყო როშფორის ნავსადგურში მყოფ ერთ-ერთ ფრეგატში და გამგზავრებულიყო ამერიკაში. საზღვაო მინისტრის ბრძანებით, ორი ფრეგატი იყო დათმობილი, ამ მოგზაურობისათვის იმპერატორის განკარგულებაში. როდესაც 3 ივლისს, დილის რვა საათზე, ნაპოლეონი როშფორში ჩავიდა, ფრეგატები უკვე მზად იყო, მაგრამ ზღვაში გასვლა არ შეიძლებოდა: ნავსადგური დაკავებული იყო ინგლისის ესკადრის მიერ. ნაპოლეონმა დაიწყო ცდა. ის თვითონაც ჰკარად აყოვნებდა გამგზავრებას. მას წინადადებას აძლევდნენ, რომ წაიყვანდნენ არა ფრეგატებით, არამედ მცირე გემით, საიდუმლოდ, მაგრამ არ მოისურვა, ქალაქ როშფორში გაიგეს იმპერატორის იქ ყოფნის შესახებ და მის ფანჯრებთან ყოველდღე მთელი საათობით იდგა ხალხი, რომელიც გაიძახოდა; "გაუმარჯოს იმპერატორს!" ბოლოს, 8 ივლისს, იგი ერთ-ერთ თავის ფრეგატის გემბანზე გადავიდა და ზღვაში გავიდა.

ფრეგატი შეჩერდა დიდ კუნძულ ექსთან, რომელიც რამდენადმე როშფორის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს. ისარგებლა რა რამდენიმე საათის შეჩერებით, ნაპოლეონი ნაპირზე გადავიდა. იგი მყისვე იცნეს. მეზღვაურები, ჯარისკაცები, მეთევზეები და მთელი ახლო-შახლო ადგილების მოსახლეობა მიაწყდა ფრეგატს. იქ მდგომი გარნიზონის ჯარისკაცებმა სთხოვეს იმპერატორს დაეთვალიერებინა ისინი. ნაპოლეონმა გააკეთა ეს, რითაც მეტისმეტად ნასიამოვნები დარჩნენ. მან დაათვალიერა კუნძულის სიმაგრეებიც, რომლებიც რდესღაც ააგეს აქ მისი ბრძანებით. მაგრამ როდესაც ის ფრეგატის გემბანზე დაბრუნდა, აღმოჩნდა, რომ პარიზიდან ფრეგატებს ბრძანება მოსულოდა: მხოლოდ იმ შემთხვევაში გასულიყვნენ ზღვაში, თუ მახლობლად ინგლისის ესკადრა არ იქნებოდა. მაგრამ უსკადრას შეკრული ჰქონდა ყველა გასავალი ოკეანეში...

ნაპოლეონი მყისვე დაადგა გარკვეულ გზას. იმპერატორთან იყვნენ: სავარი, გენერალი მონტოლონი, მარშალი ბერტრანი და ლას-კაზი — დიდი არმიის ოფიცრები, რომლებიც ნაპოლეონის ფანატიკურად ერთგული იყვნენ. იმპერატორმა სავარი და ლას-კაზი გაუგზავნა ირგველივ მავალ ინგლისის ესკადრას მოსალაპარაკებლად: გაუშვებს თუ არა ესკადრა საფრანგეთის ფრეგატებს, რომლებსაც ნაპოლეონი მიჰყავთ ამერიკაში? მიღებული ხომ არ არის რაიმე განკარგულება ამის შესახებ? კაპიტანმა მეტლენდმა გემ "ბელეროფონზე" ისინი ზრდილობიანად მიიღო, მაგრამ ცივი უარი უთხრა.

"სად არის იმის თავდებობა, — თქვა მეტლენდმა, — რომ იმპერატორი ნაპოლეონი კვლავ არ დაბრუნდება და კვლავ არ აიძულებს ინგლისსა და

თუ იგი ახლა ამერიკაში წავიდა?" ამაზე სავარიმ უპასუხა, რომ დიდი განსხვავებაა 1814 წელს ტახტზე პირველ უარისთქმასა და დღეანდელ, მეორე უარისთქმას შორის; რომ ახლა მან უარი თქვა სრულიად ნებაყოფლობით, თუმცა შეძლო ჯერ კიდევ დარჩენილიყო ტახტზე და განეგრძო ომი ვატერლოოს შემდეგაც, რომ იმპერატორი გადაჭრით და სამუდამოდ იწყებს კერძო ცხოვრებას.

"თუ ასეა, რატომ არ მიმართავს იმპერატორი ინგლისს და ინგლისში არ ეძებს თავშესაფარს?" — შეეკამათა მეტლენდი.

მაგრამ ნაპოლეონის გაგზავნილმა პირებმა ვერ მიიღეს ვერავითარი დაპირება და ვერც პასუხი შეკითხვაზე — ტყვედ ჩათვლიდა ინგლისი ნაპოლეონს თუ არა.

როდესაც ისინი თავიანთ ფრეგატზე დაბრუნდნენ და საფრანგეთის ორივე გემის მეზღვაურებმა და ოფიცრებმა გაიგეს, რომ იმპერატორი შესაძლოა ინგლისელებს ჩაუვარდეს ხელშიო, უკიპაჟი ძლიერ აღელდა. მეორე ფრეგატის კაპიტანმა პონემ გენერალ მონტოლონს განუცხადა: "მე ეს-ეს არის ვესაუბრე ჩემს ოფიცრებსა და მთელს ჩემ ეკიპაჟს. მაშასადამე, მე ვლაპარაკობ ჩემი სახელითაც და ყველას სახელითაც". ასეთი შესავალის შემდეგ მან აღნიშნა თავისი გეგმა: მისი ფრეგატი "მედუზა" ღამით თავს დაესხმის "ბელეროფონს" და ბრძოლას აუტეხს მას. ეს დააბანდებს ინგლისელებს და მიიპყრობს მათ ყურადღებას ორი საათით; რა თქმა უნდა, "მედუზა" ბოლოს დაიღუპება, მაგრამ ამ ორი საათის განმავლობაში მეორე ფრეგატი "ზაალე", რომელზედაც იმპერატორი იმყოფება, მოასწრებს გასხლტომას და გავა ოკეანეში, რადგან ინგლისის დანარჩენი ესკადრა "ბელეროფონისაგან" შორსა დგას, ხოლო ის გემები, რომლებიც ახლოს არიან, ძლიერ პატარებია და ფრეგატ "ზაალეს" შეპყრობას ვერ შესძლებენ.

ნაპოლეონმა, რომელსაც მოახსენეს ამ წინადადების შესახებ მონტოლონს უთხრა, რომ თანახმა არ არის მიიღოს ასეთი მსხვერპლი, რომ ის ახლა იმპერატორი აღარ არის, ხოლო კერძო ადამიანის სახსნელად საფრანგეთის ფრეგატის შეწირვა მთელი მისი პირადი შემადგენლობით, შეუძლებელია. ნაპოლეონმა მიატოვა ფრეგატი "ზაალე" და კვლავ კუნძულ ეშზე გადავიდა. იქ რამდენიმე ახალგაზრდა ოფიცერს სურდა ფარულად გაეყვანათ იმპერატორი პატარა გემით.

მაგრამ ნაპოლეონმა უკვე გადაწყვიტა თავისი ბედი. ლას-კაზი კვლავ წავიდა კაპიტან მეტლენდთან და აცნობა მას, რომ ნაპოლეონმა გადაწყვიტა ანდოს თავისი ბედი ინგლისს. თუმცა მეტლენდი რა თქმა უნდა, ვე-

რავითარ ვალდებულებას ვერ კისრულობდა, იმპერატორს შესაფერისად და ღირსეულად მიიღებენო.

1815 წლის 15 ივლისს ნაპოლეონი ჩაჯდა იალქნიან ხომალდ "შევარდენზე", რომელსაც იგი "ბელეროფონზე" უნდა გადაეყვანა. მას ეცვა, როგორც ყოველთვის, მისი საყვარელი გვარდიის ეგერთა მუნდირი და სამკუთხოვანი ქუდი ეხურა. "შევარდნის" მეზღვაურები ფრონტში ჩამწკრივდნენ, იალქნიანი ხომალდის მეთაური პიტაკით წარუდგა იმპერატორს. მეზღვაურები გაიძახოდნენ: "გაუმარჯოს იმპერატორს!" "შევარდენი" "ბელეროფონს" მიუახლოვდა. კაპიტანი მეტლენდი დაბალი თაყვანისცემით შეხვდა იმპერატორს კიბის ქვედა საფეხურზე. ავიდა თუ არა გემბანზე, ნაპოლეონმა დაინახა მის წინაშე ჩამწკრივებული ინგლისის სამხედრო გემის მთელი ეკიპაჟი, და მეტლენდმა წარუდგინა მას თავისი შტაბი.

ნაპოლენი მყისვე წავიდა გემის საუკეთესო სადგომში, რომელიც დაუთმო მას მეტლენდმა.

ყველაზე უფრო ძლიერი, შეუპოვარი და მრისხანე მტერი რომელიც კი ოდესმე ჰყოლია ინგლისს მთელი თავისი ისტორიული არსებობის მანძილზე, მის ხელში იყო.



წმინდა ელენეს კუნძული

(1815-1821)

ატლანტიკის ოკეანის სამხრეთ ნაწილებში პორტუგალიელთა ჯერ კიდევ ერთ-ერთი ყველაზე პირველი მგზავრობის დროს ვასკო-და-გამის შემდეგ, XVI საუკუნის დასაწყისში, სამხრეთის განედის 15,5° აღმოჩენილ იქნა სრულიად უდაბური პატარა კუნძული. იგი აღმოაჩინეს 1501 წლის 21 მაისს, იმ დღეს, როდესაც კათოლიკური ეკლესია დღესასწაულობს წმინდა ელენეს ხსოვნას, — კუნძულს სწორედ ამიტომ ეწოდა ეს სახელი. კუნძული ერთ დროს (XVII საუკუნეში) ჰოლანდიელებს ეკუთვნოდა; მათ იგი საბოლოოდ წაართვეს ინგლისელებმა 1673 წელს. ოსტ-ინდოეთის ინგლისურმა საავაჭრო კომპანიამ მაშინვე მოაწყო აქ იმ გემთა სადგომი, რომლებიც ინგლისიდან ინდოეთს მიდიოდნენ ან იქიდან ბრუნდებოდნენ.

ინგლისის მთავრობამ გადაწყიტა სწორედ აქ გაეგზავნა ნაპოლეონი, როგორც კი მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ იმპერატორი "ბელეროფო-

ნის" გემბანზე იყო. ყველაზე უფრო ახლობელი ნაპირი (აფრიკისა) თითქმის ორი ათას კილომეტრზეა კუნძულიდან; მანძილი ინგლისიდან კუნძულამდე მაშინდელი იალქნიანი ფლოტისათვის იზომებოდა დაახლოებით ორნახევარი-სამი თვის მგზავრობით. ყველაზე უფრო სწორედ კუნძულ წმინდა ელენეს ამ გეოგრაფიულმა მდებარეობამ მოახდინა გავლენა ინგლისის კაბინეტის გადაწყვეტილებაზე. "ასი დღის" შემდეგ ნაპოლეონი კიდევ უფრო მეტად საშიშარი ეჩვენებოდათ, ვიდრე თავისი ეპოპეის ამ უკანასკნელ აქტამდე. ნაპოლეონის შესაძლებელ ახალ გამოჩენას საფრანგეთში შეეძლო გამოეწვია იმპერიის ახალი აღდგენა და სრულიად ევროპის ახალი ომი.

წმინდა ელენეს კუნძული ოკეანეზე თავისი მდებარეობისა და ხმელეთიდან დაშორების გამო იძლეოდა ნაპოლეონის დაბრუნების შეუძლებლობის გარანტიას.

როდესაც ნაპოლეონს გამოუცხადეს რომ მისი ადგილსამყოფი წმინდა ელენეს კუნძული იქნებოდა, მან პროტესტი განაცხადა და სთქვა, რომ არა აქვთ უფლება ისე მოეპყრან მას, როგორც სამხედრო ტყვეს. "ბელეროფონიდან" ის გადაჯდა ფრეგატ "ნორტუმბერლენდზე", რომელმაც ორნახევარი თვის ცურვის შემდეგ ტყვე იმპერატორი 1815 წლის 15 ოქტომბერს მიიყვანა კუნძულზე, სადაც მოუხდა თავისი სიცოცხლის დამთავრება.

ნაპოლეონს თან გაჰყვა მეტად მცირე ამალა, რადგან ინგლისის მთავრობამ უარი უთხრა იმ პირების უმეტეს ნაწილს, ვინც ცდილობდა გაჰყოლოდა იმპერატორს წმინდა ელენეს კუნძულზე. მასთან იყვნენ: მარშალი ბერტრანი მეუღლით, გენერალი გრაფი მონტოლონი მეუღლით, გენერალი გურგო და ლას-კაზი თავისი ვაჟით. მასთან იყო აგრეთვე მისი მსახური მარშანი და კიდევ ზოგიერთი მსახურთაგან (კორსიკელი სანტინი და სხვა.).

ნაპოლეონს პირველად ისეთი სადგომი მისცეს, რომელიც მაინცდამაინც მოხერხებული არ იყო, შემდეგ კი უფრო ფართო სახლი დაუთმეს კუნძულის იმ ნაწილში, რომელსაც ლონგვუდი ეწოდებოდა.

1816 წლის აპრილამდე კუნძულის უფროსად იყო ადმირალი კოკბერნი, ხოლო 1816 წლის აპრილიდან ნაპოლეონის სიკვდილამდე გუბერნატორად იყო ჰუდსონ ლოუ. ეს ლოუ იყო აჯამი და გონებაჩლუნგი მოხელე, რომელსაც ამ ქვეყნად ყველაფერი აშინებდა, ყველაზე მეტად კი თავის ტყვე. ლოუ სასოწარკვეთილი იყო პასუხისმგებლობის გრძნობით, იმის შიშით, რომ ნაპოლეონი კვლავ გაიქცეოდა. ამავე დროს იმ ინსტრუქციით, რომელიც გუბერნატორს ჰქონდა მიცემული, ნაპოლეონი სარგებლობდა თავისუფლებით, დადიოდა სადაც კი სურდა, ცხენით დასეირნობდა,

იღებდა, ვინც მას სურდა, და უარს ეუბნებოდა, ვინც მისთვის სასურველი არ იყო. ნაპოლეონი თავიდანვე შეურიგებელ მტრულ განწყობილებაში იყო ჰუდსონ ლოუსთან.

ის თითქმის სრულიად უარს ამბობდა გუბერნატორის მიღებაზე, პასუხს არ აძლევდა სადილზე მიპატიჟებაზე — იმ საბაბით, რომ ეს მიპატიჟება მიმართული იყო "გენერალ ბონაპარტისადმი", რადგან ინგლისი საომარ განწყობილებაში იყო ნაპოლეონთან 1803 წლიდან, როდესაც ის ჯერ კიდევ იმპერატორი არ იყო.

კუნძულზე იყვნენ აგრეთვე საფრანგეთის, რუსეთისა და ავსტრიის საელჩოს წევრმომადგენლები. ნაპოლეონი ზოგჯერ იღებდა მოგზაურებს, ინგლისელებსა და არაინგლისელებს, რომლებიც ინდოეთსა თუ აფრიკაში მიმავალნი (ან ინდოეთიდან და აფრიკიდან ევროპაში მიმავალნი) შეიკლიდნენ ხოლმე წმინდა ელენეს კუნძულზე. გამოგზავნილ და განაწილებულ იქნა ერთად-ერთ პატარა ქალაქ ჯემსტოუნში, რომელიც ლონგვიდიდან შორს იყო, ჯარის მთელი რაზმი კუნძულის დასაცავად.

საგულისხმოა, რომ კუნძულზე მყოფი ამ გარნიზონის ოფიცრებიცა და ჯარისკაცებიც ნაპოლეონისადმი, ინგლისის მოსისხლე მტრისადმი, იჩენდნენ არა მარტო პატივისცემას, არამედ ზოგჯერ როგორიღაც სენტიმენტალურ გრძნობებსაც კი. ჯარისკაცები თაიგულებს უგზავნიდნენ მას, სთხოვდნენ ნაპოლეონის ამალას, როგორც მოწყალებას, რომ ნება დაერთოთ მათთვის თუნდაც ფარულად მაინც შეეხედათ მისთვის. ოფიცრები მრავალი წლის შემდეგაც კი გამოხატავდნენ ინგლისელთა ტემპერამენტისათვის უჩვეულო ცხოველ სიმპათიას, როდესაც ლაპარაკობდნენ იმ ტყვე ადამიანზე, რომლის გულისთვისაც მათ რამდენიმე წელს მოუხდათ ცხოვრება უდაბურ კუნძულზე.

"ნორტუმბერლენდით" ხანგრძლივი საზღვაო მოგზაურობის დროს ნაპოლეონი თავის მოგონებებს უკარნახებდა ლას-კაზს. მან ეს საქმე კუნძულზეც განაგრძო. ლას-კაზთან ლაპარაკი, მონტოლონთან და გურგოსთან ლაპარაკი, მის მიერ ნაკარნახევი და გადასინჯული "წერილები კონცხიდან", რომლებიც მისი დავალებით (მაგრამ მის მიერ ხელმოუწერლად) დაბეჭდა შემდგომ ლას-კაზმა, — ყველა ეს წყარო წარმოდგენას იძლევა არა იმ ფაქტების ისტორიული ჭეშმარიტების შესახებ, რომლებზედაც იქ ლაპარაკია, არამედ იმის შესახებ, თუ რა წარმოდგენა სურდა ჩაენერგა ნაპოლეონს ჩამომავლობისათვის ამ ფაქტებზე.

ამნაირად, წმინდა ელენეს კუნძულზე იმპერატორის ყოფნით წარმოშობილი მასალები ძლიერ ცოტას იძლევა. "ღმერთი" წარმოთქვამდა ხოლ-

მე უცოდველ სიტყვებს, ხოლო მორწმუნენი იწერდნენ მათ. გაღმერთება, შეყვარებულობა, რელიგიური თაყვანისცემა — ეს ისეთი გრძნობები არაა, რომლებიც ხელს უწყობენ კრიტიკულ ანალიზს.

ნაპოლეონი ელაპარაკებოდა მის გარშემო მყოფთ, რა თქმა უნდა, არა მათთვის, არამედ ჩამომაელობისათვის, ისტორიისათვის. შეეძლო თუ არა მას ყოფილიყო მაშინ მტკიცედ დარწმუნებული, რომ მისი დინასტია კიდევ გამეფდებოდა საფრანგეთში, ეს ჩვენ არ ვიცით. მაგრამ გარშემო მყოფ ადამიანებთან ის ისე საუბრობდა, თითქმის მას მხედველობაში ჰქონდა ეს მომავალი ფაქტი: ერთხელ მან პირდაპირ გამოთქვა აზრი — ჩემი ვაჟიც იმეფებსო.

რა თქმა უნდა, სპეციალური ინტერესით არის აღსავსე ყველა მისი უხვი შენიშვნა, რომელიც ეხება მის ომებსა და სხვა შესანიშნავ სარდალთა სამხედრო ხელოვნებას და საერთოდ სამხედრო საქმეს. ყოველ მის სიტყვაში მოჩანს პირველხარისხოვანი ოსტატი, საგნის მცოდნე და მოყვარული.

"საოცარი ხელოვნებაა ომი. მე მიბრძოლია სამოც შეტაკებაში და გარწმუნებთ, რომ ყველა მათგან არაფერი შემისწავლია ისეთი, რაც არ მცოდნოდეს უკვე ჩემს პირველ ბრძოლაში" — თქვა მან ერთხელ.

სარდალთა შორის ის მაღლა აყენებდა ფრიდრიხ დიდს, ტიურენსა და კონდეს. ნაპოლეონს თავისი თავი, უეჭველია, უდიდეს სარდლად მიაჩნდა საქვეყნო ისტორიაში, თუმცა ერთხელაც არ გამოუთქვამს ეს გარკვეული სიტყვებით. განსაკუთრებული სიამაყით ლაპარაკობდა ის აუსტერლიცსა, ბოროდინოსა და ვაგრამზე და აგრეთვე თავის პირველ (იტალიურ, 1796-1797 წლების) და უკანასკნელის წინა (1814 წლის) კამპანიებზე. ავსტრიის არმიის განადგურება ვაგრამთან მას თავის ერთ-ერთ საუკეთესო სტრატეგიულ მიღწევად მიაჩნდა.

ყველაზე უკეთეს არმიად ნაპოლეონი იმ არმიას თვლიდა რომელშიაც ყოველმა ოფიცერმა იცოდა, თუ რა უნდა ეკეთებინა ამა თუ იმ პირობებში.

პირველ მის შეცდომას რომ ესპანეთში შეჭრა ("ესპანეთის წყლული") წარმოადგენდა, ხოლო მეორე და ყველაზე უფრო საბედისწერო შეცდომას კი 1812 წლის რუსეთის ლაშქრობა, — ამას ის ახლა უკვე აღიარებდა, თუმცა შეწყნარებით (თავისთავისადმი) ლაპარაკობდა ამ გაუგებრობათა შესახებ, რომლებმაც ჩააბეს იგი მოსკოვის ლაშქრობაში. "ეს საბედისწერო ომი რუსეთთან, რომელშიაც ჩაბმულ ვიქენ გაუგებრობით, ეს სტიქიონის შემაძრწუნებელი სიმკაცრე, რამაც შთანთქა მთელი არმია... და შემდეგ მთელი მსოფლიო, რომელიც აღსდგა ჩემს წინააღმდეგ!" განა სასწა-

ული არ იყო (განაგრძობდა იგი), რომ მე შევძელი ასე ხანგრძლივ გამეწია წინააღმდეგობა და რომ საბოლოო გამარჯვება ამ ბრძოლაში მთელ მსოფლიოს წინააღმდეგ არაერთხელ გადმოსრილა ჩემს მხარეზე?

მას ერთ-ერთ თავის შეცდომად მიაჩნდა ის, რომ ტილზიტში უარი თქვა თავის პირველ აზრზე — აღეგავა პრუსია პირისაგან მიწისა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. ავსტრიაც, როგორც ის ახლა აღიარებდა, სურდა აგრეთვე მოესპო 1809 წელს, მაგრამ ამას ხელი შეუშალა მისმა მარცხმა ესლინგთან წარმოებულ ბრძოლაში; ასე რომ ვაგრამის შემდეგ ავსტრია, თუმცა მან ბევრი დაკარგა, მაინც განაგრძობდა არსებობას.

მისი ფიქრი რამდენჯერმე დასტრიალებდა ენგიენის ჰერცოგის დასჯას, მაგრამ არავითარი მონანიება ამის გამო მას არ გამოუჩენია; პირიქით, ის იმ აზრს გამოთქვამდა, რომ ამას იგი კვლავ გაიმეორებდა, საქმე რომ თავიდან დაწყებულიყო.

საინტერესოა, რომ ხანგრძლივ, სრულიად-ევროპის ოცწლიან საშინელ სისხლისღვრას, რომლის ცენტრშიაც ის იმყოფებოდა და, საკუთარი წარმოდგენით, გადამწყვეტ როლს თამაშობდა, იგი ოდნავადაც არ იხსენიებდა როგორც რაიმე სამწუხარო, მძიმე საქმეს, რომელსაც შეუძლია დაასვედიანოს გული თუნდაც ერთი წუთით. დიახ, საკუთარი მართალია, რომ იგი დაპყრობებისაკენ ისწრაფოდა, მაგრამ მას საერთოდ ჰქონდა ეს ძლიერი მიდრეკილება: "მეტისმეტად უყვარდა ომი".

გოგონა ბეტსი ბალკომბს, წმინდა ელენეს კუნძულზე მოიჯარადრედ მყოფი ერთი ინგლისელის პატარა ქალიშვილს, ნაპოლეონი ალერსით ხვდებოდა. ნაპოლეონმა მოისურვა ფრანგული ენა ესწავლებინა მისთვის და ნება მისცა ერბინა და ელაყბა მასთან. და როდესაც ამ უკვე მის მიერ მოშინაურებულმა გოგონამ და მეორე პატარა გოგონამ, ლეჯიმ, ერთხელ იმპერატორს ჰკითხეს — მართალია თუ არა, რომ შენ ადამიანებს სჭამო (როგორც ეს მათ გაეგონათ ჯერ კიდევ ინგლისში), ნაპოლეონმა სიცილით დაარწმუნა ისინი — მე მართლა ვჭამ ადამიანებს და მუდამ ადამიანებით ვიკვებებოდიო... მას სიცილი აუტყდა, რომ ბავშვებმა მოზრდილთა სიტყვები, როგორც ჩანს, პირდაპირი აზრით გაიგეს; გადატანითი მნიშვნელობით ეს სიტყვები აღწევდა ნაპოლეონამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე პატარა ბალკომბისა და მისი მეგობრის გაცნობამდე, მაგრამ მათ, გარდა მხრების ზიზღით აჩეჩვისა, მასში არასოდეს არაფერი არ გამოუწვევია.

ჟოზეფინას დაშორების შემდეგ, ესლინგთან ლანის სიკვდილის, ხოლო გერლიცთან დიუროკის სიკვდილის შემდეგ, მთელს ქვეყანაზე დარჩა კიდევ ერთი არსება, რომელიც მთელს თავის სიცოცხლეში უყვარდა ნაპო-

ლეონს: ეს იყო მისი პატარა ვაჟი, რომელიც ჯერ კიდევ 1814 წლიდან თავის დედასთან, დედოფალ მარია-ლუიზასთან ერთად ცხოვრობდა თავის პაპის, ავსტრიის იმპერატორ ფრანცის კარზე. ნაპოლეონმა ჯერ კიდევ 1816 წელს, წმინდა ელენეს კუნძულზე ყოფნის დასაწყისში თქვა — დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი შვილი იმეფებსო, ვინაიდან საფრანგეთში ამიერიდან შესაძლებელია მხოლოდ "მასებზე" დაყრდნობა, მაშასადამე, ან რესპუბლიკა, ან პოპულარული. "სახალხო" მონარქია, პოპულარული დინასტია კი შეიძლება იყოს მხოლოდ ხალხის ნება-სურვილით არჩეული დინასტია, ე.ი. ბონაპარტებიო.

არათანამიმდევრობა აქ გარეგნული იყო, რომელიც საქმის არაზუსტი გაგებით აიხსნებოდა: ნაპოლეონის მონარქია იყო არა "სახალხო", არამედ ბურჟუაზიული, და თავისი შვილისათვის იგი ოცნებობდა აგრეთვე ისეთ სახელმწიფოზე, რომელიც დაეყრდნობოდა არა პლებეების, ფართო მშრომელი მასების ნება-სურვილსა და ინტერესებს, არამედ ბურჟუაზიის ნება-სურვილსა და ინტერესებს.

"რას უნდა მიმაღლოდნენ მე ეს ადამიანები? მე ვპოვე ისინი პიღატაკეში და ეტოვებ მათ სიღატაკეში?" — წამოსცდა მას ერთხელ ვატერლოოს შემდეგ, როდესაც მშენებელ მუშათა გროვა გარსშემოერტყა სასახლეს და მოითხოვდა, რომ ნაპოლეონი ტახტზე დარჩენილიყო.

იმავე გრაფ მონტელონს, რომელიც თან გაჰყვა მას წმინდა ელენეს კუნძულზე, ნაპოლეონი მაშინაც, პარიზშიც და წმინდა ელენეს კუნძულზეც განმეორებით უმტკიცებდა —მე რომ მსურვებოდა გამომეყენებინა რევოლუციური სიძულვილი თავად-აზნაურობისა და სამღვდელოების წინააღმდეგ, რომელიც დამხვდა საფრანგეთში დაბრუნებისას 1815 წელს, მე შევიდოდი პარიზში "ორი მილიონი გლეხის" თანხლებითო; მაგრამ მას არ სურდა "მდაბიო ხალხის" წინამძღოლი ყოფილიყო, რადგან მას ამის წარმოდგენაც კი (მისი გამოთქმით) "აშფოთებდა".

უფრო აშვიათ და მიყრუებულ, ბუნდოვან და ნაწყვეტ-ნაწყვეტ სახეს იღებს ცნობები იმპერატორის შესახებ 1819 წლის შემდეგ.

1819 წელს ის ხშირად ავადმყოფობდა. 1820 წელს მისი ავადმყოფობა გაძლიერდა, ხოლო 1821 წლის დასაწყისში ნაპოლეონის მიერ დაშვებულმა ინგლისელმა ექიმმა არნოტმა მისი მდგომარეობა საკმაოდ სერიოზულად სცნო.

მაგრამ მაინც იყო გაუმჯობესების დიდი პერიოდები, როდესაც ნაპოლეონი სასეირნოდ გამოდიოდა.

1820 წლის დამლევს დაღლილობა უფრო შესამჩნევი გახდა. იგი იწყებდა ფრაზას და ვერ ამთავრებდა, ღრმად ჩაფიქრდებოდა ხოლმე. იგი

მდუმარებას მიეცა. 1820 წლის დამლეევამდე კი მისი ნაკარნახევი და მოგონებები მისი მეფობის შესახებ, რაც მან გაუზიარა თავის ორ რწმუნებულს — ლას-კაზს 1818 წლამდე და გრაფ მონტოლონს ნაწილობრივ იმავე წლებში, ხოლო ნაწილობრივ 1818-დან 1820 წლამდე ჩათვლით, პირველის ჩანაწერებში ორ უზურმაზარ ტომს შეიცავს (უკანასკნელ გამოცემებში), ხოლო მეორისაში რვა ტომს (1847 წლის გამოცემა); ამას უნდა დაემატოს იმავე მონტოლონის მოგონებათა განსაკუთრებულ ორტომიანი წიგნი სპეციალურად წმინდა ელენეს კუნძულზე იმპერატორის ყოფნის შესახებ.

1820 წლის დამლეევიდან ის უფრო იშვიათად დასეირნობდა ეტლით, ცხენით სეირნობდა კი უკვე დიდი ხანია შეწყვიტა.

1821 წლის მარტში საშინელმა შინაგანმა ტკივილებმა განმეორება და გახშირება იწყო. იმპერატორი, როგორცა ჩანს, უკვე დიდი ხანია მიხვდა,რომ ეს იყო კიბო, მათი გვარეულობის შთამომავლობითი სენი, რომლისგანაც სულ მხოლოდ ორმოცი წლის ასაკში გარდაიცვალა მისი მამა, კარლო ბონაპარტი.

5 აპრილს ექიმმა არნოტმა აცნობა ნაპოლეონის ამალას, მარშალ ბერტრანისა და გრაფ მონტოლონის სახით; რომ ავადმყოფის მდგომარეობა უკიდურესად სერიოზული იყო. როდესაც ტკივილები რამდენადმე ცხრებოდა, ნაპოლეონი ცდილობდა გაემხნევებინა ირგვლივ მყოფნი. იგი ოხუნჯობდა თავის ავადმყოფობაზე: "კიბო — ეს ვოტერლოოა, რომელიც შიგნით შემოვიდა".

13 აპრილს მან უბრძანა გრაფ მონტოლონს დაეწერა მისი კარნახით ანდერძი, რომელიც 15 აპრილს მან თავისი ხელით გადაწერა და ხელიც მოაწერა. ამ ანდერძში, სხვათა შორის, შეტანილია ის სტრიქონები, რომლებიც ახლა კოხტადაა აღბეჭდილი მარმარილოს დაფაზე პარიზის ინვალიდთა სასახლეში, ტაძარში სადაც 1840 წლიდან მოთავსებულია სარკოფაგი იმპერატორის ნეშთით: "მე მსურს, რომ ჩემი გვამი განისვენებდეს სენის ნაპირებზე, ფრანგ ხალხს შორის, რომელიც მე ესოდენ მიყვარდა".

ანდერძის დანარჩენ პუნქტთა უმეტესობა სხვადასხვა პირთათვის დანიშნულ ფულად თანხებს ეხებოდა. შვილს მან უანდერძა არასოდეს არ გამოსულიყო საფრანგეთის წინააღმდეგ და ხსომებოდა დევიზი: "ყველაფერი ფრანგი ხალხისათვის".

იგი სრულიად დამშვიდებული იყო, როდესაც უკარნახებდა და შემდეგ კი თვითონ გადაწერა ეს ანდერძი. სამი დღის შემდეგ მან უკარნახა მონტოლონს წერილი, რომლითაც მას უკვე მისი სიკვდილის შემდეგ უნდა

ეცნობებინა გუბერნატორისათვის მომხდარი ამბის შესახებ და მოეთხოვა ინგლისელებისაგან წმინდა ელენეს კუნძულიდან მთელი ამალისა და მსახურთა გადაყვანა ევროპაში.

21 აპრილს, ღამის 4 საათზე, მან უცებ დაუწყო მონტოლონს კარნახი საფრანგეთის ნაციონალური გვარდიის გარდაქმნის პროექტისა, რომლის მიზანი იყო ამ გვარდიის რაც შეიძლება უფრო რაციონალურად გამოყენება მტრის შემოსევისაგან ტერიტორიის დაცვის დროს.

2 მაისს ექიმმა არნოტმა, შორტმა და მაიკელსმა უთხრეს ამალას, აღსასრული მოახლოებულიაო. ტანჯვა ისე გაძლიერდა, რომ 4 მაისს, ღამით, ის ნახევრად უგრძნობლად წამოიჭრა ქვეშაგებიდან, კონვენსიურად მოუჭირა ხელი არაჩვეულებრივი ძალით მონტოლონს და მასთან ერთად დაეცა იატაკზე. ის დაწვინეს, მაგრამ გონს აღარ მოსულა, არამედ ისე იწვა უძრავად რამდენიმე საათს გახელილი თვალებით, და არ კვნესოდა. ის, სხვათაშორის, არც წინათ, ტკივილების მეტად საშინელი შეტევის დროს, თითქმის არ კვნესოდა, არამედ მხოლოდ ბორგავდა.

ნაპოლეონის ოთახში თავი მოიყარა მისმა ამალამ და მსახურებმა — ზოგმა საწოლთან და სხვებმა კი კარებთან.

კუნძულის გუბერნატორი ჰუდსონ ლოუ და ინგლისის გარნიზონის ოფიცრები, როგორც კი გაიგეს სულთმოძრაობის დაწყების შესახებ, სასწრაფოდ მოვიდნენ და ნაპოლეონის სახლის სხვა ოთახებში იმყოფებოდნენ. უკანასკნელი სიტყვები, რომლებსაც ყური მოკრეს ნაპოლეონის საწოლის მახლობლად მდგომებმა, იყო: "საფრანგეთი... არმია... ავანგარდი..."

1821 წლის 5 მაისს, საღამოს 6 საათზე, ნაპოლეონი გარდაიცვალა.

მტირალმა მსახურმა მარშალმა მოიტანა ძველი ფარაჯა, რომელიც მასთან ინახებოდა და რომელიც ეცვა ნაპოლეონს 1800 წლის 14 ივნისს მარენგოსთან ბრძოლის დღეს, და ცხედარს გადააფარა. ამის შემდეგ შემოვიდნენ გუბერნატორი და ოფიცრები და დაბალი თაყვანი სცეს მიცვალებულს.

შემდეგ შეუშვეს სახელმწიფოთა კომისრებიც, რომლებმაც აქ, კუნძულზე თავისი ყოფნის მთელი ხნის განმავლობაში პირველად ნახეს ნაპოლეონი, რადგან ის მათ არ უშვებდა თავისთან.

ოთხი დღის შემდეგ კუბო ლონგვუდიდან გაიტანეს. სამგლოვიარო პროცესიაში, ამალისა და მსახურთა გარდა მონაწილეობა მიიღო მთელმა გარნიზონმა სრული შემადგენლობით, აგრეთვე ყველა მეზღვაურმა და საზღვაო ოფიცერმა, ყველა სამოქალაქო მოხელემ გუბერნატორის მეთაურობით და კუნძულის თითქმის მთელმა მოსახლეობამ.

როდესაც კუბოს სამარეში უშვებდნენ, გაისმა ზარბაზნების საპატიო შილინგი: ინგლისელები უკანასკნელი სამხედრო პატივისცემით გამოეთხოვნენ გარდაცვლილ იმპერატორს.

დასკვნა

არა მარტო ძველი, არამედ თანამედროვე ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიაც კი ნაპოლეონს რევოლუციის "დამაგვირგვინებელს" უწოდებს.

ეს, რა თქმა უნდა, ასე არ არის. მართლაც, ნაპოლენმა გამოაცალა რევოლუციას ყველაფერი, რაც მან გააკეთა საფრანგეთის ბურჟუაზიის "თავისუფალი" განვითარებისათვის, და მანვე შეგნებულად ჩააქრო ათი წლის განმავლობაში მობობოქრე რევოლუციური ქარიშხალი.

ნაპოლეონის დიქტატურა ნიშნავდა, უწინარეს ყოვლისა, მსხვილბურჟუაზიული ელემენტების გამარჯვებას ხელოსნურ პროლეტარიატზე, ხელმოკლე წვრილბურჟუაზიულ მასაზე, რომელმაც 1789-1794 წლებში ასეთი დიდი რევოლუციური როლი შეასრულა.

მესაკუთრე გლეხები, ეშინოდათ რა ფეოდალური წყობილების დაბრუნებისა, მხარს უჭერდნენ ნაპოლეონს. მაგრამ ფრანგ გლეხებზე შეიძლება განმეორებულ იქნას ის, რაც თქვა მარქსმა თავის "18 ბრიუმერში" გლეხზე, რომელმაც შექმნა ნაპოლეონ III და მხარს უჭერდა მას: ნაპოლეონ I დროს ჩვენ ვხედავთ აგრეთვე "არა რევოლუციურ, არამედ კონსერვატიულ გლეხს. ბონაპარტების დინასტია არის არა გლეხთა განათლების, არამედ ცრუმორწმუნეობის, არა მათი ჭკუა-გონების, არამედ მათი ცრურწმენის, არა მათი მომავლის, არამედ მათი წარსულის წარმომადგენელი".

ნაპოლეონი, მუშათა ჩამხშობი, რომელიც ხვრეტდა იაკობინელებს, თვითმპყრობელი მონარქი, რომელმაც საფრანგეთის გარშემო არსებული რესპუბლიკები სამეფოებად აქცია და ისინი თავის ძმებს, სიძეებსა და მარშლებს დაურიგა, — ეს ისტორიული სახე სრულიად არ ეგუება რევოლუციის "დამაგვირგვინებლის" ტიტულს.

საფრანგეთის ბურჟუაზიისათვის ნაპოლეონმა ააგო მოხდენილი და მაგარი შენობა იმ საძირკველზე, რომელიც რევოლუციამ შექმნა, და იმ მასალებით, რომელიც რევოლუციამ შეკრიბა. მისმა მეტისმეტად და უაღრესად მრავალფეროვანმა ნიჭმა, ორგანიზატორულმა გენიამ, წესრიგის,

დარკვეულობისა და თანმიმდევრობის ინსტიქტმა, უდიდესმა და მოქნილმა სახელმწიფო ჭკუა-გონებამ, სიმახვილემ და შორსმჭვრეტელობამ, ლოგიკამ და გარკვეულობამ, ზეადამიანურმა ენერგიამ და დაუცხრომლობამ — ყველაფერმა ამან, რკინისებურ ნებისყოფასთან შეერთებულმა, საშუალება მისცა მას შეექმნა სახელმწიფოებრივი მანქანა და სამოქალაქო სისხლის სამართლისა და სავაჭრო კანონები. მაგრამ მისი კანონმდებლობა ძლიერ ხშირად წააგავდა უკან გადადგმულ, და არა წინ გადმოდგმულ ნაბიჯს, იმასთან შედარებით, რაც ნაანდერძევი იყო რევოლუციის მიერ.

საგარეო პოლიტიკის დარგში დამპყრობლულმა მიდრეკილებებმა, საფრანგეთის ბურჟუაზიის ინტერესებით ნაკარნახევმა, აიძულა ნაპოლეონი დაეპყრო ევროპა, ხოლო ლპობისა და ცოცხლად გახრწნის პროცესში მყოფ ნახევრადფეოდალურ ევროპის სახელმწიფოებს არ შეეძლოთ წარმატებით გაეწიათ წინააღმდეგობა ისეთი დიდი სარდლის პირველი იერიშებისათვის, როგორიც აღმოჩნდა პირველივე ნაბიჯებიდანვე ნაპოლეონი.

მისი მნიშვნელობა ომისა, სამხედრო თეორიისა და პრაქტიკის დარგში იმითვე ისაზღვრება: ბურჟუაზიულმა რევოლუციამ შექმნა ის შესაძლებლობანი, რომლითაც ნაპოლეონმა გენიალურად ისარგებლა.

ნაპოლეონი, ენგელსის აზრით განუზომლად სჭარბობდა არა მარტო თავის წინამორბედებს, არამედ თავის ჩამომავალთაც, რომელნიც ცდილობდნენ ესწავლათ მისგან და მიებაძათ მისთვის ამ უძნელეს ხელოვნებაში: "ნაპოლეონის უკვდავი დამსახურება იმაში მდგომარეობა, რომ მან პპოვა ერთადერთი სწორი და სწორი ტაქტიკური გამოყენება უზარმაზარი შეიარაღებული მასებისა, რომელთა გაჩენა შესაძლებელი იყო მხოლოდ რევოლუციის მეოხებით; ამასთან, ეს სტრატეგია და ტაქტიკა მან იმდენად სრულყოფილი გახადა, რომ თანამედროვე გენერლებს საერთოდ არ ძალუძთ გადააჭარბონ მას და მხოლოდ ცდილობენ მიბაძონ მას თავის ყველაზე ბრწყინვალე და მოხერხებულ ოპერაციებში".

ენგელსს ნაპოლეონი მიაჩნია უდიდეს სარდლად, რომელიც დიდი დარჩა თვით იმ ლაშქრობებშიც კი, რომლებიც მარცხით დამთავრდა. "ორ ყველაზე უფრო შესანიშნავ მაგალითს შეტევითი ოპერაციებისა და პირდაპირი იერიშებისას, რომლებსაც იყენებდნენ ზუსტად თავდაცვით კამპანიებში, ჰქონდა ადგილი ნაპოლეონის ორ შესანიშნავ ლაშქრობაში: 1814 წლის ლაშქრობაში, რომელიც ელბაზე მისი გადასახლებით დამთავრდა და 1815 წლის ლაშქრობაში, რომელიც ვატერლოოსთან დამარცხებითა და პარიზის ჩაბარებით დამთავრდა. ორივე ამ არაჩვეულებრივს კამპანიაში სარდალს, მომქმედს მხოლოდ იმ მიზნით, რომ დაეცვა ქვეყანა, რომელსაც თავს

ესხმოდნენ, იერიშები მიჰქონდა თავის მოწინააღმდეგეებზე ყველა პუნქტსა და ყოველგვარ ხელსაყრელ შემთხვევაში; თუმცა ნაპოლეონი საერთოდ მუდამ გაცილებით უფრო სუსტი იყო, ვიდრე მოწინააღმდეგე, ის ყოველთვის ახაერხებდა მასზე ძლიერი გამომდგარიყო და ჩვეულებრივ იმარჯვებდა იერიშის ამ პუნქტში". 1814-1815 წლების ორივე ლაშქრობა ნაპოლეონმა წააგო იმ მიზეზებით, რომლებიც "სრულიად არ იყო დამოკიდებული" გეგმებზე ან ნაპოლეონის მიერ მათს შესრულებაზე; ეს ორივე ლაშქრობა მან წააგო უმთავრესად ევროპის შეერთებული ძალების უდიდესი სიჭარბისა და იმის გამო, რომ "შეუძლებელი იყო მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ომებით დაუძლურებული ერთი ერისათვის წინააღმდეგობა გაეწია მის წინააღმდეგ შეიარაღებული მთელი მსოფლიოს თავდასხმისათვის".

აუსტერლიცის შესახებ ენგელსი ლაპარაკობს, რომ "ნაპოლეონის შეუდარებელი სამხედრო გენია", რომელმაც თავი იჩინა ამ ბრძოლაში, "ყოველგვარ ქება-დიდებაზე მაღლა დგას" და "მისი შორსმჭვრეტელობა და ელვისებური სისწრაფე კატასტროფის დამთავრებაში" "ყოველგვარი აღტაცების ღირსია. აუსტერლიცი წარმოადგენს სტრატეგიის სასწაულს და იგი არ იქნება დავიწყებული იქამდე, სანამ ომები არსებობს".

"ევროპაში ბევრი კარგი გენერალია, — ამბობდა ნაპოლეონი, — მაგრამ მათ სურთ ერთბაშად უყურონ მრავალ ნივთს, მე კი ვუყურებ მხოლოდ ერთს — მასებს (მტრისას) და ვცილობ მათს განადგურებას"

ნაპოლეონი ძლიერ ხშირად იმეორებდა იმ ჭეშმარიტებას, რომ საბოლოო ჯამში მასები წყვეტენ ყველაფერს, რომ "დიდი ათასეულები მუდამ მართალი არიან". სარდლის ხელოვნება, ჯერ ერთი, იმაში მდგომარეობს, რომ უნარი ჰქონდეს გამონახოს ეს დიდი ათასეულები, შეაიარაღოს ისინი და ჩქარა ასწავლოს მას, შექმნას მასობრივი არმიები; მეორე — იმაში, რომ გადამწყეტი იერიშის მიტანის მომენტისათვის ისინი უკლებლივ იყვნენ საჭირო პუნქტში; მესამე — იმაში, რომ ბრძოლის დაწყებისას უნარი ჰქონდეს არ დაზოგოს ეს დიდი ათასეულები, თუ ეს საჭიროა ბრძოლის მოგებისათვის; მეოთხე — იმაში, რომ შეაგროვებს თუ არა ამ მასას, არასოდეს არ აარიდოს თავი და კი არ გადადოს ბრძოლა, არამედ ეძებოს უსწრაფესი გადამწყვეტი დასასრული; მეხუთე — და ყველაზე უფრო ძნელიც, — იპოვოს მტრის განლაგებაში ის პუნქტი, რომელზედაც უნდა მიიტანოს გადამწყვეტი იერიში.

ნაპოლეონი ამბობდა, რომ ბედის როლი, შემთხვევის როლი არსებითია, მაგრამ ჭეშმარიტად დიადი საქმეები მაინც დამოკიდებულია სარდლის

პირად თვისებებზე, ჭკუა-გონებაზე, ცოდნაზე, მეთოდური მოქმედების უნარზე, კონბინაციების ნიჭზე, გამომგონებლობასა და გერგილიანობაზე. "არა გენია მიკარნახებს მე უეცრივ და საიდუმლოდ, თუ რა უნდა ვთქვა ან რა ვაკეთო სხვებისათვის მოულოდნელ რომელიმე პირობებში, არამედ სჯა და ფიქრი" — თქვა როგორღაც თვით ნაპოლეონმა.

ალექსანდრე მაკედონელი, კეისარი ჰანიბალი და გუსტავ-ადოლფი დიდები გახდნენ არა იმიტომ, რომ მათ ბედი უწყობდა ხელს; არა, ბედი ხელს უწყობდა მათ იმიტომ, რომ ისინი დიდი ადამიანები იყვნენ და უნარი ჰქონდათ დაუფლებოდნენ ბედნიერებას, — ასე ამბობდა ნაპოლეონი თავის სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში.

არ ამცირებს რა ნაპოლეონის რევოლუციურ მნიშვნელობას ევროპისათვის, ენგელსი ოდნავადაც არ ხუჭავს თვალს იმაზე, რომ თავის მეფობის უკანასკნელ ხანებში სულ უფრო და უფრო იქცეოდა მონარქად "წყალობითი ღვთისათა" ან, ყოველ შემთხვევაში, ცდილობდა დაევიწყა თავისი იმპერიის რევოლუციური წარმოშობა: "მე მხოლოდ უნდა დავუმატო ჩემ მიერ ამ არაჩვეულებრივი ადამიანის შესახებ გამოთქმულ აზრს, რომ რამდენადაც უფრო მეტს მეფობდა იგი, მით უფრო მეტად იმსახურებდა თავის ხვედრს. მე არ მინდა ვუსაყვედურო მას ტახტზე ასვლა. ხელისუფლება საფრანგეთის საშუალო კლასებისა, რომლებიც არასოდეს არ ზრუნავდნენ საზოგადოებრივ ინტერესებზე, თუ კი მათი კერძო საქმეები კარგად მიდიოდა, და გულგრილობა ხალხისა, რომელიც თავისთვის ვერავითარ სარგებლობას ვერ ხედავდა რევოლუციაში და გაჟღენთილი იყო სამხედრო ენთუზიაზმით, არ იძლეოდა სხვა მიმდინარეობის შესაძლებლობას. მაგრამ ნაპოლეონის უდიდესი შეცდომა ის იყო, რომ იგი შეუერთდა ძველ, ანტირევოლუციურ დინასტიებს, რაკი ცოლად შეირთო ავსტრიის იმპერატორის ქალიშვილი; რომ,-ნაცვლად იმისა, რომ მოესპო ძველი ევროპის ყოველგვარი კვალი, იგი ცდილობდა კომპრომისზე წასულიყო, ცდილობდა პირველი ყოფილიყო ევროპის მონარქთა შორის და ამიტომ შესაძლებლობისდაგვარად ამსგავსებდა თავის სასახლეს მათს სასახლეებს". ენგელსის აზრით, სწორედ იმან დაღუპა ის საბოლოო ანგარიშში, რომ მანაც დაიწყო აგრეთვე ქედის მოხრა "ლეგიტიმურობის პრინციპის" წინაშე.

ინგლისელი ისტორიკოსი მაკოლეი ამბობდა, რომ მსოფლიო ისტორიაში არის მხოლოდ ორი ნიმუში ჯარისკაცთა უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულებისა სარდლისადმი: ეს არის იულიოს კეისრის მე-10 ლეგიონი და ნაპოლეონის ძველი გვარდია. ეს ზუსტი არ არის: კეისრის მე-10 ლეგი-

ონის შესახებ ჩვენ შედარებით ცოტა რამ ვიცით, ნაპოლეონის ძველი გვარდიის განწყობილება იმპერატორისადმი ოდნავ თუ განირჩეოდა მთელი დიდი არმიის განწყობილებისაგან. ყაზარმაში იმპერატორის სახე საარაკო და ლეგენდარული გახდა ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, ვიდრე ნაპოლეონის ხოტბას შეუდგებოდნენ დიდი პოეტები.

შეგნებულად, მოფიქრებულად და ბრწყინვალე წარმატებით მოამზადა, ამნაირად, ნაპოლეონმა თავისთვის რევოლუციის მიერ შექმნილი მასალიდან უაღრესად ქმედუნარიანი და ძლიერი იარაღი, რომელსაც სწორედ შეუდარებელი ოსტატის ხელში უნდა გამოეჩინა თავი სამხედრო ისტორიაში ჯერ არნახული მიღწევებით.

თვითონ მას მოსწონდა თავისი, მისი აზრით, ძირითადი თვისება, რომელიც, როგორც ის ამტკიცებდა, ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე შეუნაცვლებელი იყო: რკინესებური ნებისყოფა, ხულის სიმტკიცე და ის განსაკუთრებული მამაცობა, რომელიც მდგომარეობს არა იმაში,რომ კრიტიკულ მომენტში გაექანა დროშით ხელში არკოლეს ხიდის ასაღებად ან რამდენიმე საათის განმავლობაში დადგე და რუსებმა ყუმბარები გიშინონ ქალაქის სასაფლაოზე ეილაუსთან,არამედ იმაში,რომ მთლიანად იკისრო ყველაზე საშინელი, ყველაზე მძიმე პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებისათვის. ბრძოლას იგებს არა ის, ვინც ბრძოლის გეგმა მოიფიქრა ან საჭირო გამოსავალი ჰპოვა, არამედ ის, ვინც იკისრა მისი შესრულების პასუხიმგებლობა.

ნაპოლეონს ძლიერ ნაკლებად უყვარდა ვინმე; ის კიდევ უფრო ნაკლებად სცემდა პატივს ამა თუ იმ პიროვნებას. ის იყო არა სასტიკი, არამედ სავსებით გულგრილი ადამიანისადმი. და როდესაც იგი საჭიროდ სცნობდა სისასტიკეს, ცბიერებას და მუხანათურ მოტყუებას, ის ამას ჩადიოდა ყოველგვარი მერყეობის გარეშე.

ციკი ჭკუა-გონება უკარნახებდა მას, რომ სხვა თანაბარ პირობებში, თუ ეს შესაძლებელია, მუდამ უფრო ხელსაყრელია მიღწეულ იქნას მიზანი სისასტიკის გამოუჩენლად, ვიდრე მისი საშუალებით. ის მუდამ სწორედ ამ წესის მიხედვით მოქმედებდა იქ (მაგრამ მხოლოდ იქ), სადაც პირობები ამის საშუალებას იძლეოდა. ის მიზანი, და სწორედ ყველაზე უფრო მთავარი მიზანი, რომელსაც ის ისახავდა ტილზიტის შემდეგ, განსაკუთრებით კი ვაგრამის შემდეგ, ხშირად ფანტასტიკური და განუხორციელებელი იყო, მაგრამ ამ მიზნის განხორციელების ცდაში გონება აძლევდა მას უაღრესად სხვადასხვანაირ მითითებებს, ეძებდა მოულოდნელ საშუალებებს, კონტროლს უწევდა და არ იბნეოდა დეტალებში. მას შეეძლო როგორღაც,

თქმულების წინააღმდეგ, ერთად დაენახა ტყეცა და ხეებიც და თვით ტოტებიც და ფოთლებიც ამ ხეებზე.

ძალა-უფლება და დიდება — აი მისი ძირითადი გატაცება, და ამასთანავე უფრო მეტად ძალა-უფლება, ვიდრე დიდება. მუდმივ მოქმედი ზრუნვა, განუწყვეტელი მძიმე მუშაობა უუქმედღეოდ და შეუსვენებლად, ფხიზელი მომთხოვნელობა, განუწყვეტელი იჭვიანობა და გაღიზიანება მეტისმეტად სჩვეოდა მას. ცრუმორწმუნეობამდე მისული გაღმერთებით ისე დიდხანს იყო ის გარემოცული, რომ ამას სავსებით შეეჩვია და სრულიად ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდა იგი. მაგრამ ის ამ გაღმერთებასაც ყველაზე უფრო მეტად აფასებდა იმ რეალური სარგებლობის თვალსაზრისით, რომლის მოტანაც მას შეეძლო. არა სიყვარული, არამედ შიში და ანგარება უმთავრესი ბერკეტები, რომლებითაც შეიძლება გავლენა ოქონიო ადამიანებზე: ასეთი იყო მისი მტკიცე რწმენა. მხოლოდ თავის ჯარისკაცთათვის უშვებდა იგი ნაწილობრივ გამონაკლისს. ერთხელ, ევროპაზე მისი ბატონობის წლებში, მის უეცარ შეკითხვაზე, თუ როგორ შეხვდებოდა ხალხი ცნობას მისი სიკვდილის შესახებ, ფარისეველმა კარისკაცებმა დაიწყეს მომავალი ღრმა მწუხარების აღწერა, ხოლო იმპერატორმა დაცინვით შეაწყვეტინა მათ და თქვა, რომ ევროპა თავისუფლად ამოისუნთქავს და წამოიძახებს: "ოჰ!"

ჯარისკაცები რომ მას აღმერთებდნენ, ეს ძლიერ კარგად იცოდა, და ჯარისკაცების რწმენა მას მუდამ ჰქონდა. იქნებ მას სწორედ მარტო მათი რწმენა ჰქონდა. ბედნიერების შეგრძნება მას არ შეეძლო და არც არასოდეს ან ახდენდა ბერნიერების შთაბეჭდილებას;ოდნავ კმაყოფილი და დამშვიდებულიც კი იშვიათად ჩანდა:

სიკვდილი მას ვერ აშინებდა. როდესაც მისი გარდაცვალების შემდეგ ჰბანდნენ მას, მის სხეულზე რაღაც ჭრილობების კვალი აღმოაჩინეს, რომელთა შესახებაც იმ მომენტამდე არაფერი იცოდნენ (გარდა იმ კვალისა, რომელიც დაჩნეული ჰქონდა ხიშტის დაკვრით ტულონის იერიშის დროს 1793 წელს, და ნატყვიარისა, რომელიც ეტყობოდა რეგენსბურგთან 1809 წლის ბრძოლაში ფეხის დაჭრის შემდეგ). ალბათ, თავის დროზე დაფარა თავისი ჭრილობები. რათა არ შეეშფოთებინა ჯარისკაცები ბრძოლაში.

სიკვდილის შემდეგ რომ საუკუნო დიდება ექნებოდა ამაში სავსებით დარწმუნებული იყო. თავის საოცარ სიცოცხლეს ის ყველაზე მეტად ხსნიდა სრულიად განსაკუთრებული პირობებით, რომელთა დამთხვევაც შეიძლება მოხდეს მხოლოდ ერთხელ ათასი წლის განმავლობაში. "რა რომანია ჩემი ცხოვრება!" — უთხრა მან ერთხელ ლას-კაზს წმინდა ელენეს კუნძულზე.

მისმა გაქრობამ ისტორიული ასპარეზიდან თანამედროვეებზე მოახდინა წარმოუდგენლად გააფთრებული, დიდხანს მობობოქრე და უეცრივ შეწყვეტილი გრიგალის შთაბეჭდილება. სოციალურ-ეკონომიურმა განვითარებამ უკვე ნაპოლეონამდე შეასუსტა მაშინდელ ევროპულ ქვეყნებში ბევრი ძველი პოლიტიკური სალტე, რომლებიც საუკუნოებით არსებობდნენ, საფუძველი გამოაცალა მრავალ იურიდიულ და სახელმწიფოებრივ-უფლებრივ ზედნაშენს, რომლებიც ინერციით განაგრძობდნენ არსებობას, დაალპო მრავალი ძველი და საუცხოო ფასადიანი შენობა. იმ გრიგალმა,რომელიც ამოვარდა და შემდეგ ამდენი წლის განმავლობაში მძვინვარებდა ევროპაში და რომლის ცენტრშიაც ნაპოლეონი იდგა, დაანგრია და მტვრად აქცია ეს დამპალი ნაგებობა. ისინი, რა თქმა უნდა, უნაპოლეონოდაც დაინგრეოდნენ, მაგრამ მან დააჩქარა ეს აუცილებელი ლიკვიდაცია. მომაკვდინებელმა ხელოვნებამ, რომელშიაც ის ასეთი შეუდარებელი ოსტატი და სპეციალისტი აღმოჩნდა, გაუადვილა მას ეს ისტორიული ამოცანა.

1813-1814 წლებში ნაპოლეონისაგან თავის დაღწევაში ხედავდნენ თავის ხსნას არა მარტო თავადაზნაურულ-ფეოდალური კლასის ნამსხვრევები, ნაპოლეონის მიერ დაპყრობილი ქვეყნების ბურჟუაზიას ახლა სწყუროდა განთავისუფლებულიყო იმ ბორკილებისაგან, რომელიც დაადო მას ნაპოლეონმა და რომელიც არ აძლევდა მას გაქანების საშუალებას. ნაპოლეონის მიერ დაპყრობილი მიწა-წყლის ბურჟუაზიამ ძლიერ კარგად გაიგო და იგრძნო, თუ რა გეგმაზომიერად უწევდა ნაპოლეონი ექსპლუატაციას ამ მიწა-წყალს მხოლოდ საფრანგეთის ბურჟუაზიის ინტერესებისათვის. მართალია, როდესაც ნაპოლეონის წინააღმდეგ გაჩაღებულ ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობა მის მიერ დადებული უღლის გადაგდებით დამთავრდა, ამ გამარჯვებით ისარგებლა უშუალოდ არა ბურჟუაზიამ, არამედ იმავე ფეოდალ-აბსოლუტისტურმა რეაქციამ, მაგრამ ეს მოხდა მაშინდელი ევროპის ბურჟუაზიული კლასის სისუსტისა და პოლიტიკური დაურაზმველობის გამო.

ამრიგად, 1813, 1814 და 1815 წლებში ნაპოლეონის წინააღმდეგ იბრძოდა ევროპული საზოგადოების ის კლასიც, რომელიც ოდესღაც აღტაცებაში მოჰყავდა "მოქალაქე პირველ კონსულს", რევოლუციური გამათავისუფლებელი იდეების მატარებელს, როგორადაც სთვლიდნენ მას ბევრნი ჯერ კიდევ 18 ბრიუმერსა და იმპერიის გამოცხადებას შორის გასული დროის განმავლობაში.

მის ეკონომიკურ პოლიტიკას დაპყრობილ ქვეყნებში არც შეეძლო ჰქონოდა სხვა საბოლოო შედეგი.

ეს მას არც სურდა გაეგო ბოლომდე და არც შეეძლო გაეგო თავისი ბუნების გამო. ბრინჯაოს იმპერატორი, დაფნის გვირგვინით, სამეფო კვერთხით ცალ ხელში და ქვეყნის სფეროთი მეორეში, რომელიც დგას პარიზის ცენტრში მის მიერ ხელში ჩაგდებული ზარბაზნებისაგან ჩამოსხმული ვანდომის უზარმაზარი სვეტის წვერზე, თითქოს იმას მოგვაგონებს, თუ რამდენად შეუპოვრად ებღაუჭებოდა იგი თავის სიცოცხლეში უგუნურ აზრს თავის ხელში სჭეროდა ევროპა, ხოლო თუ შესაძლებელი იქნებოდა, აზიაც, და სჯეროდა ისევე მაგრად, როგორც ძეგლზე ხელში წურავს იგი სახელმწიფოს სიმბოლურ სფეროს, მსოფლიოს მონარქიის ამ ჰერალდიკურ ემბლემას.

მსოფლიოს იმპერია დაინგრა, ხანგრძლივი არსებობა ეწერა ნაპოლეონის მხოლოდ იმ საქმეებს, რომლებიც განპირობებული და მომზადებული იყო ჯერ კიდევ მის გამეფებამდე ღრმა სოციალ-ეკონომიური მიზეზებით. კაცობრიობის მეხსიერებაში კი სამუდამოდ დარჩა გიგანტური სახე, რომელიც ერთთა შეგნებაში ეხმაურებოდა ატილასა, თემურ-ლენგისა და ჩინგის-ხანის სახეებს, ხოლო მეორეთა შეგნებაში-ალექსანდრე მაკედონელისა და იულიოს კეისრის აჩრდილებს, მაგრამ რომელიც, ისტორიულ გამოკვლევათა ზრდის მიხედვით, სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება განუმეორებელი თავისებურებათა და საოცარი ინდივიდუალური სირთულით.

შენიშვნები

ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია — მანიფესტი, რომელიც მიიღო დამფუძნებელმა კრებამ 1789 წელს. ეს მანიფესტი შეიცავდა იმ ახალი პოლიტიკური წყობილების პრინციპებს, რომელსაც რევოლუციური ბურჟუაზია ჰქმნიდა. აღიარებული იყო მოქალაქეთა თავისუფლება და თანასწორობა და ამავე დროს საზოგადოებრივი წყობილების საფუძვლად ცხადდებოდა ბურჟუაზიული კერძო საკუთრება.

ბაბეფი — პირველი რევოლუციური კომუნისტური ორგანიზაციის დამაარსებელი საფრანგეთის რევოლუციის ეპოქაში. ბაბეფისტების კომუნიზმი უტოპიური იყო. ბაბეფის ორგანიზაცია გამოაშკარავებულ იქნა და ბაბეფი სიკვდილით დასაჯეს (1797 წელს).

ბასტილია — გამაგრებული ციხე პარიზში, პოლიტიკურ დამნაშავეთა საპყრობილე, რომელიც აიღო და დაანგრია აჯანყებულმა მოსახლეობამ საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დასაწყისში (1789 წლის 14 ივლისს). პოლიტიკურ საპყრობილეთა საზოგადო სახელი.

ბიზანტია — ანუ ბიზანტიის იმპერია ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ისტორიულად იყო აღმოსავლეთ რომის იმპერიის გაგრძელება; არსებობდა თურქების მიერ კონსტანტინეპოლის (დედაქალაქის) აღებამდე 1453 წელს.

ამბობდნენ, როდესაც კონსტანტინეპოლს ალყა შემოარტყეს თურქებმა, იქ მიმდინარეობდა საეკლესიო კრება, სადაც ორი პარტია გააფთრებით ებრძოდა ერთმანეთს რელიგიური საკითხის ირგვლივ. კონსტანტინეპოლის აღებისას თურქებმა ამოწყვიტეს ერთნიც და მეორენიც.

ბრუტოსის მახვილი — ტირანის მკვლელის მახვილი. ძველი ქვეყნის გმირი (მარკ იუნიუსი, 86-46 წ.წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე), კასიოსთან ერთად იყო რომის სახელგანთქმული სარდლისა და დიქტატორის იულიუს კეისრის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მონაწილე.

ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ფაქტორიები — ევროპიელ ვაჭართა საკავშირო ახალშენები კოლონიურ ქვეყნებში. ფაქტორიებში ჩვეულებრივ თავს იყრიან კოლონიური ჯარები და მისიონერები, ისინი წარმოადგენენ ქვეყნის სა-

ვაპრო-სამხედრო ათვისების ცენტრს და ადგილობრივ მკვიდრთა დაჩაგვრისა და ძარცვა-გლეჯის საშუალებას.

მგერილიასები — პარტიზანული ჯარები ესპანეთში (ესპანური სიტყვიდან "გვერილია" — "შცირე ომი").

დირექტორია — მთავრობა, რომელიც შედგა ნაციონალური კონვენტის დაშლის შემდეგ, 1795 წლის 26 ოქტომბერს, და რომელმაც იარსება 1799 წლის 9 ნოემბრამდე, როცა იგი დაამხო ბონაპარტმა. აღმასრულებელი ხელისუფლება დირექტორიაში ეკუთვნოდა ხუთ დირექტორს, საკანონდებლო ხელისუფლება კი ორ პალატას — უხუცესთა საბჭოს და ხუთასთა საბჭოს. ხუთასთა საბჭოს გადაწყვეტილებას კანონის ძალა ჰქონდა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მას უხუცესთა საბჭო დაამტკიცებდა.

დოჟი — რესპუბლიკის სამისდღეშიოდ არჩეული მეთაურის სახელწოდება ვენეციაში.

ვანდალიზმი — ვანდალები ძველი გერმანელი ხალხია (V-VI საუკუნე), რომელიც შეიჭრა რომის იმპერიის საზღვრებში და დაიპყრო რომის პროვინციები: გალია, ესპანეთი, აფრიკა, იტალია, სასტიკად დაანგრია და გაძარცვა რომი და მისი ხელოვნების ძეგლები. აქედან: ვანდალიზმი — კულტურულ ღირებულებათა განადგურებისადმი მიდრეკილება.

ვასალი — ფეოდალიზმის დროს ადამიანი, რომელიც დამოკიდებული იყო მიწის მესაკუთრესაგან, სუზერენისაგან. ვასალი ერთგულების ფიცს სდებდა სუზერენის წინაშე და ვალდებული იყო სამხედრო დახმარება გაეწია მისთვის.

ვასკო-დე-გამა - (1469-1524) — პორტუგალიელი ზღვაოსანი. 1498 წელს მან შემოუარა კეთილი იმედის კონცხს (აფრიკის სამხრეთში) და აღმოაჩინა საზღვაო გზა ინდოეთისაკენ. მას შემდეგ ინდოეთისაკენ გაემგზავრნენ სხვა ზღვაოსნებიც. თვით ვასკო-დე-გამამ ჩაატარა კიდევ ორი საზღვაო მოგზაურობა. სიკვდილის წინ ცოტა ხნით ადრე ვასკო-დე-გამა დანიშნულ იქნა პორტუგალიის ინდოეთის ვიცე-მეფედ.

Vive Bonaparte! — გაუმარჯოს ბონაპარტს!

იაკობინელთა კლუბი — საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქის სახელგანთქმული პოლიტიკური კლუბი. თავისი სახელწოდება მიიღო იაკობიტების ორდენის ყოფილი მონასტრის სადგომიდან, სადაც ამ კლუბის კრებები იმართებოდა. რობესპიერისა და მარატის მეთაურობით იაკობინელთა კლუბი წარმოადგენდა საფრანგეთის დემოკრატიის მძლავრ დისციპლინიან რევოლუციურ პარტიას.

იუსტინიანეს კრებული — რომის სამართლის კანონთა კრებული ე.ი. იმ კანონებისა და იურისტების თეორიების კრებული, რომელიც შედგენილი იყო

ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანეს დროს VI საუკუნეში. ყველა ეს კანონი საფუძვლად დაედო ბიზანტიისა და დასავლეთ ევროპის უგვიანეს კანონმდებლობას; ამ კანონებს სწავლობდნენ უმაღლეს სკოლებში და ატარებდნენ ცხოვრებაში.

"კარლ დიდის იმპერია" — ფრანკების მძლავრი სახელმწიფო, რომელიც კარლ დიდის მიერ (742-814) დაპყრობილი ტერიტორიებიდან შეიქმნა. ეს იმპერია დასავლეთ ევროპის თითქმის მთელ მატერიკს მოიცავდა. მის შემადგენლობაში იყო: ესპანეთი მდინარე ებრომდე, ახლანდელი საფრანგეთის ტერიტორია, ბელგია, ჰოლანდია და შვეიცარია, ჩრდილოეთი და შუა იტალია და გერმანიისა და ავსტრიის დასავლეთი ნაწილები.

კარნო — ლაზარ (1753-1823) — საფრანგეთის რევოლუციის მოღვაწე, საკანონმდებლო კრებისა და კონვენტის დეპუტატი. საზოგადოების ხსნის კომიტეტში განაგებდა საბრძოლო საქმეებს, მეტსახელად დაარქვეს "გამარჯვების ორგანიზატორი". მან შექმნა რესპუბლიკური არმია და დაამშვავა კოალიციისა და ემიგრანტების ჯარების საწინააღმდეგო კამპანიის გეგმა. დირექტორიის დროს იყო ერთ-ერთი დირექტორთაგანი (სულ ხუთნი იყვნენ); კონსულობის დროს დატოვა სამხედრო სამინისტრო, ვინაიდან ვერ შეეთვისა ბონაპარტს. ლ. კარნო ნაპოლეონის იმპერიის დაარსების წინააღმდეგი იყო, თავი გააცალა პოლიტიკურ მოღვაწეობას, მაგრამ "ასი დღის" დროს ითხოვა ნაპოლეონთან სამსახური და მონაწილეობას იღებდა სამშობლოს დაცვაში.

კლანი — (კელტური სიტყვაა) — გვაროვნული კავშირი, თემი, უმთავრესად შოტლანდიასა და ირლანდიაში. კლანის სათავეში იდგა გვარის უფროსი, წინამძღოლი. XVIII საუკუნის შუა წლებში ასეთი გვაროვნული წყობილება არსებობდა კუნძულ კორსიკაზე, ე.ი. მისი მოსახლეობა დაყოფილი იყო გვაროვნულ თემებად, რომელთაც თავიანთი წინამძღოლები ჰყავდათ. ეს კლანები (თემები) ცხოვრობდნენ ვვაროვნული განკერძოებულობით, მათ შორის გავრცელებული იყო გვაროვნული მტრობა და მეისისხლეობა.

კოალიცია — საფრანგეთის რევოლუციისა და ნაპოლეონის დროს — ევროპის რეაქციულ მთავრობათა სამხედრო კავშირი, რომელიც მიმართული იყო რევოლუციის მონაპოვართა და საფრანგეთის წინააღმდეგ.

კონდე ლუი — მეტსახელად "დიდი კონდე" (1621-1686) — ფრანგების სარდალი ლუდოვიკ XIV დროს. მონაწილეობდა ოცდაათწლიან ომში, ესპანეთთან ბრძოლაში და უფრო გვიან — ლუდოვიკ XIV წინააღმდეგ მოქმედ კოალიციებთან ბრძოლაში.

კონვენტი — რევოლუციური საფრანგეთის მესამე (დამფუძნებელი და საკანონმდებლო კრების შემდეგ) ეროვნული კრება, რომლის სხდომები იმართე-

ბოდა 1792 წლის 21 სექტემბრიდან 1795 წლის 26 ოქტომბრამდის, როდესაც მან ადგილი დაუთმო დირექტორიას. ეროვნულმა კონვენტმა საფრანგეთში გამოაცხადა რესპუბლიკა, სიკვდილით დასჯა მიუსაჯა ლუდოვიკ XVI, დაარსა საზოგადოების ხსნის კომიტეტი და მთელს საფრანგეთში გაგზავნა კომისრები, რომლებიც აღვივებდნენ მოსახლეობის პატრიოტიზმს და აწყობდნენ ქვეყნის თავდაცვის საქმეს. კონვენტმა შესძლო დიდი სიძნელეების გადალახვა — გაანადგურა როიალისტები ვანდეასა და სამხრეთ საფრანგეთში და დაამარცხა ევროპის სახელმწიფოთა კოალიცია.

ლიფანტი — სირიის სანაპიროები აზიაში.

მონტანიარები — (ფრანგული სიტყვიდან la montagne-მთა) — კონვენტის მემარცხენე ფრთა; ეს სახელწოდება მიიღეს მაღლა მოთავსებული სკამებიდან, რომლებზედაც ისხდნენ მონტარიანები კონვენტის სხდომების დროს. მათი ბელადები იყვნენ რობესპიერი, დანტონი და მარატი. მონტანიარები იყვნენ წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის რევოლუციურად განწყობილი ნაწილის წარმომადგენლები. ისინი გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდნენ კონვენტში ჟირონდისტების (მემარჯვენე ფრთის) წინააღმდეგ, რომელთა დამხობის შემდეგ, 1793 წლის 2 ივლისს, კონვენტის მმართველ ჯგუფად გადაიქცნენ. მონტარიანები ახორციელებდნენ რევოლუციურ დიქტატურას, იყენებდნენ ტერორს და გარეშე და შინაური კონტრრევოლუციური თავდასხმებისაგან იცავდნენ რევოლუციურ საფრანგეთს. 9 ტერმიდორისა და რობესპიერისა და სხვა ბელადების სიკვდილით დასჯის შემდეგ დაიწყო მონტარიანების სასტიკი დევნა. 1795 წლის 1 პრერიალის აჯანყების შემდეგ უკანასკნელი მონტანიარები წარსდგნენ სასამართლოს წინაშე და მათ სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს.

მუნიციპალიტეტი — ქალაქის თვითმმართველობა; ქალაქის თვითმმართველობის წევრთა კრებული.

ნაფიცი მსაჯულები — ასე უწოდებენ მოქალაქეთა წარმომადგენლებს სასამართლოებში. საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ მოსპო საფრანგეთში ყველა სპეციალური, საგანგებო და განსაკუთრებული სასამართლო და 1791 წელს შემოიღო ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. ეს იყო ნაბიჯი წინ რევოლუციის წინადროინდელი ფეოდალური საფრანგეთის სასამართლოებთან შედარებით.

ნერონი — როშის იმპერატორი 54-68 წლებში. საზოგადო სახელი სასტიკი დესპოტისა.

ოკუპაცია — სამხედრო ძალებით სხვისი ტერიტორიის დაკავება.

ოლივერ კრომველი — (1592-1658) — ინგლისის რევოლუციის ბელადი, რომელმაც თავისი დიქტატურა დაამყარა ინგლისში.

პეტიცია — წერილობითი თხოვნა ხელისუფლების მისამართით. პეტიციონერები — ის პირები, რომელთაც ხელი მოაწერეს პეტიციას და წარუდგინეს იგი ხელისუფლებას.

პონტონის ხიდი — მცურავი ხიდი, რომელიც ეწყობა შეერთებული ორჩხომელების საშუალებით; ამჟამად პონტონს უწოდებენ აგრეთვე ცალკეულ ორჩხომელსაც.

პროკონსული — ძველ რომში — პროვინციის მმართველი.

პროტექტორი — სიტყვა-სიტყვით — მფარველი; ზოგჯერ — მმართველი.

ჟირონდისტები — მსხვილი ბურჟუაზიის პარტია საფრანგეთის რევოლუციის დროს; ეს პარტია ზომიერი რეფორმებით ცდილობდა პოლიტიკური წყობილების გარდაქმნას და ილაშქრებდა როგორც ძველი რეჟიმის, აგრეთვე რევოლუციური დემოკრატიის წინააღმდეგ. სახელწოდება მიიღო ჟირონდის დეპარტამენტიდან, რომლის დეპუტატებიც იყვნენ მისი მთავარი ხელმძღვანელები. კონვენტიდან განდევნის (1793 წლის 31 მაისი-2 ივნისი) შემდეგ ჟირონდისტები გადავიდნენ ნახევრადლეგალურ, შემდეგ კი არალეგალურ მდგომარეობაში და ნაწილობრივ მონარქისტებსაც დაუახლოვდნენ.

რეგენტი — მეფის მაგიერი მმართველი მისი ავადმყოფობის ან მცირეწლოვანების გამო.

რედუტი — მრავალკუთხედის მსგავსი სიმაგრე.

რელაცია — სამხედრო ნაწილის უფროსის მოხსენება თავისი ჯარის მოქმედების შესახებ, საგმირო საქმის აღწერა ჯილდოზე წარდგენის დროს.

როიალისტები — (ფრანგული სიტყვიდან roi — მეფე), მეფის ხელისუფლების ე.ი. მონარქიის მომხრეები, მონარქისტები.

როსტოპჩინი — თეოდორე ვასილის-ძე (1763-1826). 1812 წელს ფრანგების შემოსევის დროს დანიშნული იყო მოსკოვის მთავარსარდლად (გენერალ-გუბერნატორად).

საგანმანათლებლო ლიტერატურა — საფრანგეთის ბურჟუაზიის მოწინავე მოაზროვნეთა ნაწარმოებნი XVIII საუკუნის რევოლუციის წინა ხანებში. ამ ნაწარმოებებში ჩამოყალიბდა ბურჟუაზიის ფილოსოფიური და პოლიტიკური შეხედულებანი და მოთხოვნები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ აბსოლუტური მონარქიის იდეას და ფეოდალიზმისა და კათოლიკური ეკლესიის ნაშთებს. ამ ლიტერატურის იდეები დაედო საფუძვლად საფრანგეთის რევოლუციის მოღვაწეთა თეორიას. "განმანათლებელთა შორის იყო ზომიერი ფრთა — ვოლტერი, მონტესკიე და სხვები, და მემარცხენე, რევოლუციური ფრთა — დიდრო, რუსო და სხვ.

საზოგადოების ხსნის კომიტეტი — რევოლუციური საფრანგეთის სახელმწიფოებრივი ორგანო, რომელიც შექმნა კონვენტმა იაკობინელთა დიქტატურის ეპოქაში (1793-1794).

საკომუნიკაციო ხაზი — არშიისა და ზურგის ან არმიის ნაწილების ურთიერთდამაკავშირებელი ხაზი.

სალტიჩიხა — მებატონე — მემამულე ქალი, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა.

სანკულოტები — ეს სახელი დაარქვა არისტოკრატიამ 1787 წელს რევოლუციონერ მდაბიო ხალხს. არისტოკრატებს ეცვათ კულოტები (მოკლე შარვლები), ხოლო მდაბიო ხალხს ჩვეულებრივი შარვლები და ამიტომ იყვნენ ისინი Sans culotte, ე.ი. უკულოტოები.

სატრაპი — ძველ ირანში მეფის სრულუფლებიანი მოადგილე პროვინციაში. გადატანითი აზრით — სასტიკი და თვითნება მმართველი.

"საშინელი მინოტავრი" — ბერძნული მითოლოგიით ნახევრად ადამიანი, ნახევრად ხარი, პასიფაისა და კუნძულ კრიტოსის მეფის მინასის შვილი, ჩამწყვდეული იყო ლაბირინთში (დახლართულგზებიან რთულ შენობაში, საიდანაც თავის დაღწევა ძნელი იყო). ათინელები ვალდებული იყვნენ ყოველწლიურად ხარკად ეძლიათ ამ საშინელებისათვის შვიდი ვაჟი და შვიდი გოგონა, რომელთაც იგი ჭამდა. თეზეოსი მინოსის ასულის არიადნას დახმარებით შევიდა ლაბირინთში და მოკლა მინოტავრი.

სეკვესტრი — ყადაღა; სახელმწიფო ხელისუფლების აქტით, სახელმწიფოებრივი ინტერესების სასარგებლოდ რაიმე კერძო ქონებით სარგებლობის აკრძალვა და შეზღუდვა.

სენიორული წესები — ასე უწოდებდნენ გლეხებისათვის საძულველი ფეოდალური უფლებების ნაშთებს, რომლითაც სარგებლობდნენ სენიორები (მემამულეები) რევოლუციის წინამორბედ საფრანგეთში. გლეხები ვალდებული იყვნენ ეძლიათ მათთვის მრავალი სხვადასხვაგვარი ხარკი, მოსავლისა და ნაშენის ნაწილი, კისრად აწვათ აგრეთვე მძიმე საბატონო ბეგარა. სენიორი სარგებლობდა გლეხობის დამამცირებელი და შემავიწროებელი მრავალი პრივილეგიით. სენიორული რეჟიმი გაუქმა დამფუძნებელმა კრებამ 1789 წლის 4 აგვისტოს ღამით, გლეხთა მღელვარების გავლენით, რასაც თან მოჰყვა ფეოდალური კოშკებისა და სიგელების გადაწვა.

სეპარატისტი — ადამიანი, რომელიც მიილტვის სახელმწიფო შემადგენლობაში შემავალი რომელიმე ოლქის ან მხარის ამ სახელმწიფოდან გამოყოფისაკენ.

სეპარატული ზავი — ერთ-ერთი მეომარი სახელმწიფოს მიერ მოკავშირეთა დაუკითხავად მოწინააღმდეგესთან ცალკე დადებული ზავი, რასაც თან მოჰყვება ამ სახელმწიფოს გამოსვლა კოალიციიდან.

სინედრიონი — უმაღლესი სასამართლო დაწესებულება ძველ იუდეაში.

სინოდი — საეკლესიო საქმეთა გამგები სასულიერო და საერო პირების კრება პროტესტანტულ ქვეყნებში; უმაღლესი დაწესებულება, რომელიც განაგებდა რუსეთში საეკლესიო საქმეებს მონარქიის დამხობამდე. სინოდი პეტრე I-ის დროს დაწესდა.

სკვითები — ძველი მომთაბარე ხალხი, რომელიც ცხოვრობდა სამხრეთ რუსეთის ველებზე შავი ზღვის ჩრდილოეთით. წინამდებარე წიგნში სკვითები ნახსენებია ბარბაროსობის, ველურობის აზრით.

ტერმიდორიანული ტერორი — დაშინების რეჟიმი, რომელიც დაამყარა ბურჟუაზიამ საფრანგეთში 9 ტერმიდორის გადატრიალების შემდეგ; იგი მიმართული იყო დამხობილი და დასჯილი რობესპიერის მომხრე იაკობინელების წინააღმდეგ.

ტიურენი ანრი დე-ლა-ტურ დოვერნი — (1611-1675) — მარშალი, ფრანგების სარდალი, ოცდაათწლიანი ომის, ფრონდის აჯანყებისა და ჰოლანდიასთან ომის მონაწილე. ჯერ იბრძოდა ფეოდალებთან ერთად, შემდეგ — მეფის ჯარების სათავეში.

უზურპატორი — ძალა-უფლების უკანონოდ ხელში ჩამგდები პირი.

ფრიგიელთა ქუდი — რევოლუციის ერთ-ერთი ემბლემა.

ფრიდრიხ დიდი — ფრიდრიხ II (1712-1786), პრუსიის მეფე გამოჩენილი სარდალი. ავსტრიის მემკვიდრეობისათვის ბრძოლის დროს ხელთ იგდო სილეზია. შვიდწლიანი ომის დროს ინგლისთან ერთად მან მოიგერია საფრანგეთის, ავსტრიისა და რუსეთის თავდასხმები.

ფუხტელი და შპიცრუთენი — ფიზიკური დასჯის იარაღებია, რომლებიც შემოღებული იყო პრუსიაში. იქიდან გადმოღებულ იქნა რუსეთშიაც. ფუხტელი — დაშნა, ორპირი მახვილია. XVIII საუკუნეში და XIX საუკუნის დასაწყისში ფუხტელი გამოყენებული იყო ჯარში, უმთავრესად კავალერიაში, დისციპლინარული დასჯისათვის. ბრალდებულს დაშნას ურტყამდნენ სიბრტყით. ეს შედარებით მსუბუქ დასჯად ითვლებოდა. შპიცრუთენები — გრძელი და მოქნილი წკეპლების კონაა, დიამეტრით დაახლოებით 5 სანტიმეტრი და სიგრძით ორი მეტრი. სასჯელი სისრულეში მოჰყავდათ მსჯავრსდებულის ამხანაგებს. ასეული, ათასეული ან პოლკი ეწყობოდა ორ მწკრივად და ჰქმნიდა "ჭეჭას". ამ "ჭეჭაში" გაატარებდნენ მსჯავრსდებულს იმდენჯერ, რამდენჯერაც დანიშნული იყო განაჩენით. მწკრივში მყოფი თითოეული ჯარისკაცი შპიცრუთენებით სცემდა მას.

შპიცრუთენებით დასჯა მეტისმეტად მკაცრი იყო; მიუსჯიდნენ ათას ან ორი ათას შპიცრუთენის დარტყმას; სამი ათასი დარტყმა სიკვდილით დაჯას უდრიდა.

ყურანი — მაჰმადიანთა საღვთო წიგნი.

შუანები — მონარქისტი მეამბოხენი ბრეტანსა და ნორმანდიაში.

"ციზალპური რესპუბლიკა" — საფრანგეთის რევოლუციის დროს ასე უწოდებდნენ რესპუბლიკური ჯარების მიერ დაპყრობილ იტალიის ჩრდილოეთ ნაწილს.

ჰანიბალი ანუ ანიბალი — (243-183 წლებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — კართაგენის სახელგანთქმული სარდალი, მეორე პუნიური ომის მონაწილე. ესპანეთიდან პირენეის მთებზე, სამხრეთ გალიაზე და ალპის მთებზე გადასვლით მოაწყო ლეგენდარული ლაშქრობა რომზე, ბევრჯერ დაამარცხა რომაელები, მივიდა თვით რომის კარიბჭესთან (აქედან გამოთქმა "ჰანიბალი კარზეა მომდგარი"). ჰანიბალი იძულებული გახდა დაბრუნებულიყო აფრიკაში, რათა დაეცვა სამშობლო, რომელსაც რომაელები ემუქრებოდნენ, და აქ განიცადა მარცხი. შემდგომ, რათა რომაელების შურისძიებისგან თავი ეხსნა, აზიაში გაიქცა და იქ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

ჰუნები — მომთაბარე ხალხი, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში აზიიდან შეიჭრა ევროპაში. "ჰუნებს" უწოდებენ ველურ და მკაცრ დამპყრობლებს.

სარჩევი

	გვ.
ნაპოლეონ ბონაპარტის ახალგაზრდობა	3
იტალიის კამპანია (1796-1797)	27
ეგვიპტის დაპყრობა და გალაშქრება სირიაში (1798-1799)	49
თვრამეტი ბრიუმერი (1799)	63
დიქტატორის პირველი ნაბიჯი (1799-1800)	78
მარენგო. დიქტატურის განმტკიცება. პირველი კონსულის კანონმდებლობა (1800-1803)	91
ახალი ომი ინგლისთან და ნაპოლეონის მეფედ კურთხევა (1803-1804)	116
მესამე კოალიციის განადგურება (1805-1806)	132
პრუსიის განადგურება და გერმანიის საბოლოო დამორჩილება (1806-1807)	156
ნაპოლეონის ბატონობა ევროპის კონტინენტზე ტილზიტიდან ვაგრამამდე განულილ ეპოქაში (1807-1809)	184
იმპერატორი და იმპერია ძლიერების მწვერვალზე (1810-1811)	210
რუსეთთან განხეთქილება (1811-1812)	221
ნაპოლეონის თავდასხმა რუსეთზე (1812)	229
ვასალური ევროპის აჯანყება ნაპოლეონის წინააღმდეგ და "ხალხთა ბრძოლა". დიდი იმპერიის რღვევის დასაწყისი (1813)	266
ომი საფრანგეთში და ნაპოლეონის პირველი გადადგომა (1814)	291
"ასი დღე"	313
წმინდა ელენეს კუნძული (1815-1821)	347
დასკვნა	355
შენიშვნები	363